

644
1975/3

ლიმილის ბიჭი ვიყავი,
ბეჭუდ არწივი მეხატა,
ცხრამეტი წლისა შევსრულდი,
ოცი არ გადამეხატა,
სამშობლოს დროშა მეჭირა,
მგერს ვეცემოდი მეხატა!

გიორგი ლეონიძე

ოპში ვიყავ. მგერს ბერლინი
მივუბრინებ, მოვუბრინებ,
ცხრა მაისით შემოვძახებ:
ეგ არის და გორის ციხე!

ვალაკაიონ გაბიძე

სსსს

ერთგული ვიყავ მშობელი მიწის,
მე შევასრულე აღთქმა და ფიცი,
მე გადავიტანე მრავალი ჭირი,
სამშობლო რომ არ გამამთელოდა,
რომ მოვსულიყავ ბერლინში გმირი
საქართველოდან.

გრიგოლ აბაშიძე

მე, ქართველი ბუნაიძე,
ბალყარეთის მთებში ვწევარ...
რომ შემეძლოს საფლავიდან,
ძმებო, მხრების წამოწევა,
მე სიცოცხლეს ხელმეორედ
შევწირავდი მშობელ მხარეს,
შევწირავდი იმავ მიწას,
დღეს რომ გულზე დამაყარეს.

ირაკლი აბაშიძე

ნუ სწუხარ, გაივლის ომი და ქარი,
ვიცხოვრებთ ისევე მშვიდად,
ჩვენთვის ხომ სიცოცხლე მამული არის,
დიადი სამშობლო წმინდა!


რევაზ მარჯანი

დღეს ორკაცად ღვივის რწმენა,
ქუდზე კაცი ფეხზე დგება.
ჩვენს მახვილს და ჩვენს მარჯვენას
სიმტკიცე და გამარჯვება!

სიმონ ჩიქოვანი



1975



70 — მიხეილ შოლოხოვი — 70

სესია

216

გამომცემის მიმდრეკილი წელი

23090

5

მ ა ი ს ი

1975

თ ბ ი ლ ი ს ი

საქ. კვ. ცვ. იმ. გამომცემლობა

ლიტერატურულ-მეცნიერული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და მფარალთა კავშირის ორგანო

ქ. მ. რეჟის. ს. ხ. ს. ხ. ს. ხ.
ს. ხ. რეჟის. ს. ხ. ს. ხ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

პროზა, პოეზია

- 3. ვანო ურჯუმილაშვილი. მოსკოვი მკვინად ერთი. (რამდენიმე თავი რომანიდან)
- 57. ჯაუბ ბოლქვაძე. ლექსები
- 60. ზოია ცხაღია. მამა. ლექსი
- 61. გივი ჯოხაძე. კოწილხა. მოთხრობა

ძმურ ოჯახში

- 73. ბენიკ სვირინიანი. ხმ-ხმ ვწიგა მიიპარება. მოთხრობა. სომხურიდან თარგმნა მარინე შამაცაშვილმა

გამარჯვების ზე შელი

- 79. გიორგი შურაშვილი. ქართველები დიდ სამამულე ომში
- 87. ლარისა ხუბულური. ჯარისკაცის წერილები
- 95. შოთა ჯაჭარიაძე. ექვსი თვე „მცირე მიწაზე“
- 101. ვალერიან მახარაძე, მახტანო გურული. ქართველები და კოლონელი პარტიზანების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან
- 106. საპრტაპ რიხვიასვილი. უკრაინელ პარტიზანთა მხარდახმარება
- 112. ლიუდმილა ცაიცივაძე. დაფრფლილი გული

წერილები

- 119. ალექსანდრე ბახტაძე. საბოთა ხალხის დიადი გამარჯვება
- 127. დავით მაისურაძე. ქართველი ინტელიგენციის წვლილი დიდ სამამულე ომში
- 132. შოთა აფრიდონიძე, დავით ჯაჭარია. ლენინური კომპაგვირი დიდ სამამულე ომში
- 142. არჩილ სპარსიაშვილი. დიდი სამამულე ომი რაიონული გაზეთების ფურცლებზე
- 146. მარკ ზულატიანი. საბოთა პარტიოტები — ლიტერატურის შთამბრძნებელი თემა
- 151. ირმა ჩხეიძე. მირზა ბელოვანის ფრონტული ლირიკა
- 156. თამაზ კვაპანტირაძე. ...ისე, ვითარცა...

მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:
ვახუა ამირეჯიბი,
ვალერიან ბაქრაძე,
გურამ გვირგვინიანი,
გივი გეგეჭორი,
რისმაზ გორდუნიანი,
გიორგი გუგულია,
ნოდარ დუმბაძე,
მერაბ ელითიშვილი,
ელეონორ მენაბდე,
ოტია კახაორცხა,
(პასუხისმგებელი მდივანი),
ნუგზარ წერეთელი,
ტარიელ ჯანაშიანი,
რეზო ვეიშვილი.

პანო უჩაშვილაშვილი

მოსკოვი ქვეყნად ერთია

(რამდენიმე თავი რომანიდან)

ლამის სამი საათიდან მომიწია მო-
რიგობამ. უმთვარო ღამე იყო. არც
მანამდე და არც მეტე ცაზე ამდენი
მბრწყინავი ვარსკვლავი ჩემს თვალს
არ უნახავს.

გავცქეროდი მოშავარდნებულ ცას
და ვფიქრობდი: ნამდვილად მნათობთა
ზეიმია, სადღესასწაულოდ მორთულ-
მოკაზმულან და ერთმანეთს ეკეკლუ-
ცებიან-მეთქი.

ყველაფერი, სულიერი თუ უსულო,
განახული შესცქეროდა ვარსკვლა-
ვებს.

ორგვლივ ზღაპრული სიჩუმე იდგა.
არაფერი იძროდა, არაფერი ხმინობ-
და. წყაროსავით ანკარა მდინარის რაკ-
რაკი უძირო სიწყნარეში იკარგებოდა.

მეთაურები სულ იმას გვაფრთხი-
ლებდნენ, საგუშაგოზე ყურადღებით
იყავით, ფიქრებს ნუ მიეცემით, არ
იოცნებოთო.

ეს წარმოუდგენელია! ენას კბილს
დააჭერ, ყურებშიც თითებს დაიცობ,
თვალებსაც დახუჭავ, მაგრამ ფიქრს
ვერაფერს მოუხერხებ.

ამ წყნარ, ზღაპრულ ღამეს რაღაზე
არ ვფიქრობდი, გონების თვალით რა-
ღას არ ვხედავდი. ბოლოს ეს სურათი
წარმომიდგა თვალწინ:

ტყის ბილიკზე გნოლივით გაქცეულ

ნატაშას მივდევ. ქალიშვილი ხან ხეს
ეფარება, ხან ბუჩქებში იმალება, ვაო-
ულობ, ხელით მინდა მივწვდე, მაგრამ
ერთს გულიანად გადაიკისკისებს და
ისევ გარბის!

აი, ტყვე გავლიეთ, გავიმდგლოეთ.
ჩვენ წინ თოვლით დაფარული კავ-
კასიონის მთების გრეხილი აღიმართა...
აგერ ფერდობზე შეფენილი ჩვენი სო-
ფელიც. ეს რაღაა?! ჭალებში გამაველი
საურმე გზით წითელი ბაფთებით მო-
რთული მანქანების ესკორტი მიემარ-
თება, წინა მანქანაში მე და ნატაშა
ვსხედვართ... უკან მოგვდევენ დამ-
კვრელები, მაყრიონი... ცას სწვდება
მექორწინეთა სიმღერა... ისმის თოფე-
ბის ბათქა-ბუთქი, ანე-მანე ცაზე და-
კიდული მაშხალებითაა გაჩახჩახებუ-
ლი. ორდობეები, შუკები გარეთ გამო-
სულ ხალხს ვერ იტყვს. დიდი თუ პა-
ტარა, ქალი თუ კაცი შეძახილებით
გვესალმებიან, ყვავილებს გვესვრიან,
ხელებს გვიქნევენ. ჩვენ უკვე მამა-პა-
პური სახლის ეზოში ვართ. ხელგაშლი-
ლი გვეგებება პაპაჩემი, ჩოხა-ახალუხი
რომ აცვია და წელზე ვერცხლის ქა-
მარ-ხანჯალი შემოურტყამს.

— მოდი ჩემო რძალო, ჩემო გამზა-
რებელო! — ეუბნება მოხუცი ნატაშას,
მკერდში იკრავს და შუბლზე ეამბორე-

ბა, მეც მეხვევა, მკონის... მერე ხელ-
შემართული ხალხს მიმართავს, — ჩე-
მო სტუმრებო, ჩემო ღვიძლნო, ვახ-
ტანგი დამიბრუნდა, მარგალიტოვით
რძალი ჩამომიყვანა, უბედნიერესი კა-
ცი ვარ, ქეიფი მინდა, დროსტარება
მწალია, მეზურნეებო, მაშ, დაუკათ!..

ერთბაშად განთადის მაუწყებელ-
მა გრილმა ნიაგმა დაუბერა. ხეზე ფო-
თლები აშრილდნენ, აღიღინდნენ. ლა-
მის მეც ავმღერდე, ხეებს ვეხვევი,
ბუჩქებს მკერდში ვიკრავ! მინდა შეე-
ძახო, ცასა და მიწას ვამცნო, შევღაღა-
დო, რომ მიყვარს ნატაშა, მიყვარს სი-
ცოცხლე, მიყვარს ქვეყნიერება!..

უცებ ტყის იქით, მალა ზეცაში,
ყრუ გუგუნე გაისმა.

„ნეტავი რა გუგუნებს?!“ — შევე-
კითხე ჩემს თავს და რაღაც იღუმალმა
შიშმა მომიცვა.

გუგუნის საიდუმლო ვერ ამოვხსე-
ნი, რომ შორს, ცის დასალიერს ვარ-
სკვლავნი წითლად აენთნენ, ამოძრავ-
დნენ. „ეს რა ხდება, ნუთუ მეჩვენე-
ბა?!“ — გულში გამკრა და, იმის და-
სადგენად ზეზეულა ხომ არ ჩამეძინა-
მეთქი, თვალები მოვიფშვინტე. არა!
მეღვიძა! ყველაფერს ცხადლივ ვხე-
დავდი!

წითელი ვარსკვლავნი ნელა, შეუშ-
ჩნველად მოირწყოდნენ, სამაგიეროდ,
გუგუნე ისე სწრაფად მატულობდა,
რაღაც ორ-სამ წუთში არემარე გაა-
ყრუა.

უძრავად ვიდექი ვაოგნებული, ვო-
ნებაფორიაქებული.

მეხვდი, ვარსკვლავები კი არა,
თვითმფრინავები მოფრინავდნენ, მაგ-
რამ იმას კი, აბა, როგორ ვიფიქრებდი,
რომ ეს გერმანელ ფაშისტთა ბომბდამ-
შენი ესკადრილიები იყო.

მაშინ ისეთი წარმოდგენა მქონდა,
იმის დაწყების წინ ერთი მხარე მეო-
რეს ულტიმატუმს გაუგზავნიდა, ამა
და ამ მოთხოვნილებებს ვიყენებ, ორ-
სამ დღეში თუ არ დამაკმაყოფილებ,
ომს ვიცხადებო. თუ მეორე მთავრო-
ბა გაჯიუტდებოდა, პირველს ომის

დაწყების უფლება მიეცემოდა. ამა-
ბაში საზღვარზე მოწინააღმდეგეთა ჯა-
რები განლაგდებოდნენ. დათქმულ
დროს ორივე ლაშქრის სარდლობა ცეც-
ხლის გახსნას ბრძანებდა. დაიქუხებ-
დნენ ქვემეხები. ჯარები ერთმანეთისა-
კენ დაიძრებოდნენ და სამკვდრო-სა-
სიცოცხლო ბრძოლა გაიმართებოდა.
ამას კი, აბა, როგორ წარმოვიდგენდი,
რომ დაძინებულ ქვეყანას ასე ვერა-
გულად მტერი თავს დაესხმოდა.

მაშინაც კი, როცა უამრავმა თვით-
მფრინავმა გაბმული ღმულისთ თავზე
გადავვიქროლა და ჩვენგან არც ისე
შორს, ცეცხლის მთები აღიმართა,
ზათქმა და გრიალმა კი მიწა შეაჯანჯა-
რა, არ მჯეროდა, რომ ეს უკვე ომი
იყო.

თავგზაბნეული ჯარისკაცები, ყა-
ზარმებიდან, ცეცხლმოკიდებული სახ-
ლებიდან, საცვლების ამარა რომ გა-
მორბოდნენ, აზრზე ვერ მოსულიყვნენ,
ვერ ვაეგოთ, რა ხდებოდა და შიშნა-
რევი ხმით ერთმანეთს ეკითხებოდნენ,
რა ამბავიაო. არავის შეეძლო პასუხის
გაცემა.

შეიქნა ერთი არეულობა და ალია-
ქოთი.

ყაზარმის ეზოში ამხედრებული მა-
იორი გამოჩნდა, დეზებზე შემდგარი
ყვიროდა:

— ამხანაგებო, მტერი თავს და-
გვესხა, იარაღი აისხით, ქვემეხებში
ცხენები შეაბით!

მთელი პოლკი ფეხზე დადგა. ვინ
საარტილერიო პარკში ვარბოდა, ვინ—
თავლაში.

უფროსი ლეიტენანტი გერასიმენ-
კო, ყაზბეგას რომ შუა ეზოში დაათა-
მაშებდა, ქვემეხის მეთაურებს ვანკარ-
გულელებს აძლევდა, ჯარისკაცებს აჩ-
ქარებდა.

გაქაფულ ყაზბეგას ყურები დაე-
ცქვიტა, ლაგამს ლეჭლა, პირიდან ქაფი
ჩამოსდიოდა. თავმოღერებული, გვერ-
დულად იხედებოდა. ბრიალა თვალებ-
ში ძრწოლა, შეშფოთება გამოუ-
კრთოდა. ეტყობა ყოვლისშემძლე, უტ-

ყურა ბირუტყვეული გუმანიტ ხვდებოდა თავს დატყნულ უბედურებას.

კვლავ გამოჩნდნენ წერტილების გუნდით დამწკრივებული შავსვასტიკიანი თვითმფრინავები, ბირდაპირ ჩვენსკენ რომ მოფრინავდნენ.

ცაში აიჭრა ათიოდე ჩვენი გამანადგურებელი. ბომბდამშენების გამოცილებული მესერაშიტიები, ვით აშვეებული ძაღლები ღმუილით მათვე გაეჭუნენ. უცებ ერთ ჩვენს გამანადგურებელს ჯერ შავი კვალი, ხოლო მერე ცეცხლის მზარდი ალი გამოება, დაყირავდა და ქალაქის იქით ტყეში ჩამოვარდა. მალე ჩვენს მერე თვითმფრინავსაც გაუჩნდა ცეცხლი, მერე მესამესაც, მეოთხესაც... ერთ-ერთ მათგანს პატარა შავი წერტილი მოსწყდა, რაც მცირე ხნის შემდეგ თეთრ პარაშუტად იქცა, ზედ დაკიდებული ადამიანით.

მტრის გამანადგურებელმა გეზი პარაშუტისტი საკენ აიღო, გვერდით ჩაუქროლა და მფრინავს ტყვიამფრქვევიდან ცეცხლი დაუშინა. მესერაშიტიები, თითქოს ცის ბატონ-პატრონი არიანო, სწრაფად მიმოქროდნენ, ჩვენს თვითმფრინავებს ხან წინიდან უყვლებდნენ, ხან კუღში მოექცეოდნენ და ტყვიამფრქვევიდან ესროდნენ.

კიდევ ორმა მფრინავმა მოასწრო კვამლში გახვეულ თვითმფრინავიდან გადმოხტომა. მესერაშიტიები მათაც ძერებივით ეძგერნენ და ტყვიით დაცხრილეს.

როგორც იყო, ხმა ამოიღეს ჩვენმა საზენიტო ქვემეხებმა. ყუმბარები ბომბდამშენის შორიახლო სკდებოდნენ, მაგრამ ვერც ერთს ვერ მოახვედრეს.

მტრის ბომბდამშენებმა კამარა შეჰკრეს, ველური ღმუილით ძირს გამოეჩანენ და უთვალავი მწვიანა ბომბი ჩამოყარეს აეროდრომისა და რკინიგზის სადგურის მიდამოებში.

გუგუნებდა ცა, ზანზარებდა მიწა. ამოწვერილ მზეს სწყდებოდა ცეცხლის ენები. ერთბაშად ავარდნილი მტრის კორიანტელი და შავი კვალი არემა-

რეს გადაეფარა. ჰაერში თოფისწამლის, ტრუსასა და დამწვარი რკინის სუნი დატრიალდა.

თუნკერები მცელავი ფრენით არემარეს ცეცხლს უშენდნენ. ცის ტატნობზე კი გამარჯვებული მესერაშიტიები ღმუოდნენ.

დაოთხილი ცხენები, მესაზიდრები, ცხენებს გამეტებით მათრახს რომ ურტყამდნენ, ისე სწრაფად მიაქროლებდნენ ქვემეხებს, მართო სირბილზე გადასულ ჯარისკაცებს კი არა, გზაზე ავარდნილი მტრის კორიანტელსაც უჭირდა მათი წამოწევა.

შემდეგმა მიბრძანა, თავლაში გაიქეცი და მესაზიდრე პეტროვს დაეხმარეო.

ეზოში ჩვენი ბატარეის ორი საბარგული იდგა. ერთ მათგანთან პეტროვი ტრიალებდა, ცხენებს კაზმავდა.

მალე შემდეგიც მოვიდა, თეთრ ფაშატს მოახტა და გვიბრძანა, — საბარგულეებზე დაემსხდარიყავით და უკან გავყოლოდით.

ჩერნახი ოთხით მიაჭენებდა ფაშატს.

არც მესაზიდრეები ზოგავდნენ ცხენებს, მათრახს უტყალაშუნებდნენ.

— სად მივიჩქართო? — შევეკითხე პეტროვს.

— საწყობში, ტყვია-წამლის მისაღებად!

— მერე ცხენები ხომ არ უნდა ამოვსოცოთ?!

— შე კაი კაცო, ცხენებს ჩივი?! თურმე მტერი სწრაფად მოიწევს წინ რით ვერ გაიგე, ომია!

საბრძოლო მასალების საწყობთან აღალის ტევა არ იყო...

ჩერნახმა ცხენი მე ჩამაბარა და საწყობში შევიდა.

ფაშატს თასმები მოეუშვი, ტილოს ნაკრით ზურგსა და კისერზე ოფლი შევუშურალე და გზაზე გავასვირნე.

საწყობიდან ჩერნახის ხმამალალი

ვანო ურჯუშვალაშვილი
მოხარვი ძველად ერთი

ლაპარაკი ისმოდა, ასი ჭურვი საკმარისი არაა, ორასი უნდა მოგვცეთო.

— რაც არ არი, რა მოგვცეთ? მოვიტანთ და რამდენიც გინდა, იმდენი წაიღეთ! — ეუბნებოდა საწყობის გამგე.

— მერე რაღას ელოდებით, რატომ არ მოგაქვთ?!

— ბენზინი არა გვაქვს, მანქანებს ვერ ვაგზავნიო...

— თქვე კაი ხალხო, ორი ვედრო ბენზინი ვეღარ მოიმარაგეთ?

— ამხანაგო ზემდეგო, ახლა იოლია განსჯა! კარგი და, თქვენ რატომღა არ მოიმარაგეთ საბრძოლო მასალები?!

— იმიტომ, რომ შენნაირი უფროსები გვყავს. ფუ, ეს საქმეა?! — არ დამინახავს, მაგრამ მივხვდი, რომ გაცეცხლებულმა ჩერნიხმა ვადაფურთხა და გარეთ გამოვარდა, პირველ მესაზიდრეს დაუყვირა, საბარგული მოაყენეო, მე კი მიბრძანა, ცხენი პეტროვისათვის დამეტოვებია და ამხანაგებს საბრძოლო მასალების დადებაში მივხმარებოდა.

საბარგული რომ დავტვირთეთ, ჩერნიხმა მე და პეტროვი ვაგვაფრთხილა, თქვენ აქ დარჩებით, საბრძოლო მასალებს მიიღებთ და მერე შუალაისკენ გამოემართებითო. ოღონდ სწრაფად იარეთო. მერე ცხენს მოახტა, მერე მესაზიდრეს ხელით ანიშნა, მომყევით, და გზაზე გაიჭრა, საბარგული რახრახით უკან გაჰყვა.

პეტროვი ფურაჟის საწყობში წავიდა, იქნებ ცოტა თივა მომცენო. უცებ უფირილი ატყდა: ჰაერი, ჰაერიო, დაფეთებული წამოგვარდი და საბარგული ხეებს შევაფარე. ამასობაში პეტროვიც გამოჩნდა.

— თვითმფრინვებმა თავზე გადაგვიჭროლეს და ჩვენგან ხუთიოდე კილომეტრის დაშორებით რაღაც ობიექტი დაბომბეს.

საწყობში პოლკის ნასურსათო მომარაგების სამსახურის უფროსი მოვიდა. წოდებით კაპიტანი, მალალი, წარმოსადგევი, ოცდაათი წლის კაცი. თურმე ის იყო ნაწილში დაბრუნდა შეგებუ-

ლებიდან. კაპიტანი საწყობის გამგესთან დახვდა, რას ჰგავს ეს, რა პირდაპირი სხედნართო.

მერე მძლოლებსაც შეუტია, უქნარები ხართ, ერთი ვედრო ბენზინი ვერ უნდა იშოვოთო?!

მძლოლები სიტყვას არ უბრუნებდნენ, გაკვირვებით მხრებს იჩენდნენ, ვითომ რა ჩვენი ბრალია, მოგვეცით საწვავი და თუგინდ ცხრამთას იქით წავალთო.

როდის, როდის მოგრუნუნდა ბენზინით სავსე „ციტერნი“. მძლოლებმა მაშინვე ჩაასხეს მანქანებში საწვავი.

ერთი მანქანა უმაღლესად აშავდა. მეორე კი ვერა და ვერ დაქოქეს.

კაპიტანი მძლოს უყვიროდა, ცხვირწინ მუშტს უქნევდა, რატომ ძრავი წესრიგში არ გაქვს, დახვრეტის ღირსი ხარო.

მძლოლი ძრავას ჩაჰკირკიტებდა, კოლეგაც ეხმარებოდა. სანთლები ვასინჯეს, ელექტროთვანაილობა შეამოწმეს და, როგორც იყო, ძრავა ჩართეს.

კაპიტანმა მესაზიდრეები საბარგულთან დატოვა, დამხმარე ჯარისკაცებს კი გვიბრძანა, მანქანაში ჩასხედითო. სიტყვის შეუბრუნებლად შევასრულეთ ბრძანება, მაგრამ ჩემი არ იყო, ეტყობა სხვებსაც გული ეთანადრებოდათ, ჩვენ სხვა საქმე გვავალა და სად მივყევართო. ერთმა ჯარისკაცმა ეს წაილაპარაკა კიდევ, მაგრამ კაპიტანმა ისეთი შეჰყვირა, შეასრულეთ ბრძანებაო, რომ აშკარა იყო ურჩობა უაზრობა იქნებოდა.

კაპიტანი პირველი მანქანის მძლოს გვერდით დაჯდა. მე კი სხვებს დავასწარი და მეორე მანქანის კაბინაში გამაგვიბიძგე.

სანამ ტყეში გამავალი ვიწრო გზით მივდიოდით, თითო-ოროლა მანქანა და საბარგული გვეცდებოდა. შარავნაზე კი ალაღის, ქვემეხების, ტანკების ტევა არ იყო.

ტრანსპორტის მიმოსვლას არავინ არეგულირებდა, ხიდებთან, გზაჯვარე-

დინებზე მანქანები, საბარგულები იქედებოდა და მალევე ვერადებოდა.

როგორც იყო მივალწიეთ არსენალს. აქაც ერთი ალიაქოთი იღვა.

კაპიტანი არსენალის უფროსს შეეკამათა, ომია ამხანაგო მაიორო, რა საჭიროა ქალღღებობის ბოჯანა, უწყისების შედგენა, უმჯობესია დროზე გავვისტუმროთო. მოკლედ, იმდენი იყოჩაღა, სხვებზე აღრე მიუყენა საწყობს მანქანები, თვითონაც წამოგვეშველა და რაღაც ოციოდე წუთში ყუთებით გავაგესთ.

პოლკის საბრძოლო მასალების საწყობში მისვლისთანავე ყუთები პირდაპირ მანქანებიდან გადაგვტვირთეთ საბარგულებზე.

კაპიტანი ერთ წუთს არ გვციოდებოდა, გვაჩქარებდა, ყოჩაღად, ბრძოლაში გადამწყვეტი ტყვია-წამალა, უჭურვებოდ ქვემეხი იგივე ძირგაყარნილი სამოვარიაო.

დატვირთვას რომ მოვრჩით, კაპიტანს შევიჩველეთ, დღეს პირში ლუკმა არ ჩავვივლიათ.

კაპიტანმა ორი ჯარისკაცი გაიყოლა. ვეცდები, იქნებ სურსათის საწყობიდან პური მაინც მოვაცემინო.

ჯარისკაცები მალე დაბრუნდნენ და ათი გორგოლა პური მოიტანეს.

მე და პეტროვს ერთი პური გვერგო. ორივე საბარგულზე დავსხედით და ცხენები დავძარიტ. პური შუაზე გავიყავით. პეტროვმა ნახევარი შეჭამა, ნახევარი კი ჩანთაში შეინახა, მე კი მთლიანად გადავსანსლე.

— ცხენებს ვერ დავემღურებით, ხალისიანად იწევენ! — ამბობდა პეტროვი და მათრახს ჰაერში ატყალაშუნებდა.

მართლაც ორივე ღონიერი, დაუზარელი ცხენი იყო. დაღმართში დინჯად ეშვებოდნენ, ოციოდე ნაბიჯი რომ დარჩებოდათ ჩასათავებელი, ოთხზე გადადიოდნენ და აღმართში სულმოუთქმელად აიჭრებოდნენ ხოლმე.

პანიევეისთან ტანკების კოლონა წამოგვეწია. ცხენები რომ არ და-

გვერთხოზობოდა, პეტროვმა მყურდობადილი გამონახა და საბარგული გზიდან გადაიყვანა.

გადავწყვიტეთ მცირეხანს გავჩერებულყოყავით.

ცხენებმა ცოტა რომ შეისვენეს, წყალი დავალევიინეთ და თივა დავუყარეთ.

პეტროვმა პურის ნაჭერი ამოიღო, გატეხა და ნახევარი მე გამომიწოდა, ბარემ ჩვენც ვივანშმოთო.

პურს არ ვართმევდი, მაგრამ ხელში ძალით მომაჩნჩა, ნუ გერიდებო, აიღე, მალე ნაწილს დავეწევით, მთელი დღის ულუფას მივიღებთ და გემოზე დავნაყარდებთო.

ჩვენს ორგვლივ ფართო ველები გადაშლილიყო. აქ-აქ მოჩანდა განცალკევებით დაკუნტული სახლები. გზის ორივე მხარეს ატეხილი ქალები ზურგის ნაწილებით იყო სავსე.

მზე ერთბაშად დაქანდა ჰორიზონტზე. ისეთი მეწამული დაისი იყო, მეც და პეტროვიც დაბეჯითებით ვამბობდით, ნამდვილად ტყის იქით არეშარეს ცეცხლი უკიდაათ.

შელამდა. ჰორიზონტი უფრო აელვარდა, სისხლის ზღვას დაემსგავსა.

შეუმჩნევლად პატარა სოფელს მივადექით. სულ რაღაც ხუთი სახლი იდგა ერთმანეთისაგან ასიოდე ნაბიჯით დაცილებული. სახლებთან მეომრები ტრიალებდნენ, მოზინადრეები კი არ ჩანდნენ.

ვიღას არ შეგვეკითხეთ, ეს და ეს პოლკი ხომ არ იცით სად იმყოფებო. ჩვენიანების ადგილსამყოფელს ვინ ჩივის, საერთოდ არავინ არაფერი იცოდა.

ბოლოს ერთმა ჯარისკაცმა გვითხრა, აგერ, იმ საბძელში დაჭრილები წვანან, შეიარეთ, იქნებ ვინმეა თქვენს პოლკიდანო.

კამეჩის ენასავით გრძელსა და ვიწრო საბძელში ერთადერთი ლამფა

ვანო შრკუშიალაშვილი
მოხარვი ძმუნად მრთია

ბეუტავდა. ორივე მხარეს კედლის ვა-
ყოლებით ორმოცამდე მიმედ დაჭრი-
ლი მეომარი იწვა.

მსუბუქად დაჭრილნი ლამფასთან
შექუჩებულიყვნენ. იმათაც არაფერი
იცოდნენ. ერთმა მითხრა, თქვენთანებს
ვერ მიავნებ, ჩვენი ნაწილები ერთმა-
ნეთში აჯახსანდალივით აირივნენ,
ტყეებში გაიფანტნენო.

მეორემ დაუმატა, გერმანელებმა
ყველანი გაუღიტეს, მუხლუხებით და-
სრისეს. კალიასავით მოდიან ტანკეზო.

ანაზღად კუთხეში მოწოლილი და-
ჭრილი წამოფარდა, შეშლილივით რომ
აბრიალებდა თვალებს, და დაიბდავლა:

— ტანკეზიო!

საბძელში ერთი ალიაქოთი ატყდა,
მიმედ დაჭრილნი, ფეხზე ადგომას რომ
ვერ ახერხებდნენ, ყვიროდნენ, ტანკე-
ზი, გვიხსენით, დაგვეხმარეთო. რამ-
დენიმე დაჭრილი გარეთაც გავარდა
ყვირილით, ტანკეზი, თავს უშველეთო.

საბძელში ვიღაც ოფიცერი შემოვი-
და. დაჭრილებმა შეჰყვირეს, ექიმო,
გვიშველე სოფელს ტანკეზი მოადგენ-
ნო.

ექიმმა ისინი დაამშვიდა, ნუ გეში-
ნიათ, ჩვენმა ნაწილებმა მტერი მოიგე-
რიაო.

დაჭრილები კაპიტანს ეჭვის თვა-
ლით უმზერდნენ. ერთმა ესეც კი შებე-
და, სჯობია სიმართლე გვითხრაო, რა
საჭიროა მოტყუებაო. მეორე დაჭრილი
კი აყვირა, დროზე გავავაზავნეთ ლა-
შარეთში, გერმანელთა ტანკეზს კიდე-
ვაც რომ გადავურჩეთ, დილამდე ჩვე-
ნით ამოგვხდება სულიო.

ექიმმა მითხრა, თქვენმა პოლკმა ამ
საღამოთი გაიარა სოფელში. ის კი არ
ვიცი, სად დაიკავა საბრძოლო პოზი-
ციოა.

რაღ სიმართლეა, სიმართლეა, სა-
ბძელში ნახულმა და ვაგონილმა შე-
მაძრწუნა. ეტყობა სულ ახლო არიან
მტრის ტანკეზი და ალბათ დილაზე
თავს დაგვესმიან-მეთქი. ამ შიშს ისიც
მიმწვავებდა, რომ ჩვენგან არც ისე
შორს, ქვემეხები კანტი-კუნტად ის-

როდნენ და ჰაერში მჭროლავი ჭურჭ-
ლის მზარავი წივილი სოფლამდე აღ-
წევდა.

პეტროვიც შეფიქრიანებული დამ-
ხვდა, თურმე დაჭრილებს ისიც შეუშინ-
ნებიათ, სანამ ღამეა გაასწარიო, თო-
რემ დილაზე თქვენი ბურტყლი აღარ
იქნებაო.

ამას ისიც დაერთო, რომ სოფლის
განაპირას რამდენიმე ჭურვი აფეთქდა.
უცებ ავარდნილმა ცეცხლის ალმა არე-
მარე გაანათა. რამდენიმე ყუმბარამ გა-
გვიშხულია და ჩვენს შორიასლო დაე-
ნარცხა. მიწას გაეკარით. ფოლადის
ნამსხვრევებმა გაიზუილეს, თავზე გო-
როხები ვადმოგვეყარა.

დაფეთებული ცხენები გზაზე გაი-
ჭრნენ. ჯერ საბარგულის უკანა თვალი
ხეს წამოედო, მერე მარჯვენა მხარის
ორივე თვალი რუში ჩავარდა.

პეტროვიც საბარგულს წამოეწია და
ზედ შეხტა, კოფოზე გამობმულ სადა-
ვეებს დაებლაუჭა და ცხენები ძლივს
შეაკავა.

აღარ ვიცოდით, რა გზას დავდგო-
მოდით. მე რომ ერთს ვიტყოდი, პეტ-
როვიც მეორეს გაიძახოდა. ბევრი ვი-
მსჯელებო, ბევრი ვიდავეთ, და ბოლოს,
რაკი ორივეს გვინდოდა, გადავწყვი-
ტეთ ამ საშინელ ადგილს ვავცლოდით,
უფრო სწორად უკან ვავბრუნებულო-
ყავით. ამის აუცილებლობას იმითაც
ვასაბუთებდით, რომ ვითომ, თუ ცხე-
ნებს მყუდრო ადგილს არ გამოვუნა-
ხავდით, ხეირიანად ვერც ვაჭმევდით,
ვერც დავასვენებდით.

ის იყო საბარგული დაძვარით, რომ
სოფელში დასავლეთის მხრიდან ადალი
შემოირიხინდა.

პეტროვიცმა ცხენები შეაჩერა, ვნა-
ხით, რა ხალხია, იქნებ ჩვენი პოლკი-
დანაც არიანო.

უცებ ვიღაც მხედარმა ცხენი ჩვენს
საბარგულთან მოავდო. ეს ზემდეგი
ჩერჩინი იყო.

— ყოჩაღ, ბიჭებო, მარჯვედ გივ-
ლიათ! — შეგვაქო ზემდეგმა და მა-

შინვე დაუმატა — კი, მაგრამ, საით ამგზავრებულხართ?!

— მყუდრო ადგილს ვეძებთ, გვინდა ცხენებს წყალი დავაღვივინოთ, ვაჭამოთ, დავასვენოთ! — მიუვო პეტროვმა.

— ამას კი ვერ მოგიწონებთ, ახლავე მიაბრუნეთ საბარგული!

— ცხენებს არაქათი გამოეცალათ, დილას აქეთი არაფერი გვიჭმევია!

— ქერს მოგცემთ, აჭამეთ, და უმალ გზას გაუღდექით! ათ-თორმეტ კილომეტრზე ტყე შემოგხვდებათ! ტყერს რომ გააღწევთ, ორასიოდე ნაბიჯზე პატარა ეკლესიასთან მარცხნივ გაუხვევთ და მესამე ბატარეის პოზიციას წაადგებით, ცოტა იქით კი ჩვენი ქვემეხებია.

ჩერნიხის განკარგულებით ბოლო საბარგულის მესაზიდრემ ერთი ვედრო ქერი და ორი ილია თივა მოგვცა.

აღლმა რომ გზა განაგრძო, საბარგული სახლს მოეფარეთ, რადგან სოფლის მიდამოებში კანტი-კუნტად ჭურვები სკდებოდნენ.

ცხენებს ლავმები წვაძარეთ, წყალი დავაღვივინეთ, ქერი ვაჭამეთ და ცოტა თივაც დაუყარეთ. ისე გემრიელად ახრამუნებდნენ საჭმელს, რომ ისედაც აშლილი მადა გამიღიზიანდა, ეტყობა ეს გრძნობა პეტროვსაც დაეუფლა, დანებებით რომ წაილაპარაკა:

— ეჰ, ჩვენც არ გვაწყენდა თითო ქვაბურა კარტოფილის პიურე!

— საწყალი კაცი ხომ ღმერთს ნატვრაშიც არ უქნია! ბარემ ირმის მწვადები მოისურვე, პიურე რა სანატრელია?!

— ოღონდ ნადი იყოს და წყალ-წყალა ბარდას წვნიანზეც უარს არ ვიტყვადი.

მაღე ისევ გზას გაუუღდექით. მთვარიანი ღამე იყო. ცის კაბადონზე უძრავად იდგნენ ქათქათა ღრუბლის სიფრიფანა ფთილები. მათი ჩრდილები კი ვერცხლის ქამარივით მზზინავ გზაზე შეე ტალღებდალ მოირწყოდნენ.

ქვემეხები დღმდნენ. ტყის იქით მალი-მალ ცაში შეშხუნები იჭრებოდნენ

და მამლის ბიბილოსავით ვალურჯებულ ჰორიზონტს უფრო შემზარავს ხდიდნენ.

მე და პეტროვს ვერაფრით აგვეხსნა, თუ რატომ ისროდნენ შეშხუნებს. ჯერ გვეგონა, ეს შეტყვის დაწყებას მოასწავებდა, მაგრამ რაკილა ვარაუდი არ ვაგვიმართლდა, მერე დავასკვენით, ვერმანულები ვითომ იოლი გამარჯვების აღსანიშნავ გამართულ ღრეობას საზეიმო ელფერს აძლევდნენ.

განა ვტყუოდით?! გამოუტყდელნი ვიყავით, ჯერ თოფის წამალი ხეირიანად არ გვეყნოსა?!

თავდაბრილი ცხენები მძიმედ მიაბიჯებდნენ, ქშინავდნენ, ფრუტუნებდნენ. ზურგზე გადაჭერილ ღვედებთან ოფლი თეთრ ხაზებად დააჩნდათ.

პეტროვს ერთხელაც არ გადაუკრავს მათრახი, ამბობდა, ცხენები ცდილობენ და არ მინდა გავანაწყენინო. ხომ ძნელია. როცა საქმეს ხალისით, სიყვარულით აკეთებ, ვილაც უმაღური კი არ გიფასებს, გიციუნებს, გაკილვით გულს გიკლავსო...

ცხენები კი ძალას არ იშურებდნენ, მოწადინებელი მიაბიჯებდნენ, მაგრამ გზას ბოლო არ უჩანდა!

პეტროვს ისიც კი შეეჩივლე, ეს ოხერი, წინ მივდივართ, თუ უკან, მოახლოვების მაგივრად ტყე სულ უფრო გვიცილებდა-მეთქი.

თვალი ღამით მატყუარაა, აი ნახავ, რა ერთბაშად მივადგებით ტყესო, მაიმედებდა პეტროვი.

გზა ოღორიოღრო იყო. საბარგული ჯანჯღარებდა, ღერძები გულისწამდებდალ ჭრილებდნენ, თვლები რახრახებდნენ.

და უტებ... რაკი ვთვლემდი, მანძილი შეუმჩნევლად გაილია, და ჩვენს წინ ტყე აღიმართა.

ცხენები წახალისდნენ, ნაბიჯს აუ-

ვანო ურჯუმილაშვილი
მოსკოვი მკვყნავ მართი

ჩქარეს. საწყლები! ალბათ, ეგონათ, ახლა მაინც დაგვასვენებენო.

შორიდან ჩანდა ჩაბნელებული, პირქუში, თორემ შიგ რომ შევედით ტყე იყო ნათელი, შუქადი, მაგრამ მაინც მზარავი, შიშის აღმძვრელი. მღუმარედ შემოგვეკეროდნენ მალალი ფიჭვები, ტოტებით რომ ერთმანეთს ეკვროდნენ და, თითქოს რაღაცას ჩურჩულებდნენ.

გზისპირას აყრილ ბუჩქებს ადამიანებს ვამსგავსებდი. ისე მეჩვენებოდა, ხეებს ვილაყეები ეფარებოდნენ.

შუალამე გადასული იყო, გზიდან მარჯვნივ რომ ვადავუხვიეთ და პატარა მდინარის პირას შევჩერდით. ცხენებს სადავეები წავყარეთ, წყალი დავაღვინეთ და თივა დავუყარეთ.

ჩვენ კი ბუჩქის ძირას მივწეკით.

ალბათ, საათნახევარიც არ მეძინა, მაგრამ ისე კარგად გამოვიძინე, თითქოს მთელი ღამე ბუმბულის ლოგინში მენებებოდა.

პეტროვი უკვე ზეზე იყო, ცხენებს საბარგულში აბამდა. გზას რომ ვავუღეკით, მესაზიღრე აღიღინდა. ალბათ ფიქრადაც არ მოსვლია, ჩემი გამხნევება. შესაძლოა ვერც ამჩნევდა, რომ მღეროდა. მე კი მისი სიმღერა მამხნევებდა, მანუგვემბდა, ძალას მმატებდა.

— ეპ, რა ყოფილა ცხოვრება! — ამოიოხრა პეტროვმა და მცირეხნის მერე დაუმატა — გუშინ ამ დროს მშვიდად გვეძინა. დღეს კი ეს სადა ფართ. ვინ იცის, იქნებ უარესსაც გვიშალებს ბედი!

— მაშ, მაშ! თავი სიზმარში მგონია! ისეთი წარმოდგენა მაქვს, გათენდება და ქვეყნად ისევე სიმშვიდე დამყარდება, — მივუგე მე.

— ერიპა, ნეტავი თუ მოვესწრებით ამა! რახან ომი დაიწყო, უცებ არ დამთავრდება. ღამით არ ჩუმდებიან ქვემეხები და, ალბათ, დილაზე ისეთ სროლას ასტეხენ, ქვას ქვაზე დააღულებენ!

— რა იცი, შესაძლოა რაიმე გაუგებრობას აქვს ადგილი! იქნებ კონ-

ფლიქტში მეზობელი ქვეყნები ჩაერივნენ და დაგვაზავონ.

— ღმერთმა ქნას! სამი წელია ჯარში ვარ. მეგონა სამაისოდ შინ წავიდოდი! საცოლეს წერილიც მივწერე, მოვდივარ-მეთქი, მაგრამ სამსახური გავეინახვრდივეს! ჯანდაბას ვფიქრობდი, ორ-სამ თვეს კიდევ ვიმსახურებ. მერე კი დაგბრუნდები შინ, კოლმეურნეობაში ვიმუშავებ. ცოლს შევირთავ-მეთქი. ესეც შენი ქორწილი, ესეც შენი ოჯახური სიტკბოება!

ამ საუბარში ვერც კი შევნიშნეთ თავზე როგორ დაგვათენდა... მალე დასავლეთით თვითმფრინავების შორეული გუგუნის გაისმა. რაღაც ათიოდე წუთში სამ-სამად დამწკრივებულმა მძიმე ბომბდამშენებმა თავზე ვადაგვიქროლეს და აღმოსავლეთით მიიმალნენ.

ჯერ ჭურვებმა გაიზუილეს, მერე დასავლეთით გაბმული გრიალი გაისმა. ჩვენს შორიხლო ცეცხლის ბორცვები აღიმართა, მიწა შეზანზარდა, აფეთქებათა გრიალმა ყურთასმენა წაიღო.

ფეხზე ამდგარი პეტროვი ცხენებს დასწყვიოდა, ვამეტებით მათრახს ურტყამდა, თუმცა ეს ზედმეტი იყო, რადგან ისინი ისედაც დაოთხილი გარბოდნენ.

ჩვენგან კილომეტრ ნახევრის დაცილებით ტყის პირას ქვემეხები გრილებდნენ. პეტროვმა ცხენები იქეთ შეაბრუნა, ეს ნამდვილად ჩვენი ბატარეიაო.

ირვლივ ჭურვები სკდებოდა. ცხენები აქეთ-იქით გარბოდნენ. ანაზლად წინა თვალი ორმოში ჩავარდა. საბარგული დაყირავდა, კინალამ ამოვტრივალდით.

კვლავ გამოჩნდნენ სესტიკიანი ბომბდამშენები. საზენიტო ქვემეხები ალაპარაკდნენ. თვითმფრინავების შორიხლო ჭურვები სკდებოდნენ, მაგრამ ისინი ნირშეუცვლელად განაგრძობდნენ ფრენას... ბოლოს ბომბდამშენები ერთიგად ჩამწკრივდნენ... ჯერ პირველი

თვითმფრინავი დაყირავდა, მას მეორე, მესამე და დანარჩენები მიჰყვნენ... ისიც კი დავინახე, როგორ სწყდებოდა მათ პატარა შავი წერტილები, წივილით რომ მოექანებოდნენ დაბლა, და სულ უფრო იზრდებოდნენ.

ჩვენს შორიანლო ისეთი შემზარავი გრილი ვაისმა, მგონი მიწამაც ამოიხვნიშა ამ საშინელი აფეთქებისაგან. კიდევე კარგი, კოფის ჩაგებლაუჭე.

პეტროვიმა კი, ისე მომეჩვენა, იმარჯვა და ძირს გადახტა.

ერთმა ცხენმა წინა ფეხებით წაიფორხილა, ცხვირი მიწას წაჰკრა, რამდენიმე ნაბიჯი კიდევე გაიბრინა, მაგრამ ერთბაშად მუხლები ჩაეკეცა და გვერდით ძირს დაეცა.

საბარგულიდან გადავხტი და მიწას გავეკარი, რალაც ყრუ შემზარავ წივილის მეტი აღარაფერი მესმოდა. „ნეტავი ეს რაღაა?!“ — ვეკითხებოდი ჩემს თავს და მერეღა მივხვდი, რომ ყურები მიწიოდა.

კვამლი რომ გაიფანტა, მეორე ცხენიც დავინახე, დაწყვეტილი თასმები ფეხებში ჩასთრევედა და ტყისკენ დატრუსული გარბოდა.

პეტროვი ჩემგან ოციოდე ნაბიჯზე ბირტვე იწვა. თვალს არ ვაცილებდი, ის კი, რატომღაც ჩემსკენ არ იხედებოდა...

უცებ ძერასავით წამოსული თვითმფრინავი დავინახე. თვალი შევასწარი მის ცხვირიდან გადმოფრქვეულ მანათობელ ტყვიების მრავალწერტილს. ისე მოვიკუნტე, კაკლის ნაჭუჭში ჩავეტევი. ტყვიების ჯერმა ჩემს წინ უთვალავი პატარა ორმო ამოთხარა და მიწა სახეში შემომმაყარა. ბომბდამშენმა კამარა შეჰკრა და ისევ ჩვენსკენ გამოექანა. მის ზემო ბაქნიდან ქვემეხის ტუჩმა ზედიზედ გამოანათა. რამდენიმე ყუმბარა ჩვენს შორიანლო დაეცა. იმის შიშით, ვაითუ, საბარგულს ცეცხლი გაუჩნდეს და ჰურვები აფეთქდეს-მეთქი, მიწას ვეკვროდი, თავს მაღლა არ ვწევდი. თვითმფრინავები გაფრინდნენ, მაგრამ ქვემეხები ისევ გრუხუნებდნენ. ირგვლივ ჰურვები სკდებოდა.

არემარეს კვამლი დასწოლოდა. თითქოს ხანძარი გასჩენიაო, ტყე ბოლოვდა, ალაგ-ალაგ ცეცხლის ენებს ამოყვით თავი.

მიკვირდა, ნეტავი, პეტროვი მიწას რაღას ეკვრის, ჩვეული სიმარჯვით რატომ არ წამოხტება და ცხენებს არ მიხედავს-მეთქი. გავძახე კიდეც, რაღასა წევხარ, საშიში აღარაფერია, თვითმფრინავები თვალს მიეფარნენ-მეთქი, მაგრამ იგი უძრავად იწვა, კრინტს არ სძრავდა.

„ნეტავი რა დავმართა!“ — გავიფიქრე და მისკენ გავიქეცი.

ოციოდე ნაბიჯი რომ გავიბრინე, თეთრ გვირილებში გაგორებული პეტროვის თავი დავინახე.

ადგილზე გავქვავდი, თვალსთვის ვერ დამეჯერა, პეტროვი ხომ იქ წევს და იმის თავს აქ რა უნდა-მეთქი. ისე მომეჩვენა, თითქოს მისმა ღიად დარჩენილმა თვალებმა მორჩილად შემომხედეს. მერე ზევით ატრიალდნენ და სიცოცხლის ნიშანწყალი წაერთვათ.

გასისხლიანებული თავი ფრთხილად ავიღე და ტანთან მივიტანე.

ბავშვობაში და მერეც, მკვდრის დანახვა შიშის ზარს მცემდა. ახლა კი, ამ გრძნობის ნატამალიც არ იყო ჩემში. რატომღაც პეტროვი ისევ ცოცხალი მეგონა.

ამის მერე ბევრი რამ კარგად აღარ მახსოვს, ბავშვით გულამომკდარი ვქვითინებდი. ლოყაზე დაბა-ლუბით ჩამონადენ ცრემლებს ვცლაბავდი. პირველად მაშინ ვიკვამე ცრემლის სიმლაშე. გონება მერეოდა, ვერ მივმხვდარიყავი, რა მექნა, რა გზას დავდგომოდი.

ბოლოს ანგარიშმიუცემლად საბარგულისკენ გავიქეცი.

ფეხებგაფშეკილ ცხენს გაგლეჯილი ფერდიდან ნაწლავები გადმოსცვენოდა, გალურჯებული ენა გადმოეგდო, კბილები დაეკრიჭა და ქვედა ყბა აქაფებულ სისხლით შეღებოდა. შუაზე გა-

ანანო ურჯუშაშვილი
მოსაოცი ათწიწად მათი

დატეხილი ხელნა გვერდზე ეგდო. ორივე წინა თვალს გორგალაჰი დამსხვრეოდა. საბარგულიდან გადმოცვენილი ჭურვები ძირს ეყარა.

რატომღაც ისევ პეტროვის ცხედართან დაებრუნდი.

თვალეები თეთრ კენჭებად ქცეოდა. სახე დამანჭოდა, ვალურჯებული ტუჩები კბილეზე გაჰკროდა.

მთელი სიმწვავეთ მაშინ ვიგრძენი, თუ რა მსახვრალი, უღმობელი ყოფილა სიკვდილი! მერე რა უცებ სპობს, არარაობად აქცევს ადამიანს და აცილებს ამ ქვეყნიერებას!

„მშვიდობით, ძმაო!“ — ცრემლის წმენდით გამოვემშვიდობე პეტროვს და იქით გავვშურე, სითაც მეორე ცენი მეგულეობდა. საცოდავი პირუტყვი! ტყისპირას ბუჩქებში იწვა, აჩქარებით ქმინავდა, ბორგავდა, კისერს სჭიშკავდა. ჩემი ფეხის ხმა რომ გაიგონა, წამოიწია, მაგრამ წამოდგომა ვერ შესძლო და თავი ისევ მიწაზე გადაუვარდა. ხორცგამოვლევილი მკერდიდან სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა. დანისლულ თვალეებით შემომცქეროდა, თითქოს დახმარებას მთხოვდა. გულით მეწადა, ჭრილობა შემეხვია, ტკივილები შემემსუბუქებია, მაგრამ, ვაგლახ, რომ მე ეს არ შემეძლო.

ანაზღად ტყისკენ მიმავალ ჯარისკაცებს შევასწარი თვალი. ერთმა მათგანმა, ამხანაგებს წინ რომ მიუძღოდა, დამიყვირა, რაღას დასცქერი, ხომ ხედავ რომ სულს დაფავს, ტყვია დაახალე და პირუტყვს ტანჯვა შეუძსუბუქეო.

რას ამბობ, ამის ცოდვეთ ვიწვი და სიცოცხლეს როგორ მოუვსწრაფავ-მეთქი.

თუ შენ ვერ იმეტებ, აბა, მაშ მე ვესვრიო, შესძახა ჯარისკაცმა და თოფი მოიმარჯვა. ნუ ესვრი, ნუ, ვეხვეწებოდი, მაგრამ ჩემი ხმა თოფის გრიალმა ჩაახშო. ტყვიამ ცხენს შუბლი გაუზბრიტა და უმალ მოაკვდინა.

— ახლა რაღას უდგებხარ, თავს უშველე! საცაა აქ განიდებთან გერმანელ-

თა ტანკები, გაგსრესენ! — გამაფრთხილა ჯარისკაცმა და დაწინაურებულ ამხანაგებს სირბილით წამოეწია.

ამ სიტყვებმა ისე შემაძრწუნა, გადავწყვიტე ჯარისკაცებს გამოვდევენბოდი... რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი, მაგრამ იმ აზრმა გამიბრბინა, გზაში ჩერნობი რომ შემომხვდეს, რა ვუთხრა, რით ვიმართლო თავი, მოკლული ამხანაგი და საბარგული რატომ მივატოვე-მეთქი. უცხო ჯარისკაცებთან წოწილს, ქვემეხებამდე არც ისე შორსაა და სჯობია ისევ იქით გავიქცე, იქნებ მართლაც ჩვენი ბატარეა-მეთქი, და ქვემეხები-საკენ გავეშურე.

ჩემს ირგვლივ ყუმბარებს ბათქაბუთი გაუდიოდა, ჰაერში ტყვიები ზუზუნებდნენ. მალი-მალ მიწას ვეკვროდი, მერე ისევ გავრბოდი.

საცეცხლე პოზიციიდან შემნიშნეს. განაპირა ქვემეხთან მდგომი ჯარისკაცები ხელს მიქნევდნენ, მამხნევებდნენ. ვიცანი ჩვენი ბატარეის მეოთხე გუნდის მებრძოლები იყვნენ.

სიხარულით თვალეები ამიცრემლდა, ამხანაგების იმედი მომეცა, მუხლში ძალა მომემატა და სირბილს მოვუმატე.

პოზიციაზე მივიბრინე თუ არა, კაპიტანმა ერმაკოვმა დამიძახა, სად ხარ აქამდე, ჭურვები გვითავადებო.

ჩვენს თავზე დატეხილი უბედურება რომ მოვახსენე, კაპიტანმა სამი ჯარისკაცი გამომაყოლა და გვიბრძანა მეკავშირეთა ორთვალათი და მეოთხე ქვემეხის წინართი საბრძოლო მასალა წამოვგველო და პეტროვის ცხედარი საცეცხლე პოზიციაზე გადმოვგვესვენებინა.

ათიოდე წუთის შემდეგ ორთვალათი და ქვემეხების წინართი ტრიალ მინდორზე მივქროდი. ირგვლივ ფოლადის ნამსხვრევი ზუზუნებდა, ტყვია წიოდა.

საბარგულთან შეჩერებისთანავე, ჩვენს შორიასლო რამდენიმე ჭურვი ზედიზედ აფეთქდა. ქვემეხის წინარის ცხენები დაფრთხნენ, ტყისკენ გაიჭრნენ. მესაზიდრემ ძლივს შეაკავა ისინი და უკან მოაბრუნა.

ორთვალას ძარაზე საბრძოლო მასალა დავუდეთ. მერე პეტროვის ცხედარი დავასვენეთ. ბალახებში მიმოფანტული ჭურვები კი ქვემეხის წინარში შევალავეთ.

უფროსი ლეიტენანტი გერასიმენკო და მასთან ერთად სათვალთვალე პუნქტზე მყოფი მებრძოლები პოზიციაზე დაგვხვდნენ.

პეტროვის ცხედარი ტყის პირას დავასაფლავეთ.

მიწინავეზე კანტი-კუნტადლა ისმოდა ტყვიამფრქვევის სროლა.

დაჭრილები შარავით კი არა, რატომღაც მინდორ-მინდორ მოაბიჯებდნენ. მათში თითოთორთა საღისალამათი ჯარისკაციც ერია, თავს დაჭრილთა გამოცილებლად რომ ასალებდა.

ერთბაზად, თითქოს მიწიდან ამოძვრნო, გამოჩნდნენ გერმანელთა მუქნაცრისფერი ტანკები, არა, ეს ტანკები კი არა, მიწაზე გართხმული ვეებერთელა ხოქოების დრუბელი იყო.

ქვეითებთან იოლი გამარჯვებით წათამამებულ ტანკისტებს სარქველები აეხადთ და, ისე არჩენიად ათვალისწინებდნენ არე-მარეს, გეგონება ფრიდრიჰშტრასეზე აღლუმი ვაუმართავთო.

ერთბაზად ბატარეის მწერალი სანგრიდან ამოხტა და ტყისკენ გაიქცა. სანამ გერასიმენკოს ყვირილი არ გავიგონე, შესდექი შე მშინარავ, შესდექიო, ვერ მივხვდი მის სამარცხვინო საქციელს.

მოლაღატემ: უფრო მოუმატა სირბილს და ტყეში მიიმალა.

უცებ ვილაცამ ყურში წამჩურჩულა, სანამ გვიან არაა, თავს უშველეო, თან კისერში ხელი მტაცა და სანგრიდან მექაჩებოდა.

და, თითქოს, ამ ვილაცის პასუხად, გაისმა უფროსი ლეიტენანტი გერასიმენკოს მუქარე, რწმენის მომცემი ხმა.

— ქვემეხებთან!

სანგრებიდან ამოცვივდით და ყველამ თავისი ადგილი დაიკავა ზარბაზანთან.

ტანკები შემზარავი გრუხუნით და

გაბმული ღმუილით გვიახლოვდებოდნენ.

მიწა იძროდა, ირყეოდა...

ქვემეხის ვარშემო დარგული ტანმორჩილი ნაძვის ხის ტოტები იღუნებოდნენ, წიწვები წკრიალებდნენ, ფოთოლი შრიალებდა. დგანდგარებდა ქვემეხის ზედადგარი, ეყოდა ლულა, ღრქიალებდა თვლები...

ამ საერთო ზანზარსა და რწვევას, თითქოს ადამიანებიც ავეტანეთ. ჩემი არ იყოს, მეჩვენებოდა, რომ სხვებსაც ხელფეხი უკანკალებდათ, ყბები უძაგდაგებდათ, კბილები უღრქიალებდათ.

ანაზღად ერთი ფიქრი ამეკვიცა, ვითომ ქვემეხებთან დაჩოქილი ჯარისკაცები ხეზე შებუღული ფრინველებივით საცაა იხუვლებდნენ და ტყეს მიაშურებდნენ.

— რაღას ველოდებით, ცეცხლს რატომ არ ვხსნით! — დაიყვირა მესამე ქვემეხთან რომელიღაც ჯარისკაცმა.

— მართლაც დროა, თორემ მუხლუხებით დაგვსრესენ! — ჩემდაუნებურად შევძახე მეც.

— შესწყვიტეთ ლაპარაკი! — ბრძანა გერასიმენკომ. უნებურად, რაღაც სამიოდე დღის წინ საცეცხლე მეცადინეობაზე გერასიმენკოს ნაქთავში სიტყვები გამახსენდა: „არ არის ჯავშანი, რომლის დამსხვრევა არ შეეძლოს არტილერიას! ტანკებთან ბრძოლაში ყველაზე შედეგიან საშუალებად ქვემეხების პირდაპირ დამიზნებით სროლა ითვლება. ქვემეხის გუნდი კარგად ხედავს მიზანს, პატარა ჭურჭლებიდან მზირალი ვკიბაჟი კი მოკლებულია ამას. რაც უფრო ახლო მოვუშვებთ ტანკებს მით უფრო ვამცილებთ ეკიბაჟის ხედვის არეს, ვუსპობთ მანევრირებისა და ფლანგებიდან შემოვლის შესაძლებლობას. ტანკის ყველაზე ფაქიზი ადგილი მუხლუხებია. ამიტომ თავდაპირველად ტანკს უნდა ვესროლოთ მუხლუხებში. ეს იმითაცაა მიზანშეწონილი, რომ ჭურვის

განო ურჯუმილავილი
მოსაოვი მჟჟნად მითია

მონვედრისთანავე, ცალ მუხლუხზე შემოტრიალებული ურჩხული შეჩერდება და გზას გადაუხერგავს უკან მომავალ ტანკებს!¹

— ჯავშანგამტანი ჭურვებით, ფაშისტთა ტანკებს, ბატარეა ცეცხლი! — ბრძანა გერასიმენკომ ჩვეული, მოზეიმე ხმით.

— სამიზნე ათი მეორე ორიენტირთან მომავალ ტანკს, ჯავშანგამტანი ჭურვეთ, პირველო ქვემეზო, ცეცხლი! — ბრძანა თავის მხრივ დუდუჩკინმა.

და უცებ ყველაფერი ერთმანეთში აირია: ტანკების შემზარავი გრიალი, ქვემეხების გრუხუნი, ჭურვების წივილი, ტყვიამფრქვევთა კაკანი, მეთაურთა შეძახილები.

კურდღლისა არ იყოს, სანამ გამომახტუნებდნენ უფრო მეშინოდან, ჩვენც ახლა გაბედულად მივრბოდით, მოვრბოდით, მარდად ვასრულებდით მოვალეობას. დღესაც არ ვიცო, რა გზნება აღანთებდა ჩვენს სულს, რა გვინერგავდა ძალასა და გამბედაობას, შემადრწუნებელი გრიალითა და ცეცხლის ფრქვევით შეტევაზე გადმოსულ უთვალავ ტანკს წინ რომ ვედობებოდით და ცეცხლს ვუშენდით!?

ქვემეხის გრუხუნი რაღაც გამოუთქმელ ნეტარებას მგვირდა. აქამდე ხომ გერმანელები ტრიალ მინდორზე, ვით სამიზნეს თვითმფრინავებიდან თუ ქვემეხებიდან ცეცხლს გვიშენდნენ. ახლა კი მტერს სამაგიეროს ვუზნდიდით.

ბრძოლის ველზე ხუთი თუ ექვსი ურჩხული იწვოდა. ძნელია იმის თქმა, რამდენი ტანკი დაამსხვრია ჩვენმა ქვემეხმა, ამ საშინელ ორომტრიალში დათვლისათვის ვის ეცალო! უცებ ერთი ურჩხული კვამლიდან გამოხტა და ჩვენს ქვემეხისაკენ გამოემართა.

— ცეცხლი, ცეცხლი! — ყვიროდა დუდუჩკინი.

— ლულა მიწაყრილს დაებჯინა! — უპასუხა მოსკვიტინმა, ქვემეხის საბურავ მექანიზმის დატრიალებას ამოად რომ ლამობდა.

დუდუჩკინი სანგრიდან ამოხტა, იქვე

დაყუდებულ ბარს წამოავლო ხელი, მიწაყრილზე აიჭრა და ლულის ქვეშიდან მიწის გამოყრას შეუდგა.

— საკმარისია! — დაიყვირა მოსკვიტინმა, სამიზნეს თვალს რომ არ აცილებდა...

დუდუჩკინი ჩვენსკენ შემობრუნდა, ერთბაშად ბარი ჰაერში შემართა, თითქოს ვიდაცას ემუქრებოდა, და სანგარშო გადმოიჩეხა.

ქვემეხმა დაიგრუხუნა. ჭურვემა მუხლუხი გაგლიჯა, ურჩხული ჭრიალით შეტრიალდა, შავი ჯვარი ჩვენსკენ მოექცა.

მოსკვიტინმა ქვემეხის შორიახლო განჩირულ ტანკს უმაღ მეორე ჭურვიც მიაცალა.

ურჩხული ცეცხლში გაეხვა. სარკველახდელ კოშკურიდან გენიამოდებულნი გერმანელი ამოძვრა, უკან ბაქანზე გადაბობლდა და ძირს გადახტა.

ათიოდე ნაბიჯი გაირბინა, ამან კიდეც უფრო გაუმძვინვარა ცეცხლი და მიწაზე პირქვე დაემხო.

ამ საშინელ გნიასსა და აურზაურში შევნიშნე, რომ მესამე და მეოთხე ქვემეხი დადუმდნენ.

ძლიერმა ტალღამ ძირს დამანარცხა. ისე მომეჩვენა, ჭურვი ზედ თავზე დავვეცა. მიწას ვეკვროდი, მეგონა კიდეც რაღაც საშინელება მოხდებოდა.

კვამლი რომ გაიფანტა, გავვოცდი: ზარბაზანი უვნებელი ყო. ფეხზე მოსკვიტინი და ფედოროვიდა იდგნენ. გრიგორიანი უძრავად იწვა. უსკოვს გაფატრულ მუცლიდან გადმოცვენილი წილები ხელით ეჭირა, კვნესოდა, იკლავებოდა.

პოზიციის მისადგომებთან დამწვარი ტანკები გაიჩხირნენ, ფაშისტებმა ფლანგებიდან შემოგვიარეს.

გერასიმენკო მეორე ქვემეხთან მიიჭრა და კაპიტან ერმაკოვს, მეზორთუმის ადგილი რომ დაეკავა, ზარბაზნის შემობრუნება უშველა. სწორედ ამ დროს, მათ შორიახლო ჭურვი აფეთქდა. მემიზნე და გამტენი ძირს დაეცნენ. გერასიმენკო ჩახახას ეცა, მარჯვედ

გალო და ლულიდან დაიწყო დამიზნე-
ბა, მერე თვითონვე გატენა ქვემეხი და
გაისროლა. ჭურვმა პოზიციაზე შემო-
სულ ტანკის კოშკური ახადა.

პოლიტხელი ვარზანი მეკავშირეთა
სანგრის შორიასლო იწვა და ნიკიტა
ჩეკრდზე მიყენებულ ჭრილობას უნ-
ვევდა.

ფედოროვთან მივირბინე, მინდოდა
ხორთუმის აწვევაში მივშველებოდი,
მაგრამ ახლო არ გამოიკარა, შენ ჭურვე-
ბი მოიტანე, ამას მე მოვუვლიო.

საბრძოლო მასალების ორმოში ჩავხ-
ტი, ყუთიდან ჯავშანგამტანი ჭურვები
ამოვიღე და ქვემეხთან მივარბენინე.

ფედოროვი მხრებით შესდგომოდა
ხორთუმის სახელურებს და ქვემეხს
მოსკვიტინის მითითებით აბრუნებდა.

— გატენე! — დამიძახა მოსკვიტინმა,
სამიზნეს რომ თვალს არ აცილებდა.

ქვემეხი გავტენე თუ არა, მემიზნემ
ჩახმახი გამოსწია, ჭურვმა გაიშხილა
და ტანკის მუხლუხა გავლიჯა. ურჩხუ-
ლი მეორე მუხლუხაზე შეტრიალდა და
გაჩერდა.

კიდევ ორი ტანკი მობობდავდა ბუჩ-
ქებში.

მოსკვიტინი სამიზნეს მიჰკვროდა.
უკან გამომშვერილი ხელით ფედოროვს
ანიშნებდა, ხორთუმი მარჯვნივ შეაბ-
რუნეო.

სამჯერ ზედიზედ დაიგრაალა ჩვენმა
ზარბაზანმა.

საბრძოლო მასალების ორმოსთან
რომ მივირბინე, ქვემეხის ხორთუმთან
ჭურვი აფეთქდა. კვამლში გახვეულმა
ფედოროვმა მკერდზე ხელი იტაცა, ნე-
ლა და მძიმედ დაუშვა ხორთუმი და
თვითონაც მოჭრილ ხესავით მძიმედ
გადაწვა მიწაყრილზე.

გვერდიდან ერთი ტანკი ჩუმად, ქურ-
დულად მოზობდავდა, თითქოს სანგარ-
ში უნდა ისკუპოს და მარტოდ დარჩე-
ნილი მოსკვიტინი გასრისოსო.

მოულოდნელად ტანკი ჩემსკენ შე-
მობრუნდა. ორში ერთი იყო: ან სანგ-
არის მიწაყრილს აარიდა თავი, ან ქვე-
მეხის დამიზნებულ ლულას გაექცა.

უმალ ჭურვების შესანახ ორმოში
გადავწვი.

ფსკერზე გაკრული, ცალი თვალით
მადლა ვიხედებოდი. არე-მარეს შავი
კვამლის ზეწარი ეფარა. ტყის თავზე მა-
ღალ კენწურითა შორის, თითქოს ფან-
ჯარა გამოვლიათო, ქათქათა ცა მოჩან-
და. დღესაც არ ვიცი, მართლა დავინახე,
თუ მომეჩვენა, ყვავის მსგავსმა რალაც
შავმა ფრინველმა გადასერა ცის ეს პა-
ტარა ნაჭერი და კვამლში მიიმალა.

„ნეტავი მეც ფრინველად მაქცია-
მეთქი“. — ვფიქრობდი და მშვიდად
ველოდი აღსასრულს. არ გეგონოთ რომ
ვუკაცობით თავი მომქონდეს. კაცმა
რომ თქვას, ან რა სიმამაცეა, სიკვდი-
ლისა არ გემინოდეს?! მგონი, არც ისაა
სიმხდალე, სიცოცხლე რომ გწყურო-
დეს!?

წამით-წამზე ველოდი ტანკი როდის
შემდგებოდა. ჩემდაუნებურად თვალს
დავიწყე: ერთი... ორი... და სული მო-
ვიტყვი. სამის დაძახებას მაშინ ვაპი-
რებდი, როცა მუხლუხების ქვეშ მო-
ვექცევოდი.

... შემზარავმა გრიალმა გამაყრუა,
რალაცამ დაიჭეკა. ორმოზე გადმოშვე-
რილ მუხლუხებს შევასწარი თვალი,
ადგილზე რომ დატრიალდნენ და ერთ-
ბაშად გაჩერდნენ...

მაშინვე წამოვხტი.

ტანკის წინა ბაქანს ცეცხლი ეკიდა.
სახურავახდილ კოშკურიდან ვით სვა-
ნური ბუხრიდან, სულისშემხუთველი
დამწვარი ზეთის სუნით გაქლენთილი
ბოლი ამოდრიოდა.

მოსკვიტინი ბორბალს მხრით შესდ-
გომოდა, ცდილობდა ქვემეხის შებრუ-
ნებას, რათა მიზანში ამოეღო ზურგიდან
მომავალი ტანკი, ბზინავი, მოხჭრილვე
მუხლუხებით ყველაფერს რომ ამსხვ-
რევდა და პირდაღებულ ხახაში ითრევ-
და. კიდევ ორიოდ წამი და, ალბათ,
მოსკვიტინისაც სტომაქში მოიქცევდა.

ვანო ურჯუმილაშვილი
მოსკოვი ძმებისად მივითხ

— თავს უშველ! — რაც ძალი და
 ღონე მქონდა უნებლიედ შევქაჩე.

და ჩემი თვალთ დავინახე, როგორ
 ჩაითრია ურჩხულმა ქვემეხის ხორთუმ-
 თან წაქცეული მოსკვიტინის ფეხები,
 ტანი...

იმანაც, თითქოს ჩემსკენ გამოიხედა.
 წამით ერთმანეთს თვალი თვალში
 გავუყარეთ და ყველაფერი წყვილიადმა
 შთანთქა.

ამის შემდეგ ბევრი რამ ბუნდოვნად
 მახსოვს. ხეირიანად იმასაც ვერ ვიგო-
 ნებ, ამბები, რაც მერე თავს გადამხდა,
 დღისით ხდებოდა, თუ ღამით, სიზმარ-
 ში ვხედავდი თუ ცხადლივ.

მგონი ქურგების შესანახ ორმოსთან
 ახლო ბუჩქებში ვიწვექი. თავს მაღლა
 ვერ ვწევდი, რადგან პოზიციაზე ტან-
 კები დაბობლავდნენ, ვეებერთელა საფ-
 ლავის ლოდებად რომ მეჩვენებოდნენ,
 გვერდზე გამოსახული შავი ჯვრებით.

საოცრება მეტი გინდა? თვალებს
 მაგრად ვხუჭავდი; არ მინდოდა ამ შემ-
 ზარავი ურჩხულების დანახვა, მაგრამ
 ქუთუთოები გამჭვირვალე გამხდომოდ-
 ნენ და მაინც ვხედავდი.

ერთი ტანკი უხმაუროდ ჩემსკენ მო-
 ბობლავდა, თითქოს კლანჭები უნდა ჩა-
 ევლო და გადაეყვალა.

«ეს რა მემართება, რამ შემბორკა,
 რამ წამართვა ძალი? ან რატომ არ მეს-
 მის ურჩხულის გრუხუნე, ქურგების
 აფეთქებათა გრიალი? სხვა რამ ხმა-
 ურიც არ აღწევს ჩემს ყურთასმენამ-
 დე?! ისე მეჩვენება, თითქოს მუწჯ კი-
 ნოსურათს ვუმზერდე. ვაითუ მალე
 თვალში სინათლე ჩამიქრეს, წყვილიადში
 შთავინთქე?! ღმერთო ჩემო, სად წავი-
 კოთხე — სიკვდილი იგივე წყვილიაღიო,
 მაგრამ მე ხომ თვალში სინათლე არ
 დამიკარგავს. ვგრძნობ, ვაზროვნებ. აი,
 ჩემს გვერდით ვიდაცამ გაიბრინა. ფეხ-
 დაფეხ მიჰყვა მეორე, მესამე... ვაიმე
 დედაჩემო, ესენი ვილა არიან, პოზიცი-
 აზე რომ დაბორილობენ!» — ეს ფიქ-
 რი მიტრიალებდა, რომ გამიღვდა, გერ-
 მანელები არიან, თავს უშველეო.

წაუჭული გაგიქეცი.

არც სროლის ხმა ისმოდა, არც ტყე-
 ები წიოდნენ, მაგრამ ტყეში მაინც და-
 ფეთებული ვავრბოდი, ხეებს ვეფარე-
 ბოდი.

როგორც იყო ამხანაგებს წამოვეწიე.
 ბოლოში ერმაკოვი მიაბიჯებდა, რა-
 ლაც მითხრა, მაგრამ არაფერი მესმოდა,
 თუმცა ტუჩების მოძრაობით მივხვდი,
 ყოჩაღ, კახაბეროო, რის გამოასახა-
 ტავად მხარზე ხელიც დამარტყა.

ხელით ყური და ენა ვუჩვენე, არც
 მესმის, ვერც ვლაპარაკობ-მეთქი. ის კი
 რალაცას ჩამციებოდა, მაგრამ რომ ეე-
 რა გამაგებინა, ხელის წაბიძგებით გა-
 მიძლოლა, თვითონ კი უკან მოგვეყა.

დაბურულ ტყეში, საცა მზის სხივი
 ძლივს აღწევდა, უილაჯოდ მივბიჯებ-
 დით. თუმცა რას ვამბობ?! კი არ მივა-
 ბიჯებდით, მეტწილად ხელშავასი და
 კალბოხების ბუჩქებში მივხოხავდით.

ჩახერგილ ხეებს ხან ზედ ვაფოფხ-
 დებოდით, ხან ქვეშ ვძვრებოდით, წიწ-
 ვოვანი ტოტები სახეს ვეკაწრავდა, სა-
 მოსს ვეახედა.

ილაჯაწყვეტილს ფიქრიც აღარ შე-
 მეძლო. არც საკუთარი თავი მახსოვდა,
 აღარც არავინ მედარდებოდა. მთელი
 ჩემი არსება ერთ სურვილს მოეცვა.
 სადმე ბუჩქებში მივგდებულყავი და
 ფეხსახვევები, ფეხისგულებს რომ მტკე-
 ნდა, ხეირიანად შემომეხვია.

ჩემ წინ მიმავალ მეკავშირე ივანოვს
 ზურგზე მივთულდავფული ორი კოჭი
 მოევლო, წელში ოთხად მოკეცილიყო
 და ძლივს მილასლასებდა. მის წინ მე-
 ორე ქვემეხის მეთაური კუზნეცოვი
 მიდიოდა. მარცხენა ხელი ბანდით ჰქონ-
 და შეხვეული, ნაფლეთებდა ქვეულ
 სახელოდად სისხლის წვეთები ჩამოს-
 დიოდა.

ქვეყნად თურმე ცარიელ მუცელზე
 მძიმე არაფერია! ძლივს მივბიჯებდი,
 მუხლი მეკვეთებოდა, თვალთ მიბნე-
 ლებოდა, თან ისე მეჩვენებოდა, თით-
 ქოს სხვებიც ჩემსავით დაყრუბულ-
 დამუნჯებულყვენ.

გერმანელები ტანკებით, მანქანებით,
 მოტოციკლებით შარავნაზე მიემარ-

თებოდნენ, ჩვენ კი ტყეა და ღრეში, ხნულტბსა და ნათესებში უგზოუკვლოდ მივაბიჯებდით.

გზაში ჩვენ ბატარეიდან ნიკიტა და ორი ჯარისკაცი წამოგვეწვივნენ. ხუთი მეტრძოლი სხვა ქვეგანყოფილებიდანაც შემოგვიერთდა. უსიერ ტყეში, პატარა ტბის პირას შევისვენეთ. ყველა შემომეხვია, გაკვირვებულნი მიმხერდნენ, რაღაცას მელაპარაკებოდნენ, მაგრამ ვერაფერს ვიგებდი.

მინდოდა მეთქვა, არ მესმის-მეთქი, მაგრამ კრიჭა ვერ ვაეხსენა.

„რა დამემართა, ჩემს თავს რა უბედურებაა?!“ — ეს ფიქრი გულს მიკლაფდა, თან ის მოიკებდა, ამხანაგები ასე რამ გაასაცოდაფა-მეთქი.

მხოლოდ უფროსი ლეიტენანტი გერასიმენკო გამოიყურებოდა მხნედ, ისევ ტანშემართული დაბიჯებდა, თუმცა თვალები იმასაც ჩასცვენოდა, შუბლზე ღარი დამჩნეოდა.

გერასიმენკო ხელების ქნევითა და ტუჩების ცმატუნით რაღაცას მეუბნებოდა. ცნობისმოყვარეობით ვუშვრდი. გონებას ეძაბავდი, მაგრამ მის ნათქვამს ვერ ვიგებდი.

ბოლს კაპიტანმა საველე ჩანთიდან უბის წიგნაკი ამოიღო, და დაწერა, ძლიერმა ჰაერის ტალღამ კონტუზია დავმართა, ნუ გეშინია, მალე გავიჯლის, სმენაც დაგიბრუნდება, მეტყველებაცო.

რა ბევრი რამ შესძლებია ნუგეშს?!

უცებ ისე მომეჩვენა, თითქოს ყურმა შეიღო დამიწყო. იმედი მომეცა. კრიჭას ძალა დავატანე, რომ გერასიმენკოსათვის მადლობა ვადაამხადო, მაგრამ კონტი მაინც ვერ დავძარი. ერმაკოვმაც მხარზე ხელი დამკრა, ვიძომ ნუ დარდობ, გაგივლისო. და უცებ ხელით თოფი მანიშნა, რა უყავიო.

ელდა მეცა, გავშრი, გავფითრდი. მე ხომ თოფზე ფიქრი ისედაც ტვიზს მიღრღნიდა!

ტანკების გამოჩენისთანავე, ქვემეხის გატენაში ხელი რომ არ შეეშალა, კა-

რაბინა ზურგიდან შევისხენი და ხეზე მივაყუდე.

როცა ბოზიციიდან ტყისკენ გავხიზნდი, კარაბინა არც გამხსენებია. თუმცა კიდევაც რომ გამხსენებოდა, მაინც ხელში ვეღარ მოვიკვებდი. ტანკმა ხე გავათელა და, კარაბინა ალბათ მუხლუხების ქვეშ დაიმსხვრა.

ეს კი ასე იყო, მაგრამ განა ამით შემეძლო თავის გამართლება?!

სმენის ხარჯზე მხედველობა გამიმახვილდა, მეთაურთა არც ერთი მოძრაობა შეუმჩნეველი არ მრჩებოდა. სახის მიმიკით, ტუჩების მოძრაობით ვხვდებოდი, ვინ რას ლაპარაკობდა.

კაპიტანმა ერმაკოვმა უფროს ლეიტენანტ გერასიმენკოს ეს ამბავი მიახლოებით ასე მოახსენა, რაც მერე მეტრძოლებმაც დამიდასტურეს:

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, ჯარისკაცმა კახაბერმა ბრძოლაში კარაბინა დაკარგა!

— ცული ამბავია! — თქვა შუბლშეჭმულხვით უფროსმა ლეიტენანტმა, მიერეხანს ჩაფიქრდა და, თითქოს თავის თავს ებაასებო, განავრძო. — დიახ ცული ამბავია! თუმცა კახაბერის მიმართ ლმობიერება, შეწყენარება გემართებს! პირველივე ბრძოლაში, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, არ შედრკა, სიამამეც გამოიჩინა. ესაა მთავარი, არსებითი. რა ვუყოთ ჩვენც ხომ დავკარგეთ ქვემეხები, საბრძოლო ქონება? არ კიციოთ რა ბედი ეწიათ ალაღა და ქვემეხის ცხენებს, განა ამის გულისათვის უნდა დავგვადანაშაულონ?! მაგრამ რას იზამ, ომი ხომ საბრძოლო იარაღის მსხვერპლსაც მოითხოვს!

თავზე გამუდმებით მტრის თვითმფრინავები დაგებდულდნენ, და იმის შიშით, ჰაერიდან არ შევენიშნეთ, ზოგჯერ მუცლითაც კი მივეფოფხავდით.

ტყე ჯანაბრითა და ხმელი ფიჩხით იყო საესე. ალაგ-ალაგ ჭარისავან ძირფესვიანად მოგლეჯილი გამხმარი ხეები

ვანო ურჯუაშვილი
მოსკოვი ამჟამად მისი

გ. მარტის სახ. საქ. სსრ
სსს კომპოზი 17, სპუდკო
ბი. ბი. ბი. ბი. ბი.

გაზერგილიყო. ალბათ აღამიანიშვილს ჯერ აქ ფეხი არ დაედგა.

თითქმის მთელი ღამე მუხლი არ ჩაგვიხრია. განთიადისას ხის ძირებში მივეყარეთ, ცოტა თვალისათვის რომ მოგვეტყუებოდა, მაგრამ დაწოლისთანავე ჩვენსავით დამძულული კოლო დაგვეხვია. ფარაჯებში შევიბუდეთ, მაგრამ ვერც ამან გვიშველა, თითქოს ეს მომბზერებელი მწერებიც გრძნობდნენ ილაგაწყვეტილი რომ ვიყავით, არ გვეპუებოდნენ, ძარღვებიდან სისხლს გვწოვებდნენ, ლამის თავფეხიანათ შევეპყამეთ.

უთენია წამოვიშალეთ. უფრო მწვავედ ვიგრძენით შიმშილი. მოსამკალი თავთავით თავდამძიმებულნი თვალუმს ვაცუცებდით, იქნებ კენკრს ან სოკოს მივაგნოთო.

კენკრი ხანთლით საძებნელი იყო, ხის ძირებში ამოყრილი სოკო კი მოკრეფილად არ ღირდა.

ნიკიტამ რომელიღაც მცენარეს მიაგნო, ტოტი მოტეხა, ერთი მუჭა ფოთოლი გასხია და გემრიელად ჩაახრამუნა. თან ამხანაგებს არწმუნებდა, მყაუნაო, თუ არ გჯერათ გემო გაუსინჯეთო.

რაკი ნიკიტა ავადმყოფად მთვლიდა, ჩემს ირგვლივ ტრიალებდა, მზრუნველობას იჩენდა. ამიტომაც ვანსაკუთრებით მე ჩამაცივდა, მცენარის ფოთოლი ჭამე, არ გაწყენსო. თვითონ ისე გემრიელად შეექცეოდა, სულმა წამძლია და ფოთოლი მეც მოვისინჯე. მართლაც მომჟავო იყო, მოგემრიელო.

მშიერს ხომ დიდი თვალები აქვს. ჯარისკაცებმა მაშინვე შეგვნიშნეს მყაუნას რომ შევექცეოდით. მცენარეს მიეხვიენ, ტოტებს ლაწა-ლუწი აუყენეს და ლამის ძირფესვიანად მოთხარეს.

ფიჭვებშემორტყმულ პატარა მდელოზე შევისვენეთ. ჩვეულებისამებრ ხის ძირებში როდი წამოვწყვეით. შიმშილმა, ამ ყველაზე ძლიერმა, დაუმორჩილებელმა გრძნობამ, ავადმყოფობასავით რომ მოიკლათა ჩვენს არსებაში, დასვენების უნარიც წავგართვა. ბუჩქებში დავძვრებოდით, ხეებს თვალს

ვავლებდით, იქნებ ტყის ფრინველთა ბუდე, ან სხვა რამ პირის გასაკვრელი ვიპოვოთო.

გერასიმენკო და ერმაკოვი რაღაც შეშფოთებით საუბრობდნენ.

მე არ შესმოღა მათი ნათქვამი, მაგრამ ვხვდებოდი, ისინი იმაზე მსჯელობდნენ რა ელონათ, საჭმელ-სასმელი როგორ ეშოვათ. ალბათ ოფიცრებში იმანაც ჩააფიქრა, რომ სხვა ქვეგანყოფილებიდან შემოერთებული ჯარისკაცები ღამით ბანაკიდან გაიპარნენ და, არ იყო გამორიცხული, რომ სხვებიც მათ გზას დასდგომოდნენ.

ერთი მსუბუქად დაჭრილი ჯარისკაცი იმ განზრახვით, რომ ჩამოგვრჩენოდა, ბუჩქებში მიიმალა.

ერმაკოვმა მაშინვე შენიშნა იგი და უბრძანა გზა განაგრძეო.

ჯარისკაცი უძრავად იწვა, კრინტს არ სძრავდა.

ერმაკოვმა ბრძანება რომ გაუმეორა, აღექო, ჯარისკაცი ერთბაშად აქეითინდა, თვალთ მიბნელდებოდა, მუხლი მეკვეთებო... თუგინდ მოღალატეთ ჩამთვალეთ, დამსაჯეთ, სიცოცხლეს გამომასალმეთ, რა ვქნა, მეტი სიარული აღარ შემიძლიაო.

ერმაკოვი ბრძანებით რომ ვერაფერს გახდა, ჯარისკაცს თანაგრძნობით უთხრა:

— ვიცი, რომ ჭრილობამ დაგასუსტა, ძაღლონე წავართვა, მაგრამ სხვა გზა არაა, ცოტა კიდევ უნდა ვაიჭირო. მაღე სურსათს ვიშოვით, დავნაყრდებობთ, დავისვენებთ და სიარული აღარ გავვიძინებდებო!

— რა ვქნა, ძალა გამომელია, წავიქცევი!

— ნუ გეშინია, თუ წაიქცევი, ხელით ვატარებთ!

ეტყობა, ოფიცრებსაც მწარედ აწუხებდათ შიმშილი და სურსათის შოვნის თადარიგს შეუღვენენ.

სერჟანტ კუზნეცოვის მეთაურობით სამ ჯარისკაცს დავეღალა ტყიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით პატარა

სოფელში წასულიყვნენ და რაიმე საქმელი ეშოვათ.

ტყის პირას გუშავი დააყენეს, ჭგუფისათვის თვალი რომ ედევნებინათ. დანარჩენებს კი გვიბრძანეს იარაღ-საჭურველი გავვეწმინდა.

რაკი არც თოფი მქონდა, არც სხვა რამ იარაღი, ხის ძირას წამოვწეპი და თვალს მოვატყუე.

ერთბაშად თოფმა იგრიალა. მაშინვე თვალები დავაჭყიტე და დაფეთებულნი წამოვხტი.

ჯარისკაც ივანოვს, ხელში გაბოლილი თოფი რომ ეჭირა, ერმაკოვი რაღაცას უკიჟინებდა.

ივანოვი გაოცებით თავს აქნევდა, თოფს ხელში ატრიალებდა, ჩახმახს დასცქეროდა.

თურმე ივანოვს ვაზნა ლულაში ჩარჩენოდა, წმენდისას ჩახმახი გადაუტრიალებია, სასხლეტისათვის უნებლიეთ ხელი გამოუკრავს და თოფი გავარდნია. ტყეიას ჩემს ფეხთით მდგარი ბუჩქის ღერო შუაზე გაეხლიჩა.

— კარგი და, შენ როგორღა გაიგონე სროლის ხმა? — ხელებით მანიშნა ერმაკოვმა.

მუცელზე ხელი მოვისვი, ამით შევიგრძენი, ცხვირში კი თოფის წამლის სუნნი მეცა-მეთქი.

კაპიტანი რაღაც დაეჭვებით მიმხედრდა, ბოლოს თავი ჩაიქნია, რაც ასე გავიგე, რაღაც დაუჭვრებელია შენი ყრუ-მუნჯობაო.

ოფიცრები გავცილდნენ თუ არა, ერთმა ჯარისკაცმა თვალის ჩაკვრითა და ტურჩების მოძრაობით, მიახლოებით ასეთი რამ მითხრა, რა გინდა, ძმაო, შენთვის ომი დამთავრდა, ჩვენთანთან რომ გავადწევეთ, სანბატში გავგზავნიან. ალბათ, არც იქ დაიბნევი, საქმეს ჩააწყობ და საქართველოში ამოყოფ თავსო.

გერასიმენკო და ერმაკოვი რაღაცაზე დიდხანს პაექრობდნენ, თან მალმალ ჩემსკენ იხედებოდნენ.

როგორ? ნუთუ ეჭვი ეპარებათ ჩემს ყრუ-მუნჯობაში?! ალბათ ამხანაგები

ამიტომაც მიმხერენ დამცინავად, მე-ლაპარაკებიან აგლებით! ეს რა დაწყველილი ბედი მაქვს?! მე ხომ ნამდვილად დაეყრუედი, დაემუნჯდი, მაშ, რატომ არ სჯერათ ჩემი?!

ვინ იცის, იქნებ ივანოვმა იმიტომაც გაისროლა თოფი, რომ გამომცადა, გვეგონებდი თუ არა ხმას?!

ნიკიტამ ბანაკში ექიმი მოიყვანა. თურმე ჩვენს შორიასლო ლტოლვილებს ტყისთვის შეუფარებიათ თავი.

მკურნალმა დაჭირალებს იარები შეუხვია და მერე მე გამსინჯა. პირი გამაღებინა, ყელში ჩამხედა, ორივე ყური ვადამიტრიალ-გადმიომიტრიალა და გაელიმა, რაც მე ასე გავიგე, უმნიშვნელო ამბავია, გაუფლისო.

ბოლოს ქალაღზე დამიწერა. აბებს გამოგიგზავნი, ძილის წინ ორი ცალი დალიე, კარგად გამოიძინე, სმენაც დაგებრუნდება და ალაპარაკებდი კიდეცო.

ნუთუ მართლა?! — მეც ქალაღზე დავწერე.

— სიმართლეს მოვანხნებ! წაშალი უებარია, ასი ავადმყოფიდან ასივეს არჩენს. არაერთხელ გამომიცდია, აი ნახავ, შენც რა ერთბაშად გარგებს.

მონუცი მკურნალი რომ გამოგვემშვიდობა, მეგონა წასვლის წინ კიდევე მანუგეშებდა, იმან კი ვითომ ჩემი საქმე უკვე მოგვარებული იყო, აღარაფერი მითხრა.

ნიკიტა წამლის მოსატანად ვაპყვა ექიმს და ნახევარ საათში უკან დაბრუნდა. ორი აბი მომცა და ცერეი გამომიშვირა, შენი საქმე, ასეო.

შე კაი კაცო, იქნებ ორმა არ ვასკრას, ცოტა მეტი ველარ წამოიღე-მეთქი, ქალაღზე დავუწერე მე. ორს კი არა, თუგინდ ასს წამოგიღებდი, ექიმს ლიტრიანი ქილა აქვს ამ აბებით სავსე, მაგრამ მეტი არ გამომატანა, ესეც საქმარისია, ჩვეულებრივ ავადმყოფებს ერთ აბს ვასმევთ ხოლმე. სტაცი-

ვანო ურჯუმილაშვილი
მოსკოვი მამყნად მრძია

ონარში, ან ოჯახში რომ იყოს, მაგასაც ერთზე მეტს არ დავუნიშნავდით.

რატომღაც მეგონა ყურთასმენას ადვილად ვერ დავიბრუნებდი, მაგრამ თუ მთელი არსებით მოვიწადინებდი, თავს ძალას დავატანდი, ენას უთუოდ ამოვიდგამდი.

მალი-მალ ბუჩქებში ვიმალებოდი, პირს ფართოდ ვაღებდი, ხახას ძალას ვატანდი, დაყვირებას ვცდილობდი, თითქოს ბეგრებს წარმოვთქვამდი, მაგრამ ვერ ვვებულობდი მართლა ეს ასე იყო თუ არა!

ამასობაში სოფლიდან სერჟანტ კუზნეცოვის ჯგუფი დაბრუნდა. ნახევარი ტომარა კარტოფილი და ათი მწვანე ბურთი მოიტანეს.

სოფლის განაპირას ტონანახევრიანი სატვირთო მანქანაც უნახავთ, მცხოვრებლებს უთქვამთ უკან დახვევისას უბუნზინობის გამო წითელარმიელებმა მიატოვესო.

კარტოფილი მოვხარშეთ. ცოტა რომ წავიხვესუთ, კუზნეცოვის ჯგუფი ბუნზინის საშოვნელად სოფელში წავიდა.

ნიკიტა მაშინვე ჩემთან გაჩნდა. ხელით მანიშნა, უკან გამომყევით.

ბანაკიდან განცალკევებით ხის ძირას ბლახი დავეგო, თავით ხის ტოტების კონა დაედო, ეს შენი საწოლია. წამალი დალიე და მშვიდად დაიძინეო.

ორივე აბი დავლეო და დავწეე, თვალი დავხუჭე თუ არა, ძილი მომერია. ისე მომეჩვენა, თითქოს თავში ტვინის უჯრედები შემეკუმშნენ, გამიბრუნდნენ, გონებას რაღაც ბნელი ფარდა გადაეფარა და მთელი ჩემი არსება ვანუცდელ ნეტარებაში შთაინთქა. ვგრძნობდი, რომ მშვიდად, სიამის მომგვრელად მეძინა, თუმცა ვერ ვახერხებდი საკუთარ აზროვნებისთვის გონების თვალი გამეყოლებია.

დაიცა! ეს რაღაა, რა გუგუნებს!

მესმის მოსკვიტინის ჩურჩული:

— ტანკები, ტანკები!

გავიგონე დუდუჩკინის ხმამაღალი ბრძანება:

— ქვემეხებთან!
ყველა სანგრებიდან ამოცვივდნენ, მეც მაშინვე ამოვხტი.

დაფეთებული აქეთ-იქით ვიხედები, ვერ გამიგია საღა ვარ. არც ქვემეხი, არც დუდუჩკინი, არც გათვლა. ჩემს შორიასლო ნიკიტა იდგა. „ნეტავი რას იღრბებთ?“ — გამიელვა თავში და შევეკითხე:

— ნიკიტა, სად არიან ტანკები?!

— ვაშა! წამალმა ვასჭრა, ვაშა! — ყვირის ნიკიტა. — იზემე კახაბერო, ენა ამოიდგი, სმენა დავიბრუნდა! გესმის, არა?! ეს ჩვენი ბიჭები მოდიან მანქანით!

მართლაც ტყეს მანქანა უახლოვდებოდა. საჭეს კუზნეცოვი მისჯდომოდა. გვერდით ვიღაც წითელთავშალიანი ქალიშვილი მოუსვამს. მეორე თეთრკაბიანი ვაგონა ძარაზე დგას.

— მომილოცავს; მომილოცავს! — მეუბნება ნიკიტა და ხელს მართმევს.

ახლალა მივხვდი, რომ მე უკვე ვლაბარაკობ, მესმის მანქანის გუგუნი, ამხანაგების შეძახილები.

ნიკიტას ვებვევი, ვკოცნი.

ის კი აღტაცებით ყვირის:

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, ამხანაგო კაპიტანო, ბიჭებო, კახაბერი ალაბარაკდა, სმენა დაუბრუნდა! ჯარისკაცები ჩემსკენ მორბიან, ხელს მართმევენ, მილოცავენ...

გერასიმენკომაც ჩამომართვა ხელი, ერმაკოვმაც.

ამასობაში კი მანქანა ასიოდე ნაბიჯზე მოგვიახლოვდა.

— ნეტავი, ეს ქალები რაღას აუკილიათ?! — ამბობს ერმაკოვი.

— მაშ, მაშ, სწორედ ეგენილა გვაკლდა! — იღიბება გერასიმენკო, მანქანისათვის თვალი რომ ვერ მოუწყვეტია.

ჩვენც ვითომ გაცეცხული თავს ვაქნევთ, მაგათთვის ვისა სცხელაო!

სინამდვილეში კი სუნთქვა გვეკვრის და გაბრწყინებული თვალებით გავცქერით ქალიშვილებს... ის კი არა,

ზოგი ქამარსაც ისწორებს, თვალებს იფშენებს, თმაზე ხელს ისვამს.

აი, გაჩერდა მანქანა! ყველა გარს შემოვხევეთ, მაგრამ ქალიშვილებმა ერთდროულად მოიძრეს თავიდან თავშალეები და ხელში ბენზინის საშოვნელად წასული ჯარისკაცები შემოგვკრინენ. არასოდეს დამაეიწყებდა, ერთბაშად ყველამ როგორ მიხმედ ამოვიოხბრეთ.

თურმე კუნძეცოვის წინადადებით სოფელში ქალის ტანსაცმელი უშოვიათ, ჯარისკაცებს ჩაუცვამთ და შარაგზის პირას ჩასაფრებულან.

როცა დაცარიელებულ გზაზე მართო მომავალი ნავიანი მოტოციკლი გამონდა, ქალურად ჩაცმული ჯარისკაცები გერმანელებს დაენახნენ, აღერსით გაუღიმეს და ბურქებში მიიშალნენ.

გერმანელები შეჩერებულან. ერთხანს — „ქალიშვილებს“ დაეჭვებით უმხერდნენ. მერე თურმე უხმობდნენ, რუს დამა, რუს დამა, ჩვენთან მოდიოთ.

რაკი „ქალიშვილები“ ბურქებიდან არ გავიდნენ, გერმანელებს ცოტა კი უყოყმანიათ, მაგრამ ბოლოს მაინც სულს წაუძღვევია, მოტოციკლიდან ჩამომხტარიან და ნერწყვის ყლაპვით ბურქებში შეძქნულნი მდებარეობდნენ. თავით ფეხამდე შეათვალიერეს კაბაში გამოქედილი „ქალები“ მოწონების ნიშნად ერთმანეთს თვალი ჩაუკრეს და „რუს დამებს“ შემოეხვივნენ.

ჯარისკაცები მოულოდნელად ხელებში სწვდნენ. ბურქებში დამალული კუნძეცოვიც წაუშველა. თავგზაბნეულ გერმანელებს პირში ცხვირსახოცი ჩასჩარეს და კონდახების თავში დარტყმით მოაკვდინეს.

მერე მოტოციკლიდან ბენზინი ამოუღიათ, მანქანაში ჩაუსხამთ და ძრავი ჩაურთავთ.

ამბავის მოყოლას რომ მორჩნენ, კუნძეცოვმა, მკერდზე გერმანული ავტომატი რომ ეკიდა, თავისი კარაბინა მე გადმომცა და გამაფრთხილა, ღმერ-

თი არ გაგიწყრეს და ესეც არ დაკარგო.

სიხარულით გული ამჩიუყდა, თვალის ცრემლით ამევსო. მინდოდა ამხანაგების წინაშე დამეფიცა, რომ თოფს ამიერიდან თვალისჩინივით გავუფრთხილდები, მისი ცეცხლით მტერს მუსრს გავაველებდი, მაგრამ ვიღამ დამაცალა.

გერასიმენკომ ბრძანა, საჭურველი აისხით და მანქანაზე დასხედითო.

— ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მოტოციკლიდან ამოღებული ბენზინი რა გავვიხდებოდა?! — იკითხა ივანოვმა, მანქანის ძარაზე რომ იფოფებოდა.

— ალბათ, ბედი არ გავგწირავს, ბენზინს კიდევ ვიშოვით! — და ბატარეის მეთაური კუნძეცოვის გვერდით კაბინაში ჩაჯდა.

ერმაკოვი და ჯარისკაცები ძარაზე დაესხედით.

მანქანა დაიძრა თუ არა, კაპიტანმა გვიბრძანა, ჩიჩიოქეთ, მტერმა კიდევაც რომ შეგვნიშნოს, მანქანა ცარიელი ეგონებათ და არ გამოგვედავებიათ.

ჯერ ტყის პირას მივქროდით, მერე პურის ყანაში გამავალ გზას დავადექით. მანქანა ჯანჯლარებდა. მალი-მალ ბუქსავდებოდა. რამდენიმე ალაგას ხელით მისაწოლიც ვახდა, მაგრამ ფეხით ხეტილის მაინც ეს გვეჩჩია... წავხალისდით, ჩვენი ნაწილების დაწევის იმედი მოგვეცა. ასე გასინჯეთ, ლაპარაკისა და ხუმრობის ხასიათზეც დავდექით.

ერმაკოვი მალი-მალ გვაფრთხილებდა, შესწყვიტეთ ლაპარაკი, ყოველ წუთს მოსალოდნელია მტერს წავაწყდეთო. მართლაც შარავხას, რომელზედაც მტრის ტრანსპორტი ვანუწევეტივ ნაკადად მოედინებოდა აღმოსავლეთით ხან ისე მიეფანტოვდებოდათ ხოლმე, რომ საშიში იყო გერმანელებს ავტომატებიდან ცეცხლი არ დაეშინათ.

ვანო უკუშხვალაშვილი
მოსკოვი მშენებელი მართია

ერთ პატარა სოფელს მივადექით. გზაზე მცხოვრებნი შემოგვეხვივნენ. იმათგან შევითყვეთ, რომ სოფელში გერმანელები არ იყვნენ.

ლტოლვილმა გლეხებმა რძე დავკა-
ლევინეს, ნალები გვაჭამეს. ბენზინის
შოვნასაც შეგვპირდნენ, მაგრამ ერთი
სიძნელის წინაშე აღმოვჩნდით. სოფ-
ლის აღმოსავლეთით მდინარე ჩამოუ-
დიოდა. ერთადერთი ხიდი იმ შარავზა-
ზე იყო, მტრის ჯარებს რომ ეკავათ.
მცხოვრებლების სიტყვით კი ახლო-
მასლო მდინარეზე ისეთი ფონი არ
ყო, სადაც მანქანა გავიდოდა.

ერთი სიტყვით ისლა დაგვრჩენოდა,
მანქანას გამოვეშვიდობებოდით და
მდინარე გადავვეცურა.

ორი მეგზური ბიჭი გამოგვყვა, ბუ-
ჩქებში ნავი გვაქვს დამალული და გი-
ჩვენებთო.

წყალმცენარეების სურნელით გი-
ქენილია ნიაგმა სახე გავვიგრილა.

თეთრ-ლურჯ ტალღების დუღუნს
მდინარის ზედაპირზე მონავარდე ჩი-
ტუნების ქლურტული ერთვოდა.

მცხუნვარე მზე დასავლეთით გადა-
ხრილიყო.

სარკედ ქცეულ მდინარეში, ნაპირ-
ზე ატეხილი ჭალები რომ არეკლილი-
ყო, ჩვენი თავები ვაღლიათებად წარ-
მოგვიდგა.

მეგზურებმა ბუჩქებიდან ნავი გი-
მოაცურეს.

— ამხანაგებო, ვისაც შეგიძლიათ
მდინარე გადასცურეთ. ოღონდ იარაღს
გაუფრთხილდით, არ დასველოთ! —
თქვა გერასიმენკომ:

— განა არა სჯობია იარაღი ნავზე
დავაწყეთ?! — წავილაპარაკე მე.

— არა! იარაღი ყოველწუთს ხელ-
ში უნდა გვეჭიროს მომარჯვებულნი!

— რაც არ უნდა დიდი მოცურავე
იყო, ამოდენა მდინარეს ისე ვერ გადა-
ცურავ ერთი-ორჯერ არ ჩაყურყუმა-
ლავდე, საჭურვლისა და ტანსაცმლის
დასველებას ვინ ჩივის, მოგეცეს ლხე-
ნა, წყალსაც გემოზე ყლაპავ!

— რა უჭირს! თოფი თუ დასველ-

დება გასწმენდ, ტანსაცმელსაც გას-
წურავ, გაამშრალბ. აი, ისაა უბედუ-
რება შარვლები არ ჩავისფაროთ!
ვთქვით კიდევ მოვიხნა მდინარის გა-
დაცურვა, ნავი ველარ ვიშოვეთ, მერე
რა გზას დავადგეთ?! ჰოდა, ომშიც სა-
ჭიროა წვრთნა-ვარჯიში!

ერთი სიტყვით, ვინც ცურვა ვიცო-
დით, ტანსაცმელი ხალათში გამოვკა-
რით და თავზე დავიმავრეთ. მარცხენა
ხელში თოფები დავიჭირეთ და მდი-
ნარეში შევეცურეთ.

მაშინვე დაეწინაურდი. ტალღებს
მსუბუქად მივაბობდი, მაგრამ მდინა-
რის შუამდე რომ მივადწიე, დავიღა-
ლე, ძირ-ძირ წავედი და თავი დამი-
სველდა. ერთხელ ჩავეყურყუმალავდი
კიდევ და წყალიც ვემოზე ვყლაპე, კი-
დევ კარგი მდინარე დრმა არ იყო, ფე-
ხის წვერი ფსკერს მივუწვდინე, თო-
რემ ნამდვილად ტანსაცმელს გამოვე-
შვიდობებოდი და დედიშობილა ვი-
ტანტალებდი.

რის ვაივაგლახით გავცურე მდი-
ნარე. საჭურველიც დამისველდა, ტან-
საცმელიც და მოღლილ-მოჭანცული
ციცაბო ნაპირზე ძლივს ავფოფხდი.

არც სხვებს დაადგათ ნაკლები
დღე. იმათაც ბევრი იყურყუმალავეს,
წყალიც ძლივს ვყლაპეს და ჩემზე
ნაკლებ არ წაერთვით არაქათი.

თფიცრებმა, დაჭირებმა და იმათ,
ვინც ცურვა არ იცოდნენ, მდინარე ნა-
ვით გადმოლახეს.

ტანსაცმელი გავწურეთ, იარაღი
გავწმინდეთ და ბუჩქებში გამავალ ბი-
ლიქს დავადექით. ტოტებშია გამოშ-
კრთალი ჩამავალი მზის სხივები თვა-
ლებში გვიჭვრიტინებდა. მარჯვნივ ტყე
ვევკვროდა. მარცხნივ კი გერმანელთა
ტრანსპორტით სავსე შარავზა...

მალე გორაკზე რამდენიმე სახლი
დავინახეთ; თუმცა რას ვამბობ, ისინი
ნაცარტულად ქცეული სახლების შავი
ჩონჩხები იყო.

უფროსი ლეიტენანტი სამი ჯარის-
კაცის გავზავნას აპირებდა იმის გასა-
გებად, იყვნენ თუ არა ხუტორში გერ-

მანქანები, რომ შარავნიდან ჩვენს მხარეს მანქანების კოლონამ გადმოუხვია და მდინარის პირას გაჩერდა.

მანქანებში მსხდომი გერმანელები ფაცი-ფუციტ გადმოხტნენ, ტანსაცმელი გაიძრეს და მდინარეში გადაეშენენ, უგუნურ ბიჭებივით ჭყუმპალაობდნენ, წუწიაობდნენ, ყვავებივით ჩხაოლდნენ.

ბანაობით გული რომ იჯერეს, ბუჩქებში კარგები გაქიმეს, სალაშქრო საწოლები გაშალეს.

ფეხშემეს, მიმღები ჩართეს, ვინ ცეკვავდა, ვინ მღეროდა, ვინ მღელოზე ნებივრობდა.

სულგანაბული ვუმხერდით გერმანელებს და სიმწრით კბილებს ვაკარბუხნებდით.

— ამათი დედა, თითქოს დაპყრობილ მიწა-წყალზე კი არა, თავიანთ მამა-პაპისეულ მამულში ნებივრობდნენ! — ამბობდა კუზნეცოვი.

— ეგ არ მიკლავს გულს! — თქვა გერასიმენკომ. — მერე როგორ თამაშობენ, არაფრისა ეშინიათ!

— ეჰ, — ამოიხრა ერმაკოვმა — ერთი ჩვენი ქვემეხები მოგვცა! აი, მაშინ ვნახავდით მაგათ ცეკვას!

— ამათ არც თოფების ბათქი აწყენთ! — თქვა კუზნეცოვმა.

— ასეც იქნება! — კვერი დაუკრა გერასიმენკომ, — როცა დაეყრებიან ცეცხლს მაშინ დაფუშენთ! მძინარეებს უფრო მეტ თავზარს დაეცემთ!

გერასიმენკომ რაზმი ორ ჯგუფად გაჰყო.

დამრტყმელ ჯგუფს სათავეში თვითონ ჩაუდგა, მოადგილედ სერჟანტი კუზნეცოვი დანიშნა.

პირველი ჯგუფი ბანაკს მალულად მიუახლოვდებოდა და თოფებითა და ერთადერთ გერმანული ავტომატით ცეცხლს დაუშენდა.

მეორე ჯგუფს, რომელსაც მე, ხაკი-მოვი და დაქრისები შევადგენდით, ერმაკოვი უმეთაურებდა. პოზიციას პატარა ბორცვზე დავიჭერდით და გერასი-

მენკოს ჯგუფს უკან დახევისას ცეცხლით დავიცავდით.

შედამდა თუ არა, გერმანელთა ბანაკში ხმაური მიწყდა.

გერასიმენკოს ჯგუფი მტრის ბანაკისაკენ გაემართა.

ჩვენ კი ბორცვზე ჩავსაფრდით. ბნელი ღამეა. ჩამი-ჩუმი არ ისმის. ერთბაშად ატყდა თოფების ბათქა-ბუთქი.

ცაში აჭრილმა შუშხუნებმა, ელვავით რომ გაფატრა წყვილიადი, არემარე გაანათა.

თავზარდაცემული გერმანელები საცვლებს ამარა გამოცვივდნენ კარგებიდან, მირბიან, მორბიან, ერთმანეთს აწყვდებიან. ზოგი მკერდზე ივლებს ხელს, ზოგი მუცელზე, პაერში ტრი-ალდებიან და პანტაპუნტით ძირს ცვივიან.

მტრის ბანაკიდან დაიჭექეს ავტომატებმა, აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები.

გუნდ-გუნდად მოფრინავენ მანათობელი ტყვიები, ერთმანეთს უსწრებენ, ცეცხლის ხაზებს ავლებენ. აყეფდნენ ნაღმმტყორცნებიც. ნაღმები იმ ალაგის გარშემო სკდებიან, საიდანაც გერასიმენკოს ჯგუფმა ცეცხლი დაუშინა მტერს.

— ყურადღებით იყავით, ეტყობა ჩვენები უკან იხევენ! — გვაფრთხილებს ერმაკოვი.

სულგანაბული ვწევარ. თვალს არ ვაცილებ ბრძოლის ველს, ცეცხლის მრავალი წერტილით რომ ისურება. თითქოს მესმის მიწაზე გართხმულ მებრძოლთა გულების ბაგა-ბუჯი, რაც შიშით კი არა, განსაცდელში ჩაგარდნილი ამხანაგების დარდითაა გამოწვეული.

და უცებ მარცხნიდან მტრის ბანაკს ვილატამ ავტომატით სროლა აუტეხა.

გერმანელებს მხოლოდ ორი ტყვიამფრქვევის ცეცხლი გადააქვთ ფლანგ-

ვანო ურჯუმილაშვილი
მოსკოვი ჰიმენალ მართია

ზე, მთავარ დარტყმას კი ისევ გერასიმენკოს ჯგუფს აყენებენ.

— ამხანაგო კაპიტანო, რაღას ველოდებით, ჩვენც გავხსნათ ცეცხლი! — მივმართე ერმაკოვს.

— არაა საჭირო! ამ სიმორზე ჩასაფრებული მტერს ვერაფერს დაეაკლებთ. ცეცხლის სისშირე მეტყველებს, რომ გერმანელები არ აპირებენ შეტევაზე გადმოსვლას. სროლით კი ჩვენი ჯგუფის უკან დახვევის მიმართულებას გავამჟღავნებთ და მტერს ცეცხლის კორექტირების შესაძლებლობას მივცემთ.

მართლაც გერმანელები ტყვიამფრქვევებს აქეთ-იქით ისვრიან. ნაღმები ხან ჩვენს წინ სკდებიან, ხან უკან, ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ.

ბოლოს ტყვიამფრქვევების ცეცხლით ტყის გაცხრილვა დაიწყეს. შხუილით მჭროლავი ნაღმებიც ტყეში ეხეთქებია.

ასიოდენ ნაბიჯზე ადამიანთა ლანდები დავინახეთ.

წაკუზული მოეშურებოდნენ. ცაზე შუშხუნა რომ დაეკიდებოდა, ან მათ შორიახლო ნაღმი ფეთქდებოდა, უმალ მიწას ეკვროდნენ, მერე კი, როცა არემარე შევად იმოსებოდა, ისევ მორბოდნენ.

ისინი ათნილა იყვნენ. დაღლილ-დაქანტულნი სულს ძლივს ითქვამდნენ. ჩვენთან მოიბრბინეს თუ არა, მიწაზე წამოწვნენ.

გერასიმენკო ერმაკოვის ორმოსთან მიწვა.

— ხომ არ სჯობია, ტყეს შევევროთ?

— უთხრა უფროს ლეიტენანტს კაპიტანმა.

— რაკი მტერი არ გამოგვედევნა, უმჯობესია ცოტახანს აქ დავრჩეთ! იმათა ჰგონიათ ტყეში შევაფარეთ თავი და ამიტომაც უშენენ იქ ცეცხლს!

— კუზნეცოვი დაილუპა?

— გადაპრით ვერაფერს ვიტყვი! — მიუვო გერასიმენკომ და მცირე ხანს შემდეგ დანანებით წაილაპარაკა. — თავად გამოთქვა სურვილი, თქვენს

უკან დახვევისას მტერს ფლანგიდან ავუტუნ სროლას, რომ ცეცხლი ჩემზე! გადმოიტანონ!

გერმანელებმა როდის-როდის შეწყვიტეს სროლა.

— ამხანაგებო, წითელი არმიის ნაწილები არც ისე შორს არიან, ეს ჩანს იქიდან, რომ გერმანელები რაღაც ათიოდე კილომეტრის დაშორებით ისვრიან შუშხუნებს. ამადამ რათაც არ უნდა დაგვიკედეს, უნდა გავაღწიოთ ჩვენებამდე! — მოგვმართა გერასიმენკომ და გზას გავუღეკით.

ტყის პირას ნაყუმბარევე ორმოებს წავაწყდით. ფოლადს ხეები დაუჩჩიხია, ტოტები დაუღლეწავს, ბუჩქები ძირფესვიანად ამოუტრიალებია. ტევრის სიღრმეში რომ შევედით, შეგვისვენეთ.

პირქვე ვწევარ. მინდა არაფერზე ვიფიქრო, როგორმე დავიძინო, მაგრამ ვერ ვახერხებ. განსაკუთრებით ეს ფიქრი არ მაძლევს მოსვენებას, ნეტავი, რა ბედი ეწვიათ მესაზიბრებებს.

დიღად მსიაშოვნებდა, რომ, აქ, საქართველოდან ცხრამთას იქით, გვერდით თანამემამულე მეგულებოდა, მართო ქართულად დალაპარაკება ერთ რამედ ღირდა. თურმე ადამიანი მაშინ აფასებს დედაენას, როცა თვისტომთ მოწყვეტილია!

გიგაურისა და მესაზიბრების სიკვდილი ვერ წარმომიდგენია! სისხლისმღვრელი ბრძოლა გამოვიარეთ, გვბომბავდნენ, არტილერიის ცეცხლს გვიშენდნენ, ტანკებით გვსრესდნენ, მაგრამ ზოგი უვნებელი გადავრჩით, ხომ ამბობენ ომში ყველა ჯარისკაცი არ კვდებაო! ვინ იცის, იქნებ ისინიც ცოცხლები არიან?!

ამ ფიქრებიდან გერასიმენკოს ბრძანებამ გამომიყვანა:

— აღეწით!

ზოზონითა და ზმორებით მივაბიჯებთ. წიწვოვანი ტოტები სახეს გვიკაწრავს, თვალებს გვთხრის! ძილი გვერევა, ზეზეულა ვთვლემთ. მალიმალ, ჩემს წინ მიმავალ თავჩაქინდრულ ჯარისკაცს ვაწყვდები.

პორიზონტზე ჯერ კვამლის ღრუბ-
ლები დაეინახეთ. მერე პატარა ქონმა-
ხების კონტურები გავარჩიეთ, ბოლოს
მადალი შენობებიც გამოიკვეთა.

— აბა, მარჯვედ, ბიჭებო, ჩვენ უკვე
კაუნასის მისადგომებთანა ვართ! —
გვაშხნევენ გერასიმენკო.

გზაზე შემხვდურ წითელარმიელე-
ბისაგან ვტყუბილობთ, რომ კაუნასის
მისადგომებთან ჩვენი ჯარის ნაწილებს
თავდაცვითი პოზიცია უკავიათ. იმსაც
ამბობენ, კაუნასში სამხედრო ოლქის
შტაბი იმყოფება და წითელი არმიის
მთავარი დამრტყმელი ძალები აქ ჩაე-
ბმებოდნენ ბრძოლაში.

მალე გზის ორივე მხარეს ჯარისკა-
ცებით სავსე თხრილებს წავადექით.

წინ ვიღაც მადალი კაპიტანი გადა-
გვიღდა, შეჩერდით, რომელი ნაწილი-
დან ხართ და საით მიემგზავრებითო.

გერასიმენკომ მოახსენა — ვინც
ვიყავით.

— მე ვერაფერს გეტყვით! წავიდეთ
ბატალიონის მეთაურთან, ის ვანსჯის
თქვენს საქციელს!

უფროსი ლეიტენანტი კიდეც რაღა-
ცის თქმას აპირებდა, მაგრამ კაპიტან-
მა ყური აღარ გვათხოვა და წინ გაგვი-
ძღდა.

სანგრებიდან ორასიოდე მეტრის
დაშორებით, ჯარისკაცები მიწურისათ-
ვის ორმოს თხრაიან, ტყიდან მორებს
ეზიდებოდნენ.

აქვე ტრიალებს მხარბეჭიანი, წარ-
მოსადეგი მაიორი, კაცი ვერ გაიგებს
მის წლოვანებას, რადგან დანაოჭებუ-
ლი სახით, ჭადარა უღვაშები რომ უმ-
შვენებს, მოხუცს ჰგავს, შემართული
მადალი ტანი და მიხრა-მოხრა კი ჭა-
ბუკური აქვს.

მაიორმა კაპიტნის მოხსენება რომ
მოისმინა, უცებ განრისხდა:

— მხდალნო, ლაჩარნო, რა უყავით
ქვემეხები, ცხენები, საბრძოლო მასა-
ლა?!

— ამხანაგო პოლკოვნიკო... — დაი-

წყო გერასიმენკომ, მაგრამ ბატალიო-
ნის მეთაურმა სიტყვა შეაწყვეტინა.

— წოდებით უფროსმა მომახსენ-
ოს!

— ამხანაგო მაიორო! უფროსი ლე-
იტენანტი ბატარეის მეთაურია, მე კი...
მაიორმა არც ერმაკოვს დააცალა
სიტყვის დამთავრება:

— რა ბატარეა, რის ბატარეა! რა
კაპიტანი, რის უფროსი ლეიტენანტი?!
მხდალები, პანიკორები, ღებერტარე-
ბი ხართ!

მინდოდა, მაიორისათვის მეტყვა,
რომ ჩვენ ამას არ ვიმსახურებდით,
მაგრამ ენას კბილს ვაჭერდი. ოფიც-
რებს სიტყვას პირში სჩრის, არ უჯე-
რებს, მით უფრო მე რას მომისმენს, ან
ჩემსას რას ირწმუნებს-მეთქი.

— ამხანაგო მაიორო! — დაიწყო
მტკიცე, დამაჯერებელი ხმით ერმა-
კოვმა. — ჩვენ პირნათლად მოვიხადეთ
ჯარისკაცული ვალი. პირდაპირ დამიზ-
ნებით დაგწვით მტრის ტანკები, სი-
ცოცხლეს გამოვასალმეთ მრავალი გერ-
მანელი, ამაზე მეტს ადამიანიშვილი
ვერ შესძლებდა.

— მერე რატომ გამოიქეციე, ია-
რალი ვის დაუტოვეთ?!

ველარ მოვითმინე და ვუღმოსულ-
მა შევძახე:

— ამხანაგო მაიორო, ჩვენ არ გა-
მოვქცეულვართ, მედგრად შევხვდით
ჯავშანირებულ მტერს!

— ვაჩუმი! შენ ვინ რას გეკით-
ხება?! — დამიყვირა მაიორმა. — თა-
ვის მართლება გეხერხებათ! ვერ მოგა-
რთვით! თქვენ გუშინ ყველამ ბრძო-
ლის ველი მიატოვეთ, იარაღი მტერს
დაუტოვეთ, ვასამართლებს ღირსი
ხართ!

— ესენიც, ამხანაგო მაიორო?! —
ეკითხება გერასიმენკო და ხელით და-
ჭრილებს უჩვენებს.

— არა! ის, ვინც სამშობლოსათვის

ვანო ურჯუმილაშვილი
მოსაოვნი ჰმეხნად მართა

სისხლი დაღვარა, დეზერტირად არ ჩაითვლება!

— ამხანაგო მაიორო, ჩემს ჯარისკაცურ სიტყვას ენდეთ! ჩვენ არ ვართ მხდალნი, დეზერტირები! — ეთქვი მე.

— რა ვქნა, რომელ ერთს ვენდო! ყველა, ვინც გამოიბის გაიძახის მხდალი არა ვართ! ამიტომ აღარავის მჯერა! — თქვა მომბალი ხმით მაიორმა, თვალი გამიშტერა და, თითქოს უცებ რაღაც გაახსენდაო, ისევ დამბატანა. — აქ სხვები არიან უფროსები, გაჩუმდი, რა გალაპარაკებს?

— ჯარისკაცური სინდისი! ვერ დავლემდები, რადგან ჩემს უფროსებს და ამხანაგებს ჰკადრებთ იმას, რაც არ დაუშვასხურებიან!

მაიორი მომიახლოვდა და ცნობის-მოყვარეობით დამაცქერდა.

წარბშეუხრებლად, თვალდაუხამხამებლად შევცქეროდი მას, მეგონა, გულმოსული იყო და, ან ახლა დამიწყებდა ყვირილს, ან ახლა. მან კი, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, ბულში ჩამწვდომი ხმით მითხრა:

— ყოჩაღ, ეს რა მგრძობიარე სიტყვა თქვი! — და კაპიტანს მიუბრუნდა. — ამხანაგო კაპიტანო, მებრძოლებს პირველ ასეულში ჩარიცხავთ. უფროს ლეიტენანტს ამავე ქვეგანყოფის, ხოლო კაპიტანს პირველი ოცეულის მეთაურებად ვნიშნავ! დაჭრილებს კი სანბატში გავზავნით!

— ამხანაგო მაიორო! — მიმართა გერასიმენკომ, — გთხოვთ მე და კაპიტანს ადგილები შეგვიცვალოთ, მე არტილერიისტი ვარ, ამას კი ქვეითების სასწავლებელი აქვს დამთავრებული.

— თანახმა ვარ, კაპიტანმა ასეულს უმეთაუროს, თქვენ კი ოცეული ჩაიბარეთ.

მე და ივანოვი გერასიმენკოს ოცეულში მოვხვდით.

უფროსმა ლეიტენანტმა ოცეული ჩაიბარა, უფრო სწორად, თხრილები რომ შემოიარა, მე და ივანოვს ერთმანეთისხაგან ხუთი მეტრის დაცილებით

ადგილი გვიჩვენა, სადაც ინდივიდუალური სანგარი უნდა გავგეთხარა.

მთელი დამის უძილონი ვიყავით, დაღლილ-დაქანცულნი, მაგრამ ორივე მარდად შევუდექით სანგრის თხრას. ეტყობა, წინათგრძობა გეიკარანახებდა, რა საშინელი დღეც გველოდა. და ვცდილობდით, რაც შეიძლებოდა ღრმად ჩავმარხულიყავით მიწაში.

ერმაკოვი ჩვენს ოცეულში მოვიდა. სანგრები დაათვალიერა. მერე კი გერასიმენკო განზე გაიხმო.

თავს ისე ვაჩვენებდი, ვითომ საქმით ვიყავი გართული, მაგრამ ყურებდაცქვეტილი ვიჭერდი მათ სიტყვებს, დილის ნიაფს ჩემამდე რომ მოჰქონდა.

გერასიმენკო: — ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, საკითხავია, რითი აპირებს მაიორი ტანკების მოგერიებას!

ერმაკოვი: — შაშხანებით! თუმცა ზოგ ჯარისკაცს ესეც არა აქვს!

გერასიმენკო: — ვერაფერი გამიგია, სად ვართ, ეს რა ნაწილია?

ერმაკოვი: — როგორც მითხრეს, ომამდე ბატალიონი სამხედრო აეროდრომს აშენებდა!

გერასიმენკო: — გამოდის, რომ მუშათა ბატალიონში მოვხვედრილვართ!

ერმაკოვი: — ზუსტად ასეა! ნაწილი დაკომპლექტებულია ახალბედებით. ზოგმა მებრძოლმა ხეირიანად შაშხანის სროლაც არ იცის! ქვედანაყოფებს ტყვიამფრქვევები და ნაღმმტყორცნები არ გააჩნიათ!

გერასიმენკო: — ნეტავი თუ მართალია, მაშველი ძალები გვიახლოვდებიანო?

ერმაკოვი: — მგონი ეს უფრო მებრძოლთა სურვილია, ვიდრე სინამდვილე.

გერასიმენკო: — სანამ გვიან არაა, საჭიროა ხმის ამაღლება! რა ფასი აქვს ტყუილუბრალოდ სისხლის დაღვრას. მტერს შიშველი ხელებით კი არა, ცეცხლით უნდა შევხვდეთ!

ერმაკოვი: — ქეშმარიტებას დაღვებ, მაგრამ რას გავხვებით, როცა

მაიორს უკან დახევასზე სიტყვის გავონებაც არ უნდა! გაიძახის, ჩვენ მოვალენი ვართ, შევასრულოთ სამშობლოსადმი მიცემული ფიცი. დაე, მტერმა ტანკებით დაგვსრისოს, ამოგველიტოს, მაგრამ არც ერთ მტკაველს უბრძოლველად არ დავთმობთო.

გერასიმენკო: ერთი მხრივ, მაიორი მართალია, სულ ვიხვეთ და ვიხვეთ! როდემდის უნდა გავრძელებდეთ ასე?..

ერმაკოვი: — ჰოდა, მტერს დავხვდეთ! სხვა ვა არცა ვგაქვს! მაიორის ბრძანება ჩვენთვის კანონია. ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, რაც შეიძლება ღრმად ვათხარონ ჭარისკაცებმა სანგრები! მიწაზე გამძლე, აუღებელი ფოლადი ქვეყანაზე არ მოაოვებია!

გერასიმენკო: — არის, ამხანაგო კაპიტანო — უფროსმა ლეიტენანტმა ისეთივე რიტუალებითა და მოხეიმი ხმით მიუთვო, როგორც ადრე ერმაკოვი მას მოახსენებდა ხოლმე.

სანგრები ვავთხარეთ, ტყისპირას ყამირზე მოჭრილი ბელტებით მოვაპირკეთეთ, ხის ტოტებით შევნიღბეთ. ამასობაში საუზმეც მოგვიტანეს. ირგველიე სიჩუმე იდგა. ქვემეხები დუმდნენ, არც თოფების ბათქა-ბუთქი ისმოდა, მაგრამ მზარეულმა წვნიანი რომ დავვისხა, ყველამ მიანიც თხრილებს მივაშურეთ.

საჭმელს ნელა შევექცეოდი. მინდოდა გამეხანგრძლივებინა ის სიამოვნება, რასაც ცხელი მუსულოს წვნიანი და შავი პურის ჭამა მგვრიდა.

თითქოს დილის მზის სხივებს ამოჰყვაო, ცაზე ერთბაშად გამოჩნდა მტრის თვითმფრინავი, ჭარისკაცებმა პირველი დღიდანვე „რამა“ რომ შევარჩეთ. არც ბომბებს ჰყრიდა, არც ტყვიამფრქვევით გვიშენდა ცეცხლს. ვერ გავგეგო ქორივით ცაზე გავრული რატომ დავგბლუოდა, მერე შევიტყვეთ, ეს მეკორექტივე თვითმფრინავი იყო. ისევე როგორც ქარიშხლის დაწყებას ქარი გვამცნობს, „რამაც“ ბრძოლის დაწყებას გვაუწყებდა ხოლმე.

შუბლით თავზე გადაგვიქროლეს

ჭურვებმა, ჩვენს ირგვლივ გავსია აფეთქებათა გრილი.

ვერ ვიტყვი, რამდენხანს გავრძელობდა ცისა და მიწის ჭიდილი, ეს კი კარგად მახსოვს, შეწყდა თუ არა ქვემეხების გრუხუნის, დასავლეთით, ჰორიზონტზე ერთბაშად მტრის თვითმფრინავები გამოჩნდა. ალბათ იფიქრებთ, ეს როგორ ჰყვარებია სიტყვა ერთბაშადო. რას იზამ, ბრძოლაში ბევრი რამ ხდება ერთბაშად, მოულოდნელად.

მარად გადავცალაპე ხელში შემოჩენილი ლუქმა, ქვაბურა თითით მოვასუფთავე და წამოვდექი.

მოახლოებულმა გუგუნმა გამაყრუა. სამ-სამად დამწყრივებული თვითმფრინავები, თითქოს უჭირთ ტვირთის ტარებაო, ნელა და მძიმედ მოიარწეოდნენ. ვერ გეტყვით მათ რაოდენობას, რადგან სიგრძივ-სიგანი თვალს ვერ გავუწყვდინე და, აბა, როგორ დამეთვალა.

სანგარში ჩავიკუნჭე. ერთი ფიქრი მანუგეშებდა, თუ ბომბი თავზე არ დამეცა, ეს პატარა ორმო ნამსხვრევებისგან მიანიც დამიფარავს-მეთქი...

უცებ თვალწინ წარმომიდგა: ვრცელი ველები, გოლიათი მთები, დიდი მდინარეები, ცა და მიწა... მე კი ამ პატარა ორმოს ვიყავ შეხიზნული. ეს იყო ჩემი ზესკნელიც და ქვესკნელიც. აქედან ცაც კი ერთ ციდად მოჩანდა. „ვაითუ, აქ არის ჩემი სამუდამო ადგილსამყოფელი?“ ტენში გამიელვა და სანგრის კედლებს მივეხუტე.

თითქოს ცა ჩამოიქცაო, გახანგრძლივებული ძლიერი გუგუნი გაძსმა.

ინსტინქტურად ყურებზე ხელი ვიტაცე, სანახევროდ მოხუჭული თვალით გავცქეროდი ერთ ციდა ცას, ნელ-ნელა შავად რომ ამოსებოდა.

ჩემს შორიანლო ცეცხლის მთა აღიმართა. ეს უხილავად შევიგრძენი. თუ როგორ, რანაირად, ძნელია აღწერა, ამას ის გაიგებს, ვისაც ასეთი რამ გამოუცდია.

შუქის ელვარებამ თვალთ დამიბნელა, გრიალმა ყურები დამიხშო, თავზე

მიწის გორბები დამეყარა. სულგანა-
ბული უძრავად ჭიწიქი.

თვითმფრინავები კი ისევ დავებულ-
ოდნენ, გაუთავებლად ბომბებს გვა-
ყრიდნენ.

ვერ ვიტყვი, რამდენხანს ვაგრძელ-
და დაბომბვა. ეტყობა, ასეთი მძიმე
წუთები დროის ჩარჩოში ვერ თავსდე-
ბიან.

ამ საშინელ დღეში ვართ და ჩვენს
უკან, ხუთასოდღე ნაბიჯის დაშორე-
ბით ცაში რამდენიმე შუშუნა აიჭრა,
აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, მხარი
აუბეს ავტომატებმა.

ვიღაცამ იყვირა, გერმანელებმა დე-
სანტი ჩამოსხეს, კაუნასი ხელთ იგ-
დეს და უკან დასახევი გზა მოვეპირე-
სო.

ამან შიშის ზარი დავცა, რასაც ისიც
დაერთო ზედ, რომ ჩვენამდე ტანკების
გუგუნმა მოაღწია. თვალბდაცეცებუ-
ლი ვიხედები აქეთ-იქით, მაგრამ ვერა-
ფერს ვხედავ. ბოლოს, მტრის მხარეს
კილომეტრის დაშორებით, გზის გაყო-
ლებით ატეხილ ბუჩქებში, თვალი მოე-
კარი შავ მოძრავ ჯვრებს. ისე მეჩვენე-
ბა, თითქოს ბუჩქებმა ფეხი აიღვეს და
ჩვენსკენ გამოემართნენ, მაგრამ უცე-
რად ძირს დაეგნენ და მიწაზე ტან-
კები გამოგორუხუნდნენ.

ჩვენს მხრიდანაც აკაკანდნენ ტყვი-
ამფრქვევები, გაისმა თოფების ბათქა-
ბუთქი...

ირველივე ჭურვები ფეთქდებიან. ეს
ისეთივე ძრწოლას მგვრის, სულს მი-
ფორიაქებს, როგორც საფლავში ჩასვე-
ნებულ ძვირფასი ადამიანის კუბოზე
ბელტებად მიყრილი მიწის დგაფა-
დგუფი.

ვიღაცა ყვირის:
— მიშველეთ ძმებო, მიშველეთ
ძმებო!

— ეს ივანოვია, ნუთუ დაიჭრა?! —
ვეკითხები ჩემს თავს, ხელებს მიწიდან
ვყოფ, ფეხზე ვდგები. არემარე შავ
კამლშია გახეული, ტრუსისა და დენ-
თის სუნნი ტრიალებს, გაფანტული
თვითმფრინავები ტყის თავზე, თითქოს

მიიბარებიანო, დაბლა-დაბლა
ნავენ. ერთი მათგანი კვამლის კული
რომ გამობნია, უცებ ყირავდება და
ტყეში იჩენება. ჩემგან ათიოდე ნა-
ბიჯზე ვეხებერთელა ორმოს კვამლი ას-
დის, ივანოვს ვერ ვხედავ, მაგრამ
კვლავ მესმის მისი ვედრება, მიშველეთ
ძმებო, მიშველეთ ძმებო.

ორმოსთან ყველაზე წინ ნიკიტამ
მიიბრინა. მაშინვე სანგრიდან ვბტები
და მეც იქ ვჩნდები.

ბომბის ნამსხვრევს ივანოვისთვის
მკერდი შეუნტრევია. ჩაწითლებული
თვალები ნელ-ნელა უტრიალდება და
ზედ ყვითელი ლიბრი ეფარება.

სანგარში ჩავხტი, თოფი სასროლად
მოვიმარჯვე. ჩვენს მეზობელ თხრი-
ლებიდან გახშირებით ისვრიან. მეც
მინდა ვისროლო, ამხანავეებს მხარი
ავუბა, მტერი მოვავკინო, არ ვიცი,
რა ვუწოდო ამ სურვილს: შესაძლოა ეს
იყო ბრძოლის აზარტში შესვლა, ან
განგმირულ ამხანაგთა სისხლის აღების
წყურვილი!

დაიხ, მტერს დავეძებ, მინდა ცეცხ-
ლი დავუშინო, მაგრამ ტანკების მეტს
ვერაფერს ვხედავ. შამხანებით ნასროლ
ტყვიებს კი სქელი ფოლადი ხოშკაკა-
ლასავით ისხლტეს!

და უცებ, ურჩხულთა ჯაჭვის მიღმა
ავარდნილ კვამლში ბუნდოვნად გავა-
რჩიე ისინი. ერთმანეთისაგან სამი-ოთ-
ხი ნაბიჯით დაცილებულნი მოაბიჯე-
ბენ და მკერდზე დაკიდებული ავტომა-
ტებიდან ისვრიან. ამ ვნისსა და ალი-
ქთოში, თითქოს ისიც გავიგონე, მოიე-
რნიშენი რაღაცას ვაპყვიან და თან სულ
უფრო ჩქარი ნაბიჯით მოეშურებიან.

ყველაზე მაღალი გერმანელი გამო-
ვთოფე, ჩახმას ფეხი ნელა გამოვუშა-
ლე, რადგან ხელი ოდნავ მიკანკალეს
და, ვშიშობ, ღმერთი არ გამოიყყრეს და
არ ავაცდინო.

თოფმა დაიქუხა თუ არა, გერმანელ-
მა მუცელზე ხელი იტაცა და პირქვე
დაემხო.

სიხარულით ლამის შევეძახე, მოვა-
ხვედრე-მეთქი.

მარჯვედ ვტენი თოფს, მაგრამ ვერ-
მანელებს ველარ ვხედავ. ვერ გამიგია,
სად გაქრნენ, მიწამ ხომ არ უყო პირი?!

ტანკები რაც უფრო გვიახლოვდებ-
იან სიჩქარესთან ერთად ცეცხლსაც
უხშირებენ, მაგრამ ჭურვები პოზიცი-
აზე როდიღა ფეთქდებიან, ტყვიებიც
ჩვენს მალღა წვივან.

გერასიმენკო დაწინაურებულ ტანკს
შეკრული ხელყუმბარებს ესერის, მუხ-
ლუხის ძირას პატარა ორმო ითხრება.
ურჩხული ოდნავ ყირავდება, მაგრამ
მაინც განაგრძობს სვლას. მეგონა,
ზღურბლთან მოახლოებულ ტანკებს
დაეწვავდით, დაებუგავდით. ამ სუ-
რათის დანახვა კი თავზარს მცემს. პის-
ტოლემტომარჯვებული მაიორი თხრი-
ლებსიკენ მორბის ყვირილით:

— ბიჭებო, არ შედრკვთ, დედას ვუ-
ტირებთ ამათ!

რა თქმა უნდა, ყოველივე ეს
ღროს უფრო მცირე მონაკვეთში ხდე-
ბა, ვიდრე ამის აღწერა შეიძლება.

მაიორმა სანგრებამდე რომ მოაღ-
წია, შესძახა:

— ბატალიონო, სამშობლოსათვის
წინ!

რამდენიმე ჯარისკაცი ამოხტა სან-
გრიდან, წელში მოკუხულებმა ათიოდე
ნაბიჯი გაირბინეს, მაგრამ გაუვალ
ცეცხლს რომ წააწყდნენ, მოტრიალდ-
ნენ და ისევ თხრილებს შეაფარეს თა-
ვი.

— სამშობლოსათვის, სტალინსა-
თვის, წინ! — უფრო ხმამალღა შესძა-
ხა მაიორმა და გაიქცა ტანკების შესა-
ხვედრად.

სანგრებიდან ერთბაშად მთელი ბა-
ტალიონი წამოიშალა. შეტევაზე გადა-
სულმა მეომრებმა მაიორი უკან მოი-
ტოვეს.

მგონი, სხვებზე შეგვიანებით ამოვ-
ხტი სანგრიდან. თითქოს მხრებში
ფრთები გამოიმესხა, მუხლში ძალა მო-
მემატა. მთელი ხმით ვაშას ვყვიროდი
და უშიშრად წინ გავრბოდი.

ისე მომეჩვენა, გერმანელი ტანკის-

ტები სახტად დარჩნენ, უცებ გონს ვერ
მოგენენ. სიჩქარეს მოუტლეს და თით-
ქოს სროლა შეწყვიტეს.

მათ წინ ხომ ყუმბარებით გადა-
თხრილი, ძირფესვიანად ამოტრიალე-
ბული თხრილები იყო და თუ ვინმე
სასწაულით სიკვდილს გადაურჩა, სან-
გრებში იყო გართმული. ალბათ, ეგო-
ნათ სულით დაცემული, წამხდარი ჯა-
რისკაცები მივუახლოვდებით თუ არა,
მუხლის თავებზე დამოქილნი შემოგვე-
ვედრებიან, ნუ გავგსრესავთ, შეგვი-
ბრალებთ, სიცოცხლე გვაჩუქეთო. ამას
კი, ალბათ, ვერც წარმოიდგენდნენ,
რომ დასისხლიანებული ადამიანები
მინგრეულ-მონგრეული ორმოებიდან
კი — ენით წამოიშლებოდნენ და ვა-
შას ძახილით, ხიშტებით ტანკებს ეკვე-
თებოდნენ.

აღარაფერი გამეგებოდა, ვერაფერს
ვხედავდი, მაგრამ ერთი სურათი დამა-
მახსოვრდა. პირტიტველა ქერა ჯარის-
კაცმა, ჩემს მხარდამხარ რომ მორბოდა,
ფოლადის ურჩხულს, ვით სავარჯიშო
ჩუჩლას, წინა ბაქანის შვერილაზე
ხიშტი მთელი ძალით ატაკა, და, თან
რუსულად დედა შეუტურთხა. თითქოს
ასანთი გაკრესო, ფოლადმა ნაპერწკა-
ლი გაყარა. ხიშტი შუაზე გადატყდა.
ბალახივით მოცელილ ჯარისკაცს კი
ტანკმა ზედ გადაუარა...

არ ვიცი ტანკისტებმა განწირულად
ჩაგვთვალეს, თუ ჩვენთან საქმე მოთა-
ვებული ეგონათ, ან იქნებ არ უნდო-
დათ ელაღატათ ელვისებური ომის ნა-
ცად ტაქტიკისათვის, გარდვევდნენ თუ
არა თავდაცვით ზღუდეს, სწრაფად ან-
ვითარებდნენ შეტევას, წინ, სულ წინ
მიისწრაფოდნენ, რათა ალყაში მოე-
ქციათ მიხრწილი, დაქსაქსული მოწი-
ნაღმდეგე. ამჯერადაც ტანკებმა სანგ-
რები გადათელეს, მარცხნივ გაუხვიეს
და გრუხუნით გზატყვეცილისაკენ გაი-
ქრნენ.

თავდაცვითი ზღუდის გარდევით

ვანო ურჯუმიანი
მოხაოვი ჰმეხნად მართი

წათამამებელი გერმანელები ავტომატების ბათქა-ბუთქით მოაბიჯებდნენ.

ჩვენ და ისინი ერთმანეთს დავერიეთ. უცებ მაიორს მოვკარი თვალი. პისტოლეტის ტარის თავში დარტყმით ძირს დასცა მაღალი სათვალაინი გერმანელი. იმას კი ვერ მივხვდი, თვითონაც მაშინვე მუცელზე რატომ იტაცა ხელი და ჩაიჩოქა.

— დასცხეთ, ბიჭებო, დასცხეთ! — ვვიროდა იგი და ყოველ სიტყვასთან ერთად პირიდან სისხლის შხეფებს ყრიდა. თან თითქოს ზემკლავს აკეთებდა, პისტოლეტს მაღლა სწევდა და უშვებდა, სწევდა და უშვებდა.

ჩემს ცხვირწინ საყელო გახსნილი გერმანელი აილანდა, ჩაფხუტი კეფაზე მოჭექვოდა, თვალებს ისე მიბრაილებდა, თითქოს მემუქრებოდა, ვიჩვენებ სერიხს, ასო-ასო აგუწავო. ცალი წარბი მაღლა შეეგდო, პირი მოეკუმა და მრისხანე მბრძანებელივით მედიდურად მიმხერდა, მთელი მისი სიფათი, გამოსხედა ჩემში ზიზღს, სიძულვილს ბადებდა... ინსტინქტით, თუ შიშით განზე გავხტა. თოფი შევემართე და ის იყო დუგლუგი სახეში უნდა მეთხლიშა, რომ გერმანელმა ხელი მუცელში იტაცა, დაიმაწა და გულადმა ვადავარკო. უფროს ლეიტენანტს გერასიმენჯოს ფაშისტი წამოეჭია, ორივე ხელი ყელში წაეჭირა და ახრჩობდა. ცოტა იქით, მიწაზე გართხმული ნიკიტა და გერმანელი ერთმანეთს ჩაბლაუჭებოდნენ. ხან ერთი იყო ზევით, ხან მეორე და ნაყუმბარევე ორმოსაკენ მიგორავდნენ.

საიდანაც უწვევრულავაშო გერმანელი გამოტყვრა, არენაზე გასულ მოჭიდავეებივით ერთმანეთისაკენ გავექანეთ. რაც ძალი და ღონე მქონდა ხიშტი მკერდში ჩავცხე.

გერმანელის დაყვირება ავტომატის ტკაც-ტყუცში მთაინთა. მერე ორივე ხელთ ხიშტს ჩააფრინდა.

ისე ვივარძენი, თითქოს ვილაცამ ფეხი დამიდო და ძირს ზღართან გავიღე.

მეგონა გერმანელი კიდევ მესტრისა თავი მისკენ შევაბრუნე, მაგრამ უმალ გავშეშდი, მთელი გულმკერდი დამეწვა.

ცა ნელ-ნელა ღრუბლებით დაიფარა, იბგვლივ ყველაფერი გაბუნდოვანდა. მკერდის მარცხენა მხარეს ჭვალი დამადგა, რაც უცებ სულისშემბუთველ, ყრუ ტკივილად გადაიქცა. თუმცა ეს ტკივილს კი არა, ძვლების მტკრევას, დანაკუწებას უფრო ჭავდა. თვალში სინათლე მაკლდებოდა. ცა, მიწა, ყველაფერი, რასაც კი ვხედავდი ბნელ ჭურღმულში იძირებოდა და ნელ-ნელა მეც წყვიდადში ვინთქმებოდი.

«ეტყობა, ასე იწყება სიკვდილი», — გავიფიქრე და სულგანაბული გელოდი აღსასრულს.

თითქოს ყველაფერი დადუმდა, ყველაფერი გაქრა. მაშ, საოცრება არაა? თვალებს მაგრად ვხუჭავ, არაფრის დანახვა მწადია.

«არგი და თუ ვკვდები, ჭკუა რატომ არ მერთმევა? ან ყელი რატომ მიხურს?! ოპ, ნეტავი წყალი დამალუვინა, თუნდა ერთი ყლუბი, თუნდ ერთი წვეთი?!» — და გონებას ვძაბავ, მინდა ფიქრს ჩავუღრმავდე, მაგრამ მაინც ვერ ვგებულობ ჩემს თავს რა ამბავია, ან ისე რამ შემბორკა, რამ გამთანგა.

ჰო, მე დავიჭერი. მეგონა, ვკვდებოდი, მაგრამ ეტყობა ვადავრჩი, ღმერთმა არ გამწირა.

ნეკნებთან ყრუ, გულის მღრღნელ ტკივილსა ვგრძნობ, რაც თანდათან მთელ სხეულს ედგება. იმის გასაგებად, თუ სად მომხვდა ტყვია, ოდნავ ვიშმუშნები და უმალ ისე ხმამაღლა ვკივი, თავად მზარავს ჩემი ხმა.

ფრთხილად ვისვამ გვერდზე ხელს, თითქოს თაბაშირში ამოუღლიათო, პერანგი და ხალათი ტანზე შემხმობია! თვალს ფრთხილად ვახელ, მინდა გავიგო, სად ვარ, ჩემს თავს რა ამბავია.

მწუხრის ქამია. ისეთი მეწამული დაისია, თითქოს ტყის მიღმა ჭიაკოკო-

ნები აუნთიათ. ყუმბარებით გადა-
 თხრილ, ცეცხლით გადაბუგულ მინ-
 დორზე საბჭოთა და გერმანელ მეომარ-
 თა გვაძები ყრია. მაშ, ეს საქმეა?! სა-
 ნამ სული ედგათ, ღმერთის ნაბოძარ
 მიწაზე ვერ ეტეოდნენ, სისხლმოწყუ-
 რებულნი ერთმანეთს სასიკვდილოდ არ
 ინდობდნენ. ახლა კი სისხლდაშრეტილ-
 ნი, დასახიჩრებულნი, მშვიდად, უდრტ-
 ვინველად წვანან. იმის გაგებაც ძნელ-
 დება, ვინ რომელიც ერის შვილია. ნე-
 ტავი რა ბედი ეწიათ ჩემს თანამებრ-
 ძილთ?! ვის შევლადადო, ვინ გამცემს
 პასუხს?! ნუთუ ისინიც აქ არიან, უძ-
 რავად წვანან დამცხარლნი და დადუ-
 მებულნი?! თვალში სინათლე მემატება
 და დაჭრილებს უფრო ვარკვევით ვხე-
 დავ. ჩემს შორიასლოს მეორე ქვემეხის
 მემიზნე წევს გულადმა. ხელი თავქვეშ
 ამოუდგია, სწორედ ისე, როგორც ძი-
 ლი იცოდა.

აგერ მაიორიც. თავი აქვს გაჩეხი-
 ლი. აწეწილ თმაზე სისხლისა და ტვი-
 ნის შეხეები შეხმობია. მის აქეთ-იქით
 ორი გერმანელის გვაში გდია. ორივეს
 პირიდან ენა გამოსჩრიათ. თვალის კა-
 ლები მოხარშული თევზივით გადმოს-
 ცვენიათ.

ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს
 უკაცრიელ სასაფლაოზე ვარ. თუმცა,
 ეს სასაფლაოს კი არაა, უფრო ადამიან-
 თა სასაქალოს ჰგავს. ყუმბარებით ვა-
 დახნულ, ცეცხლით გადაწვარ მიწას
 სისხლის ნაგუბრები ატყვია. აღარ ვაი-
 სმის ბრძოლის ნაღარა. ირგვლივ დუ-
 მილი, უძრაობაა გამეფებული. ჩრდი-
 ლიც არ იძვრის. ყველაფერი ჩამქრა-
 ლა, ჩამკვდარა. ხელის ვანძირევა არ
 ძალმიძს, სუნთქვაც შემზარავ ტკივი-
 ლებსა მგვრის! „ღმერთო, მეტი მოთმე-
 ნა აღარ შემიძლიან, დღე შემიმოკლე,
 მომკალი, მომასვენე!“ — ვბუტბუტებ
 გულში და ვარსკვლავებით მოჭედოლ
 ცას შევცქერო.

მეჩვენება, რომ ჩემი მსხვერპლი
 დაქინებით მაქტვრდება. ნუთუ ისიც
 ცოცხალია?! ჰო, მგონი, ცოცხალია!
 თვალეზახელილი მიმშტერებაა! ნე-

ტავი გული რამ ამიძგერა?! მე ხომ იგი
 არ დავინდე, სასიკვდილოდ გავიმეტე,
 რადგან თუ მე არ დავასწრებდი, ის
 მომკლავდა. რაში მენადვლება, რატომ
 მინდა მისი სიცოცხლე?! ეტყობა, გა-
 ჭირვების ემის მარტოობაში კაცს მხო-
 ლოდ ადამიანი აიმედებს, ძალას მა-
 ტებს. ჩემზე ნაკლებ ალბათ, არც ის
 წვალობს, იტანჯება და მალე სული
 ამოხდება!

ნეტავი ხელში რაღა უჭირავს. ნუ-
 თუ პისტოლეტია? არა! ხელში პისტო-
 ლეტი კი არა, ინდივიდუალური პაკეტი
 უჭირავს, ღიახ პაკეტი.. საოცარია
 თითქოს ხელსაც მიქნევს, იქნებ ჩემი
 მიტყუება განუზრახავს? ჯანდაბას, ვა-
 ნა სულერთი არაა, სისხლისაგან და-
 ვიცლები, თუ გერმანელი მომიღმს
 ბოლოს?!

ნიდაყვებზე დაყრდნობილი მივხობაგ,
 მაგრამ საშინელი, შემაწუხებელი ტკი-
 ვილი მაიძულებს შევჩერდე. ერთხანს
 უძრავად ვწევარ. ტკივილი მიუჩრდება
 და ისევე მივილტვი, ვგმინავ, ვაიმე დე-
 დას ვყვირი, მაგრამ მაინც ჭიაცელასა-
 ვით ნელ-ნელა მივსრიალებ.

მოიცა! თვალს ხომ არ მატყუებს.
 მგონი ისიც ჩემსკენ მობობდავს, ოდ-
 ნავ, შეუღმწველად, მაგრამ მაინც, მო-
 ბობდავს! მერე რა საცოდავად გმინავს,
 კენესის! მალი-მალ ჩემთვის რაღაც გა-
 უგებარი სიტყვას წარმოთქვამს. ვინ
 იცის, იქნებ დედას ეძახის, დედას
 სთხოვს შევლას!

და აი ჩვენ ერთმანეთისგან ხელის
 გაწვდენაზე ვწევართ.

მეგონა ფაშისტები ოთხფეხა მხეცე-
 ბი იყვნენ, შუბლზე გამოსხმული რქე-
 ბით, დაჭრილი გერმანელი კი ჩვეულებ-
 რივი ადამიანია, ჩემი კბილა, შეიძლე-
 ბა ახალგაზრდაც. საბრალოდ შემოამც-
 ქერის ცასავით ლურჯი თვალებით. პა-
 ტარა ბავშვურ ტუჩებს აცმატუნებს, რა-
 დაც გაუგებარს მეჩურჩულება. თან
 ხელით მანიშნებს ახლო მოიწიეო!

ეჭვიც არ მეპარება რომ სასიკეთოდ
 მიხმობს, მისი როდილა მეშინია და ხოხ-
 ვით ვუახლოვდება.

ოფლში ვიწურები, სისხლში ვცუ-
რავ, მაგრამ გერმანელის ოფლისა და
აშშ-მორბული სისხლის სუნი მაშინვე
ცხვირში მეცა!

ცალ ნიდაყვზე წამოწეული გერმანე-
ლი პაკეტს ხსნის, სისხლმეხმარ ხა-
ლათსა და პერანგს მიწვეს და ბინტს
წელზე მახვევს.

ექიმივით მარჯვედ, ვაბედულად მუ-
შაობს.

ნახევარი ბინტი რომ შემომახვია,
ხელით ვანიშნე, მეყოფა, დანარჩენი
შენ შევიხვევ ჭრილობას მეთქი. უარის
ნიშნად ხელს აქნევს, თან ჩანთაზე მი-
თითებს, ალბათ იმის თქმა უნდა, მე-
ორეცა მაქვს, მე იმითი შემისვით.

გერმანელი ფერდშია დაჭრილი. ჯერ
ხალათი, მერე ტანზე მიკრული პერანგი
აფუწივ. ჭრილობაზე ბამბა დავადე და
ბინტი შემოვახვეი.

— გმადლობ! — მეუბნება ოჯი დამა-
ხინჯბული რუსულით და ოვალებს ხუ-
ჭავს.

მეც მადლობას ვეუბნები. თვალები
თავისით მეხუჭება, ძილი თავს მართ-
მევს.

ვერაფერი ვამიგია, მძინავს, მაგრამ
მაინც ვაზროვნებ. იღუმალი ღამეა. თავ-
ზე ვარსკვლავნი დაგვნათიან. ქვეყანა
ძილს მისცემია. მხოლოდ ჩემი ხვრინ-
ვა არღვევს ჩამოვარდნილ სიჩუმეს.
დრო და დრო ვხროტინებ, რაღაც ვა-
უგებარ სიტყვებს ვბურტყუნებ! მხო-
ლოდ იმას ვნატრობ, ნეტავი მალე მა-
ინც გათენდეს, ერთხელ კიდევ ვედირ-
სო დღის სინათლეს-მეთქი.

„ჰი, მაგრამ რის იმედი გაქვს, სა-
იდან იცი, რას მოგიტანს ხვალისდელი
დღე?“ ვეკითხები ჩემს თავს და თით-
ქოს ვიდაც ჩურჩულით მეპასუხება,
მორჩა, ვედარ ელისებები განთიადს, ამ
წყვედადში ამოგხდება სულიო.

კვენსა მესმის. ვაოგნებული ვარ,
ვერ ვიგონებ ჩემს გვერდით ვინაა?! იქ-
ნებ მე ვკენესი?! და უცებ მახსენდება
გერმანელი ჯარისკაცი!

თვალს ვახელ. ბნელა, თითქოს ვარს-

კვლავებსაც მისძინებოთ, ოღნავ ბეუ-
ტავენ.

ანაზღად ირგვლივ ჩამოვარდნილ სი-
ჩუმეს ადამიანთა ფეხის ხმა არღვევს.
ყურს არ ვუჭერი, რატომღაც მგონია,
რომ მეჩვენება.

არა, არ შევმცდარვარ, ფეხის ხმა
მართლა ისმის, ვიდაცეები გვიახლოვ-
დებიან. ნამდვილად გერმანელები არი-
ან!

დაჭრილ ამხანაგს დახმარებას აღმო-
უჩინენ... მე კი ტყვიას დამახლიან, სი-
ცოცხლეს მომისწრაფებენ.

სხვა საშველი არაა, თავი უნდა მო-
ვიმკვდარუნო! მერე დაჭრილი ჯარისკა-
ცი არ გამამხელს?! ვაითუ თავისიანებს
უთხრას, რომ მე ცოცხალი ვარ. შესაძ-
ლოა მან ეს კეთილი განზრახვით ვა-
აკეთოს, რათა მეც დახმარება გამოიწი-
ონ, სიკვდილისაგან მიხსნან. მე და დაჭ-
რილი გერმანელი მშაკვრულმა ბედმა
დაგვაახლოვა?! სხვები რას ვაიგებენ
ჩემს ტანჯვა-ტყვიელს, ფეხებზე დამი-
კიდებენ, ჭიანჭველასავით გამსრესენ!
მაგრამ ვინ იცის, იქნებ ჩვენები არი-
ან?! ადვილი შესაძლებელია. ასეცაა.
გამარჯვებულნი ფეხაკრფით ქურდუ-
ლად როდი დადიან?!

ნეტავი რატომ დღუმან, რა იქნება ერ-
თი მაინც დაილაპარაკონ?!

და უცებ, სულ ახლო დავინახე ისო-
ნი. თავჩაღუნულნი, ქანცვაწყვეტილნი
მოაბიჯებენ. როცა დაგვიპარისპირდ-
ნენ ერთი მათგანი შეჩერდა. ჩემსკენ
გამოიხენდა და ქართული აქცენტით
თქვა:

— ბიჭებო, მკედრები! საველე ჩან-
თები ვაგუსნიჯოთ იქნებ რაიმე ჰქონ-
დეთ საკმელი!

— მემშარიაშვილო, სულ ჭამაზე უნ-
და ილაპარაკო, თუ კაცი ხარ, ფეხი გა-
მოადგი, გამოიარე! — მიუგო ვივა-
ურმა ქართულად! სიხარულით გული
ამიჩუყდა, თვალში ცრემლი მომაწვა და
რაც ძალი და ღონე მქონდა, შევძახე:

— შაქრო, მიშველე!

ხმა ისე წამრთმეგია, ისე დავსუსტე-
ბულვარ, რომ ძალიან ხმადაბლა გამო-

მივიდა და ჩემი ძახილი ამხანაგებს ვერ მივაწვდინე.

გარკვევით მესმის მხვერავი სიდორისა და მწერლის ლაპარაკი. ისინი ნელ-ნელა გვეცილდებიან და, ალბათ, მალე მიიწყებენ, მინელდება მათი ფეხის ხმა.

გული მიკვდება! მართლაც ეს რა უბედურებაა ჩემს თავს?! ასე ახლო არიან ჩემიანები, მე კი ვერ ვაგებინებ, რომ მათ შორიახლო ვწვეარ დაჭრილი, სასიკვდილოდ განწირული.

ძაღვონეს ვიკრებ, ვცდილობ ნიდაყვზე წამოდგომას, მაგრამ ვერ ვახერხებ.

და ისევ ვყვირო: — ძმებო, ძმებო! — მაგრამ ამჯერადაც ჩემი დასუსტებული ხმა ამხანაგებმა ვერ გაიგონეს.

— ძმებ, ძმებ! — უცებ აყვირდა ჩემს გვერდით მწოლი გერმანელი.

შეეკრთი. ვერაფერი გამიგია. ამას რაღა აყვირებს, რისი იმედი აქვს!

ჩემს გამახვილებულ ყურთასმენას არ გამოეპარა სახტად დარჩენილ მებრძოლების ლაპარაკი:

სიდოროვი: დაჭრილია დავეხმართო! მეძმარიაშვილი: ჩვენი თავისთვის ვერ მოგვივლია, მაგისტვისა გეცხელა!..

სიდოროვი: ჭრილობას მაინც შევუხვევთ!

მწერალი: რითი, ცარიელი ხელებით! გიგაური: ჯერ ენახოთ, ვინ არის, რა გაჭირვება ადგია!

აი ისინი უკვე ჩემგან ორიოდ ნაბიჯზე არიან. წინ გიგაური მოაბიჯებს ფრთხილად, ფეხაკრფით. უკან სხვები მოსდევენ.

— ბიჭებო მე ვარ, მიშველეთ! — ვეუბნები აქვითინებული ხმით.

— რას ამბობ, ეს შენ ხარ? — მეკითხება გიგაური.

— მე ვარ, შაქრო, მიშველე!

— ვედარაფერი გამიგია, ეს ვილაა?!

— ამბობს მეძმარიაშვილი.

— გერმანელია, დაჭრილი! — ვეუბნები მე.

— მერე, რა ღმერთი გაგიწყრა, ან-

დერძი ვეღარ აუგე! — ამბობს სიდოროვი და მხრიდან თოფს იხსნის.

— არ ესროლო, გეხვეწები, გემუდარები, ჭრილობა შემისხვია, სიკვდილს გადამარჩინა!

— მერე რა, ფაშისტი მაინც ფაშისტია და უნდა ჩააღლდეს! — და თოფს იმარჯვებს.

გერმანელმა განწირულივით შეჰკივლა:

— არბაიტერ... ტელმან... — და სროლის მოლოდინში მოიკუნტა, დიძაბა...

— თუ არბაიტერი ხარ, ტელმანს თანუგრძნობ, აქ რა გინდა, რაღას გვეომები?! — ეუბნება სიდოროვი და ჩახმასს აჩხაკუნებს.

— შეჩერდი! — შესძახა გიგაურმა მბრძანებლური ხმით და სიდოროვს თოფზე ხელი აუკრა: — წაქცეულეს არ ურტყამენ!

— ეს აღამიანებზე ითქმის, და არა ფაშისტებზე!

— დაჭრილი, დაჭრილია, სულერთია ვინც არ უნდა იყოს!

— მერე, რატომ ფაშისტები არ გვინდობენ? ამიტომ ისინი არც ჩვენ უნდა შევიბრალოთ.

— რას იზამ? კაცთმოყვარეობა გვიკარნახებს დაჭრილზე ხელი არ აღეშრათოთ, თუ სიკვდილი უწერია, დე, თავისით მოკვდეს!

ხარიხები მოძებნეს, ზედ ლაბადა დაამაგრეს და სახელდახელოდ საკაცე გამოართეს.

ჭრილობა ცოტა თითქოს დამიამდა, მაგრამ საკაცეზე რომ მაწვენიდნენ, ტკივილისაგან კინაღამ გული შემიღონდა, სიმწრით კბილებს ვაკრაჭუნებდი, ამხანაგებს ვეხვეწებოდი, ფრთხილად, თუ ღმერთი გწამთ, ფრთხილად-მეთქი.

როცა ორმა ჯარისკაცმა საკაცე ასწია და ხარიხები მხრებზე გაიდო, გერმანელმა ოდნავ ხელი შეათამაშა.

ხელი მეც დაუქნიე.

ბნელოდა... და აბა ამას როგორ და-

ვანო ურჯუმილაშვილი
მოსაოვი მამყნად მრძნი



ვინახავდი, მაგრამ ისე მომეჩვენა, გერმანელს თვალში ცრემლი მოადგა! დღესაც არ ვიცი, რის ცრემლი იყო ეს?! ჯარისკაცებს რიგრიგობით მიაქვთ საკაცე. თითქოს გრძობენ, რომ როგორც კი ნაბიჯს მოუმატებენ ტკივილები მიმძაფრდება, ამიტომ ფრთხილობენ ნელა, ფეხბაკრეფით მიდიან. თანაბარი რწვევა კი ძილსა მგვრის, მაგრამ თვალებს ფართოდ ვახელ, ვახველებ, არ მინდა ამხანაგებმა იფიქრონ დახე, ამას, ჩვენ მისი ტარებით წელი გვეწყდება, თვითონ კი ძილით იბერებაო.

ტყეს ბოლო არ უჩანს!

მესაზიარებები გაბმული ბარდებში მიბიჯებენ, ჩახერგილ ხეებზე სანახევროდ მიფოფხავენ, გზას ძლივს მიიკვლევენ! თუმცა სად არის გზა?!

ირგვლივ უსახდვრო უძირო სიჩუმეა, არ გაისმის ტყის ფრინველთა ტრიაბული, ნადირთა ფუსფუსი, კივილწრიბინი.

რამდენხანს იარეს ვერ ვიტყვი, რადგან სანახევროდ უგონოდ ვიყავი. თანდროის გრძობა დაკარგული მქონდა. ალბათ შუალაშე გადასული იყო, რომ ხის ძირას დადგეს საკაცე.

გივაური ახლო-მახლო ბუჩქებში ბალახს გლეჯს და თავქვეშ მიგებს, თან მამხნეებს მშვიდად დაიძინე, საშიში აღარაფერია, ალბათ ხვალ გავაღწევთ ჩვენთანებამდე და ლაზარეთში გავზავნითო.

გივაურის სიტყვამ გამამხნევა, დამაიმედა. თითქოს ტკივილებიც შემომსუბუქდა. ერთი რამ მაფიქრებს, მოსვენებას არ მაძლევს, ვერმანელებს რომ გადავეყაროთ, ვაითუ ამხანაგებმა ბედის ამარად მიმატოვონ, თვითონ კი თავს უშველონ! მწერლისაგან ყველაფერი მოსალოდნელია! ის ხომ დეზერტირია. მტერს ზურგი უჩვენა, ბრძოლის ველიდან გამოიქცა, ვერ გადამიწყვეტია, ვუთხრა ამხანაგებს მისი საქციელის შესახებ თუ არა?! ახლა მგონი ამაზე ლაპარაკის დრო არაა. ვაითუ ამხანაგებს უსიამოვნება მოუვიდეთ, ვაითიშონ, დაიქსაქსონ, ჯერ გავიდეთ ჩვენიანებთან,

მერე ამოვიღებ ხმას, მწერალს ვეუბნები ხელ, ყველას გავაგებინებ რომ იგი მშიშარაა, მხდალია, მოლაღატე!

სადაც ტყის იქით მთვარემ ცხვირი ამოყო. ჯერ ხის კენწეროები გაბრწყინდნენ, მერე ტყესაც მოეფინა შუქი. ავის მომასწავებლად როდილა მეჩვენება ტვერი. ირგვლივ ყველაფერი ძილს მისცემია. მცენარეები მშვიდად ფშვიანავენ.

და მე შეენატრი დაღუშებულ ტყეს. მაშ, ეს საქმეა?! ხეებს, ბუჩქებს, ბალახს, მწერებსაც კი მშვიდად სძინავთ. მე და ჩემი ამხანაგები, და ალბათ, ჩვენსავით მილიონებით ადამიანი ამ სიმშვიდესა და ნეტარებას მოკლებული ვართ.

როდის, როდის ვიძინებ, მაგრამ ეს ძილი კი არა, კოშმარია. ჩემს გარშემო ქვეწარმავალნი დასრიალებენ, იღლიაში მიძვრებიან.

დილით უთენია მეღვიძება.

ამხანაგებიც უგუნებოდ არიან. ვანსაკუთრებით მეძმარიაშვილია დაძმარებული. შუბლმეკრული ხის ძირას ზის. მწერალსაც თავი ჩაუღუნია.

გივაური ყველაზე მაღალ ხის კენწეროზე ცოცდება და ყურადღებით ათვალეირებს გარემოს.

თურმე ჩვენგან რაღაც ხუთასიოდენ ნაბიჯზე გერმანელთა რომელიღაც ნაწილია დაბანაკებული...

გივაურმა და მეძმარიაშვილმა საკაცის ხელნები მხარზე შეიდგეს და გზა განაგრძეს.

წინ სიდოროვი მიგვიძღვის, მწერალი კი უკან მოგვდევს.

ამხანაგები ერთმანეთს სულ უფრო მალი-მალ სცვლიან, მაგრამ მაინც საკაცე გოჯი-გოჯით დაბლა იწეც. ამასთან მესაზიარებები სულ უფრო ვახშირებით სუნთქავენ.

ტყე თხელდება, ბარდები გაუვალი ხდება. ნიადაგი დამბალია, ალაგ-ალაგ ტბორები დგას, მესაზიარებებს ხან ფენი უტურდებათ, ხან ტალახში იფლობიან. რყევა და ჭანჭლარი ტკივილებს მიმწვავენს, გულს მიღრღნის, ლამის

ვიყვირო, რომ მეტი აღარ შემძლია, ან ნელა მატარეთ, ან სადმე ბუჩქებში მიმაგდეთ-მეთქი, მაგრამ პირს ვაკუმავ, ენას კბილს ვაჭერ, რადგან ვამჩნევ, რომ ამხანაგები თვითონვე ძალიან ფრთხილობენ, რომ არ მანჯღრიონ.

ჭაობს წავაწყდით.
მესაზიარებები სკაცის მშრალ ადგილას დგამენ, გარემოს ათვალეირებენ, მსჯელობენ. მწერალი ამბობს, დაღლილ-დაქანცულები ვართ, თან დაჭირილი ამხანაგიც ჩვენი გასაყვანია. ჭაობის გადალახვა ძალიან გაგვიძნელდება, ვითუ ჩავიფლოთ, ჭუჭუბივით ჩავიხრჩოთ. უმჯობესია უკან გავბრუნდეთ, ტყეს შევადაროთ თავი, დავისვენებთ, სურსათ-სანოვაგეს ვიშოვით, ამასობაში მდგომარეობაც გაირკვევა. ის მაინც გვეცოდინება სად ჩვენები არიან, სად მტრები და ასე უგზო-უკვლად აღარ ვიხეტიალებთო.

სიდოროვი მტკიცედ მოითხოვს, ჭაობი გადავლახოთ, თორემ უკან რომ გავბრუნდეთ, ნამდვილად გერმანელებს ხელში ჩავუვარდებითო.

მემპარიაშვილი გიგაურს შესცქერის, ეტყობა ჭერ მისი აზრის გაგება სწავლია.

გიგაური კი ამბობს, ბიჭებო, ამ ლაპარაკს ისა სჯობია ჭაობი მოვსინჯოთ, იქნებ, არც ისე ძნელია მისი გადალახვაო. აირწინაღს და საველე ჩანთას იხსნის, თოფს იმარჯვებს და ჭაობში ტოპავს. გვესმის წყლის დგაფუნი, რაც ნელ-ნელა კლებულობს და იკარგება.

სიდოროვი ჩემს გვერდით ზის. მამხნევებს, რაღაც გული მეუბნება, ჭაობს იქით ჩვენები იქნებიანო. მერე მეკითხება, — ხომ არაფერი გესაჭიროებთო, — იქნებ წყალი დამალვივინო, წყურვილით ყელი მიშრება-მეთქი.

წყალს ახლავე მოგიტანო მეუბნება და, მართლაც, ნახევარი კარდალი წყალი მოაქვს, თავს მიწვეს და ყელს მისველებს. მემპარიაშვილი და მწერალი კენკარს კრეფენ, ერთმანეთს რაღაც საეჭვოდ ეტუტუნებიან, ცალი თვალი ჩვენსკენ უჭირავთ, ყურს ხომ არ გვიგ-

დებენო. ცხადია, საიდუმლო მოლაპარაკებას აწარმოებენ.

წინათგარძნობა როდი მღალატობს. როცა წელამდე სველი და მთლად ოფლში ვაწურული გიგაური ბრუნდება, მწერალი მკვახედ, გამომწვევად ეკითხება:

— რა ჰქენი, რა დაადგინე?

— ჭაობი ღრმა როდია, მგონი არც განიერიო.

— საიდან იცი, იქითა კიდემდე მიალწიე?!

— არა, მაგრამ ისეთი წიწვის სუნით ვიგრძენი, ნამდვილად ტყე ახლოა!

— ალაღბედზე სიარული როგორ შეიძლება, საიდან იცი, ჭაობის იქითა ნაპირზე იქნებ ცხენიანი კაცი ჩაიფლოს!

— ეს შეუძლებელია! ჭაობი არც ისე ვრცელია და მიახლოებით რაწაირი გრუნტიც აქეთ აქვს, იქითაც ისეთივე იქნება.

— კი, მაგრამ, რა აუცილებელია ჭაობში ტოპვა? — კითხულობს მწერალი.

— მაშ, რა გქნათ, გერმანელებს ტყვედ ჩავბარდეთ?! — ცოტა არ იყოს აღელვებით პასუხობს გიგაური, რომელიც ეტყობა მიხვედრილია, რომ მის აქ არ ყოფნაში მემპარიაშვილმა და მწერალმა პირი შეკარეს.

— ვითქობოთ, იქნებ უკეთესი გზა გამოვხატო!

— გზა ერთია, აღმოსავლეთით, წითელი არმიის ნაწილებისაკენ!

— ნეტავი რა ლოზუნგებით ლაპაკობ, რას მამლაყინწაობ?!

— უფროს უმცროსობას დედა მოუკვდა, აქ ყველა ერთნი ვართ! — ამბობს თავის მხრივ მემპარიაშვილი.

— შესწყვიტეთ ლაპარაკი! — ხმას აუწია გიგაურმა.

— დახე ამას, რომ გვიყვირის კიდევ. ნეტავი გამაგებინა, ვისზე რითი ხარ მეტი?!

— ააა... ახლა კი მიგხვდი... რაშიცაა

ვანო ურჯუშელაშვილი
მოსკოვი მამყნად მბრძოლი



საქმე! გიგაური ხომ ძირეული მესაზი-
ზიდრეა... მაშ უნდა ვემონოთ და ფეხ-
ქვეშ გავვეთო! — დამცინავად ამბობს
მწერალი.

— ბოდიში უფროსო! — აგდებით
ეუბნება გიგაურს მეძმარიაშვილი და
მერე მწერალს მიმართავს. — კი, მაგ-
რამ ცხენები აღარ გყავს და სადაური
უფროსია?!

— უჯარისკაცო გენერალია, მორჩა
და ვათავდა! — უფრო მომაკვდინებ-
ლად იცინის მწერალი.

— კმარა ლაზლანდარობა!... წასასვ-
ლელად მოემზადეთ! — ისეთი რიხი-
თა და სითამამით ბრძანებს გიგაური,
როგორც მიმართავენ ხოლმე ხელქვე-
ითებს თავიანთ ძალაუფლებებაში გულ-
დაჭერებული მეთაურები.

ეს კი მის მოპაექრებისათვის ისეთი
მოულოდნელი და მკვეთრი იყო, ორი-
ვე მაშინვე ფეხზე წამოდგა.

ჭაობში შეტოპვისთანავე მესაზი-
რეები მუხლებამდე იფლობიან, ბორძი-
კობენ, საკაცეს ანუღრევენ, აქანავენბენ.
ტყვილისაგან კბილებს ვაკრაჭუნებ,
ლამის გული შემიღონდეს.

ამასობაში მზე შუბის ტარზე ამოიწ-
ვერა. ჩამოცხა. სული გვეხუთებდა. თან
უთვალავი კოლო გვეხვევა. ეს სატია-
ლენი ყველაზე უფრო მე მეტანებიან,
თითქოს გრძნობენ, რომ დავრდომილი
ვარ და არ ძალმიძს მათი მოგერიება.
ყურებსა და ცხვირში მიძვრებიან, მწა-
რედ მკბენენ, სისხლს მწოვენ.

წელში ოთხად მოკეცილ მეძმარია-
შვილსა და გიგაურს ფეხები უკან რჩე-
ბათ, გაუთავებლოვ ბუზღუნებენ, ცდი-
ლობენ დავა ატეხონ, ამხანაგებს წა-
ეკინკლან. აღბათ, უნდათ შეცდომა
გამოასწორონ. რაც ეს-ეს არის მოუვი-
დათ, გიგაურის ბრძანებას რომ დაე-
მორჩილნენ.

განსაკუთრებით მწერალი აქტივობს.
სულ იმას გაიძახის, კაცმა სხვის სიტყ-
ვაზე არ უნდა გაიაროს, ეს რამხელა
სისულელე ჩავიდინე, ამ უკიდევანო
ჭაობში რამ შემომიყვანა. აი ნახავთ,

თუ რაღაც დიდი უბედურებას აღ-
დავეყაროთო.

გიგაური ყურს იყრუებს. საქმის გამ-
წვევებს გაურბის, მაგრამ რაღაც ხომ
უნდა თქვას და, ამხანაგებს ამხნეებს,
ბიჭებო, არა უშავსრა, ცოტა კიდევ გა-
ვიჭივროთ, საცაა ნაპირზე ვავადწევთო.

პატარა მეჩენს მივადლებით. საკაცეს
სდგამენ და ოთხივე ჩემს ირგვლივ
წვება. ისე არიან მოღლილ-მოქანცულ-
ნი ლაპარაკიც ეზარებათ. ეტყობა თვი-
თოეულ მათგანში გაქრა ყოველივე
აზრი, არ გააჩნიათ რაიმე წადილი, მა-
თი არსება დაუფლებია მხოლოდ ერთ
სურვილს — დასვენების სურვილს!

მიწა ნოტიოა.
ცივი სინესტე ძვალსა და რბილში
მიჯდება, რაც ტყვილებს კიდევ უფრო
მიმძაფრებს.

ერთბაშად დაბნელდა. ვერც ვგებუ-
ლობ, მართლა დაღამდა, თუ თვალში
სინათლე წამერთვა.

და აი, ამ ბურანსა და უგონობაში ამ-
ხანაგების ლაპარაკი გავიგონე.

— ბიჭებო, წავიდეთ! — ამბობს გი-
გაური.

— რა გეჩქარება, ცოტა კიდევ და-
ვისვენოთ! — ბურტყუნებს მწერალი.

— ასეთი ადგილი იქნება აღარც შეგ-
ვხვდეს! — თავის მხრივ ამბობს მეძმ-
არიაშვილი.

— მაშ აქ, ხომ არ გავათენებთ და-
მეს?! — კითხულობს სიდოროვი.

— არა უშავს რა, ცოტაც გავიჭირ-
ვოთ! — ეუბნება ამხანაგებს გიგაური.

— თუ გინდა, თქვენ წადით, ჩვენ
ცოტას კიდევ დავისვენებთ! — ამბობს
მწერალი.

— დაჭირლს რაღა ვუყოთო? — კი-
თხულობს სიდოროვი.

— აი ესაა საკითხავი?! — და მცირე
ხნის მერე უმატებს — რახან გული
გერჩით, ვინ გიშლით, წადით!

— ჰოდა, რა, წადით! ჩვენ აქ დიდ-
ხანს არ დავრჩებით, მალე დაგწვევით!
— მხარს უბამს მწერალს მეძმარიაშვი-
ლი.

— ბიჭებო, მე აქ დამტოვეთ, თქვენ

კი წადით, თავს უშველეთ! — ამოდ
ვცდილობ დამშვიდებით ვილაპარაკო,
მაგრამ ჩემივე ცრემლნარევი ხმა ისე
მიჩუყებს გულს, ლამის ავტირდე... —
ჰო, წადით, ძმებო, მე ისედაც ვკვდები,
თქვენ მაინც უშველეთ თავს!

— დამშვიდდი, დაწყნარდი, მსუბუ-
ქად ხარ დაჭირლი, აი, ნახავ, რა აღ-
ვილად განიკურნები! — მაიმედებს გი-
გაური.

— ჩემი თავისა მე უკეთ ვიცი! —
ფეხის თითები გამეყინა. სიცივე სულ
ზევით-ზევით გულისაკენ მოიწევს და
აღბათ მალე მთლად გავცივდები. ჰო-
და, გეხვეწებით, გემუდარებით, თქვენ
წადით, თავს უშველეთ, მე კი აქ დამ-
ტოვეთ.

— იცი, რა გითხრა, ვახტანგ, საკუ-
თარ სიცოცხლეს გავწირავთ, შენ კი
ვერ გიღალატებთ. ამას გვიკარნახებს
ჯარისკაცური მოვალეობა და ურთი-
ერთ პარტიისციემის გრძნობა, — მეუბ-
ნება გიგაური და მერე ამხანაგებს უფ-
რო თხოვნით, ვიდრე ბრძანებით მი-
მართავს — ამხანაგებო წავიდეთ, დროს
ნუ ვკარგავთ!

გიგაური და სიდოროვი საკაცეს
სწევენ, ხელნებს მხრებზე იდგამენ და
ფრთხილად მიტოვებენ.

მემძარიაშვილი და მწერალი ბუზ-
ღინით მოგვდევნენ უკან.

მე მათ ვერ ვხედავ, მაგრამ წყლის
დგაფუნით ვხვდები, რომ წელმოწყვე-
ტილი მოაბიჯებენ და ნელ-ნელა უკან
რჩებიან.

ჰაობი გაღრმავდა. ალაგ-ალაგ მე-
საზიარებებს წელამდე სწვდებოდა. მცე-
ნარეებიც გახშირდა.

წყლის შხეფები მესხმება. რაკი გა-
უნძრევლად ვწევარ, სიცივე ძვალსა და
რბილში მატანს, ციებიანივით ვძაგძა-
ვებ. ორივე ცდილობს ფრთხილად მა-
ტარონ, მაგრამ ბორძიკობენ, ხან ფეხი
ორმოში უვარდებათ და სადღებელი-
ვით აქეთ-იქით მაქანავებენ. ძვლები სა-
შინლად მიელავს, შემადრწუნებელ ტვი-
ვილებს ვგრძნობ, ტუჩებს ვიკვნიტავ,
სახეს ფრჩხილებით ვიკაწრავ და ქვითი-

ნით ამხანაგებს ვევედრები, შეჩერდით,
ძმებო, სიკვდილი მიჩვენია ამ გაუთა-
ვებელ ტანჯვა-წვალებას-მეთქი.

ერთი-ორჯერ თვალზე ბინდი ვაღა-
მეკრა, გონება მიბნელებდა. ისე მეჩვენ-
ება, თითქოს რაღაც ზღაპარულ, იდი-
ლიურ სამეფოში ვიძირები.

ერთი ფიქრი ამეკვიატა, ვაითუ ასე
იწყება სიკვდილი-მეთქი. და თუ ეს
ასეა, არც ისე შემზარავი ყოფილა კა-
ცის აღსასრული. მაშ, რაღას ვწვალობ
და ეიტანჯები, განა, არ მიჩვენია მოვ-
კვდე და მოვისვენო-მეთქი.

და ამ აზრს, როგორც საშინელი
მდგომარეობიდან ერთადერთ გამოსა-
ვალს მთელი არსებით ვეჭიდები, თვა-
ლებს ვხუჭავ, თავს ძალას ვატან, მინდა
ალარაფერზე ვიფიქრო, აღარ ვიანზო-
ნო, საკუთარი გრძნობები ჩავიხშო და
როგორმე მოკვდე. მაგრამ ახლა უფ-
რო გარკვევით მესმის საკუთარი გუ-
ლის ძგერა. თან თითქოს გონება მეხს-
ნება და იმ დასკვნამდე მივდივარ, რომ
სიკვდილისათვის მარტო გადაწყვეტი-
ლება კი არ კმარა, საჭიროა, მისი სის-
რულეში მოყვანა.

„მაგრამ, როგორ?“ — აი კითხვა
ერთბაშად რომ მებადება და პასუხს
მაშინვე ვპოულობ: ღრმა გუბებს რომ
მივადგებით, როგორმე ხელეზზე წამო-
ვიწიო, საკაციდან გადავარდე და ქაობ-
ში თავი ჩავიხრჩო.

ნანატრი წუთიც დგება.
მესაზიარებებმა წელამდე წყალში
შეტოპეს.

ვცდილობ საკაცეზე წამოვკდე, მაგ-
რამ ძალა არ მეყოფნის. თან ისე საშინ-
ლად მიელავს ნეკნები, ლამის გული
შემიღონდეს. სულს ვითქვამ, ძაღლო-
ნეს ვიკრებ და, რის ვაი-ვაგლახით, ხე-
ლებზე ვიწევი. კარავლაბადა ისე ღრმა-
დაა ჩაწეული, ხელნაზე გადაფოფხე-
ბას ვეღარ ვახერხებ, ბედზე სიდოროვს
მუხლი ეკეცება, საკაცე ყირავდება,
წვალებით გვერდზე ვიხრები და თა-
ვით ძირს ვეშვები.

ვანო უჩაშვილი
მოსაოპი ძმებისა და მათი

ამხანაგების შეძახილებს წყლის დგაფუნე ახშობს, ღრმად ვყურყუმალავდები, მთელი სხეულით წყლის ფსკერისაკენ მივიღტვი. სუნთქვა მეკვრის, ვიხრჩობი, მაგრამ თავს მაინც მალდა არ ვწვევ, ისე მეჩვენება, თითქოს ნელ-ნელა ჭურღმულში ვინთქმები...

მზიანი საღამოა. ამრიალებულ არყის ხეების ქვეშ ჩრდილში ვნებივრობ. ცელქი ნიავი გულმკერდზე მელამუნება. ჩემს გარშემო ფოთლები ცვივა. ტოტებშუა გამომკრთალი მზის სხივები თვალებში მიჭვირტინებს. ტბილად უსტვენენ ხეებზე შემომსხდარი ჩიტუნები. ცის ტატნობზე მზის სხივებში ვახვეული მერცხლები ნავარდობენ.

უცებ ფეხის ხმა მესმის. ვიღაც ქალი მორიდებით მიახლოვდება. ყურის ძირში მქროლავ ტყვიას, ან შორი-ახლო აფთქებულ ჭურვს ისე არ შევეუშინებოვარ, როგორც მისი თეთრი კაბის შრიალი მაკრთობს.

ქალი ჩემს გვერდით ჯირკვზე ჯდება, შუბლზე ნახ, ფაფუკ ხელს მისვამს, მერე სანთელივით თბილი თითებს მაჯაში მავლებს.

ვერძნობ, ვაზროვნებ, მაგრამ ჩემს გვერდით მჯდომ ქალს მაინც ბუნდოვნად ვხედავ. „ნუთუ სიზმარში ვარ?“ — ვფიქრობ და თვალის გახელვას ვლამობ.

ნელ-ნელა ქალის სახეს ნათელი ეფინება და ჩემს წინ სკამზე ჩამომჯდარ ნატაშას ვხედავ, მაგრამ რალაც დაეჭვეებით შევცქერვი, თითქოს ის არის და არც ის არის!

იერით, ცისფერი მოელვარე თვალეებით, მალალი შუბლით ზედგამოჭრილი ნატაშაა. თმაც მასავით თავზე გვირგვინად აქვს შემოვლებული.

„ის არის, ის!“ — ვიმეორებ გულში, თუმცა თან შეფიქრინაბულიცა ვარ, გამხდარი, კაფანდარა გოგონა ასე მოკლე დროში როგორ გაივსო და დასართულდა. ან ვატყვილი შუბლი წვრილი ნაოჭებით რამ დაუხერავა?

ალერსიანად გამიღიმა, რამაც კიდეც უფრო შეამკო მისი სიკეკლუცე, და დაბალი, მკლერადი ხმით მითხრა:

— ლაზარეთში ხარ! ტყვიით გაკაწრული ნეკნი ვაგიწმინდეთ, კრილობა შეგიხვევით. ახლა ნულდარაფრისა ვეშინია. ნაჭრილობევი ცოტა ხანს კიდეც გეტკინება, უსიამოვნო შეგრძნებები გექნება, მაგრამ მალე იარა მოგიშუშდება, გამოჯანმრთელდები!..

თუ უძრავად ვწევარ, ტყვილი მიყურდება, მაგრამ გული მაინც მერევა, პირიდან ბალღამს ვიღებ.

ჩემს პირდაპირ ზემდეგი წევს. დათაბაშირებული ფეხი დამრგვალბულ საბანზე ქვემების ლულასავით გაუშვერია. ომამდე კულტმუშაკი ყოფილა იალტის რომელიღაც სანატორიუმში. თავი ყველაზე ჭკვიანად, ყველაზე მცოდნედ მოაქვს. სიტყვის თქმას არავის გვაცდის, თან ყველაფერზე თავის აზრს ისე დაბეჯითებით გამოთქვამს, თითქოს ურყევ ჭეშმარიტებას ღალადებდეს.

ზემდეგის გვერდით მუცლის არეში ყუმბარის ნამსხვრევით დაჭრილი კაპიტანი წევს. უგონოდაა, კვენისის, ოხრავს, ვილაცის სახელებს წარმოთქვამს. დროდადრო აბნეულად გადმოგვხედავს ხოლმე და მაშინვე თვალი ეხუჭება.

კაპიტანთან მედღები მორიგეობენ, ნემსებს უკეთებენ, წამლებს ასმევენ, ფეხებზე სათბურს ადებენ.

ნასტიაც კაპიტანთან ტრიალებს. ესეც შევნიშნე: იგი შუბლზე ხელს რომ უსვამს, კაპიტანი აღარ კვენისის, წყნარდება, ძილს ეძლევა.

არც ერთს ადვამის უფლებას არ გვაძლევენ, თუმცა რა ვაფრთხილება გვინდა, როცა ყველა საწოლსა ვართ მიჯაჭვული.

შედარებით უკეთაა კეფაში დაჭრილი პოლიტხელი, კაპიტნის გვერდით რომ წევს. უწვერულვამო ჩვიდმეტითვრამეტი წლის ყმაწვილკაცია. ნეტავი ასე ახალგაზრდა როგორ ვახდა პოლიტხელი. როცა ამის შესახებ შევეკითხე, ღიმილით მომიგო, ბატალიონის

კომორგად ემუშაობდი და ომის დაწყებთანავე მომცეს წოდებათ.

მე, პოლიტხელი და სხვა დაჭირებულები კაპიტანს თვალს არ ვაცილებთ, თანავეუგრძნობთ, გვებრალებათ.

არ ვიცი, შეიძლება ვცდებოდე, მაგრამ ჩემი დაკვირვებით, ყველა დაჭირებულს სხვისი იარა მიძიმედ ეჩვენება, თავისი ჭრილობა კი მსუბუქი, იოლი გასაყურნებელი ჰგონია.

ეტყობა, ასე იმიტომაცაა, რომ ყველას სიცოცხლე სწყურია, სასიკვდილოდ თავი არავის ემეტება.

პოლიტხელი დანაწევებით მეუბნება, საწყალი კაპიტანი კვლამობრძავია, აფსუსს, რა ვეუკაცი კვდებაო. მერე იმასაც მაგებინებს, იგი ჩვენი ლეგიონის ბატალიონის მეთაური იყო, ხელჩართულ ბრძოლაში ბევრ გერმანელს დაუბნელა მზეო.

გულადმა წოლით მხრები დამებეჭა, წელმა ტეხვა დამიწყო. ხანდახან ნექნები ისე საშინლად მტკივა, თვალებიდან ცრემლი მცვივა, გონზე მოსვლიდან მესუეთე თუ მეექვსე დღეს გაჭირვებით გვერდზე გადავბრუნდი, „ვაი დედა“ კი ვიძახე, მაგრამ მაინც დიდი შვევა ვიგრძენი.

დღითიდღე უკეთ ვხდები. თითქოს იმასაც ვგრძნობ, ჭრილობა როგორ მიშუშდება.

ნაოპერაციებიდან ძაფები რომ გამომიღეს, ლოგინზე წამოჯდომა მოვახერხე. ოთახში გავლაც ვცადე, მაგრამ ნასტიამ ნება არ მომცა, ცოტა კიდევ მოითმინე, ჯერ საშიშია, ვაითუ ჭრილობა გაგეხსნასო.

ნასტია ხშირად შემოდის ჩვენს ოთახში, ალერსით გადმოხედავს, მომიკითხავს, როგორ ხარ, ხომ არაფერი ვინდაო, რა მაშინვე კაპიტანთან მიდის.

კაპიტანის მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდებოდა. პოლიტხელმა კი ერთბაშად მოიწყინა, დანადვლიანდა, დილობით ძლივს აღვიძებენ, უხალისოდ სვამს წამლებს. თერმომეტრს რომ ჩაუდებენ ილღიაში, ძილს თავს გედარ ართმევს. ერთთავად თვალდახუჭული

წევს. ისე ჩუმად სუნთქავს, ვერ გაიგებ სძინავს, თუ ღვიძავს. ერთი-ორჯერ ჩვენითვის რაღაც გაუგებარი სიტყვები წაიბურტყუნა, მერე გარკვევით წამოიძახა, გერმანელები ტყვეს შეესივნენ, ცეცხლი, ცეცხლიო.

ეჭიმი ექიმზე მოდის პოლიტხელის სანახავად. მაჯას უსინჯავენ, ფილტვებს და გულს უსმენენ, ქუთუთოებს უწევენ და აბნეულ თვალბეჭში ჩასცქერიან.

ნასტიამ კაპიტანისაგან პოლიტხელთან გადმოინაცვლა. ერთ ღამეს მასთან იმორიგევა კიდევ. იგი პოლიტხელს ბევრი ეხვეწა, ბევრი ემუდარა, ნემსი გაიკეთე, წამალი დალიეო, მაგრამ ვერ დაითანხმა.

ოთახში შუქის ჩაქრობისთანავე პოლიტხელმა წამოიძახა, ძმებო, თავს უშველეთ, ტანკები ალყას გვარტყამენო.

ნასტიამ სნეულის ხელი მვერდში ჩაიკრა. ნუ გეშინია, გერმანელები აქედან შორს არიან, დაწყნარდი, მშვიდად დაიძინეო.

— ვალია, ძვირფასო, ეს შენა ხარ? — წარმოთქვა შემკრთალი ხმით პოლიტხელმა.

— ჰო, მე ვარ, შენი ვალია!

— მერე, სახეს რატომ მარიდებ, მაკოცე, მაკოცე!

— რატომაც არა, გაკოცებ, საყვარელო! — და ნასტია დაწვზე ეამბორა, მერე ლოყა ლოყაზე მიაღო, თმაზე ხელი გადაუხსა.

პოლიტხელს რომ ჩაეძინა, ნასტიამ თავი ასწია და წამჩურჩულა:

— ვანტანგ, შენ რაღას შფოთავ, რატომ არ იძინებ?

— მაგის ცოდვით ვიწვი და რა დამაძინებს!

დღითი პოლიტხელი საკაცეზე დაწვინეს და ჩვენი ოთახიდან წაიყვანეს. მერე გავიგეთ, თურმე ფსიქოზი დასწყებოდა და სპეციალიზებულ ჰოსპიტალში გააგზავნეს სამკურნალოდ!

როგორც კი ფეხზე წამოვდგებოდი,

ვანო ურჯუშიალავილი
მოსკოვი ძველად ვართი

ნეკნები ისე საშინლად მტეხავდნენ სიკვდილი მენატრებოდა, თვალთ მიბნელებოდა, თავბრუ მეხვეოდა. იმის შიშით მუხლი არ ჩამეცვოდა და იატაკზე არ გავშლართულიყავი, უმალ საწოლს მივაშურებდი ხოლმე.

ნასტიას შევჩვიე, როდემდის უნდა მტკიოდეს გვერდი, ან ასე რამ დამასუსტა-მეთქი.

— მოთმინებაა საჭირო, უცებ ვერ განიკურნები, ნეკნის შეხორცება ადვილი როდია! — მეუბნება მედლა და ერთბაშად სახე უფითრდება.

— რას ამბობ, ნუთუ ნეკნი მაქვს ჩამტვრეული?

ნასტია გამოსავალს უმალ პოულობს:

— ჰო, ნეკნი ცოტა გაზარტული გქონდა! მადლობა დემეტს, უკვე შეგიწორცდა და მალე მთლად განიკურნები.

— ვინ იცის, იქნებ არც შემიხორცდეს?

— მაშინ საშინელი ტკივილები გექნებოდა, გაუძძრევლად იწვებოდი. შენ კი უკვე დგები, ოთახში დადიხარ, მალე, ალბათ, გართავც გაისეირნებ.

დავრდომილისათვის ნუგეში ძვირფასი ყავარჯენია. მით უმეტეს ნასტიასთანა ლამაზი არსების ნუგეში. გარეგან მომხიბლობასთან ერთად ხომ შინაგანი კეთილშობილებაც გააჩნდა. არც მანამდე, არც მერე ქალს არ შევხვედრივარ მისებრ მაგიური ძალა რომ ჰქონოდა, მამაკაცები ანდამატივით მიეზიდა თავის ნებისათვის დაემორჩილებია.

ათივე დაჭრილი ნასტიაზე ფარულად გამიჯნურებული ვახლდით. სიყვარული კი ისეთი რამ არის, ბევრიც რომ მოინდომო, ვერ დამალავ.

დაუცხრომელი ინტერესით ველოდით მის გამორჩენას. ზღურბლზე ფეხს ვადმოდგამდა თუ არა, თვალეზი გვიბრწყინებდა, ვმხიარულდებოდით, ენად ვიკრიფებოდით. ქათინაურებით ვამკობდით, სიტყვითა თუ მხერით ვვალერსებოდით, მისი გულის მოგებას ვნატრობდით.

ნასტია ზოგიერთი ქალივით თავს როდი იკატუნებდა, არა, ეს ასე არ

არიო- თითქოს თვითონვე იცოდნენ თავისი სილამაზისა და ანბანურ ჭეშმარიტებას ვეუბნებოდით. თან იმ მაღლიერების გრძობით გვიმზერდა, რაც ყველა მამაკაცს ალაფრთოვენებს და გულში გამარჯვების ნეტარ იმედებს უნერგავს.

ყველაზე უფრო კაპიტიანი აქტივობდა. ის ერთბაშად გამოკეთდა. ჭრილობიდან ძაფები რომ გამოუღეს, მეორე თუ მესამე დღეს წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. წარბოსადეგი ვაჟკაცია, მაღალი, მხარბეჭიანი, მკლავებზე, წვივებზე კუნთების ჯაჭვი დასთამაშებს...

● ჩვენთან, საქართველოში, ფოთოლცენა იანვრამდე გრძელდება. ტყეებსა და მინდვრებს თანდათანობით ეპარებათ სიყვითლე... დამე ცივა, მაგრამ დილით მზე ამოიწვევრება თუ არა, უმალ ჩამოთბება ხოლმე.

აქ, მოსკოვის მისადგომებთან, კი სექტემბრის ბოლო რიცხვებში სუსხიანი ამინდი დაიჭირა. ხეები მაშინვე ვატიტვლდნენ. ხან წვიმა, ხან თოვლ-ჭყაპი იდგა... ერთ მშვენიერ დღეს კი არემარე თოვლით გადაიპენტა.

სათადარიგო პოლკში, სანახევროდ გადამწვარ ტყეში რომ იყო დაბანაკებული, სულ რაღაც ოთხი-ხუთი დღე მომიწია ყოფნა.

ფრონტზე ქვეყანას სანგრიდან შეეყურებდი და მხოლოდ იმას ვგებულობდი, რაც ჩვენს ათეულში, ოცეულში, ბევრი-ბევრი ქვეგანაყოფში ხდებოდა. აქ კი ჯარისკაცებმა მთელი ქვეყნის ასავალ-დასავალი იცოდნენ. პირველად აქ გავიგე, პიტლერი რომ იკვებნიდა, შვიდნოემბერს წითელ მოედანზე გამარჯვების აღლუმი უნდა მოვაწყოო. თითო-ორიოლა ჯარისკაცი მოსაცე გამოთქვამდა, მტრის ჯარები ისე ახლო არიან მოსკოვთან, ვაი თუ გერმანელებმა მართლა შესძლონ მისი აღება.

ერთ დღეს, ნასაუზმევს, მინდორში წავიყვანეს.

წინ პოლკის მეთაური მიგვიძღოდა. ჩემს გვერდით უზბეკი ჯარისკაცი იდგა. იგი პოლკში ყველაზე სტაჟიანი იყო და აქაურ ცხოვრებაში გათვითცნობიერებული გახლდათ.

ნეტავი სად მივყავართ! — შევეკითხე მას.

— ვინმე მოლაღატეს დახვრეტენ! — ისე დაბეჭითებით მომივგო, თითქოს ნამღვიღალე იყო, რომ ეს ასე იქნებოდა.

გზისპირას თოვლით დაფარულ მინდორზე მოჩარდახებული სატვირთო მანქანა იდგა. იქვე ტრიალებდა ოთხი თუ ხუთი ოფიცერი და რამდენიმე შეიარაღებული ჯარისკაცი. შორიანლო გამხმარ ბუჩქებში, უქუდო და უფარაჯო ჯარისკაცი მიწას თხრიდა.

გზიდან გადაგვიყვანეს, ბუჩქებისკენ შეგვებრუნეს და გაგვაჩერეს.

მანქანას თვალს არ ვაცილებდი, მეგონა ის, ვინც უნდა დაეხვრიტათ, ძარაზე იწვა ხელფეხგაკრული. რას ყელყელობ, ვის ეძებ, წამჩურჩულა უზბეკმა ჯარისკაცმა, საფლავს რომ თხრის, იმას დახვრიტავენ.

სამარეში მდგარი ჯარისკაცი ჩქარობდა. მიწას სულ უფრო სწრაფად ყრდა, მაღიმილ ხალათის სახელოთი სახიდან წურწურით ჩამონადენ ოფლს იწმენდა. თითქოს დროის დაკარგვას გაურბისო, ჩვენსკენ ერთხელაც არ გამოუხედავს.

გამიგონია, ვითომ კაცის სიკვდილით დასჯაში რაღაც არის რომანტიკული, ამაღლევებული. არა, ასეთი რამ არ მიგრძენია. ის, რაც აქ ხდებოდა, განსაკუთრებით კი ირგვლივ ჩამოვარდნილი სამარისებური დუმილი, შემადრწუნებელი იყო.

ჯარისკაცმა საფლავი წელამდე რომ ამოთხარა, ოფიცრებმა უბრძანეს მალე ამოდიო.

იგი მარჯვედ ამოხტა. პირს გვარიდებდა. როცა სამარისკენ შეაბრუნეს, ერთი წამით ქვეშ-ქვეშ ჩვენსკენ გამოიხედა და დადუმებულ ჯარისკაცებს კურდულად თვალი გადაგვაგლო.

სახეზე დავინახე თუ არა, გულში შევძახე, ღმერთო ჩემო, ეს ხომ მწეირალია-მეთქი.

თვალს არ ვუჭერებდი. მე იგი მხდალი, ლაჩარი მეგონა. ის კი საფლავის პირას უშინზრად იდგა. მის არც ერთ მოძრაობაში, არც გამოხედვაში შიში, ძრწოლა არ იგრძნობოდა. ეგ არის, ფენებს ატყუებდა, ალბათ უკანკალებდა და არ უნდოდა, რომ ეს ჩვენ შეგვემჩინია.

გაისმა ბრძანება:
— სწორდი!.. მენეა!

ტანმალალი ოფიცერი, ხელში რომ ტყავის საქალაღდე ეჭირა, მწყობრი ნაბიჯით გამოემართა, ჩვენს წინ შეჩერდა, საქალაღდე ვაშალა და ხმამალა მოგვმართა, ყურადღება, მოისმინეთ სამხედრო ტრიბუნალის განაჩენიო. მერე სათვალე მოირგო, ჩაახველა და ბოხი ხმით კითხვას შეუდგა.

ძნელია ჩემთვის დადგენილების შინაარსის აღდგენა, ყოველივე ეს ისე მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო, ყურადღებას ვერ ვამახვილებდი და თითქოს ხეირიანად სიტყვებიც არ მესმოდა. მხოლოდ ბოლო წინადადება გავიგონე გარკვევით და სამუდამოდ დამამახსოვრდა:

— სამშობლოს მოლაღატე, — და ოფიცერი ორი წამით შეჩერდა, მწყობრისაკენ გამოიხედა. ახალა დავინახე, რომ ჩვენს რიგებიდან შვიდი თუ რვა ჯარისკაცი წინ გასულიყო, ოფიცერმა ხელი შემართა.

წინ გასულმა ჯარისკაცებმა თოფები გატენეს და მწერალს დაუმიზნეს.

ოფიცერმა კი ხმამალა, მოზეიმე ხმით დაიძახა:

— დაიხვრიტო!
და თოფებმა დაიჭუხეს.
ისე მომეჩვენა, თითქოს მწერლის შუბლიდან ცეცხლის ნაპერწკლებთან ერთად ტვინის შეხევიბიც გამოცვივდა. ვერ გავიგე, სიკვდილით დასჯილი

ვანო უკუჯამალაშვილი
მოსკოვი კვამხალ მართი

უცებ ტყვიის ძალამ შეატრიალა თუ თავად შეეცადა შემობრუნებას. ალბათ უნდოდა დაენახა ის, ვინც თოფი დაახალა. ან იქნებ ეს ინსტინქტითაც გააკეთა! ასე იყო თუ ისე, ტყვიადაკრული უმაღლესი საფლავში გადაიჩინა...

ფრონტისაკენ უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ ჯარის ნაწილები. მანქანა მალი-მალ ბუქსაობდა. სიცივით გათოშონილი ხალისით ვხტებოდით ძირს, უკნიდან ვაწვევდოდით და, მერეც, როცა მანქანა ამოძრავდებოდა, სირბილით ავედევნებოდით, რომ ფეხები გავკვეთბო და გავხუტებულყავით...

ერთ პატარა სოფელში, გზისპირას რაღაც ათიოდე წუთი შევიყვინეთ. ბინები ზურგის ნაწილებით იყო სავსე; რაკი თბილი კუთხე ვერ გამოვნახეთ, გზისპირას მივბრუნდით, მოვბრუნდით, ვბღანძუნობდით.

გამყოლმა ლეიტენანტმა ის იყო გვიბრძანა, მანქანაზე დასხედითო რომ გვერდით მანჯიკამ ჩავკეპროლა, რომელშიც „ყაზბეგა“ ება. უკან სკამზე უფროსი ლეიტენანტი გერასიმენკო იჯდა.

მეეტლე გიგაური იყო, ყურებიანი თბილი ქუდი ყალმუხის გალიბანდით ვკერძოვო მოქეცია. გზისპირას ვაჩერებულ მანქანაზე მსხდომ მელიცინის დებს ვასკეპროდა, და გრძელ შავ ულვაშებს თავმომწონედ იკრებდა.

რატომღაც მეგონა, ფრონტზე ამხანავს თუ ერთხელ ვანშორდებოდი, ამოდენა ზღვა ხალხში მეორედ ვეღარ შეხვდებოდი, ამიტომ თვალს არ ვუჭერებდი და შეგვიანებით დავიყვირე:

— ეი, გიგაურო, ეს მე ვარ, კახაბერი!

ქარი იმ მხრიდან უბერავდა, საითაც მანჯიკა მისრიალებდა, თან გზაზე ტანკებიც მიგრუხუნებდნენ და ჩემმა ხმამ გიგაურამდე ვერ მიადწია. კიდევ რამდენჯერ დავუძახე, მაგრამ ამაოდ. ეს კია, „ყაზბეგამ“ ზურგიდან ოხშივარი რომ ასლიოდა და ფერდები საბერე-

ლივით აუღ-ჩაუდიოდა, ყურები ცქციტა, თავი შემართა, შეჩერდა.

გიგაურმა ცხენს შეუტია და გამეტე-ბით მათრახი გადაუჭირა. განაწყენებულმა პირუტყვმა წიხლები ისროლა, თან უკან შემობრუნდებოდა შეეცადა.

გიგაური ღონივრად ჩაბლაუჭებოდა სადავეებს, ცხენს თავს მალა არ აწევინებდა. კულდაბზეცილი, ძუა-ფაფარაშლილი „ყაზბეგა“ კი ტორს მიწას ურტყამდა, ცალი თვალთ გვერდულად იმზირებოდა, ჭიხვინებდა.

ქუდმოგლეჯილი გავქანდი და ორიოდ წუთში მათთან ვაჩნდი.

სმენაზე გამოვიჭიმე. ხელი საფეთქელთან მივიტანე და მივესალმე:

„გამარჯობათ, ამხანავო უფროსო ლეიტენანტო!

გიგაურმა ნაძალადეგად ჩახველა, მისკენ რომ მივიხედე, თვალთ მანძინა, ვერ ხედავ, გერასიმენკოს ხალათის საყლოზე კაპიტნის ნიშანი აკერიაო.

მეც არ დავიბენვა და პატარეის მეთაურს მივმართე:

— ამასთანავე ვილოცავ კაპიტნის წოდებას!

— გმადლობ, ამხანავო კახაბერო.

რაკი დაინახა, რომ „ყაზბეგა“ დამშვიდდა, გიგაური კოფოდან ჩამოხტა, საღ ხარ შე ღმერთბაღლო, საღ დაიკარგეო, თან გადამეხვია და გადამოკცნა.

— რა ქარმა მოგიტანა, ან საით მიდიხარ! — შემეკითხა ბოლოს გერასიმენკო.

ჩემი ამბავი რომ მოვახსენე, პატარეის მეთაური გამცილებელ ოფიცერთან გამომყვა.

— ამხანავო ლეიტენანტო, მე ვახლავარ 695 საარტილერიო პოლკის პირველი პატარეის მეთაური კაპიტანი გერასიმენკო. ამხანავი კახაბერი ჩვენი კადრის ჯარისკაცია! არტილერისტების ნაკლოვანებას ვანეციდით. ვახოვო, კახაბერი ჩვენს ვანკარგულებაში გადამოგცეთ! — მისალმების შემდეგ უთხრა გერასიმენკომ გამცილებელ ოფიცერს.

— ამხანავო კაპიტანო, მე დავალეუ-

ლი მაქვს ჭარისკაცთა ჯგუფი მივიყვანო
 შესაკრებ უბანში, რათა იქიდან ვაგზავ-
 ნონ მომქმედ ნაწილებში. რამდენადაც
 ჭარისკაცი კახაბერი არტილერისტია,
 მერე ისეც კადრის არტილერისტია, ნე-
 ბას ვრთავ დაბრუნდეს თავის ნაწილში.

ლეიტენანტს მადლობა გადავუხა-
 დე, გამოვემშვიდობე. მერე ამხანაგებ-
 თან მივირბინე. ერთმანეთთან განშო-
 რების სიმწარე რომ გამექარვებინა,
 ხმამაღლა შევძახე: ბიჭებო, არ დაგა-
 ვიწყდეთ, გამარჯვების დღეს, ბერლინ-
 ში გხვდებით რაიხსტაგთან.

კაპიტანმა თავის გვერდით შემომთა-
 ვისა ადვილი. უარი ვუთხარი, მითხა-
 რით ბატარეის ადგილსამყოფელი და
 ფეხით წამოვალ-მეთქი.

აქედან შორსაა, ჩვენთან წამოდი,
 თორემ ვზა აგერევა და ვერ მოგვაგნე-
 ბო.

გიგაური გვერდზე გაიწია, მაშ ჩემს
 გვერდით დაჯექიო.

კოფოზე მოვიკალათე თუ არა, ყაზ-
 ბეგამ ცალი თვლით გადმოხედა. თა-
 ვი დაიქნია, თითქოს წასვლის ნება
 ითხოვა. მერე კისერი მოიდგრა, დაი-
 ჭიხვინა და წინ გაიჭრა. მის ფეხქვეშ
 მიწა აგუგუნდა, თოვლის ბუქი ავარდა.

ლეიტენანტსა და ამხანაგებს ხელით
 კოცნა გავუგზავნე. გულში კი ვავი-
 ფიქრე, ეს რა, სასტიკი, უღმობელია
 ფრონტული ცხოვრება! ამხანაგებთან
 მხარდამხარ იბრძვი, ათას ჭირვარამს
 ინაწილებ, მაგრამ უცებ, მოულოდნე-
 ლად დაკრავს ქამი მათთან განშორე-
 ბისა. თუმცა ისინი გულში სამუდამოდ
 რჩებიან, წარმოუდგენელიც კია მათი
 დავიწყება. გიგაურის გვერდით ვიჯე-
 ქი. კაპიტან გერასიმენკოს სიახლოვე
 მამხნევებდა, აღმაფრთოვანებდა. „ყაზ-
 ბეგა“ ამხანაგებისკენ მიმაქროლებდა.
 სიხარულით ლამის ცას ვწვიოდი. მინ-
 დოდა ხელები გამეშალა, მეყვირა, ცა-
 სა და მიწისათვის მემცნო, რომ ბედნი-
 ერი ვიყავი. გიგაური კითხვებით შევა-
 ჭერე, იგი ცივად, გულგრილად მპასუ-
 ხობდა. ბოლოს წამჩურჩულა, კაპიტანი
 წუხანდელი უძილოა, ცოტა მოკეტეო.

მართლაც გერასიმენკოს თავი ჩაექინდ-
 რა, თვალებს ბლიტავდა. ვერ გაიგებ-
 დი, თვლემდა, თუ ფიქრს მისცემოდა.

ენას კბილს ვაჭერდი, გზისპირას
 ტყეებში დაბანაკებულ ქვეითებს, არ-
 ტილერისტებს, ტანკისტებს ვავიქრო-
 დი და გულში ვფიქრობდი, ეს ამოდე-
 ნა ჯარებს რომ უყრიან თავს, ნამდვი-
 ლად დიდი შეტევა მზადდება მეთქი.

●
 პოლკის სამივე დივიზიონს ვოლგის
 წყალსაცავის ნაპირზე სოფელ სლობო-
 დას მიდამოებში ეკავა საბრძოლო პო-
 ზიცია.

ქვემეხები, სანგრები, თხრილები,
 საბრძოლო მასალების ორმოები, მიწუ-
 რები, მანქანები, თეთრი გადასაფარებ-
 ლეებით და ხის ტოტებით შეენიღბათ.
 ფრონტისათვის უჩვეულო სიჩუმე იდ-
 გა. არც თოფის სროლა ისმოდა, არც
 ქვემეხების გრუხუნია. თითქოს ყინვას
 ყველაფერი გაეთოშა, ყველაფერი გაე-
 ქვავებინა.

პოზიციებზე ვხედავდი ნაცნობ მე-
 ომართა სახეებს?! მე კი მეგონა უთა-
 ნასწორო ბრძოლებში მტერმა ჩვენი
 ლეგიონი ერთიანად მოსპო, გაანადგუ-
 რა. თურმე როგორ ვცდებოდი.

თავს ისე ვგრძნობდი, თითქოს
 მშობლიურ ოჯახში დაებრუნდი ახლო-
 ბლებთან, დვიძლებთან, გულშემატი-
 ვრებთან.

გზისპირას გაჩერებულ სანინსტ-
 რუქტორ ნიკიტასაც შევასწარი თვალი,
 დამინახა თუ არა, ბავშვური მიაბიტო-
 ბით ტაში შემოპკრა, აყვირდა:

— ამხანაგო, კახაბერი მოვიდა,
 კახაბერი!

გვერდით რომ ჩავუარეთ, მარ-
 ხილს აედევნა, ხელი გამომიწოდა და
 წამჩურჩულა, შენთან საქმე მაქვს,
 დღესვე გინახულებო. გულში გამკრა,
 ეტყობა, ნატამას ხვდება ხოლმე. ვინ
 იცის, იქნებ იმის პირით რაიმეც შე-

ვანო ურჯუაშვილი
 მოსკოვი მშენებელი

მომითვალა. ან იქნებ წერილიც გამო-
მიგზავნა-მეთქი.

თანამგზავრებს მოვერიდე, არ მინ-
დოდა იმათთვის გამეგებინებინა მე და
ნატაშას ინტიმური ამბავი. მართლაც
რას იტყოდნენ? ეს ვილაც მოცლილია,
ამ განხურებულ ომში რა დროს სიყვა-
რულობანაათ.

ნიკიტას ცერი ვუჩვენე, საქმე ხომ
ასეა-მეთქი. კი, კარგადათ, ცერის გამო-
შვერითვე მომიგო და ეშმაკურად თვა-
ლი ჩამიკრა.

ღივიზიონი შეიარაღებული იყო
122 მლ. ჰაუბიცებით.

ამით გამოწვეული სიხარული რომ
გავუზიარე, გიგაურმა ერთგვარი სია-
მაყის გრძობით მომიგო, ჩვენს შეიარა-
ღებულში კიდევ ბევრი რამ შეიცვალა.
ახლა ცხენებით კი არა, ავტომანქანე-
ბით დაგვაქვს ქვემეხები!

გულდასაწყვეტი ამბავიც მოთხრა,
ზემდეგი ჩერნისი ერთ-ერთ ბრძოლაში
მძიმედ დაჭრილა. ლაზარეთიდან წერი-
ლი მოუწერია, ჭრილობები მიშუშდებოდა
და მალე ფრონტზე დაებრუნდებოდა.

გერასიმენკო მარხილიდან გადავი-
და თუ არა, მასთან კაპიტანმა ერმაკოვ-
მა მოიხრბინა და მოახსენა, ბატარეაში
თქვენი არ ყოფნისას, მნიშვნელოვანი
არაფერი მომხდარა, ყველაფერი წეს-
რიგშიათ.

გერასიმენკომ კაპიტანს ხელი ჩა-
მოართვა და უბრძანა შელამდებოდა თუ
არა, საცეცხლე ოცეულები პოზიციი-
დან მოხსენით და სალაშქროდ გაამზა-
დეთო.

სანგარში მჯდომ მეკავშირეს კი და-
ავალა, „ოცდაორს“ გადაეცი ჩემი ვან-
კარგულემა სათვალთვალე პუნქტიდან
მოიხსნან, სატელეფონო ხაზი აპკეცონ
და საცეცხლე პოზიციაზე გამოცხად-
დნენო. ბოლოს, ზემდეგი ხოხლოვი
მოიხმო და, უბრძანა, მოვიყვანეთ ჩვე-
ნი ბატარეის კადრის ჯარისკაცი, დრო-
ებით ჩემი „ორდინარეცი“ იქნება, ტან-
საცემელი ჩააცვი, დააპურეო.

„ყაზბეგა“ გამოუშვით და ფაცხაში

დავებით. ზურგზე ჩულია გადაფაფა-
რეთ, თივა დავეყარეთ.

გიგაურმა მორიგე ჯარისკაცს ჩემი
თავი გააცნო, ჩვენი ბატარეის კადრის
ჯარისკაცია. ცოტახნით ზემდეგთან წა-
მოვა, ტანსაცმელსა და საჭურველს მი-
იღებს და მალე დაბრუნდებოდა.

გიგაურს ორიოდვე სიტყვით ჩემს
თავზე გადამხდარი ამბავი ვუამბე. მე-
რე კი შევეკითხე, გამაგებინე, როგორ
გამომიყვანეთ ჭაობიდან-მეთქი. როგორ
და... ამ და სიღორეომა გონებადაკარ-
გული ამოვიყვანეთ წყლიდან და საკა-
ცეზე დავაწვინეთ. დიდხანს აღარ გვი-
ტარებხარ, მალე ნაპირზე გავედით, და
ერთ სოფელს მივაღწიეთ, მცხოვრებ-
ლებმა ოთხთვალა შეგვიბეს და იმით
წაგიყვანეთ სანბატონო.

სიღორევი როგორღაა, ხომ უგენე-
ბელია-მეთქი. ჯანმრთელადაა, მზვერა-
ვიაო. მერე კი დაუმტა, ჰო, მართლა,
მზვერავეებზე გამახსენდა, სერჟანტი
კუხნეცოვიც აქ არის! ეს-ეს არის უმ-
ცროსი ლეიტენანტის წოდება მისცეს
და ჩვენი ბატარეის მართვის ოცეულს
მეთაურობსო.

ბატარეია უკვე სალაშქროდ იყო გა-
მზადებული.

ქვემეხები საბრძოლო მასალებით
დატვირთულ სატვირთო მანქანების-
თვის გამოებათ. მარჯვენა ფლანგზე
მართვის ოცეულის ჯარისკაცები ფუს-
ფუსებდნენ.

ბოლოში კი ორი საბარგული და
საველე სამზარეულო იდგა.

მანჯიკში ცხენის შებმას რომ მოგ-
რჩი, ზემდეგმა ვამაფრთხილა, შენ
აღალთან ერთად წამოხვალო.

კაპიტანმა გერასიმენკომ ბატარეის
შემადგენლობა თავისთან მიიხმო. მე-
ეტლევებიც ვაპირებდით მისვლას, მაგ-
რამ ზემდეგმა ვიბრძანა ცხენებს
უბატრონოდ ნუ მიატოვებთ, აქედანაც
კარგად გაიგონებთ ბატარეის მეთაუ-
რის სიტყვასო.

მართლაც გერასიმენკომ ხმამალა
დაიწყო:

— ამხანაგებო, ორმოცი კილომეტ-

ოის დაშორებით, სოფელ ვიდოგოაშის მიდამოებში მეზობელი არმიის პირისპირ სამი კილომეტრის სიგანეზე არის გაუმარებელი უბანი. საპაერო და-ზვერვის ცნობით ამ მიმართულებით მოემართება ფაშისტთა ორმოცამდე ტანკი და მოტორიზებული შენაერთი.

მსროლელთა ბატალიონი და ჩვენი დივიზიონი ამაღამ უნდა გამოცხადდეთ სოფელ ვიდოგოაშთან, დავიკავოთ საბრძოლო ზღუდე და მტერი შევაჩეროთ.

დრო ვიხელთე და ნიკიტა ვინახულე. რასა იქ, ჯანზე როგორა ხარ, ჭამის მადას ხომ არ ემდღური-მეთქი.

ეშმაკურად ჩაიციხა, თვალი ჩამიკრა და, ვითომ რაღაც დიდ საიდუმლოებას მიმიხვდა, წამჩურჩულა. ბედი ჭქონია, ძმამო! ის სულ შენზე მეკითხება, კახაბერისა ხომ არაფერი გავიგიაო, ან წერილი ხომ არ მოუწერიაო.

რა ქარაგმებით მელაპარაკები, ვინ ის, თუ კაცი ხარ გამაგებინე-მეთქი.

ვინ და მედიცინის დაო. ვაჰ, ეს ვინ ყოფილა, პირდაპირ მითხარი, რომელი მედიცინის და-მეთქი, ცოტა არ იყოს გულმოსულმა შეგუტეე. ნატაშა!.. დღეის სწორსაც გამომელაპარაკა, კახაბერი ხომ არ გამოჩენილაო. ვერ გამოვიგა, რომელ ნატაშაზე ამბობ-მეთქი. რა ეშმაკი ხარ... ვითომ არ იცი?! არც გამტყუნებ! ყოჩაღ! შენს ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი... ტყუილად კი არ უთქვამთ, სიყვარულსა მალვე უნდა, ვითა ცხენსა ნაპარავსაო.

შებინდდა თუ არა, ბატარეია დაიძრა.

ზემდეგი მანქაში კაბიტან გერასიმენკოს ადგილზე გამოიჭიმა.

აღალი ქვემეხების კვალს გაჰყვა.

გზა მოყინული იყო. მანქანები ნელა მიდიოდნენ, მაგრამ სიბნელეში ერთბაშად გაუჩინარდნენ, ერთხანს ძრავების გუგუნნი ისმოდა, მერე თანდათან ესეც მიწყდა.

ცა თხელი, სიფრიფანა ღრუბლებით დაფარულიყო. ყინვა გაავეებული ძალ-

ლივით აგვედევნა, ბასრი კბილებით იკბინებოდა.

ცხენს ვამხნევებდი, ვერტურჩულებოდი, ყოჩაღად იარე, „ყაზბეგა“, ფეხი არ დაეცურდეს-მეთქი.

ზემდეგი მალი-მალ უკან იხედებოდა, მემდეგებს აჩქარებდა. მარჯვედ, მარჯვედ... ჩემთვის ერთხელაც არ უთქვამს, ან ჩქარა იარე, ან სვლა შეაწელეო.

კოჭლობით მიმავალ ჯარისკაცს წამოვეწვიეთ.

ჩვენი ბატარეიდან მეგონა და დავუძახე, რა დაგემართა, მანქანიდან ხომ არ გადმოვარდი-მეთქი. არაო, მიპასუხა, მე მსროლელთა ბატალიონიდან ვარ, ფეხზე მაზოლი მაქვს და ქვეგანაყოფს ჩამოვჭრიო.

ამხანაგო ზემდეგო, დავსვათ, მალელია-მეთქი და ცხენი დავასადავე.

ზემდეგმა პასუხი დააყოვნა.

ჯარისკაცი ზემდეგის თანხმობას აღარ დაელოდა, მანქაზე შემოხტა და მის გვერდით დაჯდა.

უკან არ ვიხედებოდი, მაგრამ ვგრძნობდი, რომ გულმოსული ზემდეგი ამრეზით მიმზერდა.

მეგონა დამიყვირებდა, რას მეტიჩრობ, რატომ შენს ტყავში არ დაეტევიო, იმან კი ნაძალადევი სიმშვიდით თქვა:

— გაჭირვებაში მყოფი ჯარისკაცის დახმარება კეთილშობილური საქმეა, მაგრამ არმიას თავისი წესები აქვს. ნაბრძანებია, ფეხით წასვლა, ფეხით უნდა იარო.

— ამხანაგო მეთაურო, ფრონტზე ბევრიც რომ გინდოდეს, წესდებებსა და დებულებებს ვერ შეასრულებ, რადგან ომი უწინარეს ყოვლისა, უწესობაა, უსამართლობა, ქაოსი! — თქვა მორიდებით ჯარისკაცმა.

— სცდები! — ყველაზე უფრო ახალა საჭირო წესრიგი, დისციპლინა, ორგანიზებულობა.

ვანო შარვაშიაშვილი
გოსკომი მამუხანა მართია

— ამხანაგო მეთაურო, კარგი და, რომელ წესდებაში სწერია ასეთი რამ, მთელი ღამე სანგრებს ვთხრიდით. ღღისით სანგრები გადაეხურეთ, შევნიღბეთ, ამ საღამოთი კი გვიბრძანეს, პოზიცია მიატოვეთო და გზას ვაგვიყენეს. ალბათ, დანიშნულ ადგილზე შუალამემდე ვერ მოვალთ, პოზიციას დავიკავებთ, სანგრებს გავთხრით, შევნიღბავთ და ამასობაში თავზეც დავგათენებთა?!

— რას იზამ, ომია!

— მართალს ბრძანებ, ომია! ამიტომია, რომ არც ძალღონეს ვიშურებთ, არც სიცოცხლეს! თუკი შესაძლებელია, ჯარისკაცსაც რატომ არ უნდა გაუწიოთ ცოტაოდენი შეღავათი!

ზემდეგმა ვერაფერი უბასუხა. ეტყობა ეს ჯარისკაცმა ისე გაიგო, სიტყვა მოვეუგეო და უფრო თამამად განაგრძო:

— ან ეს საქმეა?! ორი ღღის წინ სანბატში ვიყავი. სოფლები, ტყეები, ჯარებითაა გატენილი. საითაც არ უნდა გაიხედო, ტანკები, ქვემეხები, ნაღმტყორცნები... მოწინავეზე კი ხიშტების ნაკლოვანებაა. ფაშისტებს ცოცხალ ძალასა და ტექნიკაში ისევ უპირატესობა აქვთ... ამიტომაც მოიწვევენ წინ! იქნებ ეს დაუღვევრობაა, ან იქნებ ღალატიაა?!

— არა, ასე ნუ იფიქრებ! უმაღლეს მთავარსარდალს არაფერი შეეშლება. ალბათ, ამ ჯარებს სხვა დანიშნულება აქვთ! ვინ იცის, იქნებ დიდი შეტევა მზადდება.

— დროცაა. სულ იმას გავიძახოდით, თუ მტერმა გაბედა ჩვენი საზღვრების ხელყოფა, მომავდინებელ დარტყმას ვაგვემბთ და თავისივე ტერიტორიაზე გავანადგურებთო. გერმანელებმა კი ორი ათასი კილომეტრი გამოიარეს და უკვე მოსკოვს მოადგნენ, მოსკოვს!

— ნაბოლენი მოსკოვშიც შევიდა, მაგრამ ბოლოს კულამოძუებულნი გაიძურწა.

ამასობაში ქვეითურებს წამოვე-

წიეთ. ჯარისკაცი მანჯიკიდან გადახტა, გამადლობთ, ახლა როგორც იქნება, ფენით ვივლიო.

ძილმორეული მებრძოლები, საჭურველი ზურგზე მძიმე ტვირთად რომ აწვათ, უილაჯო, მოშვებულნი ნაბიჯით მიდიოდნენ. ისინი ასნი, ათასნი, ან შეიძლება მეტნიც იყვნენ, მაგრამ შორიდან ერთმანეთისაგან არაფრით განსხვავდებოდნენ. რა ვუყოთ, რომ ყველას ერთი ძალა განაგებდა. ყველა ერთ ბედქვეშ იყო? ისინი აღამიანები იყვნენ, მკერდქვეშ გული უძგერდათ, სხვადასხვა გრძნობები, განცდები, აზრები ჰქონდათ.

ეჰ, ჯარისკაცის გული, კეთილი, სათნო, ფიქრთა ზღვაო, ქვეყნის წონავ, ღამით, მერე ისიც ლაშქრობაში, რაღას არ წარმოიდგენ, რაღას არ მისწვდები ოცნებით!

როცა სანგარში ხარ, იცი, რომ მტერი შენს წინაა. გადმოვა შეტევაზე, ცეცხლს შეაგებებ, უკუაქცევ, თუ შენ გიზმეს იერიშზე, ამხანაგების მხარდამხარ გარბიხარ. მტერს ესვრი, სასიკვდილოდ არ ინდობ, რადგან იცი, რომ იმას შენი სისხლი სწყურია. თუ შენ არ დაასწარი, ის დაგასწრებს, დედასა და გულის სწორს აგითირებს!

სულ სხვაა ლაშქრობისას, ყოველ წუთს, ყოველი ნაბიჯის გადადგმისას საშიშროებას ელი, არ იცი მტერი როდის გამოტყვრება, საიდან გიყელებს!

იქნებ ილაჯაწყვეტილ ჯარისკაცებს ეს ფიქრი უტრიალებდათ?! ან, იქნებ უნატრონოდ მიტოვებულ ცოლშვილს ნადვლობდნენ. ალბათ, ზოგი იმასაც სწუხდა, ნეტავი ოჯახური სიტუბობას მაინც ვლირსებოდით. შესაძლოა იყვნენ ისეთებიც, ვისაც არ განეცადა პირველი სიყვარული, ქალის ხელის მოჭერით გამოწვეული აღტაცება?! და აი, ახლა ოცნებით შექმნილ ქალიშვილზე ფიქრობდნენ და ამითაც უსაზღვრო ნეტარებას ეძლეოდნენ.

ვინ იცის, იქნებ, ზოგი იმ საშინელ

ფიქრსაც შეეპყრო, ძალაუნებურად რომ აეკვიატება ხოლმე ბრძოლაში მიმავალ კაცს: რას მიქადის ბედი, მოვკვდები, დავიჭრები, თუ ცოცხალი გადავრჩებიო.

აღბათ, ბევრი მათგანი ჯარისკაცის უტყუარი გუმანით ხვდებოდა, რა საშინელი ჯოჯოხეთიც ელოდათ, რომ დილით ქვეყანა გაიღვიძებდა, ისინი კი სამუდამოდ დახუჭავდნენ თვალებს, რომ ეს მიმომე, მომქანცველი ლაშქრობა მათი ცხოვრების უკანასკნელი აღმართი, უკანასკნელი გადასარბენი იქნებოდა.

თითქმის სამი საათი ვიარეთ შეუსვენებლივ. შეგვცივდა, ხელ-ფეხი მოგვაზრა, მეც და ზემდეგიც მალი-მალ მანჯიკიდან ჩავდიოდით და ცოტა რომ გავსურებულყავით, სირბილით მივდედით „ყაზბეგას“.

ასევე იქცეოდნენ ჩვენს უკან მომავალი ალაღის მეეტლებიც.

შუალამე გადასული იყო, რომ დანიშნულ ადგილზე მივედით.

ბატარეიამ ტყისპირას დაიკავა საცეცხლე პოზიცია.

ცხენები ქვემეხებიდან სამასიოდ მეტრის დაცილებით, ტყის სიღრმეში გავაჩერეთ.

ზემდეგმა გვიბრძანა, ფიჭვების ქვეშ ცხენებისათვის ფაცხები მოგვეწყო. ამ საქმეს რომ მოვრჩით, მერე მიწური გავაკეთეთ.

ორი ჯარისკაცი ცხენებთან მორიგედ დავტოვეთ, დანარჩენები კი მიწურში დავწყქით.

განთიადისას უზბეკ თუ ყირგიზ ჯარისკაცთან მომიხნა ცხენებთან დგომა. ყინვა ვის არ გასტეხს, ხელ-ფეხს ვის არ გაუთოშავს, ძვალსა და რბილში ვის არ გაუჭდება?!
რა დასამაღია, სიცივეს მეც ვერ ვიტან, მაგრამ ამ უზბეკ, თუ ყირგიზ ჯარისკაცისთანა მცივანა მეორე არ მიმხნავს.

მიწურიდან გამოვედით თუ არა, აძაგაგადა, ფაცხებს სირბილით გარს უვლიდა, ბუქნავდა, მოკრივესავით ხე-

ლებს აქნევდა, თან გულისგამაწვრილებლად წუწუნებდა, კაცო ეს რა ღვთის რისხვაა, ძარღვებში სისხლი მიშრება, სული მეხუთებაო.

არც მე ვიყავი ნაკლებ დღეში, ხელ-ფეხი დამეწვა, წარბ-წამწამზე ალმასის ეკალი ამეხსა, მაგრამ ამხანაგის დასანახავად თავი ყოჩაღად მეჭირა, ჩემს გასაჭირს არ ვამხელდი.

ყინვას მაინც თავისი ვაჭქონდა. ბოლოს სიცივემ მეც დამაბეჩავა, ფეხის თითები გამეთოშა, ცხვირპირი ამეწვა, ხელებით მკერდს ტყაბა-ტყუბი ავუყენე. მწყობრი ნაბიჯით დავდიოდი. „ყაზბეგასაც“ დავხედე. თავდაბრილი იღვა, თვალებს ახამხამებდა. პირუტყვს მუხლის თავები უკანკალებდა. თივა დავუყარე. ჩულია შევეუსწორე, ფეხქვეშ თოვლი გამოვუღავე... მერე ჯაგრისი და საბურველი მოვქებნე და ცხენის გაწმენდა დავიწყე.

სწრაფად ვამოძრავებდი გაფიჩხულ ხელებს, ჯაგრისსა და საბურველს მარჯვედ ვუსვამდი ცხენს ზურგზე, ტლოკებზე. გავთბი, სხეულში სიმხურვალემ დაამიარა.

„ყაზბეგამაც“ იგრძნო სითბოს მაცოცხლებელი ძალა, თავი შემართა, ატოკდა, ტორი მიწას დასცხო.

ჯარისკაცი ჯერ შორიდან მიმზერდა, მერე მომიახლოვდა, აღბათ უკვირდა, რა დროს ცხენის წმენდააო.

— ეი, მეგობარო, რა ზეზეულა იყინები, ხელი გაანძრიე, გახურდები! — დავუძახე მე.

ჯარისკაცი ერთხანს ყოყმანობდა, მერე კი უნაგირის ჩანთიდან ჯაგრისი და საბურველი ამოიღო და ცხენის წმენდას შეუდგა. გაფიჩხულ ხელებს ჯერ ნელა აქნევდა. ცოტა რომ შესურდა, სიჩქარეს მოუმატა, და ბოლოს, ჩემზე ნაკლებად როდი ყოჩაღობდა.

ყინვა კი მძვინვარებდა, ხამუშ-ხამუშ ქახანი გაუღიოდა, ფეხქვეშ თოვლი ხრამუნობდა.

ვანო ურჯუაშვილი
მოსკოვი კმეხნად მართი

— აი, ყინვაც ამას ჰქვია. ტანის-
მოსს ბურღავს, კუნთებში ძვრება! —
წაილაპარაკა ჯარისკაცმა და შეჩერდა.
ორივე ხელი ცისკენ აღაპყრო და, თი-
თქოს ღმერთს ვეგდრებათ, შეღადადა:
— ყინვაც, შეგვიბრალე, შეგვიწყნარე,
შეგვეშვი! განა არ ემჯობინება, გათო-
შო, უვნებელყო ის ძალა, რაც ამ შე-
მზარავ სისხლისმღვრელი ომის ჩარხს
ატრიალებს, და თუ არ ძალგდის ეს, მაშ
ქვემეხების გრუხუნის, ყუშპარების
აფეთქებათა გრიალი, თოფების ბათქა-
ბუთქი, დაჭრალ-დაგრდომილთა კენ-
სა-გოდება მაინც გაყინე და მომავალ
თაობებს შემოუწახე. მერე კი, როცა
ქვეყნად ომები აღარ იქნება, დაე, ეს
ყველაფერი გალხვეს, გაცოცხლდეს.
რა სამარცხვინო მდგომარეობაში აღ-
მოვჩნდებით! ალბათ, შთამომავლნი
იტყვიან, რა უღმობელნი, სისხლის-
მსმელნი ყოფილან ჩვენი წინაპარნიო.
— ვინ იცის, იქნებ ამით ისინი
ვერც გააკვირვო, ალბათ მერე უფრო
შემზარავი ომები იქნება. ამაზე მეტყ-
ველებს ისტორია.

— მე კი მიხდა, რომ ეს უკანასკნე-
ლი იყო!

— ბარემ ეს მეც მიხდა! ქვეყნად
კაცი არ მეგულება, ამასვე არ ნატრობ-
დეს, მაგრამ გაეა წლები და იქნებ ომი
კიდევ ატყდეს.

— რატომ გვონია?!

— იმიტომ, რომ გაქნილი, დიდების
მაძიებელი სახელმწიფო მოღვაწენი
უძლეველი მხედართმთავრის სახელზე
ოცნებობენ. მოტყუებული ადამიანები კი
ულარტყინველად ასრულებენ მათ სის-
ხლიან ზრახვებს! აბა, მიბასუხე, რის-
თვის იბრძვიან გერმანელები?

— ჰიტლერისათვის!

— ჰიტლერი კი ტირანია, ჯალათი,
სახელისა და დიდების მაძიებელი.

დავიღალე, სიარულით ფეხები და-
მაწყდაო, თქვა ბოლოს ჯარისკაცმა და
ხეს მიეყრდნო. მე კი ისევ მივდი-მოვ-
დიოდი.

იგი დადუმებული იდგა, თითქოს

ბუნების ნეტარ სიმშვიდეში ჩანთქმულ
ლიყო.

გვერდით რომ ჩავუარე, ხმადაბლა
წაილაპარაკა:

— ჩემს სიცოცხლეში ასე არასო-
დეს შემცივნია, მაგრამ მაინც გამოუ-
თქმელ სიამოვნებას განვიციდი! აღარც
კი მჯეროდა, თუ ქვეყნად კიდევ არსე-
ბობდა სიჩუმე. ეჰ, რა წყნარი, მშვიდი
ღამეა! ნეტავ სულ ასე იყო!

— ამის იმედი ნუ გექნება, ეს სი-
ჩუმე მოჩვენებითია! შეტევის წინ გერ-
მანელები მახეში გაბმული მელასავით
თავს ვანგებ იმძინარებენ, ინაბებიან!

ბუჩქებში შუქმა გამოანათა. გაისმა
თოვლის ხრავა-ხრუში და ხმელი ტო-
ტების მსხერევის ხმა. ჩვენი შემცვლე-
ლი მებრძოლები მოაბიჯებდნენ.

მიწურში შევიდით თუ არა, პატარა
მოგიზვიზე ღუმელს მივუსხედით, ხელ-
ფეხი გავითბეთ და დავწექით. ალბათ,
ორი-სამი საათი მეძინა, როცა ზემდეგ-
მა გამაღვიძა და მიბრძანა, მზარეულ-
თან წადი, ბატარეის მეთაურის სა-
თვალთვალე პუნქტზე სადილს გაგა-
ტანსო.

მზარეულმა ქვაბურა წვნიანით გა-
მივსო და პატარა ნაჭერი პური მომცა,
შენ აქ დანაყრდი. კერძით სავსე თერ-
მოსი და ორი გორგოლა პური კი სა-
თვალთვალე პუნქტზე წაიღეო.

თერმოსი და თოვი მხარზე მოვი-
გდე, ღმერთო დიდებულო, კარგ ფეხ-
ზე მატარე-მეთქი, ვულში პაპაჩემის
საყვარელი სიტყვები გავიმეორე და
გზას გავუღდექი.

შუალამე გადასული იყო. ბნელოდა.
შსუსხავი ყინვა თარეშობდა.

საცეცხლე პოზიციიდან სათვალ-
თვალე პუნქტამდე გაჰიმულ ტელეფო-
ნის ხაზს მივდევდი, ეს ყველაზე მოჯ-
ლე მანძილი იყო და არც გზა ამერეო-
და. ტყის წინ აყრილი ბუჩქები რომ
გავლე, თოვლით დაფარული ტრიალი
მინდორი გადაიშალა, რალაც დიადისა
და საოცარის მოლოდინში რომ განა-
ბულიყო. ცივი ქარი ბუბუტუნებდა. ანა-
პერწყლებული ყინვა სახეს მიკაწრა-
ვ-

და, თოვლის ფიქვი წარბ-წამწამზე
ჭირხლად მესხმოდა.

უცებ, რაღაც ხუთასიოდენ ნაბიჯზე
ცაში ზედინედ აიჭრნენ კაშკაშა შუშ-
ხუნები.

პირქვე დავემხე...

პორიზონტზე, ამობოქრებული ცეც-
ხლის კედელი აღიმართა. ყუმბარებმა
წივილით თავზე გადამიქროლეს, რა-
საც ნაღმმტყორცნებისა და ქვემეხების
გამაყრებელი გრუხუნნი მოჰყვა. აშვე-
ბული ძაღლებივით აყეფდნენ ტყვი-
ამფრქვევები. ერთბაშად ჩემს შორი-
ახლო თეთრ-მომავო ბორცვი წამოი-
მართა, თოვლი და მიწა თავზე გადამე-
ყარა.

უმალ ყუმბარით ამოთხრილ ორ-
მოში ჩავხტი. ეს ყველაზე საიმედო
თავშესაფრად ჩავთვალე, რადგან ჯა-
რისკაცებისაგან მსმენია, ნაყუმბარევეს
ჭურვი აღარ დაეცემაო.

არტილერიის კანონადა მალე მი-
ყურა, ტყვიამფრქვევები კი ისევ კა-
კანებდნენ. მანათობელი ტყვიების მრავ-
ალ წერტილი მინდორს გარდიგარდმო
სერავდა.

იმის შიშით, ვხაში თავზე არ დამ-
თენებოდა, ორმოდან ამოვცოცდი და
წაუხული ხაზს გავყევი.

გათენებული იყო, სათვალთვალო
პუნქტზე რომ მივედი.

კაპიტანმა გერასიმენკომ უმცროს
ლეიტენანტ კუზნეცოვს უბრძანა, დროს
ნუ ვკარგავთ, მტერი ალბათ შეტევაზე
გადმოვა და ჭამა მიინც მოვასწროთო.

ერთბაშად თვითმფრინავების გუ-
გუნმა არემარე გააყრუა. ისინი ისე
დაბლა მოფრინავდნენ, თითქოს იმ
ტყვიდან იხუვლეს, რომლის პირას
მტრის მოწინავე ხაზი გადიოდა.

სამ-სამად დამწკრივებული იუნ-
კერები მძიმედ და ნელა მოფრინავ-
დნენ. იმათ მაღლა ღრუბლებში გამა-
ნადგურებლები დღეოდნენ.

ნირწამხდარნი გავცქეროდით ამ
სურათს, კაპიტანი გერასიმენკო ისე
გადმოგვხედავდა ხოლმე, თითქოს უნ-
დოდა ეთქვა, ბომბდამშენებთან ვერა-

ფერს გავხედებით, ამიტომ მოთმინებით
უნდა ველოდით იმ საშინელებას, რაც
მალე თავზე დავგატყდებო. მალი-მალ
ნერწყვეს ყლაპავდა და ოდნავ გამობე-
რილი ყანყარატო ჩვეულებრივზე უფ-
რო მეტად ებერებოდა.

ძრავების მძლავრ გუგუნში გავიგო-
ნეთ მზარდი, შემზარავი წივილი.

თითქოს მიწა ყალყზე შედგა, მყის-
ვე ძირს ზღართანი გაიღო და წელგა-
დატეხილივით ერთი საშინლად ამოი-
ხვნეშა.

მიწურში ბნელოდა. სახურავიდან
ხრილით ცვიოდა მიწა. გარედან შე-
მოჭრილი კვამლი თვალებს გვწვავდა,
ცრემლს გვადენდა.

— ამხანაგო კაპიტანო, ტანკები
მარცხნივ! — მოახსენა გერასიმენკოს
სიღოროვმა.

სიტყვა ტანკი აღრინდელივით შე-
მზარავად როდიდა გაისმა. სათვალთვა-
ლზე პუნქტზე არავინ დაფეთებულა.
არც მტრისათვის შეუქცევია ვინმეს
ზურგი. ქვეითებსაც აურზაური არ
აუტეხიათ. მშვიდად იდგნენ სანგრებში
და ხარბად ექაჩებოდნენ პაპიროსს.
„ტანკების გამანადგურებლები“ კი თა-
ვიანთ შრისხანე იარაღს ამზადებდნენ
სასროლად.

გერმანული ტანკისტები სარქველ-
ანდილი კომუტრებიდან როდიდა გას-
ცქეროდნენ ბრძოლის ველს. ოთხად
მოკეცილი ფაშისტი მეავტომატეები კი
ჭურღულად მოსდევდნენ ხოჭოებივით
გართხმულ ურჩხულებს.

— ორიენტირი ექვსი, ბატარეია
ოთხი ფოლადის მჭრელის ჭურვით,
ცეცხლი! — ბრძანა გერასიმენკომ,
მშვიდად რომ გასცქეროდა ბრძოლის
ველს.

ტანკების რიგებში ზედინედ აფეთ-
ქდნენ ჭურვები. ერთ ურჩხულს ცეც-
ხლი გაუჩნდა და გაჩერდა. დანარჩენე-
ბი კი ისევ მოზობლავდნენ.

კიდევ ერთი ტანკი გაეხვია ცეცხ-

ვანო ურჯუშავლაშვილი
მოსკოვიში მკვებად იმითი

ლის ალში. ტანკისტმა კოშკურის სარ-
ქველი ახადა, მალლა ამოფოფხდა. ბაქ-
ნიდან გადახტომას ლამობდა, მაგრამ
შუბ მუცელზე ხელი იტაცა, შეტრი-
აღდა და ძირს ბრავჯანი გაიღო.

ასეთივე ბედი ეწია მის ორ ამხა-
ნავსაც...

და ბოლოს, ფაშისტთა ტანკები,
რაკი გაუვალ ცეცხლს წააწყდნენ, უკან
გაბრუნდნენ, მეავტომატეებმაც სირ-
ბილით ტყისაგან მოუსვეს.

მტრის უკუქცევიდან ნახევარი სა-
ათიც არ იყო გასული, რომ გერმანე-
ლებმა ისევ დაიწყეს საარტილერიო
მომზადება.

თითქოს ჩვენსკენ მქროლავ ჭურ-
ვებს მოჰყვნენო, ქორებივით თავზე
დაგვაცხრნენ მტრის იუნკერსები,

ისეთი საშინელი ვრიალი გაისმა,
მეგონა ზესკნელი ჩამოქცა-მეთქი. სა-
თვალთვალე პუნქტი საქანელასავით
ცისკერ გაქანდა, უმალ უკან გამოქან-
და, მერე ისევ ცისკერ აიჭრა და თით-
ქმის ნახევარი საათი შავ დღეში ვიყა-
ვით.

გერმანელები ისევ გადმოვიდნენ
შეტევაზე.

ერთი გნაისი და აურზაური ატყდა.
ყვირილ-ღრინანცელი ხან მისწყდებოდა,
ხან უცებ იფეთქებდა.

ამბრაზურას შავი ფარდა ჩამოეფა-
რა.

მიკვირდა. კაპიტანი გერასიმენკო
მიზანს როგორ ხედავს, ან როგორ ახ-
დენს ცეცხლის კორექტირებას-მეთქი.

სახის გამომეტყველებით ვერ გაი-
გებდით, აღფრთოვანებული იყო ბატა-
რის სროლით, თუ უკმაყოფილო.
ოღონდ ჩვეულებრივზე უფრო ხმა-
მალდა, ყოველი სიტყვის მეფიო გა-
მოთქმით იძლეოდა ბრძანებას.

სამაგიეროდ უმცროსი ლეიტენან-
ტი კუნეცოვი და გიგაური, დურბი-
ნდებით რომ უთვალთვალეობდნენ
ბრძოლის ველს, შეძახილებითა და ტა-
შით გამოხატავდნენ იმ დიდ სიხა-
რულს, რასაც მტაცებელი ცხოველის
მოკვლა იწვევს ხოლმე მონადირეში.

უცებ ძრავების გუგუნე გავიგოზე.

„ნუთუ ასე ახლოს არიან ტანკე-
ბი?!“ — გულში გამკრა და მაშინვე
წამოვდექი. მაგრამ ისე მოვაჩვენე, ვი-
თომ ფეხი გამიბუჟვდა და სახსრების
გაშლას ვცდილობდი.

ტანკები ქვეითების თხრილებისა-
კენ მოემართებოდნენ.

ჩვენგან მარცხნივ, ხშირ ტყე-ქალი-
დან გერმანელთა კიდევ ოცამდე ტანკი
გამოვრუხუნდა, უკან გრძელ ჯაჭვად
გაშლილი მეავტომატეები რომ მოს-
დევდნენ.

ბატალიონის მარცხენა ფლანგზე
მესამე ასეულის თხრილიდან რომე-
ლილაც ჯარისკაცი ამოხტა და ტყისა-
კენ მოკურცხლა. მისივე უკან მეორე
ჯარისკაცი მიჰყვა. მესამეც, და ერთბა-
შად მთელი ასეული წამოიშალა.

შეშითა და პანიკით თავზარდაცემუ-
ლი ქვეითები ერთმანეთს უსწრებდნენ,
თავს ხმელ ბუჩქებს აფარებდნენ, მაგ-
რამ ხომ-კაკალასავით წამოსულ
ტყვიას, ან სად დაემალეობოდნენ, ან
სად გაექცეოდნენ. ნატყვიარნი ძირს
პანტა-პუნტით ცვივოდნენ.

— ამხანაგო კაპიტანო, ნება მომე-
ცით, შევაჩერო ასეული! — მიმართა
გერასიმენკოს კუნეცოვმა.

— მიდი, მიდი, კუნეცოვ!

— ამხანაგო კაპიტანო, მეც უმც-
როს ლეიტენანტს ვაყვებო! — თქვა
გიგაურმა და, თითქოს წინასწარ იცო-
და, რომ კაპიტანი დასთანხმდებოდა,
ავტომატს წამოავლო ხელი და კუნე-
ცოვს გამოედევნა.

რაკი სათვალთვალე პუნქტში უკ-
ვე ხალკათობა იყო, წამოვდექი და ტე-
ლეფონიანად ამბრაზურასთან მივედი.
ბრძოლის ველზე ხუთი თუ ექვსი ტან-
კი იწვოდა. ქვეითების პოზიციებზე მა-
ლი-მალ თოვლის ბორცვები იმართე-
ბოდა.

სირბილით მიმავალი კუნეცოვი
და გიგაური გამოქცეულ ქვეითებს წინ
გადაედობნენ.

— მომყევით, სად ვარბიხართ!
შესძახა კუნეცოვმა, ავტომატი მალა

შემართა, და წინ გაიქცა. ეტყობა, დარწმუნებული იყო, რომ ჯარისკაცები შეასრულებდნენ მის მოწოდებას, მაგრამ ყური არავინ ათხოვა.

ბატალიონის სამეთაურო პუნქტიდან გამოჭრილი ოფიცრებიც გადაეღობნენ ქვეითებს, შეჩერდით, ამხანაგებო, შეჩერდითო, მაგრამ მეზრძოლებს არაფრის ვაგონება არ უნდოდათ, გამობოდნენ, ლამის ერთმანეთი გადაეთელათ. ჩანთებს, აირწინალებს ყრიდნენ. ერთმა-ორმა თოფიც გადააგდო.

უფრო მეტი არეგ-დარევა, პანიკა რომ შეეტანათ, მტერმა უკუქცეულ ასეულს ნაღმსატყორცნების ცეცხლი დაუშინა.

ჯარისკაცები, ოფიცრები თოვლში ჩაწვენენ.

გერასიმენკომ, პირველი ქვემეხით რომ მოასწრო გამიზნვა, ბრძანა:

— მარცხნით 00-15, მიზანი 15 ნაკლები, ბატარეა, ექვსი ჯავშანმჭრელით, ცეცხლი!

ცაში თოვლნარევი მიწის მთები აღიმართა. არემარე კვამლში გაეხვია.

გერმანელებმა მცირე ხნით სროლა შეწყვიტეს. ამით ისარგებლა კუხნეცოვმა, ფეხზე წამოხტა და ძირს ვართხმულ ასეულს მიმართა:

— კომუნისტებო! წინ!

კუხნეცოვი თოფიომარჯვებული, მტკიცე, მხედრული ნაბიჯით გაემართა წინ. ქვეითების ოფიცრებიც მას გაპყვნენ. გიგაურიც ამოუდგათ მხარში. უმალ ორი ჯარისკაცი წამოდგა, თოფები მოიმარჯვეს და მოიეროშეებს აედევნენ. ხუთიოდე ნაბიჯი რომ გაიარეს, ქვეითების ოფიცრმა უკან მოიხედა და საზეიმო ხმით შესძახა:

— სამშობლოსათვის, წინ! ვაშა!

— ვაშა! — გაისმა წამოშლილ ჯარისკაცთა ერთობლივი შეძახილები.

ბრძოლის ველზე სკდებოდნენ ჭურვები, ხელყუმბარები... იწყოდა ფოლადი, შიშინებდა თოვლი... და ისეთი შავი კვამლის ბული ტრიალებდა, მიჭირდა ჩვენებისა და გერმანელ მეავტომატე-

თა გარჩევა, ხიშტითა და კონდახით ერთმანეთს რომ ჩხვლეტდნენ, ჩეხდნენ, კუწავდნენ! ამასობაში მარცხენა ფლანგიდან მომავალი მტრის ტანკები ასიოდე ნაბიჯზე მოგვიახლოვდნენ. კიდევ ათიოდე წუთი და ისინი მუხსლუხებით ზედ გადაგვივლიდნენ.

მეც არ ვიცი, რა დამემართა, რა გრძნობა დამეუფლა, მუხლები ამიკანკალდა და ათრთოლებული ხმით გერასიმენკოს მივმართე:

— ამხანაგო კაპიტანო, სანამ დრო გვაქვს, უკუვიქცეთ!

— კრინტი, ეს აღარ გამაგონო! დაე, დავიხოცოთ, მაგრამ არც ერთ ნაბიჯს უკან ვეღარ დავიხვეთ! — და უმალ დაუმატა: კახაბერო, და შენც სიღოროვ, საცეცხლე პოზიციაზე წადით, თქვენ აქ ზედმეტი ხართ!

— ამხანაგო კაპიტანო, ჩვენც თქვენთან დავრჩებით! — მიუგო სიღოროვმა.

ჩემთვის გაუგებარი იყო, რა ჰქონდა კაპიტანს განზრახული, რატომ გვაგზავნიდა საცეცხლე პოზიციაზე. ან სიღოროვი რად მოითხოვდა მასთან დარჩენას. თავი ისე დავიკვირე, ვითომ ყველაფერი ვიცოდი, რაკი სირცხვილნაჭამი ვიყავი, მინდოდა შეცდომა გამოემსწორებინა და ბატარეის მეთაურს მივმართე:

— არა, ჩვენ აქედან ფეხს არ მოვიცვლით!

— გიბრძანებთ! თქვენ საცეცხლე პოზიციაზე საჭირო ხართ! იქ დადექით, მედგრად, არც ერთი ნაბიჯი არ დაიხიოთ! — თქვა კაპიტანმა და თავი ისე აიქნია, თმის უკან გადაყრა რომ იცოდა ხოლმე, და ქული ოდნავ გვერდზე მოექცა.

უძრავად ვიდექით. ვდუმდით. კაპიტნის მიტოვება გვიმძიმდა.

— შეასრულეთ ბრძანება! სირბილით! — გერასიმენკომ ისე მკვეთრად

ვანო ურჯუაშვილი
მოსაოვრი ძმებისა და მათი



და შეუპოვრად შესძახა, ორივე უმაღლესი მის ნებას.

გარეთ უფრო მკაფიოდ ისმოდა ძრავების ღმუთილი, ქვემეხების გრუხუნო, აფეთქებათა გრიალი.

ტელეფონის ხაზს ვაყვებით სირბილით. ჭურვებმა თავზე გადაგვიქროლეს და სათვალთვალე პუნქტის ირგვლივ აფეთქდნენ. როცა ჩვენი ქვემეხების ბათქა-ბუთქი გავიგონე, სიღოროვს შევკეითხე:

— რაშია საქმე, ეს ხომ ჩვენი ბატარეა ისვრის?

— ჰო, ჩვენი ბატარეაა, არტილერიის ერთი ამას ჰქვია სროლა თავის თავზე.

ქვემეხები ფიცხელ ცეცხლს ისროდნენ. ზუილით მჭროლი ჭურვები ძირს რომ ენარცხებოდნენ, ისე მეჩვენებოდა, თითქოს გულზე მეცემოდნენ.

საცეცხლე პოზიციაზე რომ მივედი, ქვემეხები ღუმდნენ, ღუმდნენ თავდახრილი ჭარისკაცებიც.

ამხანაგებისაგან შევიტყუეთ, სათვალთვალე პუნქტს ჭურვი მოხვედრია, კაპიტანი გერასიმენკო დაჭრილა, მაგრამ ტელეფონით მაინც გადმოსცემდა ბრძანებას, ცეცხლის კორექტირებას ახდენდა. მისი უკანასკნელი სიტყვები ყოფილა: „ძმებო, იდექით მედგარად! არც ერთი ნაბიჯი უკან! რუსეთი დიდია, მაგრამ მოსკოვი ქვეყნად ერთია!“.

ბატარეა ყველასაგან მოწყვეტილი იყო. აღარც ბატალიონის სამეთაურო პუნქტთან გვქონდა კავშირი. არ ვიცოდით, რა ბედი ეწოა კაპიტან გერასიმენკოს, უმცროს ლეიტენანტ კუზნეცოვსა და გიგაურს.

მოწინავედან მომავალი დაჭრილები გვარწმუნებდნენ, ბატალიონი განადგურდა, გერმანელებმა ქვეითების თავდაცვითი ზღუდე გაარღვიეს, დაუბრკოლებლად წინ მოიწევენ და საცაა აქ გაჩნდებიანო.

ქვემეხები შევნიღბეთ... ჭურვები მოვიმარაგეთ. ბატარეის ფლანგებზე ორი ხელის ტყვიამფრქვევი დავდვით.

ყველა ქვემეხთან გუდაგი ამასთან, ერმაკოვმა სიღოროვის მეთაურობით მზვერავები გაგზავნა მტრის ადგილსამყოფელის დასადგენად.

ღღამდა თუ არა, იმედი მოგვეცა, რომ გერმანელები შეტევას აღარ გამოვიდოდნენ. ღღამდე კი ჩვენი სარდლობა ალბათ დამხმარე ჯარებს მოგვაშველებდა.

ნავაზშმევს მიწურში შევიყუყენით და ღუმელებს მივუსხედით.

— რა კაცი დავკარგეთ! — წაილაპარაკა დანადგოიანებულმა ნიკიტამ, და, მცირე ხნის შემდეგ დაუმატა, ვაითუ ერმაკოვს გაუძნელდეს გერასიმენკოს შეცვლაო.

სულ იმას ვცდილობდი ნიკიტას ლაპარაკში არ ავეყოლოდი, რადგან თავი სოლომონ ბრძენით ეჭირა, ათას სისულელეს კი რომავდა. თან ჯიუტი, თავის ნათქვამა იყო. თუ იტყოდა რაიმეს, რამდენიც არ უნდა გემტკიცა, ვერ გადაათქმევინებდი. ახლა კი თავი ვერ შევიკავე და მივუგე:

— ნიკიტა, ძვირფასო, ბრალი გერასიმენკოსი, თორემ ამ ქვეყნად შეუცვლელი არავინაა:

— ეს კი ასეა, მაგრამ კაპიტანი გერასიმენკოსი უფრო მჭეროდა, გამოცდილი, მომთხოვნი, ყველაფრის მცოდნე მეთაური იყო.

პირველი შემთხვევა იყო, რომ ნიკიტას სიტყვებმა ჩამაფიქრა.

„ნუთუ კაპიტანი ერმაკოვი ვერ გავვიწევს გერასიმენკოს მაგივრობას?!“ — ესვე ამოვიკითხე ღუმელის გარშემო ჩაფიქრებულ მებრძოლთა თვალებში.

სიღოროვს მუხლისთავებზე რვეული გაეშალა, ხელში ფანქარი მოემარჯვა და ცეცხლს მისჩერებოდა.

როგორც ყველა ფრონტელს, ჩვენი ბატარეის მებრძოლებსაც ნაცნობ თუ უცნობ ქალიშვილებთან მიწერმოწერა გვქონდა გაჩაღებული. სიღოროვს ამ საქმეში ვერავინ შეეღებოდა. ჩვენი ქვეყნის რომელ კუთხეში არ გააბა ნაცნობობა.

იგი ისე გაიწაფა სატრფიალო წერილების წერაში, ამხანაგებსაც გვეხმარებოდა. საკმარისი იყო ადრესატის შესახებ ცოტა რამ სცოდნოდა, რომ უმალ მშვენიერ წერილს გამოაცხობდა.

ამიტომ, რა დავმართა, ასე რამ ჩააფიქრა-მეთქი, და შევეცითხე:

— შენ რა, სიღოროვ, ქალიშვილს წერილს გალექსილს ხომ არ უგზავნი?

— არა, პარტიული ორგანიზაციის სახელზე განცხადებას ვწერ პარტიაში შესვლა გადავწყვიტე!

— მერე რა დავემართა, ამდენს რას ფიქრობ?

— მინდა კარგად დავწერო. აზრი მოფიქრებული მაქვს, მაგრამ სიტყვები ვერ მომიძებნია.

— შენც ადექი და ისე დაწერე, როგორც მოფიქრებული გაქვს! აი, ნახავ, თუ კარგად არ გამოგვიდეს!

სიღოროვმა ცოტახანს იფიქრა და გაკვრით რამდენიმე წინადადება დაწერა. განცხადებას თვალი გადაავლო, მერე კი ხმაშეკრულად ეს წაიკითხა:

— გთხოვთ მიმიღოთ პარტიის რიგებში. მინდა ვიყო ისეთი კომუნისტი, როგორებიც არიან კაპიტანი გერასიმენკო, უმცროსი ლეიტენანტი კუზნეცოვი და ჯარისკაცი ვიგაური! — და სიღოროვმა შემეითხავად თვალი გამიშტერა, რას იტყვი, როგორიაო.

— კი, მაგრამ ვიგაური ხომ უპარტიაო?

— რას ამბობ, მე ის კომუნისტი მეგონა!

„პარტი და მე რაღას ველოდები?! მეც ხომ მინდა ვიყო კომუნისტი. ბარემ აქ, მოსკოვის მისადგომებთან შევალ პარტიის რიგებში“. — ეს გულში გავიფიქრე, სიღოროვს კი ვუთხარი.

— ქალაქი და ფანქარი მომაწოდე, მეც დავწერ განცხადებას!

— ჭკუაში დაგიჯდა ჩემი სიტყვა?! — მომიგო სიღოროვმა და ქალაქ-ფანქარი მომცა.

კომუნისტები პირველი ქვემეხის სანჯარტს შეიკრიბნენ. კრებას კაპიტანი ერმაკოვი თავმჯდომარეობდა. მდი-

ვანი არ აურჩევიათ. პოლიტბელმა ოცინიკოვმა ითავა ოქმის დაწერა.

ჯერ სიღოროვის განცხადება წაიკითხეს. სამმა კომუნისტმა გამოთქვა აზრი. თითქოს წინაწარ იყენებ შეთანხმებულნი, სამივემ ერთი და იგივე განაცხადა, სიღოროვი წესიერი, გამგონე, დაუზარელი, თავის საქმის მცოდნე ჯარისკაცია. საბრძოლო დავალებებს პირნათლად ასრულებს. მტერთან ბრძოლაში არაერთხელ ისახელა თავი, მოქმედობს უშიშრად, თავგანწირულად. პარტიის რიგებში მიღების ღირსიაო.

ამ წინადადებას კრებამ ერთხმად დაუჭირა მხარი.

პოლიტბელი ჩემს განცხადებას რომ კითხულობდა, კაპიტანი ერმაკოვი რაღაც თვალს მიშტერებდა. ეს ან კარგს მოასწავებს, ან ჩემი საქმე წასულია-მეთქი, ვფიქრობდი, და სულგანაბული პოლიტბელს ვუსმენდი.

პირველი სიტყვა ერმაკოვმა აიღო.

რაღაც სიმართლეა, სიმართლეა, არც მეგონა, თუ ასე კარგად დამახასიათებდა, ამდენ კეთილ სიტყვას გამოიმეტებდა, მაგრამ... დახე, ჩემდაუნებურად მეც არ წამომცდა ეს დაწყველილი, მაგრამ! დიახ, პოლიტბელმა დიდი ქების შემდეგ განაცხადა, ამხანაგებო, ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ...

ელდა მეცა, ძლივსლა ამოვისუნთქე. ნამდვილად ერმაკოვი მომდგება და ძველსა და ახალ ცოდვებს გამიხსენებს-მეთქი. თუმცა უმალ თავი დავაიმედე, ძველი ამბები ვიღას ახსოვს, რაღა სალაპარაკოა, ახალ ცოდვებზე კი ნურას-უკაცრავეა, ბევრიც რომ მოინდომოს, ვერაფერს გამოიმინახავს! თუ ბრძოლებში დიდი გმირობა არ ჩამიდენია, არც თავი შემორტხვენია-მეთქი.

ერმაკოვმა კი განაცხადა:

— ჩვენ არ შეგვიძლია ამხანაგ კახაბერს გულახდილად, პარტიული პრინციპულობით არ მივუთითოთ იმ ნაკ-

მანო ურჯუაშვილი
მოსკოვი მემყნად მართლ

ლოვანებებზე, რაც მას ჯერ კიდევ სამწუხაროდ გააჩნია. ერთ-ერთ ბრძოლაში შაშხანა დაკარგა, ასეთი რამ საბჭოთა მეომრისათვის, მით უმეტეს კომუნისტისათვის, დაუშვებელია. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, ჯარისკაცი კახაბერი ბრძოლებში გამოიწრთო, დავაუკაცდა, მხნე, უშიშარი მეომარი გახდა! იგი შეურიგებელი, დაუნდობელია საბჭოთა ქვეყნის მოსისხლე მტრებისა! ჩემი წინადადებაა ამხანაგი კახაბერი მიღებული იქნას კომუნისტური პარტიის წევრობის კანდიდატად.

სიტყვა ნიკიტამ აიღო. ისე გულთბილად გამიღიმა, მეგონა შემაქებდა, ცაში ამიყვანდა, ხოტბა-დიდებას შემასხამდა.

ასეც იყო... კარგად დამახსიათა, ყოველმხრივ წესიერი, გამგონე, თითოთ საჩვენებელი ჯარისკაციაო. და ბოლოს ერმაკოვს დაემოწმა, რა კარგად ბრძანეთ, ამხანაგო კაპიტანო, კახაბერი ბრძოლებში გამოიწრთო, დავაუკაცდა! მართლაც, კახაბერი ახლა უფრო ჯანსაღი, და საღსალამათია, ეს ჩემზე უკეთ არავინ იცის, შშვიდობიანობისას, როცა ყაზარმებში ვცხოვრობდით, ცისმარე დღე სანიტარული ნაწილის სტუმარი იყო. რაც ომი დაიწყო კი, კახაბერს კბილი არ წამოსტკივებია, ცხვირი არ დაუცემინებია!

კრების მონაწილეებს გაღიმათ. ის კი არა, კინალამ მეც გამეცინა და თავი ძლივს შევიკავე.

ნიკიტას კი, ეტყობა, ეგონა, ყველას მოეწონა ჩემი ნათქვამი, და უფრო თამამად განაგრძო:

— მართლაც, ამხანაგებო, კახაბერი შეიცვალა, ძალღონე მოემატა, გაკაჟდა, მე მხარს ვუჭერ კაპიტან ერმაკოვის წინადადებას!

შევცქეროდი სანიტარს და ვფიქრობდი, ეჰ, ნიკიტა, ნიკიტა, რა გულუბრყვილო, რა გაუგებარი ყოფილხარ! ჩემთვის ვითომ სიკეთე გინდოდა, შენ კი თავი მომჭერი-მეთქი.

სიტყვა არავის მოუთხოვია.

პოლიტხელის იმედილა მქონდა, მე-

გონა ჩემზე ორიოდ კეთილ სიტყვას იტყოდა, ერმაკოვის წინადადებას მხარს დაუჭერდა!

პოლიტხელი ოჩჩინიკოვი კი შემეკითხა:

— რატომ კომკავშირელი არა ხარ?

— რა ვიცი, რატომ არა ვარ?! — მივუგე კუსტად. იმაზე მომივიდა გული, ეს საიდანლა გაიგო-მეთქი. ვისი რა საქმეა, ომამდე რანაირი ვიყავი, ან კომკავშირში რატომ არ შევედი! სჯობია იმაზე ილაპარაკონ, დღეს როგორი ვარ! ერიპა, ამათ ისე ვატყობ, ახლა ჩემს პოლიტიკურ მომზადებასაც შემამოწმებენ. აი, მაშინ კი დადგება შენი გასაჭირი ვახტანგ კახაბერო, პარტიის წესდება და პროგრამა ხომ თავიდან ბოლომდე არც წაგვიკითხავს.

და მართლაც პოლიტხელი შემეკითხა:

— ამხანაგო კახაბერო, ვის ღებულობენ პარტიაში?

მინდოდა მკვახედ, გამომწვევად მეპასუხა, რალა ჩემთვის მოიცალეთ, თუ გულით გეთანადრებათ; არ მთვლით ღირსად ვატარო კომუნისტის მაღალი სახელი, რა მიკიბულ-მოკიბული მელაპარაკებით, ადექით და პირდაპირ მითხარით, ვერ მიგიღებთ. ამ დიდ ნდობას ჯერ არ იმსახურებო. სიდოროვს ერთი შეკითხვაც არ მიეცით, მე კი გამოცდებს მიწყობთ-მეთქი.

სხვა ვერაფერი მოვიფიქრე და გულმოსულმა ესლა მივახალე:

— პარტიაში იმას იღებენ, ვინც წინ იხედება და არა უკან!

— ეს როგორ გავიგოთ?!

— აი, ასე: უკან ცხოვრებაზე გულაყრილი, ურწმუნო, იმედდაკარგული ადამიანები იხედებიან. წინ კი ის იმზირება, ვისაც მომავლისა სჯერა, ვისაც სწამს ჩვენი სიმართლე და სწამს ჩვენი გამარჯვება! ამას გარდა, ვისაც თვალეზი კისერზე ასხია, უკან ადვილადაც გარბის. წინ მზირალი კი, დამახებისტანვე შეტევაზე გადადის; ფაშისტებს ცეცხლს უშენს, ხიშტითა და კონდახით

თავბრის ამტკრევს, გულღვიძლს უტ-
რიღლებს, სპობს, ანადგურებს!

— საკმარისია, ყველაფერი გასაგე-
ბია, — თქვა პოლიტბელმა და კრების
მონაწილეებს მიმართა: — ამხანაგებო,
კახაბერი კარგად ერკვევა ჩვენი ხალ-
ხის, ჩვენი პარტიის მთავარ სადღეი-
სო ამოცანებში, მეც მხარს ვუჭერ კო-
მუნისტური პარტიის წევრობის კანდი-
დატად მისი მიღების წინადადებას!

მოსაღამოვებისას ბურუსი ჩამოწვა.
ცა მოციმციმე, პატარა ვარსკვლავებით
აივსო.

მოწინავედან დაბრუნებულმა მწვე-
რავებმა გვაცნობეს, ბატალიონს არც
ერთი ნაბიჯი უკან არ დაუხვეია, და
გერმანელები უკუქციულანო.

სათვალთვალე პუნქტის შორიახ-
ლო ოთხი მტრის ტანკია დამწვარი. მი-
წური ჭურვებს დაუხგრევია და კაპი-
ტანი გერასიმენკო დაღუპულაო.

ქვეითების თხრილებში მოკლული
მეომრების ცხედრები უფრო მეტია,
ვიდრე ცოცხლები. უმცროსი ლეიტე-
ნანტი კუზნეცოვიც მოუკლავთო.

მწვერავებს კაპიტან გერასიმენკო-
სი, უმცროს ლეიტენანტ კუზნეცოვის
და მეკავშირე ჯარისკაცის ცხედრები
მარბილით მოაქვთ და საცაა მოვლენო.
ვიკაუტრის შესახებ არაფერი იცოდნენ.
ქვეითების თხრილები შემოვიარეთ, ვი-
საც არ შევეკითხეთ, მაგრამ ვერ მი-
ვაკვლიეთ. მკვდრებშიც ამაოდ ვეძე-
ბეთ, მისი გვამი ვერ ვიპოვეთო.

ამ ცნობამ ყველა შეგვაძრწუნა,
ყველას ცრემლი მოგვკვავარა.

გერასიმენკოსი და კუზნეცოვის სიკ-
ვდილი ვერ წარმოგვედგინა. ვისაც
ისინი ბრძოლაში უნახავს, მართლაც
ამას ძნელად დაიჯერებდა.

გზაზე გამოჩნდა მარხილი. მეეტლე
ცხენს ასდევნებოდა. სიდოროვი და
ორი მწვერავი უკან მოსდევდნენ მარ-
ხილს თავდახრილნი.

კაპიტანის ცხედარი ფოლადის ნამ-
სხვრევებით იყო დაჭრილ-დასახიჩრე-
ბული. გასისხლიანებული თმა ასწოწო-
და. მკვდარსაც შეემართა თავი, გეგო-

ნება საცაა აიქნევს და სქელ ქოჩორს
უკან გადაიყრისო.

კუზნეცოვისათვის მკერდი ავტომა-
ტის ცეცხლით დაეცხრილაო. ტყვია
ზევითა ტუჩშიც მოხვედროდა. პირი-
დან გამოხადენი ნერწყვნარევი სისხლი
ტუჩებზე შეჰყინოვდა.

გზაში მეკავშირეს გვამიც ეპოვათ,
საცოდაეს, ჭურვის ნამსხვრევი მუცელ-
ში მოხვედროდა. ეტყობა, ბევრი იწვა-
ლა სანამ სულს დალევდა, მკვდარსაც
გადმოყრილი წელები ხელებით ეჭირა.

პოლიტბელმა ოჩენციკოვმა კაპიტან
გერასიმენკოს ხალათის ჯიბე გაუხსნა
და მუყაოდან გაკეთებული ყდა ამოი-
ღო. მასში პარტიულითიან ერთად პა-
ტარა სურათი იდო: დნებრის ტალღებ-
ში შეტურებული ნავის კეჩოზე ახალ-
გაზრდა ქალი იჯდა. აქეთ-იქით გოგო-
ნები უსხდნენ. პატარა ხუთი წლისა იქ-
ნებოდა, დიდი — შეიღისა. დედას თმა-
ხუჭუჭა ცეროდენა ბიჭი ხელში ეჭი-
რა. ნიჩბთან გერასიმენკო იჯდა, თეთ-
რი შარვალ-ხალათი რომ ეცვა.

ბავშვებს სახეზე შიში აღბეჭდო-
დათ, მაგრამ ისე შესციცივნებდნენ
მზრუნველ მამას, თითქოს ეუბნებოდ-
ნენ, შენთან არაფრისაც არ გვეშინიაო.

გერასიმენკოც ცოლ-შვილს უღი-
მოდა, რისა გეშინიათ, აქა არა ვარო,
და ნიჩბებს ღონივრად უსვამდა.

უმცროსი ლეიტენანტი კუზნეცო-
ვის პარტიულითი სისხლით იყო შეღე-
ბილი. მასში ცისფერთვალეა პირ-
თეთრი, ცხვირბაჭუა გოგონას სურათი
იდო.

მეკავშირეს კი წითელარმიელის წი-
გნაკის მეტი არაფერი აღმოაჩნდა.

ძმათა სასაფლაო პატარა გორაკზე
გავთხარეთ. შიგ ნაძვის ტოტები ჩავ-
ფინეთ.

დასაფლავების წინ გამართულ მი-
ტინგზე პირველი ქვემეხის მემიზნემ,
სიდოროვმა და პოლიტბელმა ილაპა-
რაქეს.

ვანო შოგუშიაშვილი
მოსაოვნი ძმებისა მართი

ბოლოს ოჯინიკოვმა წარმოსთქვა
სიტყვა:

— დაღუმებულო ძმებო! თავდახ-
რილნი ვდგავართ თქვენი ცხედრების
წინაშე. თქვენ პირნათლად მოიხადეთ
სამშობლოს ვალი. და აი, გაბარებთ იმ
მიწას, რისთვისაც თავი გასწირეთ!
მშვიდად, თბილად იძინეთ მეგობრებო!
როდი გემშვიდობებით, ვინ იცის, იქ-
ნებ, ჩვენც აქ, ბრძოლის ველზე გვიწე-
რია სიკვდილი. და თუ ცოცხლები გა-
დავრჩით, ჩვენ არაერთხელ მოვალთ
თქვენ წმინდათა-წმინდა საფლავთან!

სამივე ცხედარი ერთმანეთის გვერ-
დით ჩავაწვინეთ სამარეში. ზევიდან
ნაძვის ტოტები დავაფარეთ და მიწა მი-
ვაყარეთ. ასე იმიტომ კი არ დავასაფ-
ლავეთ, რომ ვინმემ მათდამი უპატიე-
ცემულობა გამოიჩინა. არა, ეს არ იფი-
ქროთ. ძმათა საფლავში მხოლოდ
ბრძოლის ველზე დაკემულ გმირებს
ასაფლავებენ. ამას მოითხოვს ჯარის-
კაცული ძმობა და საერთო ბედი.

და ბოლოს გაისმა შაშხანების ზალ-
პი. ცაში კი არა, მტრის პოზიციების-
კენ გაიზუზუნეს ტყვიებმა.



შენი თავისუფლების დედაბოძი აქა დგას,
შენი შვილის აკვანი, შენი ფუძე აქ არი.
მგერი მოდის, კისერზე რომ უღელი დაგადგას,
ვაჟაკურად დაუნვდი, არ მოუშვა, დაჰკარი!

აღ. აბაშელი

ეს იყო ომი ჩვენივეს!..

ომში წასული მამა!
 ცუდსიზმრიანი ძილი!
 შინდარჩენილი დედა, —
 ხუთი პატარა შვილით!
 გამოღეული ნავთი
 და ნასესხები ფქვილი!..
 ჩვილბზობიანი ძროხის
 გაყიდვა ადრე დილით!..
 და დედისაგან თქმული:
 „ცოდვა მაქვს ჩადენილი!“
 უსაფუქვობით — სოფლის
 წისქვილი დაკეტილი!
 ზამთარში — დიდთოვლობით
 გამცდარი ვაკეეთილი!
 სამკუთხა ბარათები —
 მამისგან მოწერილი!
 გამოუკლებლად ყველა
 ოჯახი — მოწყენილი!
 მთელი დღე — მძიმე შრომა!
 სადილ-ვახშამი — მწირი!
 ადრე დაწოლა ღამით!
 მიწური სახლი — ცივი!
 ფრონტზე გაგზავნა ხილის,
 წინდის, ტანსაცმლის თბილის!
 მამის დაღუბვის ცნობა!
 სოფელი — დაღვრემილი!
 დღეები — დაძაძული
 და ღამეები — თეთრი!
 დედის მტკივანი გული! —
 ომი ეს იყო ჩემთვის!

დანკოს გულის წვიტ!..

კეთებას ითხოვს
 საქმე ურიცხვი —
 გასაახლებლად
 ცისა და მიწის!..
 და კომუნისტი
 დანკოს გულის წვიტ
 და დანკოს გულის
 ნათებით იღვწის!

ხალხის ნებაში,
ხალხის სურვილში
გაიდგა ფესვი
ლონის და სიბრძნის!..
წინ კომუნისტი
დანკოს გულის წვით
და დანკოს გულის
სიალით გვიძღვის!

დაგვებუდებია
წინსვლა რთული გზით,
ბრძოლა და შრომა —
ცხოვრების აზრად!..
და კომუნისტი
დანკოს გულის წვით
და დანკოს გულის
ხიცხულით გვრასმავს!

გმირებად მისი
დიდი ხული გვზრდის!
ნიჭს იგი აძლევს
ახპარჯს ფართოს!..
და კომუნისტი
დანკოს გულის წვით
და დანკოს გულის
ხინათლით გვათბობს!

ვამრავლებთ ხალხის
ხიხარულისთვის —
დაბრკოლებათა
არნახულ ძღვევას!..
და კომუნისტში
დანკოს გულის წვით
და დანკოს გულის
გიზგიზით შევალთ!

საინგილოვ, მათრობელავ!
მონატრებავ, ნათელმფენო!
დიდი დედასაქართველოს
კელაპტრებად ამნთებლო!

გამოცეცები მწვანე გზებით
მწკრივს მწყურვალე წეროების!..
მოვალ, მოგვალერსები,
მოგესაქართველოები!

ბალაჰიონი

ლექის კითხვა აცალა, —
შეებრალა შვილივით!..
მოსმენილი წაშალა
უმშვიდესი ღიმილით!

„პატარა უფლისწული“ —
ეკზიუპერის ფიქრი —
ქვეყნად ყველაზე ნაზი
და ნაღვლიანი წიგნი...

ცენტრში — პატარა პრინცი,
მთელი სამყარო — ირგვლივ!..

აპრილი აფეთქდა!.. მზე იქცა თაფლადა!..
და სასაფლაოზე ბალახი აყვავდა!..
საფლავი სულ ახლოს მივიდა საფლავთან!..
მეწყინა: იქ მკვდარი არავინ არ მყავდა!

ნაცნობ ბიჭებთან ვიყავი გუშინ,
ატყდა დავა და გაჩნდნენ იჭებნი!..
იმდენი შხამი ჩამასხეს გულში, —
რწმენა დაგვარგე მე იმ ბიჭების!

მაგრამ გადავწევე ყორნისფერ ფარდას
და სულ სხვა წრეში გადავიჭრები...
და ველარ ვფარავ სისარულს, რადგან
მე იქ მხედებიან ნაღდი ბიჭები!

კაცს ელოდება, ეძახის
და მიწას უთვალთვალებს!..
როგორც უკაცო ოჯახი, —
ისეა ახლა მთვარე!

პ ე ე ლ ა

ერთი დღით რომ აცოცხლებს, —
ღმერთს მადლობას უთვლის!..

გაუმარჯოს სიცოცხლეს! —
თუნდაც ერთი წუთის!


მ ა მ ა

მას ჯარისკაცის ფარაჯა ეცევა,
იგერიებდა მომხდურის ტყვიებს,
მან თვითონ ნახა ბერლინის ზეცა,
ბრანდენბურგს კარი რომ შეუმტვრიეს.

დაბრუნდა მამა ნატყვიარ მკერდით,
მტკივანი გულით დაბრუნდა იგი,
თუმც ცხადად ედგა სიკვდილი გვერდით,
ის მაინც იყო იმდენად მშვიდი,
იმდენად კარგი,
იმდენად ტკბილი,
რომ ქვეყანაზე ვიდრემდე ვივლი,
უბით ვატარებ სსოვნას და ტკივილს.

თითქოს იმისთვის დაბრუნდა მხოლოდ,
რომ ჩვენ სიკვდილი გვენახა თვალით,
ფერმკრთალი სახით, ომის სიმბოლოდ
დაბრუნდა იგი ივლისის ღამით.

და ახლა, სადაც მდინარის პირას,
ეკლის ღობესთან თვალს ახელს ია,
სამარადისო ჭრილობას სძინავს
და მამაჩემის საფლავი ჰქვია.



კოცოლა

ავისტოს ის ჩახუთული საღამოც ჩვეულებრივად დაიწყო. სტეფანეს გარდა ყველამ მოიყარეთ თავი. ყველანი მზად ვიყავით მოგვესმინა მორიგი ამბავი, მაგრამ უცებ ტელეფონი აწკრიალდა, სტეფანე გვირეკავდა: სახლიკაცი ჩამომივიდა სოფლიდან და თუ აღმიიანობა გწამთ, ნახევარი საათი დამიცადეთ, არაფერს მოყვეთ და მეც აუცილებლად მოვალ.

მეტი რა გზა გვქონდა? ნახევარ საათს როგორ არ მოვუძვდიდით იმ ადამიანს, რომელიც ჩვენი შედუღებულ კოლექტივის უცვლელი წევრი იყო და თბილისური დამეგობის ტეხვაში ჩვენთან ერთად იხაშმებოდა.

თითქოს ყველასათვის გამოინახა საქმე: ზოგი ნარდს მიუჯდა, ზოგი ჭადრაკს, ზოგიც დომინოს და ზოგმაც შეჯიბრების თვალყურის დევნება და მოპაეჭრეთა შეხშიანება-შეგულიანება ამჯობინა.

ავისტომ ერთი საქმეც გააკეთა, — სულ სხვადასხვა ასაკის მამაკაცები ვიყავით, მაგრამ ამ ერთმანეთის სულით ხორცამდე გატანობამ ისე დაგვაახლოვა, რომ ასაკობრივი ზღვარი სრულიად წაიშალა.

თითქმის ერთი საათი გავიდა. უკვე ეჭვიც შეგვეპარა იმაში, რომ სტეფანე მოვიდოდა, მაგრამ...

— ბიჭებს გაუმარჯოს! — თავისე-

ბური, მძიმე-მძიმე დამარცვლით წარმოსთქვა სტეფანემ, რომელსაც კარები უხმაუროდ გამოეღო და მოლიმარი სახით გვათვალიერებდა.

ჩვენ ხეირიანად არც კი მიგვიხედია მისკენ, ისე ვუბასუხეთ — სტეფანეს ვახლავარ-თქო და გავაგრძელეთ ჩვენ ჩვენი საქმე.

ასე კი შევხვდით, მაგრამ სტეფანემ ხმა რომ აღარ ამოიღო და ვერც ნაბიჯების ხმა გავიგონეთ, ყველამ ამ ამბავს მივაქციეთ ყურადღება. სტეფანეს ახოვან ტანს მთელი კარი ჩაეხერგა და თითქოს შიგ გაჭედებოდა, არ იძვროდა.

— რას უყურებ, კაცო, შემოდი, რა პატიყი გჭირდება?

სტეფანემ შეგვათვალიერა და თითქოს იბოდიშებდა, გვითხრა:

— მარტო კი არა ვარ, და...

ყველა გამოცოცხლდა, ყველა აფორიაქდა. არ ვიცი, ვინ რას ფიქრობდა, მაგრამ მე კი ისე მომეჩვენა, რომ თვითელმა ჩვენგანმა გულში გაივლო: ვინ არის ის, სტეფანეს მხლებელი, ჩვენს წრეში, ჩვენს ერთობაში რომ უნდა შემოიჭრას და დაარღვიოს ის ინტიმი, რომელსაც ამ დაღუღება ზაფხულის თვეში ასე რომ ვაკოწიწებდით. ღირსია თუ არა ჩვენი ავან-ჩავანის გაგებისა, ანდა გაიგებს მერე ჩვენს ფიქრებსა და ზრახვებს? ანდა სიცილს ხომ არ დაგვაყრის: ამხელა კაცებს, რაღაც

ბავშვური თამაში გამოგვიგონებიათ და ერთმანეთს ზღაპრებს უყვებითო.

მაგრამ იგი უკვე კარგბთან იდგა ალბათ და სტუპორის უკან გაბრუნება როგორი საკადრისი იქნებოდა, ან დაკითხვის მოწყობა: ჩვენ ესენი ვართ და აბა ჩამოყაჭე, შენ თვით ვინ ხართო.

— მერე და რას უცდით, შემოდით! — თითქმის ერთხმად მივაძახეთ და ნელ-ნელა სკამებიდან წამოვიმართეთ უცხო ადამიანის შესახვედრად.

სტეფანემ ერთი კიდეც, თითქოს ბოდიშის მოხდასავით, ყველას მოგვავლო თვალი, მერე უკან მოშეშალს მიაძახა, მოდიო და ისინი ოთახში შეშვიდნენ.

— გაიცანით, ჩემი ბიძაშვილია კოსტა, სოფლიდან ჩამოვიდა...

სტეფანეს მხრებამდე ძლივს სწვდებოდა კოსტა, მაგრამ მის ჩია ტანადობას რაღაც ავსებდა და პირველად მნახველს არ ათქმევინებდა, დაბალი არისო. იდგა ასე სამოცდაათიოდე წელს მიღწეული კაცი და მისი მზერით ვერ გაძღებოდა ადამიანი. თმადათოვლილი, საამო და ალალი, მეტისმეტად დიდი, კეთილი ღიმილი უციაგობდა სახეზე. ეს ღიმილი ბევრ ჭირ-ვარაშში გამოვლილი კაცის ღიმილი იყო და თანაც ისეთისა, რომელსაც ნამდვილი გული, უტყუარი გული ექნებოდა. წინ ჩამოშლილი მოკლედ შეკრეჭილი თმა მარჯვენა წარბამდე დაუყვებოდა და ეს თმა თვალისკენ მიანიშნებდა მნახველს, რომელიც ქუთუთოებდაშვებული იყო და ოდნავ ჩაჭყლდებული. კოსტა ცალთვალა იყო. სამაგიეროდ მარცხენა თვალი ისე უბრდღვიალგბდა, თითქოს ამბობდა, მე ვწევ ორივეს მაგივრობასო.

ერთი რამეც შეენიშნე კოსტას სახეს:

ბევრი ცალთვალა ადამიანი მინახავს, ბევრისთვის ამირიდებია მზერა, ზოგი შემეცოდებია, ზოგისთვის ყურადღებაც არ მიმიტყვევია, მაგრამ ამის მსგავსი არაფერი მენახა, მას თითქოს უხდებოდა ცალთვალობა. ერთი წუ-

თით დაფიქრდი კიდეც, ეს ცალთვალობა ხომ არ ხდის ასეთ მომხიბვლელს-მეთქი?

ერთი სიტყვით ჩვენთან ცალთვალადევი მოვიდა. ლამაზი და ბაჯბაჯანა, სასურველი ცალთვალა დევი.

— კაი გამარჯობა, თქვენი! — გვითხრა კოსტამ და სათითაოდ ყველას ჩამოგვართვა ხელი.

ყველამ მიიწ-მოიწია, ყველას სურდა თავისი შინაურულობა გამოეხატა და ყველა სიხარულით ეგებებოდა.

— თქვენზე უკეთესებთან აბა ქვესა წაიყვანდი? — თითქოს მობოდიშებით თქვა სტეფანემ და დაუმატა. — ისე, ამანაც კი მოინდომა შენი ძმაბიჭები გამაცანიო.

ჩვენ ყველა ერთად ავყავანდით, რა გაქვთ საბოდიშოო და კოსტას სკამი შევთავაზეთ.

საუბრის დაწყება თითქოს გვიჭირდა, მაგრამ ამ უხერხულობიდან თვითონ კოსტამ გამოგვიყვანა და გვითხრა:

— ჩემი ბიძაშვილი ყველაფერს მომიყვავ, ვიცი, რისთვისაც იკრიბებით ხოლმე. ვიცი, რომ ამ თაკარება სიცხეში ერთმანეთს გულის წუხილსა და სიხარულს უხებლეთ. მე ხელს არ შევიშლით, მეც ისე, ვათომ ერთი მსმენელი შემოგვმატათ. თუ ძმები ხართ, ნუ მომერიდებთ.

მოსარიდებელი აბა რა გვქონდადა ერთ-ერთმა ჩვენგანმა მართლაც დაიწყო ამბის მოყოლა, მაგრამ ჩვენი გულისყური მაინც კოსტასკენ იყო. რაღაც გრძნობა ყველას გვეჩურჩულებოდა, რომ ეს კაცი შემთხვევით არ იყო მოსული ჩვენთან. ეს თვით ამბავი მოვიდა ჩვენს წრეში და გადაუშლელი არ დარჩებოდა, ანდა მეტი რა გვიხდოდა? თვითონ კოსტას გარეგნობა, მისი მარცხენა თვალით გამოხედვა, მისი მარჯვენა თვალით უფრო მეტის ხილვა, რაც მის სახეზე იხატებოდა, ერთ ამბად ღირდა. მაგრამ მაინც, მაინც უფრო მეტს მოველოდით ამ საამურ უცხო კაცისაგან, რომელიც სულ მალე

ჩვენს გუნდაში მოულოდნელად შეიკრა და საკვირველად ის გვრჩებოდა, აქამდე რომ არ ჩანდა.

მთხრობელმა ამბავი დაასრულა. არავის არაფერი უთქვამს. ამ ამბავს თითქოს შევეზილეთ და წამოძახილები „ვაჰ“, ან „უჰ“ დიდი ხანია უკან მოვიტოვეთ.

მერე სულ სხვა რალაცეებს მივედმოვედეთ. უკვე გვიანი ღამეც იყო და ჩვენ ჩვენს სახლებში წასასვლელად წამოვიშალეთ. მოულოდნელად წამოიპარათ ცალთვალა დევი და მოგვმართა:

— ბოდიში, მეგობრებო, სტუმარი ვარ და თანაც სოფლელი, ბოდიშს ვიხდი, რომ ასე დაუკითხავად შემოვიჭერი თქვენს სიმყუდროვეში. სახლიაკისავან ვიცი ბევრი რამ თქვენს შესახებ, თქვენი მონათხრობებიც მოუყოლია ჩემთვის. ყველა თავის გულისტკივილსა და სიხარულზე ლაპარაკობთ. აი, დღესაც, ვუსმენდი ამ მეგობარს და მიხაროდა, რომ თავის სიხარულის და წუხილის ნაწილი თქვენ გაგზიზიარათ. კაცს თუ მეგობარი ჰყავს, ყველაფერს ხომ უფრო იოლად იტანს.

სოფლელი კაცი ვარ-მეთქი, მაგრამ სოფლელ კაცსაც ხომ აქვს თავის ცხოვრებაში ჭირი თუ ლხინი, თავის მოსაგონარი. იქნებ მე ჩემი სათქმელი ისე დღვაგებივით ვერ ვთქვა, როგორც თქვენ, მაგრამ მეც მათქმევინეთ: ხვალის საღამო მე დაპითმეთ, თუ ეს შეიძლება და მოგიხერხდებათ ხვალ სტეფანესთან, ჩემ სახლიაკთან შეიკრიბეთ, იქ მოგიყვებით. მე ჩემი ამბავ-ნობათი მაქვს მოტანილი და ის მინდა გიწილალოთ.

აბა, ეს კაცი შემთხვევით არ იყო მოსული. ვინ იტყოდა უარს. და მეორედ დღის საღამოს მოლოდინში დავიშალენით.

... იმ საღამოს პირობადათქმულეებით არც ერთს არ დაგვიგვიანებია.

● — სტეფანია, ბიჭო, ეს ხალხი რო მოვაციდინე, დამალოციე მაინც! — ასე დაიწყო კოსტამ ის საღამო.

სტეფანე თითქოს ამას ელოდაო, ბავშვით წამოდგა და მაცივირიდან მოზრდილი დოქი გამოაბრძანა, ყველას ჩამოგვისხა თითო ქიქა ღვინო.

— ჩვენებურია, რაჭული, შრომისა და ოფლის მადლით მოწეული, ალალია. დამილოცინიხართ და მპატიეთ, თუ ეს საღამო დაკარგულად ჩათვალთ. ჯერ არაფრის სადღეგრძელოს არ ვამბობ, გემო გაუსინჯეთ მაინც. ამ საღამოს სადღეგრძელო იყოს. — სტეფაკოსტამ და სასმისი ძირამდე გამოსცალა...

— მე ერთი უბრალო სოფლელი კაცი ვარ. სოფელი მიყვარს. სოფელიც ვერ მელევა მგონი. არ ვშორდები მას. ხანდახან თუ რამე საქმე გამომიჩნდება, ან ნათესაები მომენატრება, ქვე დავხედავ ხოლმე ამ მადლიან თბილისს, ყველას საყვარელს და სთაყვანოს, ქალაქელისასაც და სოფლელისასაც, მაგრამ მე მიწის შვილი ვარ და ძველსა და რბილში მაქვს მისი სიყვარული გამჯდარი. მიწის ფერებამ და სიყვარულმა ცოტა გულჩვილობა იცის და მეც ასეთი ვარ. ზოგი ამბავი ზოგიერთებს წარბს რომ არ შეახრევიანებს, მე თვალს ცრემლით მივსებ და მატირებს. ნუ გიკვირთ, ამხელა კაცი ვტირი ხოლმე სულ ერთი ბეწო რამეზე. სულ ცოტა რამეს შეუძლია ამაფორიაქოს. ალბათ ამიტომაცაა, რომ ამბავი, რაც ახლა უნდა მოგიყვებთ, მე უფრო მალეღვებს და თქვენში იქნებ ვერავითარი ქოშავი ვერ ვნახო.

მაგრამ მპატიეთ. ეს ისე, ვინ იცის. იქნებ შევძლო და დალაგებით მოგიტხროთ.

ჩემგან რა გესწავლებათ, მაგრამ შეხსენებისათვის ესეც უნდა გითხრათ, კი ნუ გეწყინებათ და მართო ქალაქელები კი არ კითხულობთ წიგნებს, ჩვენც ვიცით მისი ყადრი, არც გაზეთთა ჩვენთვის უცხო ხილი და არც ყურნალი, კინოც ვიცით და თეატრიც.

გივი ჯოხაძე
კოვოლა

თუმცა ყოველთვის თქვენსავით არ მიგვიწვდება ხელი მათზე, მაგრამ ჩვენ სოფლებს თქვენთან განსხვავებით ერთი კარგი ზნე გვჭირს. ჰოდა, ნუ გეწყინებათ: თქვენ რომ რამეს წაიკითხავთ საინტერესოს, მეორეს არ უშახლეთ, ეს ასე სწორიაო, ანდა ფიქრობთ, რაღა მე ვუთხრა, თვითონაც ხომ წაიკითხავდაო და რჩებით ასე — თქვენ თქვენ თავთან მარტო. სოფელში კი ასე არ არის, თუ ვინმემ რაიმე საინტერესოს მოკრა ყური ან თვალი, უშაღვე მოედება მთელ სოფელს, საღამოს კი სანახაშოზე იმართება სჯაბასი, მის გარშემო და ყველა იქ მყოფს თავისი აზრი ალაპარაკებს.

არა, თქვენს საქყენად კი არ ვაშბობ, მაგრამ ეს ასეა.

ჰოდა, ამას წინათ ერთმა ჩვენებურმა ბიჭუნამ ერთი ყურნალი ააფრიალა სანახაშოზე და ყველას წაგვიკითხა. თქვენც გეცოდინებათ ეს ამბავი: რომელიღაც ქვეყანაში მგლისთვის დაუღვამთ ძეგლიო, რომელიღაც ქვეყანაში კურდღლისთვისო, აქ ცხვრისთვისო, იქ კენგურუსთვის თუ რაღაც ჯანდაბისთვისო, და კიდევ იცით რა ეწერა: რწყილისთვის და ბაყაყისთვისაც დაუღვამთ ძეგლი.

ჰაი დედასა, რისთვის არ დაუღვამთ ძეგლი. ჰოდა, თქვენ ჩემგან რა გესწავლებათ, მაგრამ ეს ხომ დაცინვაა, დაცინვაა ჩვენი. მე, კოსტას, გულდინჯ კაცს მეძახიან, მაგრამ იმ დამეს ვინმეს რომ დავენახე არა მგონია ჩემი სიღინჯე დაეჭერებია. რული არ მოშკარებია, გულზე ცეცხლი მეკიდა. მერე იცით რატომ? ყველანი ჩვენ დაგვცინოდნენ, თითქოს იმ ფარატინა ქალადიდან გვეუბნებოდნენ: აი, ჩვენ ჩვენი კერბები გამოვიგონეთ, ჩვენი სათაყვანებლები და თქვენ რა გჭირთ, თქვენ ხომ გამოგონება არ გჭირდებათო.

ე, მეგობრებო, ხალხი ბრძენია, ხალხი ტყუილად არაფერს შეიყვარებს და არაფერს უმღერებს ტყუილად. მე სოფლის კაცი ვარ-მეთქი, შეიძლება დალაგებით ვერ მოვყვე, მაგრამ ღმერთს

გაფიცებთ, სანამ სათქმელს არ ვიტყვო, ნუ გამექცევით, ნუ მიმატოვებთ. ხმაც გაქვთ და ყველგანაც მიგიწვდებათ. ბევრი წაგვიკითხავთ და ალბათ ესეც გავიგონიათ:

ორშაბათობით აშენდა, ციხე ქალაქი ქაზანდა. სამშაბათ იყო ყრილობა, დიდი მეუფის კარზედა.

გლები კაცისა შენახა არაფერ იდო თავზედა. წამოდგა ხარი რქიანი: „მე დამაწერეთ მხარზედა“.

წამოდგნენ ანგელოზები, აკოცეს ორთავ თვალზედა“.

— წალი და, ხარო, იხარე, ცაზე და მვეყანაზედა, ეშვსი დღე უღელში ები, მეშვიდეს დაწექ მხარზედა.

ვინც კვირა უქმით შეგაბას, რისხვა მიადგეს კარზედა!

ხალხს უთქვამს, ხალხო, ეს და ხალხი ბრძენია. ქართველ კაცს უშღერია ხარისათვის და სწორედ ეს არის ჩვენი სიბეჩავე თუ ღვთის წყრომა, რომ ჩვენ სხვაზე აღრე ვერ გამოვიგონეთ ჩვენი შექმნახველისათვის, ჩვენი ჰიროსა და ლხინის მოზიარესათვის, ძეგლი არ აგვიგია. რჯულიანმა და ურჯულიანმა კი რწყილსა და ბაყაყს, მგელსა და რაღაც ჯანდაბას აუგო ძეგლი.

კოსტას ცოტა ვაცხარება დაეტყო და ეს რომ შენიშნა, მოიბოდიშა. ასე არ მინდოდაო, მაგრამ ჩვენს თვალბში უწყინარობა რომ ამოიკითხა, განაგრძო:

— ქართველ კაცსა და ხარს ერთად უბრძოლიათ და ერთად დაუცავთ სათაყვანებელი სამშობლო.

ე... ხ, დავიწყება ვიცით, გულის ჩრდილში ამოფარება ზოგიერთი წარსული ამბისა. არა, ყველას არ დავიწყებია წარსულის არც მაღლი და არც სიკეთე.

წიგნი მიყვარს, წიგნის გარეშე ვერ ვძლებ და ამას წინათ ერთი კარგი ქართველი კაცის, კარგი პოეტის ლექსი წაგიკითხე. აი ზოგი რამ რაც ამ ლექსში იყო თქმული: აგრემც ვალმოხდილ ნაჯაფარ ბებერ ქედს ვენაცვალებდით, სულ ნადვლიანი რადა გაქვს ჯილა საცერა თვალბიო!.. ჩემო ლაბავ და გი-

შერავ, ჩემო ნიშავ და ნიკორავ, ტიალი წუთისოფელი უთქვენოდ არა იყო რათ. — რა კარგი ნათქვამია, არა! უთქვენოდ არა იყო რათ. — ურმულით, გუთნისდელურით სულს ლევდენ მამა-პაპანი, და მათთან ერთად შენცსწიე ქართლის ცხოვრების ჭაპანიო, აშენე ციხე-ქალაქი, ააგე ბევრი საყდარი, რომ ქართველს, აბჯარგაუხდელს მტერი ჰყოლოდა წამხდარიო... და ჩემი პატარა ქვეყნისთვისო შევძლოო ხარისოდენათ.

ხომ კარგი ნათქვამია. ვენაცვალე ამის დამწერსა!

იცით რა გითხრათ, გაიხარდა. გამიხარდა ისე, რომ კინალამ ფეხი დაეკარი და ქალაქში გამოვიქეცი, რომ ის გულმადლიანი და კალამადლიანი კაცი მენახა და გადავხვედი. მადლობაც მეთქვა და ჩემიც მომეხარო. არა, ყველას არ დავიწყებია ჩვენი ნიშა და ნიკორა, ჩვენი წიქარა და ლაბა.

ჰოდა, ჩვენ ქართველებს რა გვიპირს სხვისი დასაცინი. მოვიდნენ ყველა ის ძეგლები და დაეჭოლონ ჩვენს ზღაპარ-ძეგლს — წიქარას. ყველა ქვეყნის ზღაპართა მეფეს, ყველაზე ნამდვილ ზღაპარს, რაც ვინმეს ოდესმე გაუგონია. განა მარტო წიქარასთვის არ ღირდა ძეგლის აგება? ვინ წასწვდის მასთან ფეხს, ვინ არ მოიტეხს მასთან ჭიღოლში რქას.

ჰოდა, ეს ზღაპარიც ხალხის ნათქვამია, თვით ხალხის ცხოვრების ჩამონაწვეთი. და მაინც ხალხს ხელთქმნილი წიქარას ძეგლი სჭირდება, წიქარასი და ნიშასი, ნიკორასი და ლაბასი. დე, ყველამ იცოდეს, რომ ქართველი კაცი ისე არ გადაარჯულდება, რომ ამაგის დაფასება დავიწყებოდეს... დიდი ძეგლია საჭირო მისთვის, რომ ყველა ამ ხარმა ერთში მოიყაროს თავი და რქებზე მუდამ ენთოთ წმინდა სანთელი.

ეს იქნება ყველაზე დიდი დაფასება ამ უკეთილშობილესი არსებისა, რომელსაც ლაპარაკი არ შეუძლია, თორემ ყველაფრად ჩვენ გვგავს, შრო-

მით, წუხილით, სიხარულით, სიყვარულით, სიძულვილითაც და რაც მთავარია, ცრემლით, დიდი და ბრჭყვილა ალალი ცრემლით...

ყველა ხარის ქედის გამარჯვების მინდა შემოგთავაზოთ, ყველა ხარის და აღამიანობის მეგობრობისა. სტეფანე შეავსე ჭიქებო...

ყველამ შევსვით ეს სადღეგრძელო. და აღარ ვიცოდით კოსტამ მოამთავრა თუ არა თავისი სათქმელი. იგი გარინდული იჯდა. ხმას ვერავინ ვივდიდით. მართალი იყო კოსტა. რატომ მოგვაგონა ამ კაცმა ის, რაც ჩვენც შეიძლება მოგვგონებოდა. მოგვგონებოდა.. თუ გვახსოვდა კიდევ, მაგრამ გონებაში ვერ ჩამოგვეყალიბებინა. ვინ იცის ვფიქრობდით კიდევ, მაგრამ...

კოსტა ფიქრიდან გამოერკვა და შეგვათუალიერა. მერე შეიცადა და რომ შეგვატყო ცოტა დაბნეულები ვიყავით, გვითხრა:

— მე ჩემს კოწოლაზე მინდა მოგიყვეთ, ჩემს კოწოლაზე...



— ერთი ფარდელი ძროხა გვება ბაგაზე, ქულანას ვეძახდით. ხბოობაში ფეხი ეღრძო და საბალახოდ ხშირად ვერა ვდენდით, გვეშინოდა არსად ჩაჩხერილიყო. კარგი ჯიშის იყო და დანისთვისაც ვერ ვიმეტებდით. ჰოდა, ამ ფარდელ ძროხას ეყოლა სახარე, ალისფერი ხბო. უნიშნო ხბო იყო, თითქოს ერთი საღებავით გულდაგულ გადაუღებიათო. რატომ მოგვივიდა აზრად არ ვიცი, მაგრამ ხბოს კოწოლა დავარქვით. ალბათ იმიტომ, რომ ალისფერი იყო, მქრალი წითელი და რატომღაც ჭია-კოკონას მოგვაგონებდა. შეიძლება იმიტომაც, რომ მე კოწიას მეძახდნენ და ხარიც თავისებური სეხნია მეყოლებოდა. ერთი სიტყვით, არ ვიცი როგორ მოხდა, მაგრამ ის კი კარგად ვიცი, რომ როცა ამ ხბოს ხარი და-

გივი ჯოხაძე
აღწოლა



ერქვა და ძალა მოიცა, მისი მოსახლე-
ები ჩვენშიაც მომრავლდნენ და მეზო-
ბელ სოფელშიაც. ადამიანური ბედია
და ყისმათი: ყველა ხომ იმას ცდი-
ლობს კარგს წაეტოლოს, კარგის სახე-
ლი ატაროს, მაგრამ როგორ შეიმშვე-
ნებს, ეს სულ სხვა საქმეა.

დაბტოდა და დაკვირბოდა კო-
წოლა ეზოში კონდარზე და მაცქერა-
ლი თვალს ვერ მოსწყვეტავდა. ყვე-
ლას გვეყვარდა ჩვენი კოწოლა და ვინც
რას მოვიხელთებდით დაჩქვილ ხილს,
ქადის თუ პურის ნატებს ხელისგულით
ვაქმევდით და ისიც ისე მოგვეჩვია,
რომ კიბეებზე ამობაჟუნდებოდა ხოლ-
მე და თუ რამე უნდოდა, შემოგვზმუფ-
ლებდა.

როგორც ბავშვი, ისე გვეცოდებო-
და დაობლებული კოწოლა. დღამისი
ერთ ზაფხულის დღეს მენყერში ჩაიხ-
რჩო და რაც შეგვეძლო ვანებვირებ-
დით. ვანებვირებდით, მაგრამ ეს განე-
ბვირება უფრო და უფრო გვიხაროდა,
რადგან ვატყობდით, რომ კარგი ხარი
და ოჯახის იმედი გვეზრდებოდა. ანდა-
ზა არ მინდა გავიმეორო, ყველაფერად
კარგი იზრდებოდა: ტანადი, თვალადი
ქედგანიერი...

იზრდებოდა კოწოლა ჩვენდა სასი-
ხარტლოდ და სოფლას სათვალსაჩი-
ნოდ.

... პირველად უღელი რომ დავად-
გით, შეხტა, იტყნოვა. იტყადრისა.
ოჯახის ნებვირას ეს როგორ მაკადრე-
თო, მაგრამ მერე და მერე მიხვდა, რომ
ბავშვობა განვლილი იყო და ახლა მას
უნდა ეწია ჩვენთან ერთად შრომის
უღელი. დინჯი და ქვიანი ხარი დადგა.
როცა ჩვენში რომელიმე მოზგრის ან
ხარის შედარება უნდოდათ, იტყოდ-
ნენ, სულ კოწოლას ალი-კვლიაო, ან
ეგ კოწოლობას ვერ გასწყენსო.

ერთი რამით იყო კიდევ გამოჩეუ-
ლი კოწოლა: როცა რომელიმე მეზო-
ბელი მოზგრის გახედვანს დააპირებდა,
აუცილებლად კოწოლას გვთხოვდნენ:
მაგასთან შევაბამთ უღელში, ეგ უფ-
რო კარვად აკურთხებს ხარადო. ასეთი

იყო კოწოლა ჩვენთვისაც და სოფლისთვისაც.

დიდი ხარი იყო კოწოლა და მთი-
დან თევით დატვირთული ყველაზე
დიდი ურემები მას ჩამოჰქონდა. თუ რო-
მელიმე ხარი მხარს ვერ აუბამდა და
მასთან ერთად ურემის ზიდვა ვაუჭირ-
დებოდა, კოწოლას მხარეს ვადავა-
დებდით საზიდს და ისიც უდრტვინვე-
ლად ატარებდა თავისა და სხვის
ხედრს.

ჩვენი მხარის საურმე გზები ხშირად
ნაპრალეხსა და ხრამების გასწვრივ გა-
დის. კოწოლასთანა საიმედო აბა ვინ
უნდა ყოფილიყო და იმასაც ყოველთ-
ვის ქვედა მხარეზე ვაბამდით, რომ კა-
ცი და ხარი, ურემი და ტვირთი არსად
ჩაქცეულიყო. ბიკი იქნებოდა და რო-
მელიმე ხარი გვერდით უბიძგებდა უღ-
ლიანად და ფეხს ვაგლახად მოაცვლე-
ვინებდა.

ერთი რამეც ემჩნეოდა კოწოლას.
უფროსების ხომ იყო და იყო გამგონე,
მაგრამ ბავშვები უყვარდა ძალიან. ყვე-
ლა ეთაპაშებოდა და ყველას ეალერსე-
ბოდა. ადამიანივით იყო, ადამიანის გუ-
ლი ჰქონდა და ადამიანებთან უნდოდა
ყოფნა. ბავშვს რომ დაინახავდა მის
პირდაპირ მომავალს, გზას უქცევდა,
გვერდზე გადადგებოდა, გაატარებდა
და მერე თვითონ ვიცილიდა. ბავშვო-
ბაში, ბავშვივით ვეთამაშებოდით და ის
ახსოვდა. ახლა კი თვითონ იქცეოდა
ასე.

... ერთხელ ერთი მეზობლის ბავშვი
შარაზე გამოიბოდა აბლაღებელი, მის
წიოკობაზე ეზოებიდან ყველანი გარეთ
გამოცვიდნენ. ის იყო ჩემი ხარებისა-
თვის უღელი უნდა დამედგა, რომ ხმა-
ური შემომესმა. გავიხედე და რას ვხე-
დავ: ბავშვს თვალეზანთებული, გრძნო-
ზადაკარგული მეზობლის გორა ხარი
მოსდევდა. მსხვერპლი ვარდაუვალი
იყო. ყველა ხედავდა ამას, ყველა მო-
ნუსხულივით იდგა და ვერავინ ბედავდა
მიშველებას. სულ ცოტაც და უბანში
წივილ-კივილი ატყდებოდა, ბავშვი გა-
ველურებული ხარის წერა ვახდებოდა.

ვერაფერი მოვისაზრე, მეც, მეც, რომელსაც სოფლად და საქონელთან მქონდა ჭიბი მოჭრილი. გახევებული ვიყავი და არ ვიცოდი, რა მექნა.

უცებ ხელის ტკივილი ვიგრძენი, ხელისა, რომელშიც საბელი მქონდა ჩაბლუჭული. წუთით გამოვერკვიე. კოწოლა ჯიუტად იქნედა თავს და ურჩად მექაჩებოდა.

მივხვდი! მივხვდი! მაშინვე მივხვდი. მაპატიეთ. კოწოლაზე პირუტყვის ვერ ვიტყვი, ჩემმა მეგობარმა ჩემზე ადრე მოისაზრა ყველაფერი.

მივხვდი და მეორე ხარს ვადაბმული საბელი ზურგიდან ამოძრობილი წალდით ჩავეჭერი. კოწოლა გავარდა დაუზოგავად და წინ გამოვარდნილ ბავშვის ავლა და იმ მეორე ხართან შეჯახება ერთი იყო.

გამხეცებულმა ხარმა მოულოდნელი ძვერებისაგან უკანა ფეხებზე ჩაიჩოქა. ჩაიჩოქა და აღარც კოწოლამ დაზოგა. აბურთავა, აგორავა და კულამოძუებული გაავადო.

ქვეყნად ბევრი რამე ხდება საკვირველი. ბავშვიც მოესულეირებინათ, წყალს ასმევდნენ, შუბლს უსრისავდნენ, მაგრამ ყველას თვალი კოწოლასაკენ ჰქონდა. იგი ღობესთან იდგა და ქელავდა. დასკდომამდე ებერებოდა ფერღები და მერე ეჩუტებოდა.

ღელავდა.
აღამიანი იყო, აბა რა?

ვიდექი და ორთავ თვალებიდან ცრემლი ჩამომდიოდა. მტკივან თვალიდანაც მოგორავდა მარილიანი ცრემლი და ეს ცრემლი უმადურობის იყო. — შე დალოცვილო ღმერთო, რა იქნებოდა, რომ ამასაც ჩვენსავით ესმოდეს და ენა ჰქონდეს. ხომ უფრო გავაგებინებდით ერთმანეთს.

მაგრამ კოწოლას ჩვენი უფრო ესმოდა, ვიდრე ჩვენ იმისი.

იმ დღეს კოწოლა უღელში არ შემიბამს. ბავშვის მშობლებმა, რომლებიც ქვედა უბანში ცხოვრობდნენ და მომხდარი ამბავი შეიტყვეს, ამოცვივდნენ: დაუკოცნეს რქები და ქედი, ვე-

ება ბუღული აბრეშუმით თივა მოართვეს, მაგრამ კოწოლას ზედ ტურიც არ დაუკარებია, მხოლოდ დაცინვით გადმოგვხედავდა, თითქოს გვეუბნებოდა: ეჰ, განა ყველაფერი ჯილდოსათვის კეთდება?

მაგრამ რაც მოხდა მოხდა. ამაზე საოცარი კი ის იყო, რომ იმავე საღამოს ხალხმა სულ სხვა სურათი იხილა: ყანის გარე მინდროში, რომელსაც საქორიას ვეძახით, კოწოლა და ის ჯორა ხარი დაინახეს ერთად. ორივე გარინდული იდგა. ხანდახან შეაბრუნებდა კოწოლა კისერს და შუბლსა და ღრუნჩს ულოკავდა თანამოძმეს.

ვინც რა უნდა ის თქვას, მაგრამ ბევრმა კი ასე იფიქრა: კოწოლა თან არიგებდა იმ ხარს, ასე აღარ მოიქცეოდა თან მიყენებულ ჭრილობებს უშუშებდა.

ვინ იცის, აბა რა ჰქონდათ სასაუბრო?

კოწოლა ხომ ხარი იყო, რომელსაც აღამიანის გული ჰქონდა, შეიძლება აღამიანზე უკეთესი გულიც, რომელიც თანამოძმეს ტკივილს რაც შეეძლო უმსუბუქებდა.

ეჰ... კოწოლა... გაგიგონიათ: ხარო, ხარი ვინ დაგარქვიაო...

ამ ცალთვალა დევს ცალი თვალიდან ობოლი ცრემლი ჩამოუფორდა.



— ეჰე... სტეფანე, მგონი სტუმრები მოვიწყინე და მაპატიე, თითოც დაასხი და გული გაგვინდლე. ჩემს თნობას, მგონი, ღვინის წრუპვა სჯობია და ჰა, ეგ ღვინო და ეგ ჭიქები. თუ კაცი ვარ, ღვინის უგემურობას ვერ დამწყაბებთ. დაასხი, სტეფანე!

სიპართლე ვითხრა, ღვინის დაღევა არც ერთს არ გვებიტნავებოდა. კოსტას მონათხრობს ჩვენი გულთასმენა დაეპყრო და მისი გაგრძელებაც გვინდოდა.

გივი ჯონაძე
კოწოლა



მერე ყველამ ერთად ვუთხარიაო ჩვენს ახალ წევრს, რას ბრძანებთ, ამაღავი გააგრძელეთ, ასე სჯობიაო და ჩაეჩუმდით.

კოსტამ გადმოგვხედა, გადმოგვხედა გულში ჩასაძრომად, ხომ არ მატყუებთ, სასაცილოდ ხომ არ მიგდებთო და ჩვენს სიმართლეში დარწმუნებულმა, კვლავ გააგრძელა.



— მერე რა? — მერე ის, რომ დაღვა 1941. მაღლა მთას მოდგა უცხო ფრინველი... სოფელი გაიფხვია, სოფელი დაცარიელდა, ჩაკვდა. ახალგაზრდა ვაჟებს სამშობლომ დაუძახა. ქალიშვილები და ქალები დაეჯაკაცდნენ: სახენელს და უღელს მოკიდეს ხელი. ქალის და კაცის საშრომი განურჩეველი შეიქმნა. ხალხს, ქვეყანას, ჯარს, ფრონტს, ზურგის გამაგრება უნდოდა. თავს არ იზოგავდნენ ქალები. მე კი სათაკილოდ ის მქონდა, რომ მათში და დღაპებში ვერეი.

მეგონა აი, აი, აგერ მომაკითხავდნენ კომისარიატიდან, მაგრამ ჩემი ჩაბეჭუტული თვალის შესახებ იქაც სცოდნოდათ. არადა, სიმართლე გითხრათ ორმოცდახუთი წლის კაცს, მაშინ როცა მტერი აგერ-აგერ საცაა შემოგინგრევდა სახლის კარებს, შინ ჯდომა რაღაცნაირად მერცხვინებოდა.

მაგრამ არა, თურქე აქაც საჭირო ვიყავი, მტერი მამისონის უღელტეხილს აწყდებოდა. იქ ატეხილი ბათქაზუთქი ჩვენს სოფლამდეც აღწევდა.

ჯერ იყო და მე, ჩემსავით ცალთვალდავსებულები, მხოლოდ იმას მარცხენა თვლი ჩაჭუტოდა, ნოე ხომასურძიქე, ქუთაის-ონის გზაზე, „ყირამალა“ და „ოდელია“ დუქნებს შორის ღამე საყარაულოდ გაგვგზავნეს, სადმე დივერსანტი არსად გადმოხტესო და თან ჩვენი ჯარის ბიჭებისათვის მეგზურობა უნდა გავეწოა.

აბა ჩვენზე კარგად ვინ იცოდა ეს ადგილები. დავდიოდით ეს ორი კაცი და ჩვენი ორი თვალით იოლას შივდი-

ოდით. ხან ერთი თვალი წათვლილამით, ხან მეორე, გულისძირამდე შინარევებსაც ყურები დაქვეცილი გვქონდა.

... მაშინ ცხინვალზე სამანქანო გზა არ იყო ონამდე. ტყვია-წამალს ჩვენი ბიჭები ქუთაისიდან ეზიდებოდნენ და ამარაგებდნენ ფრონტის ბიჭებს. მაგრამ შეატყვევს, რომ მანქანები ვერ აღდიოდა ამ საქმეს, მეორეც ის იყო, რომ ყველგან ვერ უდგებოდა ტექნიკა უგზო ადგილებს.

ჰოდა, ბიჭებო, დავპირდით ქვეყანას. დავპირდით ჩვენ და ჩვენს ქვეყანას დაპირდა წიქარა, ნიშა, ნიკორა და ჩემი კოწოლა.

ხარებიც ჩადგნენ ქვეყნის სამსახურში.

ერთ დღეს ონიდან კაცი ამოვიდა და გვითხრა, ამაღამვე ჩამოდით ხარურმით ონში, ხვალ დილით ქუთაისში უნდა წახვიდეთ და იქიდან მამისონამდე ტყვია-წამალი უნდა იტანოთო.

„ჯარში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო...“ არა, არა მართო ცხენი, ჯარში წასვლა ჩვენც კაცობას გვძენდა და შიშნარევად გვაამაყებდა, რომლებსაც კარგი ხარები გვყავდა.

ჩვენი სოფლიდან ექვსი უღელი უნდა გასდგომოდა გზას, მე, ნოე, მუნჯი სილუა ხვედელიანი, ზამთარ-ზაფხულ უქუდიოდ მოსიარულე ვასო, რომელსაც განიერი ფეხის ტურფი ჰქონდა და ამიტომ ჩამოწერეს, და ორიც ჯერ კიდევ ყლორტი ბიჭუნა ილია გონგაძე და ვალიკო ხომასურძიქე, რომლებსაც ის-ის იყო თხუთმეტი წელი უსრულდებოდათ, მაგრამ უკვე ვაჟაცურად ეჭირათ თავი. ის კი არა, თავი უკვე ჯარისკაცებად მიაჩნდათ და ამაცობდნენ კიდევ.

ქალებმა შეგვამზადეს, მოგვცეს საგზალი და ექვსი უღელი ხარ-ურემი და ექვსი ადამიანი ქედზე გამოვედით. საღამო იყო. მთელი სოფელი ჩვენ მიგვაცილებდა, თუმცა რა, ვინდა იყო მთე-

ლი სოფელი: ბებრები, ქალები და ღლაპები...

— მოდით ბიჭებო, — კოსტამ ხმა შეიცვალა — სოფლის, თვითეული ჩვენთაგანის სადღეგრძელო შეესვათ. სოფელია ყველას მოჭირნახულე, სოფლის, რომლის ერთი სულ პატარა, სულ პაწაწინტელა ნაწილი ხარ და ამ ნაწილის მოცილება ისე გიჭირს, როგორც ხელისა, თვალისა და... სიცოცხლისა.

ჰოდა იმას ვამბობდი, მთელი სოფელი მიგვაცილებდა. ზოგს ცრემლიც მოსწოლოდა თვალეებში, მაგრამ არ ტიროდა და თან ჩვენთვის რაღაც რაღაცეებს ანაწილებდა ურმებზე, გზაში გამოვადგებათო.

ჰეი ბიჭებო... მიგრძელებდა საუბარი, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა.

ძველად ქართველი გლეხი სახნავად რომ გავიდოდა, თავისი ხარების რქებზე სანთელს ანთებდა, ლოცავდა პირველ გაყვანილ კვალს, ყამირის გატეხვას, რომ მისი მოწეული სასიკეთოდ გამოსდგომოდა ოჯახს, ხალხს, ქვეყანას...

კარგი იყო ეს ჩვეულება. თქვენი არ ვიცი და მე ასე მგონია...

აი, ხალხს მოხუცი, ასწელგადაცილებული გამოეყო ხელში სანთლებით: მან ყველა ხარის რქაზე დაამაგრა წმინდა სანთელი და აანთო... მერე პირველი გადაგვსახა ყველას: მეურმეებსაც, ხარებსაც, ურმებსაც, და აბა მომყვითო, წინ გაგვიძღვა, სოფლის ბოლომდე მიგვიძღოდა წინ, კარგი ფეხისა ვართ...

რქაზე ციციანთელებივით მობეჭტავე სანთელანთებული ხარები მიდიოდნენ და ეს სულაც არ გვეუცხოვებოდა: ჩვენც, ჩვენებურებს, ხომ ახალი კვლი გაგვიქონდა ხნულში, ხომ ახალ ყამირს ვტეხდით, რომელსაც სამშობლოს დაცვა ერქვა.

წინ ჩემი უღელი მიდიოდა: კოწოლა თავისი მეწყვილე ნიშათს მიუძღოდა ჩვენს ამაღლას.

ასე ჩავდექით თითქმის ფრონტის

ხაზის სამსახურში ორი ცალთვალა კაცი, ერთი მუწჯი, ერთი ფეხებს გამო ჩამოწერილი და ორიც ყლორტივით ახალგაზრდა ბიჭუნა.

ჩვენსავით სხვა სოფლებიდან წამოსულნი ონში შემოგვხვდებოდნენ.



გრძელი გზაა ქუთაისიდან ონამდე. გრძელი გზაა ონიდან მამისონამდე. ექვსჯერ გავიარ-გამოვიარეთ ტყვია-წამლით დატვირთულებმა ეს გზა. ჩვენებურს, ან მეზობელს თუ მოგვრავდით თვალს ამხელა გზაზე, ვაბარებდით კარგად ვარ, არაფერი გვაჭირს-თქო და ხარი და კაცი ერთად ვზიდავდით იმ მძიმე ტვირთს, რასაც ომი ჰქვია. ჩამოვხმით ჩვენ, ჩამოხმნენ ხარები, არც საჭმელი იყო ყოველთვის თავის დროზე და არც სასმელი, მაგრამ ფარხმალი არავის დაგვიყრია, ხარი და კაცი სამშობლოს გადასარჩენად ვშრომობდით.

ბევრი ვაჭირვება დაგვადგა. ბევრი ავდარი გადავიტანეთ, მაგრამ ქედღიან უღელი არ მოგვიცილებია, ცის ჩამოქცევას ჩვენი ზურგით და რქებით ვამაგრებდით.

ბევრი ვაჭირვება გადავიტანეთ, ბიჭებო, მაგრამ ყველაზე მეტმა კოწოლას უწია. საღაც რომელიმე ხარს გაუჭირდებოდა, ხელად გამოვხსნიდით და მის უღელს კოწოლას ვადგამდით, ის სწევდა სხვის გასაწევს და თუმც უკვე ძვალი და ტყავი იყო, ერთხელაც არ დაუორჩინა.

მეცოდებოდა ჩემი კოწოლა, მაგრამ კოწოლასაც ვეცოდებოდით. იგი ხვდებოდა, რომ ასე იყო საჭირო და არასოდეს ქედი განზე არ გაუწევია. აბა ჩემზე უკეთ ვინ შეატყობდა კოწოლას გახდომას: მის აპეურს თანდათან ვუმტებდი ნასკვებს.

და თუ გვერჩოდა ხანდახან დრო მცირეოდენი მოსვენებისა, ვეალერსებოდი ჩემს ორივე მეგობარს და ვესაუბრე-

გივი ჯონაძე
კოწოლა



ბოდი, როგორც მეტყველო. ვუყვებოდ-
დი, თუ რა გაჭირვება ადგა ქვეყანას
და ისინიც, თითქოს ყველაფერი გვეს-
მისო, თავს მიკანტურებდნენ.

კოწოლა... ჩემი კოწოლა...

უკუნი ღამე იყო. ჩვენებურებმა და
მეზობელი სოფლიდან წამოსულებმაც
ხარები უღლიდან გამოვფეშვით და ვეი-
ბა ნაძვის ქვეშ ურმებზე მივწვქით. ცი-
ოდა, ტანსაცმელი სულ ერთიანად სვე-
ლი გვექონდა. პაჭიქებზე უამრავი ბირ-
კა აგვკროდა. ფეხის სითბოს ქალპანე-
ბში ჩატენილი თომის თივა ოდნავ თუ
გვინახავდა. ტანში გვაპტურევდა და
რადაც უარესის მოლოდინს გვეჩურ-
ჩულებოდა. ყინულავდა, მაგრამ ხეს
შეფარებულები ამ ყინულვლას აღარა-
ფრად ვაგდებდით. ესეც არ იყოს, ჰაე-
რი ისეთი დანესტიანებული იყო, რომ
თქორი უკვე ამ ვაი-ყოფასთან უმნიშ-
ვნელოც კი იყო.

თუმცა უკუნი ღამე იყო, მაგრამ
განთიადის ნიავემა დაკრა და მივხვდით,
ვათენებას ბევრი არ აკლდა. მოულოდ-
ნელად ჩვენთან ერთი წითელარმიელი
მოვარდა.

— რომელი ხართ მანდ?

ჩვენ ვუბასუხეთ, ვინც ვიყავით და
მივაჩერდით, კიდევ რას იტყოდა.

— რომელსა გყავთ ღონიერი ხა-
რები, სასწრაფოდ წამოდი, ზარბაზა-
ნი ჩაგვივარდა თბრილში და უნდა
ამოვზიდოთ.

უმაღლე მივხვდი, რომ ეს ბრძანება
თუ შემოთავაზება ჩემი და ჩემი ხარე-
ბის შესასრულებელი იყო. ვალიკო გა-
ვიყოლე თან. მივედი თ ვხედავთ, რომ
ათიოდე წითელარმიელს თოყები ჩა-
უბიათ ზარბაზნისათვის და მიუხედა-
ვად იმისა, რომ წინ კიდევ ორი უღე-
ლი ყვარი ხარი ებათ, ძვრას ვერ უშ-
ვრებოდნენ.

უცებ თითქოს ცამ იქუხაო, მთის
გადაღმიდან გერმანელების ზარბაზნები
ანბაურდნენ. საიდანღაც, შორიდან,
უმისამართო ჭურვები მოპჭიროდა, გა-
დაგვიშხუვლებდნენ თავზე, ხეებს ტო-
ტებს წაამტვრევ-წაატრუსავდნენ და მე-

რე ზოგი ახლოს, ზოგი კი მოშორებულ-
ეცემოდა და ფეთქებოდა, გარშემო
დაღუქილი მიწის კორიანტელს აყენებ-
და. დაგვიანება აღარ შეიძლებოდა. ვინ
იცის, მტრის ბრძალ ნასროლ ჭურვს
ჩვენც მოვეძებნეთ და ამ გამთენიისა
შეიძლება მზეც დაგვზნელებოდა.

სასწრაფოდ ჩავაბი ჩემი ხარები
მესამე ყვერად და პირველსავე გაწე-
ვაზე ცქიფი ვუყავი ზარბაზანს.

ჯარისკაცები სულ „მოლოდევ, მო-
ლოდევ!“ იძახდნენ.

საღღაც ხეებში მტრის ერთი ჭურ-
ვი ჩაიკარგა. ხის ნაშხვრეები თავზე
დაგვაცივდა. ყუმბარის ერთმა ნაშ-
ხვრეებმა თავზე თვალის შესავლებად
გადაგვიარა. იცით როგორ? ყავრის ნა-
ტეხი თუ ვისვრიათ მინდორში ოდნავი
ნიავის დროს, აი ისე, როგორც ცალ
ფრთა მოგლეჯილმა ფარვანამ. ერთი-
ორი გაწევაც და ზარბაზანი ზევით ამო-
ვიტანეთ. კიდევ დაიქუხა ზარბაზანმა
და ჭურვი სულ ახლოს დაეცა. მამისო-
ნის უღელტეხილს პირველად დაჰკრა
მზის სხივებმა. და ის იყო წავედი წინა
ხარების გამოსახსნელად, რომ...

— Ложись! — დაიყვირა ვიღაცამ
და ჩვენც პირქვედამხოვილებს, ქვეყ-
ნის ღვართქაფი დაგვეცივდა ზურგზე.

როგორც იქნა წამოვიმართე და...

ხარებს ზარბაზნებზე მობმული ჰაპ-
ნები დაეწყვიტათ და ტყისთვის მიეცათ
თავი. ზეზე მხოლოდ ნიშა იდგა და სა-
ბრალოდ ზმუოდა. ჩემი კოწოლა, ჩემი
ძვირფასი კოწოლა — სოფლის თვარი
და სიამაყე გულმკერდდალუწილი ძირს
ეგდო. აღარ იძროდა...

კოსტა წუთით შეჩერდა. ვეღარ
ლაპარაკობდა. ყელში რადაც ეჩხირე-
ბოდა და ნერწყვის ყლაპვას უშლიდა.

.. პირველი ვალიკო ეცა ჩემს კო-
წოლას. თავი აუწია და აქ კი ვეღარ
ივაყკაცა ჯარისკაცობას დაჩემებულმა
ყმაწვილმა, ატირდა, ატირდა ალბათ
იმიტომაც, რომ ასე მოულოდნელი
სიკვდილი პირველად ნახა. მე იქვე ვი-
დექი, მაგრამ კოწოლასთან მისვლა მე-
შინოდა. ჯარისკაცები კი შემოგვეტე-

როდენ და მათ ვაოცებულ თვალეზში თითქოს იკითხებოდა: რა მოხდა, ომში ადამიანები იღუპებიან და ერთი პირუტყვის სიკვდილმა როგორ ავადღელვათო?

რა პასუხი უნდა გამეცა მათთვის? ვაჯობე თავს. მივედი ჩემს კოწოლასთან და ჩემთვის არა ვაქაცობაში რომ არ ჩამოერთმიათ, მხოლოდ დასისხლიანებულ შუბლზე გადავუსვი ხელი.

ვალიკოს ვანიშნე. ჩაება ცალად დარჩენილა ნიშანათვის საბელი და გზას ვავდგომოდით. ჩვენ აქ უკვე აღარაფერი გვესაქმებოდა. ერთი ფიქრი კი ვიფიქრე, გამოვართმევ რომელიმე ჯარისკაცს საველე ნიჩაბს და დავმარბავ ჩემს კოწოლას-მეთქი... მაგრამ ომი იყო და ახალი ზორცი, ხომ იცით...

სხვა მეზრეებისთვის არც კი დაგვიცდია, ისე წამოვედით მე, ვალიკო და ცალად დარჩენილი ნიშა. მოვდიოდით და გულს ვარამი, თვალს ცრემლი არ სცილდებოდა. მხარი მომწყდა, თვალი სულ დაშვესო, ჩემი კოწოლა სოფელში არ შემიძღვებოდა...

... ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველას ხმა წაგვერთვა და ვერც ნუგეშს ვცემდით ახლად დაჭირისუფლებულივით ჩამომჯდარ ცალთვალა დევს...

... კარგი მანძილი გვქონდა გამოვლინო, რომ წინ მიმავალი ვალიკო მომიტრიალდა და საბელი ხელში მომაჩეჩა.

- კოსტა ბიძია, ა... კოსტა ბიძია..
- რა იყო, ბიჭო?
- აჰა, შენ და ნიშამ იარეთ და მე ახლავე დაგეწევი.
- სად მიხვალ, ბიჭო!
- ახლავე, კოსტა ბიძია, ახლავე. ზევით რაღაც დამავიწყდა და ახლავე მოვალ! — იმ ბათქაბუთქის შემდეგ სამარისებური სიჩუმე ჩამოწოლილიყო.

— რას სულელობ! რა დაგრჩა, რის დაგრჩა?!

მაგრამ ვალიკო უკვე ყურს აღარ

მიგდებდა და აღმართში თავქუდმოგლეჯილი არბოდა.

ჩამოსულმა ჩვენებისთვის ვერც კი მოვასწარი ამბის მოყოლა, რომ ვალიკოც მოვიდა. ერთი ხანი ურემთან იბორიალა და მერე ჩვენ შემოგვევერთდა.

ყველა მწუხარე იყო. დავდეთ ჩემი ურემი ერთ-ერთ ურემზე და ზღაზნით გავუდექით გზას სოფლისაკენ, შინისაკენ, სადაც მივექონდა ჩვენი სევდა და ნაღველი, ჩვენი დაღლილობა და ცრემლი. მაგრამ იყო კიდევ რაღაც ადამიანური შეგრძნება, სიხარული თუ ამის მსგავსი რაღაც, — ხომ შეიძლებოდა იმ ჭურვს კოწოლას ნაცვლად ადამიანის, თვითუფილი ჩვენთავანის შუბე ჩაესვენებინა.

ადამიანი მაინც ადამიანია. ეჰ, ჩემო კოწოლა, რა ადვილია ახლა ამის თქმა. შენ ხომ მაინც... ხარი იყავი.

... სოფელში ჩასულებს ხალხი შემოგვესაა. ყველა გვილოცავდა მშვიდობით დაბრუნებას. ისე, სხვათა შორის, ზოგიერთი თუ შეინაკლისებდა კოწოლას და ვიშვივით თუ გადააქნევდა თავს, თან კი დაუმატებდა, — უჰ, რა ხარი იყო. რა ხარი!

გავიდა რამდენიმე ხანი. მტერი ჩვენი მთებიდან კულამოქუებული გარბოდა. აღარ ისმოდა ზარბაზნების ყრუ ბათქაბუთქი კავკასიონის დათოვლილი მთებიდან. და ამ საერთო სიხარულში, ამ საერთო გამარჯვების დაწყებაში მეამაყებოდა ისიც, რომ ჩვენც, ჩვენებურებმაც, თითქოს-და ჩამოწერილმა ადამიანებმაც შევიტანეთ ჩვენი წვლილი. მსხვერპლიც ხომ გავიღეთ და ეს მსხვერპლი იყო დიდი საშობლოს საკურთხეველზე მიტანილი წმინდა საღვთო. ამაზე წმინდას რომელი მორწმუნე მოიგონებდა?

კოწოლა, ასე მეგონა, მარტო ჩემს გულში დაბოვინებდა, მარტო მე მახსოვდა ანდა ამ ცოდევა-კითხვის ყამს, რო-

გივი ჯონაძე
კოწოლა

ცა ყველა ოჯახს თავისი საგლოვი ჰქონდა, კოწოლა ვის უნდა მოჰვინებოდა? მაგრამ კოწოლას დაკარგვით თითქოსდა მივიწყებული სიმწარე ერთხელ კიდევ განმიახლდა, ერთხელ კიდევ გადმომვარდა მის სახელზე თბილი ცრემლი და სხვის შეუმჩნეველად ამ გახსენებამ პური ღვინოში ჩამაწობია.

... ქვეყანა გამარჯვებას ზეიმობდა. მასის დილა იდგა. ყველა ოჯახში ქვევრებს ახდოდათ სარქველი. ზოგის ოჯახში სიხარულთან ერთად ცრემლი იფრქვეოდა, ზოგში იმედი დაბოვინებდა ჯარში წასულის დაბრუნებისა...

ჩვენშიაც იყო ლხინი და გადაძახილი, მეზობლები ჩემთანაც შემოვიდნენ. ვინც კი სოფლად იყო, თითქმის ყველა ჩვენთან შემოვიწვიე. ასე უბან-უბან დავდიოდით და ვმასპინძლობდით ერთმანეთს.

შექიფიანებულმა კარებში ჩამდგარი ვალიკო შეენიშნე. იდგა და ილიმებოდა. უკვე საულვამეაშლილ ბიჭს დიდი კაცის სიბრძნე ეტყობოდა.

— კოსტა ბიძია...

— რა იყო ბიჭო, ხომ მშვიდობაა? — შეშფოთებით შევძახე და გულისფანცქალით წავედი მისკენ.

— კოსტა ბიძია, მშვიდობაა, მშვიდობა, და ამიტომაც მოვედი!

— მერე-და მოდი! რას უდგეხარ?

— კოსტა ბიძია, ყველაზე კარგი ღვინო რომელი გაქვს ის მინდა!

— რატომ მეკითხები მაგას, ჩემს ქვევრებში ყველაში კარგი ღვინო ასხია, რომელიმესთვის ჭანგი ხომ არ შეგიმჩნევია?

— მაშ აჰა, ეს სასმისები და ერთს ჩემთან გადმოდი ალავერდს, ამ სასმისებით ჯერ ღვინო არ დალეულა და მინდა პირველები მე და შენ ვიყოთ.

ვალიკომ ორა მოზრდილი ყანწი გამომიწოდა.

— ვალიკუნა, ბიჭო! შენ გენაცვალე!

— და სახელეწილ ვაქაცას გადავებვიე.

— შენ გენაცვალოს შენი კოსტა ბიძია, ბიჭო. ეს რა ბიჭა ყოფილხარ?

— ჩემი ხელით გამოვიყვანე, კოსტა ბიძია, ჩემი ხელით.

და იმ ყანწებით პირველად ჯარში წასულთა და შინმოუბრუნებელთა სადღეგრძელო დაილია.

კოწოლაც ხომ შინმოუსვლელეებში ერია.

ასე დაამთავრა ცალთვალა დევმა ამბის მოყოლა. სევედაც და სიხარულიც მოგვევარა ყველას. რაღა გვეთქმოდა. ასეთი ამბავი ზოგს ზღაპარში ეგონება, მაგრამ ცალთვალა დევი მოჰყვა ამას, ცალთვალა დევი, რომლის ცალ თვალში უფრო მეტი სიმართლე იდგა, ვიდრე ყველა ზღაპარსა და ლეგენდაში.

— ასე იყო ყველაფერი, თქვენ ხართ ჩემი ბატონი. წლები გადიან, მაგრამ როგორ თქვა პოეტმა? გულსაო ერთხელ რაც დაჩნდებისო, საშვილიშვილოდ გადაეცემო, ხომ.

ასლა კი, ჩემო სტეფანე, მომიტანე ის ყანწი ერთი, შენ რომ ჩამოგიტანე.

სტეფანემ ხარის ვეება რქა მოიტანა, რომელიც მონდომებით, მაგრამ უხეშად იყო გამოყვანილი.

— ეს ერთი აქ წამოვიღე, სახლიაკცთან. მინდა ჩემი კოწოლას რქით, სოფლადაც ისმებოდეს სადღეგრძელო და ქალაქადაც, სადღეგრძელო ჯერ არ დავიწყებული შინმოუსვლელეებისა. ეს ყანწები ჯერ არ მომივერცხლია, არც მოვერცხლავ, დე ისეთი იყოს, როგორიც ვალიკომ გამოიყვანა. ამ ყანწებს გალამაზება არ უნდა.

ყანწზე უარი არავის უთქვამს. ბოლოს კი იგი კოსტას დაუბრუნდა, დილოცა და როცა ღვინით შეფერილ ულვაშებსა და ტუჩებს იწმენდა, თითქოს მომესმა:

— ძეგლი დაუდგამთო მგლისთვისო, ცხვრისთვისო, ჯანდაბისთვისო, ოხრობისთვისო... ეჰ... ჩემო ქედმაღლიანო კოწოლა!

ბენიკ სიკრანიანი

ხევ-ხევ წვიმა მიიპარება

ჩვენ ჭადრაკს ვთამაშობდით. ამხანაგს ოდასახლის კარი ღია დაეტოვებინა. გარეთ დავიწყეთ ყურება, გარეთ კი წვიმა მოდიოდა. გაზაფხულის შხაპუნა განთიადიდან მოყოლებული კოკისპირულად ასხამდა ნორჩი ბალახით დაფარულ მთებს, ჭიუხებად და ხრამებად დაჩეხილ ხეობებს, ჩაბნელებულ ტყეებს. ყველაფერს რწყავდა, ასველებდა და ნესტიან სიცივეში ახვევდა.

ვიღაცა თავისი ვეებერთელა ტანით კარებს აეკრა, სინათლის ერთადერთი გზა დაახშო და ოთახში ერთბაშად ჩამოხვლდა.

ბუხართან ჩაცუცქული დედა ოსანა, რომელიც ჩვენთვის სადილს ამზადებდა, მაშინვე წამოდგა.

— ნაზან, შენა ხარ? — მიმართა ხმადაბლა — ეგ რა დღეში ჩავარდნილხარ, შე გულმკვდარო?..

ახალმოსული ფაშფაშა, ახოვანი მთიელი ქალი ისე იყო სველი, იტყობით, ეს-ეს არის ადიდებული მდინარის ტალღებიდან გამოსულაო. კაბის ყველა ნაოჭიდან, ყველა ნაკერიდან წყლის წვეთები ჩამოსდიოდა.. კალთა აევწია, შიგ რალაცა ჰქონდა, კალთის ნაპირებიდან წვეთები ისე ჩამოსდიოდა, გეგონებოდათ, გარედან კალთით წვიმის წყალი შემოუტანიაო.

ფეხშიშველი იყო, ფეხსაცმელები ამოედლიავებინა. განიერი ტერფები ბალახისაგან გამწვანებოდა, ფეხის თითებში ყვირთელი ფოთლები გაჩროდა

ეტყობოდა, შორებელი იყო. ზეგანზე წვიმას მოესწრო და ვიდრე ადგილას მოაღწია, თავშესაფარი ვეღარ უპოვია, თავსხმაში უვლია, — ფეხსაცმელებს შეუწუხებია, გაუხდია, ამოუდლიავებია და დარჩენილი გზა ფეხშიშველას გამოუვლია.

— აქეთ მოდი, შე გულმკვდარო, — ბუხართან მჯდომი დედა ოსანი გვერდზე გაჩოჩდა, ნაზანს მკლავში ხელი წაავლო, — მოდი, გათბი, საიდან მოდიხარ?..

ნაზანმა კითხვაზე არ უპასუხა, ჭურჭელი მოსთხოვა. დედა ოსანმა ქვაბი მისცა. ნაზანმა კალთით მოტანილი სარძევეში ჩაცალა და ოთახში მაშინვე ნაწვიმარა სოკოს სუნი დატრიალდა — რძის ქაფივით თეთრი სოკოს სასიამოვნო სუნი.

შემდეგ სველი თავშლის ბოლოთი წვიმისაგან დასველებული სახე შეიწმინდა, მერე თავშლის ბოლოები დაახვია, დაწურა, უკან გადაიდგო და წარბშეჭმუხვნლიმა ჩვენსკენ გამოიხედა — შეგვაპჩინა.

— უი, ქალო, არც მეუბნები, — ფეთიანივით მუხლზე დაირტყა ხელი, მერე ტუჩებთან მიიტანა და გააგრძელა: — ვინ არიან? ერთი მათგანი რაზმიკა არ არის?

ჩემმა ამხანაგმა გაიცინა.

— ჰო, ის არის, რაღა... როდის ჩამოხვედი, რაზმოჯან? — მოვიდა, გულში ჩაიკრა, შუბლზე აკოცა და მერე მე

მომობრუნდა, — ესეც... მოიცათ, არ მო-
თხრათ, — ცნობისმოყვარედ დამაშტე-
რდა, ალბათ თავის რომელიმე ნაც-
ნობს უნდოდა მივემსგავსებინე.

— ერთი აქეთ მოდი... — მკლავში
ჩამჭიდა ზელი, კართან მიმიყვანა და
სინათლეზე კიდე შემომხედა.

შევერცხლილი თმა რომ არა ჰქო-
ნოდა, ორმოცდაათ წელზე მეტს არავინ
მისცემდა. სახეზე ერთი ნაოჭიც არა
ჰქონდა, ეტყობოდა, ცხოვრების დიდი
გზა უკვე გაველო და ბევრი რამის მო-
მსწრე იყო.

— ტყუილა ეწვალე, დეიდა ნა-
ზან, — ღიმილით უთხრა რაზმიკმა. და
თან ცხვირსახოცით შეიმშრალა სახე
და ხელეებზე შემორჩენალი სისველე,
— ჩვენი მხრიდან არ არის. ვაიცანი,
ჩემი ამხანავია. ვალარშაკი. შესანიშ-
ნავი აღამიანია. დამსახურებული ინ-
ჟინერია, თანაც მხატვარია...

აუტანელი ხასიათი აქვს ჩვენ რაზ-
მიკას, პირდაპირ აღმამფთობელი. თი-
თქოს კმაყოფილებას გრძნობს აღამი-
ანის სულთან თამაშით. რომელი დამ-
სახურებული ან რომელი მხატვარი მე
ვარ! ნუთუ ვინც ფანქარს აიღებს, მხა-
ტვრად ჩაითვლება.

და გგონიათ, მხოლოდ ჩემს მიმართ
არის ასეთი? არა, ყველასადმი, სხვა
ამხანაგების მიმართაც ასე იქცევა.
უნებურად ვაფიქრებინებთ. თითქოს
მას არც ერთი, „უბრალო მოკვდავი“
მეგობარი არა ჰყავს, ყველა თანამდე-
ბობის პირია, ყველას რაღაც წოდება
აქვს.

— გეხუმრება, დედა, არც „დამსა-
ხურება“ მაქვს და არც „მხატვარი
ვარ“, — ვთქვი მე.

— უყურე ამას, უყურე ამას! —
გაცეცხლდა რაზმიკა და, როგორც სხვა
დროს იცოდა ხოლმე, მაშინვე გამოა-
ცოცა უბის წიგნაკი. მის ერთ-ერთ ფურ-
ცელზე, გართობის დროს ჩემს მიერ
ჩახატული თავისი პორტრეტი მონახა,
— აბა შეხედეთ, მე ვარ თუ არა? მა-
გისი ნახატია. მე არა ვარ?

დეიდა ნაზანმა გამოართვა წიგნაკი,

თავი დახარა, უყურა, უყურა და მკვლელ
ღიმილს დროს ლურჯი, წიგნაკის
თვალეები ისე ჩაუძვრა უბეებში, რომ
ორ პატარა ლაქას დაემსგავსა.

— შენა ხარ, რაზმიკან, — უთხრა,
— გეგხარ მავრამ...

— მავრამ, რა?..

— სად შენი ცხვირი... სად ამისი
ცხვირი... — თქვა და თავსახვევის ბო-
ლო პირზე მიიფარა, რომ არ გასცინე-
ბოდა.

— ეგ არაფერია, დეიდა, ნამდვილი
ხომ არ არის. ამხანაგური შარჟია. თუ
მოინდომა, ისე დახატავს, ფოტოგრაფი
ღმერთმა შეარცხვინოს მაგასთან.

დეიდა ნაზანმა უბის წიგნაკი რაზ-
მიკას დაუბრუნა. ბუხარში მოვარვარე
ცეცხლთან მივიდა და დედა ოსანას მი-
ჩნეულ ადგილზე დაჯდა.

— ტანისამოსი მაინც გამოიცვალე,
შე უღმერთოვ, შეგცივა. ავად გახდე-
ბი, — გულშემატკივარი დის კილოზე
უსაყვედურა მან.

— არაფერია, მიჩვეული ვართ... —
უპასუხა დეიდა ნაზანმა და გალურჯე-
ბული ხელეები ცეცხლის ალს მიუშვი-
რა.

ვიდრე თბებოდა, იქვე გვერდით
ჩამუხლული დედა ოსანა ტანისამოსის
სველ კალთებს უწურავდა, წყალი წუ-
რწურით დიოდა ბუხრის სიახლოვეს
დაყრილ ნაცარზე.

— ღმერთმა აცხონოს ამ წვიმის
მომყვანი, ეგ რომ არა, ჩვენკენ არც
გამოიხედავდი. სადა ხარ, ამდენი ხანი,
შე უსინდისოვ, ნატვრისაგან თვალეები
დამეკსო, შენ კი...

შუბლი შუბლზე მიედოთ და ჩუ-
მად მუსაიფობდნენ. საოცარი მეგობ-
რობა აკავშირებდათ მათ, ყოველ სიტ-
ყვაში, ყოველ ბგერაში იგრძნობოდა
საზიარო სიყვარული და გულშემატ-
კივრობა.

რაზმიკმა შენიშნა, რომ თვალ-ყუ-
რი იმათკენ გამიბობოდა.

— ქალიშვილობისდროინდელი ამ-
ხანაგები არიან, — მითხრა. — ღვიძლი
ღებოვით არიან...

მე არ ვიცოდი ქალიშვილობისას როგორი ურთიერთობა ჰქონდათ, ახლა კი ისე მოჩანდნენ ისინი, როგორც დიდი მონასტერი და პატარა სამრეკლო.

დეიდა ნაზანი ზონზრობი, მკერდგანიერი იყო. დედა ოსანა კი სამოსელში გახვეული ერთი მუჭა ძვლები.

დაჩუმდნენ. დეიდა ნაზანმა სევდიანად გაიხედა გარეთ და ოცნებით წარმოსთქვა:

— ნეტა იმ დროს, წვიმის დროს ტანსაცმელს გაიძრობდა ხოლმე და ტრეტველი დარბოდა. ვიყვებოდა წვიმისათვის.

რაზმიკმა ჩამჩურჩულა.

— შვილის ბავშვობა გაიხსენა ისევ. მერე იცი, რა ბიჭი იყო?.. წვიდა, დიკარგა...

— სად?

— ომის ქარიშხალში. გვეგონა დარდისაგან გაგიყვებოდა, მაგრამ შენ დე...

დეიდა ნაზანმა სარძევე ახლოს მიიჩინა, სოკოებს მარილი მოაყარა და ნაკვერცხლებზე მწკრივად დალაგა. სოკოების მიხაკისფერ ნაკეცებიდან ნაქონმა წვენმა შიშინი დაიწყო — სოკო იწვებოდა.

რაზმიკმა თვალით მანიშნა დეიდა ნაზანზე.

— აი, სწორედ ასეთ ქალზე უთქვამთ, უბედურია, მაგრამ მაინც გმიჩრული სულისააო...

— კიდევ?.. კიდევ?..

— ჰო, ჰო, მერე რა? ვერ გაიგე? უბედურიც არის და გმიჩრული სულის პატრონიც-მეთქი.

დავას აზრი აღარ ჰქონდა. ვიცოდი მისი ხასიათი — სულერთია, თავისას გაიტანდა და ამიტომ ვაგჩუმდი.

დღეებმა განვლეს და მე დავრწმუნდი, რაზმიკა მართალი იყო. ეს ქალი ნამდვილად უბედურიც იყო და გმიჩრიც. ახალგაზრდობაში მეუღლე დაეკარგა, სამამულო ომის დროს — ერთადერთი შვილი და მარტოდ მარტო დარჩენილა თავის მწუხარებასთან, მაგრამ არც ერთი დღე უქმად არ გატარებინა, მის თვალზე ცრემლი არავის უნახავს.

რებინა, მის თვალზე ცრემლი არავის უნახავს.

ამბობდნენ, თავის დროზე მხარდამხარ იბრძოდა პარტიზან მეუღლესთან ერთად, შაშხანა ეჭირა ხელშიო. პატრონტაშს ატარებდა, ყაბალახის ბოლოებს ქარი უფრიალებდა თურმე, როცა ცხენს ელვასავით მიაჭროლებდა მთის ფერდობებზე.

მაისის აჯანყების დამარცხების დროს მისი მეუღლე მოუკლავთ. მეუღლის გვამი მტერს ხელში რომ არ ჩავარდნოდა, წამოუკიდია, ხუთი ვერსი მთებამდე ზურგით უტარებია, სამი დღე და ღამე ერთ მიყრუებულ ყიშლაყში დაუმალავს, მერე განთიადისას საკუთარი ხელით მიწა გაუთხრია და დაუმარხავს მძალ კონცხზე. სოფელში დღისით. დაბრუნებულა, წელში გამართულს გაუვლია „პარლამენტის“ შენობის წინ და თავის სახლში მისულა. იცოდა, ყოველ წუთს შეეძლოთ დაეჭირათ, ესროლოთ, მაგრამ განსაცდელს არ გაჰქცევია. გაბედულად გაუვლია და მტერს გზა ვერ გადაუღობავს.

ასევე ვაქაცურად გადაუტანია ერთადერთი შვილის დაკარგვაც. თავი თურმე იმით უნუგეშებია, რომ ბრძოლის ველიდან საღსალამათად დაბრუნებულან მეზობლებისა და ნათესავების შვილები.

ამ დღეს დეიდა ნაზანი სადილად არ დარჩა, ძალიან ეჩქარებოდა, ფერმაში იყო წასასვლელი და როგორც კი წვიმამ გადაილო, გამოგვემშვიდობა და წვიდა, მაგრამ ჩვენ მაინც არ დავვიწყებიავართ, თითქმის ყოველ დღე შემოგვევლიდა ხოლმე.

— ხომ კარგადა ხართ, თქვენ შემოგვევლეთ! — გულწრფელად გვეტყოდა, მერე კი რაზმიკას ეკითხებოდა: — კაქავავანქში იყავით? ან ძენაწოლში? არა? რატომ? წადით, თქვენ შემოგვევლეთ, რაზმიკჯან, წაიყვანე, უჩვენე...

ზენიტ სპირანიანი
ხმვ-ხმვ წვიმა მიიპარავა

ჩვენ უკვე შენიშნული გვაქონდა, რომ მის ყოველ სიტყვაში, ყოველ გამოხედვაში სითბოსთან ერთად ღრმა მწუხარება და იღვმადი სევდა ერია, რადგან მეტწილად ჩაფიქრებული და დაბნეული იყო, თითქოს რაღაცის თქმა სურდა, მაგრამ გვერიდებოდა.

მხოლოდ ჩვენი გამგზავრების წინა დღეს გაანდო რაზმიკას თავისი გულისწუხილი, იმან კი მე მითხრა.

— უნდა, რომ ერვანდას სურათი დაუხატო, გთხოვ, უარი არ უთხრა, — თვითონაც შემეხვეწა.

ეს მთლად მოულოდნელი ამბავი იყო ჩემთვის, დაკვირვნი.

— ისევ დაიწყე სისულელების როშვა?

— მოიცა, მოიცა, რას წამოხტი? დამწუხრებული დედაა. ვანა შეიძლება მისი სიტყვა არ შეასრულო?

— კი, მაგრამ...

— არავითარი „მაგრამ“, დახატე, მიეცი და ეს იქნება შენი ყველაზე დიდი „მაგრამ“...

— შენ ისევ შენსას გაიძახი, შე კაცი კაცო, სადაური მხატვარი მნახე, რა ხანია ფუნჯი არ ამიღია ხელში, ან როგორ უნდა დავხატო, როდესაც ის კაცი არ მინახავს, არ ვიცილობ...

— მაგას მოვევლება, გამოსავალს ვიპოვნით, — მკლავში ჩამკიდა ხელი რაზმიკმა.

— რამდენიმე წლის წინ ფრონტიდან გაზეთი გამოგზავნეს. გაზეთში ერვანდას სურათი იყო. ეს ერთადერთი სურათია დეიდა ნაზანი ამ გაზეთს უბით ატარებს ავგაროზივით, ტყავის პარკი შეუქერია და შიგ უდევს, ძაფით კისერზე ჰკიდია. მართალია, სურათი ცოტა განუხლებულია, მაგრამ მაინც შეიძლება იქიდან გადაღება.

რალა ბევრი გავაგრძელო, იმ დილითვე ფრონტული გაზეთის ნომერი ჩვენს ხელთ იყო... განუხებულ სურათზე თითქმის აღარაფერი დარჩენილიყო. თვალების ადგილზე რამდენიმე ბუნდოვანი ხაზი მოჩანდა. მაგარი და ძლიერი ნიკაბი, მომღიმარე ტუჩპირი.

ოდნავ შესამჩნევი, შემოვლებული სახეზე. აი ყველაფერი. რაც შეგვიძლია შეგვემჩინა სურათზე.

როდესაც ვუთხარი, უთვალეზოდ შეუძლებელია სურათის აღდგენა-მეთქი, რაზმიკმა გაიცინა.

— გამოსავალს აქაც ვიპოვიო, — თქვა მან, — ერვანდას თვალები დეიდა ნაზანის თვალებივით წვრილი და ცისფერი იყო. გადაიტანე დედის თვალები ამ სურათზე და სურათი გაცოცხლდება. სხვა რაღა გინდა, თქვი...

— ისა რომ, ამ გადაკარგულ მთებში სად იშოვი ტილოს და ზეთის საღებავებს. ანდა სულ უბრალო ფერად ფანქარსა და ქაღალდს? ახლა თუ გრძნობ, სადამდე მიგიყვანა შენმა სულელურმა ხუმრობამ.

— არავითარი ხუმრობა, უნდა დახატო, დიახ. თუ მონადომე, კიდევაც დახატავ. რა შუაშია აქ ხუმრობა! მერე შე კაცი კაცო, მუხუშუმისათვის ან გაზეთისათვის ხომ არ უნდათ? დედა დედის გულის წადილია. დახატე. მივცეთ და წავიდეთ.

— ისევ თავისას გაიძახის... რითი დაეხატო? რაზე?

— აი ეგ სხვა ამბავია... — ამ ერთ საკითხში დამეთანხმა რაზმიკა. — ამაზე სერიოზულად უნდა ვიფიქროთ.

რა იყო საფიქრებელი? იაილანი სავსეა მოსწავლეებით.

აღმოჩნდა, რომ აქ ყველაფერი არის, სახატავი ქაღალდიც, ფერადი ფანქრებიც, ტილოც და ზეთის საღებავებიც.

ტილოს და ზეთის საღებავებზე უარი ვთქვი, დიდი ხანი იყო გასული, რაც ხელში ფუნჯი არ მჭეროდა. ქაღალდი და ფერადი ფანქრები ავიღე და საქმეს შევუდექი. ერთი დღე ოთახში ვიყავი ჩაკეტილი, არავის არ ვიკარებდი. ვხატავდი და ვშლიდი. ვხატავდი და ისევ ვშლიდი. ყველაზე ძალიან თვალების დახატვა გამიჭირდა. ვერ ვახტრებდი დედის თვალების შვილის სახეზე მექანიკურ გადატანას. საქმე მხოლოდ გაღიმებულმა ტუჩპირმა გამაადვილა

ამიტომ, დეიდა ნაზანის ღიმილი უფრო მომეხმარა, ვიდრე მისი თვალები სურათი თითქოს გამოვიდა.

პირველად რაზმიკმა ნახა, სიხარულისაგან ბავშვივით აცმუკდა და აღარ იცოდა, რა ექნა.

— ბიჭო, შენ რაფაელი ყოფილხარ, პიკასო, სარიანი... — მეუბნებოდა და გარე-გარე მივილიდა, რომ თავში არ ჩამეფარებინა.

ერვანდი თავიანთი მთების ფონზე დაეხატა მის უკან მოჩანდა ერთი მეორეში ჩახლართული მწვანე ტყეები. ალისფერი კლდეები. ჭიუხებად და ხრამებად დაჩეხილი ხეობა, უფსკრულები. ცა არ ჩანდა, იგი მნახველს სურათის გარეთ, ძალიან მაღლა უნდა წარმოედგინა.

როდესაც სურათს ვამთავრებდი, მოვისაზრე, რომ მის ერთ კუთხეში, სადაც მუქი იისფერა ხევის ნაწილი მოჩანდა, შხაპუნა წვიმა დაეხატა, მზის სხივებით შევერცხლილი, ირიბად წამოსული სხივების ნაკადი.

მნახველს ისე ეჩვენებოდა, რომ ომის შემდეგაც ცხოვრობდა და დღეგრძელობდა ერვანდი. აი, ჯარისკაცის ტანსაცმელით დაბრუნებულა სამშობლოში, შეხვედრია ერთ-ერთ ნაცნობს, თითქოს წამით შეჩერებულა, მომდიმარი სახით უყურებს მას და ეკითხება: „გამიხსენე?“, „მიცანი?“.

მის ზურგს უკან კი, როგორც მარადიულობის სიმბოლო, აღმართულა მშობლიური კლდეები, მთები, ხე-ხეცეკი წვიმა მიიპარება, გაზაფხულის შხაპუნა წვიმა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დეიდა ნაზანმა სურათი ხელში აიღო, უყურა, უყურა, მერე გახარებულმა გულზე მიიკრა და დაიჩურჩულა:

— ჩემო შვილო, ერვანდ... ჩემო საყვარელო შვილო!.

სურათი რაზმიკას დედასაც ძალიან მოეწონა და სხვებსაც.

— თითქოს ცოცხალია და სუნთქავსო, — ამბობდნენ ზოგიერთები. „მერე

თვალები, თვალები!“ — მოხიბლული ამბობდნენ ისინი, ვინც ახლოს იცნობდა ერვანდს.

„ესე იგი, კარგი გამოვიდა!“ — გავიფიქრე და კმაყოფილი დავიჩინე, რომ შრომამ უქმად არ ჩამიარა.

საღამო ხანს მე და რაზმიკამ სურათისათვის ლამაზი ჩარჩო გავაკეთეთ, მერე მინის ზომაც ავიღეთ, რომ სოფელში მოეჭრათ. დეიდა ნაზანმა აღარ იცოდა, როგორ გამოეხატა თავისი აღტაცება, მლოცველივით დამტრიალებდა.

— დღერთმა გამომიგზავნა შენი თავი, — იმეორებდა აღელვებული, — მთელი სიცოცხლე შენი მოვალე ვიქნები.

მაგრამ ჩემს გავერვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც მეორე დილას დეიდა ნაზანი ჩაფიქრებული და დაღონებული მოვიდა ჩვენთან. თვით ნაჭერში გახვეული სურათი უკან მოიტანა და რაზმიკას ლოგინზე დადო.

რა მოხდა? ნუთუ პირველი შთაბეჭდილება შეცდომა იყო? ნუთუ ღამით შეიცვალა და ახლა უკან მოიტანა სურათი? ცმობისმოყვარეობამ მძლია და ვკითხე:

— რა მოხდა, დეიდა? თუ რამე აკლია, ახლავე მითხარი, ვიდრე აქა ვარ. სოფლიდან „ვილისს“ ველოდებით. დღეს უნდა წავიდეთ.

დეიდა ნაზანმა თავი დახარა. უსიტყვოდ გასაგები იყო, რომ რაღაცა აკლდა სურათს, მაგრამ გამხელას ერიდებოდა.

— მითხარი, ნუ მერიდები, არა ჰგავს?..

— უი, დამიბრმავდეს თვალები, ეგ რა მითხარი, პირწავარდნილი ჩემი ერვანდაა..

— თვალ-წარბი, შუბლი, თმა...

— ყველაფრით, ყველაფრით...

— აბა, რა ამბავია?

ბოლოს მითხრა. თავდაპირველად

ბენიკ სიბრანინი
ხმ-ხმ წვიმა მიიპარება



მეცნაურა მისი სიტყვები, შემდეგში კი — ძალიან ამაღლევა.

მას უნდოდა, რომ შვილის მკერდზე აუცილებლად დამეხატა ოქროს ვარსკვლავი, უნდოდა, შვილი გამირად დენახა, რადგან ყოველთვის ასე ჰყავდა წარმოდგენილი თავისი შვილი.

იქნებ დედის გულის წადილი იყო? ან ოცნება? ანდა ნუგეში? — არ ვიცი. შეიძლება სამივე ერთად.

ღიახ, ის მოხვდა. მე კი არ შემეძლო. მორიდებით ავუხსენი, რომ არ შემეძლო. ეტყობოდა, არ ირწმუნა, თავდალუნულმა მომისმინა და სევდანარევი ხმით მითხრა:

— აღამიანს ამ მზიურ ქვეყანაზე ერთადერთი სიცოცხლე ჰყავდეს, ეგ სიცოცხლე სამშობლოს შესწიროს და მინც გმირი არ იყოს?..

მე ვუთხარი, რომ ის მართალი იყო, ერვანდა ნამდვილად გმირია, მაგრამ არის ისეთი რამეები, რომელსაც გვერდს ვერ აუხვევ, — გმირის წოდება განსაკუთრებული ბრძანებით ეძლევა. ერვანდას დაჯილდოების შესახებ ასეთი ბრძანება არ ყოფილა, თუმცა ის ამის ღირსი იყო.

— განა ჩემი ბალღი ბრძანებით მოკვდა? — თქვა და წავიდა. მიდიოდა არეული ნაბიჯით, წახრილი, კაბის კალთებს მწვანეში მიათრევდა. ვინ იცის, იქნებ მთელ თავის ცხოვრებაში პირველად მიდიოდა ასე. თავდახრილი.

ურთის იქით ამწვანებული და ბილიკებით დასერილი ბორცვი მოჩანდა. ბორცვს იქით კი არც თუ ისე ღრმა ნაპრალი, სულ დაბლა თუ კოლმეურნეობის ფერმა.

დეიდა ნაზანი იქით მიდიოდა.

დაბნეული, თვალს ვაყოლებდი დანადვლიანებულ დედას. თავში ფიქრები მერეოდა, ვიცოდი, სწორად მოვიქცეო, მაგრამ მაინც კმაყოფილი არ ვიყავი ჩემი თავისა.

ვიღაცამ მხარზე ხელი დამადო, მივბრუნდი. რაზმიკა იყო.

— კიდეც რა აწუხებდა დეიდა ნაზანს? — მკითხა.

ვუთხარი. დაღონდა, გუნება გაუფუჭდა.

— შენც დახატე, რაღა, — მითხრა.

— რას მეუბნები, რა სინდისით. მე რომ მეკითხებოდეს, პატიოსნებას გეფიცები, ფრონტზე დაღუპულ ყველა ჯარისკაცს მიცემელი გმირის წოდებას. იმასაც კი, ვინც ერთი ტყვიის გასროლაც ვერ მოასწრო. ისინი ყველანი ისტორიული გმირები არიან. ღიახ, ღიახ. მარადიული მოგონების ღირსნი.

— მერე?..

— მერე? მერე ისა, რომ ხომ უბრძოლია? უბრძოლია. ხომ დაუბეჭდიათ ათ გაზეთში? დაუბეჭდიათ. მაშასადამე, კარგად უბრძოლია. დემეტრის ნაჩუქარი ერთადერთი სიცოცხლე ხომ შეუწირია სამშობლოსათვის? შეუწირია. ჰოდა, სხვა რაღა საჭირო, რომ შენი მადლიანი ხელით ერთი ოქროს ვარსკვლავი გაუკეთო მკერდზე. დახატე, გთხოვ. კიდეც გიმეორებ, გაზეთისთვის ან მუზეუმისთვის ხომ არ უნდათ? შე კაი კაცო, გაახარე დედის გული და მორჩი.

ის ისევ ლაპარაკობდა, მე კი აღარ ვუსმენდი. თავში ცოტა ხნის წინ ნათქვამი მისივე სიტყვები მიტრიალებდა: „ისტორიული“, „სამარადისოდ მოსაგონარი და ღირსეული“.

ნამდვილად უზაღო ქვეშაბრტყე იყო მის სიტყვებში.

მთებისა და ხეობის გამყოფ ჩაღისფერ გზაზე მწვანე ბუზანკალივით რაღაცა გამოჩნდა.

— აგერ „ვილისი“ მოდის. წავიდეთ, — მითხრა გახარებულმა რაზმიკამ და ოთახში შემეიყვანა.

ბედზე სურათი იქ იყო. ალბათ მღელვარებისაგან ლოგინზე დავიწყებოდა დეიდა ნაზანს. ფერადი ფაჩქრებიც ისევ იქ იყო. მე გმირის ოქროს ვარსკვლავი ერვანდას მკერდზე მივახატე და ეს ძალიან კარგად და მოხდენილად გამომივიდა.

გიორგი ყარაშვილი

თბილისის გენერალ-მაიორი.

ქართველები დიდ სამამულო ომში

დიდ სამამულო ომში ქართველი ხალხის მონაწილეობას მდალი შეფასება მისცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ა. ბრეჟნევმა. თავის სიტყვაში საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისათვის ლენინის ორდენის გადაცემისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე მან განაცხადა:

„დიდი სამამულო ომის მრისხანე ეამს ქართველი ხალხი, ყველა მოძმე საბჭოთა ხალხთან ერთად, აღსდგა საბჭოთა საშობლოს დასაცავად, ოქტომბრის დიად მონაოფართა დასაცავად. საქართველოს თითქმის 600 ათასი შვილი — კომუნისტები, კომკავშირები, უპარტიოები — იბრძოდა ფრონტებზე გერმანულ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ, რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების, სომხებისა და აზერბაიჯანელების, ჩვენი მრავალეროვანი საშობლოს ყველა ხალხის შვილების მხარდახმარ ისინი მონაწილეობდნენ მოსკოვისა და ლენინგრადის დაცვაში, იცავდნენ მშობლიურ კავკასიას, სამკედრო-სასიცოცხლოდ იბრძოდნენ ლეგენდარული სტალინგრადის კედლებთან და კურსკის რკალზე, ძღვეამოსილი მარშით შევიდნენ ბერლინში“.

ფაშისტებს საბჭოთა კავშირის ტერიტორიის დაპყრობისა და დანაწილების ფართო ვეგმა ჰქონდათ. 1941 წლის 16 ივლისს ჰიტლერმა სპეციალურ თათბირზე განიხილა საკითხი — „როგორ მოვექცეთ საბჭოთა კავშირს“ და უტიფრად განაცხადა: „პრინციპულად საქმე ეგება იმას, რომ სწორად დავყოთ უზარმაზარი ღვეგელი, რათა შეგვექლოს, ჭერ ერთი, მისი დაუფლება, მეორე — მისი მართვა, მესამე — ექსპლოატაცია“.

თავზენი მტრის ვარაუდით, ფაშისტური ჯარების მიერ დაპყრობილი საბჭოთა ტერი-

ტორია უნდა დაყოფილიყო ოთხ გერმანულ რაიხსკომისარიატად. მოსკოვის, ბალტიისპირეთის, უკრაინისა და კავკასიის რაიხსკომისარიატებად. თავის უთუო გამარჯვებაში დარწმუნებულმა მტერმა ამ ტერიტორიების რაიხსკომისარებზე კი წინსწარ დანიშნა. ასე, კავკასიის რაიხსკომისარის სავარძელი უკვე მიკედანცისათვის იყო გამზადებული და ეს არამზადა დღე-დღეზე ელოდებოდა თავის „რეზიდენციაში“ — თბილისში „შემობრძანებას“. მან უკვე ისიც იცოდა, როგორ დაეყო „თავისი საბრძანებელი“. ფაშისტების მიერ წინსწარ შემუშავებული გეგმის თანახმად უნდა შექმნილიყო ყუბანის, ყალმუხეთის, სტაერთაოლის, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და მთიულეთის გენერალური კომისარიატები. ამავე დროს, ჰიტლერებს განზრახული ჰქონდათ ქართველები შუა აზიაში გაესახლებიათ, საქართველოს ტერიტორია კი გერმანელი „ბატონების“ აფარაკებად გადაექციათ.

საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის თავდასხმის ბოროტი სიხარულით შეხვდნენ ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტები. მათ ვარაუდით, ფაშისტური გერმანია 1941 წლის ზამთრამდე შეძლებდა საბჭოთა კავშირის ვეგებრთელა ტერიტორიის დაპყრობას. ამერიკელი და ინგლისელი მტაცებლები, პირველ რიგში, დაინტერესებული იყვნენ საბჭოთა კავშირის დამარცხებით, მაგრამ ისინი ფაშისტური გერმანიის დასუსტებაზეც ოცნებობდნენ. ამერიკის მამინდელმა ვიგე-პრეზიდენტმა ტრუმენმა საქვეყნოდ განაცხადა: „ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ საბჭოთა კავშირი დასუსტდეს და მამინდელმა უნდა მივეხმართ მას, ხოლო თუ გერმანია დადგება დამარცხ-

ბის წინაშე, მაშინ გერმანიის უნდა დავეხმაროთ. საბჭოთა კავშირმა და გერმანიამ უნდა ქოლტონ ერთმეორე“. ეს თქვა ტრუმენმა 1941 წლის ივლისში, როდესაც ფაშისტური გერმანიის ჯარებს დროებითი წარმატებები ჰქონდათ მოპოვებულნი.

ჰიტლერის ავანტურისტული „ელვისებური“ ომის გეგმის საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესმა მთავარსარდალმა ი. ბ. სტალინმა, შექმნილი სამხედრო მდგომარეობის შესაბამისად, დაუპირისპირა თავისი გონივრული სტრატეგიული გეგმა — აქტიური მოგერიების შემდეგ გადამწყვეტ შეტევაზე გადასვლის, მტრის სრული განადგურების გეგმა.

შოშოლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მოწოდების პასუხად ჩვენი ქვეყნის ხალხები მტკიცედ დაიარსნენ დიდი ლენინის უძლეველი დროშის ქვეშ. ხანმოკლე დროში ქვეყანა ერთ მთლიან ძლევამოსილ სამხედრო ბანაკად გადაიქცა.

1941-1942 წლების ზამთარში მტერმა იგემა საბჭოთა არმიის მრისხანე დარტყმები მოსკოვთან, ლენინგრადთან, როსტოვთან, ყირიმში და ფრონტის სხვა გადამწყვეტ უბნებზე: ეს იყო საბჭოთა არმიის პირველი სერიოზული გამარჯვებანი, რომელმაც ვადაცამტერა მითი ფაშისტური არმიის „უძლეველობის“ შესახებ. 1942 წლის შემოდგომიდან 1943 წლის შემოდგომამდე საბჭოთა არმიამ უკვე გრანდიოზული გამარჯვებები მოიპოვა. ამ პერიოდში მან ბრწყინვალედ განახორციელა სტალინგრადისა და კურსკის ოპერაციები, მწვერ მარცხი აგემა მტერს კავკასიის მისადგომებთან. ისტორიას არ ახსოვს, რომ ასეთი მასშტაბის ოპერაციები ასე მოკლე დროში განეხორციელებინოს რომელიმე ქვეყნის არმიას. ამ ოპერაციებმა ერთხელ კიდევ ცხადყვეს ჩვენი ქვეყნის, მისი სახელმწიფოებრივი წყობისა და სოციალური სისტემის უპირატესობა კაპიტალისტურ სისტემასთან. ამ გამარჯვებებით დაიწყო დიდი სამამულო ომის მსვლელობაში პირველი გარდატეხა. ჩვენმა სახელგანმა არმიამ შეუპოვარ და მძიმე ბრძოლებში საბოლოოდ გამოვლიჯა მტერს სტრატეგიული ინიციატივა და 1944 წელს განახორციელა ათი გამანადგურებელი დარტყმა, რამაც მთლად დაანია ჰიტლერულთა სარდლობა და წაართვა მას ჯარების ორგანიზებულად მართვის უნარი. დარტყმების შედეგად საბოლოოდ გაიწმინდა საბჭოთა კავშირის მიწა-წყალი ფაშისტთა არამზადებისაგან და საომარი მოქმედება გადატანილ იქნა მტრის ტერიტორიაზე. ჰიტლერულ გერმანიას ჩამოსცილდნენ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები — ბუშინეთი, ბულგარეთი, ფინეთი და უნგრეთი. ბოლოს კი საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა გაანადგურეს ფაშისტთა გე-

ბერთელა დაჯგუფებები ვენასა და ბუდაპეშტში, მოსხეს ფაშისტური გერმანიის ჯარებს მოსავლეთ პრუსიაში, შემუსრეს მტრის ცენტრალური დაჯგუფება ვარშავა-ბერლინის მიმართულებით, აგრეთვე ჩეხოსლოვაკიაში, და კაცობრიობის ისტორიამ უსასტიკესი ომი ძლევამოსილად დაამთავრეს ბერლინის აღებით.

საბჭოთა არმიამ გამარჯვების დროსა აღმართა დანგრეული რაისხტაგის თავზე. ფაშისტური გერმანიის სარდლობა იძულებული გახდა ხელი მოეწერა უსიტყვო კაპიტულაციაზე.

გაიმარჯვა საბჭოთა ხალხმა, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა, საბჭოთა სამხედრო მეცნიერებამ, გაიმარჯვა კომუნისტური პარტიის ბრძნულმა, შორსმჭვრეტელურმა პოლიტიკამ. ამ დიდ სახალხო ომში ერთმანეთის მხარდადმხარ თავგანწირვით იბრძოდნენ ჩვენი დიდი სამშობლოს ყველა ერის შვილები. ომის გამოცხადების პირველი დღიდანვე მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელთა კიდევ უფრო მჭიდროდ დაიარსნენ სოციალიზმის დროშის ქვეშ და რუსი ხალხის წინამძღოლობით სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლაში შეებნენ გერმანულ ავაზაკებს.

სხვა ერებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა სოციალისტური სამშობლოს დაცემაში ქართველმა ხალხმაც.

ქართველი და რუსი ხალხების ერთობლივ ბრძოლას უტუბო დამპყრობთა წინააღმდეგ დიდი და სახელოვანი ტრადიცია აქვს. „გაჭირების დროს ქართული დროსა რუსეთის დროსთან ერთად არაერთხელ გამოსულა საომარ ველზე და მისი წინამძღოლობით და სახელით ქართველობას არაერთხელ დაუდგრა სისხლი რუსეთთან ერთად, — წერდა ილია ჭავჭავაძე.

რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიის ახალი ბრწყინვალე ფურცლები დაიწერა საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის მრისხანე დღეებში. საქართველოს შვილები, ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის შვილებს მხარდადმხარ, თავგანწირვით იბრძოდნენ გერმანულ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე, მათი ალალი სისლო უხვდაა დაღერილი მოსკოვსა და ლენინგრადთან, სტალინგრადსა და ოდესსთან, ყირიმსა და კავკასიის მისადგომებთან.

გეკატორად იბრძოდა მტრის წინააღმდეგ სპეციალურად შექმნილი ქართული დივიზიები, რომელთა გმირობა მუდამ წარუშლელი იქნება ჩვენი სახელოვანი არმიის ისტორიაში.

ქართველი ხალხი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი, ფეხზე დადგა გერაგი მტრის შესამუსრავედ. რესპუბლიკის რესურსები მთლიან

ნად მობილიზებული იყო ფრონტის ინტერეხებისათვის. ჩვენი რესპუბლიკის ყველა ქარხანა, ფაბრიკა, მცირე სახელსონო ფრონტისათვის საჭირო მასალებს ამზადებდა და აწვდიდა მშობლიურ არმიას. ენთუზიაზმით ატყეულთა საქართველოს მოსახლეობა ფოლადის მოაჯირებსაც კი ხსნიდა საცულონი აივნებს და იქ მიჰქონდა, სადაც ავტომატები, ხელუწყობარები, ნაღმები და სხვა სამხედრო იარაღი მზადდებოდა.

1942 წელს, როდესაც ჩვენი სამშობლო დიდი საფრთხის წინაშე დგა, საქართველოს მშრომელებმა 231 თვითმფრინავი შეიძინეს საკუთარი სახსრებით და ჩვენი ქვეყნის სახელოვან შივარდნებს გაუგზავნეს.

მაგე, 1942 წელს ქართველმა პატრიოტმა მუშებმა, გლეხებმა და ინტელიგენციამ — 10 დღეში პროდუქტებითა და თბილი ტანსაცმლით დატვირთული 50 ვაგონი გაგზავნეს ფრონტზე; 45 ვაგონისაგან შემდგარი ეშელონი, რომელსაც ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. კ. თაგაძე და კინორეჟისორი ლ. ესაკია ხელმძღვანელობდნენ, სამხრეთის ფრონტზე გაიგზავნა, ხოლო მეორე ასეთივე ეშელონი ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრ ა. საჭაიას და პოეტ ირ. აბაშიძის ხელმძღვანელობით — ყირიმის ფრონტზე.

როდესაც მტერმა საბჭოთა კავშირის ცენტრს სამხრეთისაკენ რკინიგზა გადაუტარა, მისთვის საწვავი მასალის მიწოდება მხოლოდ ქალაქ კასანოვოდსკიდან შეიძლებოდა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო მილსადინარის დაუყოვნებლოდ გაყვანა ქვეყნის ცენტრებისაკენ. საქართველოს მშრომელებმა ამჯერადაც წამდგინეს პატრიოტული შემართება გამოიჩინეს. მათ სასწრაფოდ, შვიდ დღეში, ამოიღეს ბაქო-ბათუმის ნავთობსადენის ხაზის მილები და კასანოვოდსკში გაგზავნეს.

სათუთად ეპყრობოდა საქართველოს მშრომელი ხალხი და ჩვენი საქეიმო პერსონალი რესპუბლიკის ტერიტორიაზე გაშლილ უამრავ ჰოსპიტალში მოთავსებულ დაჭრილ და დაავადებულ მებრძოლებს, დღეღამ ზრუნავდა მათ განსაკურნავად. მოამე რესპუბლიკებიდან ევაკუირებულ ასობით და ათასობით მშრომელს რეზუმობდნენ ყოველდღიურად საქართველოს ქალაქები და სოფლები. მათ თბილად ხედებოდნენ ჩვენი მიწაწყლის შვილები და ყოველნაირად ეხმარებოდნენ.

განსაკუთრებით დიდია ქართველი ხალხის წვლილი, კავკასიაში მოსახლე სხვა მოამე ერებთან ერთად, გერმანულ ფაშისტ დამპყრობთაგან ევაკასიის გირანულ დაკვაში. ამ ბრძოლებში ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოვლინდა ჩვენი ხალხის მაღალი პატრიოტიზმი და ქედ-სრელობა.

ჩვენი ჭარბების თავგანწირული ბრძოლების

შედეგად მტერს წაწივი გამოეცა, სისხლიდან დაიკვალა, და მოსკოვის მისადგომებთან მათი წინსვლა მთლიანად შეჩერებულ იქნა, ჩაეყარა საფუძველი ჩვენი ჯარების კონტრშეტევაზე გადასვლის საქმეს.

1941 წლის მიწურულში, როდესაც ჩვენი ქვეყნის დედაქალაქზე შავი რტულები ჩამოწვა და მას ფაშისტთა ბროვა ვანადგურებს უქადადა, არმიის არტილერიის უფროსის თანამდებობაზე ქ. ტულის მისადგომებთან გენერალი კონსტანტინე ლესელიძე გახლდათ, რომელმაც მტერს მოსკოვისაკენ გზა გადაუღობა. მისი ზუსტი და მძლავრი ცეცხლის შედეგად გუდერიალის ტანკები და ჯავშნაინი მანქანები რკინის ნავლავებზე იქნა ქცეული, ისტატურად ურტყამდნენ მტერს და არ აძლევდნენ მას მოსკოვისაკენ გაჭრალაყა.

პორფილე ჩანჩიბაძის ხელმძღვანელობით ბევრი საგმრო ეპიზოდები შესანიშნავად განხორციელდა, მოსკოვის მისადგომებთან. ის მოულოდნელად ახდენდა მტრის ზურგში შეუმჩნეველ შეჭრას და დიდ ზიანს აყენებდა მტრის ურდოებს.

დივიზიისადმი მოქნილი და უნარიანი ხელმძღვანელობისათვის, საბრძოლის დავალების სანიმუშოდ შესრულებისათვის სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1942 წლის 12 იანვრის ბრძანებულებით პორფილე ვიორგის ძე ჩანჩიბაძე წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს, ხოლო სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1942 წლის 23 მაისის დადგენილებით, მას გენერალ-მაიორის წოდება მიენიჭა.

არტილერიის გენერალ-მაიორ მიხეილ ვიკნაძის ხელმძღვანელობით მეზენიტებმა უკონობი სახელი მოიხვეჭეს მოსკოვის მისადგომებთან გერმანულ ოკუპანტების ავიაციის გააფრტებულ თავდასხმით ბრძოლებში. მათი ზუსტი ცეცხლის შედეგად მტრის ავიაციამ დიდი ზარალი განიცადა.

მოსკოვთან ბრძოლების კრიტიკულ პერიოდში პოლკოვნი გრიგოლ კანჩაძის დივიზიამ ოსტატურად ურტყა მტერს და მას დიდი ზარალი მიაციენა.

1941 წლის 22 ივნისს დილის გარიჟრაჟზე ქალაქ პერემოლის მისადგომებთან ჩაება გააფრტებულ ბრძოლაში გამხვეცებულ გერმანულ ურდოების წინააღმდეგ დივიზიის მეთაური, ქართველი პირველი გენერალი პავლე ივლიანეს ძე აბრამიძე. იგი ვეჯკეტურად შეხვდა პიტლერელ ავაზაკებს. თეთრფენილა წინააღმდეგ ბრძოლაში მიღებულ გამოცდილება მან მოხერხებულად გამოიყენა ფაშისტთა ჭარბ ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში. პავლე ხში-

გიორგი ყურაშვილი
მარტყველემი დიდ სამამულლო ომში



რად კონტრშეტევაზე გადადიოდა და საკადრის პასუხს აძლევდა მომხდურ მტერს.

არ ჩამორჩებოდა თავის თანამებრძოლი ანტონ ნაკაშიძე, რომელსაც ზედწინასწარ მიჰქონდა ღირსებები მტრის ურდოებზე.

მოსკოვის დაცვის საქმეში თავი ისახელა პოლიკონსტაბლად კონსტანტინე შამარდიაშვილმა, პოლიკონსტაბლად მითითებულმა, კავშირისანი მატარებლის ეკიპაჟმა: ე. კვაჭანტირაძემ, შ. ქელიძემ, კ. ვაბუნიამ, გ. ვაკოშვილმა და სხვა უამრავმა ქართველმა ვაჭარმა.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი სტალინგრადის დაცვისათვის წარმოებული ბრძოლები.

სტალინგრადის დამცველთა რიგებში იყვნენ მრავალი ქართველი მებრძობი, სახელმწიფოებრივ მხედრობითადაც. გენერალ ნ. თავართქილაძის დივიზიამ უქცნობი სახელი მოიხვეჭა სტალინგრადთან გაჩაღებულ სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლებში, გერმანელთა ჯარების ვარშემორტყმასა და მის საბოლოო განადგურებაში. საკმარისია ითქვას, რომ თავართქილაძის დივიზიის პირადი შემადგენლობის დამსახურება საშობლოს წინაშე საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასა, ცხრაათსამდე ჯარისკაცი, სერჯანტი და ოფიცერი დაჯილდოვდა ორდენებით და მედლებით, ხოლო ნიკოლოზ თავართქილაძე დივიზიისადმი უნარიანი ხელმძღვანელობის ვაჟისთვის დაჯილდოვებული იქნა სუვოროვის მეორე ხარისხის ორდენითა და მედლით „სტალინგრადის დაცვისათვის“. მისი გმირობა და სიმამაცე ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამაც აღნიშნა ამერიკის ჯვარით დაჯილდოვებით.

გმირობისა და სიმამაცის ნიმუშები გვიჩვენებს სტალინგრადთან გაჩაღებულ ბრძოლებში დივიზიის მეთაურებმა, გენერლებმა: პორცილე ჩანჩიბაძემ, კირილე ჯახუამ, ნიკოლოზ კალაძემ, ვლადიმერ ნანიშვილმა, ესტატე ტატანაშვილმა, ვლადიმერ ჯანჯღავამ და სხვა.

ბევრი სავაჭრო საბრძოლო ეპიზოდები განხორციელა სტალინგრადის ბლოკადის დროს ავიაციის გენერალ-მაიორმა დიმიტრი შანშაშვილმა.

ვის არ სმენია კონტრადმიერალ ლეიფავს საგმირო საქმენი სტალინგრადის დაცვისათვის წარმოებულ ბრძოლებში.

სტალინგრადის დაცვისათვის სახელოვნად იბრძოდა პოლკის მეთაური კურკაციშვილი, აგრეთვე მელქაძე, რომლებიც მრავალჯერ იქნენ დაჯილდოვებული საბჭოთა მთავრობის მიერ ორდენებითა და მედლებით.

1942 წლის 1 ივნისს პიტლერმა სასწრაფოდ მოიწვია თათბირი „სამხრეთ“ არმიის ჯგუფის შტაბში, სადაც მან განუცხადა თავის გენერლებს: „ჩემი ძირითადი მიზანია — დავიკავო

კავკასიის მხარე, რაც შეიძლება განადგურდეს რუსების ძალა... გერმანიის შემოვლას სტრატეგიული ნედლეული, როგორცია: ნავთი, მარ-განევი, ვოლფრამი, მოლიბდენი, პური და სხვა... ესენი ბევრია კავკასიაში და ამიერკავკასიაში. ამიტომ გიბრძანებთ, უახლოესი დღეების განმავლობაში დაიპყროთ კავკასია და ამიერკავკასია. თუ ამას თქვენ ვერ შეძლებთ და ვერ მივლევთ ხსენებულ ნედლეულს, მე იძულებული ვაგზნებ შეეწყვიტოთ საომარი მოქმედება“.

ფაშისტები უახლოეს ამოცანად ისახავდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ჯარების აღყვანილობას და მათს სრულ განადგურებას, შემდეგ ოკუპანტების ერთი ჯგუფი უნდა გაქრილიყო ნოვოროსისისკა და შვეი ზღვის სანაპიროებზე, განეითარებინა შეტევიანი მოქმედება, ოკუპანტების მეორე დაჯგუფება, უმთავრესად სატანკო და მოტორიზებული, მიზნად ისახავდა ჩრდილოეთ კავკასიის თვალწინდენული ველური გავლით ქ. გროზნოს და მახჩაყალის მიმართულ მთავრობის გაქრას, რათა ერთი ღირსებით მოემწყვდია თავის ბინძურ კლანკებში ბაქო და ხელთ ეგდო მისი უზარმაზარი საწვავი მარაგი.

ფაშისტური გერმანიის სარდლობას არც ვალა კავკასიონის მოგები დაეწყებია. მან განიზარა ჩერქეზეთის მიმართულებით გადაეცა კავკასიონის ქედი და დაეპყრო საქართველო, ერთი ღირსება უნდა განეითარებულყო საქართველოს სამხედრო გზის მიმართულებით თბილისზე, მეორე კი — შამისონის უღელტეხილზე, ოსეთის სამხედრო გზით, ქუთაისზე. ამავე დროს, პიტლერებმა იერიში მიიტანეს კავკასიონის ქედის ცენტრალურ უღელტეხილზე და ცდილობდნენ სოხუმისაკენ გაქრას, რომ უმწეო მდგომარეობაში ჩაეყენებინათ ნოვოროსისისკის დაჯგუფება და იარაღი დაეყრვივნებინათ მისთვის. კავკასიონის უღელტეხილზე ამ ავანტურისტული შეტევის განხორციელება პიტლერებმა მაღალმთიან ადგილებში მოქმედებისათვის სპეციალურად გაწვრთნილ 49-ე სამთო მსრულელ კორპუსს დაავალეს.

1942 წლის ივლისის პირველ რიცხვებში 46-ე არმიის სარდლობას სპეციალური ბრძანებით დაევალია საიმედოდ დაეცვა კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილის ყველა უღელტეხილი. მაგრამ ამ არმიის სარდლობამ სათანადოდ ვერ შეაფასა მოახლოებული საშიშროება. მან კავკასიონის ქედი მტრისათვის მიუვალ ციხე-სიმაგრედ მიიჩნია და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ცუდად შეიარაღებული მცირე ნაწილები და დანაყოფები გავიზანა გადასასვლლებზე, მთავარი ყურადღება კი შვეი ზღვისპირეთისაკენ წარმართა. ამ შეცდომაში კიდევ უფრო გაართულა ამიერკავკასიის ფრონტის მდგომარეობა, ისედაც დაძა-

ბელ პერიოდში. მტერმა დარტყმა კავკასიონის ქედის ცენტრალური მიმართულებით განაწილა. ხელთ იგდო ზოგიერთი უღელტეხილი. კავკასიონის ქედზე შავი ღრუბლები ჩამოწვა.

უმაღლესმა მთავარსარდალმა ი. ბ. სტალინმა სამართლიანად უსაყვედურა კავკასიის უღელტეხილების დამცველთა გადასახლებაების მიუხედავად ასეთი თავდაჯერება და მოაგონა ამიერკავკასიის ფრონტისა და 46-ე არმიის სამხედრო საბჭოებს, რომ კავკასიის უღელტეხილები მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მტრისათვის მიუღწეველი, თუ სიმედოდ გაეაზრებოთ და დამცველი ჯარები თავიანთი იბრძოლებს. ამ გაფრთხილებას რომ აძლევდა, უმაღლესმა მთავარსარდალმა ფრონტისა და არმიის სამხედრო საბჭოებს ამოცანის თითქოსდა უმნიშვნელო დეტალებზედაც კი მიუთითა.

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭომ სასწრაფოდ განახორციელა დამატებითი ღონისძიებები. პირველ რიგში, შეეცალა 46-ე არმიის სარდალი. არმიის სარდალ დანიშნა სახელმძღვანელო გენერალი კონსტანტინე ლესელიძე, არმიის შტაბის უფროსად — გენერალი მიხეილ მიქელაძე, ხოლო სამხედრო საბჭოს წევრად — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ვ. მ. ბაქრაძე.

საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოყალიბდა ახალი ნაწილები და შენაერთები და სასწრაფოდ გაიგზავნა უმნიშვნელოენისი მიმართულებით. კერძოდ, ახალშექმნილი 242-ე სამთო მსროლელი დივიზია, რომელშიაც 70 პრიცენტი ქართველები იყო, გაიგზავნა ზემო სვანეთის უღელტეხილების დასაცავად, ხოლო 392-ე ქართული მსროლელი დივიზია — ჩრდილოეთ კავკასიაში. შეიქმნა თანამედროვე საბრძოლო იარაღითა და სატურველით შეიარაღებული სამი ალბური რაზმი, თითოეული 500 კაცის შემადგენლობით, უმრავლესობა ქართველები და გაგზავნილ იქნა ზემოსვანეთში 242-ე სამთო მსროლელი დივიზიის განკარგულებაში. მეტი აზმი დამატებით გაიგზავნა შინაგან საქმეთა კომისარიატის მსროლელი ბატალიონი, აქაც უმთავრესად ქართველები იყო და ა. შ.

ამ დაძაბულ ვითარებაში, როდესაც მტერმა კავკასიისაკენ გადმოსიროლა კბილებამდე შეიარაღებული რამდენიმე დივიზია, 49-ე სამთო კორპუსში შედიოდა 1 და 4 სამთო მსროლელი 97-ე და 101-ე სამთო-ევერის დივიზია, ორი რუმინული სამთო მსროლელი დივიზია და სხვა. ხელთ იგდო მარუხის, სანჭარის, ხიდის, ჩიბერის, ჩიბეროუხისა და ბასან უღელტეხილები და საშიშროება დღითი დღე იზრდებოდა, ქართველმა ხალხმა, ამიერკავკასიის მოქმედ ხალხებთან ერთად, ცემენტისებურად შეამკიდროვა თავისი რიგები კომუნისტური

პარტიის ირგვლივ და მისი ხელმძღვანელობით ერთსულოვნად დადგა ფეხზე ფაშისტი ავაზაკების წინააღმდეგ საბრძოლველად.

1942 წლის 23 აგვისტოს თბილისში შედგა მიტინგი, რომელმაც მტიციელ შეზღვივა მშობლიურ კომუნისტურ პარტიას და უმაღლეს მთავარსარდალს — ი. ბ. სტალინს, რომ ამიერკავკასიის ხალხები უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებდნენ გერმანულ ფაშისტთა ურდოების საბოლოოდ განადგურებისათვის.

მიტინგზე გამოსულმა სახელოვანმა საბჭოთა მეცნიერმა აკადემიკოსმა ი. ბერიტაშვილმა განაცხადა: „ჩვენ, საბჭოთა მეცნიერები, პირობას ვაძლევთ თქვენ, ძვირფასო ძმებო და დეებო, რომ მტიციელ და ბოლომდე ვიმუშაოთ ჩვენს საბრძოლო პოსტებზე ფრონტის დასახმარებლად... შევამკიდროვოთ ჩვენი ძალები ძვირფასო მეგობრებო, ჩვენი სიცოცხლისა და ბრძოლის ყოველი საათი და ყოველი წუთი დავუშორობოთ მტრის განადგურების საქმეს. სასტიკი ლახვარი ჩვეუთ სისხლს მოწყურებულ მტაცებელ მტერს ამიერკავკასიის მისადგომებთან უქუთუქით იგი დასავლეთისაკენ, უზრუნველყოთ და შევიწინააღმდეგოთ თავისუფალი ცხოვრება, ჩვენი ცილ-შვილის სიცოცხლე“.

ამიერკავკასიის ხალხთა წარმომადგენლების ანტიფაშისტური მიტინგის მონაწილენი თავის წერილში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს და მის გენერალურ მდივანს ი. ბ. სტალინს სწერდნენ: „სსრ კავშირის ყველა მოქმედ ხალხებთან ერთად ამიერკავკასიის ხალხები აღსდგნენ გერმანულ ფაშისტ ქვეყარმავლებთან საბრძოლველად, რათა დაიცვან თავიანთი კერა, თავიანთი შვილები, თავიანთი თავისუფალი ცხოვრება, რომ მტიციელ და მამაცურად, დიდ რუს ხალხთან — ჩვენს უფროს ძმასთან ერთად, ჩვენი სამშობლოს ყველა ხალხებთან ერთად ვიბრძოლოთ გერმანულ ფაშისტ ყაჩაღთა წინააღმდეგ მანამდე, ვიდრე სავსებით არ გავსრესთ ფაშისტ ქვეყარმავლს“.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ჭაღარა კავკასიონის ქედის გმირული დაცვის ეპიზოდები.

კავკასიისაკენ გერმანულ დამპყრობთა გამოჭრით უშუალო საფრთხეში ჩავარდა ჩვენი ქვეყნის მდიდარი მხარეები — ჩრდილოეთ კავკასია და ამიერკავკასია. ამ მძიმე და სახედიანსწერო მომენტში, როცა ჩვენი დიდი სამშობლოს მშობურ კუთხეს ფაშისტის შავი ღრუბლები ჩამოწვა და სისხლიანი წარღვნი

გიორგი შურაშვილი
პარტიული მუშაობის დროს



ემუქებოდა, უმაღლესმა მთავარსარდალმა ი. ბ. სტალინმა, გამოსცა ბრძანება — „ამიერკავკასიის და ცეასი ვავალებ ამიერკავკასიის ფრონტის ქარებს და ამიერკავკასიის ხალხს“. სტალინის ასეთმა ბრძანებამ კიდევ უფრო მჭიდროდ შეაჯავშირა ფრონტი და ზურგი. ამიერკავკასიის მოამე რესპუბლიკების კომუნისტურმა პარტიებმა ამიერკავკასიის ფრონტის ქარების და აღვლობორივი ორგანიზაციების ღონისძიებანი გვიერთინეს კავკასიის დასავლად და უშუალოდ უმაღლესი მთავარსარდალის ბრძანების შესაბამისად რკინისებური დისციპლინა დაამყარეს როგორც ფრონტზე, ისე ზურგში. ასეთი ღონისძიების შედეგად ჰიტლერელთა ურდოები კავკასიონზე შეჩერებული იქნენ.

1943 წლის ოქტომბრის თვეში მტერმა განიცადა სამარცხვინო კრახი.

ამ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებში თავგანწირვით იბრძოდნენ და ქარების ოსტატურად მართვის ნიმუშები გვიჩვენეს გენერლებმა: კონსტანტინე ლესელიძემ, მიხეილ მიქელაძემ, ილიარიან რაზმაძემ, მიხეილ ღლონტმა, ვიქტორ ლისინოვმა, ისიდორე სილაგაძემ, ივანე ბაბალაშვილმა, გიორგი ყუფარაძემ, ვალერიან ძაბახიძემ, ვლადიმერ ზარელუამ; პოლკოვნიკებმა: ივანე ქანთარია, ენუი ქანთარია, გვიგოლ მანაგაძემ, დავით მაჭარაძემ, ნიკოლოზ გერცაკემ, ვარლამ ჭარღავამ, კოტე სოსხაძემ, ომარ მუსერაძემ, გენადი ლაბაძემ, მიხეილ ბერტაძემ, მიხეილ ვეთიამ, ისმაილ გირგვლიანმა, ლავრენტი გოგაბიშვილმა, იოსებ გორგიშვილმა, ნიკოლოზ ხაჩიძემ, მიხეილ კვასლიამ, კოწია ჩირაძემ, მიხეილ ხურცილავამ, დავით ფანცხავამ, გიორგი ჩარევიშვილმა. თავგანწირვით ურტყამდა მტერს ვასილ რუხაძის ბატალიონი მარუხის გადასასვლელზე.

ფაშისტური გერმანიის სარდლობის მიერ შეკონსერვებული კავკასიისა და ამიერკავკასიის დაპყრობის გეგმამ, „ედილვისის“ სახელით რომ იყო მონათლული ჰიტლერის ბაქია გენერალური შტაბის მიერ, სამარცხვინო გაკორტრება განიცადა, მტერმა ვერ შესძლო კავკასიის ქედის შემოვლა, ვერც ბაქოსაკენ გაჭრა.

საკმარისია ითქვას, რომ მარტო ზემო სვანეთის უღელტეხილებზე, მარუხზე, ქლუხორში და ბაქსანის ხეობაში ჰიტლერელი ავაზაკების წინააღმდეგ ედვალათი ათასი ქართველი მხედარი იბრძოდა.

ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე, ქ. ნოვოროსიისიდან პორტარტურამდე, ამ რამდენიმე მილიონ კვადრატულ კილომეტრიან ტერიტორიაზე ჩატარებულ სისხლისმღვრელ ბრძოლებში, რომლებიც განხორციელებული იქნა საბჭოთა კავშირის ხალხთა მიერ სამამულო ომის პერიოდში და იპონიის კვანტრუნის არმიის განადგურების დროს, ყველგან აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართველი ხალხის სა-

ამაყო შეილები, რიგითი, სერჟანტთა, ოფიცერთა და გენერალიტეტის შემადგენლობა.

1943 წლის ზაფხულში კურსკის რაკალზე გერმანელი დამპყრობლები მთელი სერიოზულობით ემზადებოდნენ გრანდიოზული შეტრვისათვის. გერმანიის სამხედრო მრეწველობა ახალი იარაღის გამაღებელ წარმოებას შეუდგა, როგორც იყო ახალი საშუალო ტანის „პანტერა“ და მძიმე „ჰეტცვი“, თვითმავალი ქვემეხი „ფერდინანდი“. ჰიტლერელმა გადაისროლეს რეზუნგი: „შესანიშნავ საღდას — შესანიშნავი იარაღი“. ასეთი ხმაურის ქვეშ შენდებოდა უმარავი ტექნიკა ზაფხულის შეტრვისათვის.

1943 წლის მაისში, მიუნენის თათბირზე, ჰიტლერმა განაცხადა: „არავითარი დამარცხება“.

ფაშისტებმა კურსკისა და ორიოლის ფრონტზე 900 ათასი საღდადი და ოფიცერი მოაყარა (50 დივიზია, მათ შორის 16 სატანკო და მოტორიზებული). ასეთი უზარმაზარი არმია ჰიტლერელმა გააძლიერეს 10 ათასი ქვემეხითა და ნაღმსატორციენტთა, 2700 ტანკით — „პანტერა“, „ჰეტცვი“ და „ფერდინანდი“, 900 თვითმფრინავით. ამ ევებერთელა არმიას უნდა გაემართლებინა ჰიტლერელების ოცნება.

1. მიეღწია გადამწყვეტი სტრატეგიული გამარჯვებისათვის.
2. დაებრუნებინა დაკარგული ინიციატივა.
3. მოეღწინა გარდტეხა თავის სასარგებლოდ.
4. აეღო რეზანი მოსკოვთან, სტალინ-გრადათან, კავკასიონის მისადგომებთან, დამარცხებისათვის.

საბჭოთა ქარების მთავარსარდლობამ წინასწარ გაითვალისწინა ფაშისტი არაზღადების ოინები, კურსკის რაკალზე საკმაო ოდენობის ქარების განლაგების კლასიკური ორგანიზაცია უყო და მათ შეიარაღებაში უახლესი ტექნიკა შეიტანა. გერმანელი ურდოების მოულოდნელი შეტრვა გამოირიცხული იქნა.

1943 წელს, 5 ივლისს, გაჩაღდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა. ორივე მხრიდან ხუთთათსზე მეტი ტანი მოქმედებდა. მოწინააღმდეგის ტანკების შენაერთებზე ჩვენს ტანკებს გაბედული იერიშები მიჰქონდათ. ტანკების მოქმედება ისე აირია ერთი მეროზე, რომ მხარდამჭერი არტილერია, როგორც ჩვენა, ისე მოწინააღმდეგისა, იძულებულნი გახდა მოქმედება შეეწყვიტა. მაგრამ ჩვენმა სახელოვანმა მებრძოლებმა დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა და ბაქია მტერს ზურგზე ბოლო ადინეს.

ამ საშინელ ბრძოლებში 8 ქართველი გენერალი შენაერთებს მეთაურობდნენ. ესენი გახლავთ: პორფირე ჩანჩიბაძე, ვლადიმერ ჯანჭღაძე, ნიკოლოზ თავართქილაძე, ერმალხე კობერიძე, ნიკოლოზ კალაძე, კირილე ჯახუა, ვლ-

დიმერ ნანერშვილი და ესტატე ტატანაშვილი.

დიდი სამამულო ომის ფრონტებზე სასახელო საბრძოლო გზა განვლო საბჭოთა კავშირის გმირმა გენერალ-ლეიტენანტმა ვლადიმერ ჭანჭღავამ, მდინარე ვოლგადან მდინარე ელბამზე ფეხდაფეხ დევნიდა ჰიტლერულ ფურდოებს, გზადაგზა ანადგურებდა მათ საბრძოლო ტექნიკას და სპობდა ოკუპანტების ცოცხალ ძალებს.

ბრძოლაში უშიშარს, მამაცსა და დივიზიის უნარიან მეთაურს მრავალჯერ გამოეცხადა მდლობა უშაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით. ვ. ჭანჭღავას ყოველთვის ხელდავდნენ საბჭოთა ზეიმურები, როგორც მხნეს, ამტანს და დიდი შრომის მქონე მეთაურს. ოთხი წელიწადი ბრძოლის ქარცეცხლში გაატარა, მაგრამ სახეზე მუდამ სიდიწყე და უშფოთველობა ესახებოდა. დიდა ავიაციის გენერალ-ლეიტენანტის, საბჭოთა კავშირის გმირ ვლადიმერ ნანერშვილის დამსახურება სამშობლოსა და პარტიის წინაშე. ის ბევრი ქალაქებისა და უამრავი სოფლების განთავისუფლების აქტიური მონაწილეა. მისი ავიაციის მძლავრი დარტყმის შედეგად მტრის ავიაციამ მწარე დღეები განიცადა სტალინგრადის მისადგომებთან, კავკასიის კარაბეჟსთან, კურსკისა და ორიოლის ფრონტზე, კიევისა და ლვოვთან, ოდესისა და თვით ბერლინში.

ქ. ოდესის გმირული დაცვისას უქნობი სახელი მოიხვეჭეს საბჭოთა კავშირის გმირმა კაბიტანმა წურწუშიამ, მუტურმანმა ჯაბადარმა, პოდპოლკოვნიკმა კირილე გოგიამ და სხვებმა.

ქ. სევასტოპოლის გმირულ დამცველთა შორის სიმამაცე და გმირობა გამოიჩინეს საბჭოთა კავშირის გმირებმა პოლკატელმა მიხეილ გახოციძემ, პოლკოვნიკმა არკადი გეგეშიძემ, უმცროსმა მეთაურებმა ადამიდი და ოპოლაძემ, შავი ზღვის ფლოტის წყალქვეშა ნავის მეთაურმა საბჭოთა კავშირის გმირმა იაროსლავ იოსელიანმა. ყირიმის ბრძოლებში სახელი გაითქვეს პოლკის კომისარმა გიორგიამ, სერჯანტმა სხულუხიამ. ამავე ბრძოლებში სასახელო ფურცლები ჩაწერა ჩვენი არმიის უკედავ ისტორიაში 224-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ, ხოლო ჩრდილოკავკასიისა და ყირიმის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში სახელი მოიხვეჭა 392-ე და 414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიებმა.

დღითა და ღამით ყოველგვარ კლიმატურ პირობებში ეწეოდნენ დაუღალავსა და უშიშარ შრომას დიდი სამამულო ომის ფრონტებზე სოციალისტური შრომის გმირები — გენერალ-ლეიტენანტი არჩილ გელოვანი და შალვა ეთელიაშვილი.

ქართველი ხალხი ამყარებს იმით, რომ საბ-

ჭოთა არმიის რიგებში დღესაც განაგრძობენ შემოქმედებით მუშაობას სამხედრო მეცნიერების დოქტორები, პროფესორები გენერალ-ლეიტენანტი ი. ჭორაძე, გენერალ-მაიორი ბ. სულაქველიძე.

ქართველი ხალხი და ჩვენი საყვარელი სამშობლო ასახელეს ჩვენმა თანამემამულე მეზღვაურებმა, ვიცე-ადმირალმა გ. აბაშვილმა, კონტრა-ადმირალმა კ. სუხიაშვილმა, ს. რამიშვილმა, მ. ჭინჭარაძემ, ს. კაპანაძემ. მათი ოსტატური ხელმძღვანელობით ჩვენმა მეზღვაურებმა მტრის ბევრი ხომალდი გაგზავნეს ზღვის უფსკრულისაკენ.

მიწა მკითხველთა ყურადღება შევაჩერო ბერლინის ოპერაციის განხორციელებაზე. ამ ოპერაციის დამთავრებით დამთავრდა საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ. განადგურდა ფაშისტური გერმანიის სამხედრო მანქანა და მოისპო მისი პოლიტიკური წყობა. ისტორიას არ ახსოვს, რომ მეომარი სახელმწიფო ომის ბოლოს ყოველმხრივ ასე ძლიერი მისულიყო, როგორც ამის ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში. ჩვენი ეკონომიკა, მიუხედავად ომის დამაბუღლობისა, თანმიმდევრულად ვითარდებოდა; განსაკუთრებით სამხედრო მრეწველობა; სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ ბერლინის ოპერაციის განხორციელების დროს ჩვენი ჯარების თავგანწირულ ბრძოლას მხარს უჭერდა 41 ათასი ქვეშევრი და ნაღმსატყორნი. 8 ათასზე მეტი თვითმფრინავი, 6 ათასზე მეტი ტანია და სხვ.

17 აპრილს მარტო ბელორუსიის პირველი ფრონტის მთავარი მიმართულებით 17 ათასი თვითმფრინავი გაფრენა მოახდინა ჩვენმა ავიაციამ და ბერლინის რამდენიმე მილიონი ფფთი გავარეარებული ლითონი დაადღა თავზე.

ამ ისტორიული ოპერაციის აქტიური მონაწილე გახლდათ ქართველი გენერლები: პორფილე ჩანჩიძე, ვლადიმერ ჭანჭღავა, პანტელეიმონ შიოშვილი, ერმალო კობერიძე, ესტატე ტატანაშვილი, ვლადიმერ ნანერშვილი, ვლადიმერ ზარელუა, არჩილ გელოვანი, მიხეილ ლლონტი, როსტომაშვილი. პოლკოვნიკები: კონსტანტინე სოხაძე, კონსტანტინე მამარდაშვილი, ენქეი ქანთარია, ლავრენტი ვოვატაშვილი და ბევრი სხვა.

პიტლერულ გერმანიაზე საბჭოთა კავშირის გამარჯვებას მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა აქვს. ეს გამარჯვება წარმოადგენს იმ სამართლიანი საქმის ზეიმს, რომლისთვისაც

გიორგი ყურაშვილი
ძარტმელბანი დიდ სამამულო ომში



საბუთო ადამიანები გმირულად იბრძოდნენ ფრანტზე და თავდადებით შრომობდნენ ზურგში.


დიდი სამამულო ომის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრებამ არსებითად შეცვალა საერთაშორისო ძალთა თანაფარდობა სოციალიზმის სასარგებლოდ და იმპერიალიზმის საზიანოდ. საბუთო არმიის დახმარებით ცენტრალური და სამხრეთ აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნების შრომელებმა თავიდან მოიშორეს იმპერიალიზმის უღელი და მტკიცედ დაადგინეს სოციალიზმის მშენებლობის გზას.

ანტიფაშისტური, განმათავისუფლებელი ომის ძლევამოსილად დამთავრებამ ხელი შეუწყო

დემოკრატიული ძალების ზრდას ტურ ქვეყნებში და ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობას კოლონიურ და დამოუკიდებელ ქვეყნებში.

მშვიდობისათვის მებრძოლთა ძალები ჯერ არასოდეს არ ყოფილა ისე მტკიცე და დარაზმული, როგორც ახლა. ისტორიაში ჯერ არასოდეს არ ყოფილა მშვიდობის მომხრეთა ასე ორგანიზებული მასობრივი მოძრაობა, რომელიც ყველა ქვეყანაში გავრცელდა.

მშვიდობისათვის ბრძოლაში მასების ფართო მოძრაობას სათავეში უდგას დიდი საბუთო კავშირი, რომელიც თანამიმდევრულად იბრძვის მშვიდობისა და უშიშროებისათვის.



წითელი დროშა გავშალოთ, ორბისფრთა ნაპერწკლოვანი, დავძახოთ ბრძოლის ყიჟინა მრისხანე, ხმაცეცხლოვანი, მტრებს დავცხოთ! ქარბუქს მიჰქონდეს მათი ოხვრა და გლოვანი, კვლავ ვასანელოთ გმირობით სამშობლო სანელოვანი!

ალიო მირცხულავა

ლარისა ხუპალუკი

ჰარისკაცის წერილები

„სად, რომელ მთაზე შეჩერდა
შენი ცხოვრების ნიაფი?
სად გაგიფრინდა ვარსკვლავი
ოქროვან-მინანქრიანი?“

ბ. ლორინძე.

„წითელი არმიის ნაწილები წინ მიიწვიან, წითელ არმიასთან ერთად შენი მამიკოც იბრძვის იხე, როგორც შემევენის სააკაძის ერის შვილს“.

წერილებიდან.

ვინ იცის, რამდენჯერ გვინახავს დოკუმენტური კინოკადრები, როცა იერიშზე გადასული საბჭოთა მეომრები ჩვენს თვალწინ მტრისაგან განგმირული ეცემიან. იერიში კი გრძელდება, გაღარჩენილები წინ მიიწვიან, მტერს სამაგიეროს უზღავენ დაღუპულთა სისხლისათვის.

მე მინდა დაეწრო შინმოუსვლელ მეომარზე, ვინც თავისი სიცოცხლის ფასად გზა გაუქვალა თანამებრძოლ ამხანაგს — წინ წასულიყო და გამარჯვება ეზეიმა.

განა ცოტანი არიან ისინი! ჩვენ გვმართებს მოწინებთ მოვიხსენიოთ მათი სახელები და ჩვენი წველი შევიტანოთ დაღუპულთა შიშ-დავეუფაში!..

ეს ნარკვევიც ერთი ასეთი შინმოუსვლელის საბრძოლო ცხოვრებას ეხება. მთხრობელი კი თვით წერილების ავტორია, რომლის საფლავი ახლობლებისათვის დღესაც სანატრელია.

მეოთხელო, იქნებ თქვენს ოჯახშიაც ინახება დაღუპული მამების, ძმების, დების, შვილების პატრიოტული წერილები, უფრო მეტი საგმირო საქმეების მაუწყებელი ბარათები. ჩვენ თავს ვხრით მათი ხსოვნის სადიდებლად.

ეს წერილები კი, დამეთანხმებით, ასევე საინტერესო და საყურადღებოა, გამოძახილია ომის მძიმე დღეებისა. და ჩვენს თაობას, მომავალ თაობას არ უნდა დაუკარგოთ ხსოვნა

შინმოუსვლელებისა. რა კარგი დევიზია: „არავინ არ არის დაიწყებული, არაფერი არ არის დაკარგული!“

* * *

რედაქციაში ახალგაზრდა ქალი მოვიდა, თან ხუთიოდე წლის ბიჭი ახლდა. წერილების შეცვრა გადმომცა და მითხრა:

— ეს ბარათები ჩემი მამამთილის, რომან ზაუტაშვილის მოწერილია ფრონტიდან. ის 1943 წლის ივლისში დაიღუპა. სად, როგორ — არ ვიცი. ძალიან გულადი მებრძოლი ყოფილა. დაჯილდოვებულია ორდენებითა და რამდენიმე მედლით. ომამდე ჩემი მამამთილი პარტიის ყაზბეგის რაიკომის პირველი მდივანი ყოფილა. ის რაიონში ახლაც ყველას ახსოვს და ძალიან ემაღლიერებია. მე მოხვეწვარ, თინა ავსაყვანიშვილი. თავად ვარ მომსწრე, დღესაც ხევში როგორი სიყვარულით იხსენიებენ რომან ზაუტაშვილს. ის მეტად გულისხმიერი ყოფილა. აღამიანების შემწე და მათი ქომავი...

ქალი გაჩუმდა, თავისი მამამთილის ფოტოსურათი, მისი უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომი, კომკავშირის ბილეთი და სხვა საბუთები დამიწყო მაგიდაზე. შემდეგ ისევ განაგრძო.

— ეს საბუთები და წერილები ჩემს დედამთილს ჰქონია საგულდაგულოდ შენახული. საწყალი, ამ რამდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. მახსოვს, ხშირად იტყოდა ხოლმე. ისე არ მომკლა, ჩემი რომანის საფლავი რომ არ ენახო. და აი, ჩემი თხოვნა, დაწეროთ წერილი ჩემს მამამთილზე. იქნებ გამოჩნდეს ვინმე მისი თანამებრძოლი, მისი ფრონტელი

მეგობარი, რომელიც მიგვაწვდის რომანის საფლავს. მინდა ჩემმა ბიჭმა იცოდეს, როგორი პაპა ჰყავდა, ის ხომ მის სახელს ატარებს...

თინა მამობი თავის ოჯახზე, მის ნათესაებზე. რომანის მამა ღრმად ცხოვრება, გორის რაიონის სოფელ ბერძნეთში მოხვრობს. რომანის და ანა, ქმა ანდრო თავიანთი ოჯახებით ბერძნეთში ცხოვრობენ.

... და აი, ვფერტლავ გაყვილებულ, ლამაზი ხელით დაწერილ წერილებს. „ჩემო ქეთო, როგორ მომენატრე შენც და ჩემი შვილებიც. ჩემი გურამი, თაზიკო და პაწაწა ციურა. ახლა კიდევ უფრო ძლიერად ვგრძნობ, რომ საყვარელის გარეშე ქალ-ვაიის შეუღლება შეუძლებელი ყოფილა და შეყვარებულთა განცალკევება აუტანელი ტანჯვა. ნუ შეშინდები, ჩემო ძვირფასო, ყოველდღიურად სულიერადრად ეცემა ფაშისტთა ძალა, ჩვენ კი აქტიურად ვმოქმედობთ. შორს არ არის ის დღე, როცა ფაშისტებს ჩავაძალღებთ და გამარჯვებულნი დაბრუნდებით“.

წერილი დათარიღებულია: 1941 წლის 15 დეკემბერი.

და რადღენ ასეთ სტრიქონებს წაიკითხავთ სამშობლოსათვის მებრძოლი ვაჟკაცის წერილებში. წერილები კი რამდენია. ჯერ აღრიზნული მშვიდობიანობის დროს მოწერილი მოსკოვიდან, როცა ის, პარტიის ყაზბეგის რაიონში პირველი მდივანი, კვალდფიციაციის ასამსლდებლად გააგზავნეს მოსკოვში, უმადლეს პარტიულ სკოლაში. ეს იყო ომის წინ, 1940 წელს. მაშინ რომან ზაუტაშვილი შორიდან ესყავრულებოდა თავის ახალგაზრდა მეუღლეს და პატარა შვილებს, თავის საყვარელ დედამასა და ახლობლებს. წერილებს უგზავნიდა თავის უმცროს ძმას ვანოს, რომელიც სავალდებულო-სამხედრო სამსახურში იყო ვინიცაში. რა ბედნიერებით აღსავსეა ეს ბარათები.

დიდი შრომითი გზა განვლო რომან ზაუტაშვილმა, ვიდრე მას რაიონის პარტიული ხელმძღვანელის პოსტზე აირჩევდნენ. იგი დაიბადა 1909 წელს, გორის რაიონის სოფელ ბერძნეთში. დედა ნუცა და მამა ვასილი კოლმეურნეები იყვნენ. რომანმა პირველადწყებითი განათლება სოფელში მიიღო. 1925 წლიდან შრომითი საქმიანობას ეწევა ტირიფონის არხზე. 1927 წლიდან მუშაობს წყალსადენის მშენებლობაზე. მომდევნო წელს სამუშაოდ გადადის ხე-ტყის დამამუშავებელ ქარხანაში მუშად. სამუშაოსაგან მოუწყვეტილად სწავლობს მუშათა ფაქულტეტზე. ქარხანაში არჩეული იქნა ადგილკომის თავმჯდომარედ. მუშავაის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა თბილისის სატყეო ტექნიკურ ინსტიტუტში, რომელიც 1937 წელს დაამთავრა წარმატებით და მიიღო ტექნოლოგ-ინჟინრის დიპლომი. ამავე წელს

პარტიულ სამუშაოზე გადაჰყავთ ხელს კპ ცკ-ის ინსტრუქტორად, ხოლო 1938 წლიდან პარტიის ყაზბეგის რაიონის პირველ მდივანად.

გერმანულ ფაშისტთა ვერაგულმა თავდასხმამ ბევრ საბჭოთა ადამიანს დაურღვია სიმშვიდე. ომმა ბევრი უღანაშულო ადამიანის სიცოცხლე შეიწირა.

სამშობლოსათვის დამცველთა რიგებში პირველები კომუნისტები ჩადგნენ. რომან ზაუტაშვილი თავის თანაჟრსელ მეგობრებთან ერთად მოხალისედ მიდის წითელ არმიასში. ჯერ ის მოსკოვის მანობლად გადადის საწვრთნელ ვარჯიშებს, სწავლობს საბრძოლო იარაღის ხმარებას. 1941 წლის 3 ოქტომბერს კი უკვე ხარკოვის ოლქშია სოფელ ოლშანაში საბრძოლო წინახაზზე და მონაწილეობას იღებს მტრის განადგურებაში. ამ დროს იგი დივიზიის პოლიტგანყოფილებაში მუშაობს.

ცნობილია, რა დიდი მოვალეობა ეკისრებოდათ პოლიტხელმძღვანელებს ომის ქარცეცხლიან დღეებში. უპირველეს ყოვლისა, ისინი თავიანთი პირადი სიმამაცით, გულადობით მაგალითის მიმცემი იყვნენ სხვებისათვის და პირველები გადადიოდნენ იერიშზე. მათ მიერ გაწეულ იდეურ-პოლიტიკურ მოღვაწეობაზე კი ბევრად იყო დამოკიდებული საომარი მოქმედების წარმატება.

რომან ზაუტაშვილი 531-ე საარტილერი ნაწილში ასრულებდა პოლიტხელმძღვანელის მოვალეობას. ის მებრძოლებს ამხნეებდა, უნერგავდა გამარჯვების რწმენას, უტარებდა საუბრებს, აცნობდა ფრონტებზე შექმნილ მდგომარეობას, უჩივებდა საბრძოლო ფერტლებს, რომლებშიც ვაშუქებულ იყო საბჭოთა მეომრების თავდადებული ბრძოლის ეპიზოდები. აცნობდა მტრის მუხანათობას, თუ როგორ ვერაგულად უსწორდებოდნენ ბარბაროსი ფაშისტები საბჭოთა მოქალაქეებს. ბევრი ჩვენი მებრძოლი გამოსთქვამდა სურვილს შესულიყო კომკავშირში, კომუნისტურ პარტიაში.

საბრძოლო გაზეთ „ზა პაბედუს“ — 1941 წლის 7 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნებული იყო წერილი რომან ზაუტაშვილის გამირულ ბრძოლაზე.

1941 წლის 11 იანვრიდან წერილები მიდის ბრინწყის ოლქიდან. „ჩემო საყვარელი ქეთო, ვანოს ამბავი ხომ არაფერი იცით, იქნებ წერილი მოვივიდათ, შენი ქირამე, შემეტყობინე, იმ ბიჭს დარდმა ვადამარია“.

ლოიტენანტი შემდეგ გახდა ცნობილი, უმცროსი რეიტენანტი ვანო ზაუტაშვილი პირველსავე ბრძოლებში დაიღუპა. ვინ იცის, სად ვანი სვენებს ახალგაზრდა, ჯერ კიდევ სიცოცხლით გაუხარელი ოცი წლის ჰაბუის ნუსტა.

1941 წ. 25.XII. „ახლა საჭიროა ვეცადოთ, ცხოვრებაში ვინ ვისზე უფრო ყოჩაღად იქნება. თუ დედა ვილაღერებს, საჭიროა შევლმაც ვაჭირების დროს შეიწყნოს მისთვის თავი. საბჭოთა სამშობლო დედა ჩვენი. და ასლა ჩვენი ვალა სამავგრო მზრუნველთა გამოვინინოთ ასეთი სამშობლოს შენარჩუნებისათვის, საპატიოდ დავიცვათ იგი ვერმანელ ფაშისტთა განადგურებისაგან“.

რომან ზაუტაშვილი პირველ საბრძოლო ჩილდოს იღებს — მედალს „მამაცობისათვის“.

1942 წ. 16.I. „თახიკო, ჩემო ბუთხუხა ბიჭო, სიზმარში გნახე, ვითომ გაბარებული მოხვედი და გამადიდებ: რატომ ჩქარა ომს არ დაამთავრებ, მე მეგონა თქვენ სულ იბრძვით და თურმე გინახსო... მე უკვე წამოვვარდი და სურვილი აღმძვრა შენთვის მეპასუხა: შეილო, მე არ მძინავს. წითელი არმიის ნაწილები წინ მიდის. წითელ არმიასთან ერთად შენი მამაკოც იბრძვის ისე, როგორც შენ შენის სააკაძის ერის შეილს. შეილო, შენ სიზმარში მნახე, მე კი სულ მალე გნახავ. მტერს მალე დავამარცხებ და გამარჯვებული დავბრუნდები. ფაშისტზე გამარჯვება ჩვენი საპატიო მოვალეობაა. დღეს ბევრი დაუბატებელი „სტუმარი“ მოვიყვანეთ“.

1942 წ. 12.IV. „ყოველდღიურად ბრძოლაში ვართ. ისე შევეჩვიეთ ტყვემფრქვევის კაენს, როგორც ვიტარის სიმების წყრილს, ქეთო, გთხოვ გამომიგზავნა „კომუნისტის“ ნომრები. წავიკითხავ ხოლმე, გავიგებ რესპუბლიკის ამბებს“.

1942 წ. 1.V. „ჩემო საყვარელო ქეთო, მოგილოცავ მშრომელთა საერთაშორისო დღეს, 1 მაისს. ჩვენ, მებრძოლები მოგვინახულეს ფრონტის უფროსებმა. მივიღეთ საჩუქრები... სალაში ჩემს საყვარელ შეილებს, რომელთა არაღილი ყოველთვის თვალწინ მიდგას. ვიზარდონ, გაიხარონ თავისუფალ ქვეყანაში. ჩვენი მდგომარეობა ამა წლის პირველ იანვართან შედარებით უკეთესია. 50-60 კილომეტრით წინ წავიწიეთ“.

1942 წ. 16.VI. „რამდენიმე დღეა გადაწყვეტილი ბრძოლები დაიწყო, მაგრამ მტერი გაფრთხილებულ წინააღმდეგობას გვიწევს“.

1942 წ. 2.VII. „მე დატრიალი ვიყავი მხარში და ცტრა ხანს მისობტალში ვიწექი. საშიში არაფერი არის. ახლა უკვე კარგად ვარ. 20-ში ჩემს ნაწილში მივდევარ, მაგრამ თან არავითარი საბუთი არ გამაჩნია, ვარდა ექიმის მოწმობისა, და არა რაშია საქმე“.

ჩემი ნაღმსატყობო ბატარეა მომაკვდივებულ ცეცხლს უშენდა გერმანელთა საცეცხლურ წერტებს. მწყობრიდან გამოჰყავდა მათი ცოცხალი ძალა და საბრძოლო ტექნიკა. დრომ შედევინა ჩაიარა. გვიან ღამით ჩემს საკომანდო პუნქტში არტილერიის მარშალმა ვო-

რონოვმა დარეკა. მევალებოდა სარდლის საჭირო საიდუმლო ბრძანების შინაარსი ნაბრძანებ ვედაში გამეცნო ფრონტის ხაზზე გამავრებული პოლიტმუშაკებისათვის.

კომუნისტებისათვის ბრძანების გაცნობის შემდეგ ნაწილში გბრუნდებოდი. რას მოვდივარებდი, რომ პიტლერულ მუვერავთა ჯგუფს გადავწყვიდებოდი. მათ ალყაში მომაქცეს და შემოაყრეს. აყარეს იარაღი და თავიანთ მიერთთან წამიყვანეს. ასე მტრის ხელში ვიყავი სულ რაღაც 30-40 წუთი. იქ ფაშისტებმა ჩამომართვეს ყოველგვარი დოკუმენტები, პარტბილეთი, წაილეს ჩემი საყვარელი ბავშვების სურათებიც. მათორმა ჩემი დოკუმენტები გადაათვალიერა, ზინზარავეთ თვალებით გადალომხედა და რაღაც უბრალოდ. ორმა გერმანელმა გვერდით გამიყვანეს და დასახვრეტად წამიყვანეს. გავიარეთ ცოტა და უცებ მუშტიკრივზე გადავედი. ერთს მუცელში ვკარი თინლი, მეორეს მკერდში და გავიქეცი. მათთვის მოულოდნელი იყო ჩემი ასეთი მოქმედება. ჯერ დაიბნენ, მერე სროლა დამიწყეს და ის იყო, რომ მხარში დამჭრეს. მე კი რაც ძალი და ღონე მქონდა გავბრდი და როგორც იქნა ჩვენებთან მოვხვედი. ამაზე დიდი საშინოება ჩემს სიცოცხლეში არა მქონია. ახლაც გოცეცხლული ვარ, რა ძალა შემომენიო მაშინ, რომ ერთი უიარალო კაცი ავტომატებით შეიარაღებულ გერმანელს შევიბო და გავიმარჯვებ. ვს მხარში გაჩხანდა არაფერია“.

შემდეგ წერილში იწერება, რომ საბუთები მთლიანად აღუდგინეს, აღუდგინეს პარტბილეთიც. მისი მამაკური მოქმედების ამბავი მთელ ნაწილს მოაღო, ამის შესახებ საბრძოლო გაზეთშიც დაიწერა.

1942 წ. 26.VIII. „20 ავისტოდან მოქმედ არმიამ ალარ ვართ, ვისევენებთ, ვიმყოფებით ჩკალოვის ოლქის ბუგურულსანში. მადარდებს თქვენი ამბავი. ახლა მით უმეტეს, რომ თქვენთან უფრო ახლოს არის ფრონტი. ჩვენი ბიჭებიდან მე და დავით კაბანაძე ვართ ერთად. ჩვენ აქ 3 სექტემბრად დავჩერებით. მერე ისევე მოქმედ ნაწილში გავემგზავრებით. მე უკვე დიდი ხანია თანამდებობა შემეიცალეს, დამაწინაურეს, უფროსი პოლიტხელი ვავხდი“.

1942 წ. 15.XI. „ამჟამად ვიმყოფები ყველაზე საპატივსაცემო ბრძოლის უბანზე. მგონი შენთვის გასაგებია. მართალია, ტრიალ მინდორზე ვიმყოფებით, მაგრამ გართობა არ გვაკლია. თუ მტრის „მუსიკა“ გაჩერდება, ჩვენი უკრავს“.

1942 წ. 2.XI. „როგორც წინა წერილში გწერდი, ვიმყოფები ფრონტის წინა ხაზზე. 20 ოქტომბრიდან 1 ნოემბრამდე გადავდიოდით

ლარიხს ხუხულური
ჯარისსაცის წერილები



თავდასხმაზე. ახლა 2 ნომბრიდან თავდაცვით ხაზზე ვართ, შედარებით ვისვენებთ.

1942 წ. 2.XII. „სოსოს სახელობის ქალაქის დამცველთა ნაწილი ვიბრტა. ყოველმხრივ უზრუნველყოფილი ვართ ჩახაყმელთ, საცქმელით, რაც ფრონტს შეეფერება. ვერაგ მტერს ვავიწროვებთ. ამ ბოლო ხანებში უკვე გარშემო ვართ შემორტყმული და მათი ნაწილები შეუაში გვყავს მომწყველად.

ერთი სიტყვით, ჩემი მდგომარეობა დღითიდღე უმჯობესდება. ჩემი დარდი ნუ გვეწება... ჩემთვის ცნობილია, რომ საქართველოს მტერი მოუახლოვან რთვორც დასავლეთიდან, ისე ჩრდილოეთიდან. ნუ შეშინდებით. მალე უკან დაიხეცს. ჩვენ მალე გამარჯვებული შევხვდებით ერთმანეთს.

1942 წ. 31.XII. „სახალწლოდ მოსახლეობისაგან ბევრი საჩუქარი მივიღეთ ამის საბასუხოლ ჩვენ წინ მივიწვიეთ, მტერს მოსვენებას არ ვაძლევთ.

... შეიღო, გური, მივიღე შენი ოქროს ხელით დაწერილი წერილი. მწერ, ფრიაღზე ვსწავლობო. აბა შენ იცი, შეიღო, გადავიცე დედას, ბაბოს, პაპას, მამიდას, დეიდებს, ბიძებს, ყველამ ფრიაღზე შესასრულოს თავიანთი საქმე. შენი მამიკოც საბრძოლო დავალებებს ფრიაღზე ასრულებს, სპობს ჰიტლერელ ყარაღებს. მეორედ წარმადგინეს მთავრობის ჯილდოზე. ჩვენ გაემარჯვებთ და გამარჯვებულნი სულ მალე შევხვდებით ერთმანეთს.

1943 წ. 10.I. „წერილს მიწურში ვწერ. ირგვლივ ბევრი ხალხია. დღევანდელი დღე მნიშვნელოვანია ჩვენთვის. შედეგს, ალბათ, გაზეთებიდან გაიგებ“.

1943 წ. 27.I. „მინდა ჩვენი დიდი მიღწევების შესახებ ორიოდ სიტყვით გაცნობო. აღგვოს, წაიკითხავდი 1943 წ. 27 იანვარს, თუ რამდენი ტყვე წამოვიყვანეთ. ამ მიღწევაში, რა თქმა უნდა, შენი საყვარელი ქმარიც მონაწილეობდა. ამ დღეებში ჰიტლერის ძალებთან აქ ვამთავრებთ ჩვენი „ინსტრუმენტი“ საუბარს, შემდეგ რომელ უბანზე მოგვიხდება ბრძოლა, ჯერ არ ვიცი... ჩემ გოგობიჭებთან ერთად დიდი სიყვარულით დამპიოცნე ჩემი საყვარელი მშობლები, ჩემი ძმა ანდრო თავისი ცოლშვილით, დავიო ანა თავისი ქმარშვილით და ყველა მეგობრები.

ქეთო, გენაცვალე, მე კარგად ვარ, მაგრამ დიდი სამწუხარო ამბავი მომივიდა. 23 იანვარს ჩემს ნაწილში მომუშავე ერთი კარგი მეგობარი ორივე თვალით დამახინჯდა. ქეთო, ჩემი ნაწილის უფროსად მუშაობს კარგი ბიჭი ნაიაძე, დავით კაბანაძე დღეს სხვაგან გადაიყვანეს“.

1943 წ. 10.II. „იმ ბრძოლებში, სადაც მე მონაწილეობას ვიღებდი, მტერი ლიკვიდირებულია. ჩვენი, სტალინგრადის მეზობლებით

მთელი სიბჭოთა სამშობლო ამაყვინენ ჩვენ პირადად მოსალოცი დეგეშა მივიღეთ ამხანაგ სტალინისაგან. მე დაჯილდოვებულ ვარ მეორედ. პირველად 1942 წლის მაისში მედლით „მამაცობისათვის“, მეორედ ახლა „წითელი ვარსკვლავის“ ორდენით. დარწმუნებული ვარ თქვენც სასახელოდ ცხოვრობთ“.

აი, რას წერდა რომან ზაუტაშვილი გმობრობაზე გაზეთი „კომუნისტი“ 1949 წლის 15 აპრილის ნომერში. „ქართული ხალხის მრავალი სახელოვანი შვილი იღებდა მონაწილეობას სტალინგრადის გმირულ დაცვაში. ორ მათგანზე, მაიორ ვლადიმერ სამსონის-ძე ნაიაძეზე და კაპიტან რომან ვასილის-ძე ზაუტაშვილზე მოგვითხრობენ თავიანთ წერილში სერგანტი შალვა დადიანი და წითელარმიელი ილია მჭედლიშვილი.

„სტალინგრადთან მტრის არმიის განადგურებაში, — სწერენ ისინი, — თვალსაჩინო ადგილი დაიკავა მაიორ ვლადიმერ სამსონის-ძე ნაიაძის მებრძოლებმა. მისი მოქნილი და უნარიანი მეთაურობით მეზობლები მედგარად მიიწვედნენ წინ. სტალინგრადისათვის ბრძოლის უკანასკნელ დღეს ხელთ იგდეს დიდძალი დავლა და წამოიყვანეს ტყვეები. მაიორი ვ. ნაიაძე დაჯილდოვებულია წითელი დროშის ორდენით“.

„ნაღმასტყვორცი ბატარა, რომელსაც კაპიტანი რომან ვასილის-ძე ზაუტაშვილი მეთაურობდა, გამანადგურებელი ცეცხლით სპობდა და ანგრევდა მტრის ძელმიწერ საცეცხლე წერტებს და ბლინაყებს. ამხ. ზაუტაშვილი დაჯილდოვებულია მედლით მამაცობისათვის და წითელი ვარსკვლავის ორდენით“.

გაზეთის ეს ძველი ნომერი სათუთად ჰქონია რომანის მეუღლეს შენახული და ახლა წერილებთან ერთად ისიც გადავიკითხე.

1943 წ. 20.II. „მე დღეს მაჯის საათით დამაჯილდოვეს, ჩვენს ფრონტულ გაზეთშიც დაიწერა ჩემზე, როგორც სტალინგრადის მამაც დამცველზე. ქეთო, მე ცოტა უმზარის ნამსხვრევმა გამჩაპანა, ხუთი დღე პოსპიტალში ვიწვიქი, ახლა კარგად ვარ“.

1943 წ. 4.III. „ქეთო, ბრძანება მივიღე ახალი თანამდებობის შესახებ. მე დამაწინაურეს და ხელახლა მივდივარ ფრონტზე. ერთი სიტყვით, საქმე სულ უფრო წინ მიდის. მეტს ვეღარ ვწერ, ხელს მაშლიან“.

1943 წ. 15.III. „ჩვენ სხვადასხვა მიზეზის გამო, ჯერ კიდევ ფრონტზე არა ვართ. ამ დღეებში ველი გამგზავრებას. რა თქმა უნდა, უბრძოლველად ყოფნა ჩვენში მოწყენილობას იწვევს“.

ძნელი იყო ჩემთვის მხოლოდ წერილების მიხედვით დამედგინა, სად და რომელ ფრონტზე იბრძოდა რომან ზაუტაშვილი. ეს წერილები ხომ ძირითადად მეუღლისადმი იყო გამო-



გზავნილი. თავისი ოჯახის უსაზღვროდ მოყვარულ ადამიანს არ უნდოდა კიდევ უფრო შეეწუხებინა ისედაც შეშინებული ქალი, ამიტომ იგი მხოლოდ გამამხნეებელ წერილებს იწერებოდა, დრო და დრო თავის საბრძოლო ეპიზოდებზეც მოუთხრობდა მეუღლეს.

მხოლოდ ამ ძუნწი ცნობებით ძნელი იყო მისი საბრძოლო გზის აღწერა. მე ხომ მისი თანამებრძოლი არაინი მინახავს, რომ აღმხარება ვაეწიო. ამიტომ მოვლენების უკეთ გარკვევისათვის მომიხდა სამამულო ომის თემაზე გამოქვეყნებული ლიტერატურის გაცნობა. პირველ რიგში დიდი დახმარება გაიწიო ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილმა „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის“ მოკლე ისტორიამ, ა. მ. სამსონოვის „სტალინგრადის ბრძოლა“, საბჭოთა კავშირის მარშლების ა. მ. ვასილევსკის „მთელი სიცოცხლის საქმე“ და ვ. ი. ჩუიკოვის „სტალინგრადის გვარდიელები დასავლეთისაკენ მიდიან“. ამ წიგნებში ჩვენი სახელოვანი მარშლების მიერ ამა თუ იმ ფრონტებზე შექმნილი ვითარების აღწერამ ბევრ მომენტში გამარჯვია. ასე მაგალითად, საბჭოთა კავშირის მარშალი ჩუიკოვი თავის წიგნში აღნიშნავს, რომ სტალინგრადთან გამარჯვების შემდეგ 1943 წლის მარტის ბოლოსათვის ფრონტი სტაბილიზირებული იქნა. 62-ე არმიის წინაშე ახალი ამოცანები დაისვა. დადგა სტალინგრადთან გამომშვიდობების დრო. 62-ე არმიის მებრძოლები ემშვიდობებოდნენ სტალინგრადის მიწას, ქალაქისას, რომლის გადათავისუფლებისათვის ისინი დღე და ღამ იბრძოდნენ ტრამალებსა თუ მინდვრებში, ქუჩებსა თუ სარდაფებში, სახლების ნანგრევებში. ეს იყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. და ასეთი ნანგრევებად ქცეული ქალაქი განშორება ყველა მებრძოლში დიდ გულისტკივილს იწვევდა.

უკვე 1943 წლიდან არმიის ცალკეული ნაწილები, შენაერთები განსაკუთრებული გმირობის, მამაცობის, დისციპლინის გამოჩენისათვის იღებდნენ გვარდიელის საპატიო წოდებას. და, აი, 531-ე ნაწილი, სადაც უფროსი პოლიტხელმძღვანელი რომან ზაუტაშვილი იმყოფებოდა, გვარდიულ ნაწილად გადაკეთდა. ამის შესახებ იწერებოდა იგი 1943 წლის 25 მაისით დათარიღებულ წერილში — „წითელი გვარდიის ნაწილში მებრძოლი რომან ზაუტაშვილი“.

ჩუიკოვის წიგნიდან ვიგებთ, რომ მტერზე გადაწყვეტი შეტევის მომზადებისათვის უმაღლესი მთავარსარდლობას ბრძოლებში გამოწრთობილი სამხედრო ნაწილები დროებით რეზერვში ჰყავდათ, ასვენებდნენ.

1943 წლის მაისში რომან ზაუტაშვილის ნაწილი უმაღლესი მთავარსარდლობის მიერ

გენერალური გეგმით გათვალისწინებულ ადგილას ისვენებდა.

1943 წ. 25.V. „დღეს, 5 საათზე ხელმძღვანელობისაგან ტელეფონოგრაფა მივიღე, თავიანთ განკარგულებაში მქმნა. საღ ვიქნები, არ ვიცი“.

1943 წ. 20.VI. „გარემოება შეიცვალა, უნდოდათ მოსკოვში კურსებზე გავეგზავნე, მაგრამ კურსები არ შედგა. ვამყოფები ძველ ადგილას. მთავრობის მესამე ჯილდოზე წარამდგინეს“.

1943 წ. 22.VI. „ქეთო, გენაცვალე, რომ იცოდე, როგორი ბუნებით შემიქულ ადგილას ვიყოფები. ირველი ფიქვანია, ჩამქინება და თვალის თქვენ დაშიღვებით. გამიგონა, ხანგრძლივად შორს ყოფნა, სიყვარულს ანელებსო, მე კი პირიქით დამეშარა. რაც ხანი გადის, სიყვარული და თქვენი ნახვის სურვილი უფრო მიაკვეცდება“.

და ბოლო, უკანასკნელი, 1943 წლის 28 ივნისით დათარიღებული წერილი: „ქეთო, გენაცვალე, ჩემო ციციანთელა, მიხარია, რომ ბავშვების სურათი გამომიგზავნე. როგორც კი მივიღებ, წერილით გაცნობებ. ჩემი საყვარელი დედ-მამა როგორ არიან. ვამხნევე მოხუცებში, არ იღარღონ, მე კარგად ვარ და ვიბრძობდეს, რომ ვასახელო ჩემი სახელოვანი სამშოშლო, ჩემი ოჯახი“.

ამ დღის შემდეგ რომან ზაუტაშვილის ოჯახს მისი წერილები აღარ მიუღია. და აი, მოვლენები როგორ განვითარდა.

სტალინგრადთან დამარცხების შემდეგ, გერმანულ ფაშისტთა სტრატეგებმა გადაწყვიტეს თავიანთი პრესტიჟის ასამღლებლად და არსებულ მდგომარეობაში გარდატეხის მიზნით დაეწყოთ საზაფხულო დიდი შეტევათი ბრძოლა. ეს გადაწყვეტი ბრძოლა ძირითადად კურსკის მიმართულებით უნდა მომხდარიყო. ამ ბრძოლისათვის ფაშისტურმა გერმანიამ აღნი სამხედრო შენაერთები მოამზადა. საბჭოთა არმიის საწინააღმდეგოდ გამოიყენა გერმანული არმიის უდიდესი ძალა. დაიწყო დიდი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, რომელიც ისტორიაში „კურსკის რაკლის“ სახელით არის ცნობილი.

გადაწყვეტი ბრძოლა გაიმართა 12 ივლისს. ჩვენი არტილერია გამანადგურებელი ცეცხლით სპობდა მტრის შენაერთებს. გაუგონარ გმირობას იჩენდნენ საბჭოთა გვარდიელები. ბევრმა მათგანმა სიცოცხლე შესსვრა სამშობლოს თავისუფლებას. მათ შორის არის სახელოვანი ქართველი მამულიშვილი რომან ზაუტაშვილი.

ლარისა ხუზულური
პარისისპატიის წერილები



ფოსტალიონმა სწამეთხა ბარათი მოიტანა. ჩვეულებრივი სინარულით გამოართვა ქეთომ წერილი, დახედა ნაწერს და გულმა პაგა-ბუჭი დაუწყო, — არა, ეს რომანის ხელი არ არის, ვისი წერილია, რას იტყობინება, ღმერთო, მიშველ, — გაიფიქრა საბრალო ქალმა და მუხლები მოეკეთა, სკამზე ჩამოჯდა.

კარგში პატარა გოგონა გამოჩნდა.

— დედიკო, მამაკოს წერილია?

ქეთო ხმას არ იღებდა, თვალბუბუ ბინდი გადაეკრა. რა ქნას, გოგონა არ ეშვება, უნდა თვითონ წაიკითხოს, ხელიც წაივლო წერილს, მაგრამ დედის სახეს რომ შეხედა, შეშინდა.

როგორც იქნა, გონს მოვიდა, თავს ძალა დაატანა, — იქნებ კარგ რამეს იწერება, წინასწარ გულს რატომ ვიხეთქებ... მაგრამ რომანის წერილები ამდენხანს რომ არ ჩანს? — აკანკალებული ხელით ბარათი გახსნა.

1948 წ. 25.VII. „ქვირფისი, დო. ქეთო! ძეღუბნული ვარ გაცნობო, თქვენი საყვარელი ქმრის, რომან ვასილის-ძე ზატაშვილის უბედურება“, — წაიკითხა თუ არა ეს სტრიქონები, ქეთოს გული შეუწუხდა და იქვე კარგზთან ჩაიკეცა.

— დედიკო, ჩემო დედიკო, — ეხვეოდა ციურს დღას, და თან შეშინებული ტიროდა. ბავშვის ტირილზე მეზობლები შეგროვდნენ, მიხვდნენ, რომ რაღაც უბედურება მოხდა. ქეთო სასწრაფოდ ოთახში შეიყვანეს, ტახტზე დააწვიანეს, მოასულიერეს. ვერაფერს ბედავდა რაიმე ეთქვა, ან ხელში ჩაბღუჯული წერილი გამოერთავთ.

ქალმა თვალი გაახილა. მის წინ გურამი იდგა. ის მამისეული სერიოზული თვალბუბუ შესცქეროდა. ბიჭს სახეზე შიშის გრძნობა აღებულოდა.

— ვაიმე, შვილებო, მამა აღარა მკაფთო, ვაიმე, — ერთი კიდევ შეკვივლა ქეთომ და ისევ გრძნობა დაჰკარგა...

ახლა კი ირგვლივ ქვეთინი გაისმა. ოთახი თანდათანობით ხალხით გაივსო. აგერ ერთმა ის წერილი აიღო და კითხვა დაიწყო.

„12 ივლისს, საბრძოლო ამოცანის მიღების შემდეგ, რომანი ჩვენი ნაწილის ერთ-ერთ დანაყოფში გაემგზავრა, სადაც უშუალოდ ფრონტის ხაზზე უნდა ჩატარებინა პარტიული მუშაობა. მის მოვალეობას შეადგენდა მებრძოლებისათვის განმარტა ჩვენი საბრძოლო ოპერაციის დანიშნულება, თუ იმ უზანდუ ბრძოლას რა მნიშვნელობა ექნებოდა მთელი არმიისათვის.“

და აი, ამ საპატიო მოვალეობის შესრულების დროს ფაშისტმა კაცობიებმა სიცოცხლეს გამოასალმეს ლომივით ვაჟაკი რომან ზაუტაშვილი.

რომანის დაკარგვამ ჩემზე ძალიან იმოქმე-

და. დავკარგე უახლოესი მეგობარი, პარტიულ სულ მუდამ მამხრევებდა, მაიმედებდა, რომ მალე გავიმარჯვებო და სახელგანთ დაუბრუნდებოდი ჩენს სამშობლოს. რომანმა მე კაცად მაქცია. მის ხელში კომუნისტური პარტიის წევრი გახდი.

ქვირფისი დო, ხვალ მივდივარ იმ ადგილას, სადაც რომანის ნივთებია შენახული და გამოვიგზავნით. ვიცი ის ადგილიც, სადაც რომანი დაიღუპა. მე თვითონ რომანის დაღუპვის დროს იქ არ ვიყავი, სხვა ნაწილში ვიმყოფებოდი. ნეტავ გაქირვების დროს მაინც გვერდით ვყოფილიყავი.

დო ქეთო, იმ ადგილიდან, სადაც თქვენი ქვირფისი ქმარი დაიღუპა, ჩვენმა ნაწილებმა წინ წაიწიეს, ასე 40-50 კილომეტრით. სანამ ცოცხალი ვარ, თავზარს დავეცემ გერმანელ ფაშისტებს, შურს ვიძიებ ჩემი საყვარელი მეგობრისათვის.

ახლა, გაინტერესებთ ჩემი ვინაობა. ჩემდა სამწუხაროდ, მე ვარ ასეთი მძიმე ამბის მუწყეები. ჩემი გვარსახელია დადიანი შალვა თომას-ძე — ცხაკაის რაიონის სოფელ პირველი მამისიდან“.

... გლოვამ დაისადგურა ზაუტაშვილების ოჯახში. აღარ მოდიოდა რომანის სიყვარულით აღსავსე ბარათები, შორიდან რომ ასე ეტრფოდა თავის ახალგაზრდა მეუღლეს. აი მისი ალერსით ვაჟამდარი მივბარა მიწას, გულარე ამხნევებდა თავის დანადგლიანებულ მშობლებს, ერთი შვილის დაღუპვა რომ არ აკმარა ამ ტიპში ომმა და ახლა მეორეც მოსტაცა. ევლარ მიეფერებოდა თავის პაპაშა ციურის, თაზოს და გურამის...

მალე შალვა დადიანმა ზაუტაშვილის ქვირფის რომანის ტანსაცმელი და ნივთებიც გამოეგზავნა, მაგრამ ქეთო მაინც ვერ ისვენებდა. იქნებ შეეცა შალვა, განა ცოტა იყო შემთხვევა — ოჯახი დაღუპვის ამბავს შეიტყობდა და მერე კაცი ცოცხალი აღმოჩნდებოდა. ის ხომ უშუალოდ მისი სიკვდილის მხილველი არ არის. იქნებ რომანი მძიმედ დაიჭრა და საღმრთოსპიტალში წვეს, ღმერთო, ვაჟმართლე იმედი. განა შეიძლება ასეთი მამაცი, სიცოცხლის მოყვარე კაცის სიკვდილი!

ქეთოს რომანის ერთ-ერთ წერილში მოხსენიებული მეგობრისხვეული ქეთო ხომასტრიძე გაახსენდა. აბა, იმით მშობლებთან წავალ, ქიტოს მისამართს გამოვართმევ, წერილს მივწერ, რომანის ამბავს გამოვცხივავო.

ქეთო და რომანის და ანა მეგობრისხვეული ჩავიდნენ. ქიტოს მისამართი გაიგეს და სასწრაფოდ წერილიც გაუგზავნეს ხომასტრიძეს ფრონტზე.

და აი, ქიტოსაგან პასუხი მოვიდა.

1948 წ. 25.X. „ანა, დღეს მივედი თქვენი და ქეთოს წერილი. მავლებთან რომანის ამბავი

გავიგოთ. მას შემთხვევით ბელგოროდთან შეეხდით. ეს იყო ივლინის დასაწყისში. ჩვენ იმ დღეს ერთად ვიყავით. საღამოს კი ჩემი მანქანი ჩავედით მის პოლკში. ორი საათი მისთან დავრჩი. გავიყვანი მისი პოლკის უფროსი, ისიც ქართველია.

ჩვენი ნაწილები რომ შეტევაზე გადავიდნენ, მე მოსგან სხვა მხარეს მოვხვდი ისე, რომ იმ დღის შემდეგ რომანი აღარ მინახავს და არც მის ნაცნობს ვისმეს შევხვედრებოვარ. თქვენი მდგომარეობა წარმომიდგენია. მე ამჟამად სხვა არაფრის მოწევა არ შემიძლიან. თუ გავიფიქრებ რამეს, აუცილებლად ვაცინობებთ*.

* * *

გავიდა ხანი. საბჭოთა არმიის გამარჯვებით რამთვრდა დიდი სამაშულო ომი. დაიზარდნენ რომანის ბავშვები. ქეთო დღედაღამ შრომობდა სოფელში თუ ქალაქად, შვილებს მზრუნველობას არ აკლებდა. ბავშვებიც კარგად სწავლობდნენ. ამავსე არ უყარგავდნენ მზრუნველ დედას. ქეთოს არ ასვენებდა იმისი ფიქრი, რომ როგორმე გავიგო, სად იყო დაკრძალული მისი საყვარელი მეუღლე.

დრო კი მიდიოდა. ქვეყანა ომით მიყენებულ ჰეროიზმებს იშუშებდა. უყვარდა ხოლმე ქეთოს ქმრის წერილების გადაკითხვა. რამდენი საყვარული და გამარჯვებისადმი რწმენა იყო მისში ჩაქსოვილი, როგორ სჯეროდა და სხვისთვისაც უნდოდა დაეჯერებინა, რომ ის გამარჯვებულნი დაბრუნდებოდა. ომის დაწყების პირველსავე დღეებში მოწერილ წერილებშიც კი, როცა მტერი უღმობლად მოიწევდა წინ, ვერ ამოკითხავდით ვერც ერთ უიმედობის სიტყვას, პირიქით, იწირებოდა მტერს მალე დავამარცხებთ და სულ მალე გამარჯვებული შევხვდებითო. ისეთი რწმენით იყო გამსჭვალული მისი წერილები, თითქმის სიცილი არსად არ ემუქრებოდა, თუმცა ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იდგა.

რომანის დედამ ვეღარ გაუძლო თავისი სასახლო ვაჟკაცების დაღუბვას და მალე გარდაიცვალა. ვასო შედარებით ძლიერი აღმოჩნდა. თუმცა დარღმა მისი ჯანიც გატეხა და დაღუბმყოფა.

რომანის შვილებმა გურამმა, თამაზმა და ციურიმ დაამთავრეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. გურამი მეტალურგია და ამჟამად პოლიტექნიკური ინსტიტუტის კაზმის მფლობელის პრობლემატურ ლაბორატორიაში მუშაობს ინჟინრად. თამაზმა ენერგეტიკის ფაკულტეტი დაამთავრა, ციურიმაც პოლიტექნიკური ინსტიტუტის საფეიქრო ფაკულტეტი დაამთავრა და გორში მუშაობს, ბამბულის კომბინატში, უკვე თავისი ოჯახიც აქვს.

თითქმის ქეთოს უკვე უნდა დაეხვეწა. მიადგინა საწადელს, დაზარდა შვილები, სამივეს

უმაღლესი განათლება მისცა, მაგრამ ბედმა არ დაინდო. თამაზი მოულოდნელმა შემთხვევამ იმსხვერპლა. ამ უბედურებამ ქალი გატეხა, იგი დღენიადაგ შვილის სავლავზე იყო და ქმარსა და შვილს ერთად ტირიდა. ქეთო მძიმე სენმა შეიპყრო და 1969 წელს გარდაიცვალა.

ასე დასრულდა ეს ისტორია. ახლა შვილების ოცნება მოსებონ მამის საფლავი. იქნებ ამ საქმეში რომანის ყოფილი თანამებრძოლები დაეხმარონ. მათ ხომ დასლოებით იციან, სად დაიღუპა იგი, და თუ მამის საფლავს მიაკვლევენ, მისი საყვარელი დედისა და მეუღლის საფლავებიდან აღებულ ერთ ბუდე ქართულ მიწას მიაყრიან და ამით მოიხდინ თავიანთ ვალს ძვირფასი აღამიანების წინაშე.

* * *

ამ ცოტა ხნის წინათ რომანის ვაჟთან, გურამთან ერთად ბერძენეთში გავემგზავრე. თუმცა წერილი უკვე დასრულებული მქონდა, მაგრამ მაინტერესებდა რომანის და-ძმისა და მამის ნახვა. მინდოდა გამეგო, იქნებ ამ სამი ათეული წლის მანძილზე მათ რაიმე ახალი შეეტყუთ ან ვინმე მის ფრონტელ ამხანაგს შეხვდნენ და დაწვრილებით გაიგეს რომანის დაღუბვის ამბავი.

შემოდგომის თბილი დღე იყო. თვალს იტაცებდა ხილთ დახუშმულთა, შემოდგომის ფერებით ხოლმე პართოს ბაღები. ბერძენეთი ფერდობზეა შეფენილი, აქ მუდამ ნიაგი ქრის და ზაფხულშიაც საკმაოდ გრილია. ამიტომ არის, რომ სიამაყით ამბობენ აქაურები, ჩვენს სოფელს რომელი აგარაკი შეედრებაო.

პირველად ანასთან მივედი. მან მაშინვე ტელეფონით დაურეკა ანდროს და სულ მალე ისიც ჩვენიან გაჩნდა.

უჭირდათ და-ძმას თავიანთ დაღუბულ ამბებზე საუბარი. რამდენი გაოჩრება და წვალება გამოეცლოთ ცხოვრებაში. რამდენი სიღარიბე ენახათ, მაგრამ რომანი ამ მდგომარეობამ ვერ გატეხა, მაინც სწავლისკენ ილტვოდა. თან მუშაობდა და თან სწავლობდა, ანასაც ეხმარებოდა, რომ მას განათლება მიეღო.

გულსტეკივლით იგონებდნენ უკვალად დაღუბულ თავიანთ უმცროს ძმას ვასოს. ის ხომ სულ ახალგაზრდა დაიღუპა და მის სახელზე აღარავინ დარჩა.

— ეპ, — ამოიხრა თვალცრემლიანმა ანამ, — მახსოვს ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენი სოფლელი ბიჭი ტულაში იყო ჩასული. ერთ დაწესებულებაში ვიღაც რუსის ქალს შეხვედრია და რომ ვაუტო ქართველი იყო, შეეცოხა თურმე საიდან ხარო.

ზარისა ხუზულური
ზარისკაცის წირილები



ბიჭს უბასუხია გორის რაიონის სოფელ ბერშუეთიდანო. ქალს უკითხავს, რომან ზაუტაშვილს თუ იცნობდიო. ვიცნობდიო, ესლა სახლში არისო.

ქალს მისთვის მკაცრად შეუხედავს და უთქვამს — რომან ზაუტაშვილი ბრძოლაში დაიღუპა, ის ღირსეული ვაჟკაცი იყოვო და წასულა. ბიჭს შერცხვენია და გააკიდებია. მე შევეციდი, იმ რომან ზაუტაშვილს არ ვიცნობდიო და თქვენ ვინ ბრძანდებითო, მაგრამ ქალს ყური აღარ უთხოვებია მისთვის. ეს იყო და ეს, მეტი რომანისა არაფერი შეგვგეტყვია.

დაიცა, კიდევ ერთი გამახსენდა. ომის დამთავრებიდან რანდენიმე წლის წინათ თბილისში, ანავის ქუჩაზე ჩემ რძალთან ვილაც რუსის ქალი მისულა. უკითხავს რომან ზაუტაშვილის ცოლშვილი, როცა სახლში შეუპატიებიათ და

მისი შვილები უნახავს, ბევრი უტორჩანს უთქვამს, ჩვენ ერთად ვიბრძოდითო. მქმენს ნაწილში ვიყავი. არაჩვეულებრივი კეთილი და გულადი აღამიანი იყოვო.

ქეთოზე თურმე იმდენად იმოქმედა რომანის თანაბოლკელის შეხვედრამ, რომ ქალის ვინაობის ჩაწერა დაეიწყებია, ბავშვებიც ბატარები იყვნენ და ასე დაკარგეს იმ დალოცვილი ქალის მისამართი. იქნება იმან იცოდა კიდევ, სად იყო რომანი დასაფლავებული. იქნებ ის ტულაში შემხვედრი ქალი, სწორედ ის, ჩვენი აშბის მალუწყებელი იყო...

ეს იყო და ეს, რაც რომანის დაძმისაგან მოვისმინე. მამა კი ველარ ვნახე. მითხრეს ღრმად მთხუტია, ლოგინად ჩაეარდნილი, შვილების გახსენება მას მხოლოდ მწუხარებას განუახლებსო.



ახლა ომი და ღრუბლებში ყოველდღე ვხედავ — როგორ მრისხანედ აღმართულა ბერი მყინვარი. და მესმის, მესმის გერმეგიდან მოხვევ მხედარს თერგის ზარი და არწივების ხმა გამყივარი.

ალექსანდრე გომიაშვილი.

მეხსი თვე „მცირე მიწაზე“

(ნაწევები წიგნიდან „ბედი ჯარისკაცისა“)

განცადეს რა სასტიკი მარცხი ფაშისტურმა არმიებმა, მათ ვერ შესძლეს კავკასიის მთისწინეთით ვაჭრილიყვნენ საქართველოსაკენ, ხოლო ჩრდილოეთიდან — ბაქოსაკენ. ფიურერმა სამხრეთის ფრონტის ჯარებს უბრძანა გამაგრებულიყვნენ ყირიმის ნახევარკუნძულზე, შეენარჩუნებინათ საპორტო ქალაქები ნოვოროსისკი, ანაპა და ტრამანი, გაბატონებულიყვნენ შავ ზღვაზე და აქედან დაეწყოთ ახალი გადაწყვეტი იერიშები.

მოწინააღმდეგის ამ განზრახვას თავისი სტრატეგიული გეგმა დაუპირისპირა საბჭოთა არმიის მთავარსადლობამ, — მე-18 არმიის სარდალს კონსტანტინე ლესელიძეს ებრძანა მოეხდინა თავისი ჯარების კონცენტრაცია ტუაპსე-გელენჯიკის რაიონში და მოემზადებინა გაბედული საზღვაო დესანტი ნოვოროსისკის სამხრეთით მდებარე მისხაკოს კონცხზე გადასასმელად.

და აი, 1943 წლის 3 თებერვლის სუსხიანი ღამით, შავიზღვისპირა ქალაქ გელენჯიკიდან განხორციელდა 275 მეტროპოლისიდან შემდგარი სადესანტო რაზმის გადასხმა კაბარდინსკაიას მისადგომებთან — მისხაკოს კონცხზე, რაც დიდი სამამულო ომის გმირულ მბრძანებელში „მცირე მიწის“ სახელითაა ცნობილი.

საზღვაო მეომრების ჯგუფი მაიორ ცეზარ კუნიკოვის მეთაურობით იმ ღამითვე უშინარად მოადგა ციკაბო კლდოვან ნაპირს და მტერს ხელჩართული ბრძოლა გაუმართა. მედესანტოთა დაუოკებელ ნებისყოფას გამოხატავდა პირადი მაგალითით შთაგონებული მეთაური კუნიკოვი, ომის წინ ის ეურნალისტიად მუშაობდა მოსკოვში და ეს მშვიდობიანი პროფესიის ადამიანი ომის პერიოდში ლეგენდარულ გმირად იქცა. იგი ომბიანი შეძახილით — „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“ წინ მიუძღოდა თავის მამაცებს და კაფავდა მომხდურთ, მაგრამ უმუხტოლა ბედმა და გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე.

ცეზარ კუნიკოვის სიყვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა. თანამებრძოლებმა შური იძიეს უშინარი მეთაურისათვის, მოსპეს ასობით მტრის ჯარისკაცი, ბევრმა მათგანმა კი გაქციეთ უშველა თავს. საბჭოთა მეომრები ფაშისტების საციცხლე პოზიციას დაეუფლნენ.

გერმანელები რამდენჯერმე შეეცადნენ დიკარგული ზღუდეების დაბრუნებას, მაგრამ ამაოდ. კუნიკოველებმა დამხმარე ძალების მისვლამდე მტკიცედ დაიკვეს და შეინარჩუნეს დაცემული პოზიციები მიწის ამ მცირე მონაკვეთზე, რომლის ტერიტორია 30 კვადრატული კილომეტრს არ აღემატება და სამი მხრივ შავი ზღვა აკრავს, ის მხოლოდ ჩრდილოეთით უერთდება დიდ მიწას, აქედან აღმოსავლეთით კარგად მოჩანს ნოვოროსისკი, მათ შუა კი სოლივითაა შეჭრილი შავი ზღვა. ტერიტორია სიერთოდ მთავორიანია, არის ვაკე ადგილებიც. ომამდე ამ ნოყიერ მიწაზე მევენახეობის საბჭოთა მეურნეობა არსებობდა, ხეხილის ბაღებითა და დასასვენებელი სახლებით. მაგრამ ფაშისტებს ყოველივე დაენგრიათ და შეემუსრათ.

დღედაღამ არ წყდებოდა ჭურვებისა და ყუმბარების აფეთქების გრიალი, იქ წარმოებულ გრანდიოზული ბრძოლები ფართოდ გახმაურდა ჩვენს უციდევანო ქვეყანაში და დაუვიწყარ ეპიზოდებად შევიდნენ დიდი სამამულო ომის ისტორიის მბრძანებელში.

მტერი ინტენსიურ ცეცხლს მიმართავდა და თავგამოდებით ცდილობდა საბჭოთა მედესანტების განადგურებას, რომელთა მდგომარეობა თანდათან კრიტიკული ხდებოდა, საბჭოთა სარდლობამ პლაცდარმის რაიონში, ჰაერით და ზღვით არაერთხელ გადაიხიროლა მასშველი ძალა და საბრძოლო საჭურველი, მაგრამ მტრის განუწყვეტელი ცეცხლის გამო ყოველივე უშველივით აღმოჩნდა.



თებერვლის ბოლოსათვის შედესანტეთა რაზ-
ში თვასამდე მებრძოლი და რამდენიმე ნაღ-
მსროლი ირიცხებოდა, მაგრამ სავსებით არ
ქონდათ ნაღმები და ვახუშტი ავტომატებისათ-
ვის, მტერმა დესანტის გადასხმის ადგილას თა-
ვი მოუყარა ქვეითების, არტილერიისა და ტან-
კების დამტებით ძალებს. მაიწყო ვადაშვივე-
ტი მძუარა იერიშები. მაგრამ შედესანტეები
უკანასკნელ ძალებს იკრებდნენ და მტკიცედ
იკვირებდნენ მოწინააღმდეგის გააფთრებულ
შემოტრევას.

იმ მძიმე დღეებში შავი ზღვის ფლოტის გე-
გებმა, მიუხედავად მოწინააღმდეგის საარტი-
ლერიო კანონადის გააფთრებული ცეცხლისა,
შესძლეს „მცირე მიწაზე“ გადაესახათ წყიდმტრი
ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი თავის საბრძო-
ლო საკურეველი და სურსათით. ამ ოპერაცი-
ამ გააკეთა ჰიტლერელები. მათი ავიაცია ცალ-
კულ დღეებში ორიათას თავდასხმას აწყობდ-
ნენ შედესანტეთა პლაცდარმზე.*

აპრილისა და მაისის განმავლობაში ჰიტლერ-
ელებმა ჩაატარეს მძაფრი იერიშები. ჩვენი
ჯარების წინააღმდეგ მათ გადმოისროლეს ქვე-
ითებისა და ტანკების ქარბი ძალები, რომელ-
თაც მხარს უჭერდნენ ათასობით თვითმფრინ-
ვები, მტერმა მისხაკოს უბანს თავს დაატეხა
უსაშინელესი ძალის დარტყმები, თითონ გერ-
მანელებმა აღიარეს, რომ „მცირე მიწის“ თი-
თოეულ საბჭოთა მებრძოლზე მათ დახარჯეს
მძიმე არტილერიის არა ნაკლებ ხუთი ყუმბარა.
ხოლო „მცირე მიწაზე“ ბრძოლების პერიოდში
ჰიტლერელებმა თავს დააყარეს რიგინგზის
თერთმეტი ეშელონის ლითონი. იყო ისეთი
დღეები, როცა მტერი ორიათას გაფრენას ახ-
დენდა ამ ხელისგულის ტოლა მიწაზე, ხოლო
ტანკებისა და ქვეითების იერიშები ერთიმე-
ორის მიყოლებით ხდებოდა,** მაგრამ ყოველი-
ვე ეს უნაყოფო იყო, მტრის ყოველჯვარი ცდა
იმსხვრეოდა „მცირე მიწის“. გმირი დამცველ-
ების უიშვიათეს თავდაცვაზე. საბჭოთა მეომრე-
ბი განაგრძობდნენ თავიანთი პოზიციების შე-
ნარჩუნებას, იჩენდნენ რა აუწყრელ ეაქაცო-
ბას და გმირობას.

ჩვენი ნაწილი, რომელიც განუწყვეტლივ
ბრძოლაში იყო ჩაბმული, ირგველი განლაგე-
ბულ 299-ე საარტილერიო პოლკის და 255-ე
საზღვაო ქვეითი ბრიგადის მებრძოლთა მხარ-
დამხარ მოქმედებდა.

„მცირე მიწელთა“ შეუპოვრობა და სიმტ-
კიცე შშრომელთა გულში განსაკუთრებულ აღ-
ფრთოვანებას იწვევდა. ზურგიდან მოდიოდა
წერილები და მისალმებები, სადაც გამოთქმული

* სამხედრო საზღვაო ფლოტის არქივი, ფ. 55,
ს. 5652, ფ. 18.
** თავდაცვის სამინისტროს არქივი — ფ.
6598. აღწ. 725167, ს. 848. ფ. 179.

იყო ურყევი რწმენა, რომ „მცირე მიწის“ მდებ-
რილადნენ განთავისუფლებულს, ხოლო მტრის
ერთგულ დამცველებს გულში ჩაიკრავდა დე-
და-სამშობლო.

„მცირე მიწაზე“ სასტიკი ბრძოლები გრძელ-
დებოდა, დაიღუპა თითქმის ყოველივე, მოსახ-
ლეობა გაიხიზნა, მაგრამ სიცოცხლე მაინც არ
შეწყვეტილა. სიცოცხლე ჯარისკაცური. სამე-
დლო შენიღბული ფაშისტი მეავტომატეები და
სნაიპერები განუწყვეტელ მასირებულ სროლას
ეწეოდნენ და სანგრებიდან ოღნავ თავის გამო-
ყოფის საშუალებას არ ვგაძლევდნენ, ხოლო
მტრის ბომბდამფრენები მცელავი ფრენით ტყვი-
ებს თავზე ვეყარდნენ, ამას თან ახლდა მათი
იერიშები, მაგრამ უშედეგოა. ფაშისტები ჩვენს
განლაგებაში შემოჭრას ვერ ახერხებდნენ.

თვითეული საბჭოთა მეომარი თუ მეთაური
საკუთარი სიცოცხლის ფასად მტკიცედ იცავდა
ყოველ მტკაველ მიწას.

ნაწილის მეთაური მაიორი ქურჩევსკი, ასე-
ვლის მეთაური უფროსი ლეიტენანტი ჯუმაგუ-
ლოვი, ოცეულის მეთაური ლეიტენანტი ტრიშ-
კინი მუდამ ჯარისკაცთა შორის ტრიალებდნენ
და ბრძოლის ქარცეცხლიან დღეებში უნარი-
ანად წარმატოდნენ საბრძოლო ოპერაციებს.

ერთმანეთის მხარდამხარი იბრძოდნენ რუსი
ვისილ ლატიშვი, უკრაინელი ნიკოლაი ანდ-
რანასი, ბელორუსი პეტრე კუჩერი, უზბეკი
ბერტი ჯუმაგულოვი, აზერბაიჯანელი ოსებ
ალიევი, სომეხი სურენ ალაბვერდიანი, დაღეს-
ტანელი მეხტი აბდულაევი, ოსი ვალოდია ბი-
ჩინოვი, ქართველები არჩილ აბულაიშვილი,
შოთა რაზმაძე, თეიმურაზ ცერცვაძე, დავით
მდინარაძე, ნოე მამულაიშვილი, ვარლენ ურუ-
შაძე, ტიტე ჩხაიძე, ვილერი დარჩია, შოთა
დარჩია და სხვ.

ივლისის პირველ რიცხვებში გერმანელებმა
ფრონტის ყველა უბანზე სასტიკი შემოტევა
წამოიწყო, იერიში, იერიშზე მოქონდათ, ყოვე-
ლი მხრიდან ტყვიებს სეტყვასავით ვეყარდნენ,
ამოქმედეს ყველა სახეობის საბრძოლო იარა-
ღი, ხმელეთიდან კაცანებდნენ ტყვიამტრქევე-
ბი, ზღვიდან გრუსუნებდნენ კატარღებზე დაღ-
ვებული ქვემეხები, ხოლო ჰაერიდან თავზე მო-
ბეგს ვეყარდნენ მოპიკირე ავიაცანადაგურე-
ლები.

„მცირე მიწაზე“ ხოცვა-კლტის ტრაგედია
დატრიალდა, დედამიწა გადაიბუგა, ზღვა აბო-
მორბდა, ცის კაბადონი ცეცხლის ბოლმა მო-
იცვა. შეიქმნა მეტად კრიტიკული მდგომარე-
ობა. ფაშისტი მეავტომატეები წინ მიიწვედნენ,
მოგვიკლეს ბებრი მებრძოლი მეგობარი; ერთ-
ერთ წინა სანგარში მყოფი ტყვიამტრქევის
გათოვის მებრძოლები დაიღუპნენ, ტყვიამტრ-
ქევეს თვით მეთაური მეხტი აბდულაევი მარ-
თავდა, ისიც დაეცა, დაღუმდა ტყვიამტრქე-
ვიც, ფრიცები წამოიშართნენ. წუთიც და, ჩვენი

თავდაცვის ხაზის წინა სანგარს დაეუფლებიან, ამ დროს გამოავლინა საბრძოლო ხელოვნება ქართველი ხალხის სახელოვანმა შვილმა თეიმურაზ ცერცვაძემ, საკუთარი საიციოსლის რისკით იგი ელვის სისწრაფით წინა სანგარში გაიჭრა და დადუმებული საბჭოთა იარაღი აამუშავა, სტეფასავით დააყარა ტყვიები და ხელუქმბარები უკვე მოახლოვებულ ფაშისტებს. წინა რიგები მოიცეცა, სხვებმა კი გაქცევით თავს უშველეს, საცეცხლე წერტი შეინარჩუნებული და მტრის იერიში მოგერიებული იქნა. ჩვენმა მეომრებმა სანგრები მიატოვეს და უკუქცეულ ფრიცებს დაედევნენ. ვახედული მეომარი თ. ცერცვაძე, რომელიც იმ დღის ბრძოლის გმირი გახდა, საბრძოლო ტყვიამფრქვევთან სამუდამოდ დადუმებულიყო. ბრძოლის კუეპაქუხილმა დროებით გადაიარა, სწრაფად გაქვინდეთ საცეცხლე პოზიციები, დაჭრილები ევეკუიერებულ იქნენ, დაღუპულნი მხედრული წესით დავკრძალეთ საშმო სავლავზე, ამჟამად კუმქლის ცენტრალურ მოედანზე, სადაც ბრძოლაში დაქმულთა სადიდებლად აღმართულია დიდების ძეგლი, მარადიული ძილით განისვენებენ ცეცხლოვანი მიწის ბრძოლაში დაღუპული მეომრები, მათ შორის საბჭოთა კავშირის გმირები — ცეზარ კუნიკოვი და ნიკოლოზ სიბავინი, „მცირე მიწაზე“ დაცემულ მეომართა გმირთა შემართების ეს ლექსი მიუძღვნა პოეტმა სიმონ ჩიქოვანმა:

რა გული გქონდა, რა ცეცხლი,
ფიჭრი მტკიცე და ნათელი
„მცირე მიწაზე“ დავცი
თავდადებული ქართველი.

მომშეთა მიწას აკოცე
თითქოს უთხარი მადლობა
მტარვალი ბევრი დახოცე
ისეც ვინდოდა ადგომა.

თითქოს სიმშვიდით გვიძინა
მტერს ჩაუქციე ნალველი,
და როგორც დროშა გვევინა
მერდზე ვეკაცის სახელი“.

აქ წარმოებულ ბრძოლაში განსაკუთრებით თავი გამოიჩინა სერჟანტმა ნიკოლაი ანდრანასმა, რომელიც ჩვენი ოცეული საუკეთესო მემიხნე იყო. სიციცხლით აღსავსე ეს ახალგაზრდა შესანიშნავად იცნობდა უკრაინელი ხალხის ცხოვრებას, მის კულტურას, ერთხელ მან უკრაინული ხალხური ლექსიც კი გვითხრა თბილისში, მას ბევრი რამ წაეთეთხა საქართველოს შესახებ და ოცნებობდა თავისი თვალით ეხილა მხიური საქართველო. განსაკუთრებით იტაცებდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, მთხვედა მოკლედ მომეტხორ ამ გენიალური ქმნილების შინაარსი.

ყოველგვარი კავშირი გარესამყაროსთან ზღვით ხორციელდებოდა, გემმისადგომს კვლავის ციკაბო კლდე წარმოადგენდა, სადენაც პირველად ვაველით კუნძულზე. ეს ბუნებრივი სიმაგერ მართლაც დიდი როლს ასრულებდა „მცირე მიწაზე“ ბრძოლების მთელი 225 დღე-ღამის განმავლობაში, აქ გამოყავდათ მებრძოლთა ახალი შევსება, მოჭინდით სამხედრო აღქურვილობა, სურსათი, ე. ი. ყოველფე, რაც ფრონტისათვის საჭირო და აუცილებელი იყო.

მიიწურა 1943 წლის აგვისტო, „მცირემიწელები“ უმაგალითო შტრევისათვის ემზადებოდნენ, მტერი თითქოს გრძნობდა მოახლოვებულ კატასტროფას და აიღიერებდა წინააღმდეგობას, ცაში განუწყვეტლივ დანავარდობდნენ მტრის ავიგამანადგურებლები, მათ სასტიკ საპაერო ბრძოლას უმართავდნენ და ხშირად აღამახებდნენ ცნობილი საბჭოთა შევარდნები — პოკრიშკინი, სავიცი, სემენსინი, ძმები გლინევი და სხვა. განსაკუთრებით კი თავი ისახელა პოკრიშკინმა. ამ გულანთებულმა და ამამცმა მფრინავმა შეუპოვარი ბრძოლების შედეგად მტრის ათეულობით თვითმფრინავი გაანადგურა, რისთვისაც ერთ-ერთმა პირველმა საბჭოთა კავშირის გმირის საპატიო წოდება მოიპოვა.

1943 წლის 10 სექტემბრის გარიგარზე ცეცხლოვან მიწასა და ნოვოროსისისკე უმაგალითო იერიში დაიწყო. მტერი შედრკა, მკარამ ადვილად როდი დათმო საგანგებოდ გამაგრებული საცეცხლე პოზიციები. ეს გასაგებიც იყო, მათ ხომ ფიცი მისცეს ჰიტლერს — „ცისფერი ხალხს“ თავდაცვის ზღუდეს მიუვალ ციხე-სიმაგრედ ვაქცეთ და ზღვაში ჩავაბრძობთ მიუერიშე საბჭოთა მეომრებსო. და რარიგ ეძენებოდათ ოკუპანტებს ფიჭრებისათვის მიცემული ფიცის ვატება.

მტრის III დივიზიის ოფიცერს გუსტავ ჰოლცს, რომელიც ტყვედ ჩავიგდეთ, ვიბეშა აღმოაჩინა დაუმთავრებელი წერილი, რომლითაც გერმანიის ეს „უძლეველი არმიის რაინდი“ თავის სატრფოს წერდა: „—საბჭოთა მეომრები უშიშარი და უზღავი ადამიანები არიან, საკერიველია რა ძალა ამოქმედებთ, როგორ ინარჩუნებენ ნებისყოფას და როგორ იტანენ აღტანელს, სიმაშაცეს კი წუ იყითხავ, წარმოუდგენელია ასეთი ადამიანების დამარცხება, ვაჭრა ყოველი იმელი გამარჯვებისა, ახლა ყველა საკუთარ თავზე ფიჭობს, მაგრამ... რის ფიჭი, როცა ყოველი მხრიდან მათი თავდასხმა მოსალოდნელი, ბევრმა, ძალზე ბევრმა ჰპოვა სამარე ამ უხილავ ქვეყანაში...“

უკვე აღარავითარ ძალას აღარ შეეძლო

შოთა შაბრანძაძე
მკვნი თმა „მცირე მიწაზე“

შეჩერებნა ძლევამოსილი საბჭოთა ჯარების გრანდიოზული წინსვლა; მათ გერმანიის „უძლეველი არმიის“ რჩეულ ნაწილებს ხერხემალი კავკასიის ქედზე გადაუტეხეს და ვაზაღულად მიგრეკებოდნენ თავიანთი ბუნებისაგან...

როგორც „მცირე მიწის“, ასევე ნოვოროსიისკის შეტევით ოპერაციებში ვადამწყვეტი როლი შეასრულა მე-18 სადღესანტო არმიამ, რომელსაც სახელმწიფოებრილი ქართველი მხედართმთავარი გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე ლესელიძე სარდლობდა. ამ არმიას შავი ზღვის ფლოტის, მე-4 საავიაციო შენაერთისა და ნოვოროსიისკის რაიონში მოქმედ პარტიზანულ რაზმებთან თანამოქმედებით მტერზე საერთო იერიში უნდა მიეტანა.

დღით და ღამით არ წყდებოდა განუწყვეტელი ბრძოლები, ხმელეთიდან, ზღვიდან და ჰაერიდან ერთდროულად დაიქუხეს ქვეყნებში და „კატორშებმა“, აკაინდნენ ტყვიამჭრქვევები და ამოქმედდა ყველა სახის იარაღი, ბრძოლაში ჩაებნენ ჩრდილო კავკასიის ფრონტის მე-9 და 56-ე არმიის მეგობრები; ბრძოლის ყინით და შურისგების ცეცხლი აღზნებული მამაკები წინ მიიწეოდნენ და ანთავისუფლებდნენ საბჭოთა მიწა-წყალს. და აი, მეექვსე დღეს — 16 სექტემბერს ნოვოროსიისკზე გამარჯვების მაღწყებელი წითელი დროშა აფრიალდა, „მცირე მიწა“ მშობლიურ დიდ მიწას შეუერთდა.

ამჟამად „მცირე მიწაზე“ დაცემულ გმირთა საიდრებლად აღმართულია დიდების ძეგლი, ხოლო ნოვოროსიისკში ცემენტის ქარხანა „ოქტიაბრთან“ მომხდარი შეუპოვარი ბრძოლების მოსაგონებლად დგას ყუპზარისაგან ნახევრად დამსხრეული რკინაგზის ვაგონი, როგორც ძეგლი-სუვენირი, რაც მოაგონებს ადამიანებს, — იყვნენ ვზიზხლად, არ დაუშვან ახალი ომის ხანძარი.

ბრძოლა ანანისოტვის

ბრძოლებმა ანანის მიმართულებით ვადაინაცვლა, შემოდგომა... მტერს ყოველივე ვაეთლა და შეემუსრა, მაგრამ აქა-იქ მაინც გვხვდებოდა ბუნების იშვიათი სანახაობანი. ერთ-ერთი ასეთი ღირსშესანიშნაობაა რუსული შამპანური ღვინოების სამშობლო — „აბდაუდიურსო“. უმაღლესი ხარისხის შამპანური ღვინის წარმოებისათვის აქ 1896 წელს მიუყვიათ ხელი. 1920 წელს კი შექმნილა საბჭოთა მეურნეობა — „აბდაუდიურსო“, რომლის ორგანიზატორი ყოფილა მეღვინე მეცნიერი კ. მ. ფროლოვ-ბაგევი.

და აი, ამ თვალწარმტაც საბჭოთა მეურნეობის მახლობლად, შავი ზღვის პირას — ვიარაზე მტერმა ვამაგრება მოასწორა. ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს შედარებით მოხერხებულ

ლი ადგილები და ჩასაფრებულ ფაშისტებს სასტიკი ბრძოლა ვაუპართეს.

მტრის საზენიტო არტილერია და მოპიკირე აეიაგამანადგურებლები ვანუწყვეტელ ცეცხლს გვიშენდნენ, ეს იყო მათი უკანასკნელი ვაბრძოლება, ნათქვამია: „მომხვდურს დამხვდური უნდაო“ და ჩვენი მოიერიშე ნაწილები მეროე დღის ვარაქრატზე შეტევაზე ვადავიდნენ. მე-18 არმიის სარდლის ლესელიძის ნაქემა არტილერისტებმა მთელი საათის ვანმავლობაში ისე უბრტყეს მტრის პოზიციებს და ისე „დაამუშავეს“, რომ იქაურობა სულ მიანგრ-მოანგრეის და ისდა დავგრჩენოდა, ქვეითები შეტევაზე ვადასულოყენენ, როგორც ჩანს მტერი ელოდა ამას და მისადგომები დამთ დაენალოდა, მაგრამ ამან ჩვენი შეტევა ვერ შეაფერხა და ვალე სისარულის მარშით ანაპაში შევედით.

ანაპის ვანთავისუფლებისათვის გამართულ სახელოვან ბრძოლებში ვადამწყვეტი როლი შეასრულა 414-ე ქართულმა მსროლელმა დივიზიამ, რომელმაც მთავარსარდლის მადლობა და „ანაპის“ სახელობის დივიზიის სახელწოდება დაიმსახურა.

სასტიკი, სისხლისმღერელი ბრძოლების შედეგად 21 სექტემბერს ქალაქი მთლიანად იქნა ვაქმენილი ფაშისტებისაგან. ქალაქ ანაპაში საბჭოთა ჯარის ნაწილებმა ხელთ ივდეს დიდძალი სახეებრო ნაღველი, დაატყვევეს სამასზე მეტი მტრის ჯარისკაცი და ოფიცერი. ეს ქალაქი დიდად დაზიანებული დავგვხდა, თუმცა სიმართლე, რომ ითქვას, რომელი ქალაქი, სოფელი თუ სხვა დასახლებული პუნქტი დაუტოვებიათ ამ კანაბლებს დაუზიანებელი და აუოხრებელი? ასეთი დავგვხდა ეს ზღვისპირა ქალაქი-კურორტი. ვერ დაენგრაით მხოლოდ ქალაქში შესასვლელი სიმაგრე-კიშკარი — ოსმალეთის ყოფილი სიმაგრე „ანაპა“, რომელიც აგებული ყოფილა ფრანგი ინჟინრების მიერ 1763 წელს.

ადრიანოპოლის სამშვიდობო 1829 წლის ხელშეკრულების საფუძველზე ეს სიმაგრე „ანაპა“ 1869 წელს რუსეთის მფლობელობაში ვადმოსულა. სიმაგრის კიშკარი — საინტერესო ისტორიული ძეგლია, აღსანიშნავია, რომ ანაპა საბჭოთა კავშირის ცნობილი ერთ-ერთი საუკეთესო საბავშვო კურორტია. საუცხოო სანაპირო, სავაშო სივრტეზე დაბალწყლიანი პლაჟით და შესანიშნავი კლიმატით საუკეთესო პირობებს ქმნის ბავშვთა ორგანიზმის ვაქანსაღებისათვის.

ამიტომაც, რომ ზაფხულობით სანატორიუმების ვარდა აქ არის დასასვენებელი სახლები, პიონერთა ბანაკები და საბავშვო ბაღები. ვანთავისუფლებისთანვე ქალაქი ახალ ცხოვრებას იწყებდა. ვახიზნული მოსახლეობა მიტოვებულ კარ-მიღამის უბრუნდებოდა. ქუდ-

ბის მოხდით გეცნაღმებოდნენ ჩვენ, მათი მშობლიური ქალაქის განმათავისუფლებლებს. საგულისხმო და საინტერესო ის იყო, რომ ანაპაზე თავდასხმა, იეროში და მისი ალება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ვაოგნებულმა მტერმა ვეღარ მოასწორო ნაძარცვი სიმდიდრის გატაცება და ამ ქონებით დატვირთული ორი ათეული გემი ისევ დარჩა ნავსადგურში, ხოლო ქალაქის სამხედრო კომენდანტი მთიორი მეტელი და მისი მოადგილე იმ დროს იქნენ შეპყრობილნი, როცა ისინი მანქანით გასაქცევად ემზადებოდნენ.

ანაპის მიდამოებში გაშენებული ვენახის ზერები შედარებით მოვლილი იყო და ყურძენი ზლომად ესხა.

ორი დღე დაიწვევით, სანიტარული დღე მოვაწყვეთ და თავი წესრიგში მოვიყვანეთ, მივკვრის, რომ ცოცხლებთა შორის წელგამართლენ და დავდივართ, რადგან „მცირე მიწაზე“ ნაბრძოლი მეომრები, რომლებიც სასწაულად გადღვრილი ნაძებების, ჭურვების, ბობებებისა და ტყვიების თქმეს, დანატრებულნი ვიყავით ყოველგვარ ადამიანურ სიყუთესა და სიმშვიდეს...

გონებაში კინოფირის ლენტივით ვაივლებს მაშინდელი ქარცეცხლიანი პერიპეტეიები, კომმარტული, არადადამიანური დღეები, წარამზარა თხუნულასავით მიწაში ძრომა და ტყვიყუმბარისაგან სიცოცხლის ხსნისათვის თავის შეფარება, რადგან ეს სიცოცხლე საჭიროა ბრძოლისათვის, გამარჯვებისათვის და საქმულელი მტრისაგან სამშობლოს დახსნისათვის.

ყველა ჩვენთაგანი ერთადღე ვიგონებთ იმ რაინდ ბაჰებს, რომლებიც ვმირულად ბრძოლების ველზე დაეცნენ, სამშობლოს გადარჩენას მსხვერპლად შეეწირნენ.

ელვის სისწრაფით გავრცელდა ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში „მცირე მიწაზე“ უმავალითო გმარობისა და გამარჯვების ამბავი, რის შედეგად განუწყვეტლივ მოდიოდა მოსალოცო წერილები და დეპეშები. რომ კვლავ გვესახელებია სამშობლო და მტრისთვის საბოლოო დამარცხება თავისისვე ბუნავში მოგვეყენებია.

მესამე დღეს ჩვენ ტამანისაკენ დავიძარით.

ტამანის განთავისუფლება

1 ოქტომბერს დიწყო შეტევა გირლიანაის სიმაგრეებზე — ეს იყო უკანასკნელი თავდაცვის ზღუდე ტამანის მისადგომებთან, „კისფერი ხაზის“ ერთ-ერთი დასაყრდენი პუნქტი. გერმანელებმა იცოდნენ, თუ გირლიანაის მთის სიმაგრეებს დაკარგავდნენ, დამარცხება გარდაუვლი იყო, ამიტომ სახელდახელო აეგოთ დამატებითი სიმაგრეები, მაშველი ძალებიც გამოეწვიათ.

ზე დაიწყო, პირველი ცეცხლი „კატიუშებმა“ გახსნეს, ამოქმედდნენ ქვემეხები და ნაღმსატყორცნები. მთელი დღე-ღამის განმავლობაში უშენდნენ მტრის სიმაგრეებს. შემდეგ ქვეითებმა იცოინდეს, ფლანგებიდან შემოუარეს და სეტყვასავით დააყარეს ტყვია გასაქცევად გამზადებულ ფაშისტებს.

მალე დაეცა კიდევ ერთი სიმაგრე — გირლიანაის მთა, ტამანის ნახევარკუნძულის გასაღები. ჩვენი ჯარების შეტევის მიუხედავად მტერი იოლად მაინც არ სტოვებდა საცეცხლე წერტებს, ყოველნაირად ცდილობდა ოდნავ მაინც განემტკიცებინა შერყეული თავდაცვა და შეეჩერებინა საბჭოთა ჯარების წინსვლა, თავი მოუყარა დარბეულ რეზერვებს და კონტრიეტივი წამოიწყო. მაგრამ რა ძალას უნდა შეეჩერებინა ჩვენი ძლევათისილი, გამარჯვების რწმენით აღფრთოვანებული საბჭოთა მეომრების უმავალითა წინსვლა..

ჩვენი მოიერიშები მოხერხებულად და ვინიერულად მიიწვედნენ წინ, კვალდაკვალ მისდევდნენ მტერს, არ აძლევდნენ გამარჯვების საშუალებას. დიდ როლს ასრულებდნენ მესანგრეთა სპეციალური ჯგუფები, რომლებიც სწრაფად და უნარიანად ვცნეზყოფდნენ დანაღმულ ველებს და გზებს; მათ ნაკვალევზე უშიშრად და იმედინად მიაბიჯებდნენ ჩვენი მეომრები.

ბრძოლაში ჩაბმულ შენაერთებისა და ნაწილების სწორი ორგანიზაციის შედეგად, დიდი ყურადღება ექცეოდა დაქირლებს, მათს საიმედო გადაყვანას უნარიანად წარმართავდნენ სანიტარული სამსახურის მუშაკები.

ჩრდილოეთ კავკასიის საბოლოო განთავისუფლება ტამანის ნახევარკუნძულის ალება დადავირგვინა. მე-18 სადესანტო არმიამ ამ საქმეშიც ისახელა თავი. ორი დღე-ღამის განუწყვეტელი ბრძოლით რიგინად შეეჩრთნენ მტრის ძალები. ამ ხნის განმავლობაში მოწინააღმდეგის თავდაცვის ზღუდეებს გრიგალისებურ ცეცხლს აყრიდნენ „კატიუშები“ და შორისმროლეული არტილერია, ხოლო ჰაერში მოზიკიერ საბჭოთა ავიაციის მასირებული თავდასხმები ზაგვალს შენევედა ისედაც დამფრთხალ ფაშისტებს.

ძლიერი წინააღმდეგობის მიუხედავად, ტამანის მისადგომები ვაპარლებით, 8 ოქტომბერს ჩვენი მეომრები ქალაქის ქუჩებში იბრძოდნენ. საღამოს 9 საათისათვის ტამანი ვიწმინდა მტრის ნაწილებისაგან. გადარჩენილმა ფაშისტებმა ქერჩის სრუტეს შეაფარეს თავი.

9 ოქტომბერს ქალაქის თავზე გამარჯვების წითელი დროშა აფრიალდა, იმავე დღეს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი

შოთა ზაპარიაძე
„მცირე მიწაზე“

საარტილერიო მოშალება დილის 7 საათ-მავსი თვე „მცირე მიწაზე“

მოსკოვი სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს ორასოცდაათხუთე ქვემეხის ოცი საარტილერიო ზალბით ჩვენს მამაც ვარებს და ფლოტის შენაერთებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ტამანის ნახევარკუნძული.

ქალაქის განთავისუფლების დროს ჩვენმა ნაწილებმა დაატყვევეს 4000 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდეს 1300 საარტილერიო ქვემეხი, 92 ტანკი და სხვა უმარაგი ნადავლი.

ტამანისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი 252-ე, მსროლელი პოლკის, 299-ე საარტილერიო პოლკის, 255-ე საზღვაო ქვეითი ბრიგადის და 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეომრებმა.

დამთავრდა კავკასიისათვის გმირული ბრძოლების დიადი ეპოპეა. მტკიცედ მიაბიჭებდნენ გამარჯვებულ საბჭოთა მეომრები და ქერჩის ნახევარკუნძულის განთავისუფლებაზე ფიქრობდნენ.

ტამანზე ვიდღესასწაულეთ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26-ე წლისთავი, სამშობლოს ყველა კუთხიდან მოდიოდა მისალმებათა ნაკადი, მშრომელები უსაზღვრო სიხარულს განიცდიდნენ კავკასიის კარიბჭესთან მტრის განადგურებით. განსაკუთრებით აღფრთოვანებას გამოთქვამდნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის მშრომელები, მათგანვე მოდიოდა საოქტომბრო საჩუქრები, ამანათები. ხშირად ვლემულობდით პიონერების გულთბილ წერილებს.

6 ნოემბერს, ტამანზე, რადიოთი მღვღვარებით მოვისმინეთ ი. ბ. სტალინის საოქტომბრო მილოცვა საბჭოთა ხალხისა და შეიარაღებული ძალებისადმი; უმაღლესი მთავარსარდალი ანალოზს უყუებდა განვილი გრანდიოზულ ბრძოლებს, მიესალმებოდა და ოქტომბრის დღესასწაულს ულოცავდა სამშობლოს სახელოვან განმთავისუფლებლებს — ხაზს უსვამდა შავი ზღვიდან ბარენცის ზღვამდე გადა-

ვიშული ვრცელი ფრონტის ყველა ბრძოლით მოპოვებულ წარმატებებს.

უსაზღვრო სიამაყისა და მადლიერების გრძნობით ვისხენიებდით ღრმა ზურგში მყოფი მშრომელი ადამიანების გმირულ შემართებას, რომლებსაც ფასდაუდებელი წვლილი შეჰქონდათ საბჭოთა არმიის საბრძოლო წარმატებებში.

7 ნოემბერს განთავისუფლებულ ქალაქ ტამანში გაიმართა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 26-ე წლისთავისადმი მიძღვნილი სამხედრო პარადი. ზემოში მონაწილეობდა ქალაქის მოსახლეობაც. დიდი იყო მათი აღფრთოვანება, განთავისუფლებით გამოწვეული სიხარული, გულში იკრავდნენ და ეხვეოდნენ საბჭოთა მეომრებს.

ეს იყო დიდი ზემი, მამაკურთხე ბრძოლით მოპოვებული ზემი. იმ დაუვიწყარ დღეებში იქ ჩამოვიდა მზიური საქართველოს მშრომელთა დელეგაცია. ზემის ესწრებოდნენ მთავარბანაკის წარმომადგენლებიც. მათ ჩილდობი გადასცეს მებრძოლებს, რომლებმაც თავი ისახელეს განვილი ბრძოლებში. მთავრობამ ღირსეულად შეაფასა სახელოვან მეომართა ბრძოლისუნარიანობა და წარმატება უსურფა მათ მომავალ საბრძოლო გზაზე.

ტამანისათვის ბრძოლა დიდი სიმამულ ომის ისტორიაში ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო, იგი საბჭოთა მეომრების სახელოვანი გამარჯვებით დამთავრდა.

დიბ, წარმატებით დამთავრდა ნოეორთისის-ტამანის ოპერაცია, რომელტც 1943 წლის 9 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე გრძელდებოდა. ამ ერთი თვის განმავლობაში მტერმა ყუბანის პლაცდარმზე მარტო მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაახლოებით სამოციათასი კაცი დაკარგა.

საბჭოთა ჯარების ძლევამოსილი წინსვლა გრძელდებოდა...



გავიმარჯვეთ, ცხია-ცხია მარია,
ღუგალობოთ სამშობლოს მინდორ-ველს...
შენი მგერი, ჩემი მგერი მკვდარია,
ჩვენი მოსვრა ან კი როგორ ინდომეს?

ანა კალანდაძე

პალეოინი მატარაბე, პახანე გუკული

ქართული და პოლონელი პარტიზანების სპეციალური თანამშრომლობის ისტორიიდან

(ქართული პარტიზანი „ჩარნი ვოლოდი“ პოლონეთში)

ქართველი პარტიზანების საგმირო საქმეები იტალიაში, პოლონეთში და საფრანგეთში ჩვენს მკითხველისათვის კარგადაა ცნობილი, რადგან მათ ქართულ ენაზე მიეძღვნა მრავალი ნარკვევი, ბროშურა და ათობით სავანეთო წერილი. ქართველმა პარტიზანებმა თავი ისახელეს აგრეთვე პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაშიც. ამის საილუსტრაციოდ ის ფაქტიც კი იკმარებდა, რომ 1971 წელს ვარშავაში პოლონურ ენაზე დაბეჭდილ ვიოჩებ სულევსკის 240 გვერდიან წიგნში „ხმები შორიდან“ სავანებუ სათაურით გამოყოფილი 20 გვერდიანი ნარკვევი — „ჩარნი ვოლოდი“ — დამოხმობილი აქვს ქართველ პარტიზანს „შავ ვოლოდიას“ (ვლადიმერ მნელაძეს),¹ ხოლო პოლონელმა რეჟისორმა ბარბარა სოკოლევამ „შავი ვოლოდიას“ რაზმის საგმირო საქმეებს სპეციალური ფილმი უძღვნა.

სამწუხაროდ, პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ქართველი პარტიზანების საქმიანობის თაობაზე ჩვენმა მკითხველმა თითქმის არაფერი იცის. რა თქმა უნდა, რამდენიმე მკირე ცნობა, რომელიც ამ საკითხზე ჩვენს გაზეთებში დაიბეჭდა, საქმის ვითარებას არ ცვლის. ეს საკითხი კვლევის საგნად დღემდე არაღის გაუხდია.

* * *

გ. მნელაძისა და მისი რაზმის მოღვაწეობის სურათის აღსადგენად ჩვენ დიდი დახმარება გავიწვია ვ. სულევსკის დასახელებულმა ნაშრომმა. მართალია, ვ. სულევსკის წიგნი მხატვრული სტილით დაწერილი ისტორიული ნარკვევაა, სადაც ავტორი ტექსტში წყაროებზე მითითებას არ ახდენს, მაგრამ წიგნში გვხვდებით ისტორიულ ფაქტებზე ზუსტ მითი-

თებას, რომელიც სხვა წყაროებითაც დასტურდება, რაც საეჭვოს არ ხდის ავტორის განცხადებას წიგნის შესავალში, რომ იგი ემყარებოდა „დოკუმენტებს, რელიკიებსა და პარტიზანების ნაშრომებს“,² აღსანიშნავია, რომ ვ. სულევსკი ქართველ პარტიზანს ვ. მნელაძეს პირადად არ იცნობდა და არც მისი მოგონებით უსარგებლია. ეს ვარაუზება ცხადყოფს, რომ პოლონური საარქივო მასალები მდიდარ ცნობებს უნდა შეიცავდნენ ქართველი პარტიზანების შესახებ. ჩვენ არც იმ ფაქტის დაფარვა გვინდა, რომ ვ. სულევსკის წიგნში რიგი უზუსტობანიც გვხვდება, მაგრამ ეს ოდნავადაც არ ამცირებს ხსენებული ნაშრომის ღირსებას.

გ. მნელაძის პარტიზანული რაზმის ისტორიის აღსადგენად ჩვენ გამოვიყენეთ აგრეთვე პოლონურ სამეცნიერო ლიტერატურაში დაცული ცნობები,³ ვ. მნელაძის პირადი საქმე,⁴ ქართველი პარტიზანის ნაშრომები და სხვა მასალები.

* * *

ვლადიმერ ამბაკოს ძე მნელაძე დაიბადა 1916 წლის 15 მაისს ჩოხატაურის რაიონის სოფ. ბურნათში, გულზის ოჯახში. დაწყებითი განათლება ვ. მნელაძემ შშოპოლიურ სოფელში მიიღო, ხოლო შემდეგ სწავლობდა თბალისის 39-ე საშუალო სკოლაში, რომელიც დამთავრა 1938 წელს და იმავე წელს ჩაირიცხა თბალისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკულ ფაკულტეტზე.⁵

1939 წლის 12 სექტემბერს ვ. მნელაძე მოხალისედ წავიდა წითელ არმიაში და ჩაირიცხა 347-ე საარტილერიო პოლკში ქ. ბარნაულში, ხოლო შემდეგ სწავლობდა ქ. სვერდლოვის ქვეით სასწავლებელში, საიდანაც ვაიჯანა

ფინეთის ომში. 1940 წლის თებერვალში, ქ. ვიბორგთან ბრძოლაში, ვ. ძნელაძე დაიჭრა და მკურნალობდა ქ. ლენინგრადში. ვაშთაჩნობის შემდეგ ვ. ძნელაძე ვაგზავენს საკავალერიო სასწავლებელში, სადაც 1941 წლის მაისში მიენიჭა უმცროსი ლეიტენანტის წოდება⁷ და გაიგზავნა დასავლეთის საზღვარზე მე-16 არმიის 508-ე პოლკში, სადაც დაინიშნა მხვერავი ცხენოსანი ოცეულის უფროსად.⁸

1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანია, რომელმაც დაარღვია 1939 წლის ხელშეკრულება, ვერაგულად დაესხა თავს ჩვენს ქვეყანას. ომმა ვ. ძნელაძეს მე-16 არმიის რიგებში ყოფინას მოსწრო და იგი მალე ჩაება ბრძოლაში. 1941 წლის აგვისტოში ვ. ძნელაძე დაიჭრა ველიციე ლესითან წარმოებულ ბრძოლაში და იგი სამკურნალოდ გაიგზავნა, ხოლო 1941 წლის სექტემბერში ვ. ძნელაძე ისევ ფრონტზეა, ამჯერად 25-ე დივიზიის მე-100 პოლკის ცხენოსანი ესკადრონის უფროსია. 1941 წლის დეკემბერში ქ. მოსკოვთან წარმოებულ ბრძოლაში ვ. ძნელაძე მესამედ დაიჭრა, ხოლო 1942 წლის მაისიდან იგი მე-13 საკავალერიო კორპუსის შემადგენლობაში იბრძვის დასავლეთის ფრონტზე.⁹

დასავლეთის ფრონტზე ცხენოსანი ნაწილის ერთ-ერთი რეიდის დროს 1942 წლის ოქტომბერში ვ. ძნელაძე დაიჭრა¹⁰ ქ. რეჟვან (სოფ. ნეკრასოვი),¹¹ სადაც ქართველი ოფიცერი შეიფარეს ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა, მაგრამ ფაშისტებმა კვალს მიაგნეს და იგი შეიპყრეს.¹²

* * *

ვ. ძნელაძე ერთხანს იმყოფებოდა ბარანოვიჩის ტყვეთა ბანაკში, საიდანაც 1942 წლის ბოლოს გადაიყვანეს კრუშინის (რადომის რაიონი, პოლონეთი) ტყვეთა ბანაკში. 1943 წლის მაისში ტყვეები მუშაობდნენ კრუშინის ახლოს, სადაც მათთან, რადომის რაიონში მოქმედი ლიუდოვის გვარდიის რაზმების უფროსის იუზეფ იაროშას (ზედმეტი სახელი „ვიცკა“) დეკლემბით, კავშირი დაამყარა პოლონეთის მუშათა პარტიის აქტივისტმა იუზეფ კუტოლამ. ტყვეები წინასწარ გააფრთხილეს, რომ ბანაკზე შეტევას დაიწყებდნენ პოლონელი პარტიზანები, რაც უნდა გამოეყენებინათ ვასაქცევად. 1943 წლის მაისში კონოხოვიჩის სახელობის ლიუდოვის გვარდიის რაზმებმა იუზეფ იაროშას („ვიცკა“) და პენრიხ შოსტაკის (ზედმეტი სახელი — „რიკევი“) მეთაურობით დაიწყეს იერიში კრუშინის ტყვეთა ბანაკზე, ამით ისარგებლეს წინასწარ გაფრთხილებულმა ტყვეებმა და 18 ქართველი (მათ შორის ვ. ძნელაძეც) გაიქცა.¹³

გაქცულ ტყვეთა ერთი ნაწილი, ვ. გუჩუას

მეთაურობით, აღმოსავლეთით წამოვიდა, რათა გადმოსულიყო ბელირუსიაში,¹⁴ ხოლო ვ. ძნელაძე და ნ. გიორგაძე დარჩნენ კონიენიციის ტყვეებში, სადაც თავი მოუყარეს ბანაკებიდან სხვადასხვა დროს გაქცეულ ქართველებს და ჩამოაყალიბეს რაზმი, რომლის მეთაურად არჩეული იქნა ვ. ძნელაძე, კომისრად ვ. ჯაფარიძე (ამჟამად ცხოვრობს ბათუმში), ხოლო შტაბის წევრად ნ. გიორგაძე (ამჟამად ცხოვრობს ქუთაისში).¹⁵

ვ. ძნელაძის რაზმი კონიენიციის ტყვეებიდან გაემართა ჩრდ. დასავლეთით და შეიწერდა გრაბოვსა და პილიციის შორის ტყეში, სადაც თავს დაესხნენ გერმანელთა ადამს, ვანადგურეს გამცილებელი რაზმი და წართმეული პურის უჭველი დაუბრუნეს ადგილობრივ მოსახლეობას, რამაც დიდად გაზარდა ქართველ პარტიზანთა რაზმისა და მისი მეთაურის („შავი ვილოდიას“) პოპულარობა პოლონელთა შორის.¹⁶

1943 წლის მაისში ვ. ძნელაძემ მიიღო ბრძანება „ვიცკასკან“ (იუზეფ იაროშა) გრაბოვის საპოლიცო პოსტის განადგურების შესახებ. ქართველმა პარტიზანებმა გადაიციეს „ოსტლევინის“ ჯარისკაცების ფორმა და სოფელ გრაბოვში პირველი შეიქრნენ: ვ. ჯაფარიძე, ვ. ვასაძე და ნ. გიორგაძე. თავრაცია წარმატებით დასრულდა. სულ მალე რაზმმა ჩაატარა ახალი საბრძოლო ოპერაცია რკინიგზის ხაზზე გარბატის ახლოს, რასაც მოყვა ემელიონის ჩავარდნა და მოძრაობის შეჩერება.¹⁷

1943 წლის ივნისში, მსხვილ საბჭოთა პარტიზანულ შენაერთებთან დაკავშირების მიზნით, ვ. ძნელაძის რაზმი გადმოვიდა მდ. ვისლის მარჯვენა ნაპირზე. ადგილობრივ მცხოვრებთა ჩვენებით საბჭოთა პარტიზანული რაზმები იმყოფებოდნენ დომამევიჩის ახლოს პულავსკის ტყეში, მაგრამ, სამწუხაროდ, იქ საბჭოთა პარტიზანული რაზმები ვერ იპოვეს, რადგან ისინი გადანაცვლებული აღმოჩნდნენ აღმოსავლეთით, ამიტომ ვ. ძნელაძის რაზმის შემდგომი მოქმედება წარიმართა ისევ დასავლეთით დემბლინ-ვარშავის რკინიგზის ხაზზე, ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ გადაიდნენ ბუჟინის ახლოს ტყეში და საბრძოლო ოპერაციებს ატარებდნენ ეჩინისა და რიკის შემოგარენში. 1943 წლის აგვისტოში „შავი ვილოდიას“ რაზმი ბრძოლებით მივიდა ბელო პოდლიასკამდე (გვამი უსაფრდებოდა და ანადგურებდა მტრის ტექნიკასა და ცოცხალ ძალას).¹⁸

ეჩინისა და რიკის რაიონებში მოქმედებისას ვ. ძნელაძის რაზმმა კვლავ აღადგინა კავშირი ლიუდოვის არმიის რაზმებთან ვ. ძნელაძესთან ერთად მოქმედებდნენ ცნობილი პოლონელი პარტიზანები: იულიან გრანშტოფი (ზედმეტი სახელი — „ისტარები“), იან კოვე-

ნოესკი, პოლონეთის მუშათა პარტიის მონსკ-პოზნეცის საოლქო კომიტეტის მდივანი სტანისლავ დომბროვსკი („ბეოზა“) და სხვ. რამდენიმე პოლონელი პარტიზანი შეუერთდა ვ. ძნელაძის რაზმს და ქართველებთან ერთად იბრძოდა.¹⁹

ოლანიშნავია, რომ ვ. ძნელაძის რაზმში სხვადასხვა დროს იბრძოდნენ პოლონელი პარტიზანები: მეჩისლავ ვიტკოვსკი, თეოფილე ოკრასინსკი, სტანისლავ შვაი, ოჯუნი, იან ჩიხეცი, ნეელოჩნი, სტანისლავ ბონოსიუცი, მიხაილ ტიხეცი, ირინა ვიტკოვსკა, სოფია დუდევიჩი, პშეპიურკა და ცნობილი ვარშაველი პარტიზანი „ოტრჩიკი“.²⁰

1943 წლის აგვისტოს პოლონ ვ. ძნელაძის რაზმი ბანაკად იდგა დომშევიჩის ახლოს, როცა მასთან მივიდა ერთ-ერთი საბჭოთა პარტიზანული რაზმის უფროსის ფეოდორ კოვალიოვის (ზედმეტი სახელი „ფედი“) მიერ გამოგზავნილი პოლონელი მეკავშირე მეჩისლავ ვიტკოვსკი (ზედმეტი სახელი „სტალი“). ფ. კოვალიოვი ვ. ძნელაძეს თავაზობდა ძალების გაერთიანებას, მაგრამ ვ. ძნელაძეს არ შეეძლო პარტიის ტყვეებში (სადაც იმყოფებოდა ფ. კოვალიოვის რაზმი) გადასვლა, რადგან დაქრობის საიარული არ შეეძლოთ.²¹

1943 წლის ნოემბერში ქართველი პარტიზანების ერთი ნაწილი ჩამოშორდა ვ. ძნელაძის რაზმს და წამოვიდა მდ. ბუგის მიმართულებით, რათა დიდი თოვლის დადებამდე მოეწროთ ბელორუსიაში გადმოსვლა.²² ვ. ძნელაძესთან დარჩნენ მისი თანამებრძოლები ნ. გიორგაძე და ვ. ჭავჭავაძე, რომელთაც მოუსხდათ რაზმის ხელახლა ფორმირება კოზინციის ტყეებში (მდ. ვისლის დასახლებულ ნაპირზე). აქ ვ. ძნელაძემ თავი მოუყარა კრუშინის, რადომისა და კოზინციის ტყეებთან ბანაკებთან გამოქცეულ ქართველებს (დაახლ. 25 კაცი). კოზინციის ტყეებში ვ. ძნელაძის რაზმი დარჩა 1943 წლის დეკემბრის შუა რიცხვებამდე, რის შემდეგ გადმოიხიდა მდ. ვისლა და დაეცა პარტიის ტყეებში. აქ შეხვდა ფ. კოვალიოვის („ფედი“) და დაიწყო ერთობლივი მოქმედება. ვ. ძნელაძის რაზმი მოქმედებდა ობოლსკის მიდამოებში. ამ დროიდან იწყება ცნობილი „რელსების ომი“, რომელშიც ვ. ძნელაძის რაზმი აქტიურად მონაწილეობდა. ქართველ პარტიზანებს მატარებლების განრიგს აცნობდნენ პოლონელი პარტიზანები იან შვაი და თეოფილე ოკრასინსკი, მეკავშირის მეჩისლავ ვიტკოვსკის („სტალი“) მეშვეობით, რაც განპირობებდა ქართველ პარტიზანთა საბრძოლო ოპერაციების წარმატებას. ქართველთა რაზმის მიერ აფეთქებული იქნა ორი სამხედრო ეშელონი.²³

ქართველი პარტიზანების მოქმედება იმდენად ეფექტური იყო, რომ ვ. სულევსკის

განცხადებით ადგილობრივი მცხოვრებლები „არასოდეს დივიწყებენ ქართველს პარტიის ტყეებიდან“.²⁴

პოლონელები საგანგებოდ აღნიშნავენ რაზმის მეთაურის ვ. ძნელაძის გამბედაობას. რომელმაც პარტიის ტყეებში ველურად გატყუცილზე პირადად მოკლა ვესტრპოლი ოფიცერი ვიგნერი, რომელიც ცნობილი იყო თავისი სისასტიკით ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ. ვიგნერის გვამი ვ. ძნელაძემ დატოვა გზაზე და მკერდზე ქართულად გაუკეთა ასეთი წარწერა: „სიკვდილი ფაშისტებს“.²⁵

პოლონეთში იმდენად პოპულარული იყო ვ. ძნელაძე, რომ გერმანელებმა მისი სურათი წარწერით „ბანდიტი ვალოლია“ გამოაქრეს სოფლებში და მისი თავისათვის პირდებოდნენ 10.000 მარკას. ერთ-ერთი ასეთი სურათი დღეს ვ. ძნელაძის საოჯახო არქივშია დაცული.²⁶

1944 წლის თებერვალში ვ. ძნელაძის რაზმი, ფ. კოვალიოვის რაზმთან ერთად, დაიძრა აღმოსავლეთისაკენ და 19-20 მარტს ღამით გადმოიხიდა მდ. ბუგი და შეუერთდა საბჭოთა კავშირის გმირის ა. ფეოდოროვის საბჭოთა პარტიზანულ შენაერთს.²⁷

ა. ფეოდოროვის საბჭოთა პარტიზანულ შენაერთში ვ. ძნელაძე დაინიშნა ასეულის უფროსად, მაგრამ აქ დიდხანს არ დარჩენილა. 1944 წლის გაზაფხულზე იგი ა. ფეოდოროვის რეკომენდაციით გადავიდა პოლოცნიკ ნ. პროკოპიუკის (ამჟამად საბჭოთა კავშირის გმირი, თადარიგის გენერალ-მაიორი) პარტიზანულ ბრიგადაში, სადაც დაინიშნა დაზვერვის უფროსად.²⁸ ნ. პროკოპიუკის ბრიგადა ემხდებოდა პოლონეთში რეიდისათვის, მას უნდა გაეყოლო პოლონეთი, გასულყოთ გალიციაში და მიეღწია კარპატების თემებში ბეციადის მთა-გრებილისათვის. რეიდის დროს პოლონეთის ტერიტორიაზე იანოვის ტყეებში ბრიგადამ დიდი ბრძოლები გადაიხიდა 1944 წლის 9-25 ივნისს.²⁹

აღსანიშნავია, რომ პოლონეთის ტერიტორიაზე ვ. ძნელაძის ხელახლა გამოჩენამ ადგილობრივი მოსახლეობის აღტაცება გამოიწვია — ისინი ამბობდნენ: „შვი ვალოლია არ მომეცდარა“, „შვი ვალოლია ცოცხალია“.³⁰

იანოვის ტყეებში 9-25 ივნისს ნ. პროკოპიუკის ბრიგადის წინააღმდეგ გერმანელმა ფაშისტებმა დიდი ცოცხალი ძალა და ტექნიკა გადაისროლეს, რომელსაც მხარს უჭერდა ავიაცია. დიდი ბრძოლები გაიმართა ბრიგადის მარცხენა ფრთაზე, სადაც იბრძოდა 30 ქართველი და პოლონელი ჯგუფი (მარცხენა ფრთაზე

3. მახარამი, ვ. გურული
ქართველი და პოლონელი პარტიზანების საბრძოლო თანამებრძოლის ისტორიიდან

ცოცხალი გადარჩა მხოლოდ 2 ქართველი და 4 პოლონელი). ვ. ძნელაძის მხვერავმა რაზმმა ოპერაცია ბრწყინვალედ ჩაატარა — დაატყვევა გერმანელთა საარტაქლერით შტაბი და წამოიღო ოთხი ქვეყმები.³¹

ინოვაციური ტყეში ბრძოლებას შემდეგ ნ. პროკოპიუკის ბრიგადა გვიდა გალიციაში და მიაღწია ბესკიდის უღელტეხილს (კარპატებში), საიდანაც გადავიდა ჩეხოსლოვაკიაში, სადაც მონაწილეობა მიიღო დუქლოს უღელტეხილისათვის წარმოებულ ცნობილ ბრძოლაში. აღსანიშნავია, რომ აქ ვ. ძნელაძემ შეიპყრო გერმანელი მაიორი, რომელსაც აღმოაჩნდა დუქლოს უღელტეხილის ერთ-ერთი გამარბული რაიონის გეგმა, რომელმაც დიდი სამსახური გაუწია ჩვენს შენაერთებს უღელტეხილზე შეტევის დროს.³²

1944 წლის სექტემბერში ნ. პროკოპიუკის ბრიგადამ მონაწილეობა მიიღო სლოვაკიის ცნობილ აჯანყებაში.³³

1944 წლის სექტემბერში ნ. პროკოპიუკის ბრიგადა შეუერთდა უკრაინის მეოთხე ფრონტის ჯარებს, საიდანაც ვ. ძნელაძე გადაგზავნილი იქნა ლევის ოლქში ოპერატიულ სამუშაოზე, ხოლო შემდეგ — უკრაინის კვ ცკ-ს განკარგულებაში და დინიშნა იმერეკაპატებში წითელი გვარდიის უფროს ინსტრუქტორად, პარალელურად სამხედრო საქმეს ასწავლიდა პარტიულ სკოლაში.³⁴

1946 წელს ვ. ა. ძნელაძე დემობილიზაციით დაბრუნდა თბილისში, დამათვრა სა-

სოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი და დღემდე სამეურნეო სამუშაოზეა.

პარტიზანულ ბრძოლებში გამოჩენილი მამაციობისათვის ვ. ძნელაძე დაჯილდოებულია: „წითელი დროშის ორდენით“, „წითელი ვარსკვლავის ორდენით“, მედლით „სამამულო ომის პარტიზანი“ (პირველი ხარისხი), პოლონური ჯილდოებით — „ჯარი მამაციობისათვის“ და „პოლონელი პარტიზანი“, ჩეხოსლოვაკიის ჯილდოთი — ვიმპელი „დუქლის უღელტეხილის ბრძოლისათვის“, გარდა ამისა, ვ. ძნელაძეს მიღებული აქვს 7 მედალი და მრავალი სიგელი, იგი არჩეულია ქ. პრეშევის (ჩეხოსლოვაკია) საპატიო მოქალაქედ. ვ. ძნელაძე პოლონეთის მთავრობამ ოთხჯერ მიიწვია საპატიო სტუმრად, ხოლო ჩეხოსლოვაკიის მთავრობამ — ორჯერ. პოლონეთი მასზე შეიქმნა ორი დოკუმენტური ფილმი.

თუმცა პოლონურ სამეცნიერო ლიტერატურასა და პრესაში ვ. ძნელაძე ხშირადაა მოხსენიებული და მისი პორტრეტც პოლონურ წიგნებში მრავალჯერს დაიბეჭდა, მაგრამ ვ. ძნელაძის რაზმის მთელი საქმიანობა სათანადო ხისრულით ჯერ არც პოლონურ ლიტერატურაშია შესწავლილი.

ქართველი პარტიზანების მიერ პოლონეთის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღვრილი სისხლი აღუდგაბებს პოლონელი და ქართველი ხალხების შეგობრობას, რომელსაც ღრმა ისტორიული ფესვები და დიდებული ტრადიციები აქვს.

შ ე ნ ი შ ე ნ ე ბ ი :

1 ვ. სულევსკი, ხმები შორიდან, ვარშავა, 1971, გვ. 53-74 (პოლონურ ენაზე).

2 იქვე, გვ. 19.

3 ამ შრომების ჩამოთვლა შორის წაგვიყვანდა. ეს ტექნიკურადაც შეუძლებელია.

4 თბილისის ორჯონიძის სახ. რაიონის სამხედრო კომისარიატის არქივი, უმცროს ლეიტენანტ ვ. ძნელაძის პირადი საქმე № 14922.

5 ვ. ძნელაძის ნაამბობი (ჩანაწერი ინახება ჩვენთან).

6 თბილისის ორჯონიძის სახ. რაიონის სამხედრო კომისარიატის არქივი, საქმე № 14922.

7 ვ. სულევსკის წიგნში ვ. ძნელაძის სამხედრო მოღვაწეობის პირველი პერიოდის გაშუქებისას შეინიშნება უზუსტობანი. იქ საქმე ისეა წარმოდგენილი, თითქოს ვ. ძნელაძე ფინეთის ომში ოფიცერი იყო და ცხენოსან ესკადრონის მეთაურობდა, რაც სინამდვილეს არ შეეფერება (შდრ. ვ. სულევსკი დას. ნაშრომი, გვ. 55).

8 თბილისის ორჯონიძის რაიონის სამხედ-

რო კომისარიატის არქივი, საქმე № 14922; ვ. ძნელაძის ნაამბობი (პირადი საქმის ძეგნი მონაცემების შეესება აუცილებელი გახდა პარტიზანის ნაამბობით).

9 იქვე.

10 ვ. სულევსკი, დას. ნაშრომი, გვ. 58 (პირად საქმეში ვ. ძნელაძის რეკვიზიტ დაცრის თარაღად მითითებულია 1942 წლის 26 დეკემბერი, მაგრამ ჩვენ პოლონელი მკვლევარის ჩვენება უფრო ზუსტი გვეჩვენება, რადგან პოლონური მასალებით ძნელაძე 1942 წლის ნოემბერში უკვე ტყვეთა ბანაკში ჩანს).

11 იხ. თბილისის ორჯონიძის რაიონის სამხედრო კომისარიატის არქივი, საქმე № 14922.

12 ვ. ძნელაძის ნაამბობი.

13 ვ. სულევსკი, დას. ნაშრომი, გვ. 60-61; ვ. ძნელაძის ნაამბობი.

14 პოლონურ ლიტერატურაში ექტორ გუჩუას ზედმეტი სახელია „ვიკტორი“ (იხ. ვარშავა — პრაგა პოდმიესკა, ვარშავა, 1973, გვ. 9, 741 (პოლონურ ენაზე). დღეს ვ. გუჩუა საქ.

შენ. აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში მუ-
შაობს.

15 ვ. სულევსკი, დას. ნაშრომი, გვ. 62; ვ. ძნე-
ლადის ნაამბობი.

16 ვ. სულევსკი, დას. ნაშრომი, 63-64.

17 იქვე, გვ. 64.

18 იქვე, გვ. 64-65.

19 იქვე, გვ. 66.

20 ვ. ძნელადის ნაამბობი.

21 ვ. სულევსკი, დას. ნაშრომი, გვ. 67.

22 საბჭოთა პარტიზანების სწრაფვა ბუგი-
საგენ საერთო მოვლენა იყო, რომელიც შე-
თანხმებული იყო ლიუდოვის გვარდიის მთა-
ვარ შტაბსა და საბჭოთა პარტიზანული მო-
ძრაობის ხელმძღვანელობას შორის. თუმცა ამ
ნაბიჯის წარმატებით დამთავრება საეჭვო იყო.

23 ვ. სულევსკი, დას. ნაშრომი, 68-69; ვ. ძნე-
ლადის ნაამბობი; გ. ჯაველიძის ავტობიოგრა-
ფია (ინახება ჩვენთან).

24 ვ. სულევსკი, დას. ნაშრომი, გვ. 70.

25 იქვე, გვ. 71.

26 ვ. ძნელადის ნაამბობი.

27 ვ. სულევსკი, დას. ნაშრომი, გვ. 71.

28 გ. ოქრუაშვილი, იანოვის ტყეში, გაზ.
თბილისი, 1969 წლის 28 აპრილი, გვ. 3.

29 ვ. ძნელადის ნაამბობი.

30 გ. ოქრუაშვილი, დას. წერილი, გვ. 3.

31 იქვე.

32 ვ. ძნელადის ნაამბობი.

33 იქვე.

34 იქვე.



ვინ წაგვართვას, ვინ გაბედოს დაგვიჩრდილოს,
ვინ დასწყევლოს ქვეყნად ჩვენი გაჩენა?!
წამოდექით, ვინც წინაპრით გვარიშვილობთ,
ვისაც გერჩით გულიცა და მარჯვენაც!..

იოსებ ნონეშვილი

სპარკაჲ რხევიანული

უკრაინულ პარტიზანთა მხარლამხარ

1942 წლის თებერვალში კოვბაკელები ქალაქ ბუტრივილისაკენ დაიძრნენ. გზად ვავლისას, ღამით, პარტიზანები სოფელ ვარგოლაში გამაგრებულ გერმანელთა გარნიზონს დაესხნენ თავს და მთლიანად გაანადგურეს. ამ სოფლიდან პარტიზანთა რაზმებს მათინ 14 კაცი შეემატა. დღითიდღე ძლიერდებოდა და ძალებს იკრებდა კოვბაკის პარტიზანული შენაერთი. განსაკუთრებით აღაფრთოვანებდა მათ წითელი არმიის წარმატებითი შეტევები ფრონტებზე. პარტიზანები ხან ერთ, ხან მეორე ადგილზე მოულოდნელი თავდასხმებით ფაშისტურ დოვებს თავზარს სცემდნენ, დაუნდობლად სპობდნენ და ანადგურებდნენ მტრის ცოცხალ ძალებს და ტყვენიკას, სურსათ-სანოვავებს, გზებს და ხიდებს, აფეთქებდნენ ეშელონებს. ფაშისტების ფეხქვეშ მთელ დაპყრობილ ტერიტორიაზე მიწა იწვოდა.

16 თებერვალს სუსხიან ღამეში პარტიზანთა მეხუთე ასეულმა კომისარ რუდნევისაკენ ბრძანება მიიღო, შესულიყო სოფელ ლიტვინოვიჩში და იქ მყოფი გერმანულ ფაშისტთა დამსჯელი რაზმი ამოეწყვიტა.

იმ ხანად სოფელში თავისი ცოლ-შვილით კონსპირაციულად ცხოვრობდა რუდნევისა და კოვბაკის მეგობარი, ძველი ბოლშევიკი მიხეილ პავლოვსკი. პარტიოტი კაცი ცოლ-შვილის დახვრეტის შიშით სოფლიდან ვერ გადიოდა. პარტიზან ვანო რეხვიანულის უნდა მოეხერხებინა პავლოვსკის ნახვა, გადაეცა მისთვის რუდნევის წერილი და შემდეგ, როგორც ვითომ ტყვე, ხელეშეკრულთ თოფქვეშ გაეტარებინა სოფელში ხალხის დასახანად და მტრის თვალის ასახვევად, თითქოს ის პარტიზანებში იძულებით გაიტაცეს. ასე იმითომ გააკეთეს, რომ პავლოვსკის ცოლ-შვილი ეხსნათ წამება-აწიოკებისაკენ.

კოვბაკსა და რუდნევეს ზუსტი ცნობები ჰქონდათ გერმანული დამსჯელი რაზმისა და მათი მეთაურის ადგილსამყოფელის შესახებ.

პარტიზანები ღამის ორ საათზე შევიდნენ სოფელ ლიტვინოვიჩში. საშინელი ყინვა და სუსხიანი ამინდი იდგა, სოფელს ეძინა. ვანოს ადგილობრივმა მოხუცმა მიანიშნა ფაშისტ მეთაურთა ბინა. პარტიზანი ჩვეული გამბედაობით მიიჭრა სახლთან, კარი შეაღო და წინ თოფებშემართული რამდენიმე გერმანელი შეეგება. როგორც ჩანდა მათ შეეტყუათ პარტიზანთა სოფელში შემოსვლა და მომზადებულან. ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა, ვანომ თავის დახრა მოასწრო. ვაისმა სროლა, მეტროლს ტყვიების ჭერი ასცდა, მერე, სხვა გამოსავალი რომ აღარ იყო, სახლში შეიჭრა და ხელჩართულ ბრძოლაში რამდენიმე გერმანელი გამოასალმა სიცოცხლეს, დანარჩენები იმდენად შეშინდნენ, ხელის განძრევა ვერ გაბედეს, იარაღი დაჰყარეს და პარტიზანს ტყვედ ჩაბარდნენ. ვანომ აჭერად ორი ტყვე ფრიცი მიიყვანა შტაბში. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა. სანამ გერმანელები ძილისაკენ გამოფხიზლდებოდნენ და ვანოს მოვიდოდნენ, პარტიზანებმა სოფელში მყოფი მთელი დამსჯელი რაზმი გაუღიტეს. ამ ბრძოლის შემდეგ პარტიზანებმა დიდძალი ნადავლი ჩაიგდეს ღელში სურსათისა და იარაღის სახით. ვანო რეხვიანულიმ პავლოვსკი მოიხებნა, გადასცა რუდნევის წერილი, მერე ხელში გაუჭრა და დატყვევებული სოფელში გაატარა. ასე მიიყვანა პავლოვსკი პარტიზანთა შტაბში.

მიხეილ პავლოვსკი სამშობლოს დიდი პარტიოტი და გამბედული კაცი იყო. შემდეგ ის დაინიშნა კოვბაკის მოადგილე მომარაგების დარგში.

სოფელ ლიტვინოვიჩში ისე, როგორც ყველგან, პარტიზანებს აღფრთოვანებით შეხვდა სოფლის მშრომელი მოსახლეობა. რუდნევემ შეკრებილი ხალხის წინაშე წარმოთქვა მგზნებარე სიტყვა, მოუთხორო ფრონტებზე შექმნილი მდგომარეობა, წითელი არმიის სავიბრო ამბები, გააცნო ი. ბ. სტალინის ბრძანებები,

იმდენად ამაღლებული და დამაჯერებელი იყო ლეგენდარული კომისიის სიტყვა, რომ ხალხს მტერზე გამარჯვების რწმენა ჩაუნერგა!

თებერვლის მძიმე დღეები იდგა. საბჭოთა მიწა-წყალზე სასტიკი და უღმობელი ბრძოლები არ ცხრებოდა, ქვეყანა აბოპოკრიფულ ოკეანეს ჰგავდა, ღელავდა და ყოველივე ბოროტის წალეკვას ლამობდა.

საბჭოთა ხალხი და არმია ერთსულოვნად ამღვარიყო ვერავი მტრის დასათრგუნავად, მომხდურ გადამთიელებს ერთ გოჯა მიწასაც არ უთმობდნენ უბრალოდ, მაგრამ მტრის სიკვამლე და იმხანად მათი უკეთესი შეიარაღება ნაშრობლოს საფრთხეში ავდებდა. ფაშისტები წინ მოიწვედნენ, ერთი მხრივ, დევლეთისის დივიზია კავკასიონის მთებს ეპოტირებოდა, მეორე მხრივ, მტერი სტალინგრადსა და მოსკოვს ეშუქებოდა, ქალაქებს ქალაქებზე იღებდა და ცოფმორებული მხეცი ხალხის სისხლითა და ხოცვა-ჟლეტით ევრ ძღვეობდა. ამ საშინელი განსაცდელის ქვამ ღუმუმანს ლახვარს სცემდნენ გულში მტრის ღრმა ზურგში მებრძოლი სახალხო შურისმძიებელი კოვპაკეი პარტიზანები. მათი შეუპოვარი და გაბედული რეიდები მნიშვნელოვნად აფერხებდა მტრის მოქმედებასა და მის შემდგომ წინსვლას ფრონტებზე.

ტყეში თავშეფარებული პარტიზანები ერთ ადგილზე დიდხანს არ ჩერდებოდნენ. მტრისათვის რომ გზა-კვალა აებნიათ, რეიდებს აწეობდნენ ღრმა ზურგში, ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდნენ და უცარი თავდასხმებით მტერს ძილსა და მოსვენებას არ აძლევდნენ, სიცოცხლეს უშუარებდნენ. პარტიზანები გზაში ათულებდნენ და ოცულებდნენ დაყოფილ კოლონებზე მიდიოდნენ. შენიღბვისათვის ღამე მგზავრობას არჩევდნენ, მრავალი საარაკო აზბავი გადახდომიით თავს კოვპაკის ლეგენდარულ პარტიზანულ შენარტის, რომელშიც რუს, უკრაინულ და სხვა მოძმე ერების პარტიზანთა მხარდამხარ ქართველებიც ომობდნენ.

ამ ბრძოლების ერთ-ერთი სახელგანთქმული მონაწილის ვანო რევიავილის გადმოცემით, 1941 წლის შვიდ ნოემბერს მოსკოვის წითელ მოედანზე გამართულ სამხედრო პარაღზე ი. ბ. სტალინის მიერ წარმოთქმულ ისტორიულ სიტყვას იმდენად დიდი გავლენა მოუხდენია მტრის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ საბჭოთა მოქალაქეებზე, პარტიზანთა შეგნებაზე და რწმენაზე, რომ მეთაურებს ტრადიციად გაუხდიათ, თუნდაც დიდი განსაცდელის ქვამ, პარტიზანთა მიერ ვანთავისუფლებულ სოფელში, რაიონში თუ ქალაქში ყოველ სახეიმი დღეს პარტიზანული პარაღი ჩაეტარებიათ და მოსახლეობისათვის ი. ბ. სტალინის სიტყვის შინაარსით გადაეცათ და ამით მშრომელთა და მებრძოლთა იდეური რწმენა

განმტკიცებინათ, მტრის ზურგში მოხვედროლი ფართო მასები საბჭოთა ქვეყნის გამარჯვების დიდი იმედით აღფრთოვანებინათ. უფიწყარია კოვპაკეი პარტიზანებისათვის 1942 წლის 23 თებერვალი. ამ დროს კოვპაკის პარტიზანულ შენარტით ტელმეციის რაიონის სოფელ დუბოვიჩის მახლობლად ტყეში დაბანაკდა. აქ, ძველ მიწურში, შეიკრიბნენ მეთაურები: კოვპაკი, რუდნევი, პავლოვსკი და პარტიზანებთან ერთად მოითათბირეს და გადაწყვიტეს, დილით სოფელ დუბოვიჩის პარტიზანულ ღობა და იქ 23 თებერვალს წითელი არმიის დღის საზეიმოდ აღსანიშნავად პარტიზანული პარაღის ჩატარება. სოფელი დუბოვიჩი კომლთა სიმრავლითა და მოხერხებულ გეოგრაფიული მდებარეობით გამოირჩეოდა. მას ერთი მხრიდან დიდი ტყე ეკვროდა, რაც პარტიზანებს შენიღბვის საშუალებას აძლევდა. სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა პარტიზანებთან ფარულ კავშირში იყო, გერმანელთა ძალადობას და თავაშვებულობას ხალხი ზიხლით ხვდებოდა და ყოველ ხელსაყრელ მომენტში ფაშისტებზე შურს იძიებდა. ხალხის ასეთი მხარდამხარ პარტიზანებს ძალას მატებდა, ამხნევებდა და მტერზე შურისძიების გრძობას უთავიკებდა.

... პარტიზანთა მხვერავებმა იმ ღამითვე დადგინეს სოფელში გამარჯვებული მცირერიცხოვან გერმანელთა რაზმის ადგილსამყოფელი. პარტიზანები დილით ადრე სრულიად მოულოდნელად და ყველასათვის შეუშინებლად შევიდნენ სოფელში, მტრის შტაბ-ბინას ალყა შემოარტყეს და სანამ მძინარე გერმანელები განს მოვიდოდნენ, ხელუშობარობის ზაოქითა და ტყვიებით ისე ამოეყვეს, რომ ამბის წამლები აღარ დატოვეს. პარტიზანთა სოფელში გამოჩენას, როგორც ყოველთვის, ხალხი ახლაც დიდი სიხარულითა და ზეიმით შეხვდა, იყო ხევენა-კოცნა, სიმღერა და ცეკვა-თამაში. ბრძოლებითა და შიმშილ-წყურვილით ქანც-გამოღუღლმა პარტიზანებმა დუბოვიჩში ცოტა ხნით შეისვენეს, მოსახლეობამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მამაც პარტიზანებს. ზოგს სურსათ-სანოვადე მოქონდა მათთვის, ზოგს — თბილი ტანსაცმელი.

სოფელ დუბოვიჩში იმხანად საზეიმი ვითარება სუფევდა. პარტიზანებმა განაცხადებარაალი უნდა კავატაროთ. სოფლის ცენტრში ხალხის თავყრილობის ადგილზე სახელდახლო ტრიბუნა გამართეს. ხალხი ქუჩებში გამოვიდნენა. დღის ოთხ საათზე ტრიბუნაზე ავიდნენ მეთაურები: კოვპაკი, რუდნევი, კულბაკი, მატუშენკო და სხვები. კოვპაკმა სიტყვით მობართა ხალხს, უამბო წითელ მოედანზე ჩატარებულ

საბრტაკ რევიავიშვილი

შტარინენლ პარტიზანთა მხარდამხარ



ლი სამხედრო პარადის შესახებ წყუთხა ი. ბ. სტალინის სიტყვა. მოსასლემის აღვრთოვანებას და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. დი-წყო პარადი — პარტიზანთა კოლონებმა მწყობრად ჩაუარეს ტრიუმფს.

ხალს გამარჯვების დიდი იმედი და რწმენა ჩეხსახა ვულში, მაგრამ მათი სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა, პარტიზანმა მხვერავეებმა ჯერ კიდევ პარადის დამთავრებამდე ამბავი მოიტანეს ფაშისტთა შეიარაღებული რაზმები სოფელს უარყოფდებიანო. სახეივო განწყობილება საბრძოლომ შეცვალა. ასეთია პარტიზანთა ცხოვრება. მეთაურთაგან ყველამ სათანადო დავალება მიიღო. მებრძოლები განწილდნენ თავიანთ ადგილებზე, საგულდაგულოდ გამაგრდნენ, მტრის მოახლოებას დაელოდნენ, პირველი ვანო რეხვიაშვილის ტყვიამფრტვევი აჯაყანდა. მოულოდნელმა ცეცხლმა და ტყვიების კორიანტელმა ფაშისტი არამზადები იმ დაბანია და დააფრთხო, აღარ იყო-დნენ რა ექნათ, რით ეშველათ თავისთვის. ვანოს ტყვიამფრტვევის ხმას ახლა სხვებიც აჰყვენენ. მტერმა უკან დახევა არჩია, მაგრამ საბოლოოდ ცოცხალი ვეღარავინ გაეცქა პარტიზანების მარჯვენ ნასროლ ტყვიებში. ბრძოლის ველი მტრის გავმებით მოიფინა. ამჯერადაც განსაკუთრებული სიმამაცითა და სროლის სიხსტით გამოიჩინა თავი ვანომ, მისი ტყვიამფრტვევის გაბმულმა ხმამ, რომელსაც ფაშისტების უმოწყალო ხოცვა-ჟლეტა მოჰყვა, კოვბაყის ყურამდე მიადგინა. სწორედ მაშინ იკითხა მებრძოლი ჭაბუკის სიმამაცით აღვრთოვანებულმა ლეგენდარულმა კოვბაკმა: ვინ ისჯრისო? „ვანკა გრუზინ სტრელიაიტო“, — მიუგეს მეთაური. ამის შემდეგ ტყვიამფრტვევის ხმას რომ გაიგონებდნენ პარტიზანები სიამაყით გაიძახოდნენ „ვანკა გრუზინ სტრელიაიტო“.

ამ ბრძოლის შემდეგ პარტიზანთა რიგებს სოფელ დუბოვიჩიდან ოცდაათი კაცი შეემატა. მათ შორის — ვანო რეხვიაშვილის სიცოცხლის გადამარჩენი და მეგობარი ილია კრავჩენკო, შემდეგში პარტიზანულა შენაერთის ასეულის მეთაური, რომელმაც სახელოვანი პარტიზანული ბრძოლების გზა განვლო, ვიდრე მამაცთა სიკვდილით დაეცემოდა. დუბოვიჩის ბრძოლის ქარცეცხლი ჯერ კიდევ განვლებული არ იყო, რომ მხვერავეებმა შემზარავი ამბავი მოიტანეს, მტერი უფრო დიდი შეტევისათვის ემზადდება პარტიზანთა შენაერთის სრული მოსობისა და განადგურების მიზნითო. პარტიზანთა მეთაურებმა სასწრაფო ზომები მიიღეს მეორე, უფრო მრისხანე შემოტევის მოსაგერიებლად. მათ პირველ რიგში გადაწყვიტეს ადგილის შეცვლა და უფრო საიმედო თავშესაფარის გამოძახება. ასეთად სოფელ ვესილოვს მახლობელი ტყე მიიჩნიეს. პარტიზანთა შენაერთი სოფელ დუბოვიჩიდან დაღამებისას გა-

ვიდა, ყინვა იყო და ქარბუქი, საომარულ ღებში მარხილებზე ელაგა, პარტიზანებიც იქვე იჯდნენ, განსაკუთრებით გოლიათი ცხენი „რუსლანი“ დაეტკირათ, იარაღთან ერთად მის მარხილს ათიოდ პარტიზანი მიჰყავდა, სიმძიმეს არავრად მიიჩნევდა, ღამის წყვედილში პარტიზანთა კოლონა დიდი სიფრთხილით მიიწვედა წინ, ვინ ქვეითად მიდიოდა, ვინ ცხენზე იჯდა, თოვლისა და ყინვაში ქირდა სვლა, მაგრამ შურისძიებით ანთებული პარტიზანები გაჭირვების წინაშე ქედს არ იხრადნენ. მათ დიდი ვიფიგალობით და წვალებით მიადწიეს სოფელ ვესილოვს მახლობელ ტყეს და სახელდახვად გათხრილ მიწურებში გამაგრდნენ. სოფელი ვესილოვ მალევე ტყის პირას იყო გაშენებული. დაბინავებისთანავე რუდნევა ჩვეულებისამებრ ყველა პარტიზანს საითთოდ მისცა საბრძოლო დავალება. დილით ადრე კომისარია ვანოსთან მივიდა და ჰკითხა:

— ვანიუშა, როგორ არის შენი ტყვიამფრტვევი?

— ჩემი ტყვიამფრტვევი და მეც მზადა ვართ მტრის შესამუსრად, ამხანაგო კომისარო, — მიუგო ვანომ. მერე რუდნევა თვითონ შეამოწმა იარაღი — ხუთი დისკო, თითოეული ხუთას ტყვიანი და 22 ლენტა — თითოეული ორასიანი, მამაიე პარტიზანის ხელში მართლაც რომ მტრის განადგურების საიმედო გარანტიას იძლევაო, — წარმოთქვა კომისარმა და იმედით განმორდა მეტყვიამფრტვევს.

რუდნევა ახლა სხვა მეტყვიამფრტვევებს ჩამოუღარა, ინახულა ვანო ტარაყანოვი, ჰაველ კორნილოვი, მეთაურმა გულთბილი სიტყვებით გაამხნევა მებრძოლები: ძმებო, მიმართა მან პარტიზან მეტყვიამფრტვევებს, თქვენს ვაჯკა-ეურ შემართებზე ბეკრი რამ არის დამოყიდებული, ტყვიამფრტვევი ჩვენი მთავარი და საიმედო იარაღია, პარტიზანები იმედის თვალით შემოგყურებენ, მტერს თქვენ უნდა გადაუღობოთ გზა, არ მისცეთ წინსვლის საშუალება და რაც შეიძლება დაუნდობლად გაეჟლიტეთ.

28 თებერვალს გარიტრახე პარტიზანებმა ხელსაყრელი დრო გამოიხანეს და ვესილოვში შევიდნენ. სოფელს ჯერ კიდევ ეძინა. დილის მყუდროებას მხოლოდ მამლების ყიცილი და აქა-იქ ძაღლების ყუფა არღვევდა. პარტიზანებმა საბრძოლო მზადყოფნის ბრძანება მიიღეს, ვანო რეხვიაშვილი თავის ტყვიამფრტვევით ქვეტყის კედელზე გამაგრდა, ვ. ტარაყანოვი სახლის სახურავზე ჩასაფრდა, პ. კორნილოვმა ტყვიამფრტვევი სოფლის განაძირაკს დიდ ქვაზე დადგა და ქვეს ამოეფარა. გათენებისას მტრის ტყვიამფრტვევის ხმა მოისმა. მხვერავეებმა მალე ს. რუდნევის აცნობეს, გერმანელებმა სოფელს აღმოსავლეთიდან მოადგ-

ნენო. ბრძოლა გაჩაღდა. კოვბაის მოადგილე პავლოვსკი მძიმედ დაიჭრა. რუდნევი გავიდა თუ არა თავშესაფარიდან, დიანახა მოფეხი სიგრძეზე ნახევარ რკალად გაქმნილი ფაშისტთა ჯარი თანდათან სოფელს როგორ უახლოვდებოდა. პარტიზანებმა მომართეს ტყვიამფრქვევები, დანარჩენებმა მომიჯარვეს თოფები და ატრომატები, ყველა პარტიზანი საბრძოლო ნიშნის მიცემის მოლოდინში გაინახა, მტერი სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდა. გაისმა კომისიის ბრძანება — ესრელოეთ! ვანო გაქვითდა, გაიფიქრა, უფრო ახლო მოვიდეს მტერი და მერეო; მართლაც, ორმოცდაათიოდე ნახევრე იქნებოდა მოსული მტერი, ცეცხლი რომ გასნა, მას სხვებიც აპყენ და ფაშისტები ტყვიების კორიანტულში გაახვიეს. პირველივე სროლით ვანოს ტყვიამფრქვევა მრავალი ფაშისტი გამოასალმა სიცოცხლეს, მტერი დაიბნა და სხვა გზა რომ აღარ იყო, თავის გადასარჩენად უკან დახევა გადაწყვიტა. მაგრამ გაიანდა იყო, მეტყვიამფრქვევე პარტიზანებს შეავტომატებებიც წამოეშველნენ და სასტიკი და უღმომელი ბრძოლა გაჩაღდა, ეფხვევიტ ტრიალებდა თვით კომისიარი რუდნევი, პირადი მამაცობით გრუფებს უშოშრებინდა და თავგანწირვის მავალითებს უჩვენებდა. მეთაური სახეში დაიჭრა, მაგრამ ბრძოლის ველი არ მიუტოვებია. ბოლოს, ერთ-ერთი შერკინებისას მას ფეხში მოხვდა ტყვია. საიდანღაც ვანოს დაქირის ცენესა შემოვსმა, შეჩერდა ერთი წუთით, მიიხედა, სახლის სახურავიდან ჩაოვარდნილი მეტყვიამფრქვევე ტრაქანოვი დაიანახა, მტრის სინაიერას ტყვია თავში მოხვედრადა საბრალის და იქვე დალია სული. ამ დროს დაქირლი კომისიის ცენესამ მიიპყრო ვანოს ყურადღება, უშალ მსთან ვანდა და დაქირის პირველი დახმარება აღმოუჩინა, როგორც შეიქრო უკროლები შეუშრალა, შეუხვია და სამშვიდობოს გაიყვანა. მეთაურის, თანამებრძოლი პარტიზანების დაქირამ და მათ შორის ზოგიერთის დაღუბვამ უფრო გაამშავა ვანო და მდებარედ ეკვითა მტრის, ტყვიამფრქვევის უწყვეტი ცეცხლით ფაშისტებს ბალახით ცელავდა. იგი ამ ბრძოლის სული და გული იყო, გმირობისა და მამაცობის კემშარიტი რაინდი. ვანოს ამ საბრძოლო ეპიზოდს თვით კოვბაი ასე აღწერს: „...მტერი თოვლზე გაწვა და თავის აწევასაც კი ვერ ბედავდა ტყვიების წვიმის შიშით. ასე აიძულა ვანოს ტყვიამფრქვევა ფაშისტი არამზადები ორმოც გრადუს ყინვასა და ქარბუქში დიდი ხნით თოვლში გათხმულიყო. უმრავლესობა იქვე გაიყინა და ბრძოლის ველზე დარჩა, ვინც ყინვას გაუძლო და გაქცევა სცადა, პარტიზანის მარჯვენ დასროლმა ტყვიამ დღე დაუბნელა, მტერმა დიდი ზარალი ნახა, ექვსსამდე ფაშისტი დასამარდა“.

„რეგვიზილის ტყვიამფრქვევი ყოველთვის და ყველა პირთებში მოქმედებდა საიმედოდ“, — წერს კოვბაი ვანოს დახასიათებაში.

1942 წლის 28 თებერვლის სოფელ ვესიოლოვსკის ბრძოლაში ვანო რეგვიზილმა სამჯერ შეაჩერა მოწინააღმდეგის შემოტევა და იძულება ისინი რამდენიმე საათით დაწოლილიყვნენ თოვლზე ორმოც გრადუსიან ყინვაში, რის შედეგადაც ბრძოლის ველზე დარჩა მოკლულ და დაქირალ ფაშისტთა ექვსსამი ვაცი-ნული გვაიბი.

ბრძოლა ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო, რომ პოლის მეთაური ალექსი კორნევი, რომელმაც პარტიზანები სიყვარულითა და პატივისცემით „თოვლის ბაბუს“ ეძახდნენ, დიდი თეთრი წვერის გამო, პარტიზანთა ათეულის მეთაურ ნიკოლოზ კირილენკოსთან მივიდა და უთხრა: კოვბაის ბრძანებით, ქართელი პარტიზანი ვანო რეგვიზილი სასწრაფოდ იარაღი მარბილზე უნდა იქნეს პარტიზანთა შტაბის დასაცავად. იმხანად თურმე შტაბს საფრთხე ეთქმებოდა. ვანომ და მისმა თანამებრძოლებმა მიიღეს თუ არა ბრძანება, საბრძოლო იარაღი მარბილზე დაწვეყეს, თვითონაც ზედ დასხდნენ და თავის „რუსლანით“ სასწრაფოდ შტაბის დასაცავად გაეშურნენ. „რუსლანი“ პარტიზანების საიმედოდ სატრანსპორტო საშუალება იყო. თავისუფალ დროს ცხენს ერთთულად უვლიდნენ და ეფერებოდნენ. პარტიზანები ჩქარობდნენ, სულ ძალე შტაბში მივიდნენ, მაგრამ დახე უხვეურებდას, საიდანღაც გამოსროლილი მტრის ნაღამი პირდაპირ „რუსლანის“ ცხვირშიც ვასცადა, აფეთქდა და პარტიზანთა იმედს სული გააცხებინა. ვანომ თავის მძიმე ტყვიამფრქვევი ზურგზე მოივლო, შტაბში გამოცხადდა და სადაც კოვბაქმა მიუთითა, იქ ვამაცდა. ვანია სერდოლიკი და სპაო ტრუტერევი ტყვიამფრქვევებით სახლის სახურავზე ჩასაფრდნენ, მტერი ახლა შტაბის მხარეს მოეძალა, ვახსნა ცეცხლი. იქაც ვანომ ისახლა თავი, ფაშისტებს შტაბთან მიახლოების საშუალება არ მისცა, ვანოს ტყვიამფრქვევს სხვებიც აპყენენ და გერმანელ მოძალადეებს კუდიტ ქვა ასროლინეს. მტრის განზრახვა ჩაიფუშა, მრავალი ფაშისტი გაწყდა, ბრძოლის ველზე დიდძალი ტყენიკა დარჩა.

ამ ბრძოლის მხილველი და თანამონაწილე პარტიზანთა ყოფილი მედდა მ. სოკოლოვსკიაი 1968 წლის 28 დეკემბრის პუბლიკის სარაიონო გაზეთ „რუსინსკი პეტ“-ში, ისენებს რა გარდასულ დროთა ამბებს, ვესიოლოვს საბრძოლო ეპიზოდს ასე აღწერს: „28 თებერვალი, 1942 წელი. ცივი და ქარბუქიანი დილა გათენდა. ყინვა იღამიანებს სუნთქვას უქრავდა,

საბრძაბ რეგვიზილი
უკრინელ პარტიზანთა მხარდახმარ



სულ უხუთავდა. პავლოვსკის პარტიზანულ ჯგუფთან ერთად უნდა წაესულიყავით სოფლებში (ვესიოლო და ხლოპოვო). ყველანი ჩაესაფრდიო. გამოჩნდნენ გერმანელები. ისინი მოვიდნენ სამი მემართლებით: გულხოვოდან, შალგინიდან, პოგარჩინიდან. აი, მტერი უკვე სულ ახლოს მოვიდა, წუთები საუკუნეებად გვეჩვენება, სხეული გვიცახცახებდა ნერვიულობით: ჩვენები რატომ სდუმან? ვაიხებდე გვერდით. ვანოს თითები დაეწყო ტყვიამფრქვევის სასხლეტზე და დინჯად გასცქეროდა გზას. ვანოსთან ყველა ჩვენგანი თავს უშიშრად და იმედინად გრძობდა, გვწამდა და დარწმუნებული ვიყავით, რომ გვერდზე გვეყავო ერთგული მეგობარი, არაჩვეულებრივი სიმამაცის ამხანაგი.

ჩანს, ფაშისტები სულ ახლოს მოვიდნენ ჩვენთან, უკვე ვარჩევთ მათ სახეებს და გვემის მათი შემზარავი ხმა, დაიწყეს ავტომატების სროლა. რატომ სდუმს ვანო? „ნუთუ დაიჭრა?“ — ვაიფიქრე მე. ამ დროს „მაქსიმა“ აკანდა. როგორც ყოველთვის, საფრთხის დროს მეტყვიამფრქვევი რეგიაშივლი მოქმედებდა წინადახედულად, გახედულად და დამაჯერებლად. და ამჟამადც თითქმის ყოველი მხრიდან ესროლა მტერს. როცა ფაშისტებს გაუსწორდა, დევგმირმა ვანომ ტყვიამფრქვევი ზურგზე მოიგდო, შედგა თხილამურებზე და თვალს მიეფარა. გადადიოდა რა ბრძოლის ერთი უბნიდან მეორეზე, ამით არა მარტო ეხმარებოდა თავის თანამებრძოლებს, არამედ ისე მოხერხებულად და მამაცურად მოქმედებდა, რომ მოწინააღმდეგეს ეჩვენებოდა — აქ ერთი მეტყვიამფრქვევი კი არა, მთელი ასეული იბრძვისო.

მახსოვს, ბრძოლის დამთავრების შემდეგ როგორი სიყვარულით შევმა სიღორ არტემის ძე კოვაკი მეტყვიამფრქვევის მამაცურ სახეს, მერე მხურვალედ გადაკოცნა და თან უთხრა: „მადლობა, ვანო! შენ მრავალი თანამებრძოლი გადაარჩინე...“

ვანომ, რომელსაც ცხარე ბრძოლებში ტანსაცმელი შემოეფლითა, მხარბეკი თავისივე ხელით მოკლული გერმანელი ოფიცერის შავი ნაბლით დაიმშენა. ნაბაღმა შემდეგში დიდი სამსახური გაუწვია მუდამ ცისქვეშ მყოფ პარტიზანს. დაჩა თუ ავღარში, ბრძოლებში დაღლილი პარტიზანი ქვეშ საგებად და საბნადაც ნაბაღს ხმარობდა. ვარდა ამისა, ნაბაღს მშობლიურ საქართველოში გადაჰყავდა იგი ოცნებით. მშობლიურ სოფელში მწყემსად ყოფნისას ნაბაღი იყო მისი ყოველდღიური თანამგზავრი, უყვარდა სიმღერა „მე ვარ და ჩემი ნაბაღი“. ახლა პარტიზანულ ცხოვრებაში უფრო აუკეთესა მის ვინებებს სპეცშობისდროინდელი საყვარელი სიმღერა და სულ ერთთავად პირზე ეყრა —

მე ვარ და ჩემი ნაბაღი,
გამონებელი ღამისა,
მოვკვდები, ჯავრი ჩამყვება,
სამი ლამაზი ქალისა.

ყველგან ვაისმოდა ვანოს სეკლიანი სიმღერა, თავისთვის ღლინებდა, რომ პარტიზანთა მუდროება არ დაერღვია, პარტიზანთა ადგილსამყოფელი ხმაურით არ გაეცა. ასე მოითხოვდა მტრის ღრმა ზურგში მოქმედ პარტიზანთა ცხოვრების მკაცრი კანონი. „ცხარე ბრძოლებშიც კი ეს სიმღერა გულში მიღობინებდა სიმხნევეს მამურთაო“ — იგონებს ვანო. როცა პარტიზანებს მხიარულების საშუალება მიეცემოდათ, მაშინ ვანოც გაიხარებდა, ყველას გასაიონად ხმამალა დისახებდა: — „მე ვარ და ჩემი ნაბაღი“... ეს სიტყვები იმდენად ხშირად ისმოდა ვანოსაგან, რომ პარტიზანთა რაზმში რუსებმა, უკრაინელებმა, ბელორუსებმა და სხვა ერის შეილებმა კი დიუნებირეს და ვანოს საამებლად მასთან ერთად ქართულად მდგროდნენ ხმატკობილ და შეწყობილად. ამას სიმხნევე და ხალისი შექონდა ბრძოლებით თუ შორეული რეიდებით დალილ-დაქანულ პარტიზან თანამებრძოლებში.

ვანოს საყვარელი სიმღერა ყოფილა, აგრეთვე, „გაფრინდი შავო მერცხალო“.

კოვალევსკაია იგონებს: „ვანო რეგიაშივლი რაზმში ყველას უყვარდა. იყო შემთხვევა, ვისხედით მოწყენილი, სვიდინი, გვმოილა, გვიცოდა. კვადაკვალ მოვეყვება მტერი, წინაც მტერი იყო ცბიერი და დაუნდობელი. მიმე ფიქრებდნენ რომ გამოვეყვანეთ და ხალისი შეეტანა ჩვენში, ვანო დაიწყებდა მოყოლას თავის შორეულ სამშობლო-საქართველოზე ან დაბალ ხმაზე მოჰყვებოდა თავის საყვარელ „გაფრინდი შავო მერცხალოს“ სიმღერას. თუმცა ჩვენ სიტყვები არ გვესმოდა, მაგრამ ისე თბილად გვევდებოდა სულში საამო ხმა, რომ თითქმის გასაგებად ხდებოდა ამ სიმღერის შინაარსი. ასეთ წუთებში ყველას თავისი საყვარელი და კეთილი ადამიანები აგონდებოდა და მტერზე შურისგების გრძობა უსაკეცდებოდა“.

გადიოდა დღეები. პარტიზანულ ბრძოლებთან დაკავშირებული მრავალი წვრილმანი დავიწყებას მიეცა, ვანოს აღარც კი ახსოვდა, რომ სოფელ ვესიოლოში გამარჯვების პირველ წუთებშივე გერმანელი ოფიცერის ნაბაღში გამოწყობილს ვერშიგორამ სურათი რომ გადაუღო და ერთი შემთხვევა რომ არა, ვინ იცის სად გაქრებოდა ეს მეტად მნიშვნელოვანი ფოტოლოკუმენტი, რომლითაც იგი დღეს საყოველთაოდაა ცნობილი. საქმე შემდეგში იყო: ომის დამთავრებიდან ერთი წლის შემდეგ დავით ბაქრაძე კოვაკს სწევია. ლეგენდარულ

მეთაურს გამოუკითხავს ქართველი პარტიზანების ამბავი, პარალი არქივიდან სოფელ ვესილოვს გმირის ვანო რეხვიაშვილის სურათი ამოუღია, ზედ წაუწერია „ჩემი შენაერთის საამაყო მეტყვიამფრქვევეს, ვანო რეხვიაშვილს“ და სურათი დავით ბაქრაძის ხელით თბილისში ვანოსათვის გამოუგზავნია. მაშინ მოიგონა ვანომ ვესილოვს ბრძოლა და სურათის გადაღების ისტორია, მაღლობა გამოთქვა გულისხმიერა მეთაურის მიმართ, რომლის წყალობითაც პარტიზანული ცხოვრების ამსახველი ერთი ფოტო-დოკუმენტი დაკარგავს გადაურჩა. სურათი „ვანო ნაბლით“ პირველად დ. ბაქრაძემ თავის წიგნში „გმირთა სისხლით“ გამოიყენა, მას შემდეგ უკრაინისა და საქართველოს უფროს-ვაჭურთაგანის ფურცლებზე არა ერთხელ გვხვდავთ. ნაბადთან დაკავშირებით ბევრ საინტერესო მოგონებას პყევბა ვანო რეხვიაშვილი, ნაბადით იცნობდნენ მას მთელ პარტიზანულ შენაერთში.

... გერმანელებმა, შტაბის მიმართულებით რომ ვერაფერი სიკეთე ნახეს, სოფლის ჩრდილოეთით კარპენკოს ასეულს შეუტყვეს, ბრძოლებით გადაიღო პარტიზანებს, ცოტა არ იყო, გაუჭირდათ მოძალტუელი მტრის შეჩერება, საჭირო იყო მშველი ძალა. ამ დროისათვის უკვე მამაცი მეტყვიამფრქვევის სახელი ჰქონდა მოხვეული ვანო რეხვიაშვილს, მისი ტყვიამფრქვევის ხმაჟ კი აღფრთოვანებდა პარტიზანებს, საამაყოთა წარმოთქვამდნენ „ვანო გრუზინ სტრელიატი“, მტრის კი შიშის ბრის სცემდა. ტყუილად კი არ უთქვამს კოვპაკს: „ასეთი მეტყვიამფრქვევი არ მყოლია, ბევრჯერ გვიხსნა ვანომ გასაჭირისაგანო“. სადაც გაუჭირდებოდა პარტიზანთა შენაერთის ბრძოლაში, ვანოს იქეთ იხმობდნენ. ამჯერადაც ასე მოხდა. საღამო ხანი იყო. ვანო პარტიზანთა შტაბში მიიხმეს, შტაბის უფროსმა ვანოს გადასცა კოვპაკის ბრძანება, რომლის თანხმადაც ვანოს ევალებოდა სოფლის ჩრდილოეთით განსაცდელში ჩავარდნილ კარპენკოს ასეულის დასახმარებლად წასლა. ვანომ თავისი ტყვიამფრქვევით დათქმულ ადგილზე გადაინაცვლა, მოხერხებულად შეინიღბა, ჩასაფრდა და მოახლოებულ მტრის მოულოდნელი ცეცხლით შეგვდა. ბრძოლა გაათვრდა. ვანოს ტყვიამფრქვევა მტრის რიგებში არეულობა შეიტანა, გერმანელებმა უკან დაიხიეს, მაგრამ მოსალოდნელი იყო ისევ დიდი შემოტევა. ვანოს ტყვიამფრქვევს კარპენკოს ტყვიამფრქვევით ამოუდგა გვირგვინი და გერმანელები საშინელ დღეში ჩაპყარეს. პარტიზანებმა დაუნდობლად ელიტეს მტერი, მრავალს მოუსაკეს სიცოცხლე. მხოლოდ უშინშენილო ნაწილმა თავს გაქცევით უშველა, იმ სოფელში მტერი დიდხანს აღარ გათიჩნელა.

სოფელ ვესილოვსათვის ბრძოლაში იმ

დღეს პარტიზანებმა დაშისტების ათი შემოტევა მოიგერიეს, მტერი სასტიკად დაამარცხეს და უკუაქციეს.

დაღამების ვანო რეხვიაშვილსა და პავლე კორნილივს სოფლისა და პარტიზანების დაცვის საღარაოზე დგომა დაევალიათ. დაიწყო გმირულად დაღუპულ პარტიზანთა გვაგების ბრძოლის ველიდან გატანა და საიმედო ადგილას დამარხვა. შუაღამისას მოვიდა პარტიზანი მზერაჟი საშუა ლევინი, რომელმაც ვანო და მისი ამხანაგები მოხსნა საფუშავიგებიდან. იმ ღამესვე ვანო რეხვიაშვილსა და ივანე პაპოვს ახალი დავალება მისცეს: შტაბიდან 20-25 კილომეტრის დაშორებით მდებარე ხტორიდან რუდნევის ცოლ-შვილი უნდა მოეყვანათ დაქროლი კომისრის სანახავად. მაშაცმა პარტიზანებმა ეს დავალებაც შეასრულეს. დილით ვანო პარტიზანთა შტაბში გამოიძახეს, მას იქ კოვპაკი შეგვდა, მხარზე ხელი დაადო და უთხრა: „ყოჩაღ, ქართველი ვიკოცო, გილოცავ მამაცობას და ბრძოლებში გამარჯვებას“. მერე მეთაურმა ვანო დაქროლ რუდნევის წარუდგინა, კომისარმა ვანოს გავრწყინებული თვალებით შეხედა, ლაპარაკის თავი რომ არ ჰქონდა, ხელზე ხელი მოუჭრა და ამით ავტონომიანი დიდი მადლიერება სიცოცხლის გადაჩენისათვის და ცოლ-შვილის უვნებლად მოყვანისათვის. ამ დროს რუდნევის ვაჟი — პატარა იური და მუქლუ დომინია იქვე იდგნენ.

სოფელ ვესილოვს ბრძოლების შესახებ მრავალი დოწერა და ითქვა. უკრაინის უფრანალ-გაზეთები დღესაც ქებადიდებით მოიხსენიებენ ქართველი პარტიზანის სახელს, ვინც სიცოცხლეს არ იშურებდა მოძმეთა გადასარჩენად. არც მხატვრები დარჩენილან ვალში გმირი პარტიზანის მიმართ. ერთ-ერთ მგვობრულ შარჟში უკრაინელ მხატვარს სწორედ ვესილოვსათვის ბრძოლის ეპიზოდი შეუჩრევია, ტრანკაჟში მქდომი პარტიზანი ვანო რეხვიაშვილი თავისი ტყვიამფრქვევით ცელავს მტრის ჯარს, მამაცი პარტიზანის გამბედაობით აღფრთოვანებულ კოვპაკი მდინარის პირას დგას და იქიდან ხელმძღვანელობს მეტყვიამფრქვევის საბრძოლო მოქმედებას.

გაზაფხული ახლოვდება. პარტიზანთა მეთაურებისათვის ცნობილი გახდა, რომ პარტიზანთა მოქმედების სამხრეთ რაიონებში გერმანელთა სარდლობა გასავაგუნად ამზადებდა კარგად შეიარაღებულ რეგულარულ არმიას. გარემოება მოითხოვდა სასწრაფოდ პარტიზანთა ადგილ გადაინაცვლება. კოვპაკის ბრძანებით პარტიზანთა კოლონა ბრიანსკის ტყეებისაკენ დაიძრა. ამ მიმართულებით უკრაინელ პარტიზანთა მხარდამხარ ქართველმა მეტბრძოლებმა შეუპოვარი ბრძოლებით გზა გაწვლეს.



ლილია ხარხაძე

დაწერ ფლილი გული

ჩაუქრობელი ცეცხლი... უცნობი ჯარისკაცის საფლავი... ძმათა სასაფლაო... სტალინ-გრადი, ნოვოროსიისკი, ქერჩი და, ვინ მოსთვლის, კიდევ რამდენი.

ცოცხალი ყვავილები მიმაქვს, თავდაბრილი და მოკრძალებული ვლებ მათ საფლავის ქვაზე. ჩემთან ერთად თავს ხრიან შავებში მოსილი მილიონობით დედები, მამები, დები, ძმები, ნათესავ-მეგობრები. დგას ცრემლების ზღვა.

თავს მაღლა ვიღებ: მზე მოციინარობს, ნიავი არხვეს ვარდის ფურცლებს, ჩიტები უმღერაიან თავიანთ ბარტყებს. ადამიანები საქმიანად დაფუსფუსებენ. ჩაუქრობელი ცეცხლიც მისიი, ძმათა საფლავიც, უცნობი ჯარისკაციც მან აამაღლა, ფასი დასდო მის თავდადებას, ღირსება მისი გაამშვენისა.

ადამიანი განაგრძობს სიცოცხლეს.

* * *

კარგი ჩანაწერების მიგნება ოქროს საბადოსა სჯობს, რომელიც ზოგჯერ თვალთახედვას მიეფარება, შეიძლება წლობით ეძებო, მაგრამ კვლიც ვერ აღმოაჩინო.

აი, დღეს, წიგნების დალაგების დროს, ერთი მოზრდილი ბლოკნოტი აღმოვაჩინე. ვათვალთვებ და თვალს არ ვუჭერებ, ეს ხომ სამუდამოდ დაკარგული მეგონა.

— ჰო, ნენა! სამი ვაჟიშვილი დავკარგე სამამულო ომში. მეოთხემ, გენომ ომიდან დაბრუნების შემდეგ წარჩინებით დაამთავრა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სუბტროპიკული ფაკულტეტი. ახლა სოხუმში მუშაობს, სუბტროპიკულ მცენარეთა სასელექციო სადგურში, მეცნიერ მუშაკად. სადისერტაციო შრომას წერს. თბილისში უპირებენ ვადმოყვანას სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში.

ასე იწყებოდა ჩანაწერი, რომელიც 1955 წლით თარიღდება.

საკირთა გენოს ნახვა, გარდა ჩემი ჩანაწე-

რებისა, მისი ცხოვრების აკვარგის გაგება ბევრ ნათელს მოჰფენს ჩემს ნარკვევს.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კანცელარიაში გენო ჩხაიძის ბინის მისამართი მომცა.

* * *

კვირა დღეა, იანვარია, მაგრამ მზე ჩახჩახებს. ვევა-ფშაველას გამოზირებ, შექექვს კვარტალში, ოცდამეოთქვსმეტე კორპუსს მივაგენი. — გენო ჩხაიძე მეხუთე საათულზე ცხოვრობსო, მითხრეს მეზობლებმა.

კარები თვალბლაყვარა ქალმა გამიღო. ბატონი გენო ვიკითხე. დერეფანში საშუალოზე მაღალი სანდომიანი სახის კაცი შემომეგება. თვალების შუქი მეცნო. სასადილო ოთახში, სადაც მასპინძლები შემიძენენ, მაგილაზე გაშლილი იყო ცხრილები და დიაგრამები.

— მგონი, ხელი შეგიშალეთ-და ვაკვირდები ცხრილებს.

— ეს ჩემი სადოქტორო დისერტაციის ცხრილებია, — თქვა გენომ. — იქვე, შუშბანდში ბურბუშულები და სადურგლო ხელსაწყობები ეყარა. — მგონი დურგლები გყავთ! — ვიკითხე.

— მე თვით ვარ დურგალი, — მომიგო გენომ. და მართლაც უშველებელი ნიში ლამაზ ჩარჩოში ჩაესვა და თაროების ნაწილი უკვე გაეკეთებინა.

— თქვენს შვილებს ვერ ვხედავ, ალბათ დიდები იქნებიან, — ვამბობ.

— წამობრძანდით! — ეთერი და გენო კაბინეტში შემიძენენ. გოგონები წიგნებში თავჩარგული დავგვხდნენ.

— ორივენი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში სწავლობენ. — მითხრა გენომ.

— როგორ სწავლობ, ლიანა?

— ჭერჭერობით ხუთოსანი ვარ, პოლიტიკონომიას თუ ვადაურჩი, — ამბობს მოკრძალებით.

— ნუნუ, შენ რას კითხულობ?

— „რომეო და ჯულიეტა“.

კაბინეტი წიგნებითაა გავსილი: იქვე, დაბალ მაგიდაზე ფიროსმანის, კაჟაბაძის, გულიაშვილის და ახვლედიანის რუმბოლუქციითაა აღბოძებული. ერთ თაროზე შ. ამირანაშვილის ქართული ხელოვნების ისტორია და მისივე ბეჭდობის რაობა, საწერ მაგიდაზე ლიბერინის ყდაში ჩასმული მოზრდილი წიგნი დევს. ვფურცლავ: „ნამაყენ მცენარეთა ფიზიოლოგიური თავისებურებანი“ — კითხულობ სათაურს.

— ეს ჩემი შრომაა გახლავთ, — ამბობს გენო.

ვათვალერებ წიგნს და აღფრთოვანებას ვერ ვმალავ. ნათელი აზრით და კარგი, გამართული ქართულითაა დაწერილი.

— ერთი წუთით თუ შეიძლება, ჩემი მეურნეობა მინდა დაგანახოთ, — მეუბნება გენო. უანჭრიდან ფერდობზე მოჩანს: ხილნარი, ტრაპევირა და კვლები.

— მეურნეობასაც ახერხებთ?

— მეურნეობა ხომ ჩემი უპირველესი და საყვარელი პროფესიაა. აი, იმ ხრობუხეც კი შექმელ გამეხარებია ვაზი, სხვადასხვა ხეხილი და ვარდები.

გოგონებმა ბოდიში მოიხადეს და თავიანთი წიგნებით კაბინეტიდან გავიდნენ. მე კი საწერ მაგიდასთან მოვიკალათე და თვალი ვკიდე ჩარჩოში ჩასმულ სურათს, ხელში ავიღე, ფიქრინა თვალბმა შემომანათა.

— თქვენ იცნობდით დედას? — მეკითხება გენო.

— კარგად.

ამ დროს ეთერიმ კარადიდან მოზრდილი შეკერა გამოიღო და მაგიდაზე დადო: — აქ დედას წერტილები და ჯილდოებია — მითხრა გენომ, „დედის დიდების ორდენი“ პატარა კოლოფიდან ამოიღო და ისე დაიწყო: — 1943 წლის იანვარში სკოლის მერხიდან წაგვიყვანეს. ღია, სკოლაში გამოვვიცხადეს, რომ იმ დღესე უნდა წაესულიყავით. დედისთვის მინდოდა ჩემი ფრონტზე წასვლის სიმძიმე შემემსუბუქებია და სიცილით ვუთხარი: — ნენა, მე ალბათ, სატანკო ნაწილში ჩამრიცხავენ. — დედამ გაოცებულმა შემომხედა. — რას ხუმრობ, ნენა: ჩემი სამი შვილი იბრძვის ქვეყნისთვის. იმათიც არაფერი ვიცი, ნუთუ შენც უნდა წახვიდე? — გამოვვიცხადე, დღესვეა საჭირო თქვენი წასვლა. — დედა გაშრა, გაქავდა, შემდეგ ძალა მოიკრიბა. თავიც კი მოიშხიარულა, იფიქრა, ბიჭი არ შევაშინოთ — არა უშავს, ნენა, არ შეშინდე, ღმერთი მარტო ჩვენთვის ხომ არ მოიცილის. — არა, ნენა, მე სულ არ მეშინია, შენ რომ გტოვებ, მარტო ის მანადვლებს. — დედამ ყველაფერი ჩამილაგა, თვითონაც ჩაცმა დაიწყო — ნენა, ნუ წამოხვალ, გაცივდები, — შეეხებეწე — სახლ-

ში რა მინდა, უნდა წამოვიდე, — მტკიცედ თქვა დედამ. სიტყვა აღარ შემობრუნებია. არ მახსოვს შეილებს დედისათვის ოდესმე სიტყვა შეგვებრუნებოდა. ჩვენ ყოველთვის ვგვწამდა, მისი სიტყვა და საქმე სამართლიანი იყო. ჩვენ დედის არ გვეშინოდა, მაგრამ გვერიდებოდა და დიდი პატიოსნებამ გვეწონდა. როგორ ახერხებდა ამას, ახლაც ბევრს ვფიქრობ და ვერ ამიხსნა. ღია, დედა წამოვიდა სადგურზე, აღარც ჩემმა პატარა დამ მოიკადა სახლში, ისიც წაიყვანეთ. სადგურზე სხვებიც ბევრი იყვნენ ჩვენს დღეში. საცაა მატარებელი უნდა გასულიყო. — დედაშვილობის გამჩენმა, ხელი მოგიმართოს და დავლოცოს ნენა, მხნედ იყავ. ჩემზე ნუ იდარდებ, ხომ ხელავ, ყველაფერს ვუძღვებ, — და გულში ჩამიკრა. ის არ ტირილა. მატარებელი დაიძრა. დღეურ სისულტეს დაერია ხელი, მატარებლის ქვეშ ვარდებოდა თურმე. — მითხრეს. — არ მახსოვსო, გოგონებული ვიყავი, დარეჯანს წივილია გამოამთხზოლო, იტყოდა ხოლმე საცოდავი. — ძალიან ვთხოვ, „საცოდაობით“ ნუ მოიხსენიებთ თქვენ დედას, — ვთქვი ვერებოთ. გენოს „დედის დიდების ორდენი“ ისევ ხელში ეჭირა, თითქოს ათბობდა და ეფერებოდა. შემომხედა, მადლობოთ, მითხრა და განაგრძო:

მცხეთაში შეგეაჩერეს. დედას მაშინვე ვიცნობე, ხოლო შემდეგ წერილი გავუგზავნიარაც შემემძლო ვამხნეებდ. რაკი მისამართი გაიგო, ვეღარ მოისვენა და წამოსულა, რა თქმა უნდა; დიდი ხორაგით. მაგრამ ჩვენ სწორედ იმ მატარებლით გავსულვართ, რომლითაც დედა ჩამოვიდა. ნაწილში მოსულა, რაკი იქ აღარ დაეხვდი, ჯარისკაცებს დაუტოვა ჩამოტანილი სანოვაცე. თბილისში წამოსულა დასთან, იქნებ რამ სცოდნოდა ჩემს შესახებ. — ერთი საათის წინ გავაცილეთ ერევანში, უთქვამს დედაჩემს. დედა დაბრუნდა სახლში, ჩემს წერილს ელოდა. მე კი, როგორც კი ჩავიდით ერევანში, მაშინვე მოვწერე დედას წერილი. გაიგო თუ არა ჩემი ადგილისაყოფელი, მაშინვე ჩამომაკიხა და ბურთულმა, სად ჰქონდა ამდენი ღონე!

— აქ რომ მაინც გვაჩერებდნენ, ნენა, შენი ვალანჩინის იმედი მაინც მექნება. — საზღვარსაც ხომ უნდა დაცვა ალბათ, ჩვენ აქედან არსად წაგვიყვანენ. — ვუთხარი დაიმივდებო.

— შენ პირს შეჭარი, ნენა, ოღონდაც აგრე იქნებოდეს. — მომიგო დედამ და იმედინა თვალები შემომანათა.

— ბიჭების ხომ არაფერი ისმის, ნენა? — არაფერი, შვილო, არაფერი, ამ სისხლის წვიმასი დანადგვლებით ვინ რას გაიგებს! — მან

ლიუდმილა ციმცხაძე
დაფარველილი ბუღი



კარგად იცოდა ვანო და ოთარი, ერთი სტალინ-გრაღში, ხოლო მეორე ქერჩში იზრძოდა, მაგრამ იმედის თვალთ შეპყრებელად მომავალს. დედა ხშირად ჩამოდიოდა დატვირთული. ჩემს ნაწილში მას ყველა იცნობდა და შეარქვეს „ნაშა ლიუბიმიჩა ნენა“. თურქეთის საზღვარზე სამი არმია იდგა — 44-ე, 45-ე და 46-ე. გამოიკა მთავარსარდლის ბრძანება, ჩვენი, 45-ე არმია, რომელსაც სატანკო ნაწილი გააჩნდა, დეტოვიტინო თურქეთის საზღვარზე. დანარჩენი არმიები უნდა მივვლებოდა უკრაინის ფრონტს. ის იყო დედისათვის ვფიქრობდი წერაილის გაგზავნას, რომ თვითონ დედა გამოგვეცხადა. — ხომ გითხარი, ნენა, „კაცსა ღმერთი არ ვასწირავს, სოფლისკაცს ვანაწირისაო“, — მითხრა და გულში ჩამიკრა. გვენოს თავისი კილოებში ცრემლი შეგნისზე, ის ფანჯარასთან მივიდა. მიძიე მოგონებებმა სატყეიარი აუშაულეს.

— ეგ შეილი იყო და უყვარდა დედა, — დაიწყო ეთერიმ, — ჩემი დედა არ იყო და დედისავეთ მიყვარდა. ის ყველას უყვარდა თავისი ფანჯარო, კეთილი გულის გამო. „ნენა, შენი ჭირიმი“, — ეს იყო იმის მიმართვა. შინ და გარეთ არაფერს რჩებოდა უყურადღებოდ. აბა ჩვენი ხომ მზე ამოსდიოდა. აი, ეს წერილი წაიკითხეთ, — მიხიხრა ეთერიმ და ბართი მომხაწოდა. — ჩემო შეილებო! — იწერებოდა ევროსი. — ერთ დღეში ღმერთმაც ვერ შეძლო ქვეყნის აღწენება, თორემ კაცმა რომ ვერ შეძლოს, რა გასაკვირია. დიწხად, მოფიქრებულად უნდა შეუდგეთ ოჯახის შენებას. ერთმანეთი გიყვარდეთ, გესმოდეთ ერთმანეთის წუხილი და სიხარული. ერთმანეთს გაუფრთხილდით, სიყვარულს გაუფრთხილდით. დიდ სიყვარულს დიდი მოვლა-გაუფრთხილება უნდა. ნათქვამია: „რაც უფრო დიდია სიყვარული, მით უფრო მძაფრია გათიშვაო“. მე კი ვეცდები, ყველაფერი გავაკეთო თქვენი სიკეთისათვის, თქვენი ბედნიერებისათვის. ჩემი ჩიტუნია ვოგონები დამიკოცნეთ. ჩემი თავი ენაცეალოს მავათ სიცოცხლეს“. — ეთერიმ ცრემლი შეიმშრალა და განავრძო. — ამდენი ჭირნახული აღამიანის თვალზე ცრემლი არ გვიანახავს. სიტყვა რომ მოიტანდა, იტყოდა — აღამიანმა თავის დარდს და მწუხარებას თვითონ უნდა მოუვაროს, სხვა არ უნდა შეაწუხოს. ყველას თავისი საღარდებელი აქვს ამ ქვეყნად, შენ წუხილს რაღად ახვევ თავზეო. — და თავის ცხოვრების ერთი ეპიზოდი მოგვიყვებოდა, თანაც გავაფრთხილა, თქვენც ნუ დაივიწყებთო.

— თხუთმეტი-თექვსმეტი წლისა ვიქნებოდი ალბათ, — დაიწყო დედამ, — ერთი შავებში ჩაცმული ნათესავი ქალი გვესტუმრა. ის დალოცვილი მოჰყვა მოთქმა-გოდებას, იგონებდა მისი გარდაცვლილი მამის ცხოვრების

დეტალებს. მანამდე არ გაჩუმდა, სანამ მშობლიური ილი და ქეთინი არ ამოეღუფეთ. მისი ცხოვრება, მთავრება ან დანახვა ცულ გრძობებს იწვევდა ჩემში. როცა დაქვალდი, ცხოვრება დაეინახე, აღამიანები დავფასე თუ გადავფასე, მხოლოდ მაშინ მივხვდი, რატომ არ მისამოგნებდა იმ ნათესავის ნახვა: ჯერ ერთი, ის ყალბი იყო მწუხარებაშიც კი, რადგან წუხილსაც მოკრძალება უნდა, მეორე იმის გამო, რომ თავს მომხივია მისი საღარდებელი, სიხარულის დილა ჩამიმშარა, მომავალზე აღრე ჩამაფიქრა და ნაღველი ჩამაწვეთა. სხვის გულს გაფრთხილება უნდა შეილებო, დიდი გაფრთხილება. — ეთერის ცრემლი არ გამკვირვებია, მისგან ნათქვამსაც ვაცოცხლა ის საოცარი ქალი, რომელსაც შეხვედი ოცი წლის წინათ და ახლაც ცხადლივ ვხედავ მის შუქიან თვალებს, ნაღველშერეულ ღიმილს, მტკიცე გამოხედვას, საუბრის დამაყრებლობას.

* * *

სოფელში შევედი. აღმართებს მივეყვებით. ყვალდა: ვაშლი, ატამი თუ ალუბალი. ყაყაოები მოდებოდნენ უანებს. ვაბშით ისმოდა ფუტკრების ზუზუნე. ორლობები დაიწყო, ტყემლებს ფანტელები გვათოვს. ბუნება ზეიმობს. ჩემს გულში კი სამსალა ჩაღვრილი.

— გატყობ, შენ მაინც გეძნელება ევროსისთან შეხვედრა, — მეუბნება ჩემი მეგობარი.

— ძალიან, ძალიან. აბა რა უნდა ვუთხარო, რით შეიძლება ანუგეშო სამი ვაჟის დამკარგავი დედა? მან ხომ დაკარგა სიცოცხლის ნაწილი, ეგებ მთელი სიცოცხლაც. სიცოცხლის ახრი არ გაუფრთხილა? შეილების დაკარგვით ნუთუ არ გამოშრა? არ გამოიფიტა? და შენ კი ვინდა დამარწმუნო...

— შენ მას არ იცნობ, ნახავ და ირწმუნებ. ის კარგად დაწერილი წიგნია. ჩვენი დროის შრომისა და ცხოვრების ჰეროიკაა. ის ისეთი დედაა, რომელზედაც ოცნებობდნენ ჩვენი დიდი მგოსნები ბარათაშვილი და ილია, „ჩრდილად“ ქვეული შეილებისაგან, ასეთმა დედებმა აღადგინეს და აღზარდეს გმირული სულის აღამიანები. ევროსიმ ისე გააცილა ოთხივე შეილი ბრძოლის ველზე, ცრემლი და გოდება არ გაუყოლებია. მანვე ჩაუნერგა შეილებს შრომის სიყვარული, აღამიანის სიყვარული. ხშირად გამიგონია ევროსისაგან — ვინც არ იცის შრომა-ვარჯის ფასი, მან არც სიცოცხლის ფასი იცისო. და არც აღამიანების სიყვარულიო. ვინიერთ უთქვამთ, „შრომა შეგაყვარებს დაოფლილსა და ნაამაგარსო“. — მისი სიტყვების სიბრძნე მხოლოდ ახლა მეჩნის და სოფელმაც ალბათ იმიტომ შეიყვარა ეს გონიერი, გულმართალი, გამრჩე და სიტყვაშიანი ქალი.



ვეროსი ექვსი შეილის დედა, — განავრობ ჩემმა მეგობარმა, — „დედის დიდების“ ორდენითა დაჯილდოებული, სოფლის საბჭოს უცვლელი დეპუტატია, 1930 წლიდან, დღემდე კოლმეურნეობის ჩამოყალიბებისა მისი ერთ-ერთი ორგანიზატორი და გამგეობის უცვლელი წევრია. ჩაის კრეფის გეგმას ხომ ასრულებს გადაჭარბებით, ამასთან ერთად აბრეშუმის ქიაც ყოველწელს ყავს, იმის გეგმასაც გადაჭარბებით ასრულებს. ოჯახი როგორ აქვს მოვლილი, ამას საკუთარი თვალით ნახავ. შეილების დაკარგვის შემდეგ წარბი არ შეუხრია, უფრო თავგამებტებით შრომობს. შემდეგ ვახლა სოციალისტური შრომის გმირი, და ორჯონი ლენინის ორდენისანი. მისი ოჯახი ბარაქთაა საესე, გულიც ბარაქიანი და უშურველი აქვს. ერთხელ, ომის დროს, — მაიმობ ვეროსიმ, — ორლობეში მივ-ლიდი, ვხედავ, მოდის ცხრა თუ ათი წლის მეზობლის ბიჭი ლასლასით. მე რომ დამინახა, გაქცევა დააპირა, მაგრამ ისევე შეანელა ფეხი. — რა იყო, ნენა! დილით საშველი ხომ ჰქონდა? ბიჭმა უარის ნიშნად თავი გააქნია. — წამოდი ჩემთან. — უსიტყვოდ გამომყვა. სახლში შევიყვანე, ცხელი მჭადი, ლობიო და ყველი მივუტანე. — გემრიელად მიირთვი, შეილო... ბიჭი საშველს ეძებრა. სულმოუთქმელად ნთქავდა. როცა სული მოითქვა და ჰამა დაამთავრა, ზეზე წამოვდა.

— დიდი მადლობელი ვარ, ბიცილო ვეროსი, — მორიდებით თქვა ბიჭმა. — ღმერთმა შევარგოს, შეილო, შენი მადლობა ის იქნება, ხალხისა და ქვეყნის სასარგებლო გამოიღი. წელან რატომ შეკრთი ჩემ დანახავზე? — უცებ შემეშინდა, მეგონა ნემსს გამოეთხიდი. — და ბიჭმა კბილები გამოაჩინა. — ნემსებს, ნენა, ავად როცა ხარ, მაშინ გაგაქეთებ, თორემ კარად მყოფს რად გინდა! ასეა. ზოგჯერ სიკეთეც კი უსიამო გრძნობებს აღძრავს ადამიანში. — დაუშობა ვეროსიმ.

— ბავშვებს მართლაც ეშინათ მისი, როცა ავად ზღებთან, ვეროსი უკეთებს ნემსებს და თერთად უთევს ღამეებს. ექიმის სახელით არის ცნობილი აცანაში, ყველას მიმხვდავი და ბატრონია.

„მართლაც მეტად საინტერესოა ასეთ ადამიანთან შეხვედრა, მასთან საუბარი, მისი ნახარვე-ნაფიქრის გაზიარება“, — ფიქრობ ჩემთვის.

ჩემი მეგობარი ქიშკართან შეჩერდა, შემდეგ შეაღო. ნაირფერად ვარდები, პორტენ-ზიები სახლის ვარშემო, კიპარისები, სახლის წინ პალმები, ეზოს ერთ ნაწილში თუთების ტყვრი, იქით აკაცია, ალვის ხეები, აგერ ხეხილნარი, ეზოს ბოლოში თხილის ბუჩქები და მინდვრის ყვავილები. ეზოს ძირითადი ნაწილი ჩაის პლანტაციის უქირავს. პატარა ნაკადულის ჩხრიალი მაფხიზლებს და თითქოს ბოლო ჩუ-

ქურთმას ხატავს. ოცნებათა საუფლოში ვიძმარეწეწეწე რები.

— როგორ ფიქრობ, აქაურობის პატრონს სიცოცხლის აზრი დაუქარავს? — მეკითხება მეგობარი, — ვეროსი აქ სადმე იქნება. როგორც ხედავ, ეზო დიდია, ალბათ ჩაის კრეფს ან რომელიმე ყვავილს უვლის და ეფერება. ისევე ეზოში ჩაველი. მოშორებით თუთების ტყვრიდან ქალი გამოვიდა, თვალბზე ხელი მოიჩრდილა და ჩვენსკენ გამოემართა, ჩვენც ფეხი ავაჩქარეთ.

— ოი, თქვენი ქირიმი, ამას ვის ვხედავ! — და გადავგვივინა. ვამჩნევ, მარცხენა ხელში რაღაც უქირავს.

— ეს რა ვეკირავთ, ქ-ნო ვეროსი? — ვეკითხები.

— უი, ნენა, უცერივ ფეხი მომიხვდა, მოწყდა. ეს მინდვრის ყვავილია, ცისთვალა. — და იქვე, ბალახებზე დასვენა.

— თქვენი ეზო ნამდვილი წალკოტია, თვალი ვერ ძდება ცქერით.

— ყველა სილამაზეს და ბარაქს ადამიანის ხელი ქმნის, — მომიავო სხარტად.

— მართლაც რომ თქვენი გულმოდგინებისა და ჯაფის შედეგია ეს ყველაფერი.

— შეილო! აქ, ამ სახლსა და ეზოში დიდი ბაღები, გაიზარდნენ ჩემი შეილები. აქ დადის მათი ბავშვობა, ყრმობა, ჰაბუტობის დასაწყისი. მათაც ჩემსავით უყვარდათ შრომა. ამ ხეებს, კიპარისებს, რთხმელაზე შებურღულ ვაზს, ვაშნარას ნაპირებს ასსოვთ ჩემი ბუბების სიცილი, ტეტუნობა, სხვადასხვა თამაშობანი, თევზობა. ყველა მათგანს უყვარდა და უყვარს მიწის მადლი. აქ ყველაფერი მათ სახელთანაა დაკავშირებული, ყველაფერი მათ მაგონებს. ჩემმა მიწმა დაამთავრა თუ არა საშველო სკოლა, სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაიწვიეს, 1939 წელს. საარტილერიო ნაწილში ჩაირიცხეს. როგორც სახლში იყო ალალი მშრომელი, ისე ჭარშიაც დიდი პეტრესიკემა და სიყვარული დამისახურა. მისი უფროსებისაგან რამდენჯერმე მივიღე მადლობის ბარათი. ბოლოს მწერდა, რომ ძალიან მენატრებოთო. მაგრამ არც ერთ წერილში არ იგიწყებდა თავის ნაამაყარ ხეხილს, ვარდებს და პალმებს, იქედან ეალერსებოდა.

ვეროსიმ სათუთად შეხვეული წერილები გადმოშვა.

„გამარჯობა ნენა! — იწერებოდა მიწა. — ძალიან მენატრებოთ. როდის გავა ეს რამდენიმე თვე, როდის გნახავთ, მოთმინება მეღევა. ახლა გაზაფხულია საქართველოში. ჩვენი ეზოს გარშემო იამ ალბათ თვალში გაახილა, მატარაკეცვა კვარკულსებში ხომ თებერვალში გაა-

ლიუდმილა ცინცაძე
დავამრფლილი გული



ჰყევდნენ თვალებს და მოედებოდნენ მადალურობას. ჩემი პალმები: შრიალებენ და შრიალებენ. ჩაის ვარდის კოკრებს ნიაყი უნანავეებს და ჩუმად რაღაცას ეურჩილებოდა. შაშვი ქახ-ქახებს. ბუღბუღი მთელი ღამე გალობს. აცა-ურამ ხმურის უმბატა. ვაშნაჩან ევაძებდა და ქებებზე ხტუნვა-ხტუნვით მარაჯრავებს. ქაშაყი და ღორჯო გამჟვირავლე წყალში გაივლებენ და ჭილებში იმალებიან. იცი, ნენა! რომ ჩამო-ვალ, ყველა და ყველაფერს დაკოცნი: თქვენ, ჩემს მიწას და პალმებს“.

— მოსას ბოლო წერილი ომის გამოცხადების შემდეგ მივიღე. „დედა! — იწერებოდა მისა, — მოულოდნელი იყო ამ ურჩხულის თავდასხმა. არაუშავს, მტერს ძვირადღეუ-ვამთ თავხედობას, სრული იმედ მაქვს, გავი-მარჯვებთ. არ შეშინდე, ნენა! თუმცა რას ვამ-ბობ, ჩვენ ხომ შენი სულგაძელობის და ვაჟკაცური შემართების მავალითვე გავიხარდენ-ვით. ჩვენ ხომ აღრე დავარდეთ ოჯახის უფ-როსი მამაკაცი და შენ შეუღდექი შენი მხრე-ბით ოჯახის მძამე მოვალეობას. კაციც და ქა-ლიც შენ იყავი. შენვე ჩავიწინებე ყველა სა-კეთილო საქმისათვის ბრძოლისა და გამარჯვებ-ბის რწმენა. ბიჭები სად არიან, ალბათ გაი-წვიეს. ლენიოს და დარეჯან წრიბას აკოცე“.

— ვანოც საგაღმდებლო სამხედრო სამსა-ხურში გაიწვიეს 1941 წლის მისში, სადაცაიო ნაწილში მოხვდა, — ვანავარძო ევროსიმ. — წსავლის დროს ბუმრობდა, საოცარი იუმორის გრძნობა, მოსწრებული სიტყვა ჰქონდა. მის გვერდით მოწყენილობა ვერდგომელობდა. გულადი, მართალი, მეგობრებისათვის თავდა-ღებულ, საერთოდ მისთვის არ არსებობდა გა-მორჩევა. თუ ხედავდა ადამიანს უჭირდა, თავს არ დაზოგავდა. წერილებითაც გვამხნევებდა: ნენაია, არაფერი იღარად. ნეტავი რა გაქვს სა-წყხარი, ერთი შვილი არტალერისტი გყავს, მე ავიატორი, ოთარი ფეხოსანთა ნაწილში იქ-ნება, გენოს ალბათ ტრანსიტობა მოუწევსო. ესე იგი ყველა სამხედრო ნაწილებს „გამგე-ბელნი“ შენი შვილები ექნება — მოვევლით ამ ქვეყანასო. მისი უკანასკნელი წერილი სტა-ლინგრადიდან მივიღე: ნენა! ამ წერილს სტა-ლინგრადიდან გწერ, ჩვენ ნაწილში არაჩვეუ-ლებრივი მეგობრული სულსიკეთებით ვართ ურთიერთ ვაწყობილი. აქ არ იგრძნობა ეროვ-ნებათა განსხვავება. თავგამებებით ვებრძვით მტერს. დიახ, ჩვენ გვიყვარს ერთმანეთი. გვძულს მტერი. შურს ვაძიებთ, არ შევარჩნთ მტერს ჩვენი მიწის აიხრებას, ჩვენი ხალხის აწიოკებას. მხნედ იყავ, ნენა.

ოთარი კი 1941 წლის დეკემბერში გაი-წვიეს, ფეხოსანთა ნაწილში, რიგითი მეტყვია-მტრქვევე იყო. მისი პირველი და უკანასკნელი ბარათი ქვარჩიდან მივიღე 1942 წლის 15 იან-ვარს, ხოლო როგორც შემდეგ დანამდვილებით

შეიცტყვეთ, 16 იანვარს დაეცა ბრძოლის ველზე. სწორედ აქედან იწერებოდა: „დედა, გა-მარჯობა, ჩემო ნენა! ბომბდამშენთა გრაილი, ქვემეხების ქუხილი, ყუმბარების გრუნუნია ჩემს ირვლევი, მაგრამ როგორც ყველა სამა-მელთა ომის დროინტებზე, ისე აქაც ჩვენ კიდევ ერთხელ დამუტკიცეთ სამშობლოს „ვისი გო-რისანიც ვართ“, რომ ჩვენ ძარღვებში წინა-ბართა სისხლი ჩქედს, იმ წინაპართა მოღმესა-ნი ვართ, რომელთაც მახვილი მანამ არ ჩაუ-გიათ, ვიდრე მის მიწაწყალზე მტერი ბოვი-ნობდა. ბიჭების ამბები მაგნობე. ვანოს წინას-წარმეტყველება ახდა, ფეხოსანთა ნაწილში ვარ. ჩემ სანერგეს გაუფრთხილდი, როცა ჩა-მოვალ. ბევრი საინტერესო გეგმები მაქვს“.

ბარათი ბოლომდე წავიციებთ და ევროსის შევხედე. სედასურეული ღიმილი ეფინა სახე-ზე. — შეილები დედისათვის ყველა ერთნი-არად საყვარელია, მაგრამ ზოგერთი შვილი თვითონვე გამოირჩევის თავს. ჩემი შვილები ყველა გულმართალი და ხელმართალნი არიან. მაგრამ ოთარი, — დაფიქრდა ევროსი, — გო-ნებანათელი, დარბიანიელი და მოკრძალებული იყო. მის მიმართ მარტო დედა-შვილური სიყ-ვარული კი არა, პატრისციემის გრძნობა მქონ-და, თითქოს მორიდებაც კი. სანიმუშო მოს-წავლე იყო და კოლმეურნობაშიც ერთგულად მუშაობდა. მაგრამ ეს არ იქმანა და ამ ენოში, აი, იმ პატარა ნაყვეთზე სანერგე მოაწყო. ერთ-ხელ სახლში შესვლამდე ბიჭების გაცხარებუ-ლი საუბარი შემომესმა.

— ვანო, გვხვეწები, შენ უთხარი ნენას რა! — მომიხმა ოთარიკოს ხმა.

— შენ თვითონ უთხარი, მაგაზე ნენაი უარს არ გეტყვის, — უბასუხა ვანომ.

— ძალიან მერიდება, უარი რომ მითხრას? — შემომესმა ისევე ოთარის შენადვლიანებული ხმა. — ნეტავ, რა უნდა ამ ბალანას, — ვიფიქრე და სახლში შევედი. — რაზე ნაღვლობ, ნენა! რა გინდა, ბიჭო? — ვეკითხები. — იმან თავი ჩაღუნა, ხოლო ვანომ ყველთან ხელი მიი-ტანა და შემევედრა, ნენაია, ნუ ეტყვი უარს, ოთარს სანერგეს ცადიდება უნდა და რამდენ-მე ჩაის ბუჩქის ადგილს გთხოვს.

— მერედა, მაგაზე რა გადარდებს, შვილო! კი, ნენა, გააკეთე, ივარგე, კარგ საქმეზე უარს რავე გეტყვი! ჩაის ბუჩქები კი მენანება. იმათ გახარება-ვაზრდაზე ბევრი შრომა მაქვს დახარ-ჯული, მაგრამ არაუშავს.

— ნენა, ისე გავაკეთებ ყველაფერს, შენ რომ გავხარდებო, — მითხრა ოთარიკომ, ცეც-ხლივით თვალები შემომანათა და გულში ჩამე-კრა. ერთ თვეში ჩვენი ენოს პატარა მონაყვე-თი დიდი გულმოდგინებით დაამუშავა და მზად იყო სუბტროპიკული, დეკორატიული და ხეხი-ლოვანი მცენარეთა სანერგე, 17 წლის ოთარმა 1939 წელს თავის სანერგით მონაწილეობა

მიიღო მოსკოვეში სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე.

ომის გამოცხადების შემდეგ თითო წერილი მივიღე ჩემი ბიჭებისაგან, მერე უგზოუკვლოდ გაქრნენ.

— ისინი ყველგან არიან, სადაც ანთია ჩაუქრობელი ცეცხლი, უცნობი ქარისაკაცის საფლავი, ძმთა სასაფლაო.

— და სანამ ცოცხლობს დედის გული, — დაუშავა ევროსიმი. ცრემლი არ ჩანდა მის თვალებზე, მაგრამ მისმა ნაღველშერეულმა დიმილმა, სულითხორცამდე შემძრა, ყელში ბურთი გამეჩხრა, ნერწყვი გამოშრა. სახეც ალბათ ძალზე საყოფადი და უზადრუკი მქონდა.

ევროსის თითქოს რაღაც გაახსენდაო, სახიდან ჩრდილი გადაიყარა, წელში გასწორდა და მკითხება: — მამ ძალიან მოგწონთ აქაურობა? — ფოლადი ჩასდგომოდა ხმაში. სიტყვის ამოღება მაინც ვერ მოვახერხე და თავი დავუქნიე.

— დაგლახებულნი კაცი არც ღმერთს უყვარს, მით უფრო აღამიანს არ უყვარს, ნენა! სანამ ცოცხლებში ურევებიან, კაცურად უნდა იცოცხლო. შვილის სიყვარული ადვილია, ამას ცხოველებიც ახერხებენ, მაგრამ გიყვარდეს და გაწირო, გაიმეტო, გულიდან მოიგლიჯო, აი, რა არის ძნელი. გაუწირავდე და შეუწირავდე აღამიანთა მოღვმას; განსაკუთრებით ქართველებს არასოდეს მოუპოვებიათ გამარჯვება. მარტო მე ხომ არ გაეწიო, მილიონობით დედებმა გაწიეს. განსხვავება შეიძლება ისაა, ზოგმა ერთი ან ორი გაწიო, მე კი სამი ვაჟაკი და დედის გულიც, — ის დაფიქრდა. მე ნერწყვის გადაყლაპვა შევედი. — კიდევ დამარჩა სამი შვილი, მათი კუთვნილი გულიც დამარჩა, იმ დარჩენილ გულის ნაწილით ვცოცხლობ და კვლავაც უნდა ვიცოცხლო, მათი და ამითი სახელი არ უნდა შევარცხნიო. კერა არ უნდა დაინგრეს, ფუტი არ უნდა ჩაქრეს. ომის დამთავრების შემდეგ ავაშენე ეს ორსართულიანი სახლი, ვუვლი ეზო კარ-მიდამოს, გმუშაობ მოუღლედად. უდარბო და უსატიყარო ჩიტი არ არის ქვეყანაზე, მაგრამ დარდი სათნო გულით უნდა ატარო და ავა კუხებით მოვიკლო. დარბა კი არ უნდა ვაგაბოროტოს, არამედ უფრო კეთილი, გულშემატყვიარი უნდა გახდეს. კიდევ იმედი, იმედი, შვილებო, აღამიანის მაცოცხლებელი ძალაა. ის რომ არ იყოს, სიცოცხლეს ფასი არ ექნებოდა. დარბი და გაჭირვებული იმედით ცოცხლობს, ახალგაზრდა იმედით შებუყრებს მომავალს. მეც ისე ვარ, ქიშკრის ჭრიალს, ძაღლის ყეფას, გათენებას თუ დაღამებას იმედის თვალთ გუყუებ. ხშირად ფიქრობ, აღამიანი შეგნებულად ატყუებს საკუთარ თავს და იმედში ეძებს თავის სიცოცხლის გამართლებას. შეიძლება ესეც ცხოვრების დაუწერელი კანონია. თორემ უკვე

ათი წელი გავიდა, რიღის მოლოდინი უნდა მქონდეს? მაგრამ მე მაინც ველოდები, დედის გული მაინც ელოდება.

ქიშკრის ჭრიალი გაისმა. სკოლის ფორმაში გამოწყობილი გოგონა პეპელასავით მიფრინავდა ჩვენსკენ. — ეს არის, სულს რომ მიზრუნეს. — გვითხრა ევროსიმი. დარეკანი თვალეხს აყვებდა. — მოვიდა ჩემი ნაბოლარა, უფროსი ქალიშვილი ქუთაისშია გათხოვილი, ეს კი ახლა ამთავრებს საშუალო სკოლას.

— ალბათ უმაღლესისაგან უქრავს თვალი? — შევეკითხე.

— რა ვიცი, შვილო, განსაკუთრებულ სურვილს რომელიმე სპეციალისტსკენ ვერ ვამჩნევ. ოღონდ იცოცხლოს, გათხოვდეს, კარგი ოჯახის, შვილების და შეუღლის მოვლა-პატრონობა მე დიდ საქვეყნო საქმედ მიმაჩნია.

— ყველა აღფრთოვანებულია თქვენი შვილებით; მათი შრომისმოყვარეობით, კეთილგონიერებით, ზრდილობით, სწავლის წყურვილით, ავკარგვიანობით, ეს ხომ აღზრდის დიდი ხელოვნებაა, როგორ მოახერხეთ ეს?

— პირველ ყოვლისა, ბებერი შვილის გაჩენა ბავშვის სულიერი აღზრდის, გაკეთილშობილების საწინდარია. მრავალშვილიანთა გამოჩინებას ყოველგვარ ეგოიზმს, ბავშვში ზრდის სხეებისადმი ყურადღებასა და სიყვარულს, ამტკიცებს აღამიანთა შორის კეთილდამოკიდებულების ჩვევებს. ბავშვებმა იცინა, დედ-მამამათ ერთმანეთისაგან არ არჩევს. მათი ყურადღება თანაბრადაა განაწილებული ბავშვებზე. და თუ რომელიმე ბავშვთაგანი თავისი საქმით ან რაიმე კეთილგონიერებით გამოირჩა, ეს მით უფრო საკეთილდ მოქმედებს დანარჩენებზე. ისინიც ცდილობენ, მიხაძონ საქმებურ შვილს. და შემდეგ დედ-მამის ურთიერთობა, მათი საქმიანობა, მოვლუბისადმი დამოკიდებულება ყოველივე ამას ბავშვი უჩინრად ითვისებს, ღრუბელივით ისრუტავს. ჩემი აზრით, ბავშვებისათვის და საერთოდ ახალგაზრდობისათვის კეთილი საქმით მაგალითის მიცემა მეტს ნიშნავს, ვიდრე გაუთავებელი ჩიჩინი და ჩაფიქვება. ხომ გაგიგონიათ გურული ანდაზა: „ნამეტანი ჰეი, ჰეი, ხარს უკუღმა წაიყვანსო“.

გულშენი ამ ბრძენ ქალს და სიხარულით საწყურადღვსილი ვფიქრობდი: აი, თურმე სად ყოფილა ჩვენი ერის უკვადება.

• • •

რამდენიმე დღე დაგრჩი ევროსისთან. ფეხჩაუხრელად საქმობდა, გონებაშეშლილობა, ხუმრობდა. მის თვალზე ვერა და ვერ შევნიშნე ცრემლი. ერთ დღეს ევროსი ჩაის საკრეფად იყო წასული. ოთარის ყოფილ სანერგე-

ლიუდმილა ცარცვაძი
ფაფირფლილი გული

საქვ წავედი. ეზოს ეს ნაკვეთი ახლაც ოცნება-სავით ლამაზი იყო. დაფიქრებული მივდიოდი, ამოკენსასავით ჩამქსმა, ტუიის ბუჩქს ამოვეფარე. შემდეგ ბუჩქი აქეთ-იქით გავწიე და სათვალთვალო გადავაკეთე.

ევროსი იჭდა, ხელში ბიჭების სურათები ეჭირა და ემუსაიფებოდა: მიშა, ნენა, ხომ მწერდი მენატრებიო და მალე ჩამოსვლას მპირდებოდი, შენ ტყუილი არ იცოდი. ვანო ნენაია!.. ცხარე ბრძოლებიდან მწერდი, მაინც არ იშლიდი ხუმრობას. აცაურა აღიდებულა, შენ ყველაზე უფრო გეხერხებოდა თევზის დაჭერა. ნენას უყვარს ღორჭო თევზიო, იცოდი თქმა. ოთარაიყო, შვილო... შენ ბევრი ლაპარაკი არ გიყვარდა, ერთი შეხედვით ხვდებოდი, რა მინდოდა, რა მესიამოვნებოდა. ჩემო ჭკვიანო, გულმართალი შვილებო, ჩემო ვაჟაკებო! ვამყობდი, ოთხი ვაჟაკის დედა ვარ, მთებს შევჭრავდი, მეგონა. მენატრებით, შვილებო, ძალიან მენატრებით. გული დაიღალა თქვენ მოლოდინში, მაინც გელოდებით — და მის თვალთაგან წამოვიდა ცრემლების ლმუტერი. აქეთით-ნებუთი გავეცალე იქაურობას.

რამდენიმე ხნის შემდეგ გამოგვეცხადა, მომღიშარი და ხალისიანი.

ერთ დღესაც მჭადის ფეხებს ცრიდა, ეგონა, არაინ ხედავდა. აღმოხდა — სადა ხართ, შვილებო; ჭამა არ გინდათ? — უეცრივ დავიბენი, მეგონა ჩვენ გვეუბნებოდა და სახლში შევედი:

— ჩვენ გვიოხარი რამე? — ვეკითხები.

ჩემკენ არ მოუხედავს, ისე მიპასუხა: — არა, ნენა, აგერ კატა იყო, იმას გავუჭავრდიო.

რა ძალა აქვს ამ ქალს, ვფიქრობდი და მშურდა მისი სულის სიძლიერე, მისი აღამიანური ამტანობა.



ორი წელი იყო გასული ევროსისთან ყოფნის შემდეგ. ახალ მიღებულ ჟურნალ „საქართველოს ქალს“ ვთვალთვლებ და ვკითხულობ. ქალი მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ქალი უმადლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატრიო სიგელით დაჯილდოებული, ქალი სოციალისტური შრომის გმირი და სხვა. ევროსი აიღანდა ჩემს მოგონებებში — რა ცოტა ითქვა იმ გულმართალ და ხელბარაქიან ქალზე...

ლავეარდს მეწამული შერევია. ა ქულ-ღრუბლებითაა მოჩითული. ერთი ღრუბლიდან თვალისმომკრელი სინათლის შუქი გამოიჭრა და ძირს დაეშვა, რამდენიც მიახლოვდება, აღამიანის გამოსახულებას ღებულობს, ის ჩემსკენ მოდის, თეთრებით მოსილი საოცრება ჩემ წინ დაეშვა. განცვიფრებული ვუცქერი:

— ეს ხედა ხარ ევროსი?

— ჰო, ნენა. — და ორივე ხელს ჩემკენ იწვდის და მანკვებებს.

— ეს რა არის, ევროსი?

— ჩემი გულია, ნენა.

— ეს ხომ რაღაც ფერფლია.

— შვილების დარღთ დაილია, დაიფერფლა.

— შენ ხომ მიოხარი, დარჩენილი სამი შვილის გულით ვიცოცხლებო.

— მაინც დაიფერფლა, ნენა!

— როგორ, სულ გაქრება, აღარ იქნება შენი გული?

— დედის გულს რა მოკლავს, ის მუდამ ცოცხლობს, დედის გული უცვდავია, ნენა.

და ევროსის გულის ფერფლი ისევ ცისკენ აიჭრა, მაღლა, სულ მაღლა, კავკასიონის ყველაზე მაღალ მწვერვალზე გაჩერდა და შარავანდედით შეიმოსა...

ტელეფონის ხმამ გამომაღვიძა.

— გამარჯობა!

— შენა ხარ, რუსულან?

— ჰო, მე ვარ, მე.

— რაღაც შენი ხმა არ მომწონს.

— შენ როგორ ხარ? — მეკითხება რუსულანი.

— არა მოშავს, შენ გამოაღვიძე, საოცარი სიზმარი ვნახე. — და ვუამბე.

— არ გითხარი, — მეუბნება რუსიკო, — ბოლო ხანებში ცუდად იყო, ერთი კვირაა, რაც დაეკრძალებ. შენ ისე გიყვარდა ის, არ გითხარი არც ავადმყოფობა და არც დაკრძალვის დრო. მართლაც რომ დაილია და დაიფერფლა ჯერ კიდევ ახალგაზრდა (ის ხომ 57 წლის იყო) დედის გული. დიდი პატივით და სიყვარულით დაიბრია თავის სოფელში და რაიონმა. მას ხომ ჯერ კიდევ ბევრი სასარგებლო მაგალითის მიცემა შეეძლო ჩვენი მომავალი თაობისათვის.



შ ე რ ი ჯ ე ბ ი

ალექსანდრე ბახჩაქაი

საბჭოთა ხალხის ღიალი გამაჩხვება

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი ისტორიაში სამუდამოდ შევიდა, როგორც უდიდესი მსოფლიო მოვლენა.

ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი იყო კაცობრიობის ნათელი მომავლისთვის ბრძოლა. ამ ომში პირველი სოციალისტური ქვეყანა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობით მსოფლიო რეაქციის ძალებისაგან იცავდა ყველაზე პროგრესულ წყობილებას, სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ყველაზე დემოკრატიულ ფორმას, ყველაზე მოწინავე კულტურას. ამ ომში წყდებოდა არა მარტო ერთი სახელმწიფოს, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის ბედი, არამედ მთელი მსოფლიოს ბედიც. ჩვენი ქვეყნის გამარჯვება ან დამარცხება განაპირობებდა ფაშიზმის უღელქვეშ მოხვედრალი ყველა ხალხის ეროვნულ აღორძინებას, სუვერენიტეტსა და თავისუფლებას.

დიდი სამამულო ომი განსაზღვრავდა მთელი ჩვენი ხალხის, მთელი სოციალისტური საზოგადოების, მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის, დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვართა ბედს. სოციალიზმის გამარჯვება, მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი მეგობრობა და საბჭოთა პატრიოტიზმი ამ ომს სამამულო ხასიათს აძლევდა. სოციალისტური საშობლოს დასაცავად ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხი ერთსულოვნად აღსდგა. ეს იყო ჭეშმარიტად დიდი სამამულო ომი, რომლის მსგავსი მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს.

დიდი სამამულო ომის საერთო-საყოველთაო ხასიათმა, მისმა მრისხანე სიღლიდემ ნათელი გამოხატულება პოვა ომის პირველ დღეებში შექმნილი შესანიშნავი სიმღერის სიტყვებში:

Вставай, страна огромная,
 Вставай на смертный бой
 С фашистской силой темною,
 С проклятой ордой.
 Пусть ярость благородная
 Вскипает, как волна, —
 Идет война народная,
 Священная война!

დიდი სამამულო ომი მეორე მსოფლიო ომის შემადგენელი ნაწილი იყო. სწორედ სოციალისტური ქვეყნის ჩაბმა ამ ომში იყო ის გადაწყვეტი ფაქტორი, რომელმაც მსოფლიო ომს ანტიიმიტერული კოალიციის ძალების მხრივ ანტიფაშისტური, სამართლიანი, გამათავისუფლებელი ომის ხასიათი მისცა.

ისევე, როგორც მშვიდობიანი მშენებლობის წლებში, დიდი სამამულო ომის პერიოდშიც საბჭოთა ქვეყნის, მთელი საბჭოთა ხალხის და მისი შეიარაღებული ძალების შთამავანებელი და წარმმართველი ძალა, გერმანელ ოკუპანტთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ორგანიზატორი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი, რომელსაც ი. ბ. სტალინი მეთაურობდა.

სამამულო ომის მთელ პერიოდში კომუნისტური პარტია გამოდიოდა არა მარტო მტრის წინააღმდეგ მიმართული საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ორგანიზატორად, არამედ ნამდვილად მეომარ პარტიად. სამამულო ომის ფრთხილად მოქმედი ჯარების შემადგენლობაში იმყოფებოდა პარტიის ძირითადი ძალები — მისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. საბჭოთა არმიის ყოველი მეოთხე მეტროლი კომუნისტური პარტიის წევრი ან მისი წევრობის კანდიდატი იყო. კომუნისტები ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო საბრძოლო დაეალებებს ას-



რულბდნენ, ისინი გაუგონარი გმირობისა და შემართების მაგალითებს იძლეოდნენ.

კომუნისტურმა პარტიამ ამოძრავა და დარაზმა ჩვენი მრავალგონივი საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ხალხი დიდი სამამულო ომისათვის.

ომის დასაწყისშივე პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიძულება გერმანულ ფაშისტ დამპყრობლებთან საბრძოლველად საბჭოთა ხალხის მთელი ძალების მობილიზაციის პროგრამა. იგი ჩამოყალიბებული იყო საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1941 წლის 29 ივნისის დირექტივაში ფრონტისპირა ოლქების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციებისადმი.

პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სახკომსაბჭოს მიერ შემუშავებული პროგრამა გადმოცემული იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის მიერ რადიოთი წარმოთქმულ სიტყვაში 1941 წლის 3 ივლისს. ამ გამოსვლაში განმარტებული იყო საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის სამართლიანი ხასიათი.

ი. ბ. სტალინი მოუწოდებდა ყველას გამოეჩინათ მამაცობა და გმირობა ფრონტზე, თავგამოდებით ეშრომათ ზურგში. მან მიმართა გმირ მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, საბჭოთა ინტელიგენციას მოწოდებით: „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!“ კომუნისტური პარტია ეყრდნობოდა ვ. ი. ლენინის მითითებებს იმის შესახებ, რომ ომის პირობებში უწინარეს ყოვლისა, და ყველაზე მეტად ყველა კომუნისტმა, ყველა მათმა თანამებრძოლმა, ყველა პატიოსანმა მუშამ და გლეხმა, ყველა საბჭოთა მუშაკმა სახელოდ უაღდის სიბეჭით უნდა გამოეჩინოს და თავიანთი მუშაობის, თავიანთი ძალ-ღონისა და ზრუნვის მაქსიმუმი გადაიტანონ ომის უშუალო ამოცანებზე.¹ კომუნისტურმა პარტიამ ომისდროინდელი პროგრამის ხორცშესხულად გააჩაღა ტიტანური პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა ჩვენი სამშობლოს ერთიან საბრძოლო ბანაკად გადაქცევისათვის.

დიდი სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ერთიანმა დარაზმულობამ, უმაგალითო გმირობამ და თავგანწირვამ ფრონტზე და ზურგში კიდევ ერთხელ დაამტკიცა ვ. ი. ლენინის დებულების ქუშპარტება, რომ ყოველ ომში გამარჯვება საბოლოო ანგარიშით განპირობებული იმ მასების სულსკვეთების მდგომარეობით, რომელიც ბრძოლის ველზე ვღვრიან თავიანთ სისხლს. ომის სამართლიანობაში დასწმუნება, თავის თანამომქმთა საკეთილდღეოდ საკუთარი სიცოცხლის განწირვის აუცილებ-

ლობის შეგნება ამხნევეებს ჯარისკაცებს „აიძულებს მათ გადაატანონ გაუგონარი სიმძიმეები“.²

საბჭოთა ხალხმა სამამულო ომის პერიოდში გაუძლო ყველა და ყოველგვარ განსაცდელს და ომიდან გამარჯვებული გამოვიდა. მაგრამ ომმა უდიდესი ზარალი მიავლია ჩვენი ქვეყანას. სამამულო ომის ფრონტებზე და ფრონტის მონობაში დაიღუპა 20 მილიონზე მეტი საბჭოთა ადამიანი. გერმანულმა ფაშისტებმა დაანგრეს და გააპრცვეს 1710 ქალაქი და ქალაქის ტიპის დასახლება, გადაწვეს 700 ათასზე მეტი სოფელი; მოლიანად ან ნაწილობრივ მოსპეს 32 ათასამდე სამარწველო საწარმო, დაანგრეს 65 ათასი კილომეტრი რკინიგზის ლიანდგავი, გააპრცვეს 98 ათასი კოლმეურნეობა, 5 ათასამდე საბჭოთა მეურნეობა და მანქანა-ტრაქტორთა სადგური, მოსპეს ათეულ ათასობით სავადმყოფო, სკოლა, ტექნიკუმი, უმაღლესი სასწავლებელი და ბიბლიოთეკა. ჩვენი ქვეყნის მატერიალურმა დანაკისმა 2600 მილიარდამდე მანეთი შეადგინა. კაცობრიობის ისტორიას არ ახსოვს მსგავსი რამ, არც ერთ ქვეყანას არც ერთ ომში არ განუცდია ასეთი ზარალი და ნგრევა.

საქართველოს მშრომელებმა, სხვა საბჭოთა ერებთან ერთად, თავიანთი წვლილი შეიტანეს დიდი სამამულო ომის გამარჯვებით დაგვირგვინებაში. საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში საქართველოდან 673 ათასი კაცი მონაწილეობდა. ამათგან თითქმის ნახევარი სამამულო ომის ფრონტებზე მამაკური სიკვდილით დაეცა. მრავალი ქართველი გმირულად იბრძოდა პარტიზანულ რაზმებში, როგორც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე, ისევე წინააღმდეგობის რაზმებში, საფრანგეთის, იტალიის, იუგოსლავიის, ბელგიის, პოლანდის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის და ევროპის სხვა ქვეყნებში. გმირობისა და სიმამაცის გამოჩენისათვის მრავალი მათგანი დაჯილდოებულია უცხოეთის სახელმწიფოს ორდენებითა და მედლებით, ხოლო ფორტ მოსულიშვილს იტალიის ეროვნული გმირის მადალი წოდება მიენიჭა.

სკკ ც-ის გენერალური მდივანი ი. ბ. ბრეჟნევი აღნიშნავს: „გმირმა საბჭოთა ჯარებმა, რომელთა რიგებში მამაკურად იბრძოდნენ ქართველი მომრებეცი, გაანადგურეს და უკუაგდეს მტერი. მთელ მრავალგონივან საბჭოთა არმიასთან ერთად ქართველმა მებრძოლებმა გამარჯვების გზა განვლეს კავკასიის მთებიდან ბერლინამდე. დადგა ნანატრი ყამი. რიხსტაგზე აფრიალდა წითელი დროშა — გამარჯვების დროშა. იგი აღმართეს რიგითმა ჯარისკაცმა ეგოროვმა, თქვენმა თანამემამულემ — სერ-

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 511.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 154.

ქანტმა ქანთარამ, უფროსმა ლექტანტმა სამსონოვმა.³

დიდი სამამულო ომის პერიოდში ათიათათმისობით ქართველმა დიდებულმა შარავანდელით შემოსა თავისი სახელი. 244700 ქართველი მამაკაცობისა და მხედრული დამსახურებისათვის დაჯილდოებულია ორდენებითა და მედლებით, ხოლო 137-ს მიენიჭა საბჭოთა კავშირის მალაი წოდება. აი, როგორ ახასიათებს ერთ-ერთ მათგანს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჯნევი: „მე მომიხდა მეგრძოლა ერთ-ერთ უნიკერეს საბჭოთა მსედაროთმთავართან — მე-18 არმიის სარდალ გენერალ-პოლკოვნიკ კ. ნ. ლესელიძესთან ერთად. ფრონტზე ძალიან მალე შევადრედა ადამიანის ბუნება, იქ მაშინვე იგებ ვინ რას წარმოადგენს. კონსტანტინე ლესელიძე დამახსოვდა როგორც ქართველი ხალხის საუკეთესო ეროვნული თვისებების განსახიერება. ეს იყო სიცოცხლით სასვე ვეჯაკი, მტრისთვის მკაცრი და მეგობრებისათვის გულუხვი, პატიოსანი კაცი, გონებაშაველი და გულმგზვნებარე“.⁴

საბჭოთა კავშირის გამარჯვებამ დიდ სამამულო ომში, — რომელიც მეორე მსოფლიო ომის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი იყო, — კიდევ ერთხელ დაადასტურა მარქსისტულ-ლენინური თეორიის სისწორე. მარქსიზმ-ლენინიზმი მიუთითებს, რომ გამარჯვება ან დამარცხება ომში საბოლოო ანგარიშით კანონზომიერია. დროებით, შემთხვევით უპირატესობას შეუძლია გავლენა მოახდინოს ომის ცალკეულ ეტაპზე, ხოლო მის საბოლოო შედეგზე ის გავლენას ვერ მოახდენს. საბჭოთა ხალხის გამარჯვება სავსებით კანონზომიერი მოვლენა იყო, რომელიც განაპირობა სოციალისტური სახელმწიფოს შინაგანმა ბუნებამ.

საბჭოთა ხალხის გამარჯვების სულსიხამდევლი და ორგანიზატორი სამამულო ომში, ისევე როგორც ჩვენი სახელმწიფოს განვითარების ყველა ეტაპზე იყო ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილი კომუნისტური პარტია. პარტია, რომელიც შეიარაღებული იყო ყველაზე მოწინავე თეორიით — მარქსიზმ-ლენინიზმით, ფლობდა ქვეყნის ხელმძღვანელობის უდიდესი გამოცდილებას, შესწევდა უნარი თავის ხელში აეღო და ეხელმძღვანელა საბჭოთა ხალხის ბრძოლისათვის აგრესორთა წინააღმდეგ. ომის წლებში კიდევ უფრო გაიზარდა კომუნისტების ავანგარდული როლი. კომუნისტები ფრონტსა და ზურგში გაუფიქრებელი გმირობის მაგალითებს იძლეოდნენ და აღაფრთოვანებდნენ მთელ საბჭოთა ხალხს მტერზე გამარჯ-

ვებისათვის. საცხებით კანონზომიერია ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირის გმირებიდან სამ მეთოხედს კომუნისტები შეადგენენ. იმ 300 მებრძოლიდან, რომლებიც უკვდავი გმირობისათვის სამუდამოდ ჩარიცხული არიან ნაწილებს, გემების, სახმელეთ-სასწავლო დაწესებულებების პირადი შემადგენლობის სიაში 134 კომუნისტური პარტიის წევრია. ჩვენი სამშალოს დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში ომის პერიოდში დაიღუპა ორ მილიონამდე პარტიის წევრი, მაგრამ პარტია არ დასუსტებულა, მისი ბრძოლისუნარიანობა კი არ შემცირდა, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა. ომის წლებში მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის ყველაზე უფრო შეგნებული, მტკიცე წარმომადგენლები უწყვეტ ნაკადად შედიოდნენ პარტიის რიგებში. სამამულო ომის პერიოდში კომუნისტური პარტიის ავტორიტეტი, როგორც საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმმართველი ძალისა, კიდევ უფრო გაიზარდა.

კომუნისტურმა პარტიამ შეძლო მთლიანად გამოეყენებინა სახალხო მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობანი. იგი ევრონობლად ვ. ი. ლენინის დებულებას, რომ თანამედროვე ეპოქის ომებში ეკონომიკა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის როლს თამაშობს. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ ჩვენი საუქუნის დასაწყისში, რუსეთ-იაპონიის ომის გამოცდილების საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „კავშირი ქვეყნის სამხედრო ორგანიზაციასა და მთელ ეკონომიურ და კულტურულ წყობილებას შორის არასოდეს არ უფორლა ესოდენ მჭიდრო, როგორც ამჟამად“.⁵

სამამულო ომის წლებში უდიდეს სიძნელეთა გადალახვის შედეგად კომუნისტურმა პარტიამ შექმნა აგრად ორგანიზებული სამხედრო მეურნეობა.

საბჭოთა სამხედრო ეკონომიკამ გაუსწრო გერმანიას არა მარტო რაოდენობრივი, არამედ ხარისხობრივი მაჩვენებლებითაც. სოციალისტურმა ეკონომიკამ დაამტკიცა თავისი სრული უპირატესობა გერმანიის სამხედრო ეკონომიკის მიმართ. სოციალიზმის ეკონომიურმა გამარჯვებამ ბრწყინვალედ დაადასტურა მეურნეობის სოციალისტური სისტემის სიცოცხლისუნარიანობა და პროგრესულობა.

საბჭოთა ხალხმა გაიმარჯვა იმითომ, რომ კომუნისტური პარტია ეყრდნობოდა სოციალისტური საზოგადოების ისეთ მძლავრ ძა-

5 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 8, გვ. 44.

3 ლ. ი. ბრეჯნევი, საბჭოთა საქართველოს ორმოცდაათი წელი, თბილისი, 1971, გვ. 13.

4 იქვე, გვ. 14.

ალექსანდრე გიბიძე
საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება

ლებს, როგორცაა სოციალურ-იდენტური ერთიანობა, საბჭოთა პარტიოტიზმი, ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ხალხთა მეგობრობა.

სამამულო ომის პერიოდში კიდევ უფრო განმტკიცდა სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერების კლასობრივი საფუძველი — მუშათა კლასისა და გლეხობის ურდვევი კავშირი. შემთხვევით არ იყო, როცა ვ. ი. ლენინი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ ჩვენს ბევრწლოვან ქვეყანად ყველაზე უფრო სასწაულებრივ ძალას — მუშათა და გლეხთა ძალას. ეს არის სოციალისტური საზოგადოების უმთავრესი და გადამწყვეტი ძალა, მისი სიცოცხლისუნარიანობის საიმედო ვარანტი.

ომის დროს განსაკუთრებული ძალით გამოხდებოდა საბჭოთა პარტიოტიზმის ცხოველყოფილობა. საბჭოთა პარტიოტიზმმა — სოციალისტური სამშობლოსადმი განუზომელმა სიყვარულმა, ხოლო მისი მტრებისადმი უსაზღვრო სიძულვილმა — დიდად შეუწყო ხელი საბჭოთა ხალხს ვადელახა ყოველგვარი ელკირებება და დაბრკოლება ომის გეგმზე და მტკიცედ ევლო პარტიის მიერ დასახული ნათელი მიზნების განსახორციელებლად.

სამამულო ომის პერიოდში მტერი წააწყდა საბჭოთა ხალხების მეგობრობის ურყევ ძალას. მტრის ვერაუდმა, რომ ჩვენს ქვეყანაში მოსახლე სხვა და სხვა ერები და ხალხები გაითიშებოდნენ და ერთმანეთს შეეჯახებოდნენ, სრული კრახი განიცადა. გერმანელთა შემოსევის პირველი დღეებიდანვე ჩვენს მრავალეროვან სამშობლოში შემაგალი ყველა ხალხი ერთსულოვნად აღსდგა სოციალისტური ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დასაცავად. საბჭოთა მრავალეროვანმა სახელმწიფომ ომის ყველა განსაიდგელს გაუძლო და დაამტკიცა თავისი უძლეელობა და სიცოცხლისუნარიანობა. სამამულო ომმა ერთხელ კიდევ ცხადპყო, რომ ერთგული საკითხის გადაჭრა, ხალხებს შორის ძმური, მეგობრული ურთიერთობის დამყარება შესაძლებელია მხოლოდ გამარჯვებული პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, სოციალიზმის ბაზაზე.

გამარჯვება დიდ სამამულო ომში უზრუნველყო წითელი არმიის ურყევმა ძლიერებამ. საბჭოთა შეიარაღებული ძალები სისხლ-ხორცეულად არიან დაკავშირებულნი და განუყოფელნი ხალხისაგან. პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პარტიოტიზმის სულსკვეთებით აღზარდილი ჩვენი შეიარაღებული ძალები უწყინდეს მიზანს ისახავს — დაიცვას პირველი სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე უფრო სამართლიან საზოგადოებას აშენებს. ახალი ტიპის სოციალისტური არმიის ყველა ღირსშესანიშნავმა თვისებამ თავისი მკაფიო გამოხატულება პოვა მის გმირულ შემარ-

თებაში, მამაცობაში, თავისი გამათავისუფლებელი მისიის შეგნებაში, მისი პირადი შემადგენლობის მზადყოფნაში სიცოცხლე გასწორონ თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, მისი დიდი იდეალიზმისათვის. საბჭოთა შეიარაღებულმა ძალებმა გმირულად გადაიტანეს ომის ყოველგვარი ბედუქუღმართიანი, ძლიეს გააფთრებულ მტერს და ომიად კიდევ უფრო მეტკიცე და ბრძოლისუნარიანი გამოვიდნენ.

შეიარაღებული ძალებისადმი სტრატეგიული ხელმძღვანელობა თავმოყრილი იყო უძაღლესი მთავარსარდლობის მთავარ ბანაკში. უმაღლესი მთავარბანაკის სტრატეგიულ გადაწყვეტილებათა მომზადებაში მონაწილეობას ეზღუდებოდნენ ფრანტების სამხედრო საბჭოები და სარდლები, აგრეთვე ცენტრალური სამხედრო ორგანოები. სამხედრო-ტექნიკური თვალსაზრისით ჩვენმა არმიამ თავი გამოიჩინა როგორც მსოფლიოში პირველხარისხოვანმა არმიამ, რომელსაც გააჩნია თანამედროვე შეიარაღება და ჰყავს მეთაურთა გამოწრთობილი, ნაცადი შემადგენლობა. კომუნისტურმა პარტიამ აღზარდა და ხელმძღვანელ პოსტებზე დააწინაურა მრავალი მხედართუფროსი, რომელთაც წარმატებით გარათვეს თავი მათზე დაკისრებულ მოვალეობას.

სამამულო ომის პერიოდში ერთმანეთს შეეჯახა ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული იდეოლოგია. ყველაზე მოწინავე, პროგრესული იდეოლოგია, რომელიც გამოხატავს მშრომელთა ძირეულ ინტერესებს და ფაქსისტური, რომელიც წარმოადგენდა იმპერიალიზმის ყველაზე რეაქციული ძალების აგრესიულ მისწრაფებას. დიდმა სამამულო ომმა ბრწყინვალედ დაადასტურა საბჭოთა ქვეყნის არა მარტო ეკონომიური საფუძვლებისა და პოლიტიკური წყობილების უძლეელობა, არამედ სოციალისტური იდეების არაჩვეულებრივი ძალაც. ომის წლებში განსაკუთრებული ძალით იჩინა თავი ჩვენი ხალხის სულიერმა ძლიერებამ. ყველაზე პროგრესულმა სოციალისტურმა იდეოლოგიამ გამარჯვა რეაქციულ-ბრეტუაზიულ ფაქსისტურ იდეოლოგიაზე. გერმანული ფაქსიზმი განადგურებელი იქნა არა მარტო გმირი წითელი არმიის სამხედრო ტექნიკური საშუალებითა და სამხედრო მეცნიერებით, არამედ აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის, მუშების, გლეხების, ინტელიგენციის სოციალისტური შეგნებულობის იდადი ძალით.

კომუნისტური პარტიის იდეოლოგიური მუშაობა სამამულო ომის წლებში მიმართული იყო იქითკენ, რათა ყოველი მეომარი, ყოველი მშრომელი უშიშარ, შეუღებულ მებრძოლად აღეზარდა; ისეთ მებრძოლად, რომელიც ღრმად იქნებოდა დარწმუნებული თავისი საქმის სამართლიანობაში და მთელ თავის ძალას

და ენერჯიას მტერზე გამარჯვების საქმეს მობმარდა.

მასობრივი გვირობა დიდი სამამულო ომის დამახასიათებელი ნიშანთვისებას წარმოადგენს. მთელი ომის მანძილზე საბჭოთა მეომრები გვიჩვენებდნენ სამშობლოსადმი თავგანწირვის, შემართებისა და გვირობის არანახულ მაგალითებს. რჩეული შორის რჩეულმა 11358 მებრძოლმა, მეთაურმა და პოლიტმუშაკმა საბჭოთა კავშირის გვირის მაღალი წოდება დაიმსახურა, მათ შორის ას ოთხმა ორგზის, ხოლო სამმა — სამგზის. საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებულ იქნა 7 მილიონზე მეტი კაცი.

სამამულო ომის პერიოდში საბჭოთა ადამიანების ცხოველყოფილი პარტიოტიზმის მაგალითი გამოვლინება იყო საყოველთაო-სახალხო პარტიზანული მოძრაობა. ფაშისტური ტერორის უმეკაცეს პირობებში პარტიზანული მოძრაობა მტრის წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს ძალად იქცა. სახალხო შეურისმგებლებს მტრის რიგებში პანიკა და დეზორგანიზაცია შეჰქონდათ. წითელ არმიასთან ურთიერთმოქმედებით პარტიზანები ძლიერ დატყვებეს აყენებდნენ მტრის. სამშობლომ ღრსიულად დააფასა პარტიზანული მოძრაობის მონაწილენი — მათ 184 ათასზე მეტს ორდენი და მედალი გადაეცათ, 234 პარტიზანს საბჭოთა კავშირის გვირის მაღალი წოდება მიენიჭა, მათ შორის ორს — ორგზის.

ნამდვილად გვირული შემართება გვიჩვენებს სამამულო ომის პერიოდში ზურგის მუშაკებმა: მუშებმა, გლეხებმა, ინტელიგენციამ. ღრონტზე წასული ქმრები და მამები ქარხანაში დაზვებთან, საოკლმუერნო მინდერებში შეცვალეს მათმა ცოლებმა და შვილებმა. დევიზი — „ყველაფერი ფრონტისათვის, ყველაფერი გამარჯვებისათვის!“ — ბრწყინვალედ გადაჭრეს ზურგში დარჩენილებმა. ომის პერიოდში განსაკუთრებული შრომითი წარმატებებისათვის 199 ზურგის მუშაკს მიენიჭა სოციალისტური შრომის გვირობა, ხოლო მედლით „შრომითი წარჩინებისათვის 1941-1945 წლების დიდ სამამულო ომში“ დაჯილდოებული იქნა 16 მილიონი კაცი. დიდ სამამულო ომის პერიოდში ბრწყინვალე დადასტურება პოეა ვ. ი. ლენინის დებულებამ: „ვერასდროს ვერ დაამარცხებ იმ ხალხს, რომლის მუშათა და გლეხთა უმრავლესობამ ვაიცი, იგრანო და დაინახა, რომ ისინი იცვენ თავიანთ, საბჭოთა ხელისუფლებას — მშრომელთა ხელისუფლებას, რომ იცავენ იმ საქმეს, რომლის გამარჯვება მათი და მათი შვილებისათვის უზრუნველყოფს კულტურის მთელი სიკეთით, ად-

მიანის შრომის ყველა ქმნილებით სარგებლობის შესაძლებლობას“.

ომის პერიოდში დიდების შარავანდელი შემოსა თავისი სახელი საბჭოთა ახალგაზრდობამ, მისმა ავანგარდმა — ლენინურმა კომკავშირმა. ქალიშვილები და ქაბუკები შეუპოვრებდნენ ეგრავ მტრის სამამულო ომის ფრონტებზე, პარტიზანულ შენაერთებში, გვირულად შრომობდნენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, კოლმუერნობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ცხრამილიონიანმა ლენინურმა კომკავშირმა საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს მისცა 3500 ათასი ქალიშვილი და ქაბუკი. სამშობლომ დირსულად დააფასა საბჭოთა ახალგაზრდობის დიდი დამსახურება, 3500 ათასი კომკავშირული დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით, ხოლო 3 ათასი საბჭოთა კავშირის გვირის მაღალი წოდება მიენიჭა. საბრძოლო დამსახურებისათვის 100 ათასი ქალიშვილი დაჯილდოებულ იქნა ორდენებითა და მედლებით, ხოლო 58-ს საბჭოთა კავშირის გვირის წოდება მიენიჭა.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, მთელი საბჭოთა ხალხი ჩვენი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას ვანიხილავდა გერმანული ფაშიზმისა და იაპონიის მილიტარიზმის უღლის ქვეშ მგმინავი ხალხების გათავისუფლების — საქმესთან განუყრელ კავშირში. საბჭოთა ხალხს ყოველთვის ახსოვდა ვ. ი. ლენინის მითითება გამარჯვებული სოციალისტური ქვეყნის ინტერნაციონალური მოვალეობის შესახებ. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „უნდა გვქონდეს უნარი თავგანწირულობა გამოვიჩინოთ ერთ ქვეყანაში, რომელსაც ისტორიამ დააკისრა საბატიო, უძნელესი ამოცანა, რათა გაუგონარი მსხვერპლი ერთი ასად ანახალურდეს...“ სოციალისტური ქვეყნის, ჩვენი ხალხის თავგანწირულობა „მილიონობით მოკავშირეებს ვაგვიჩენს ყველა ქვეყანაში“.

საბჭოთა ხალხმა, მისმა შეიარაღებულმა ძალებმა სასახლოდ შეასრულეს გერმანულ დამპყრობთაგან ევრობის დამოუბული ხალხების გათავისუფლების დიადი, ისტორიული მისია. წითელმა არმიამ ავსტრიის, ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის ხალხებს თავისუფლება მოუტანა. გათავისუფლებულ იქნა ფაშისტური რევიმისაგან თვით გერმანელი ხალხიც.

6 ვ. ი. ლენინი, ოზ., ტ. 29, გვ. 370.
7 ვ. ი. ლენინი, ოზ., ტ. 30, გვ. 541.

ალექსანდრე ბახტაძე
საბჭოთა ხალხის დიადი გამარჯვება

წითელმა არმიამ თავისი ინტერნაციონალური მოვალეობა შეასრულა იაპონელი მილიტარისტების მიერ დამონებული აზიის ხალხების მიმართაც. შორეულ აღმოსავლეთში იაპონიის შეიარაღებული ძალების განადგურება უმნიშვნელოვანესი ფაქტორი იყო უცხოელ დამპყრობთაგან ჩინეთის, კორეის, ვიეტნამისა და სხვა ხალხთა განთავისუფლების საქმეში.

მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებზე აღზრდილ საბჭოთა ხალხს ყოველთვის ახსოვდა ვ. ი. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტები მარტოოდენ საკუთარი ერის ინტერესებზე არ უნდა ფიქრობდნენ, არამედ მასზე უფრო მაღლა უნდა დააყენოთ ყველას ინტერესები, მათი საყოველთაო თავისუფლება და თანასწორუფლებიანობა. საბჭოთა ხალხმა უდიდესი თავგანწირულობა გამოიჩინა და თავის თავზე გადაიტანა მეორე მსოფლიო ომის ძირითადი სიმძიმე და გამაწყვეტი როლი შეასრულა ფაშისტური გერმანიისა და მილიტარისტული იაპონიის განადგურების საქმეში. საბჭოთა ხალხის უცუდავ გმირობას დიდი სამამულო ომის პერიოდში აკეთობრიობის ისტორია არასოდეს დაივიწყებს.

დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გამარჯვებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მისმა საგარეო პოლიტიკამ. რომელმაც ნიადაგი მოამზადა ანტიფაშისტური კოალიციის შექმნისათვის. ასეთი კავშირის შექმნა კი სირთულეებთან იყო დაკავშირებული. საქმე ეხებოდა ისეთი სახელმწიფოების კოალიციის შექმნას, რომელთაც სხვადასხვა სოციალური წყობა გააჩნდათ და ომში სხვადასხვა მიზნებსა თუ ამოცანებს ისახავდნენ. მიუხედავად მრავალი დაბრკოლებისა, ასეთი კოალიცია შექმნილი იქნა და ამაში უმნიშვნელოვანესი როლი სწორედ საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკამ ითამაშა. ანტიჰიტლერული კოალიციის შექმნა დიდმნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა ომის მსვლელობაზე. მან ხელი შეუწყო ფაშიზმის წინააღმდეგ ყველა ხალხის საბრძოლო კავშირის განმტკიცებას. ჩაფუშულ იქნა ნაცისტ მმართველთა ცდები უთანხმოება შეექნათ მოკავშირეებს შორის, რათა ცალ-ცალკე დაემარცხებინათ ანტიფაშისტურ ბლოკში შემავალი სახელმწიფოები. ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობამ ხელი შეუშალა ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის რევოლუციურ წრეებს საბჭოთა კავშირისაგან მალულად მიედევით გერმანიასთან სეპარატიული ვარიანტისათვის.

დიდმნიშვნელოვანი შედეგები იქნა მიღწეული კომუნისტური პარტიის საგარეო პო-

ლიტიკური კურსის განხორციელებაში, რომელიც მიმართული იყო ფაშისტური ბლოკის დაშლისა და გერმანიის პოლიტიკური იზოლაციისაკენ. საბჭოთა კავშირის მიერ ნაცისტთა ქვეშაობი მიზნების მხილება, ჩვენი შეიარაღებული ძალების ბრწყინვალე გამარჯვებებში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით წარმოებულმა პროგრესული ძალების ბრძოლამ ანტიჰიტლერული დაჯგუფების წინააღმდეგ, ფაშისტური გერმანიისაგან მისი მოკავშირეების ჩამოცილება და ფაშისტური ბლოკის დაშლა გამოიწვია.

საბჭოთა კავშირის საგარეო პოლიტიკამ ხელი შეუწყო ჩვენი შეიარაღებული ძალების მიერ ევროპისა და აზიის გათავისუფლებულ ხალხებს, აღედგინათ ეროვნული სახელმწიფოებრიობა და სუვერენიტეტი. ამ ხალხებისადმი დახმარება ხორციელდებოდა მათ საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპის სრული დაცვით, რაც განპირობებული იყო დიდი სამამულო ომის გამათავისუფლებელი ხასიათით, საბჭოთა სახელმწიფოს სოციალისტური ბუნებით. ეს კი საშუალებას იძლეოდა სწორად გადაწყვეტილიყო გათავისუფლებულ ქვეყნებთან ურთიერთობის სრული საკითხები და ნიადაგი მომზადებულიყო ამ ქვეყნების ხალხებთან მტკიცე მეგობრობისა და თანამშრომლობისათვის.

საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულმა გამარჯვებამ დიდ სამამულო ომში კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მსოფლიოში არ არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს სოციალიზმისა და კომუნისმის ძლევაპოხილი მსვლელობა.

საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომის ძლევაპოხილი გამარჯვებით დავიკრძვივნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი ქვეყნის შემდგომი წინსვლისათვის კომუნისტური საზოგადოების წარმატებით მშენებლობის გზაზე. ამ გამარჯვებამ არა ნაკლები გავლენა მოახდინა ომის შემდგომდროინდელ მსოფლიოს მოწყობაზე, მსრფლიო ასპარეზზე კლასობრივ ძალთა თანაფარდობაზე.

„საბჭოთა ხალხის უდიდესმა რევოლუციურმა გმირობამ, — აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, — აამოძრავა და ილაფროვანა ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ხალხის მასები. მსოფლიოს გადაუარა კაცობრიობის გაზაფხულის მომასწავებელმა დიდმა განმწმენდმა ჭარბმხალმა. ევროპისა და აზიის ქვეყნებში მომხდარ სოციალისტურ რევოლუციებს მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა მოჰყვა. ეროვნულ-გამათავისუფლებელი რევოლუციების მძალე-

8 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 22, გვ. 441-442.

რი ტალღა სპობს იმპერიალიზმის კოლონიურ სისტემას.⁹

აღსანიშნავია, რომ პირველი მსოფლიო ომი, რომელიც იმპერიალისტებმა გააჩაღეს, დამთავრდა ერთ ქვეყანაში, კერძოდ რუსეთში, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებით. ხოლო მეორე მსოფლიო ომს შედეგად მოჰყვა სახელმწიფოთა სოციალისტური თანამეგობრობის შექმნა, მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა. ამჟერად ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში სოციალისტურმა რევოლუციამ გამარჯვა. შეედრომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ რევოლუციები ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში, აგრეთვე აზიაში მხოლოდ ომით იყო განპირობებული. მეორე მსოფლიო ომმა კი არ წარმოშვა, არამედ დააჩქარა რევოლუციური აფეთქება. ამ ქვეყნების მშრომელთა ბრძოლა სოციალური ვათავისუფლებისათვის, თან დაუმთხვა გერმანიის ფაშისმისა და იაპონიის მილიტარიზმის წინააღმდეგ მიმართულ საერთო-ეროვნული ბრძოლის გამათავისუფლებელ ნაკადს.

რევოლუციური პროცესი ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში განპირობებული იყო შინაგანი პროცესებით, რაც მწვავე კლასობრივ წინააღმდეგობებში გამოიხატებოდა. საბჭოთა შეიარაღებული ძალები, რომლებიც გათავისუფლებულ ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ, თანამედვერულად ახორციელებდნენ ამ ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პოლიტიკას. ამისთანავე, თქმა არ უნდა, რომ წითელი არმიის იქ ყოფნა აკავებდა საგარეო და საშინაო კონტრრევოლუციას და ამით ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა მშრომელთა მასებს სოციალურ გარდაქმნათა განხორციელებას.

„კაპიტალისტური წყობილების ლიკვიდაცა ქვეყნების დიდ ჯგუფში, — აღნიშნულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში, — მსოფლიო სოციალისტური სისტემის განვითარება და განმტკიცება, კოლონიური სისტემის დაშლა და ძველი იმპერიების ნგრევა, გათავისუფლებული ქვეყნების ეკონომიკის კოლონიური სტრუქტურის დაწყებული მსხვერვა, ამ ქვეყნებსა და სოციალიზმის სამყაროს ეკონომიური ურთიერთობის გაფართოება — ყოველივე ეს აღრმავებს მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის კრიზისს.“¹⁰

მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა, იმპერიალიზმის კოლონიური სისტემის მსხვერვა — ამაში მდგომარეობს საბჭოთა ხა-

ლხის გამარჯვების მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა დიდ სამამულო ომში.

გერმანიის ფაშისმისა და იაპონიის მილიტარიზმის განადგურების შედეგად შეიცვალა ძალთა თანაფარდობა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს შორის, გამწვავდა წინააღმდეგობები მათ შორის, იმპერიალიზმის ეკონომიკურმა პოლიტიკურმა და სამხედრო ცენტრმა ევროპიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაინაცვლა. ამერიკის იმპერიალიზმი მსოფლიოს განდარმის როლს ასრულებს და საერთაშორისო რეაქციის მძლავრ დასაყრდენს წარმოადგენს. დამარცხებული სახელმწიფოები — გერმანია და იაპონია დროებით ჩამოსცილდნენ მსოფლიო პრობლემების გადაწყვეტაში მონაწილეობას. მნიშვნელოვნად შესუსტდა ისეთი გამარჯვებული სახელმწიფოების პოზიციები, როგორცაა ინგლისი და საფრანგეთი.

მეორე მსოფლიო ომის მსვლელობის დროს მნიშვნელოვანი ფრევი მოხდა მუსათა საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობაში. გაიზარდა პროლეტარიატის კლასობრივი თვითშეგნება. განმტკიცდა კომუნისტური და ქუშუათა პარტიების გავლენა და ავტორიტეტი. ხალხთა მასები გამოცდილებით დარწმუნდნენ, რომ მათი ინტერესების საუკეთესო დამცველები კომუნისტები არიან, — ისინი, ვინც სათავეში ედგნენ ანტიფაშისტურ მოძრაობას. კომუნისტური და მუსათა პარტიების წარმატებებმა მათი რიგების ზრდაშიც პოვა გამოხატულება. თუ 1939 წელს მსოფლიოში არსებობდა 61 კომუნისტური პარტია 4 მილიონი წევრით, უკვე 1945 წელს მათი რაოდენობა 76-მდე გაიზარდა და 20 მილიონი წევრით იყო წარმოდგენილი.

ის ძირეული ცვლილებები, რომელიც მსოფლიოში მოხდა მეორე მსოფლიო ომის შედეგად, მნიშვნელოვნად განაპირობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნულმა მოღვაწეობამ, რომელიც ხელმძღვანელ, დამრამავ და წარმმართველ ძალას წარმოადგენდა საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებისადმი ერთგულმა საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ, უანგარო დახმარება გაუწია ევროპისა და აზიის ხალხებს მათ ბრძოლაში თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

დიდი სამამულო ომის შედეგებმა ბრწყინვალედ დაადასტურა ვ. ი. ლენინის წინასწარმეტყველური სიტყვები გამოთქმული ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების გარიყრატზე,

⁹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბილისი, 1967, გვ. 5.

¹⁰ იქვე.

ალექსანდრე ზახტაძე
საბჭოთა ხალხის დიადი ბამარჯვაბი

1918 წლის იანვარში საბჭოების სრულიად რუსეთის მესამე ყრილობაზე: „საბჭოთა რესპუბლიკის მაგალითი დიდხანს იქნება მათ თვალწინ. ჩვენი საბჭოების სოციალისტური რესპუბლიკა მტკიცედ იდგომება როგორც საერთაშორისო სოციალიზმის ჩირაღდანი, და როგორც მაგალითი მთელი მშრომელი მასების წინაშე“.¹¹

სკკპ ცკ-ის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი აღნიშნავს: „შეუძლებელია გადაჭარბებით შევაფასოთ ის წვლილი, რომელიც ნახევარი საუკუნის მანძილზე შეიტანა კაცობრიო-

ბის ისტორიაში ლენინის ინიციატივით შექმნილმა საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკების კავშირმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით. ის, რომ სსრ კავშირში პირველად აშენდა სოციალისტური საზოგადოება, პირველად იქნა ნაჩვენები პრაქტიკულად, თუ რა არის ხალხთა ნამდვილად თანასწორუფლებიანი ძმური ურთიერთობა, უმკველია ესსომებათ და დააფასებენ ხალხები ყველა დროში“.¹²

12 ლ. ი. ბრეჟნევი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის ორმოცდაათი წლისთავი, თბილისი, 1972, გვ. 81-82.

¹¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 26, გვ. 553.



აი, ეს ქული, ქართული
მეომრის სინდის-ნამუსი,
აი, ამ ქულით დავბრუნდი
ჩემს სათაყვანო მამულში.

აი, ეს ქული მფარავდა,
აი, ეს ქული მეხურა,
კრასნოდართან და მარუხთან
მგერს რომ ვუგვედით ვეფხურად.

მურმან ლებანიძე

დავით მაისურაძე

ქართველი ინტელიგენციის წვლილი დიდ სამაგურო ომში

დიდი სამამულო ომის ბერძნულ საბჭოთა კულტურისა და იდეოლოგიის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებაში, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, ღირსეული წვლილი შეიტანა საბჭოთა საქართველოს ინტელიგენციამ.

უაღრესად მძიმე და ურთულესი პირობების მიუხედავად, ომის წლებში რესპუბლიკაში არსებობდა 4780 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომლებშიც ირიცხებოდა 770 ათასამდე მოსწავლე, ოცჯერ მეტი, ვიდრე 1914 წელს.

1941-1945 წლებში საქართველოში არა თუ არ შემცირებულა უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტების გამოშვება ომისწინა ხუთწლეულებთან შედარებით, არამედ კიდევ უფრო გაიზარდა. საკმარისია ითქვას, რომ ომისწინა, მესამე ხუთწლეულში რესპუბლიკის უმაღლესმა სკოლებმა გამოუშვეს 10.991 სპეციალისტი, ხოლო 1941-1945 წლებში — 14.131.

საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების კათედრები ომის დაწყებისთანავე ინტენსიურად მუშაობდნენ თავდაცვის ინტერესებიდან გამომდინარე პრობლემებზე. ისინი იკვლევდნენ ლითონმცოდნეობისა და მანქანათმშენებლობის საკითხებს, სწავლობდნენ ადგილობრივ მეტალურგიულ ნედლეულებს, სუფთა ლითონებისა და მაღალხარისხიან შენადნობების, ლეგირებული ქრომის მღებების ზერხებს. ამ სამუშაოთა შედეგები მეტ წილად წარმოებაში ინერგებოდა და არსებით ტექნიკურ-ეკონომურ შედეგს იძლეოდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერულმა ძალებმა შექმნეს ფუნდამენტური შრომები მეცნიერების მრავალ დარგში.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ყველა კათედრა ომის ბერძნულ აქტიურად მონაწილეობისა ისეთი აქტიუალური პრობლემების გადაჭრაში, როგორც არის სი-

მინდის მაღალი მოსავლის აგროტექნიკა, სასოფლო-სამეურნეო მეცნარეების არსებულ სახეთა გაუმჯობესება და ახლების მიღება, ეენახების მოსავლიანობის გადიდება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესების მექანიზაცია.

თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა დიდი ნაწილი მობილიზებულ იქნა ომის ფრონტებზე. ამასთან ერთად, ინსტიტუტი სისტემატურ მეთოდურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევდა სამხედრო ჰოსპიტლებს და რესპუბლიკის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებს.

ფართო კვლევითი მუშაობა გაიარა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიამ, რომელიც დაარსდა 1941 წლის თებერვალში.

მარგანეცის მრეწველობის განვითარების გაზრდილ მოთხოვნილებათა შესაბამისად ქართველმა მეცნიერებმა შესწავლეს მარგანეცის ფიზიკურ-ქიმიური თვისებები, შეიმუშავეს რეკომენდაციები მალაროებში შრომის ისეთი პროცესების მექანიზაციისათვის, როგორც არის ბურღვა, მონტაჟი, მადნის გამოწოდვა, მისი გაუხვება და სხვ. ჭიათურის მარგანეცის მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა მას შემდეგ, როცა გერმანელმა ფაშისტებმა ხელში ჩაივადეს ნიკოპოლის საბადო.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდილობა წევრმა რ. ალაღაძემ ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხნის ინჟინერ გ. სიორიძესთან ერთად პირველად დაამუშავა მარგანეცის ელექტროლიზური წარმოების მეთოდი, რის შედეგადაც დიდად გაუმჯობესდა ფეროშენადნობთა ხარისხი და გაფართოვდა მისი ნომენკლატურა.

დიდი მუშაობა აწარმოეს მეცნიერ-მუშა-

კებმა რუსთავის შეტალურებული გიგანტის დაკომპლექტების საქმეში, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ომის წლებში ი. ბ. სტალინის პირადად თაოსნობით.

სამამულო ომის წლებში მეცნიერმა ენერგეტიკოსებმა დიდი როლი შეასრულეს სრამის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაში. სრამპესის მშენებლება ჯერ გზა გადაუღობეს მდინარე სრამს დიდი მოცულობის ორიგინალური ჭებირით, შემდეგ კი გაიყვანეს იმ დროისათვის სსრ კავშირში ყველაზე გრძელი გვირაბი და წყალი გაუშვეს ხელოვნურად შექმნილ ტბასა და ტურბინებში. ის უნიკალური ნაგებობა იმ დროს ერთ-ერთი მაღალწევნიანი ჰიდროელექტროსადგური იყო ევროპაში.

მნიშვნელოვანი მეცნიერული შრომები შესრულდა ახალციხის მურანაშვირის შესწავლისა და ათვისების დარგში.

ომის წლებში წარმოებული გეოლოგიური სამიერო მუშაობის მეოხებით მნიშვნელოვნად გაიზარდა მინერალური რესურსების შესწავლილი მარაგი. ქართველ მეცნიერთა მიერ აღმოჩენილმა მათეთრებელი თიხის საბადომ (გუმბრინი), რომელსაც განსაკუთრებით დიდი გამოყენება აქვს ნავთობის შერეულობაში, ჩვენი ქვეყანა გაათავისუფლა ამერიკის შეერთებულ შტატებიდან ძვირადღირებული ფლორიდის იმპორტისაგან.

მეცნიერ-მუშაკთა და საწარმოთა ინჟინერთა პერსონალის შემოქმედებით თანამშრომლობით სამამულო ომის წლებში რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა წარმოების საშუალებათა — რთული ჩარჩებისა და მანქანების წარმოებამ. ათვისებული და დამზადებული იქნა სხვადასხვა ლითონსარეული, საფეიქრო და მაღალი კლასის სიზუსტის ჩარჩები და აპარატური. წარმატებით გრძელდებოდა სპეციალური მანქანებისა და მოწყობილობათა ათვისება საქართველოს სახალხო მეურნეობისათვის და მახასიათებელი დარგებისათვის — განსაკუთრებით მეღვინეობის, ჩაის, საკონსერვო მრეწველობისათვის.

სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეული მეცნიერული მუშაობის შედეგებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია: მარცვლეულის, კურკოვანი ხილის და ვაზის ახალ სახეობათა გამოყვანა, მევენახეობისა და მეღვინეობის აღდგენა სამხრეთ საქართველოს — მესხეთის რაიონებში, ციტრუსოვანი კულტურების, ჩაის ბუჩქის, ტუნგოს ხის და ვაზის დაცვა დავადებებისა და მავნებლებისაგან, ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღების შექმნა.

ქართველმა მედიკოსებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გულსისხლძარღვთა სისტემის, ნერვიულ, ინფექციურ სნეულებათა პროფილაქტიკასა და მკურნალობაში, ტუბერკუ-

ლოზის ოპერატიული მკურნალობის მეთოდების გამომუშავებაში.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში ინტენსიურად მიმდინარეობდა მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობიდან გამომდინარე პრობლემების, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, სოციალისტური საზოგადოების ისტორიისა და თეორიის შესწავლა და პრობავანდა.

1943 წელს გამოვიდა ი. ჯავახიშვილის, ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის მიერ შედგენილი საქართველოს ისტორიის პირველი მარქსისტული სახელმძღვანელო (უძველესი დროიდან მე-19 საუკუნის დამდეგამდე). ამ გამოცემის მაღალი ხარისხის დადასტურება იყო ის, რომ მას მიენიჭა სახელმწიფო პრემია.

1944 წელს დაასრულა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი, რომელმაც ფართო მუშაობა გაიწყო მარქსისტულ-ლენინური ეკონომიური მეცნიერების, საქართველოსა და ამიერკავკასიაში სახალხო მეურნეობისა და ეკონომიური აზრის განვითარების შესწავლის დარგში.

სისტემატურად ფართოდებოდა და უმჯობესდებოდა საბჭოთა კავშირის ხალხთა თანამეგობრობის ისტორიის შესწავლა.

დიდი სამამულო ომის პერიოდში ყველაზე უფრო თვალნათლივ გამოვიწინდა საბჭოთა ლიტერატურის დამახასიათებელი ნიშნები — პარტიულობა, კომუნისტური იდეურობა, სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადება.

პარტიამ ერთბაშე მაღალი შეფასება მისცა ლიტერატურის როლს ომისა და მშვიდობის პერიოდში. მისხენებაში ფურნალოვის „ჩვენ-დასა“ და „ლენინგრადის“ შესახებ ა. ა. ეფენოვმა თქვა: „სწორედ იმიტომ, რომ საბჭოთა სახელმწიფომ და ჩვენმა პარტიამ საბჭოთა ლიტერატურის დახმარებით აღზარდეს მხნე, თავის ძალებში დარწმუნებული ახალგაზრდობა, ჩვენ დაეძლიეთ უდიდესი სიმძლეენი სოციალიზმის მშენებლობაში და დაეამარცხეთ გერმანელები და იაპონელები“.

პარტიული მწერლები ყველა თავის მოძმე თანამოკალმესთან ერთად სამშობლოს, პარტიის მოწოდების პასუხად თავდადებულად ჩაებნენ საყოველთაო-სახალხო ბრძოლაში გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

ომში გმირულად დაიღუპნენ ლიტერატურის კრიტიკოსი ალექსანდრე სულავა, პოეტები მირზა გელოვანი, სევერიან ისიანი, გიორგი ნაფეტკაძე და სხვ.

სამამულო ომის ფრონტებზე იბრძოდნენ მწერლები და პოეტები გიორგი ნატროშვილი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ალ. გომიაშვილი, რევაზ მარგიაანი, შალვა ამისულაშვილი, თეიმურაზ ჯანფელაშვილი, მურმან სულბანიძე, ვლადიმერ სულაბერიძე, ვახტანგ გორგაძელი,

საფრთხილო ვახუთების რედაქციებში მუშაობდნენ იოსებ ნონეშვილი, ვლადიმერ მაჭავარიანი, ნიკოლოზ აგიაშვილი და სხვა ქართველი მწერლები.

ხალხში დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ ქართული პოეტების შეისანიშნავი ლექსები, რომლებიც ცენტროვანი სიტყვებით აღაფრთოვანებდნენ ფრონტის მებრძოლებს და ზურგის მშრომელებს. ასეთ პოეტურ ნაწარმოებებს განეკუთვნება ვალაკტიონ ტაბიძის „მშობლიურთა ჩემო მიწავ“, ირაკლი აბაშიძის „კაბიტანი ბუნაიძე“, გიორგი ლეონიძის „არ დიაბარდო, დედაო“, იოსებ ვროშაშვილის „სამშობლო და გამარჯება“ და მრავალი სხვა.

გამარჯების რწმენა, ეროვნული სიამაყე სამშობლოს გმირული წარსულისადმი, ნათელი ოპტიმიზმი გამოსსუქვიის ალიო მარცხუდავას, ილტ მოსაშვილის, კარლო კალაძის, იოსებ ნონეშვილის, რევზ მარგიანის, ზურა ბერულავას, ლდო ასათიანის, ალექო შენგელიას, მურმან ლებანიძის, ოთარ ჭელიძის და სხვა ქართველი პოეტების ლექსებში.

ომის წლებში შექმნილი დიდი პოეტური ტილოებიდან ქართული ლიტერატურის თვალსაჩინო ნაწარმოებებია სიმონ ჩიქოვანის „დავით გურამიშვილი“ და გრიგოლ აბაშიძის „ძლევის ქედი“, რომლებსაც მიეწინააღმდეგება სხეულშიც პრემია.

დიდი სამამულო ომის შრისხანე დღეების მართალ მხატვრულ მატანეს წარმოადგენს ქართული საბჭოთა პროზა, რომელშიც ასახულია კავკასიის გმირული დაცვის ეპოპეა, სამამულო ომის გმირების სახეები, ფრონტისა და ზურგის ვრთიანობა. ომის ეპოეური სურათი მოგვცა ლეო ქაიხელია მოთხრობაში „მთის კაცი“. გიორგი ნატროშვილია ფრონტულ მოთხრობებსა და ნარკვევებში ფართოდ გააშუქა გმირობის, მამაცობის თემა.

პოეზიასა და პროზასთან ერთად მნიშვნელოვანდ განვითარდა ქართული დრამატურგია. პირველი დრამატული ნაწარმოები სამამულო ომის თემაზე მთელ საბჭოურ ლიტერატურაში, „ბატალიონი მიდის დასავლეთისაკენ“ დაწერა ქართველმა დრამატურგმა გიორგი მდივნამ. საბჭოთა ხალხის მაღალი სულიერი თვისებები, მისი მგზნებარე პატრიოტიზმი, სიმტკიცე და შეუღრველობა ასახულია მისივე პიესებში „მოსკოვის ცის ქვეშ“, „პარტიზანებში“, აგრეთვე ისეთ დრამატულ ნაწარმოებებში როგორც არის ილო მოსაშვილის „სადგურის უფროსი“, კარლო კალაძის „ერთი ლამის კომედია“, სერგო კლდიაშვილის „ირმის ხეობა“, გიორგი შატერაშვილის „უფერის გორა“.

ომის პერიოდში შექმნილი ნაწარმოებებს შორის თვალსაჩინო ადგილი დაიკავა სანდრო შანიშვილის პიესამ „ქრწანისის გმირები“, რომელშიც ნაჩვენებია უცხოელ დამპყრობთა

წინააღმდეგ ქართველი ხალხის გმირული ბრძოლის სახელოვანი ფურცლები.

ქართველმა მწერლებმა შექმნეს დადებითი გმირების — მოამე ხალხების წარმომადგენელთა დასაამასოვრებელი მხატვრული სახეები.

ქართული საბჭოთა ლიტერატურის ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართული ლიტერატურის დეკადა მოსკოვში 1944 წლის ზაფხულში. ქართული სიტყვის ოსტატთა დიდი რაზმის ეს პირველი ფართო გამოსვლა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში ვადიქცა მრავალრიცხოვანი საბჭოთა ლიტერატურის მიღწევათა, საბჭოთა კავშირის მოამე ხალხთა ურდვევი მეგობრობის დემონსტრაციადა.

ხსრ კავშირის მწერალთა კავშირში საქართველოს მწერალთა ნაწარმოებების განხილვის დროს აღინიშნა, რომ ქართული საბჭოთა ლიტერატურა წარმოადგენს სოციალისტური რეალიზმის დიად, იდეურად მდიდარ და მრავალფეროვან მოვლენას. იგი ჩვენი მრავალეროვანი სოციალისტური ხელოვნების ერთ-ერთი განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. ეს ლიტერატურა, რომელსაც მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს, ახლა განიცდის უკუღმზრდვი ვაფურჩქენის პროცესს. ეს ხდებო იმიტომ, რომ ქართულ ლიტერატურას თავისი ფესვები ღრმად აქვს ვადგენული ჩვენი დროის სინამდვილეში.

კომუნისტური პარტია თეატრისაგან ყოველთვის მოითხოვდა მოეცა ახალი, საბჭოთა სინამდვილის გამომხატველი სახეები, შეექმნა ისეთი სცენური ნაწარმოებები, რომლებიც თავის წვლილს შეიტანდნენ ხალხის პატრიოტულ აღზრდაში. ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარება სამამულო ომის პერიოდში პარტიის ამ მოთხოვნის პირდაპირ პასუხს წარმოადგენდა. შეიქმნა სათანადო რეჟოლუციური რეპერტუარი, ამასთან, პირველ ყოვლისა, გამოყენებულ იქნა მისი გმირული მომენტები.

საქართველოს წამყვანმა თეატრებმა დიდი მონდომებით და მხატვრული ოსტატობით დადგეს ნ. პოვოდინის პიესები: „მოფიანი კაცია“, და „კრემლის კურანტი“, რომლებშიც შთამავლობად არის განსამიერებულნი ვ. ი. ლენინის მგზნებარე რეჟოლუციური სულისკვეთება, მისი შეუღრველი ნებისყოფა, უდიდესი ადამიანური სითბო, აფანსცენაზე გამოყვანილი ოქტომბრის ცეცხლში შობილი, ხალხისადმი უსაზღვროდ თვადადებული გმირი კომუნისტი.

თეატრების მთელი საქმიანობა მთლიანად დაუმორჩილდა ფაისტი აგრესორების ვანადგურების მაღალ პატრიოტულ მიზნებს.

დავით მანუშარძამ

ქართული ინტელიგენციის წვლილი დიდ სამამულო ომში



საქეტიკლები ასახედნენ საბჭოთა ადამიანების გმირობას სამშობლოს დაცვისათვის ბრძოლაში, მტრისადმი დაუცხრომელ სიძულვილს. ასეთი ნაწარმოებებია: კ. სიმონოვის „მელოდე“, არუსი ადამიანები“, ი. სელდინის „გენერალი ბრუსილოვი“ და სხვ. სახელმწიფო პრემია მიეკუთვნა სსრ კავშირის სახალხო არტისტს აკაკი ვასაძეს წითელი არმიის ლეგენდარულ მხედრობისათვის ვ. კიციანის როლის შესრულებისათვის შ. სრუსთაველის სახელობის თეატრში, იმავე სახელწოდების საქეტიკლოში.

ამის წლებში საქართველოს თეატრებმა მკაცრებელ უჩვეუნი შედეგამდე ახალი დადგმა მსახიობთა ბრძალები სისტემატურად გამოდიოდნენ ფრონტისპირა რაიონებში, ჩრდილოეთკავკასიისა და ამიერკავკასიის ფრონტებზე, შავი ზღვის ფლოტის სამხედრო გემებზე. თეატრები წარმოადგენენ უჩვეულებრივ აგრეთვე სამხედრო ჰოსპიტლებსა და საწარმოებში.

ქართული თეატრის ამხედროდელ მატრიანეში საბჭოთა ადგილი დამკვიდრა ქართული ლიტერატურის კლასიკოსების ქმნილებათა სცენურმა განახიერებამ. მათი ნაწარმოების მიხედვით დადგმულ საქეტიკლებში აკაკი ვასაძის, ვეროიკ ანჭაფარაძის, შალვა ლამაზაძის, ვასო გოძაშვილის, გიორგი შვეგულიძის, სანდრო ქორეოლიანის მიერ შექმნილმა სახეებმა სახელი და დიდებამ მოუხვეჭეს ქართულ საბჭოთა თეატრალურ ხელოვნებას.

სამამულო ომის პერიოდში სოციალისტური რეალიზმისა და კომუნისტური პარტიულობის მყარ ნიადაგზე ფართოდ ვანვითარდა საბჭოთა საქართველოს კინოხელოვნება.

ქართული კინოხელოვნების ბევრი ოსტატი მოწინავე პოზიციებზე იღებდა საბჭოთა არმიისა და ფლოტის სამხედრო ოპერაციებს. მაღალი ოსტატობით და გაბედულობით გამოირჩეოდნენ ამ წლების დოკუმენტური სურათები და კინორეპორტაჟი, რომლებიც შექმნეს კინორეჟისორებმა ი. კანდელაკმა, შ. ხომერიკმა, შ. ჩაუხავამ, ვ. ვალიშვილმა, ფრონტელმა თეატრალურებმა ვ. ასათიანმა, ვ. კილასონიძემ, ო. დეკანოზიძემ და სხვებმა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ომის წლების დოკუმენტური ფილმები: „სივასტოპოლისის გმირები“, „კავკასიის გმირული დაცვა“, „ომი ზღვაზე“, „ციცხლის ხაზზე“, „გენერალი ლესელიძე“ და სხვ. ბევრი საინტერესო კინოსურათი მიეძღვნა საბჭოთა ადამიანების შრომითს გმირობას ზურგში.

მხატვრულ ფილმებს შორის, რომლებიც ასახვენ საბჭოთა ხალხის ბრძოლას გერმანულ-ფაშისტ დამპყრობათა წინააღმდეგ, გამოირჩევა მოკლემეტრაჟიანი ლენტები „ფორპოსტი“, „საგუშავთა ჯიხურში“, „მთებში“,

სრულმეტრაჟიანი მხატვრული სურათები „ისინი კვლავ დაბრუნდებიან“, „ოქროს ბილიკები“, „ხიდი“, რომლებიც გადაიღეს რეჟისორებმა კ. მიქაბერიძემ, დ. ანთაქემ, ნ. შენგელიამ, კ. პაიანაშვილმა.

პოპულარობით სარგებლობდა ფილმი-კონცერტი „ჯურღლის ფარი“ (რეჟისორები ს. დოლიძე და დ. რონდელი), რომელიც მიეძღვნა დიდი სამამულო ომის გმირულ დღეებს, სსრ კავშირის ხალხთა ურღვევ მეგობრობას.

მილიონობით საბჭოთა მკურებელში უდიდესი წარმატება ზგდა წილად დიდ მხატვრულ ისტორიულ ფილმს „გიორგი საცაძეს“. იგი დადგა რეჟისორმა მიხეილ ქიპურელმა. სსრ კავშირის სახალხო არტისტმა აკაკი ხორავამ ბრწყინვალედ შესარულა მთავარი გმირის როლი. ორივე ზემოდასახელებული ფილმი დაჯილდოვდა სახელმწიფო პრემიით.

1941 წლის 14 აპრილს სსრ კავშირის მთავრობამ მაღალბარისხარის მხატვრული ფილმების გამოშვებისათვის თბილისის კინოსტუდია დააჯილდოვა ლენინის ორდენით. ეს მაღალი ჯილდო ქართული კინემატოგრაფიის შემოქმედებითი წარმატების მომასწავებელი იყო.

სამამულო ომის პერიოდში ქართული საბჭოთა მუსიკა, თავისი საუკეთესო ნაწარმოების სახით, წარმოადგენდა მეტროსო, რეალისტურ, ხალხთან, ცხოვრებასთან მკიდროდ დაკავშირებულ ხელოვნებას. ეს გამოიხატებოდა არა მხოლოდ თანამედროვეობის თემებისა და სახეების ფართო დიამაზონით, არამედ მუსიკალური ენის დემოკრატიზაციითაც. სხვადასხვა ინდივიდუალობის და შემოქმედებითი მეთოდის კომპოზიტორები ცდილობდნენ სადა და ნათელი გაეხადათ თავიანთი ნაწარმოებები, უფრო გაეძლიერებინათ მელოდიური საწყისები, უფრო ფართოდ და ღრმად გამოეყენებინათ მუდამ ცოცხალი ხალხური შემოქმედების სიმდიდრე. შეიქმნა საოპერო, კამერული, ვოკალური, სიმფონიური და სხვა ჟანრის ახალი ნაწარმოებები.

სამამულო ომის წლებში გაიფურჩქნა კომპოზიტორთა ახალი ძალები შემოქმედება. ქართული მუსიკა ფართო ფრონტით გასცდა რესპუბლიკის ფარგლებსა და აქდერდა მთელ საბჭოთა კავშირში და მთოფილი ასპარეზზე.

ერთობ ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა განთქმული მოცეკვავე და ბალეტისტიკური გაბტანე ქაბუციანი, რომლის სახელთან დაკავშირებულია ქართული ეროვნული საბალეტო ხელოვნების ნამდვილი აყვავება. ვახტანგ ქაბუციანმა დიდი ძალა და ენერგია შესწირა ქართული ბალეტის ახალგაზრდა კადრების აღზრდას.

სამხედრო ნაწილებში დიდი წარმატებით მართავდნენ კონცერტებს საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლები.

მაღალმხატვრული მუსიკალური შემოქმედების პროპაგანდას (სიმღერები, ინსტრუმენტული მუსიკა) ხელს უწყობდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონია თავისი სხვადასხვა ანსამბლის, ესტრადის და სოლისტების საშუალებით.

მტრის დამარცხების საერთო საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ქართველმა მხატვრებმა. მათ შექმნეს ცხოვრებისეულად მართალი, ემოციურად მდიდარი ნაწარმოებები, რომლებშიც ასახეს საბჭოთა ხალხის მაღალი პატრიოტიზმი.

სამოქალაქო ომისდროინდელი საბჭოთა პლაკატის სახელოვანი ტრადიციების შესაბამისად ქართველი მხატვრები პოეტებთან თანამეგობრობით უშეგებდნენ საბრძოლო პატრიოტულ პლაკატებსა და ფერკლებს, რომლებიც საბჭოთა აღმავლებს აღვანებდნენ გმირობისათვის ფრონტზე და თავდადებული შრომისათვის ზურგში.

მხატვარმა ირაკლი თოიძემ შექმნა დიდი ემოციური და შთაბეჭდავი ძალის პლაკატები „ღელა-სამშობლო გვიჩოხბის“, „ეფიცავ დაემარცხო მტერი“ და მრავალი სხვა. ოპტიმიზმით და გამარჯვების მტკიცე რწმენით არის გამსჭვალული საბჭოთა ფერწერის კორიფეს, მისე თოიძის ტალოები „წერილი ფრონტიდან“, „თბილისელი ქალები საჩუქრებს უშხადებენ ფრონტს“. ამ ნახატებმა დიდი მოწონება დაიმსახურეს 1943 წლის გამოფენაზე.

საომარი წლების თემატიკა და სიუჟეტი — მასობრივი ბატალური ციენები, ფრონტისა და ზურგის ცხოვრების კლკეული ეპიზოდები ასახეს თავიანთ ნაწარმოებებში უ. ჯაფარიძემ, ე. ახვლედიანმა, ა. ქუთათელაძემ, ქ. მაღალაშვილმა, კ. სანაძემ, გ. ჯაშმა და სხვა ქართველმა მხატვრებმა.

ომის წლებში ქართული საბჭოთა ქანდაკების მამამთავარი იაკობ ნიკოლაძე ინტენსიურად მუშაობდა უაღრესად ემოციურ, ფსიქოლოგიურად მძლავრ პორტრეტზე ზ. ვ. ლენინის „ნიკრის“ პერიოდში“, რომელიც დაამთავრა 1947 წელს. ქანდაკების ამ შესანიშნავმა ქმნილებამ სახელმწიფო პრემია დაიმსახურა.

1942 წელს თბილისის ერთ-ერთ ცენტრალურ მაგისტრალზე დაიდგა შოთა რუსთაველის ძეგლი, რომელიც დიდი მთლიანი ჭკვიან გამოკვეთა მოქანდაკე კ. მერაბიშვილმა.

ომის წლებში საქართველოში მუშაობდნენ ა. ვერასიშვილი, ი. გრებანი, ვ. სვარიძე, ი. პავლოვი და საბჭოთა სახეითი ხელოვნების სხვა დიდოსტატები. მათ შესამჩნევი სიახლე შეიტანეს ქართველ მხატვართა ცხოვრებაში, მონაწილეობდნენ შემოქმედებითს დისკუსიებში.

ქართველ მხატვრებს მოწინავე პოზიციებზე იჭირათ თეატრალურ-დეკორატიული ხელოვნების, წიგნის ილუსტრაციის, აგროლიტოგრაფიის, ოფორტის, კარკატურის დარგში.

სამაშულო ომის პერიოდში უჩვეულოდ ამაღლდა ბეჭდვითი სიტყვისა და რადიომაუწყებლობის როლი და გაგლენა პარტიის გააწყვეტილებათა პროპაგანდაში, მასებისათვის პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ინფორმაციის მოწოდებაში. თავისთავად ცხადია, პრესის, ამ ყველაზე მძლავრი და ბასრი იდეოლოგიური იარაღის მუშაეები სიცოცხლის და ენერჯის დაუზოგავად ეხმარებოდნენ პარტიას მტრის განადგურებისათვის მიმართულ გიგანტურ საქმიანობაში. პერიოდულ პრესაში და გამოცემულ ლიტერატურაში მთავარი ადგილი ეკავა კომუნისტური პარტიის დიდი იდეების, სოციალისტური წუზობლების უპირატესობათა პროპაგანდას. მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდა მჭიდროდ უკავშირდებოდა ომის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტას.


ბევრი წიგნი და ბროშურა გამოიცა საბჭოთა პატრიოტიზმის, ჩვენი ხალხის გმირული ისტორიული წარსულის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა მეგობრობის და სხვა აქტუალურ თემაზე.

ომის სიძნელების მუხედავად, კვლავინდებურად გვემჩან საწყისებზე გამოდიოდა სოციალურ-ეკონომიური, ინდუსტრიულ-ტექნიკური, სისოფლო-სამეურნეო, სამედიცინო, მეცნიერული, სასწავლო, მხატვრული, საბავშვო ლიტერატურა.

ომის პრისხანე განსაცდელის ქაშს პარტიის იდეოლოგიური მუშაობის არსენალში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი ეკავით ზიბლითთეგებს, კულტურულ-სავანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაეები ეხმარებოდნენ პარტიას საბჭოთა პატრიოტიზმის, სოციალისტური სამშობლოსადმი თავდადების, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით მასების აღზრდაში, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდაში.

კულტურულ-სავანმანათლებლო დაწესებულებებში სისტემატურად ეწყობოდა ომის უმნიშვნელოვანესი მოვლენებისადმი მიძღვნილი თემატური საღამოები, მრეწეელობისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების, მეცნიერი მუშაეების, ექიმების, პარტიულ და საბჭოთა მუშაეების ლექციები.

ქართველი ინტელიგენციის პატრიოტული მოღვაწეობა დიდი სამშულო ომის პერიოდში ჩვენი ხალხის შრომისა და ბრძოლის სახელოვანი ისტორიის ერთ-ერთი ბრწყინვალე ფურცელია.





მომთა აზრილწონიქა, ლაპით ჯაბიქა

ღენინური კოქკაპური ღიღ სპაპელო ოპეი

1941 წლის 22 იენისს ჰიტლერული გერმანია ვერაგულად, ომის გამოუცხადებლად თავს დაესხა ჩვენს სამშობლოს.

ომის ცეცხლმა მოიცვა ჩვენი ქვეყნის უზარმაზარი ტერიტორია. ამ დაძაბულ ვითარებაში საყოველთაო-სახალხო ორგანიზებული წინააღმდეგობის სულისჩამდგელი და ორგანიზატორი ვახდა სვე პარტია. პარტიის მოწოდებებს პასუხად სამშობლოს დასაცავად აღსდგა მთელი საბჭოთა ხალხი. ქვეყანა გარდაიქმნა ერთიან სამხედრო ბანაკად მთელი სახალხო მეურნეობა გარდაიქმნა საომარ ყაიდაზე. შესვილა საწარმოები ფრონტისიარა რაიონებიდან ორგანიზებულად იქნა ევაკუირებული აღმოსავლეთში.

ომის დაწყების შემდეგ შეიქმნა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი ი. ბ. სტალინის თავმჯდომარეობით, რომელმაც თავის ხელში აიღო ქვეყნის მთელი სამხედრო, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების ხელმძღვანელობა. მალე ი. ბ. სტალინი დაინიშნა თავდაცვის სახალხო კომისრად და უმაღლეს მთავარსარდლად. საბჭოთა მთავრობისა და კომუნისტური პარტიის გარშემო შემეჭირთვდა მთელი საბჭოთა ხალხი.

1941 წლის 3 ივლისს ი. ბ. სტალინმა რადიოთი მიმართა საბჭოთა არმიისა და ფლოტის მეომრებს, პარტიზანებს, ზურგის მშრომელებს, ყველა საბჭოთა აღამიანს მოწოდებით მიეცათ მთელი ძალები მტრის გასანადგურებლად. „მტერი სასტიკი და უღმირელია, — ამბობდა ი. ბ. სტალინი, — იგი მიზნად ისახავს ხელთ იგდოს ჩვენი ოფლით მორწყული მიწა-წყალი, ხელთ იგდოს ჩვენი შრომით მოპოვებული ჩვენი პური და ჩვენი ნავთი. იგი მიზნად ისახავს აღადგინოს შემამულეთა ძალაუფლება, აღადგინოს ცარიზმი, დაანგრის რუ-

სთა, უკრაინელთა, ბელორუსთა, ლიტველთა, ლატვიელთა, ესტონელთა, უზბეკთა, თათართა, მოლდაველთა, ქართველთა, სომეხთა, აზერბაიჯანელთა და საბჭოთა კავშირის სხვა თავისუფალ ხალხთა ნაციონალური კულტურა და ნაციონალური სახელმწიფოებრიობა, გააგერმანელოს ისინი, გერმანელი თავადებისა და ბარონების მონებად აქციოს ისინი. ამრიგად, საქმე ეგება საბჭოთა სახელმწიფოს სიკვდილსოციოსლეს; საქმე ეგება იმას — თავისუფალი უნდა იყვნენ საბჭოთა კავშირის ხალხები, თუ მონობაში უნდა ჩავარდნენ. საჭიროა, რათა საბჭოთა აღამიანებმა შეიგნონ ეს და... მოახდინონ თავისი თავის მობილიზება და გარდაქმნან მთელი თავისი მუშაობა ახალ, საომარ ყაიდაზე, რომლისთვისაც უცხოა მტრის დანღობა“.

ამ მოწოდებას მზარი დაუჭირა ყველა საბჭოთა აღამიანმა. სოციალიზმის ქვეყნის ახალგაზრდა თაობამ, ჰაბუქემა და ქალიშვილებმა ეს მოწოდება მიიღეს როგორც საბრძოლო ბრძანება და სამშობლოს დამცველთა რიგებში ჩადგნენ. როგორც ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი ამბობდა სტრუდენტთა სრულიად-საკავშირო შეკრებაზე 1971 წლის 19 ოქტომბერს: „ღიღი სამაშულო ომის დღეებში ათეულ ათასობით სტრუდენტმა გადადო წიგნები და კონსპექტები და იარაღით ხელში მთელ ხალხთან ერთად იცავდა სამშობლოს. მათ ვერ მოასწრეს ინსტიტუტის დიპლომების მიღება, მაგრამ ბრძოლის ველზე დაიმსახურეს მამაცობისა და გმირობის ატესტატები. მათ ვერ მოასწრეს უნივერსიტეტის სამკერდე ნიშნების მიღება, მაგრამ მათ მკერდი დაუმშვენა საბრძოლო ორდენებმა და მედლებმა“.

ომის პირველსავე დღეს კომკავშირის ცემა მიიღო დადგენილება ომის პირობებში კომკავ-

შირული ორგანიზაციების მუშაობის შესახებ ცკ-მა მოითხოვა ყველა კომკავშირული ორგანიზაციისაგან სიფხიზლის, დისციპლინის, ორგანიზებულობის განმტკიცება, კომკავშირელებისაგან კი — ყველაფრის გაკეთება მტერზე გამარჯვებისათვის, მისი სრული განადგურებისათვის, მზადყოფნა იარაღით ხელში სამშობლოს დარსებებისა და თავისუფლების დასაცავად.

კომკავშირმა, რომელიც ომის დროს თავის რეგებში ითვლიდა 9 მილიონზე მეტ წევრს, წითელ არმიას და ფლტს მისცა 3500 ათასი კაცი. ლენინგრადის ორგანიზაციიდან ათიდან ყოველი ცხრა კომკავშირელი ფრონტზე იბრძოდა. მოსკოვის ორგანიზაციიდან ფრონტზე წაიღია 210 ათასი კომკავშირელი. 28 ათასი ოდესელი კომკავშირელიდან 18 ათასი ფრონტზე წაიღია. საქართველოს კომკავშირმა 160 ათასზე მეტი თავისი წევრი მისცა არმიას. აღსანიშნავია, რომ ფრონტის შემთხვევაში არმიაში ვასაწვევი რესპუბლიკის ახალგაზრდობა უარს აცხადებდა საეჭიშო კომისიაზე. „ჯანმრთელებმა ვართ, ვაგვგადავინეთ არბიაში, სამედიცინო შემოწმება არ ვეცხიკირებოთა“, — აცხადებდნენ ისინი. ქართველი ახალგაზრდობის მალალი პატრიოტული სულისკვეთების მკაფიო გამოხატულებაა ისიც, რომ ჩვენს ჰევერისათვის ყველაზე მძიმე პერიოდში რესპუბლიკის რაიონულ და საქალაქო სამხედრო კომისარიატებსა და პარტიულ-კომკავშირულ ორგანიზაციებში შეტანილი იქნა 21547 განცხადება წითელ არმიამო მოხალისედ და ფრონტზე დაუყოვნებლად გაგზავნის შესახებ. მათ შორის მარტო ომის პირველ პერიოდში საქართველოდან 13650-ზე მეტი კომკავშირელი წაიღია მოხალისედ ფრონტზე.

ასე იყო ყველგან, ყველა რესპუბლიკისა და ოლქში.

ახალგაზრდობა ახლად ფორმირებული შენაერთების საფუძველს წარმოადგენდა. ზოგი ნაწილი კი მთლიანად კომკავშირელებით დაკომპლექტდა.

არმიასა და ფლტში გაიგზავნენ კომკავშირის როგორც რიგითი წევრები, ისე ხელმძღვანელი მუშაკებიც. 1941 წელს სამხედრო სამუშაოზე წაიღია კომკავშირის საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების მდივნების 30 პროცენტი. შემდეგ შეიარაღებულ ძალებში კიდევ გაგზავნილი იქნა საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების 1200 მდივანი, პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის 66 ათასზე მეტი მდივანი.

კომკავშირელები მიდიოდნენ ბრძოლის ყველაზე ძნელ უბნებზე — სატანკო და სავიაციო ნაწილებში, მზვერავებში. ისინი ეუფლებოდნენ საბრძოლო ტექნიკას, სანიტარულ საქმეს, ავებდნენ თავდაცვით ზღუდეებს. 100 ათასზე მეტი მოსკოველი და 70 ათასზე მეტი

ლენინგრადელი ახალგაზრდა მუშაობდა დაცვითი ზღუდეების მშენებლობაზე.

მოსკოვის, ლენინგრადის, ბრესტის ციხესიმაგრის, ოდესის, კიევის, სევასტოპოლის, სტალინგრადის, ნოვოროსისისის, ქერჩის, მინსკის, კავკასიისათვის გმირულ ბრძოლებში მამაციობისა და სამშობლოსათვის თავდადების ნიმუში მოგვცა ასიათასობით ახალგაზრდა პატრიოტმა. ისინი არ ზოგავდნენ არც ძალას, არც სიცოცხლეს, რომ უუფრედლო მტრის შემოტევა, დაეცვით მშობლიური მიწა-წყალად.

ლენინგრადის ფრონტის ახალგაზრდა კომკავშირელ მფრინავებს მიხეილ ეუკოვს, პეტრე ხარატონოვსა და სტეფანე ზდოროვიცეს, პირველებს დიდ სამამულო ომში, მიენიჭათ საპუთა კავშირის გმირის მაღალი წოდება გერმანელ ფაშისტთა თვითმფრინავების გატარებისათვის. კომკავშირელმა მფრინავმა ვიქტორ ტალალაინმა მოსკოვისათვის ბრძოლებაში, პირველმა ავიაციის ისტორიაში, დამით გატარა გერმანელთა თვითმფრინავი. მას საპუთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

მოსკოვის დაცვის დედეებში პირველი დამკვერელი არმიის ერთ-ერთ მზვერავ-მეტეორა მურეთა ბატალიონს შეთაურობდა 23 წლის კომკავშირელი უფროსი ლეიტენანტი, სეფიეთელი (აბაშის რაიონი) გიორგი ივანეს ძე თოფურაძე. 1941 წლის ნოემბერ-დეკემბერსა და 1942 წლის იანვარში მისმა ბატალიონმა 40-ჯერ გადაკვეთა ფრონტის ხაზი და წარმატებით შესარულა სარდლობის დავალება. ერთ-ერთი ასეთი ოპერაციის შემდეგ საპუთა საინფორმაციო ბუფერში 1942 წლის 28 იანვრის დღის ცნობაში იუწყებოდა, რომ „მეთობლამურეთა რაზმმა აჰხ. თოფურაძის მეთაურობით 200 კილომეტრი ვაიარა მტრის ზურგში და ხელთ იგდო 3 ტანკი, ჭაენიანი მანქანა, 6 ჭეეუმეხი და 150 სატიერთო მანქანა“. მოსკოვისათვის წარმოებულ ბრძოლებში გამოჩენილი გმირებისა და მამაციობისათვის გ. თოფურაძე ლენინისა და წითელი დროშის ორდენებით იქნა დაჯილდოებული, 1941 წლის დეკემბერში კი კომკავშირელი მეთაური ბოლშევიკური პარტიის რიგებში იქნა მიღებული.

მეომართლი შემართების ნიმუშს წარმოადგენს შავი ზღვის წითელფლოტელთა გმირული ბრძოლება, მათი თავგანწირულობა სევასტოპოლისისათვის. „სამშობლოვ ჩემო, რუსეთის მიწავ! ლენინური კომკავშირის შეილა, მისი აღზრდილი, ვიბრძოდი ისე, როგორც გული მიქადა, ვანადგურებდი სახიზღარო, სანამ მკერდში გული მიცემდა, ვკვდებო, მაგრამ ვიცო, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. შეზღაურებო

ფრთა აფრიდონიძე, ღაპიშ ჯაბიძე
ლენინური კომკავშირის
დიდ სამამულო ომში



— შევზღვევებო, იბრძოლებო მედგარად, ანადგურებო უაზისტი ცოფიანი ძაღლები. მებრძოლის ფიცი შევასრულე. კალიუფნი“. ასე იღუპებოდნენ მტერთან უთანასწორო ბრძოლაში გმირი სეფასტობოლელები და სამშობლოს საკუთრიველებზე მსხვერპლად მიჰქონდათ თავიანთი სიცოცხლე.

ლენინური კომკავშირის აღზრდილებმა გმირობისა და მამაცობის სასწაულები ჩიდიანის სტალინგრადისათვის ბრძოლაში. ქალაქის დამცველ საბჭოთა მეომრების უსაზღვრო მამაცობაზე მეტყველებს ლევენდარული 62-ე არმიის ერთ-ერთი ქვედანაყოფის კომკავშირული კრების ოქმი. აი ეს შესანიშნავი დოკუმენტი: „მომინდინის: ბრძოლაში კომკავშირელთა ქტევის შესახებ.

დააღვინის: უმჯობესია მოკვდე სანგარში, ვიდრე დატოვო იგი შერცხვენილმა. და არა მარტო თვითონ არ დასტოვო, არამედ მოიქცევი, რომ არც მებრძოლებმა დასტოვოს.

შუკინიხვა მომხსენებლისადმი: არსებობს თუ არა საცეცხლე პოზიციის დატოვების საბატიო მიზეზი?

ბასუნის: ყველა გამაშართლებელი ვარემობიდან მხედველობაში იქნება მიღებული მხოლოდ ერთი — სიკვდილი.

ბიტლერელთა კონტრშეტევის დაწყებასთან დაკავშირებით მომხსენებელმა უარი თქვა საბოლოო სიტყვაზე.

კრების დასასრულს სიტყვა აიღო ასეულის მეთაურმა. მან განაცხადა: „მე ვალდებული ვარ ზოგი სიხადე შევიტანო კომორგის გამოსვლაში. მან ბევრი ილაპარაკა აქ სიკვდილის შესახებ და, თქვა, რომ სამშობლო გამარჯვებისათვის ჩვენგან მოითხოვს სიკვდილს. მან, რასაკვირველია, ზუსტად ვერ გამოთქვა აზრი. სამშობლო ჩვენგან მოითხოვს გამარჯვებას და არა სიკვდილს. ცხადია, ვინც ვერ დაბრუნდება ბრძოლის ველიდან ცოცხალი — რას იზამ, ომია. გმირია ის, ვინც ჭკვიანურად და მამაცურად მოკვდება და ამით მოახლოებს გამარჯვების საათს. მაგარ ორგზის გმირია ის, ვინც შესძლებს გამარჯვის მტერზე და დარჩეს ცოცხალი“.

სამამულო ომის თვითეული ბრძოლა მისი მონაწილეებისაგან მოითხოვდა ძაღლების უკიდურეს დაძაბვას და ვანუსაზღვრელ მამაცობას. სტალინგრადის ბრძოლა მოითხოვდა სამამაც მამაცობას, სამამაც გმირობას. ქალაქის დამცველებს უხდებოდათ კვირობით და თვეობით ეწარმოებინათ ბრძოლები ყოველი კვარტალისათვის, ქუჩის, შენობისათვის. ზშირად ერთ შენობაში გამაგრებული საბჭოთა მეომრების მცირერიცხოვანი გარნიზონის წინააღმდეგ ფაშისტები იძულებული ხდებოდნენ ტანკები და ავიაციაც კი გამოეყენებინათ, მაგრამ ამაოდ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ

სტალინგრადის დამცველთა ცხოვრებაში რომა ვახდა ჩვეულებრივი მოვლენა. კომკავშირელმა — სნაიპერმა ვასილ ზაიკევმა სტალინგრადის ქუჩებში გაანადგურა 242 ბიტლერელი. კომკავშირელმა ივანე სუნანოვმა არტილერიისა და ნაღმსატყორცების განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ მარტო-მარტო აწარმოა ცეცხლი პოზიციაზე დატოვებულ ქვემიხიდან და მოსპო მტრის ათი ტანკი.

როდესაც დამთავრდა სტალინგრადის რაიონში გარშემორტყმული გერმანელთა 330 ათასიანი არმიის განადგურება, მრავალ სტალინგრადელ კომკავშირელს საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, 7600-ზე მეტი კი დაჯილდოებული იქნა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით.

სტალინგრადთან დაიწყო გერმანელთა არმიის მზის ჩასვენება. წითელმა არმიამ ერთიმეორის მიყოლებით გაანადგურა ნაქთან გერმანული დივიზიები კავკასიაში, უკრსკარ, უკრაინაში, ლენინგრადთან, ყრიბში, ბელორუსიაში, ბალტიისპირეთში და მშობლიური მიწა-წყალი გაათავისუფლა მიხაისფერი ჭირისაგან, შემდეგ კი თავისუფლება მოუტანა აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთი ევროპის ხალხებს და საკუთარ ბუნავში გაანადგურა მტერი, რითაც კაცობრიობა იხსნა ფაშიზმის მიერ დამონების რეალური საფრთხისაგან. ამ ისტორიულ ბრძოლებში კომუნისტების მხარდამხარ იბრძოდნენ ლენინური კომკავშირის აღზრდილები და გმირობისა და მამაცობის სასწაულებს სწაილიდნენ.

1943 წლის 23 თებერვალს 56-ე გვარდიული მსროლელი დივიზიის 254-ე გვარდიული ლეგიონის ჯარისკაცმა ალექსანდრე მატროსოვმა შეკრდით დაფარა გერმანელთა საცეცხლე წერტის ამბრაზურა და თავის შენაერთს შეტევის ვანგრძობის შესაძლებლობა მისცა... კარელიის ფრონტზე თორმეტმა კომკავშირელმა-გვარდიელმა გადალახა მდინარე სვირი და მტრის საცეცხლე წერტების გამოვლინების მიზნით თავისკენ გამოიწვიეს მოწინააღმდეგეის საარტილერიო ცეცხლი. ესენი იყვნენ ნემიიკოვი, იუნოსოვი, ტიხონოვი, პავლოვი, მიტერევი, ზაივიზინი, პოპოვი, პანკოვი, მარკელოვი, ბარიშევი, ბეკობსუნოვი და მალიშევი. სამშობლომ თორმეტევის საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა.

სამშობლოსათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში იდგნენ საქართველოს კომკავშირის აღზრდილებიც. აი, რამდენიმე ეპიზოდი:

ბრესტის ციხე-სიმაგრეში იხდდა სავალდებულო სამხედრო სამსახურს ნოე კენჭაძე. სამავალითი ახალგაზრდა თანამებრძოლებმა ასეულის კომორვად აირჩიეს. მას ბრძოლაში ჩაბმა სამამულო ომის დაწყების პირველი წუთებიდანვე მოუხდა. მამაცი მეომარი იგონებს:



„ძნელი, ძალიან ძნელი მდგომარეობა იყო. ჩემი კომკავშირელები იცავდნენ ტირასპოლის მოქსსა და ხოლოს კარიბჭეს შორის არსებულ მონაკვეთს. აქ გაიმართა ყველაზე უფრო გააფთრებელი შეტაკება პიტლერელებთან. ჩვენი ხალაიების ვულის ჭაბუკებში სათუთად ვინახავდი კომკავშირულ ბილეთებს, რომლებზეც შემოხვეული ვიქონდა მკერავი ქალადლი წარწერით: „ჩვენი გული — კომკავშირული ბილეთია, და ვიბრძოლებთ, ვიბრძოლებთ სამეცდრო-სასიცოცხლოდ, ძალ-ღონის, სიცოცხლის დაუზოგავად“.

ნოე კენჭაძემ მძიმე თავდაცვითი ბრძოლების შემდეგ რაღაც სასწაული დააღწია თავი გერმანელთა ვარემოცვას და მისსკთან შეუერთდა საბჭოთა არმიის ნაწილებს. იბრძოდა სმოლენსკთან, როსტოვთან, სევასტოპოლთან... სამართა გზა ბერლინთან დაამთავრა...

დასავლეთის საზღვარზე განლაგებული 124-ე მსროლელი დივიზიის ყოფილი პოლიტმუშაკი ვლ. სკორობოგატოვი წიგნში „მარად იცოცხლებს მათი სახელი“ მოგვითხრობს შემდეგ ფაქტს: 1941 წლის 22 ივნისის ფაშისტების წინააღმდეგ პირველ ბრძოლებში ქ. სოკოლთან უცვლადი ვიბრძოდა ჩაიღინა მრავალმა საბჭოთა მებრძომა. ქალაქის ყველა ვასისვლელი ბლოკირებული იყო პოლკის სკოლის კურსანტების მიერ. ამ დღეს რამდენიმე უქრსანტი ხელუყმბარებით ხელში შეუვარდა მტრის ტანკებს და სიცოცხლის ფასად ააფეთქა ისინი. ვლ. სკორობოგატოვმა მხოლოდ სამი მათგანის ვინაობა დაადგინა. ესენია ვასილ ენაკოვი, გიორგი ზამბახიძე და სერჟანტი სირინოვი. გიორგი ზამბახიძე კომკავშირელი იყო.

ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთა შვილები იცავდნენ სტალინგრადს — ვოლგის ციხე-სიმაგრეს. ამ უდიდეს ბრძოლაში მრავალმა ქართველმა ახალგაზრდამ ისახელა თავი. ერთ-ერთი მათგანის, კომკავშირელი არტილერისტის შ. ფიცხელაურის მამაცობას ასე ავგოწერს გ.ზ. „ბრავდა“: „როდესაც გერმანელთა 5 ტანკმა ქუჩას მოაშურა, ქვემეხთან იწვა მხოლოდ ერთი მებრძოლი — გაბრუებული, თავში დაჭრილი ფიცხელაური. მტრის მანქანათა გრიალი რომ შემოესმა, მან ძალ-ღონე მოიკრიბა და ფეხზე ადგა, გატენა ქვემეხი, პირველი გასროლით დააზიანა მწეონავე ტანკი. დანარჩენმა ტანკებმა სროლა აუტეხეს ამ ერთადერთ ზარბაზანს. ყუმბარის ნამსხვრევით ფიცხელაური მეორედ დაიჭრა თავში. მას იმის დროც არ ჰქონდა, რომ უტილობა შეეცვია. ტანკები სულ უფრო და უფრო ახლოვდებოდნენ. მან კიდევ უფრო ახლოს მოუშვა გერმანელები, ორჯერ კიდევ გაისროლა და ორი მანქანა დააზიანა“.

ღონის როსტოვში არის ნახაძის სახელობის ქუჩა. აქ, ფრონტზე მოხალისედ წასულმა სამ-

ხედრო-პოლიტიკური აკადემიის კურსანტმა, კომკავშირელმა პოლიტხელმა გოგონამ ალექსანდრა (შურა) კონსტანტინეს ასულმა ნახაძემ მკერდით დაფარა მტრის ტყვიამკრევეი და საკუთარი სიცოცხლის ფასად თანამებრძოლებს საბრძოლო დავალების შესრულება გაუადვილა.

როდესაც ფრონტიდან უფროსი ძმის ბარათები შეწყდა, თბილისელი ქაბუკი მარტენ დავითაშვილი მოხალისედ წაიღია ფრონტზე. მან ბრძოლის დიდი გზა განელო... 1943 წლის 23 სექტემბერს ქვემეხის მეთაურმა მარტენ დავითაშვილმა დნეპრი გადალახა. სოფელ სტუდენიკასთან ბრძოლაში მისმა არტილერისტებმა მტრის 6 ტანკი და ერთი ჯავშნოსანი გაანადგურა. შემდეგ დავითაშვილმა წელზე ხელუყმბარდა შემოირტყა და მტრის ტანკს შეუვარდა.

ლენინგრადის ბლოკადის ვარდევის დროს უცვლადი ვიბრძოდა ჩაიღინა ადამ ქავთარაძემ. პოლკოვნიკი ვლადიმერ მოროზოვი მოგვითხრობს: „მატიჩინის მოგერიების კენახი. აქ მტერმა ძლიერი წინააღმდეგობა გასწია... კომკავშირელი ადამ ქავთარაძე კი ვერ ისვენებდა. უნდა იღონოს რამე, ოღონდ ასეული დავალებს გადაარჩინოს. და აი, იგი წინ მიიწევა“.

— მე, მე დამავალეთ, ამხანაგო ათულის მეთაურო! — ესმის ადამს ყველაზე საუკეთესო მეგობრის ვიქტორ სერიაბინის ხმა, — მე დამრთეთ ნება.

ადამი კი უფრო მიიწევის წინ. სვლას უმატა. გერმანელთა ძელმიწურამდე რაღაც მეტრებშია დარჩა. ზე წამოიჭრა, შეძახილით — „წინ, სამშობლოსათვის!“ ვუფხის ნახტომი ვაკეთა და ამბრაზურას საკუთარი სხეულით აეფარა“.

1944 წლის 25 მაისს ფრონტზე მოხალისედ წასულმა 271-ე მსროლელი დივიზიის 867-ე მსროლელი ლევიონის კომკავშირელმა ჯარისკაცმა ვლადიმერ ფაჩულიამ უქრანის სსრ სტანისლავსკის ოლქის კოლომინსკის რაიონის სოფელ რაკოვჩიკის მისადგომებთან მკერდით დაფარა მტრის საცეცხლე წერტის ამბრაზურა.

მელიტოპოლის გამაგრებული აზოვის ვარდევისათვის წარმოებულ ბრძოლაში მოწინავე კომკავშირელი, წითელი დროშის ორი ორდენის კავალერი, სერჟანტი ლავრენტი ივანეს ძე ავალანოვი მოწინააღმდეგის სანგარში შეიჭრა და ხელჩართულ ბრძოლაში 18 პიტლერელი გაანადგურა. მეორე დღეს მან მოწობრიდან გამოიყვანა მოწინააღმდეგის სამი ტანკი (მათ შორის ერთ „ვეფხვი“), ხელის ტყვი-

შოთა აზრიღონიძე, ღვაწით ჯაზიძე
 ლენინური კომკავშირი
 დიდ სამამულო ომში

მტრქვეშით განადგურა მტრის 150-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი, ხოლო ბოლშევიკ ტყეა-წამალი შემოვლია, ფინური დანიტ შეიჭრა მოწინააღმდეგის სანჯარში, 12 ფაშისტის მოსპო და თვითონაც გვირის სიკვდილით დაეცა.

გერმანულ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისა და ამასთან, გმირობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 1 ნოემბრის ბრძანებულებით სერჟანტ ლაგერენტი ივანეს ძე ავალიანს სიკვდილის შემდეგ მიენიჭა საბჭოთა კავშირის გვირის წოდება.

უკვდავო ლაგერენტი ავალიანის სახელი. მის ნათელ ხსოვნას დაეწიად ინახავს არა მარტო ქართველი, არამედ მთელი საბჭოთა ხალხი. იმ ნაწილის მეომრები, რომელშიც ლ. ავალიანი ირიცხებოდა, მღერაინ:

პარტია, გვიცავთ, სამშობლოს
მტერთა ვიწმინით მსახვრელი,
ბრძოლებში ალგავფროთოვანებს
მარადის, დაუძრაველი —
ავალიანის, ძივუნისაი
და კაშირინის სახელი!

აღმოსავლეთ პრუსიაში, ქალაქ აულოვენენის ქუჩებში გამართული ბრძოლის დროს კომკავშირელი შოთა ლევანის ძე გამეცმლიძე ხელუღმარების კონით შეუვარდა გერმანულთა მძიმე ტანკ „ვეფხვს“ და მასთან ერთად აფეთქდა. ტ. ლ. გამეცმლიძის მიენიჭა საბჭოთა კავშირის გვირის წოდება. გმირ კომკავშირელს წილად ზედა სამშობლოსათვის დღეუბული ჯარისკაცის ყველაზე დიდი დიდება: საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრის ბრძანებით იგი სამუდამოდ ჩაირიცხა იმ შენაერთის პირველ ასეულში, რომელშიც მსახურობდა.

1945 წლის პირველი მაისის დამით 150-ე დღეობის 756-ე ლეგიონის მრავალ ბრძოლაში ნაწრთობმა მზვერავეებმა, კომკავშირლებმა მ. ა. ეგოროვმა და მ. ვ. ქანთარია მ რახსტავის გუმბათზე აღმართეს მე-3 დამკვერელი არმიის სამხედრო საბჭოს დროშა — გამარჯვების დროშა. მ. ა. ეგოროვსა და მ. ვ. ქანთარიას საბჭოთა კავშირის გვირის წოდება მიენიჭათ.

ბერლინისათვის წარმოებულ დამამთავრებელ ბრძოლებში 16 აპრილიდან 2 მაისამდე მარტო ბელორუსიის პირველი ფრონტის 204 კომკავშირელ მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გვირის წოდება, ხოლო ფრონტის კომკავშირელთა 90-მდე პროცენტი დაჯილდოებული იქნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით.

* * *

გერმანულ-ფაშისტთა წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის ომი საყოველთაო-სახალხო ომი იყო. საბჭოთა დამამთავრებელი თავისი სამშობლის დირსებას, თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას იარაღით ხელში იცავდნენ არა მარტო ფრონტზე, არამედ მტრის ღრმა ზურგშიც.

მტრის ზურგში საბჭოთა ხალხის ბრძოლის ორგანიზაციაში განუსაზღვრელი იყო პარტიული იატაკქვეშეთის მნიშვნელობა. ისინი აწარმოებდნენ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას მასებში, რასმავდნენ მათ გერმანულ-ფაშისტ ოკუპანტთა წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის. როგორც ყოველთვის, ამ საქმეშიც პარტიის აქტიური თანაშემწე იყო კომკავშირი, რომელსაც ფართოდ განმტოებული არალეგალური ქსელი ჰქონდა. უკრაინაში მოქმედებდა კომკავშირის 265 იატაკქვეშა რაიონული და საქალაქო კომიტეტი, რომლებიც პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობით მისახლეობაში ატარებდნენ დიდ პოლიტიკურ მუშაობას. კალინინის ოლქში მოქმედებდა 12 რაიონული და 76 პირველადი კომკავშირული ორგანიზაცია; თრიოლის ოლქში — 13 საოლქო და საქალაქო კომიტეტი და ა. შ.

მტრის ზურგში აქტიური ბრძოლისათვის ბელორუსი ხალხის დარაზმვის საქმეში კომუნისტურ პარტიას მხარში უდგა 10 საოლქო და 206 საქალაქო, რაიონული და სარაიონთაშორისო იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაცია, რომლებიც წარმართავდნენ 2527 არალეგალური კომკავშირული ორგანიზაციის მუშაობას. ეს ორგანიზაციები 73 ათას კომკავშირელს აერთიანებდა. კომკავშირის იატაკქვეშა საოლქო და რაიონული კომიტეტების მდივნების უმრავლესობა ამავე დროს ითვლებოდა პარტიულ-ხანული შენაერთების, ბრიგადებისა და რაზმების კომისრის მოადგილედ კომკავშირული მუშაობის დარგში. მათ შორის აღსანიშნავია ალექ მინსკის საოლქო კომიტეტის მდივნის ე. ნ. კონოპლინის, ვილესკის საოლქო კომიტეტის მდივნის პ. მ. მაშეროვის, გომელის საოლქო კომიტეტის მდივნის ა. დ. რუდაკის და სხვათა დიდი ორგანიზატორული მუშაობა. კომკავშირულ ორგანიზაციებში ყოველდღიურ მუშაობაში აქტიურ დახმარების და მხარდაჭერას უწევდა ბელორუსიის ალექ ცკ-ი. ბელორუსიის ალექ ცკ-ის მდივანი მ. ვ. ზიმიანინი არაერთხელ გამგზავრა მტრის ზურგში, ხოლო მდივნები — კ. ტ. მახუროვი და ფ. ა. სურგანოვი მუდმივად იმყოფებოდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე და აქტიურ იატაკქვეშა მუშაობას ატარებდნენ.

კომკავშირის ყოველდღიური მუშაობა მამართლული იყო იქეთვე, რომ გაეზარდა თავისი რიგები, აემილუბინა ალექ წევრთა იდეური დონე და საბრძოლო წრთობა, ჩაება ჭაბუკე-



ში და ქალიშვილები დამპყრობთა წინააღმდეგ აქტიურ ბრძოლაში. ახალგაზრდა პარტიოტებმა გამოავლინეს გამებედაობა და მამაცობა, სიმტკიცე და თავდაპყრობა, გადაიტანეს პარტიზანული ცხოვრების ყველა სიძნელე. საკმარისი მნიშვნელოვანი იყო პარტიულ-კომკავშირული ფენა პარტიზანულ რაზმებში. მაგალითად, ოპის პირველი პერიოდში მოსკოვის, ლენინგრადის, კალინინის, ტულის, ორიოლის, კლესკის, ვორონეჟისა და რისტოვის ოლქებში მოქმედი 107132 პარტიზანიდან 13,5 პროცენტი იყო კომუნისტი, 13,2 პროცენტი კი — კომკავშირელი.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მრავალი სახელოვანი საქმე გააკეთეს კომკავშირელმა იტაქვეშელებმა. ამის დასადასტურებლად მოვიტანთ რიგის კომკავშირული ორგანიზაციის მაგალითს. ოკუპირებული ლატვიის პიტერერელმა ხელისუფლებმა გადაწყვიტეს რიგის ერთ-ერთ მოედანზე 1943 წლის 13 ნოემბერს მოეწყო ფაშისტური გერმანიისადმი ერთგულების მიტინგი-დემონსტრაცია. მიტინგზე სიტყვით უნდა გამოსულიყო რაიხს-კომისარი ლოზე. ქალაქის არალეგალურმა პარტიულმა ორგანიზაციამ გადაწყვიტა ჩიფუშუა ოკუპანტთა ეს წამოწყება და რიგის კომკავშირის საშუალო კომიტეტის ხელმძღვანელ, შემდეგში საბჭოთა კავშირის გმირ იმანტ სულმალისს, აგრეთვე მის მეზობელ ამხანაგებს დაავალა მიტინგის დროს აეფეთქებინათ ტრიბუნა, რომელზეც კალათ ლოზესთან ერთად იქნებოდნენ საოკუპაციო ხელისუფლების წარმომადგენლები. დამით კომკავშირელმა ტრიბუნის ქვეშ ჩადეს და საფულდავულოდ შეინიღეს ნაღმი. შირთალია, აფეთქება ნახევარი საათით ადრე მოხდა და პიტერული ხელი-სუფლების წარმომადგენლები ცოცხალი გადარჩნენ, მაგრამ მიტინგი ჩაიშალა.

გერმანული ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მრავალმა მებრძოლმა და ქალიშვილებმა შესწირა სიცოცხლე. მაგრამ მათი უკვდავი საქმე ყოველთვის მაგალითი იქნება ახალგაზრდობის დღევანდელი და მომავალი თაობებისთვის. კომკავშირელებმა, რომელთა ხელში ჩაგდებაც მტერმა მოახერხა, სიმტკიცის, მამაცობისა და შეუპოვრობის მაგალითები უჩვენეს. თვით ყველაზე სასტიკი წამების შემდეგაც კი არ გასცეს მათთვის ცნობილი საიდუმლოება, მოწამებრივი სიკვდილი არჩიეს თანამებრძოლთა ღალატს.

ერთ-ერთი მათგანია მოსკოვის 201-ე საშუალო სკოლის მეთათ სკოლის მოსწავლე ზოია ანატოლის ასული კოსმოდემიანსკია. ის მონახლისედ ჩაეწერა გამანადგურებელ პარტიზანულ რაზმში. კომკავშირელ-პარტიზანთა ჯგუფთან ერთად ნარო-ფომინსკის მახლობლად სოფელ ობუხოვოსთან გადაკვეთა ფრონ-

ტის ხაზი და გადავიდა მტრის მიერ ოკუპირებული ტერიტორიაზე. 1941 წლის ნოემბერს დასასრულს მოსკოვის ოლქის ვერეისკის რაიონის სოფელ პეტროვიშევოში ერთ-ერთი სამხედრო მოხეტიალისთვის ცეცხლის წყაიდების დროს დააპატიმრეს გერმანელმა ოკუპანტებმა. მიუხედავად არაადამიანური წამებისა, ზ. კოსმოდემიანსკიამ ჯალათებს თავისი სახელიც კი არ გაუშვია, უწოდა და თავის თავს ტანია. 1941 წლის 29 ნოემბერს მამაცი კომკავშირელი გოგონა ჩამოახრჩვეს. როდესაც ჯალათმა კისერზე მარუჯული ჩამოაგდო, გერმანელთა მიერ ძალით მარტვილ სოფლის მცხოვრებლებს ზოიამ მიამართა სიტყვით: „მშვიდობით ამხანაგებო! იბრძოლეთ, ნუ შეშინდებით! ჩვენთან სტალინია! სტალინი მოვა!“...

მხოლოდ მოგვიანებით დადგინდა გმირის ნამდვილი სახელი. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1942 წლის 16 თებერვალს ზ. ა. კოსმოდემიანსკიას სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა. გმირი კომკავშირელი დაკრძალულია მოსკოვში, ნოვო-დევიჩის სასულაოზე. მდლოერმა სამშობლომ მინსკის გზატკეცილზე, სოფელ პეტროვიშევოს მახლობლად აღმართა ზოია კოსმოდემიანსკიას ძეგლი (სკულპტორები ი. ივონნიკოვი და ვ. ფედლოხოვი) და ამით უკვდავყო გმირი კომკავშირელის სახელი.

უკვდავი გმირთა ჩაიღწა მტრის ზურგზე კალინინის ოლქის პენოვსკის კომკავშირის რაიონის მდევანა ლიზა ჩაიკინამ. როდესაც მტერი რაიონულ ცენტრს მოუახლოვდა, ლიზამ 68 კომკავშირელისა და აქტივისტისაგან შექმნა პარტიზანული რაზმი. რაზმმა ლიანდაგიან გადააღწო მტრის ეშელონი, აწყობდა ჩასაფრებებს, ნაღმებით აფეთქებდა ავტომანქანებს.

1941 წლის ნოემბრის შუა რიცხვებში ლ. ჩაიკინას დაავალეს კოლმურენებისათვის გაეცნო ი. ბ. სტალინის მიერ ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის 24-ე წლისთავზე წარმოთქმული სიტყვა. ამ საბასუხის-მგებლო დაავალბის შესრულების დროს ჩაიკინს ხელი იგი ფაშისტებმა ხტოტორ კრასნოდ პოკატიშვიში 22 ნოემბერს.

მხოლოდ დღემლი იყო მამაცი კომკავშირელი პარტიზანის პასუხი ფაშისტ ჯალათთა დაკითხვისა და არადამიანურ წამებზე. ერთ-ერთი დაკითხვის დროს კი ლიზა ჩაიკინამ ფაშისტ ოფიცერს ზიზლით შესძახა: „სიკვდილი თქვენ, წყევლებო!“ და სახეში მიაფურთხა მას. მამაცი კომკავშირელი გოგონა დასერი-

შოთა აზრიდონიძე, ღამით ჯაპიძე
 ლენინური ანგაჰშირი
 დიდ სანაშულო ომში



ტეს. მას სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა.

სამშობლოსათვის ბრძოლის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერა ქ. კრასნოდონში მოქმედი არალეგალური კომკავშირული ორგანიზაციის — „ახალგაზრდა გვარდიის“ სახელი. ორგანიზაცია, რომელიც მტრის მიერ ქალაქის ოკუპაციის შემდეგ შეიქმნა, თავის რიგებში აერთიანებდა 91 კაცს, მათ შორის 15 კომუნისტს.

„ახალგაზრდა გვარდიამ“ თავის კონტროლს და გავლენას დაუქვემდებარა ქალაქის უველა შახტი. მათი საბოტაჟისა და დივერსიის შედეგად გერმანელებმა ვერ შეძლეს ვერც ერთი შახტის აღდგენა, ვერც ერთი ტრანს ქვანახშირის ვატანა ქალაქიდან.

„ახალგაზრდა გვარდიის“ თავის განკარგულებაში ჰქონდა 4 რადიომიმდები, არალეგალური სტამბა, 15 ავტომობილი, 10 პისტოლეტი, 80 შავშახა, 300 ხელყუმბარა, 65 კვ ასაფეთქებელი მასალა. თავისი ხანმოკლე მოღვაწეობის პერიოდში ორგანიზაციამ გამოუშვა და გაავრცელა 30 დასახელების 5 ათასი ანტიფაშისტური ფურცელი; ოქტომბრის რევოლუციის 25-ე წლისთავის წინ ქალაქში გამოაქიციეს 8 საბჭოთა ალამი. „ახალგაზრდა გვარდიის“ წევრებმა მოსპეს ჯარისკაცებით, საბრძოლო მასალებითა და საწვავით დეტვირთული მტრის მრავალი ავტომანქანა. მათ ხეკონცენტრაციო ბანაკიდან გაათავისუფლეს ათობით საბჭოთა სამხედრო ტყვე, დასწვიეს შრომის ბირჟა, სადაც ინახებოდა მონური შრომათათვის გერმანიის გასაგზავნ საბჭოთა ადამიანთა სიები, ანგარიშს უსწორებდნენ სამშობლოს მოღალატეებს და სხე. კრასნოდონელებმა გადაწყვიტეს მოეწყობა შეიარაღებული აჯანყება, გაეწყვიტათ მტრის გარნიზონი და შეერთებოდნენ წითელ არმიას. მაგრამ პროვოკატორ პოჩენკოვის გამცემლობამ ისინი გესტაპოს ხელში მოახვედრა.

ახალგაზრდა გვარდიელებმა განსაკუთრებული მამაცობითა და სიმტკიცით აიტანეს უმკაცრესი წამება. ფაშისტმა კაციკამიებმა 1943 წლის 15, 16 და 31 იანვარს „ახალგაზრდა გვარდიის 71 წევრი — ზოგი ცოცხალი, ზოგი დახვერტის შემდეგ — ჩიუარეს 53 მეტრა სიღრმის № 5 შახტის ღრმულში. ხუთი ხელმძღვანელი კი მხეცური წამების შემდეგ 9 თებერვალს დახვერტეს ტყვე ქ. როვენკის მახლობლად. პოლიციის დევნას 11 ახალგაზრდაგვარდიელი გადაურჩა. მათგან ერთი უგზოუქვლოდ დაიკარგა სამამულო ომის ფრონტზე, ორი — გმირულად დაიღუპა და მხოლოდ 8 გადაარჩა ცოცხალი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1943 წლის 13 სექტემბრის ბრძანებულებით უ. გრომოვის, ი. ზემუნხოვის, თ. კოშევის, ს. ტუულენისა და ლ. შვეციოვის მიე-

ნიჭათ საბჭოთა კავშირის გმირის მიწოდება, სამი ახალგაზრდა გვარდიელი დაჯილდებულნი იქნა წითელი დროშის, 35 — სამამულო ომის პირველი ხარისხის, 6 — წითელი ვარსკვლავის ორდენით.

კრასნოდონელ კომკავშირეული მამაცობის ცნობილმა საბჭოთა მწერალმა ა. ა. ფადეევმა უძღვნა შესანიშნავი რომანი „ახალგაზრდა გვარდიის“. მათი სახელობისა ქალაქი მოლოტოვსკის (ლუგანსკის ოლქი), მრავალი დასახლებული პუნქტი, საბჭოთა მუერნობა, კოლმეურნეობა, ხომალდი და ა. შ.

პარტიზანულ რაზმებსა და არალეგალურ ორგანიზაციებში მრავალი ქართველი კომკავშირელი ბრძოდა ვერავი მტრის წინააღმდეგ.

უკვედებმა და საყოველთაო დიდება მთიპოვა სიმფეროპოლის იატაკქვეშა კომკავშირული ორგანიზაციის ბიურის სააგიტაციო ჯგუფის წევრმა, კომკავშირელმა ზოია მათეს ასულმა რუხაძემ. ომამდე იგი სიმფეროპოლის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საგვგამო ვანფილიების უფროსის მოადგილედ მუშაობდა. პიტლერული ოკუპაციის წლებში აქტიურ არალეგალურ მუშაობას ეწეოდა; ავრცელებდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობებს, მონაწილეობდა ქალაქის ფაშისტური თვითმმართველობის შენობის თავზე წითელი დროშის აღმართვაში, საბჭოთა მუერნობა „კრასნში“ გერმანიის იარაღის საწყობის აფეთქებაში, ტერორისტულ აქტებში, ტყვე წითელარმიელებისათვის ტანსაცმლისა და სურსათისათვის შეგროვებასა და მიწოდებაში...

ალატის შედეგად ზოია რუხაძე გესტაპოს ხელში აღმოჩნდა. როგორც თვით წამება აიტანა გმირმა კომკავშირელმა, მაგრამ ბოლომდე თავისი ხალხის ერთგული დარჩა. ფაშისტმა ვანდალებმა მას სათითაოდ გადაუმტკირეს თითები, ორივე თვალი დასხარეს, ტურნეი მოსკრეს, შემდეგ ხელები სქელი მავთულით შეუკოჭეს და საბჭოთა მუერნობა „კრასნის“ ტერიტორიაზე ერთ-ერთ ქაში ჩააგდეს.

ზოიას საფლავზე აღმართულია მარმარილოს მონუმენტი, რომელზეც ამოკვეთილია წარწერა:

„ზოია მათეს ასული რუხაძე
19 — 1/12 — 16

სამშობლოს ერთგულ ქალიშვილს, სამამულო ომის პარტიზანს, რომელიც მოწამებრივი სიკვდილით დაიღუპა გესტაპოს ჯურღმულეებში 1944 წლის 10 აპრილს“.

ბრძოლის დიდი გზა განვლეს ახალგაზრდა პარტიზანებმა და იატაკქვეშელებმა. როდესაც დაიწყო საბჭოთა არმიის დიდი შეტევათი ოპერაციები, ისინი შეუერთდნენ არმიის ნაწილებს და აქტიურად მონაწილეობდნენ მტრის საბოლოო განადგურებაში. მათი გმირობის დამადასტურებელია სამშობლოს ის მიწოდებული ჯილდოები, რაც მათ დამისახურებს. 50 ათას-



ზე მეტი ახალგაზრდა პარტიზანი დაჯილდოებული იქნა სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით; 99 ახალგაზრდა პარტიზანს, მათ შორის 12 ქალიშვილს, მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.

* * *

ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ ომში ხალხის მთელი სულიერი და მატერიალური ძალების უღარესი დამატება მოითხოვა. საჭირო გახდა მთელი სახალხო მეურნეობის სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა, რომელიც შეძლებდა იბრალეთ, საბრძოლო მასალებით, აღჭურვილობით, სურსათით საბჭოთა არმიის შეუფერხებელ მომარაგებას.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით კომკავშირული ორგანიზაციები ვახდენენ მრავალი პატრიოტული თაოსნობის ინიციატორები. 1941 წლის 3 ივლისს, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის რადიოთი გამოსვლის საბასუხოდ, გორკის სტალინის სახელობის ქარხნის კომკავშირებმა ზეინკალმა ბუიკმა იყისრა ყოველდღიურად შეესრულებინა ორი ნორმა და დღიური დავალება 250 პროცენტით შეასრულა. მანვე მოაწყო ორასოვანია სკოლა, სადაც თავის გამოცდილებას უზიარებდა ამხანაგებს.

ასე ჩაისახა ორასოვანთა მოძრაობა. ახალგაზრდა პატრიოტთა მეორე შესანიშნავი თაოსნობა ფრონტული ბრიგადების შექმნა იყო. 1941 წლის სექტემბერში ორგანიკომის სახელობის მძიმე მანქანთმშენებლობის ურალის ქარხანაში კომკავშირელი ოსტატის მიხეილ პოპოვის ბრიგადის, რომელმაც ზუთიკერ შეამკირა საბრძოლო მანქანების უმნიშვნელოვანესი ნაწილების დამზადების დრო, მიენიჭა ფრონტული ბრიგადის წოდება.

ფრონტული ბრიგადები შეიქმნა სხვა საწარმოებშიც. 1943 წლის იანვრისათვის ჩვენს ქვეყანაში იყო 10 ათასამდე ახალგაზრდული ფრონტული ბრიგადა, რომლებშიც გაერთიანებული იყო თითქმის 100 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი. 1944 წლის მაისისათვის ფრონტული ბრიგადების რაოდენობამ მიაღწია 85 ათასს, მათში გაერთიანებულ ახალგაზრდა მუშათა რიცხვმა კი — 620 ათასს. 1945 წლის აგვისტოსათვის უკვე იყო 155 ათასი ფრონტული კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადა, რომლებშიც გაერთიანებული იყო მილიონზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი. ყველა ახალგაზრდული ბრიგადა აქტიურად მონაწილეობდა სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ შორის საუკეთესოები დაჯილდოებული იქნენ საკ ალკვ ცუ-ისა და მესხაძისი სახალხო კომისარიატების გარდამავალი დროშებით.

სამამულო ომის წლებში ახალგაზრდობის

რიგებიდან დაწინაურდა წარმოების მრავალი შესანიშნავი ორგანიზატორი და ნოვატორი. ახალგაზრდების თაოსნობით ფართოდ გავრცელდა პროფესიითა შემთავსებლების მოძრაობა, რის დროსაც ბრიგადა ადამიანთა ნაკლები რიცხვით ასრულებდა წინანდელი მოცულობის სამუშაოს, გამოთავისუფლებულ მუშა-ხელს კი იყენებდნენ სხვა სამუშაოზე. გორკის ფტოქარხანაში კომკავშირულ ვასილ შუბინის ბრიგადაში 15-ის ნაცვლად 6 კაცი მუშაობდა, გვემას კი 300 პროცენტით ასრულებდა.

მოსკოვის პირველი ბურთულასაკისრებმა ქარხნის კომკავშირელი ეკატერინე ბარიშნიკოვა გახდა მრავალღაზოსანთა მოძრაობის ინიციატორი. მისი ბრიგადის 4 მუშა მუშაობდა ექვსის ნაცვლად და გვემას გადაჭარბებით ასრულებდა. ბარიშნიკოვასა და მისი მეგობრების ინიციატივის დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა. მარტო ერთი წლის მანძილზე ბარიშნიკოვას მეთოდით მომუშავე მოსკოვის ქარხნების ახალგაზრდულმა ბრიგადებმა შესძლეს სხვა უზნებზე სამუშაოდ გამოეთავისუფლებინათ 75 ათასამდე მუშა.

შრომის ორგანიზაციასა და წარმოების ტექნოლოგიაში მნიშვნელოვანი სიახლე შეიტანეს ურალის ერთ-ერთი ქარხნის ახალგაზრდა ოსტატმა ეგორ აგარკოვმა და მოსკოვის მანქანთმშენებელი ქარხნის ახალგაზრდული ბრიგადის ბრიგადირმა ალექსანდრე ფედოტოვმა. მათ წინადადება შეიტანეს მოეხდინათ წვრილი ბრიგადებისა და უზნების გამსხვილება. ამ წინადადების დანერგვამ შესაძლებელი გახდა შრომის ნაყოფიერების ამაღლება, აგრეთვე სხვა უზნებზე სამუშაოდ გამოათავისუფლა წარმოების ხელმძღვანელთა და მალაკალიფიციურ მუშათა მნიშვნელოვანი რაოდენობა. მარტო ექვს თვეში ქვეყნის მრავალ საწარმოში ამ მეთოდის დანერგვით გამოთავისუფლდა 30 ათასამდე ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და კვალიფიციური მუშა. ამავ დროს გაუმჯობესდა წარმოების ტექნოლოგია და ტექნიკური ხელმძღვანელობა.

კომკავშირებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის აღმოსავლეთ რაიონებში მძლავრი მეტალურგიული და მანქანათმშენებელი ბაზის შექმნაში. ომის წლებში იქ აშენდა მძიმე მრეწველობის ისეთი გიგანტები, როგორცაა ჩელიაბინსკის მეტალურგიული და მილსაგლინაი, ურალის ტურბინების და მრავალი სხვა საწარმო. სარეკორდოდ მოკლე დროში — რვა თვეში აშენდა ევროპაში უდიდესი ბრძმედი — სტალინის სახელობის

შოთა აბრძილონიძე, ღამით ჯაბიკა ლენინური კომკავშირი დიდ სამამულო ომში

მედიკოგორისკის მეტალურგიული კომბინატის № 5, აგრეთვე № 6 ბრძმედები.

ლენინურმა კომკავშირმა მეტალურგიული მონაწილეობა მიიღო მტრის დროებითი ოკუპაციისაგან გათავისუფლებულ რაიონების სახალხო მეურნეობის აღდგენაში. სტალინგრადის აღდგენით სამუშაოებში მონაწილეობდა 23 ათასი ახალგაზრდა პატრიოტი-მონალისე. სტალინგრადის მშენებლებმა ორ წელშიაღიშნულ ალაღვიანეს 600 ათას კვადრატულ მეტრზე მეტს ალუმიუმის ფართობი და 500 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ჯერ კიდევ ომის დამთავრებამდე სტალინგრადის აღდგენილი სატრანსპორტო ქარხნის კონვეიერებიდან ჩამოვიდა პირველი ტრაქტორი. მეტალურგიულმა ქარხანამ „კრასნი ოქტობრმა“ სამშობლოს მისცა მაღალხარისხიანი ფოლადი. ვახსენა ათობით სივალა, რამდენიმე სავალდებულო, ზავშეთა ბაგა. 150 ათასამდე სტალინგრადელი ბლინდებებიდან და დანგრეული შენობების სარდაფებიდან ჩასახლდა კეთილმოწყობილ ბინებში.

კომუნისტური პარტიის მოწოდების პასუხად 44 ათასზე მეტი ჭაბუკი და ქალიშვილი შრომობდა კომკავშირული საგზურით დონბასის შახტების აღსადგენად. კომკავშირელებმა აღადგინეს სტალინოს, მაკეევიკის, ვნაკეიკის, კრამატორსკის, მარიუპოლის ბრძმედები და პარტიის ლეგელები. ათასობით ჭაბუკი და ქალიშვილი შრომობდა დნეპროუკაინის აღსადგენად. ყოველი ლენინგრადელი კომკავშირელი წარმოებდასაგან მოუწყვეტლივ ყოველთფერად 30 საათს მუშაობდა მშობლიურ ქალაქის აღსადგენად.

გმირული შრომით თავი ისახელა სოფლის ახალგაზრდობამაც. სოფლის კომკავშირელები სათავეში ჩაუდგნენ ბრძმედებსა და რკოლებს, დაუფლენ რთულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და წარმატებით შეცვალეს არამაში გავრეული სპეციალისტები. მრეწველობის ახალგაზრდა მუშების მავალითისამებრ სოფლად ფართოდ გავრცელდა მოძრაობა მაღალი მოსავლის კომკავშირულ-ახალგაზრდული რკოლების შექმნისათვის, რომელნიც შრომის მონაწილეთა რიგებში იდგნენ. 1945 წლისათვის ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებში იყო მაღალი მოსავლის 96 ათასი ახალგაზრდული რკოლი, რომლებშიც მუშაობდა 715 ათასი ჭაბუკი და ქალიშვილი. პარტო საქართველოს საკოლმეურნეო მინდრებში, ხევისათვის ბაღებში, ზღვებში, ჩაის, ციტრუსებისა და თამბაქოს ბლანტიციებში, მეცხოველეობის ფერმებში 1945 წლის დასაწყისისათვის შექმნილი იყო უხვი მოსავლის 2513 ახალგაზრდული ბრძმედა და რკოლი, რომლებშიც 33790 კომკავშირელი და ახალგაზრდა იყო გავრთიანებული.

ჩვენი ქვეყნის ქალაქებსა და სოფლებში ფართოდ გავრცელდა თავდაცვის ფორდისათ-

ვის სახარების შეგროვება. კომკავშირელებმა და ახალგაზრდებმა ქვეყნის თავდაცვის მუშაობაში შეიტანეს 1 მილიარდ მანეთზე მეტი. ამ თანხით აშენდა სატანკო კოლონიები, თვითმფრინავთა ესკადრილიები, საარტლერო ბატარეები, კატრები, ჯავშნიანი მატარებლები და სხვ.

ახალგაზრდობის მიერ შეგროვებული თანხებით აგებული იქნა სატანკო კოლონიები: „მოსკოვის პიონერი“, „უეიბიშევის პიონერი“, „საქართველოს ნორჩი პიონერი“, ავიაციადრილიები: „საქართველოს კომკავშირბ“, „ტამკენტის პიონერი“, „ირკუტსკის პიონერი“, სატრანსპორტო კატრების დივიზიონი „ფახაზეთის კომკავშირელი“ და მრავალი სხვა.

* * *

ამრავად, დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა ლენინურმა კომკავშირმა. „სოციალისტური სამშობლოს დაცვაში, — ამბობდა ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 20 წლისთავისადმი მიძღვნილ სახუიმო კრებაზე, — დიდი მამაცობა და გმირობა გამოიჩინეს ჩვენმა ქალიშვილებმა და ჭაბუკებმა, კომკავშირელებმა. ლენინურმა კომკავშირმა იმ წლებში სამშობლოს მისცა მილიონობით თავდადებული გმირბოლი. ისინი გმირულად იბრძოდნენ და სოცოტლეს არ ზოგავდნენ სამშობლოს დასაცავად“.

დიდ სამამულო ომში შეიღი ათასამდე კომკავშირელს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება. ორჯობს მიენიჭა ეს მაღალი წოდება 60 კომკავშირელს. ლენინური კომკავშირის აღზრდილები — ალექსანდრე პოკინკინი და ივანე კოტეიბი სამგზის საბჭოთა კავშირის გმირები გახდნენ. თერთმეტმა ოჯახმა ორ-ორი საბჭოთა კავშირის გმირი მისცა სამშობლოს. ესენი არიან: დამა თამარ და ვლადიმერ კონსტანტინოვეები, ზოია და ალექსანდრე კოსმოდემიანსკები, ტყუბი ძმები — იაკობ და დიმიტრი ლუკონინები, ძმები — ბორის და დიმიტრი გლინკინი, ვესეი და მთავარიანსტუბები, ივგენი და ვენიად იგნატოვეები, ვლადიმერ და კონსტანტინე კოკინაეკები, კონსტანტინე და ვიქტორ ლისელიძეები, ალექსანდრე და ბეტრე ლიზიუკოვეები, სერგო და ალექსანდრე კურხენკოვეები, ნიკოლოზ და მიხეილ პანინკინები. ყველა ესენი ლენინურმა კომკავშირმა აღზარდა. 3500 ათასი კომკავშირელის საგმირო საქმეები აღინიშნა საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით. გერმანულ ფაშისტ დამპყრობელთა მონააღმდეგ ბრძოლაში გმირობისა და მამაცობისათვის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოებული იქნა 100 ათასამდე კომკავშირელი გოგონა, მათ შორის 66 მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება.



შრომის ორმოც ახალგაზრდა ნოვატორის სამამულო ომის წლებში მიენიჭა სოციალისტური შრომის ვიარის წოდება. ცნობილ ნოვატორებს — ევგორ ავარკოვს, ალექსანდრე ვერდოვს, ალექსანდრე შაშკოვს, გიატერინა ბარაშნიკოვას, ლევ ბატურინს და ვიქტორ კრანსიკოვს მიენიჭათ სახელმწიფო პრემიები.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოს წინაშე დიდი დამსახურებისა და სამშობლოს ერთგულების სულსიკვეთებით საბჭოთა ახალგაზრდობის აღზრდისათვის ჩატარებული დიდი მუშაობისათვის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სამშობლოსა და საბჭოთა ხალხის სახელით 1945 წლის 14 ივნისს ლენინის ორდენით დააჯილდოვა ახალგაზრდობის სრულიად-საკავშირო ლენინური კომუნისტური კავშირი.

1945 წლის 28 ნოემბერს კრემლში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში მიხეილ ივანეს-ძე კალინინმა ვიღო გადისცა კომკავშირის ცკ-ის XIV პლენუმის საზეიმო სხდომას. პლენუმის მონაწილეებმა მთელი კომკავშირის, მთელი საბჭოთა ახალგაზრდობის სახელით საზეიმო ფიცი დასდეს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე. შრომისა და შემოქმედების, კომუნისმის იდეებისათვის ბრძოლის მიწოდებად ვაისმა ფიცის სიტყვები:

„ლენინის ორდენს ჩვენ ვღებულობთ არა როგორც მხოლოდ წარსული დამსახურების ქილოდ, არამედ აგრეთვე როგორც ვალდებულებას ყოველთვის უსაზღვროდ და თავადღებით ვემსახუროთ ჩვენს სამშობლოს, ჩვენს ხალხს...“

სამამულო ომის დამთავრების შემდეგ ლენინებმა კომკავშირმა აქტიური მონაწილეობა მიიღო გერმანულ-ფაშისტ დამპყრობთა მიერ დანგრეული სხალხო მეურნეობის აღდგენის სამუშაოებში. დიდი კომკავშირის დამსახურება მინსკის, სმოლენსკის, სტალინგრადის მშენებლობაში, ლენინგრადის, ხარკოვის, კურსკის, ვორთენეის, სევსტოპოლის, ოდესის, ღონის როსტოვის და სხვა ქალაქების აღდგენაში, ღონბაისის მრეწველობისა და ქალაქების, დნებროვისის, კომმუნისტური ნო-სატრატორო სადგურების აღორძინებაში.

ომის შემდეგ მკვიდლობიანი განვითარების პერიოდში ლენინური კომკავშირი აუო და არის კომუნისტური მშენებლობის, ყოველი ახალი წამოწყების აქტიური მონაწილე და უშუალო შემსრულებელი. ლენინური კომკავშირის ასეული ათასობით საუკეთესო შვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ვაშირა და ნასეენი მიწების ათვისებაში, ციხების, სოფელი აღმოსავლეთისა და უკიდურესი ჩრდილოეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა ათვისებაში და სხვ. დღეს ლენინური კომკავშირი

დგას IX ხუთწლედის დავალებით ვადაზე აღზრდა და გადარბობით შესრულებისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში. მისი საუკეთესო შვილები თავდადებით შრომობენ ფაბრიკებსა და ქარხნებში, საკოლმეურნეო მიწდერებსა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ლაბორატორიებში, ბიკალ-აფურის მაგისტრალის მშენებელთა რიგებში. როგორც ყოველთვის, კომკავშირელთა საუკეთესო ნაწილი სოციალისტური სამშობლოს დაცვის სადარბაზეა.

ლენინური კომკავშირის ისტორია აღსავსეა მრავალი პატრიოტული წამოწყების შესანიშნავი ფაქტებით. როდესაც ჩვენს ქვეყანაში დაიწყო კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, კომკავშირელები, კომუნისტების მხარდმხარე, კომუნისტური შრომის დამკვერღის საპატოო წოდებისათვის მასობრივ მოძრაობის ინიციატორებად გამოვიდნენ. სასიხარულოა აღინიშნოს, რომ ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური შრომის კოლექტივის წოდება პირველს მიენიჭა მოსკოვის დამზარისებელი დემოს ახალგაზრდულ სააქტორს. ლენინური კომკავშირი არის შესანიშნავი პატრიოტული წამოწყების — რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდების აღვიღებმა ახალგაზრდობის სრულიად საკავშირო ლაშქრობის ინიციატორი.

კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ მალღი შეფასება მისცეს ლენინური კომკავშირის დამსახურებას სოციალისტური სამშობლოს დაცვის, მშვიდობიანი მშენებლობის, კომუნისტური სულსიკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში. ამიტომ არის, რომ კომკავშირის აღისფერ აღამზე ამაყად ანათებს ლენინის სამი, ოქტობრის რევოლუციის, საბრძოლო წითელი დროშისა და შრომის წითელი დროშის ორდენება.

საბჭოთა ახალგაზრდობის საბრძოლო და შრომითი დამსახურების ახალი, დიდი აღორბება ის მალღი შეფასება, რაც სკკპ ცკ-მა მისცა კომკავშირის დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30-ე წლისთავის შესახებ მიღებულ დადგენილებაში: „ომის მრისხანე წლებში, ისევე როგორც მშვიდობიან დროში, პარტიის მებრძოლი თანამეშვე იყო ლენინური კომკავშირი“.

საბჭოთა სახელმწიფოს თანამედროვე ახალგაზრდა თაობა — ესა კვალიფიციურ მუშათა, მშენებელთა, სოფლის მეურნეობის მუშათა, სახმედრო მოსამსახურეთა, მეცნიერთა, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის მუშათა მრავალმილიონიანი არმია. კომკავშირი მთავლობის იღებს კომუნისტური პარტიისაგან, თითოეული კომუნისტისაგან. ვისწავლოთ ცხოვრება და ბრძოლა პარტიისაგან — ეს არის კომკავშირის საქმიანობის უმაღლესი აზრი, თითოეული საბჭოთა ახალგაზრდა მოქალაქის ცხოვრების აზრი.



პრიმლ სპარსიუმილი

დიდი სამამულო ომი რაციონული გაცემების უზრცლებზე

სამამულო ომის ამსახველი ქართული ბოგ-ზია ერთი მძლავრი შენეაღია დიდი საბჭოთა ლიტერატურისა. ფაშისტური გერმანიის განადგურებაში სამამულო ტექნიკისთან ერთად, დიდი დამანგრეველი იარაღის როლი ითამაშა საბჭოთა მხატვრულმა სიტყვამაც.

გფურცლავთ ჯარისკაცის მაზარისფერ გა-ზეთის არქივს და ვხედავთ, რომ ყოველი ნა-წარმოები, კერძოდ, ლექსი ქართული საბჭოთა პოეზიის ერთიან დიდ გზას დამგზავრება. ტე-ქსტები დაწერილია ძელმიწურებში, ცხარე ბრძოლების შემდეგ მცირე შესვენების დროს. ისინი შექმნილია ძნელ საბრძოლო ლაშქრო-ბებში.

დიდი სამამულო ომის პერიოდის ქართუ-ლი რაიონული პრესა პოეტური მასალის თვალ-საზრისით შეუსწაველია, მისი შესწავლა დროულიცაა და საშურიც. ჩვენ ვალში ვართ ფრონტელი პოეტების წინაშე.

ქვემოლ განხილული ტექსტები ამოკრები-ლია რაიონული გაზეთების არქივებიდან («კო-ლმეურნის ხმა», «კოლმეურნე», «ახალი შირა-ქი», 1941-1945 წ.წ.).

ფაშისტური ურდოების სიკვდილისმთენ-ველ საქმიანობას, მტრის სისხლიანი საბინ ჩვენებას ემსახურება აღნიშნული გაზეთების ფურცლებზე დაბეჭდილი მრავალი ლექსი. ამ შინაარსისაა სიკო ჩანგაშვილის, მათე წითე-ლის, არჩილ შიშმანაშვილის, დავით ცუცქირი-ძის, გიორგი ასათიშვილის და სხვათა პოეტუ-რი სტრიქონები.

გერაგი მტერი დაგვეცა,
აღსდექი, ხალხო ძლიერო,
აღვგავოთ, უკუთქციოთ,
მივეუზღათ სამაგვირო!

(გაზ. «კოლმეურნის ხმა»).

ამბობდა სახალხო მთქმელი ს. ჩანგაშვილი ლექსში «საბჭოთა ხალხს».

საბჭოთა აღამიანების, მთელი საბჭოთა ხალხის გულსნადები კარგდ არის წარმოსა-ხული არჩილ შიშმანაშვილის ლექსში «წინ, გე-მარჯვებისაკენ!»:

ნებას არ მივეცემთ უჩაღებს,
რომ ჩვენს მიწაზე იარონ,
და ჩვენი უხვი ქონება
საქმელად გაიზიარონ.

(გაზ. «კოლმეურნის ხმა»).

სამშობლოს დაცვა ვაბა ჩვენი ხალხის მი-ზანთა მიზანი. ლექსში გაცხადებულმა ამ მი-ზანმა მხატვრულ ნაწარმოებს ახალი შემარ-თება, ახალი შინაარსი და ძალი მისცა. სამშობ-ლოს დაცვა სჭირდებოდა. დ. ცუცქირიძის თი-თქმის ყველა ლექსში ეს საამაყო გრძნობაა ხორცშესხმული:

დღეს, როდესაც ჩვენს სამშობლოს,
ჩვენი ტრფობის სივანს,
გაუკაცურად დაცვა უნდა
ვერაგ მტრებისაგან.
მეც მზადა ვარ საბრძოლველად,
მეც მზადა ვარ მისთვის,
მეც გაეწირავ ჩემს სიცოცხლეს...

(გაზ. «კოლმეურნის ხმა»).

ასეთივე მაღალიდებურია ნ. დევედარიძის ლექსი «წითელ არმიას»:

ვფიცავ, ერთგული ვიქნები
ჩემი სამშობლო ქვეყნისა,
მტერთან მაშინაც ვიბრძოლებ
თუნდ წვეთი შემრჩეს სისხლისა.

(გაზ. «კოლმეურნის ხმა»).



საბჭოთა ხალხს ღრმად სწამს მტრის დამარცხება. მათგან შორს არის შიში.

სინაგოგაში ვწერ ამ სტრეოტონებს, სიხარულით ვიწვდი ბელებს: მახსოვს შენი დარიგება, — არ შეგარცხვნი, გასახელებ. მეღვრად ვიბრძვი, დედაჩემო, ფოლადივით ვაფხდი მტრეც. ჩემი ქვეყნის დასაცავად საქართველო დაგიფიცე.

წინ! მეღვრად, შეურყეველად, მტერსა მახვილი ჩაეცი, და დამონებულ მოძმეებს თავისუფლება მიეცი!

(ნ. დევიდარიძე, ვაზ. „კოლმეურნის ხმა“).

(ვაზ. „კოლმეურნის ხმა“).

„კოლმეურნის ხმა“, 1942 წლის 10 მაისს აქვეყნებს ლეიტენანტ დ. ცუცქერიძის ლექსს „ფიცი სამშობლოს“. აღვლევბის გარეშე ამ ლექსის წაკითხვა ახლაც, 30 წლის შემდეგაც შეუძლებელია:

საბჭოთა ჯარების მიერ ფაშისტური გერმანიის საბოლოო განადგურებამ უჩვეულო სიხარული მოუტანა მსოფლიოს ხალხებს, გულში ჩამწვდილი მრავალი ლექსი დაიწერა, ითქვა და დაბეჭდა მათში.

ღიადი გამარჯვებით აღფრთოვანებული რომელი საბჭოთა ადამიანი არ იტყოდა ისე, როგორც ს. შეშაბერიძემ თქვა:

მეც მოვედი ბრძოლის ველზე და სამშობლოს ვფიცავ: სიკვდილამდე შენ დავიცავ, მშობლიური მიწა!

იხარე, ჩემო სამშობლო, თავისუფლების მხარეო, გულჯავიანი ადარ ვარ, მტერი გეყავს მგლოვიარეო. ვინც შენს ვათელვას ღამობდა დღე ვაუთენდა მწარეო!

(ვაზ. „კოლმეურნის ხმა“).

ქართულ მწერლობას თავის დიდ მოვალეობად მიანდა ჩვენი ხალხის აღზრდა საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. ეს უფრო ნათლად მოჩანს ე. წ. მიძღვნილ ლექსებში. ლექსში — „შქარიანას“, არჩილ შიშმანაშვილი გულწრფელად უმღერის მოძმე უკრაინის ნოშარ მიწას:

ვაზეთი „კოლმეურნის ხმის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული პოეტური მასალა საინტერესოა პოეტის თვალსაზრისითაც: ხალხური ლექსის მეტრი, პოეტური სტროფების მრავალფეროვნება ამდიდრებს, ემოციურს ხდის ლექსს.

* * *

მართო არა ხარ ბრძოლაში, ძმებოც გიდგანან მხარშია, შენს მოსისხლეებს უტრყამენ ყველგან — მთაში და ბარშია. რუსი, ქართველი, სომეხი, ერთად შეკრულან ფიცითა: სულ მთლაც აღგავონ გერაგი მაგ მაღლიანი მიწიდან.

(ვაზ. „კოლმეურნის ხმა“).

ომის თემას მძლავრად ეხმარება ვაზეთი „კოლმეურნეც“. საქართველოს კომუნისტური პარტიის სიღნაღის რაიკომისა და სიღნაღის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ორგანო. სამამულო ომის წლებში „კოლმეურნეს“ ფურცლებზეც არა ერთი და ორი პატრიოტული ლექსი დაბეჭდა.

ავტორმა იცის, რომ მტრის განადგურება ძნელი იქნებოდა საბჭოთა ერებს შორის ძმური, მეგობრული კავშირის გარეშე, უკრაინის მტერი თვითებული ჩვენთაგანის მტერია:

მართალია, ზოგჯერ ეს ლექსები ქვეშაირტ პოეზიამდე ვერ მაღლდება, მაგრამ სურვილი სათქმელის ლექსად თქმისა, მაინც დიდია და საბატიო.

ომის დაწყებიდან ათიოდე დღის შემდეგ ბოძინა ზურაშვილი „კოლმეურნეში“ ბეჭდავს ლექსს — „სამშობლო“.

თათარს, უზბეკს და ბელორუსს სიყვარული აქვს ძმურია!

ეს მეგობრული კავშირი ურღვევია და მტკიცეა!

(ვაზ. „კოლმეურნის ხმა“).

ან გამარჯვება თვადამხმელ მტერზე, ან ბრძოლის ველზე გმირად სიკვდილი!

1942 წელს დაბეჭდილ სახალწლო ლექსში ცნობილი სახალხო მთქმელი ისაკო მირაიან-

ქართველი ქალის ვიკატური შემართება, მამულის საკეთილდღეოდ გავუული მისი დიდი ლეაწლი, ჩვენი მწერლობის საპატიო თემა იყო ყველა დროსა და ეპოქაში. საბჭოთა არმიის მეომრები, პოეტური საღებავების დაუშურებლივ ხატავენ დედის სახეს, დედისადმი სიყვარულს, პატივისცემას. ამის დადასტურებაა ს. შეშაბერიძის ლექსი — „წერილი დედას“:

არნილ საპარნიაშვილი
ღრიდ სამაშალი ოში
არიონული გახითბის ფურცლებზე

შვილი საბჭოთა მოქალაქის მაღალ შეგნებას და სამშობლოს თავისუფლების ურყევ რწმენას გამოხატავს:

ვით ერთი კაცი, ავდეკით
სამშობლოს დისაცავდა,
თავზედ მტრის შესამუსრავედ,
იმითი სისხლის მსმელადა.

სახალხო მგონის რწმენა ხალხისეულია, ეს
რწმენა ანგრევს ბოროტების ყველა ციხე-სი-
მაგრეს და დედამიწაზე ამკვიდრებს მშვიდო-
ბას, ძმობას, სიყვარულს.

მსოფლიომ იცის მაგათთან
ათასჯერა ვართ მართალი,
რად დაგვირღვია საზღვარი,
რას გვივარდება კარზედა?
რატომ არ იცის, მოსულ მტერს
ავაგებთ შუბის ტარზედა!

(ვახ. „კოლმეურნე“).

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმე-
ტია: ხალხური ლექსიც საქვეყნოდ გმობს ფა-
შაზიმის ბოროტებას, ამხელს მის ბნელ ზრახ-
ვებს და გვარწმუნებს საბჭოთა ხალხის მიერ
წარმოებული ბრძოლის გარდუვალ გამარჯვე-
ბაში.

საბჭოთა სამხედრო საზღვაო და საჰაერო
ძაღების გმირული შემართება კარგად არის
ცნობილი დიდი სამამულო ომის ისტორიაში.

„კოლმეურნეში“ დაბეჭდილი მრავალი ლე-
ქსიდან ამ შინაარსით ღირსშესანიშნავია რო-
ლანდ ბერიძის ლექსი „ქართველი მეომრისა-
დში“. ავტორი საინტერესო პოეტურ ბატა-
ლიებს ქმნის. მოვეყვით ერთ ნიმუშს:

ზღვაზე მტრის გემებს ქარიშხალივით
ლევებს მტრის მიმართ სისხლად აწლილი
სიღნაღის პირშეშო, ქართულ ხმალივით
გაუტეხელი სეზნიაშვილი!
ცად ლებანიძე, ნანეიშვილი,
რისხვით დასდევენ ფაშისტურ სეავეს
და მტერს გაწოლილ ცაზედ ნისლივით,
ვულვაცეცხლებით ლეწენ და სწვავენ!

(ვახ. „კოლმეურნე“).

ახალგაზრდა პოეტმა როლანდ ბერიძემ
პარტიზანი ქალისადმი მიძღვნილი ლექსით, სა-
მშობლოს უსახლდგოდ მოყვარული საბჭოთა
ქალის სახე გაგვაცნო:

შენ ბედნიერთა სამშობლოს იცავ
და ევ გულიც ხომ შენ მისთვის გიცივს!
რა სურთ ფაშისტებს? სამშობლო მიწა?
შენ დასცხე, დაჭა და დაამიწე!

(ვახ. „კოლმეურნე“).

ყველა საბჭოთა ადამიანი იცოდა, რომ
მამულის დამცველი ხალხის რისხვას მტერი

ვერსად დამალებოდა. დიდი იყო გამარჯვებულ
რწმენა. როლანდ ბერიძემ ეს აზრი ლექსით
უბრალოდ, მაგრამ ფერმყარი საღებავით დახა-
ტა.

სამამულო ომის წლებში სიღნაღელ მშრო-
მელთა სულისკვეთება, რაიონული გაზეთ
„კოლმეურნეს“ ფურცლებზე ისე უტყუარად
აზის წარმოდგენილი, როგორც მატინეში. სა-
ერთო სახალხო შემართებას ლექსი თავისე-
ბურ ელფერს მატებს. ლექსი მშრომელთა დი-
დი ცხოვრების მხატვრული ისტორია!

* * *

დიდ მიზნებს ემსახურებოდა, როგორც ზე-
მოთ ვთქვით, რაიონული გაზეთები. მათ რიცხ-
ვშია წითალწყაროელ მშრომელთა დიდი მე-
გობარი, დამრახმველი და დამრიგებელი, გა-
ზეთი „ახალი შირაქი“.

მტერი მუდამ ვერავი და დაუნდობელია.
„მტერს მტრულად უნდა დახვედრა. მოყვა-
რეს — მოყვრულად“, — გვასწავლის ხალხურ
რი სიბრძნე. ათეული ათასობით საბჭოთა ადამი-
ანის უშავსო სისხლი ცას შესწიწხუხებდა და
შურისძიებას ითხოვდა. კარგად გამოხატა ეს
აზრი დავით ციგროშვილმა ლექსში „შურის-
ძიება“, რომელსაც არც პოეტური გააზრება
აყლია, არც ფერები:

ლმუოდა ისე, ვით უღრანში მხეცი მშვიერი,
დაუნდობელი ნადირი ტყისა.
ჩვეწვი მოვიდა ჭარისკაცი სილენიელი,
მოკლა მოხუცი ოთხმოცი წლისა.
გადასწვა სახლი, დაამსგვრია რკინის სახნისი,
გესლით გაახშო ეზოში მოლი,
მოკლა ნაწესი ახალგაზრდა დისასხლისი,
დაახრჩო ბავშვი აკანში მწოლი.
სურდა ჩაქრო საბჭოეთის მზის

ბრწყინვალება

და მოესმინა მიწის ქვეითინი,
მაგრამ ვერ მოკლა გაზაფხულის
ამლელვარება,
ვერ დააჩოქა ხალხი გმირთ-გმირი...
გესმით, კრემლიდან სივრცეების გადაძახილი?
წალკოს მტერი ტალღამ ძლიერმა
სიკვდილს — სიკვდილი, გამომვლელ
მახვილს — მახვილი,
შურისძიება, ხალხო ჩემო, შურისძიება!

(ვახ. „ახალი შირაქი“).

სამამულო ომში საბჭოთა ხალხის ძლევა-
მოსილმა გამარჯვებამ მზეც კი ახალი ძალით
გააბრწყინა, სიხარული გულს ნიაღვარივით
მოსაკლა და სიმღერად წამოვიდა: მტერზე ტრი-
უმფალური გამარჯვება, ერის ისტორიის ახა-
ლი ფურცლის დაწყება უბრალოდ და დამა-
ჯერებლად არის ნათქვამი გ. ჭანიაშვილის
ლექსში „ვიბრუნდებიან შვილები“:



იხარე, ჩემო სამშობლო, თავისუფლების მხარეო, გულჭკვიანად აღარ ვარ მტერი გვეყავს მგლოვიარეო, ვინც შენ გათილვას ლამობდა დღევ გაუთინდა მწარეო, ცოცხლობდეს ჩვენი პარტია — ხალხის მზე, ხალხის მთვარეო. შეება და ლხინით ავავაო ბრძოლა გვესწავლა მწარეო. თბილისო, ფრთები გაშალე, მთავ, ჩანყი გადიყარეო. გიბრუნდებიან შეილები, სამშობლო, ვაიხარეო.

„ახალი შირაქი“ 1941-45 წლების ფურცლებს ამშვენებს ვლ. ფნაჭვიძის, ვ. რაზიკაშვილის, გ. წაწალაშვილისა და სხვათა ლექსები. აქვეა დაბეჭდილი დ. პატატიშვილის მრავალი ლექსი, რომელთაც დღემდე ჯერ კიდევ არ იცნობს შინამოუსვლელთა პოეზიის მოყვარული და დამაფასებელი მკითხველი. ეს ლექსებია: „კვლავ გავცოცხლდები“, „გესმით ქუხილი?“, „დანაბარები“, „ჩემი სამშობლოს დედო მიწავ“, „გაფიცებთ...“ და სხვა.

დ. პატატიშვილზე მწედაურების გარეშე საუბარი გვიჭირს. ამის თქმას მისი პოეტური სამყაროს გაცნობა ვეაძულებს. აჟად. ირ. აბაშიძე პოეტის ლექსთა პირველი კრებულის წინასიტყვაში წერდა: დ. პატატიშვილი პოეზიით, ლექსებით „მკაფიოდ გვაგრძნობინებს თავის თავს, ვიდრე მისი ტოლი და, თუ გენბავთ, ბევრი უკვე სახელმოხვეჭილი პოეტი“.

შეუდარებლად არის გადმოცემული სამშობლო მიწის სიყვარული დ. პატატიშვილის ლექსში — „ჩემი სამშობლოს დედო მიწავ“:

თქვენს წინა ვდგევარ ჭაბუკი წყნარი, მითხარ პოეტო, მითხარ მხედარო! ნოთუ ამ ქვეყნად სხვა მიწა არის სამშობლო მიწას რომ შეედაროს?!“

(გაზ. „ახალი შირაქი“).

ეს არის მიწა, სადაც იბადება თვითონ მზე, ზოგჯერ პოეტს ეჩვენება, რომ „მზე გულში არის, ხოლო არავი ლექსის პწკარია“. ვინ არ დაუჭერებს პატატიშვილს დღესაც:

ოი, მზურთი ჰყვავის დღეები კრემლის ციდან რომ იბადებიან, ისმის ხმაური მდინარეების, ეს მშობლიური მიწის ხმებია.

(გაზ. „ახალი შირაქი“).

და მერე მთელი დედამიწა ფაშისხმის ავმა ურჩხულმა ჩამოაბნელა. პოეტმა უცებ შეიგრძნო, რომ დადგა ქამი სიცოცხლისა და ქამი სიკვდილისა:

1 ი. აბაშიძე, ფრანტული პოეტი, იხ. დ. პატატიშვილი „ადიდი სიჭაბუკე“, 1960 წ., გვ. 6.

ყოფნა-არყოფნის იდუმალ დრამას საკუთარ სისხლით და ცრემლით ვწერდი. (გაზ. „ახალი შირაქი“).

მაგრამ გრანიტივით მყარია პოეტის სული, ლექსში რომ მოლიანდაა გამოკონილი: „და-მარტყან ხმალი, ვერ მნახვენ მტირალს“ — წერდა იგი.

დ. პატატიშვილის ლექსით აღორძინებულ განედას ვერ უპოვით საზომს. პოეტს სწამს, სჯერა! აქვს უკვდავების ურყევი რწმენა.

და ასე ვიწვი მგოსნის ოცნებით, მივსდევ ქარიშხალს, დღეებს ბურიაანს; თუ დავეცემი, კვლავ გავცოცხლდები პოეზია ხომ სასწაულია!

(„ახალი შირაქი“).

დ. პატატიშვილის კრძნობა სამუდამდღეოა, — სადღესო, სხვაღეო. პოეტს სწამდა, რომ სამშობლოსათვის განწირული სიცოცხლე ყოველ გაზაფხულზე მიწაზე ამოდის ყვავილბაღახად, ხეებად, მოდის შვიდი მაისის წვამად... მწელია შეიჩერო ცრემლი, როცა კითხულობ მის ლექსს „გაფიცებთ დიდი ქვეყნის შვილობას“. მამულისათვის დაცემული გმირების სავალბელო ეს ლექსი გეზიბლავს პოეტური სული სიმადლით. პოეტი ამ გმირებზე თითქოს ლოცულობს:

თქვენზე ფლოვებს მიწა ჯვარცმული, შავს ჩაიცმევენ თეთრი ტუქმლები, ჩამოვა მთვარე დაქებნაცმული და დაგითრებთ დედის ცრემლები.

აკადემიკოსმა ირ. აბაშიძემ დ. პატატიშვილის ლექსით მოხიბულმა თქვა: დ. პატატიშვილი „პოეზიით არ თამაშობს“. ჩვენ დავუმატებდით: დ. პატატიშვილი პოეზიით ცოცხლობს. მეომარმა პედაგოგმა პოეზიას სიკვდილ-სიცოცხლის დაპირისპირება და ბრძოლის სიმფონია უწოდა და თქვა:

გესმით ქუხილი — ამოვარდნილ ქარიშხლის ტოლი?!

ეს ჭიდილია ორი მეტოქის; ეს მუსიკაა სიკვდილის და სიცოცხლის ბრძოლის, — პოეზიაა ჩვენი ეპოქის.

მხოლოდ სულით მუსიკოსსა და მოწოდებით პოეტს შეეძლო ეთქვა ასე.

ომა ჭაბუკური ლექსი სპირდებოდა. ლექსი, სადაც მტრის ზიზი და მამულის სიყვარული ერთად იყო დაზაღებულო. პოეტს სჯეროდა და ამბობდა: „ხალხის სიყვარულს ყველგან მოველიო“.

ჩვენს მიერ განხილულ ლექსებში ლირიკა და ცხოვრება ერკინებიან ერთმანეთს. ჩვენ ამ ბრძოლაში ვაუკაცური შემართება და სიტყვის ძალა გვატყუებებს.

მარჯ ზღაპრები

საბჭოთა პარტიოტივი — ლიბერალური შთავაგონებელი თემა

პროპაგანდა საბჭოთა პარტიოტივის, ყველაზე ნათლად და მკაფიოდ რომ გამოვლინდა საბჭოთა ხალხის შრომით და საბრძოლო გმირობაში დიდ სამამულო ომში, ღრმად და მრავალმხრივად აიხსნა მწერალთა არამარტო პუბლიცისტურ, არამედ მხატვრულ შემოქმედებაში.

ბევრად იმაღლდა მათი ნაწარმოებების იდეური და მხატვრული დონე, რამაც დიდი ჯვალენა მოახდინა ომისშემდგომი პერიოდის საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაზე.

საკმარისია ითქვას, რომ ამ ოცდაათი წლის მანძილზე, 1946 წლიდან 1973 წლამდე, ესე თგი ომისშემდგომ პერიოდში, ჩვენს მიერ ქართული მხატვრული ლიტერატურის 1078 დასახელების წიგნია რუსულ ენაზე გამოცემული. მათი საერთო ტირაჟი — 20 მილიონ ეგზემპლარს შეადგენს.

ამ 20 მილიონმა წიგნმა იბოვა რუსი და სხვა-ეროვნების მკითხველთა გული, ვინაიდან რუსული ენა იქცა ჩვენი ქვეყნის ხალხების ურთიერთობის ენად.

საბჭოთა პარტიოტივის პროპაგანდასთან დაკავშირებით მახსენდება ცალკეული ეპიზოდები და ფაქტები ჩვენი საგამომცემლო მუშაობიდან.

საბჭოთა საქართველოს დედაქალაქის კულტურის ერთ-ერთმა კერამ — გამომცემლობა „ზარია ვოსტოკამ“ (ამჟამად „მერანის“ გამომცემლობა, რუსული რედაქცია) როგორც სხვა საბჭოთა ორგანიზაციამ ომის წლებში, გადააკეთა თავისი მუშაობა. მან უპირველეს დანიშნულებად მიიჩნია საბჭოთა პარტიოტივის სულისკვეთებით მკითხველთა აღზრდის საქმე, ფრონტის დახმარება წიგნით, ბროშურით, ფურცლებით.

მუშაობის გადაკეთება დაიწყო სარედაქციო ჯგუფის გადასინჯვით. მის უარი არ უთქ-

ვამს თანამედროვე და კლასიკური მხატვრული ლიტერატურის ძირითადი ნაწარმოებების გამოცემაზე, გეგმაში ომამდე რომ იყო შეტანილი, მაგრამ პირველ რიგში შეუდგა ისეთი წიგნების გამოშვებას, რომლებსაც უფრო მეტი პარტიოტული და დამარაზმები მნიშვნელობა ჰქონდა.

გამომცემლობა „ზარია ვოსტოკა“-მ (შთ. რედაქტორი ვ. გრიგორიანი, იგივე იყო გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პასუხისმგებელი რედაქტორი) თავის მუშაობაში აიღო დამაბული ტემპი, იგი დიდ ოპერატიულობას იჩენდა. როგორც კი გაზეთის სვეტებში, ცენტრალურ და რესპუბლიკურ პრესაში გამოჩნდებოდა მნიშვნელოვანი პროპაგანდისტული მასალა და დოკუმენტი, მკაფიო პუბლიცისტური სტატიები, ახალი ლექსები, მოთხრობები, ნარკვევები, ძალას რომ მატებდნენ ფრონტის მებრძოლებს და ზურგის მუშაებს, გამომცემლობა მით ცალკე კრებულებად უშვებდა. ასე წარმოიშვა და სწრაფად დამკვიდრდა კიდევ „ზარია ვოსტოკას“ „ბიბლიოთეკა“ — „ავიტატორის დასახმარებლად“. ამ სერიის წიგნების უკვე თვით მართო სახელწოდება მიუთითებდა მის მებრძოლ ხასიათს: „საბჭოთა ხალხის დიდი სამამულო ომი“, „ფაშისტური გერმანიის ზურგი მტკიცე არ არის“, „პიტლერული გერმანია ვისისდება თავის დანაშაულებათა სიმძიმისაგან“, „დიდ სახელმწიფოთა კოალიცია პიტლერული გერმანიის წინააღმდეგ“, „მტერი განადგურდება! ჩვენ გაემარჯვებით!“, „ისტორიის გაკვეთილები“, „კავკასიონის მისადგომებთან“ და სხვ.

კრებულში „გამარჯვების სიმღერები“ შეტანილი იყო ქართველი პოეტების ლექსები. ბ. სერებრიაკოვის მიერ თარგმნილი რუსულ ენაზე. ეს კრებული ფაშისტურ გამარჯვების შთავაგონებლო მოწოდებაა. ახლა, როცა მდელ-



ვარებით ვფურცლავ ამ წიგნს, ყურადღებას
ვაქცევ უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ლიტერატურის
მთავარ თემად იქცა საბჭოთა მეომრების
უსახლერო პატრიოტიზმი.

სიძინ ჩემთვისაა ლექსი უძღვნი ვასტელის
უკვდავ გმირობას. საბჭოთა ავიაციის მეორე
სახელოვანი შევიარდენს, თავის თანასოფელ
ლელ კაბიტან ა. წურწუმის უძღვნი ლექსი
ალიო მაშაშვილმა (მირცხუღავა).

ბალტიის მეზღვეურებს ბოტბას ასხამს ალექსანდრე
აბაშელი, უშიშარ ტანკისტ პირტახიას უძღვრის
გიორგი ლეონიძე, ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ
მოსკოვს ადიდებს ირაკლი აბაშიძე. ამ წიგნის
ბოლოში შეუმჩნეველ, მაგრამ მრავალმნიშვნელოვანი
სტრიქონია: „ხელმოწერილია დასაბეჭდად 1941 წლის 25 დეკემბერს“.

ეს არ ახსოვს 41-ის დეკემბერი? საბჭოთა
ჩაგრების მძლავრი კონტრშეტევა მოსკოვთან,
მთი წინსვლა მოსკოვის სტრატეგიული მიმართულებით.
მე იმითმ ვამახვილებ ამაზე ყურადღებას,
რომ ვაჩვენო, ქართული მწერლები ჭერ კიდვე
ომის დასაწყისში დიარაზმენ და მოგვეცეს
მთელი კრებული ლექსებისა, რომლებიც
გამოირჩეოდნენ სიუჟეტების, თემის მრავალფეროვნებით,
ისინი გაერთიანებული იყვნენ ერთი მისწრაფებით — მოეახლოვებინათ
ფაშისტი ოკუპანტების სრული განადგურების
საათი. ამ წიგნის შესავალში ნათქვამია:
„კრებული გამოდის სერიოზო: ავიატორის
დასახმარებლად“, ვინაიდან ავიატორი მზირად
მიმართავს მხატვრულ სიტუვას ცალკეული
მომენტების პოეტური ილუსტრაციისათვის.
დიხ, პოეზია, საბჭოთა მხატვრული ლიტერატურა.
იმ მძიმე დღეებში იდგა საბჭოთა ხალხის
სამსახურში. ასრულდა ვ. შაიკოვსკის ოცნება:
«Чтoб к штыку прировняли перo».

არ შეიძლება არ აღინიშნოს აგრეთვე მეორე
კრებული, დასაბეჭდად ხელმოწერილი 1941 წელს.
ესაა პოლიტიკური კარიკატურები მხატვარ
ო. რუხოსა, რომელიც თითქმის ყოველდღე
იბეჭდებოდა გაზეთ „ზარია ვოსტოკას“
გვერდებზე. — პოეტ გიორგი კრეტიანის
ტექსტით. ამ დიდი ფორმადის კრებულის
ვევრდით გამოშვებულმა, რომელიც ქალაქის
მწვევე ნაკლებობას განიცდიდა, ომის
ვითარებით რომ იყო გამოწვეული, გამოუშვა
სერია, რომლისთვისაც გამოყენებულ იქნა
ქალაქის ტიპოგრაფიული ნარჩენები.

ამ სერიის წიგნების გარდა გამოშვებულა
უშვებდა აგრეთვე ცალკეულ ნაწარმოებებს,
საბჭოთა ხალხის ბრძოლას რომ ეძღვნებოდა
ხურგში და ფრონტზე.

ასე, მაგალითად, ჩვენმა გამოშვებულამ
ცალკე ბროშურად გამოუშვა კონსტანტინე სიპონოვის
პიესა „რუსი ადამიანები“. ეს პიესა, რომელიც
ეძღვნება საბჭოთა შეიარაღებული ძალების
საბრძოლო გმირობას პიტლერელ და-

მპრობლებთან ბოჰალში, ასახავდა ჩვენი
მებრძოლების მაღალხეობრივ თვისებებს და მით
უსახლერო თავდადებას. პიესა პირველად
გომოქვეყნდა პარტიის ცენტრალურ ორგანო
„პრაგდაში“ 1942 წლის ივლისის თვეში
(13, 14, 16) და ჩვენი ბროშურის ცნობარში
ერთბ ძუნწად არის მინიშნებული: „ხელმოწერილია
დასაბეჭდად 1942 წელს, სექტემბერში. ტირაჟი
5000 ეგზემპლარი“.

იმ წლების სავამოცემო გვეგის მნიშვნელოვანი
წილი მოდიოდა მხატვრულ ლიტერატურაზე.
ეს განყოფილება ყოველთვის იცხებოდა
ახალი ნაწარმოებებით, საბრძოლო მოქმედებათა
ახალ ნაკვლებზე რომ იქმნებოდა, ჩვენი
მეომრების უმაგალითო გმირობაზე. მრავალი
მწერალი უშუალოდ მონაწილეობდა საფრონტო,
არმიულ და სადივიზიო გაზეთების რედაქციების
მუშაობაში, მათ მთელი თავიანთი შემოქმედება
საბრძოლო ამოცანებს დაუმორჩილეს. ფიზიკური
და სულიერი ძალების უდიდესი დაძაბულობის
ვითარებაში მწერლები ქმნიდნენ ახალ
მოთხოვნებს, ლექსებს, პოემებს. დეგასახლებ
ზოგიერთ, ყველაზე უფრო პოპულარულ
ნაწარმოებს: შალვა დადიანის „ცნობები
ფრონტიდან“, ლეო ქიაჩელის „მამა და
შვილი“, კონსტანტინე ლორთქიფანიძის
„უსახლერო კოლონებზე“, „როგორ მოკვდა
მთხუცი მებადურთ“, გიორგი ნატროშვილის
„დასაცლეთის ფრონტზე“, ლენა შენგელიას
„თახი მამა“, გრიგოლ ჩიქოვლის „დაბრუნება“,
ირაკლი აბაშიძის ლექსი კაბიტან ბუხაიძეზე,
რომელიც მალე ხალხმა სიმღერად აიტაცა,
გიორგი ლუნიძის „არ დადიარო, დედაო“,
კარლო კალაძის „საბრძოლერიო დღეო“, კაცგასის
დაცვის ერთერთ გმირულ ეპიზოდს რომ
ასახავდა, იოსებ ნონშვილის „სიმღერა ზოთა
კოსმოდემინსკიაზე“ და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ჩვენი
დროის უდიდესი ლირიკოსის გალაკტიონ ტაბიძის
ლექსი „მშობლიური ჩემო მიწა“, რომელმაც
განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა
სამამულო ომის დროს. ამ ლექსში პოეტი
გამოხატავს ღრმა პატრიოტულ გრძნობას:

მშობლიური ჩემო მიწა,
შენს საყვარელ სახელს ვფიცავ,
რომ დავიცავ შენს სიტკიცეს,
შენი დროშის ფერს დავიცავ.

ჩემს მიზანს არ შეადგენს დაწვრილებით
ნამოვთვლო და ანალიზი გაუშკეთო ქართული
მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებებს,
ჩვენმა გამოშვებულამ დიდი სამამულო ომის

მარტ ზლბატინი
საბჰომთა პატრიოტიზმი —
ლიტმარბურის შთამბგომნებელი თიგა



დროს რომ გამოსცა შეგჩერდები მხოლოდ ზოგის მთავანზე.

ომის შემდგომი დროის ერთ-ერთ თავის სტატიაში ბესარიონ ქლენტი აღნიშნავდა: „...საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლის თემაზე მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები შექმნეს ახალგაზრდა პოეტებმა რევანზ მარკინამ, ალექსანდრე საჯაიამ, იოსებ ნონეშვილმა, მაცალა მრეველიშვილმა, მარია მიქელაძემ, ზურა ბერულავამ, მარია ბარათაშვილმა, ალგო შენგელიამ, ანდრო თევზაძემ.“

ომის დღეებში ქართულ პოეზიაში მოვიდნენ მურმან ლუბანიძე, ვახტანგ გორგანელი, ოთარ ჯელიძე. მათი დიდი იმედისმოცემი დემოკრატიული მათემატიკური იყო ქართველი პოეტების ახალი თაობის მოსვლისა, თაობისა, რომელიც იწვევდა ომის მრისხანე ვითარებაში, შთაგონებული ჩვენი დროის დაუფიქვარი პეროიკით“. მართლაც, გამოჩნდა ახალი, დიდებული პლეადა ნიჭიერი პოეტებისა და პროზაიკოსებისა. მაგრამ იმ დროს ჩვენს გამოცემლობას ჯერ კიდევ არ შეეძლო წარედგინა ისინი რუსი მკითხველებისათვის.

დიდ მუშაობას ეწეოდნენ თარგმანების ორგანიზაციისა და რედაქტირების საქმეში ალექსანდრე აბაშელი, ბესო ქლენტი, დემნა შენგელია, რომლებიც იმ ხანებში მუშაობდნენ ჩვენს გამოცემლობაში.

ზოგჯერ მწერალს უხდებოდა კალამი თოფით ან ავტომატით შეეცვალა და თავის ქვეგანაყოფთან ერთად ბრძოლაში მიეღო მონაწილეობა. ბევრი არ დაბრუნებულა შინ.

გმირული სიკვდილით დაღუპულთა სიაში მწერლები: მირზა გელოვანი, შალვა იოსელიანი, სევერიან ისიანი, შალვა სოსლანი, ალექსანდრე სულავა, ვლადიმერ უბილავე, ვაჟიკა ფხოველი, იაკობ ჩხეიძე. მათი სახელი ოქროს ასოებით არის ამოკვეთილი საქართველოს მწერალთა კავშირის კლუბის მემორიალურ დაფაზე.

შეგჩერდები ერთ მწერალურ ბედიბალზე. ახალგაზრდა დამწყები მწერალი გიორგი ნაფტევიძემ მონაწილეობას იღებდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში ყირიმის მიწაზე. დასვენების საათებში და წუთებშიც კი მას რვეულში შეჰქონდა თავისი ფიქრები, დაკვირვებები, სიუჟეტები, რასაც ომის ვითარება კარნახობდა და, როგორც კი საშუალება მიეცემოდა, ჩანაწერებიან რვეულს უგზავნიდა ცოლს, ნათელას და თხოვდა, არავისთვის ჩვენებინა ჩანაწერები: „ისინი შიფრებია, თუ მე მწერია შინ დაბრუნება, ერთად ვაგვიფროთ“. იგი დაცა გმირის სიკვდილით ერთ-ერთ გაადრებულ ბრძოლაში, მაგრამ მისი „შიფრები“, გულის სისხლით რომ იყო დაწერილი, გამოცა ჩვენს მიერ რუსულ ენაზე, 1972 წელს.

წიგნში, რომელსაც „დამთავრებული ლაღა“ ჰქვია, შევიდა მოთხრობები, მასზე რედაქტირები, წერილები, ლექსები.

განსაკუთრებით მინდა გამოვეყო ერთი: „ტოლსტოის ანტილია“. ეტიუდის არსი გამოხატულია ბოლო, დამამთავრებელ ფრაზაში.

გერმანულ ფაშისტთა მიერ წაბიწულ საფლავიან წამომდგარი დიდი მოხუცი: „იღდა იტალიელთა სასაფლაოზე და გასცქეროდა ბრძოლის ველს. სისხლი და სიკვდილი არ ცილდებოდა თვალს, დაპირილ-დახოცილთა და გაღამეწვარ ნასოფლართა ფონზე გამოჩნდა მინაი. მკვლავ სესტრია ეხატა — სიკვდილის ემბლემა. ბოროტად ქირქილებდა და მომავლად ჯარისკაცებს დასცქეროდა. მოხუცი აკანკალდა, მრისხანე დაჰკრა ყვაყვანი საფლავის ქვაზე, რაგორც ესახებოდა მას სამაშულო ომის მრისხანე ლოგია.“

უკვე ამ ეტიუდის მიხედვით შეიძლება წარმოვიდგინო, რა ღრმა ფიქრებს მოეცვა ახალგაზრდა მეომარი და მწერალი გიორგი ნაფტევიძემ, როგორც ესახებოდა მას სამაშულო ომის მრისხანე ლოგია.

კითხულობ გიორგი ნაფტევიძის სამხედრო დღიურებს და ძნელია აღვლევებ შეიკავო:

„წერილი ორჯერ მოვიდა, სასიხარულო ამბით. შინ კარგად არიან. ჩემი ძმა ურალშია. უცნაურია ამ კაცის ბედი და გზა: ბელაია ცერკოვო, პოლტავე, ბესარაბია, რიახანი, ოდესა, დნებროპეტროვსკი, ნოვაია მოსკოვა, ურალი. ვნახებო რა იქნება მერე. შევხვდებით ერთმანეთს?“

— შევხვდებით!“

„ოდეს ამბობდნენ: კიცი დავიბრუნეთო, ამაღამ სინათლე იქნებაო, ხალხი უტყუარი ბარომეტრია, ჯერც ვერ გამოვიდა, ვინ ავრცულეს ჩმას და როგორ ხდება, რომ ხალხი წინასწარ გრძნობს ამინდის ცვლილებას, უღრუბლო ცაზე საავეროს ღრუბულს ამჩნევს და ღრუბლიანზე მხეს.“

საოცარია! ხალხი ბრძენია, ბრძენი, რომელიც არასდროს არ სტყუის, არ ჩქარობს, არ ლაყბობს. ხალხი დინჯია, ძლიერი და მარადიული, როგორც დროთა სელა, არავითარ ომს არ შეუძლია ცხოვრების მოსპობა, აღამიანევი გამოაჩვენებენ სიკვდილზე, დიდი იქნება მსხვერპლი, დიდი იქნება ტანჯვა, მეფისტოფელი მიინც ვერ გაიხარებს. ასე მყვრას.

„...წუხელ მინდოდა დამეწერა მოთხრობა „ფარაჯა“ და რაღაც ცხოველური სიყვარული გამოვხატე ფარაჯისადმი. შეიძლება მოხერხდეს ოდესმე დაწერა მერე „შინდისი“.“

„გაგიმარჯებთ უძველია. მსხვერპლი? ო! მსხვერპლი იქნება, რადგან დიდი საქმე არასდროს უმსხვერპლოდ არ კეთდება. მიწის თა-

ვისუფლება ითხოვს სისხლს, ცრემლებს, სხეულებს».

მას აქვს ერთი ასეთი ფრაზა: «მე რომ მწერლად არ დავხადებულყავ, გმირი ვავხდებოდი. ახლა გმირი ჩემთვის მასალაა». ერთ რამეში იგი შეცდა: იგი მწერალიც იყო და გმირიც. და დაიბადება მწერალი, მასზე წაგნს რომ დაწერს.

ჩემს ხელთაა გარეგნულად შეუხედავი წიგნაი, ჩვენი გამოშვებობის მიერ გამოცემული 1943 წელს. ამ წიგნს ჰქვია: «ქართველ მებრძოლთა წერილი საქართველოს მშრომელებს». მან უდიდესი როლი ითამაშა საქართველოს მშრომელთა პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდაში. ეს წერილი გამოქვეყნდა 1943 წლის 16 მაისს გაზეთ «პრავდაში». ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზმ მას საეკილური მოწინავე სტატია მიუძღვნა, სადაც ნათქვამია:

«Письмо, которое публикуется в «Правде», полнует не только силой своего патриотического воодушевления, не только боевым своим пылом, не только беспредельной преданностью советской Родине. Оно содержит сжатый и сильный очерк той святой дружбы, которая издавна соединила грузинский и русский народы неразрывными узами дружбы».

წერილს ხელს აწერდა ორიათას ოცდათერთმეტი კაცი. ესენია სხვადასხვა კვარების ბრძოლა და სხვადასხვა წოდების მქონე მებრძობები. მაგრამ ისინი ერთიანი არიან თავიანთ მებრძოლურ სწრაფვაში გამარჯვებისაკენ. და სამართლიანად აღნიშნავს «პრავდის» რედაქცია, რომ მათი წერილი «შეატოვებს ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელის გულს».

სხვათადად არც შეიძლება და ფიცილიყო, ვინაიდან ოცნება და იმედი, ნებისყოფა და ფიქრი ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის ყველა ხალხსა, იმ მძიმე წლებში ისე ერთიანი იყო, როგორც არასდროს.

ქართველ მებრძოლთა წერილში, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაშია დაწერილი, მაგრამ გამოხატავდა ყველა მებრძოლი ქართველის ფიქრებსა და კარნობებს — დიდი სამამულო ომის ვრცელ ფრონტებზე რომ იბრძოდნენ, ერთგან ნათქვამია:

«ჩვენ ვგავიგნებდა წარსულიდან ზერხეულიძეთა ოჯახში წარმომდგარი ქართველი დედა, რომელმაც ცხრა შვილი გაიყვანა ბრძოლის ველზე, მამულის დროშა ჩააბარა და დაავალა, არ დაეხარათ იგი. როდესაც დაიჭრა უფროსი მებრძოლი, დედამ დროშა მოამდევინა შვილს ვადასცა და შთააგონა მაღლა სკეროდა ომებში მონაილყო მამულის ალაში. ცხრა ვაჟკაცის მარჯვენა გადაიანაცვლა დროშამ და დაუბრუნდა დედას-საქართველოს».

ჩვენ მტკიცედ ვეახსოვს ქართველი დედის ეს შორეული ანდერძი.

ქართველისათვის წინააღობა უანდერძებით: «ან ბრძოლის ველზე სული დალიოს, ან მოიგერიოს მოსული მტერი», — რადგან, როგორც ჩვენი ხალხის საყვარელი პოეტი აკაკი წერეთელი ამბობდა:

მონას რად უნდა კრული სიცოცხლე,
ვისთვის ანათოს წმინდა ლამაზარი,
სჯობს მონობაში, გადილჯაცებულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი».

შემთხვევით არ მოუგონებთ ქართველ მებრძოლებს ძველი გადმოცემა და აკაკი წერეთლის სტროფი. ქართულ კლასიკურ ლიტერატურაში, ისევე როგორც ქართულ ფოლკლორში, დრამადა ფესვგადგმული ქართველი ხალხის დიდებული ტრადიციები, მისი საყვარელი სამშობლოსადმი, ვეჟაცობა, მამაცობა და მემორტული დიდება.

ამიტომ ჩვენმა გამოცემლობამ, გადააკეთა რა თავისი მუშაობა ომის ყაიდაზე, მიზნად დაისახა გამოეცა ქართული კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებები, რომლებიც ასახავდნენ წარსულის გმირულ ამბებს, ხალხის ბრძოლას უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. ასეთი იყო პოემები და ლექსები, რომანები და მოთხრობები ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა-ფშაველას, ეგნატე ნინოშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის, ვასილ ბარნოვის, ნიკოლოზ თეთრიანისა და სხვ.

სამაგალითოდ დავასახელებ ჩვენს მიერ 1942 წელს გამოცემულ აკაკი წერეთლის «თორნიე ერისთავს», — სერგეი სპასკის მიერ თარგმნილს რუსულ ენაზე.

ხალხის გმირული წარსულის თემა იპყრობდა აგრეთვე თანამედროვე მწერლების კონტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიქრიას, პოლიკარბე კაკაბაძის, გიორგი ლეონიძის, ლევან გოთუას და მრავალ სხვათა ყურადღებას.

წარსულისა და დღევანდელმობის ურთიერთ შერწყმა ნათლად არის გადმოცემული გ. აბაშიძის პოემა «ქედუბრე კავკასიონში», რომელიც ვლ. დერეჟენმა თარგმნა რუსულ ენაზე.

ქალაქ თბილისის სახეში — დიდი სამამულო ომის წლებში საბრძოლო ვახტზე რომ იდგა — შერწყმულია კრწანისის მეომართა, სამასი არაგველის აჩრდილები და საბჭოთა მებრძოლების კოლონებიც, რომლებიც მიემართებოდნენ ჩრდილოეთისაკენ, ფრონტზე, მთებში, კავკასიის დასავლეთად.

სამამულო ომის თემა მტკიცედ მოიკიდა

მარტ ზღაბაძინი
საბჭოთა პატრიოტიზმი —
ლიტერატურის «მთაბარგონებელი თემა»



ფეხი და იგი დღესაც მძლავრად იზიდავს სხვადასხვა თაობის მწერალთა მხატვრულ ფანტაზიას. ასე მაგალითად, რუსი მწერლის კონსტანტინე სიმონოვის, ბელარუსი ვასილ ბიკოვის, ქართველი კონსტანტინე ლორთქიფანიძის და მრავალ სხვათა შემოქმედებაში — სამამულო ომის თემა გადაწყვეტილი და ყოვლის მომცველი გახდა. ეს არც არის საყვირველი. სამამულო ომის წლების მრავალფეროვანი მასალა, როცა საბჭოთა ხალხმა გაუძლო ციკობრიობის ისტორიაში არნახულ განსაცდელს, აძლევს მწერლებს სტიმულს, უფრო ღრმად შეისწავლონ და აჩვენონ საბჭოთა პარტიოტიზმის ფესვები, საბჭოთა ადამიანის გმირობის საწყისები, მათი რკინისებური ლოგიკა, გმირობის ფიქლოლოგია, რაც სამშობლოს სახელათ, მის საიდლებლად ხდებოდა.

სამებრო თემის ასეთი ღრმა დამუშავების მაგალითს ლიტერატურაში წარმოადგენს კონსტანტინე ლორთქიფანიძის ნოველა „როცა კაცი მარტია“, მარტია თავის სინდისთან, თავის შეგნებასა და მოვალეობასთან სამშობლოს წინაშე. მწერალმა ღრმად ჩაგვანდა ადამიანის სულში, საბჭოთა პარტიოტი მებრძოლის ფიქლოლოგიაში. შესაძლოა, ასეთი ოსტატობისათვის ვერ მიეღწია მწერალს ამ მოთხრობაში, მინამდვი რომ არ ჰქონოდა შემქნილი მოთხრობების ციკლი „უკვდავება“. (სამოქალაქო ომში ბელარუსი პარტიზანების გმირობაზე) ამ მოთხრობა „მწვანე დილი“, საბჭოთა პარტიოტიზმის თემა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობაში ასე მაღალნიჭიერად რომ არ აესახა თავის რომანში „კოლხეთის ცისკარი“.

ჩვენი გამოცემლობა „მეჩანი“ ქართულ და რუსულ ენებზე უშუალოდ ქართველი მწერლების სულ ახალ-ახალ წიგნებს, სამამულო ომის თემას რომ აშუქებს. ასე, მაგალითად, გამოიცა რ. ჯაფარიძის, დ. კვიციანიძის, ა. კალანდაძის, ე. მაისურაძის, გ. ნატროშვილის, ა. სულაჯორის, ნ. დუმბაძის, თ. დონეაშვილის და სხვათა ნაწარმოებები.

სამამულო ომის დროინდელ მწერალთა თაობას მიეკუთვნებიან რუსი მწერლები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ: ესენია ე. ფეფინი, მ. ლიხვიცი, ლ. მაჩაიძე და სხვ.

არ შეიძლება არ აღინიშნოს ომის პერიოდის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა. სამამულო ომის ყველაზე მრისხანე თვეებში თბილისი გულლიად ხვდებოდა, თავის მზრუნველობას არ აკლებდა მოსკოვისა და ლენინგრადის, კიევისა და მინსკის ლიტერატურისა და ხელოვნების მრავალ მოღვაწეს. მათ რიცხვში იყო: ე. ნემიროვიჩ-დანჩენკო, ვ. კაჩალოვი, მ. თარხანოვი, ს. პროკოფიევი, ვ. ვერესაევი, ი. შაპორინი, ვ. სეაოვი, ი. პავლოვი, ვ. ორლოვი, ი. ნოვიკოვი, ე. კამენსკი, ა. პორტენკო,

და რაც საყურადღებოა, თავის ძირითად ნაწილს მიანობისაგან მოწყვეტილად არც ერთი მათგანი არ გარბნობდა თავს, ყველა პოულობდა თავის შემოქმედებითი ძალების გამოყენების სფეროს. ასე მაგალითად, ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო კითხულობდა ლექციებსა და თავის მდიდარ გამოცდილებას უხიარებდა თეატრის ახალ მუშაკებს.

ვერესაევი, რომელსაც იმ ხანებში შეუსრულდა 75 წელი, ამთავრებდა თავის მონუმენტურ ნაშრომს — „ილიადა“ და „ოდისეას“ თარგმანებს, აგრეთვე წერდა ახალ მოთხრობებს, რაც ჩვენ გამოცემით კიდევ.

ს. პროკოფიევი გამოდიოდა კონცერტებზე თავისი ნაწარმოებების შესრულებით. 1941 წლის 18 დეკემბერს იგი „ზარია ვოსტოკას“ ფურცლებზე წერდა: «Летом 1941 года, когда озверелые потоки «псов-рыцарей» вновь осмелились поднять меч на нашу землю, я задумал симфоническую сюиту «1941-й год» для большого оркестра, посвященную Отечественной войне советского народа с германским фашизмом. Сюита, которую я закончил в октябре, состоит из трех частей: первая — «В бою», вторая — «Ночью», и третья — «За братство народов».

ე. სეაოვი წერდა ტილოებს, რაც მიმდინარე მომენტს შეესატყვისებოდა, კერძოდ, მან ჩვენი გამოცემლობისთვის გაფორმა ყდა ბროშურისა: «Разгром немецких войск под Ростовом».

ი. პავლოვმა გამოამყვანა თავისი ტრადიციული ინტერესი ქალაქის ცოცხალი უბნებისადმი და შექმნა თბილისისა და მდინარე მტკვრის გრაფიკული ნახატები.

პოეტები თარგმნიდნენ პოეტების ლექსებს. ეს იყო ძველი მეგობრობის ახალი გამოვლინება, მეგობრობისა, რაც ომის დროს უფრო იწრთობდა და კავდებოდა.

ჩვენს მიერ გამოშვებული იყო ივანე ნოვიკოვის, ვლადიმერ ორლოვის, ვასილი კამენსკის, რიუტიკ ივნიევის, ანდრეი კორპენკოს და სხვ. ლექსები და თარგმანები.

ეს წარსულის ამბავია, მაგრამ მოგონება მათზე მარად ახალია.

ჩვენს გამოცემლობას განზრახული აქვს უახლოეს პერიოდში გამოსცეს ქართული პროზისა და პოეზიის დიდი კრებული, რომელიც სამამულო ომის თემას ეხება ამ ოცდაათი წლის განმავლობაში.

როგორი მოკლეც არ უნდა გვეჩვენოს სამამულო ომის შემდეგ განვლილი დრო — იგი არაჩვეულებრივად მდიდარია საბჭოთა ადამიანების სულიერი ცხოვრებით, მათი შემოქმედებითი შრომით, ახალი მიღწევებით კომუნისტურ მიზნად ნათელ გზაზე.



მირზა გელოვანის უსოვნო ლირიკა

ოცნების გაღვწეული, ლალი, ჯიშინი,
ურჩი, ვაჟკაცი, იორის მხრებზე მომვდებელი, მე-
ბრძოლი, მეგობართა ჩრდილების მძებნელი და
არღმეწიყებელი — ასეთია მირზა გელოვანი
ბავშვობიდან მოყოლებული უმაწვილობამდე
და ასეთად დარჩა იგი ქართულ პოეზიაში.

რატომ არ, ჩემი წნორები,
რატომ არ, ჩემი იორი...
...თიანეთი და სწორები,
თიანეთი და ფიქრები.

1943 წელსაა ეს ლექსი დაწერილი. მირზა
უკვე კომპარტი პოეტი და ერთგული ჯარისკაც-
ი იყო, თუმცა ვაჟკაცობის ეპოს უფრო მკუ-
ხარებდნენ მირზას პოეტურ სულში ბავშვობა-
ში აღორძინებული ლექსები, თიანეთში, სწო-
რებთან ნაფიქრალი და ნათრთოლი.

ქვემდებარე გულში და ტყვეთა ზუზუნში,
როცა თითქოს და უნდა დაღუბებულიყო მუზა
მირზა გელოვანისა, იგი პოეტის დაყინებული
და ბეჭითი ძიებით ეძიებდა და იგონებდა, თუ
ანსენებდა ძვირფას სახელებს, უცნობ სახე-
ლებს და ლექსებს უძღვნიდა, ვით პატივას.

დამილული სიყვარული მცენარესავით იზრ-
დებოდა მისი სულის წიაღში და მეგობართა
ჩრდილებთან განაგრძობდა ართოვლას და წუ-
ხილს.

ვაზარულ სხივებს — აწითულ ხელებს,
საღამოს, დღეს — ართოვლას, ძიების,
ძვირფას სახელებს, უცნობ სახელებს,
ჩემი ლექსები, ვით პატივას.

ვისაცვიფრებოდა არაკანონზომიერია მირ-
ზა გელოვანი თქმა „როცა ქვემდებარე ქუხან,
მუხები სდუმანო“.

მირზა ბედნიერი გამოსწავლია, მირზა —
ხარბაზნების ქუხილში თითქოს ხელმოკრედ
მადება, როგორც პოეტი, ახლებურად ეღვრს

მისი სტრიქონები, ახლად წარმოიჩინება მისი
პოეტური ტალანტი, მეტიც: მირზასათვის, რო-
გორც პოეტისათვის, თითქოს სხვაგვარი ხდე-
ბა წვიმაც და თოვლიც, დაღლაც და ფანჯარას-
თან მობუხული ბედურაც. პოეტი-ჯარისკაცი
არც ისე უცხოა, მაგრამ ისეთი, რომლის პოე-
ზიაში ასე შერწყმულად ერთმანეთს პოეტური
სინაზე და ჯარისკაცური შეპირებება, სიფარუ-
ლით ვაჟკაცობა, ჯიშრული სულისკვრები
სავე უნახესი სტრიქონები, იშვიათია. კეშმა-
რითი ტალანტი იყო საჭირო მისათვის, რომ
ქვემდებარე ზუზუნსა და ამის ცეცხლს არ
გაუხეშებინა, არ გაუბრალოებინა, თუ შე-
ძლება ასე ითქვას, მისი სულის პოეზია.

მირზა გელოვანი ჯარისკაცის უნახესი გან-
ცდის პოეტი, კომპარტი ესტატი ლექსისა.
მისი ფორტული ლირიკა თანდათან უფრო
მწუხარი ხდება. როგორც პატარა ბავშვს, რო-
ცა ფეხს იდგამს, მუხლი თანდათან უმავრდებ-
ბა, ასე თანდათან ყრმა-პოეტის ლირიკულ გან-
ცდებს ფოლადს მშატებს ცეცხლის წვიმა და
ჩნდება უმშვენიერესი სტრიქონები:

მე დიბრუნებთ ტყვილებს წაეშლი,
ოღონდ მოსვლამდის, ოღონდ ბოლომდის,
როგორც ვაზაფხულს ელიან მთაში, —
შენი ლამაზი გული მელოდეს.

(1942 წ.)

ანდა ბრძოლის წინ დაწერილი ლექსი:
არადიბრუნება არ მეძნელება,
უფრო ძნელია იქვენებ წუხილი.

ვრიგალებს შევიღებელი პოეტი-ჯარისკაცი
წერდა: „თუ ცოცხალი დავბრუნდი, მაშინ ჩემს
ლექსებს შეტი სიმართლე და გამბედაობა ექ-
ნებო“.

ამ პერიოდში დაწერილი მშვენიერი ლექ-
სი „თოვლი“.





თოვლი მოვიდა, ო, არა თეთრი, სულ სხვანაირი თოვლი მოვიდა, მგონია მოხვალ, შენ მოხვალ ერთი და თოვლის სანტეკ კუბოს მომიტან. წახვედი როდის, პირუნდები როდის, — დამწვარი თოვლის მსუბუქი ბოლი, წმინდი ჩემთან, გზაც აქეთ მოდის — თოვლი, თოვლი, თოვლი.

(1944 წ.)

ქართულმა მიწამ, ქართულმა ლექსმა ყველაზე მეტად სამშობლოსა და სიოცხლის სიყვარული ასწავლა მის, და კიდევ: რწმენა და დიდი იმედი, ვათენების იმედი, რომელიც საოცრად მკვეთრად და მძაფრად ქღერს იმ მწვანე ბრძოლების დროსაც კი, როცა ბევრი დიხვეწილი და რაინდი კაცოც განსხვავდებოდა, სტიმულს დაჰკარგავდა, ზოგჯერ გამხეცდებოდა კიდევ და მხოლოდ მომხდურზე იფიქრებდა, მომხდურს კი ტყვიით ხვდებიან და ამრიგად, თითქოს პოეზიაზე ფიქრიც კი შეუძლებელია.

არ დაბრუნება არ მეძნელება, უფრო ძნელია თქვენზე წუხილი —

უფრო ძნელია წუხილი დატოვებულ სამშობლოზე, დატოვებულ საყვარელ წნორებზე, სწორებზე, შავდალალაზე და ამიტომ, თუმცა „ვაიმეცარდა მებრა სიკვდილის ახლოს“ — მაინც სასიკვდილო ტყვიების ფარფაცს, ღამეში გაწვილით ცეცხლის ენებად, მირზა უცქერის, „როგორც სანახავს, როგორც უცოდველ მშენიერებას“ და თუმცა მისი ბრავალი ლექსი დამწვარილია უმუალოა ბრძოლის წინ, ფრონტზე, მაინც გასდგეს მთელ მის ფრონტულ ლირიკას ერთი ხაზი, ერთი მართალი თვალს მირზასი, რაც მის პოეზიას ასე უმუალოა და ასე საინტერესოს ხდის:

ხანძრებს, ღამეთა კალთაზედ გაშლილით, გზებზე ჩახვრკილ ღამეთა ლოდებს, მე ვუცქეროდი თვალებით ბავშვის, რომელიც ასე გიყვარდა ოდეს.

(1943 წ.)

და ეს მართალი თვალი ბავშვისა, უმანკო და უცოდველი აღქმა ვარშემო დატრიალებული საშინელებისა, სასაცილო იქნებოდა ალბათ, რომ არ იყოს გამოწერილობა დიდი პოეტური ტალანტით. მირზა გულოვანი ახალგაზრდა დიდი, იგი უდაოდ დიდი ნიჭიერებით აღსავსე პიროვნება იყო, მის ლექსებში, ეს ენება მის ფრონტულ ლირიკასაც და ადრეულ ლექსებსაც, ყურადღებას იქცევს არა მხოლოდ უზადო ლექსური ფორმა და პოეტური სამკაული, არამედ ერთიანი ხალასი ნიჭი, ძარღვიანი, მიწის ბელტებზეთ მხურვალე სიტყვა. თითქოს საჭრეთელით გამოუტყეროთ კლდეში, ალაგ-ალაგ დაუხვეწიოთ, ალაგ-ალაგ

ბუნებრივი სილამაზე ქვისა შეუძნარუნებიათ და ისე წამომდგარა ჩვენს თვალწინ „შავლეგო ბიჭი“, ზეცას შესწერებია „ვარსკვლავთალებით“ და ამღერებულა, ოღონდ ეს სიმღერაც შუა გზაზე გაწყვეტილა, ვერც კი მოუწერია უკანასკნელი ამოსუნთქვის ამოყოლება. თუმცა თვითონ კი დიდი იმედი ჰქონია სიმღერის დამთავრებისა და ეს იმედია მირზას პოეზიაში ასე მკვეთრად რომ ჩანს ყველა დიდი ტკივილის დროს, ყველა დიდი ქარიშხლის დროს, თვით სისხლისღერისასაც. თვით ეამს სიკვდილისას ცოცხლობს იმედი, დიდი იმედი, რომელიც სავსეა ცრემლით, სხივით, ხვალისდელი გათენებით.

ო, არა, მაგრამ სიკვდილის გვერდით, სისხლიანი ზრდილში მწვანე ბრძოლების, თქვენ მაკანდებით, როგორც იმედი, წარსულთა დღეთა განმეორების!

შორს დარჩენილი ბავშვთად გათენებული ღღებები საწინდარია მისი მომავალი ჭეშმარიტი პოეზიისა.

მირზა გულოვანის ლექსები სავსეა ცივი სწერებითა და დამღლევი ბრძოლებით, ძვლების კენესითა და სასტიკი გრიგალით, წუხილით, განწირებით, თვალებში მოკაფე სამინელი სიგიჟით. მაგრამ ეს ყოველივე მთავრდება იმით, რომ ცრემლებიც კი, ღედის ცრემლები გამარჯვების გზებს უქებებენ. აი როგორ მთავრდება ერთი მწუხარე ლექსი, რომელიც დედისადმი მიძღვნილი —

პკითხე ქარს, ეგებ მან ვიამბოთ ჩემი სიკვდილი, და უცნაური დაბადება ჩემი ვიამბოთ.

ეს ოპტიმიზმი არ განკლავთ, ეს არც მხოლოდ პატრიოტიზმი და არც მხოლოდ მოქალაქობრივი ლირიკა. ასე სწერენ დიდი პოეტები, ასე აზროვნებენ სწორპოეტები. სიკვდილის შემდეგ დაბადებული კაცის წინდაწინ ნათქვამი სტრიქონებია შემკული ეს შესანიშნავი ლექსი „ღედას“.

მე გამარჯვება დამაბრუნებს თქვენთან, სწორებთან, მე გამარჯვება გაღამიყვანს მთებზე, ქედებზე, ყოველი წვიმა თქვენს მღუმარე ცრემლს მაკონებდა და ის ცრემლები გამარჯვების გზებს მიქებებდნენ.

ღიამ, ომმა ბევრი აღავსო სიმეცარიით. უსულკულუო გახალა, გონება აუმღვრია, ნებისყოფაც წაართვა, ყველაფერ ამას კვლავაც თავისებურად პასუხობს მირზა გულოვანი.

იქ, სადაც სხვები ქვეებს დაემსგავსნენ, სისხლის წვიმაში, ტყვიების ჩქერში, მე არ ვეარგავდი სიმაღლეს ჩემსას, რომელიც ოდეს გაყვარდა ჩემში.

რას მიეწეროთ ყველაფერი ეს? ბავშვის თვალებით დანახულ საოცრებას, თუ ექვე დაბრძანებული პოეტის ფაქიზსა და დახვეწილ ანოთენებს? ალბათ ორთავეს ერთად, რადგან პოეტის თვალი საერთოდ საოცრად ჰგავს ბავშვისას, ასევე გულუბრყვილოდ აღიქვამს მის ირგვლივ მორიალუ სიტუაციებსა თუ სიგნებს, რომლებსაც სიბრძნისთან ერთად ერქმევათ ხოლმე თავიანთი სახელები და თავიანთ ადგილებზე ლაგდებიან.

მირზა გელოვანის ცხოვრების შტრიხებს თუ ნაჭრილობევივით უხეშ ხაზებს საოცრად აწყნარებენ და აკეთილშობილებენ, აფაქიზებენ და აცხრობენ სიყვარულისა და სილამაზის თანხლებით. უღროოდ გამაკაცრებული მწერა, რომელიც მარად, ყოველთვის თან სდევდა სიკვდილს, გრივალს ომისას, პატარა ბიჭის, მოწაფე ბიჭის ბეჯითად ნასწავლ გაყვეთილს ჰგავდა.

რას ბავშვობა, თუ არ გვინათებს, რას ტრფობა, თუ არ გვალამაზებს.

ამ უსათაურო ლექსში დგას რუსთაველი, როგორც ღმერთი სინათლისა და სიფაქიზისა, სიყვარულისა და ამაღლებისა, მირზა გელოვანის ოცდამეექვსე გაზაფხულის სიმწვანედ. 1943 წელსაა დაწერილი ეს ლექსი, 1943 წელს მირზა გელოვანი ოცდამეექვსე წლისა გახლდათ.

მე დამავიწყდა ქართული ხმები, მე შენი ხმები ვით დამახსოვდეს, ვიცა, გრივალებს ერთად შევხვდებით, მაგრამ ერთმანეთს — ვეღარასოდეს!

ეს სტრიქონები უკვე დაღლილ, ბრძოლითა და პოეზიით დაღლილ მირზა გელოვანს ეკუთვნის.

„ჭვირფასო მშობლებო“, — წერს ერთ წერილში მირზა — „მოცლა კი არა მაქვს არაფრისათვის, წუთი რა არის, წუთი ვერ მომიცალია, ვიღლები, მაგრამ იმედი, მომავალი წინ არის, მამხნევებს. დასწყვევლის ღმერთმა, ისე იფიქრებს ვინმე ამ წერილის წყაიხვანზე, თითქოს ბავშვი ვიყო. ოცდახუთი წელი კი დამეწყო. ამბობენ, რომ ეს ყველაზე კარგი წლებია ცხოვრებაში“.

იქ ნათლად ჩანს არა გულგატეხილობა და დაქანცულობა, არამედ გასაოცარი იმედი და მხნეობა, მირზა ერევა სისუსტეს ადამიანურს, ფრონტულს:

მის საერთოდ უყვარს საყუთარი თავის შედარება ხალხის საყვარელ გმირებთან და აი, ასე, მინდათ ბრძენი მოთმენით დგას მირზა გელოვანი დიდი ღირსიის საღარაჯოზე, მაინც შემოდის მის მიწურ ქოხში სხივი განთიადისა და სჯერა, უცილობლად სჯერა, რომ:

ხსნა თუა სადმე, შენ ერთი იხსნი რასაც გული და ბავშვობა ჰქვია.

რამდენადაც მირზა ფრონტულ ლექსებში შეუთვარი და აღტაცებულია, ოპტიმისტი და წინმძიმავალი, იმდენად წერილებში უფრო სევდიანი და მოღრუბლულია, უფრო პესიმისტურია, წინამგზარნობი.

1940 წლის 8 იანვრითაა დათარიღებული მისი პირველი წერილი, იგი ხარკოვიდან სწერს ძვირფას მამასა და საყვარელ დას, რუსულადან:

წერილებში უკვე აღარ ამბობს მირზა: „მე დავბრუნდები, პო, დავბრუნდები, მე შენი თმები დამბრუნებენ“, „თუ კარგად დაერჩიო“, იწერება მირზა და იმაღება ადამიანური ეჭვი, რომელიც თან უნდა ახლდეს ქვეშეპირიტი პოეტის ფრონტულ ბარათებს, ბარათებს, რომლის მისამართი თიანეთი და მისი ოჯახია, მშობლები და დები. არავითარი სიყალბე, არავითარი ამაღლებული ტონი, ჩვეულებრივი წერილები, რომლებზედაც მირზა არასოდეს ფიქრობდა, რომ სხვები წაიკითხავდნენ, რომ საქართველოში მის წერილებს ათასობით მკითხველი ეყოლებოდა.

„დილით სიბნელეში ვდგებით და, თოფს რომ ავიღებ, ასე მგონია მონადირეები მიცდიან და იქით წავალო, საითაც უმრავლესობა იტყვისო“.

ეს სტრიქონები გახლავთ კაცისა, რომელიც უკვე დაღლაშვებარული, მამულის სიყვარულით პირთამდე სავსე, მოთმინებადაკარგულია და ესწრაფვის თავის ტოლამხანაგებში ყოფნას, თავის მშობლიურ ქარაბებს და ქიუხებში ნადირობას და გახარებას.

„ჭვირფასო რუსულან, და მამი ვინ იცის, როგორ ვიქნები ან სად ვიქნები, მინდა ორიოდე გროში მქონდეს ჯიბეში, თუ მოახერხოთ გამომიგზავნეთ. აქ რამდენიმე წიგნი მაქვს და მიღებული წერილები, ამას ყველაფერს შევკრავ და გამოვიგზავნით, ზედმეტი ბარგია უკვი“.

მირზა თავისუფლდება, თანდათან თავისუფლდება ყველაზე დიდი განძისაგან, რაც კი შეიძლება ჯარისკაცს ჰქონდეს, შინაურთა ბარათებისაგან, მირზა უკვე უფრო შორს იხედება მირზას უფრო შორს მხედველი, მაგრამ უფრო სევდიანი გაუხდა თვალები.

ირმა ჩხიშიძე
მირზა გელოვანის ფრონტული ლირიკა



«**უბრა კარგი იყო ის დრო**», აზრობს მირზა ივანეს ბრენას განაზღვრულ სიმღერებს და რუსულანის ბუნებებს...

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბარათი დედისადმი, რომელიც 1940 წლის 10 აპრილსა გამოგზავნილი მოსკოვიდან.

ამ წერილს მოსკოვიდან ვწერთ, საიდანაც ახლა ვბრუნდებით, თავს ძალიან კარგად ვგრძობ, ოღონდ საქართველო მენატრება ხანდახან, დღეს კ. გამსახურდიას და შ. ნუცუბიძეს შევხვდი, კურსკის სადგურში და საოცროდ დამწყვდა გული. კონსტანტინე საქართველოში ბრუნდება დღეს. მე თოფით და «კატოლიკით» ვიდექი მათ წინ, ვრომავდი უფსკრულს, რომელიც ჩვენს შორის იყო სერთოლ, და რომელიც გაღმავდა უცხად, რაც თბილისიდან წამოვიდა. ვინ იცის, ამ ორ-სამ წელიწადში ეს უფსკრული ისე გაღრმავდეს, რომ ვუღარაფერმა ვეღარ მშველოს, რომ ამ უფსკრულს გადავახტე».

მირზა თითქოს ნებდება განგებას, ბედს, იღბალს, თითქოს ფარსმალს კი ყრის, იმედღიარებულია, რომ ეს უფსკრული ოდესმე ამოიციება და იგი კვლავ დაუბრუნდება მშობლიურ საქართველოს, მშობლიურ მწერლობას. რაღაც გამოსავალ გზასაც ეძებს, გზას, რომელზედაც არასოდეს დაიქარება, რომ მაინც დარჩება მისი ნაკვალავი ამ ქვეყანაზე. წუხს მირზა, აფორიაქებულია, თავს ებრძვის, ყველაფერი ჩემი ძარღვებით ვადამაქვსო, სხვები სკოლებს ამთავრებენო, მე პირდაპირ ცხოვრება მისწავლისო, თავსაც ინუფეგებს მირზა, მაგრამ კარგად იცის, დრამად სჭერა, რომ პროპორცია სხვადასხვაგვარია, ვინ იცის ოქნება ჩემმა ვადისძიოსო. აი, ასე თანდათან, მაგრამ დამაჯერებლად ვაჩნდნენ მირზას ბარათებში სიტყვები: «ვინ იცის», «ბედი», «იღბალი», «უფსკრული», «გამოხსნეული გზა», «გულდაწყვეტა», «მონატრება». ამ ბარათებში არის ერთგვარი ადამიანური უკანდახევა, ღირსი ადსარბანი, რომლითაც შინაგანად იკვებებოდა მირზა, როგორც კეთილშობილი პოეტი და ჯარისკაცი.

ერთ წელიწადში დაეკავებულნი მირზა მზახლოებულნი გრივალების წინ საკუთარ თავთან პირობას დებს: სახლში დაბრუნებამდე დაწეროს წიგნი, რომელიც იქნება გამომშვიდობება ყველაფერთან, რაც ასე აღელვებდა მის ახალგაზრდობას, დასწერს წიგნს, რომელსაც ექნება თავისივე თაობის ხასიათი, იდეა, წინფობიობა. მირზა წუხს არ ჰქარავს, წერს ყველგან, სანერაში თუ ძილის წინ, დალილი და უძილო, დარსა და ავდარში, ყველგან, ყოველთვის როგორც კი საამისო დროს იპოვის.

«**თუ კარგად ვიქვნი, გუფიცები წაგვიოთხო**

ჩემი პირველი სერიოზული წიგნი»
მირზა რუსულანს 1940 წლის 16 ნოემბერს.

ახლა მირზასთვის ყოველი წუთი ძვირფასია: «არხინად ვატარებულ დღეებს სტოღნით დიდი დარდი შემდეგში, ხომ ვახსოვს გურამიშვილი «ყოველთვის მოცლას ვეცდიდი, ნეტავი არ მამეკლავდა». ნეტავი არც მე მომეტად არაფრისათვის და ყოველი თავისუფალი წუთი გამომიყუენბინა, ყოველ საათთან მეექვსა, რათა წამერთვა მისთვის რაც შეიძლება მეტი მოგება».

მირზა გელოვანმა უკვე დაინახა, როგორ იცვლება ადამიანი, როგორ ეგუება ვარემოებას, დროს, რელიურ სინამდვილეს. მისი ისედაც ამაღლებული სული, სახსება დაბრკოლებული და გაერთელებული, ცხოვრების შუა გულში შეიჭრა და უფრო მიმზიდველი და ამოუხსნელი გახდა.

ასე მოგვევლინა პოეტი მირზა გელოვანი მზახლოებულნი ჯარისკაცის ფორმაში.

საქართველოს მონატრებით უახლოვდება მირზა გელოვანი ომის ქარიშხლებს: მენატრება მთები, ცა საქართველოსი, ხეები, ჩრდილები, ბალახი. მშვიდობით იყვითი, ველოდები თქვენს წერილებს. ეს ვახლავ ომის წინა წერილი და დაიწყო დიდი სამამული ომი.

მორია, გათავდა ექვი, მწუხარება, ცრემლი. მირზას წერილები ისევე ისეთი შემართებისაა. ისევე ისეთი მოგუგუნე და სავე დიდი რწმენითა, როგორც მისივე ფრანტული სტრაქონები. ეს წერილები უკვე საქვეყნოდ წასაკითხადა თითქოს გამზადებულნი.

«**ომი დაიწყო, დიდი ხანა ვიცოდი რომ დაიწყებოდა იგი. ვგრძობდა...**

გჯეროდეთ ჩემო ძვირფასებო, თუ ჩემი ბედი ამ ომში დამთავრდება, თუ მე სიკვდილი მეწერება ამ ომში, ძალიან ძვირად დაეფსება მტერს სიცოცხლეს ჩემსას.

დაე, თქვენ წე შეგრცხვებთ, რომ მე თქვენი სისხლი და ხორცი ვარ. მე მაქვს უღიღესი სიმშვიდე, ჩემში მთელი ადამიანის მოუღლელი სისხლია. ჩემში ცოტნე დღიანის სულია და ბედისყოფა და თქვენ შეგიძლიათ ამაყად სთქვათ, რომ მე ვიცოდ ჩემს სამშობლოს, რათა მომავალი თაობანი იყვენენ ჯანაღნი, ბედნიერი და ძლიერი. ჩემი გზა მილიონების გზას მიჰყვება და არსად მთავრდება. რადგან მილიონების გზის დამთავრება არ შეიძლება».

მირზას სწამს გამარჯვებისა, მირზას სწამს სიცოცხლისა, მირზა აქეთ უქიეთენს სხვებს — «**ნუ დაღონდებითო**».

ეს მირზა გელოვანის პირველი წერილია ომის დაწყებიდან — 1941 წელი, ივნისი.

მირზას წერილებიდან ხმაშალა მოწოდება ისმის. მისი თაობის ძლიერი ხასიათის გამოხა-

ტულეზა. ისინი, ბარათის ყოველი სტრიქონი ნაძერწია რწმენითა და იმედით.

„ღაო რუსუდან, სამი დღის შემდეგ დღესასწაული იქნება, მე არ ვიცი როგორ შეხვდებით მას — მანდ, თბილისში, მზეზე და სიწყნარეში. აქ ომია, მაგრამ მე მაინც ვიდღესასწაულებ ოქტომბერს, ირგვლივ ცეცხლის რაკალი რომ მერტყას, სიკვდილი რომ ჩამცქეროდეს თვალბში ვიდღესასწაულებ ოქტომბერს... მტრის განადგურება, აი, ყველაზე დიდი ზეიმი, აი, რასაც მოგვიწოდებს ოქტომბრის მოვონება, გაუმარჯოს სიკვდილშიაც არ დანებებას.“

1941 წლის 4 ოქტომბრითაა დათარიღებული მირზას ეს ბარათი.

მირზა გელოვანს არც ერთ ბარათში აღარ სჯერა, რომ ისინი აღარ შეხვდებიან ერთმანეთს.

პირიქით, წერილებში იწერება, რომ დაწერა ახალი წიგნი ლექსებისა „ომის ლირიკა“.

რუსულდანისადმი მიწერილ წერილში, 1944 წლის 13 მარტს იგი ამბობს:

„ომი ჰკლავს ჩემში ლექსების მწერალს, მაგრამ ზრდის პოეტს, ჩემი მგრძობიარე გული უცვლელია, თუმცა ნერვები ჩემი და სული გამაგრდნენ, გამოიცივლნენ“.

მალღ პოეზიასთან ერთად იმედით, ღონით, რწმენითა და ზოგჯერ სევდითაც სახვე წერილები პოეტი ჯარისკაცისა უფრო მშფოთვარეს ხდოდა მირზა გელოვანის ხასიათს და აახლოებდა დღევანდელობასთან. აი, რითია

მირზა გელოვანი ჰუმბარიტი შემოქმედი, გამოჩენილი ჩვენს დღევანდელ პოეზიაშიც.


„ყველაზე მთავარია სათქმელი არ დაველით და გქონდეთ საკუთარი სამყარო, რომელიც არაფრით ჰვადდეს ნამდვილს, მაგრამ რეალური იყ იყოს“.

მირზას ჰქონდა საკუთარი სამყარო, პოეტური, მიმზიდველი, განუყოფელი.

ღიას, სულს ამოხდომამდე „ტულეგრაფის მავთულივით განუწყვეტლივ გვაგუნებდა მის სხეულში დიდი პოეტის ვალაქტიონის ბრძნული შეგონება: „წერეთ ლექსები, კარგი ლექსები! სულს ამოხდომამდე წერეთ და წერეთ!“

1943 წელს პრიჩისტიეში დაწერილი ლექსი „ნუ მწერ“ პასუხია არა მარტო ვალაქტიონის შეგონებაზე ყრმა პოეტის მიმართ, არამედ სულსმამაცია მირზა გელოვანის მთელი პოეზიისა:

ნუ მწერ, რომ ბაღში აყვავდა ნუში,
რომ მთაწმინდაზე ცა დაწვა თითქოს,
რომ საქართველო ამ ვაზაფხულში,
როგორც ყოველთვის, წააგავს ხვითოს...
მე ისიც ვიცი, რომ კარგ ამინდებს
მოაქვთ გულების საამო ფეტიქვა,
და თუ ზოლომდის ტყვია დამინდობს,
თუ ვაზაფხულებს შეგხვდებით ერთად, —
ვეტყვი, რომ მოვედ ბრძოლანახულა
და სიკვდილამდის შენთან დავრჩები,
რომ ლამაზია მზე ვაზაფხულის,
ბრძოლების შემდეგ — მზე გამარჯვების.



გაიშრიკალებს ფრონტზე ფარაჯა,
ცყვიას ცყვიაში აჯენს ვაჟკაცი,
იბრძვის და მამულს უდგას დარაჯად
თოფის, ხიშვის და სმლების კაშკაშში.

ვლადიმერ უბილაძე

თამაზ კვაჭანგირაძე

...ისა, ვითარცა...

„ზღავესაც ღრმად ხმინავს, ვით წყლის ფსკერზე ქვას დაბუდებულს“... მკითხველი ჩე-რდება, მისმა ფანტაზიამ იუნოსა რაღაც და-ფარული კავშირი საგანთა შორის... „გაწვრთნილ ღომსავით ხუსტსა და საშიშს“... ისევ პაუზა; სიტყვათა უჩვეულო, ვფეჭტურთი კომბინაციის სიღრმიდან ნელ-ნელა ამოიზიდება რაღაც ნაღ-დი და ზუსტი... „იგი წავიდა ხელუხლებელი, დაუხარჩავი, ვით მიწაში დაფლული ზარი, ერთხელაც რომ არ დარეკილა“... პარადოქსუ-ლი სიტუაცია (მიწაში დაფლული ზარი) ტრა-გიკულობის სიმბოლოდ იქცევა და, ხელმოცა-რულ კაცში განითვებული, კუბოში წება. „ადა ფიქრებს. როგორც გახაწვრთნილ მხეცებს, ყვე-ლა ტკივილის ატანას აჩვენა“. ხდება მცირე სასწაული, ფიქრი მატერიალურდება, გაისხის შოლტის ტკაცანი და ფიქრი-პანტერა მორჩი-ლად ასრულებს სალტომორტალს.

ეს პაუზა, ყოფი თავად პოეტისაა, რომლის აზრის მდინარეებს კვალში მიჰყვება მკითხვე-ლი. ხდება ხოლმე: აზრის საგანი სიტყვაში არ გაიხსნა, არ გაცხადდა. პოეტი უბრუნდება მას და ოსტატის დაინებული მზერით ვალიეებუ-ლი აზრი ფერ-ზორცს იხსამს. ახლა იგი მზო-ლოდ სუბსტანცია აღარ არის, საგანი ენერ-გიად იქცა, ავორდა, ამოპრავდა, გამოვლინდა. გაიხსნა მისი იდეალი, დაფარული შესაძლებ-ლობანი. მათ დასაფიქსირებლად პოეტი ეძებს სხვა საგანს, გამოვლენილი ნიშან-თვისების ერთგვარ ეტალონს. ეს არის მკითხველზე ქვე-ცნობიერად ზრუნვა. — ნაბოენი, გამოხმობილი საგანი ზოგჯერ ვასაღებია მხატვრული სახის გასახსნელად:

„...მაგრამ წარსული, ბნელით მოცული, მი-ფურცებს, როგორც ქალი ორსული“.

პოეტი ეძებს, პოულობს, მქმნის შედარე-ბას.

• • •

შედარება უნივერსალური მოვლენაა. ვნო-სეოლოგოური თვალსაზრისით იგი საფუძველ-

თა საფუძველია ყოველგვარი შემეცნებისა. სა-ღაც გვექვს სისტემა (სისტემურობა კი არ-სებითი ნიშანია ცნებითი თუ ენობრივი სამ-ყაროსთვის), იქ იგულისხმება ობიექტთა კლა-სებიც, რომელიც გამოიყოფა, იდენტიფიცირე-ბულია და ფუნქციონირებს შედარების სა-ფუძველზე; ნებისმიერი ცნება თავისთავად უკ-ვე წარმოადგენს შედარების შედეგს; შედარე-ბა-შეპირისპირების ნიადაგზე ხდება ობიექტთა ნიშნებს შორის ეკვივალენტობის, მსგავსების, განსხვავების, იკივობის კონსტრუქცია, რაც ხა-ზობლოთ ჩამოვიცნებად გამოიკვეთება ხოლმე. მაგრამ ჩვენ ამჯერად გვინტერესებს უკვე გა-მოყოფილ ობიექტთა, resp. დადგენილ ცნება-თა შედარება, ე. ი. შედარება უფრო მაღალ საფეხურზე, გვიანტერესებს, რა ლოგიკური მოდელი უდევს მას საფუძველად და როგორი ენობრივი საშუალებებით რეალიზდება იგი მე-ტყველებაში. შედარების აქტი, მხატვრულ მე-ტყველებაში განსხვავებული, ტროპის სახეს წარმოადგენს და მის ფუნქციებს ლიტერატუ-რათმოდონებია და ესთეტიკა იკვლევს. მაგრამ ამ მოვლენას ლინგვისტური ასპექტიც გააჩნია.

ენობრივი ფაქტის ლინგვისტური ანალიზის დროს კვლევა, ჩვეულებრივ, ცალკეული იერ-არქიული დონით იზღუდება. მათ შორის უმა-ღლესი — სემანტიკურ-სტილისტური — მკვლე-ვარს ყველაზე მეტ სირთულეებს წარმოუჩენს: მიკროსისტემათა მიჯნების დასადგენი კრიტე-რიუმების თავისუფლება, მათი მოცულობების ურთიერთგადაკვეთა, ზღვა ემპირიული მასალა! გვეიარაღდებიან, რომ კონსტრუქციული უნ-და აღმოჩნდეს მკაცრად განსაზღვრული ლო-გიკური ენის პროფიკრება ბუნებრივი ენის ამ იერარქიულ საფეხურზე; დედუქციური იმპე-რაცივების საშუალებით ამგვარი „მისვლა“ ენის ცალკეულ უბანთან გულისხმობს, რომ ემპირიული ბაზა უკვე დამუშავებულია პირ-ველი მიახლოებით და ჩვენ კვლავ ვებრუნდე-ბით მას ახალ საფეხურზე.² ჩვენს შემთხვევაში

ბროზლემმა შესაძლოა ამგვარად დავაფორმულ-
ლოთ შედარებას, როგორც მკაცრად განსაზღ-
ვრულ ლოგიკურ ურთიერთმიმართებას, რა
ენობრივი საშუალებანი არეალოზებენ და რა
ჯიბით? ამისთვის ჯერ იმ უნივერსალური მექა-
ნიზმის მოქმედების პრინციპს უნდა ვავეცნოთ,
რომელიც ყოველგვარ შედარებას უდევს საფუ-
ძვლად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შედარების
შედგენი ზოგადად შესაძლოა სხვადასხვა იყოს,
დაადგინდეს შესაძარბელი ობიექტების იგივე-
ობა, მსგავსება, განსხვავება, ფარდობითობა.³
ამგვარად აღწერით მხოლოდ მსგავსებითი შედარ-
ების ლოგიკურ აპარატს. პოსტულირებულია
შედგენი დებულებანი: 1. მსგავსებით შედარე-
ბაში მონაწილეთს ობიექტთა A, N და B კლასე-
ბი; 2. არცერთი კლასი ცარიელი არ არის:
 $A \neq O$, $B \neq O$ და $N \neq O$; 3. ობიექტთა კლასე-
ბები იდენტური არ არის: $A \neq B$, ვ. ი. სხეუგა
რალად ნიშანი, რომლითაც ობიექტები ერთ-
მანეთისაგან განსხვავდება.⁴ 4. ნიშანი ობიექტ-
თა ორივე კლასს ეკუთვნის.

ამგვარად აღწერილი მსგავსებითი შედარე-
ბის ლოგიკური მოდელი მუშაობს განსაზღვ-
რული ობიექტთა კლასების ხაერთო ნიშნის
რაოდენობრივ-ინტენსიური თვალსაზრისით გა-
სათანაბრებლად.

თუ ზემოაღნიშნული დებულებანი მსგავსე-
ბითი შედარების მოდელს აღსაწერად აუცი-
ლებელი და საკმარისია, მაშინ ნებისმიერი
ენობრივი ფაქტი შედარებად კონსტრუქციისა-
თვის ამ პირობას უნდა ავმაყოფილებდეს: მას-
ზე ლოგიკური მოდელის პროცირების შედე-
გად უნდა გამოიყოს ან აღდგეს ლოგიკური
მოდელის ყოველი კომპონენტი და ურთიერთ-
დამოკიდებულების მექანიზმი.



შედარების ლოგიკური მოდელი, ეს უნი-
ვერსალური მექანიზმი, თვითველ ენაში ამ
ენისათვის დამახასიათებელი გრამატიკული
სტრუქტურების მეშვეობით ვლინდება. ამგვარ
სტრუქტურებს შედარების სქემები ვუწოდოთ.
თუ ლოგიკური მოდელი დამოუკიდებელია
ენობრივი რეალიზაციისაგან, სქემები ცალკეუ-
ლად ენის სისტემით არის დეტერმინირებული.
სქემათა რაოდენობა იმ გრამატიკულ საშუა-
ლებათა თვისებებსა და სიმრავლესა დამოკი-
დებულია, რომელთაც ცალკეული ენა იყენებს
მსგავსებით შედარების კატეგორიის გამოსა-
ხატად. ამ დანიშნულებისათვის ქართულ ენას
საკმაროდ მდიდარი გრამატიკული ინვენტარი
მოუბოვება: ესენია მსგავსებითი შედარების
უფუძვითი აღჭურვილი თანდებულება, გათან-
დებულებული ლექსემები, კავშირები, სადერი-
ვაციო აფიქსები, რომლებსაც გამაერთიანებე-
ლი ტერმინით — მსგავსების ელემენტი —
აღვნიშნავთ. ელემენტებია: ვით, -ებარ, -მებარ,

-ებური/ -ებრი, -თანა, -ნაირი, -გვარი, -მავგა-
რი, -ტოლა, -ხელა, -ოდენი/ -დენი, ოდენა,
ხნის, დარი, მსგავსი, როგორც, ვითა/ ვით,
ვითარცა. შედარების სქემებში ელემენტთა ვა-
ნაწილება გრამატიკული და სემანტიკური ფაქ-
ტორებით არის განპირობებული. ვარკვეულ
კორელაციის ამკვლევებს, ერთი მხრივ, თავად
ელემენტთა მნიშვნელობა, მეორე მხრივ, სქე-
მის სხვა ნაწილთა სემანტიკა. სქემები გრამა-
ტიკული და გრამატიკულ-სემანტიკური ნიშნის
მიხედვით ლავდება. გვაქვს ორი ძირითადი
ჯგუფი: ა) სქემები, რომლებიც უფრო რთული
სტრუქტურების — წინადადებების — ნაწილს,
ბლოკს, წარმოადგენს და ბ) სქემები, რომლე-
ნიც მთლიანად წინადადებად რეალიზდება.
პირველი ჯგუფის სქემებში დამსგავსების სფე-
რიოდ ატრანზიტული მახასიათებლები გვევლი-
ნება, მეორეში — პრედიკატიული, ამიტომაც
ნიშანი (N) სინტაქსურად განსხვავებულად
ფუნქციონირებს: ატრანზიტულ სქემებში იგი
განსაზღვრება და n_1 სიმბოლოთი აღინიშნება,
პრედიკატიულში კი — n_2 ნიშან-შემასმენელი (N₂);
ლოგიკური მოდელის ობიექტთა კლასები ორ-
სავე ჯგუფის სქემებში სუბსტრუქციებით რეა-
ლიზდება; მსგავსების ნიშნის თვალსაზრისით
დასახასიათებელ წევრს a სიმბოლოთი აღვნიშ-
ნავთ და დასამსგავსებელს ვუწოდებთ, ხოლო
წევრს, რომელიც a -ს ამასიათებს — დამსგავ-
სებულს — b .

მსგავსების ცნება ობიექტთა კლასებს შო-
რის ისეთ მიმართებას ვარაუდობს, რომ თუ a
რალად ნიშნის მიხედვით მსგავსია b -ს, მაშინ
ამავე ნიშნის მიხედვით b -ც მსგავსი იქნება
 a -სი. მაგრამ მსგავსებით შედარებაში ეს ნიშ-
ანი რაოდენობრივად ორივე წევრისათვის ერთ-
ნაირად არ არის დამახასიათებელი: b -ს a -სთან
შედარებით ნიშანი მეტი ინტენსიუობით ამასია-
თებს. მსგავსებითი შედარების სქემათა ფუნქ-
ცია სწორედ ის არის, რომ ეკვანტიტატურად
განსხვავებული ნიშანი დასამსგავსებლის და
დამსგავსებულისა რაოდენობრივად გათანაბრე-
ბულად წარმოადგინოს. სწორედ ამ მცდელო-
ბითვე შედარებით რეალიზდება ის აზრი, რომ
ნიშანი დასამსგავსებლისთვის ხშირად სიტუა-
ციურია, იმ ხარისხით არ არის ორგანული,
როგორც — დამსგავსებულისათვის, რომელიც
ამ ნიშნის ეტალონად აზრიადება. პოეტურ
მეტყველებაში ზოგჯერ თითქმის სქემის ამ-
გვარი ინტერპრეტაციის საწინააღმდეგო სუ-
რათი გვაქვს, მაგრამ ყოველგვარ ექსტრაეგან-
ტურ შედარებას, მიულოდნელსა და ეფემ-
ტურს, ფსიქოლოგიურ საფუძვლად ეს ორიდ-
ნარული მომენტი აქვს და მხატვრული ეფექტ-
ტი ხშირად მისი დარღვევით მიიღწევა (ანა-

თამაზ კვანახანიძე
...ისა, მითარცა...

ლოგია: სიტყვა „ლაზი“ საბავსისპირო, ირო-ნიული მნიშვნელობით ან კომპიუტი ეფექტით მაშინ რეალიზდება, როდესაც არსებობს ჩვენს ფსიქიკაში მისი მდგრადი სემანტიკური ხატება). პაბლო ნერუდას აქვს ამგვარი შედარება: „და ქუჩებზე ბავშვების სისხლი დიოდა უბრალოდ, როგორც ბავშვების სისხლი“. აქ გვაქვს პრედიკატული სქემის ყველა წევრი: დასამსავსებელი, პრედიკატული ნიშანი და დამსავსებელი; მაგრამ სემანტიკურ დონეზე განხილვისას აღმოჩნდება, რომ $a=b$, რაც თითქოს ეწინააღმდეგება მსგავსებითი შედარების პრინციპს. მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სქემათა სემანტიკური ერთეულებით რეალიზებისას წინა პლანზე ესთეტიკური მიზანდასახულება გამოდის: პოეტი აღწერს დაბოძლი მდინარეს, რომლის ქუჩებშიც ბავშვების სისხლი ივრება და ამ სურათის განხატება სურს რაიმე სხვა, უფრო შთაბეჭდილი სახით. და რასან ამ ფუნქციით იგივე სახე გამოიყენა, ამით ნერუდამ შესადარებელი უფრო მაღალ რიტორიკაში აიყვანა, შენიღბულად მიანიშნა, რომ მას არ სჭირდება შთაბეჭდილების გასაძლიერებლად სხვა სახე.

სქემათა ზემოაღნიშნული 2 ჯგუფი თავის მხრივ დიფერენცირებულია მსგავსების ელემენტების სემანტიკისა და მათი განაწილების მიხედვით. ატრიბუტული ჯგუფის სქემები ერთმანეთს უბირისპირდება მსგავსების ელემენტთა სემანტიკური დიფერენცია: ვით და ებრ ელემენტთან სქემაში ნიშანი (მ₁) ყოველთვის ცალკე ლექსითაა წარმოდგენილი; სქემის მინუსტატიის დროს იგი ზოგჯერ არა ჩანს, მაგრამ ყოველთვის ივარაუდება და არავითარ სირთულეს არ წარმოადგენს მისი აღდგენა. ამრიგად, ვით და ებრ წმინდა რელაციის აღმნიშვნელი ელემენტებია, ხოლო რა ნიშნის მიხედვით ემსგავსება ობიექტები ერთმანეთს, ამას ვერ გვაჩვენებენ; საამისოდ სქემაში სხვა წევრი — მ₂ გვაქვს. ამ სქემას სტოლა, ხედა, -ოდენა/-ოდენი, ხნის ელემენტის სქემა უბირისპირდება. ამ ელემენტებს მსგავსების ფუნქციასთან შეთავსებულ აქვთ ნიშნის სემანტიკა. ქართულში ნიშნის ზოგიერთი შინაარსის (ზომა, რაოდენობა, ასაკი) გრამატიკება მოხდა, ზემოაღნიშნული ელემენტები სწორედ გრამატიკული მნიშვნელობით დიფერირა, ნიშანი მ₁ თავად ელემენტში მოექცა და ამიტომ სქემაში დამოუკიდებელ სიტყვად არცა გვაქვს და არც ივარაუდება. მესამე სქემა იმგვარ ელემენტებს შეიცავს (-თანა, -ნაირი), რომლებიც ორგვარად რეალიზდება: ა) ოდენ მსგავსების ფუნქციით: მაშინ მ₁ ან სახეზეა, ან ელფსირებულია და ივარაუდება; ბ) ითავსებენ გლობალური მსგავსების ნიუანსს, რაც მ₁-ად აღიქმება და, ვინაიდან იგი ელემენტშია განზავებული, ცალკე სიტყვად

არცა გვაქვს და არცა ივარაუდება. ამრიგად, მესამე ჯგუფის სქემა ხან პირველი ჯგუფისას ეკლავს, ხან — მეორისას.

პრედიკატული სქემების განმსახვებელი სტრუქტურული ნიშანი ის არის, რომ მ₂ არც ელფსირდება და არც ელემენტში ექცევა, იგი ყოველთვის ცალკე ლექსით, ზნა-შემამენელი, რეალიზდება. კავშირ-ელემენტთან სქემა იმ თავისებურებასაც იტყის, რომ მასში შესაძლებელია ა და ბ კლასი გაფართოვდეს: თუ ატრიბუტულ სქემებში შესადარებელი და შედარებელი სუბსტანციებით ან გასუბსტანცივებული სხვა მტყველები ნაწილებითაა რეალიზდებოდა, აქ შესაძლოა ა და ბ კლასები მთლიანმა წინადადებაში შეავსოს, ე. ი. ერთმანეთს ემსგავსება არა სუბსტანტივები, არამედ სუბსტანტივთა პრედიკატული ურთიერთობა. ამის მიზეზი ის არის, რომ ატრიბუტული ნიშანი ერთი სტრუქტურული ერთეულის მახასიათებელია, ორი და სამპირიანი ზნით გამოხატული მ₂ კი—რამდენიმე. „და როგორც სვედა ქვრივის ცხელ სხეულს, კორტნის ჩაქუჩს ქვასა და სმენას“ — აქ სუბსტანტივები კი არ ემსგავსებიან ერთმანეთს (სვედა — ჩაქუჩს, ქვრივის სხეული — ქვას), არამედ — სუბსტანტივთა პრედიკატული დამოკიდებულება. ამგვარ შედარებას „კომპლექსურს“ ეწოდებო.



როგორც ვნახეთ, შედარების ლოგიკური მოდელი რამდენიმე სქემის საშუალებით რეალიზდება. შემდგომ საფეხურზე ერთად ამ სქემების სათანადო სემანტიკური ერთეულებით შევსება. მოდელი ერთია, სქემა — რამდენიმე, სქემის რეალიზების შესაძლებლობა კი — პრაქტიკულად უსასრულო. მაგრამ გარკვეული შესულებებით, ესაა, აქაც გვაქვს. სიტყვები სქემაში აღვიღს თავიანთი გრამატიკულ-სემანტიკური ნიშნების მიხედვით იკავებენ. სქემის მარეალიზებულ ლექსითაა გრამატიკულად არასწორი გაფორმება სქემის დამს მწვეს გრამატიკულ დონეზე (დევმავით დიდი კაცი, დევით დიდი კაცი); სემანტიკურ დონეზე მსგავსებით შედარების მოდელი მაშინ ირღვევა, როცა ა, ბ ან მ ისეთი სემანტიკური ერთეულებით იქნება რეალიზებული, რომელთა შეხვედრის ალბათობა ტექსტში პრაქტიკულად ნულია (ზუთივით ახალი ამავე, რკინასავით ჰკვიანი ათი, მწვანესავით ცელქი გულჩვილობა, ქვიშასავით მსუქანი ლურჯი, მინდორივით სამი თაფლი). სემანტიკურ დონეზე მოდელს დამსის კრიტერიუმად რეალიზების ნულთანაა ალბათობა სიმკაცრეს მოკლებულია და, ამდენად, მის აღიარებას გარკვეული დაბრკოლებები ხდებდა, მაგრამ ინტუიციითაც თითქმის ყოველთვის ვგრძნობთ სქემის შეუფერებელი ლექსებებით რეალიზებას.

მსგავსებითი შედარების სქემის ძირითად წევრებს შესაძლოა ტრადიციული სინტაქსური კვალიფიკაცია მიეცეთ: Π_2 შემასმენელია, Π_1 — განსაზღვრება, ელემენტდართული χ ვითარების გარემოებად ან განსაზღვრებად გვევლინება, α კი კონკრეტული წინადადების მიხედვით — ქვემდებარედ ან ნებისმიერი სახის დამატებად. მაგრამ მსგავსებითი შედარების მოდელი გარკვეულ შეზღუდვებს აწესებს სქემის წევრთა არჩევანში. მაგ. რიცხვითი სახელი წინადადებაში, ჩვეულებრივ, განსაზღვრების ფუნქციით გვევლება, მაგრამ თუ განსაზღვრება მსგავსებითი შედარების სქემის წევრია, მის მარეალიზებლად რიცხვითი სახელი შეუძლებელია. ამის მიზეზი რიცხვითი სახელების ბუნებასა და მსგავსების ცნების არსში უნდა ვეძებთ. რიცხვითი სახლები აბსტრაქტიზებული რიცხვითი წარმოდგენების გამომატველია და ყოველგვარი სხვა შინაარსისაგან დაცლილია. მსგავსების ცნება კი ისეთ ნიშანს ვარაუდობს, რომელსაც ხარისხობრივი მაჩვენებელი ექნება, იგი გრადაციული უნდა იყოს. არავითარი ხარისხი და გრადაცია ცალკეულ ნატურალურ რიცხვს (ენაში კი მხოლოდ ისინი არიან უშუალოდ ასახულნი) არ გააჩნია. რიცხვითი სახელი არ შეიძლება რაიმე ნიშნით დახასიათდეს, ამიტომაც იგი არც α და β კლასების რეალიზებაში მონაწილეობს. ასევე შეუძლებელია Π_1 -ის როლში გენტიური მსაზღვრელი: კუთვნილება და მასალა ისეთი ნიშნებია, რომლის მიხედვით დამსგავსება ქართულ ენაზე მოლაპარაკისათვის მსგავსების სქემაში შეუძლებელია.

სემანტიკურ დონეზე სქემები გარკვეულ ტრანსფორმაციას განიცდიან. ძალზე მნიშვნელოვანია ძირითადი წევრების (დამსგავსებელი, დასამსგავსებელი, ნიშანი) განმსაზღვრელი წევრებით გავრცობა. განმსაზღვრელი წევრები ისეთი სემანტიკური ერთეულები ან მთელი ჯგუფებია, რომელთა ამოღება მსგავსებითი შედარების სქემატიდან გრამატიკულ დონეზე უმეტესწილად შეიძლება, მაგრამ სემანტიკურ დონეზე — არ ხერხდება. შედარება: ფიჭი დამადეს, როგორც ხელისგული — გრამატიკულად უზაღოა, მაგრამ სემანტიკურად — უტყვი; განმსაზღვრელი წევრებით გავრცობილი კი იგი მძლავრ პოეტურ სახეს წარმოადგენს: „რასაც გრძნობდნენ, რასაც ფიქრობდნენ, აიღეს და უცებ მომახლეს, პირზე დამადეს, როგორც დალაქის ხელისგული, ათასი სუნი შენელებული“. მხატვრულ ეფექტს ხშირად საგანთა შედარება სწორედ განმსაზღვრელი წევრებით წარმოიწინებულ სიტუაციამო იძლევა. ამ სახის შედარებას „ხიტუაიურს“ ვუწოდებთ.

დასასრულ, შედარებათა ანალიზი მთლიანი მხატვრული ქსოვილის გაუთვალისწინებლად, უახლოესი კონტექსტიდან მოწყვეტით, შესაძლოა ლიტერატურულ მკვლევარს მოგვეჩვენოს. მაგრამ ლინგვისტური თვალსაზრისით ტროპთა ანალიზის ამგვარი ოპერაცია სრულიად ბუნებრივია. მეტიც, ჩვენის რწმენით, შედარებას, მეტაფორას და მხატვრულ სახეს ზოგჯერ იმდენად თვისთვადი მხატვრულ-ესთეტიკური ფუნქცია გააჩნია, რომ მათი დამოუკიდებელი ანდა შეხიზისპირებითი ანალიზი ნებისმიერ დონეზე ჩანს პერსპექტიული.

შენიშვნები:

1 თუ ფონოლოგიურ დონეზე საანალიზო ობიექტთა კლასი რამდენიმე ათეული ელემენტისაგან შედგება, სემანტიკურსა და სტილისტურ დონეზე მათი რიცხვი ასტრონომიულად იზრდება.
 2 С. К. Шаумян, Философские вопросы теоретической лингвистики, М., 1971, გვ. 140.
 3 შ. ძიძიგური, კავშირები ქართულ ენაში, თბ., 1969, გვ. 146.
 4 განსხვავება ფიზიკურ-სავნობრივია და ეყრდნობა იგივეობის ფუნდამენტურ კანონს: ერთი სავანი არ მოიაზრება ორად. ამიტომ არაიდენტურობა ამ თვალსაზრისით არ გამორიცხავს ცნებითს ან ენობრივ იდენტურობას; ჩვენ ენახავთ, რომ ცნებისა და ლექსემის ფარგლებ-

ში იდენტური ობიექტები შესაძლოა მონაწილეობდნენ მსგავსებითი შედარებაში.
 5 გლობალური მსგავსების დროს დამსგავსება ობიექტთა რაიმე გარკვეული ნიშნის მიხედვით კი არ ხდება, არამედ — ზოგადად, მთლიანობაში: შენისთანა მეგობარს ვეძებ, ვამბობთ, როდესაც ერთიანი მსგავსება გვინდა გამოვხატოთ და შედარებულის რაიმე თვისებას არ გამოვყოფთ. თუ ამგვარი მიზანი გვაქვს, მაშინ სქემის ელემენტი იცვლება: შენსავით ერთგულ (ჭკვიან, მოხერხებულ და ა. შ.) მეგობარს ვეძებ.
 6 Н. Хомский, Синтаксические структуры, Новое в лингвистике II, М., 1962, გვ. 419 შმდ.



გფიცავ, შავ სიკვდილს თვალში ჩავენდავ,
საზიზღარ მგერზე ხიშვმემართული,
მე ასე მზრდიდა სამშობლო — დედა,
მე ასე მზრდიდა მიწა ქართული.

სვევრიან ისიანი

გარეკლის მე-3 გვერდზე — პლაკატი ჭეშალ ლოლუახი.

ტექნიკური ხელშეღწეული ს. ციციშვილი.


კრიტიკისა და პუბლიცისტის განუოფილება მასალებს მიიღებს არა უმეტეს ერთი საავტორო
თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 89-89-44. პ. მგ. მდივანი — 89-71-69. განყოფილებათა გამგეები — 89-88-81. პროზის — 89-84-66. ლიტერატურული თანამშრომლები — 89-75-69. „ნობათი“ — 83-17-63.

ვადეცა ასაწყობად 24/111-75 წ., ხელმოწერა დასაბეჭდად 22/11-75 წ., ქალაქის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საადრ-სავ თაბახი 14,5. შეკვეთა № 1260. უფ 01892. ტირაჟი 30.500.

საქ. კბ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



ფასი 60 კპპ.

ჩვენ ვაჟკაცობა ძველთაგან მოგვდევს.
ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს!
ჩვენ შეიძლება ბრძოლაში მოვკვდეთ,
მაგრამ არც მაშინ ვგოვებთ სიცოცხლეს!

ლადო ასათიანი

მე გამარჯვება დამაბრუნებს თქვენთან, სწორებთან.
მე გამარჯვება გადამიყვანს მთებზე, ქედებზე,
ყოველი წვიმა თქვენს მდუმარე ცრემლს მაგონებდა
და ის ცრემლები გამარჯვების გზებს მიქეზებდნენ.

მირზა გელოვანი

ჩვენ განა გაქცევა გვჩვევია,
გავარღვევთ, გავშლით და გავიგანთ,
კაპიგან, სამშობლო ჩვენია!
ჩვენია სიცოცხლე, კაპიგან!

ალექსანდრე საჯაია

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ**

«ЦИСКАРИ»

ИЗДАТЕЛЬСТВО
ЦК КП ГРУЗИИ

ИНДЕКС 76236